ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

გივი ადამია

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია და მისი სამართლებრივი შედეგები

ქართული, გერმანული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ირაკლი ბურდული

თბილისი

2022

შინაარსი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი VI

შესავალი 5

1. თემის აქტუალობა და კვლევის მიზნები 5
   1.1. ფართო კონტექსტი 5
   1.2. ვიწრო კონტექსტი 7
2. კვლევის მეთოდები 10
3. ნაშრომის სტრუქტურა 11

I. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ზოგადი სისტემური ანალიზი 14

1. მცირე ისტორიული ექსკურსი 14
2. კონკურენციის კანონმდებლობით დაცული სამართლებრივი სიკეთეები 17
3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ადგილი კონკურენციის სამართლის სისტემაში 20
4. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ცალკეული მოტივები 25
   4.1. პირდაპირი მიზანი და ეკონომიკური აგენტის კონკურენტული ავტონომიურობა 25
   4.2. თანმდევი მიზანი 30
5. კარტელი და მონოპოლიური კონკურენცია 32
6. ნორმის განმარტების მეთოდები 35
7. ცნების უნივერსალური ელემენტები 39

II. ქმედების სუბიექტი 41

1. ეკონომიკური აგენტი 41
   1.1. ეკონომიკური აგენტის ცნება 41
   1.2. ეკონომიკური საქმიანობა 44
   1.3. ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნება 46
   1.4. შემძენი, როგორც ეკონომიკური აგენტი 48
   1.5. ბაზარზე მონაწილეობის ფორმა 50
   1.6. კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი 51
2. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია 53
   2.1. ზოგადი მიმოხილვა 53
   2.3. ცნება და წინაპირობები 59
      i. ზოგადი შინაარსობრივი ასპექტები 59
      ii. ეკონომიკური აგენტი, როგორც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის წევრი 61
      iii. შიდაორგანიზაციული სტრუქტურა და სამართლებრივი ფორმა 62
      iv. ქმედების მოტივები 65
      v. ეკონომიკური აგენტების ასოციაციათა ასოციაცია 68
   2.4. ასოციაცია, როგორც ეკონომიკური აგენტი 69
   2.5. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი 72
   2.6. შუალედური დასკვნა 75

III. კოორდინაციის ფორმები 76

1. ტერმინოლოგიური ანალიზი 76

2. ხელშეკრულება 82
2.1. მონაწილეთა ნების თანხვედრა 82
2.2. მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედებაში გამოხატული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება 87
i. მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედების არსი 87
ii. წინასწარი თანხმობა 90
iii. კონკლუდენტური თანხმობა 93
2.3. შინაარსობრივი მასშტაბები 96
2.4. ფორმა 99
2.5. კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან მიმართება 101
2.6. მტკიცების სტანდარტი და საშუალებები 105
3. შეთანხმებული ქმედება 106
3.1. განცალკევების მოტივები 106
3.2. მახასიათებლები და კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასთან მიმართება 109
3.3. რელევანტური კონტაქტი - ქმედებათა „შეთანხმება" 116
i. არსი 116
ii. კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია 123
iii. ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება 127
3.4. ქმედება ვიწრო გაგებით და მიზეზობრივი კავშირი 129
3.5. ქმედებათა პარალელიზმი 138
4. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა 141
5. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება 145
5.1. აკრძალვის ტელეოლოგიური საფუძვლები 145
5.2. გადაწყვეტილება ვიწრო გაგებით 146
5.3. ჯგუფურ დომინანტურ მდგომარეობასთან მიმართება 153
5.4. მიმართება ეკონომიკური აგენტის ცალმხრივ ქმედებასთან 156
5.5. ასოციაციისა და ეკონომიკური აგენტის პასუხისმგებლობათა გამიჯვნა 158
6. ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინა 163

IV. კონკურენციის შეზღუდვა 169

1. ტერმინოლოგიური ანალიზი 169
2. კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა და/ან აკრძალვა 171
3. ცალკეული პარამეტრები და ინდიკატორები 176
6.1. კონკურენტული ავტონომიურობა 176
6.2. შეზღუდვაუნარიანი კონკურენცია 179
6.3. ფაქტობრივი და პოტენციური კონკურენცია 180
6.4. მიწოდებისა და შეძენის კონკურენცია 183
6.5. შიდაბრენდული და ბრენდებს შორის კონკურენცია 187
6.6. კონკურენტებისა და სხვა ეკონომიკურ აგენტთა ინტერესები 187
6.7. მომხმარებელთა ინტერესები 189
7. კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი 190
4.1. ზოგადი მიმოხილვა 190
4.2. კონკურენციის შეზღუდვის მიზანი 192
4.3. კონკურენციის შეზღუდვის შედეგი 202
i. მიმართება "rule of reason"-ის ტესტთან 202
ii. შინაარსი 207

4.4. შეზღუდვის ინტენსივობა და კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმებები 211
4.5. შედარება და შეჯამება 217

V. კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა საბაზრო განზომილებები 219

1. შესაბამისი ბაზარი და კონკურენციის შეზღუდვის ტერიტორიული ფარგლები 219
2. შესაბამისი ბაზრის გამოჯვნის ფუნქცია 225
3. ჰორიზონტალური შეთანხმებები და კარტელის ცნება 226
4. ვერტიკალური შეთანხმებები 232
5. შემძენი და მიმწოდებელი 238

VI. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შინაარსი და ადგილი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა სისტემაში 239

1. ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის ზოგადი შინაარსი 239
2. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ადგილი კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ფორმათა სისტემაში 243
3. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა, როგორც მთლიანი შეთანხმების ნაწილი 247
4. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ადგილი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა შინაარსობრივ სისტემაში 248
5. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ადგილი კონკურენციის შეზღუდვის ფორმათა სისტემაში 252
6. ზოგადი მიმართება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან 253

VII. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების სისტემაში 256

1. გამონაკლისების სისტემა 256
2. ეფექტიანობის ტესტი 259
2.1. შინაარსი და წინაპირობები 259
2.2. მტკიცების ტვირთი 263
2.3. მიმართება კონკურენციის შეზღუდვის ელემენტთან 265
2.4. ეფექტიანობის ტესტის ადგილი კვალიფიკაციის პროცესში 269
2.5. გაუმჯობესება და პროგრესი 270
i. ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულება 270
ii. საერთო მახასიათებლები 275
iii. წარმოების გაუმჯობესება 279
iv. მიწოდების გაუმჯობესება 280
v. ტექნოლოგიური პროგრესი 282
vi. ეკონომიკური პროგრესი 283
2.6. მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდა 285
i. მომხმარებელი 285
ii. კეთილდღეობის ზრდა 286
2.7. მიზეზობრივი კავშირი, შეზღუდვის აუცილებლობა და პროპორციულობა 289
2.8. კონკურენციის აღკვეთის დაუშვებლობა 291
2.9. ნორმატიული კონკრეტიზება? 293
2.10. გამონაკლისი გამონაკლისიდან 303
3. ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა, როგორც გამონაკლისების დადგენილების მოწესრიგების საგანი 305

3.1. დისტრიბუტორებს შორის შეთანხმება? 305
3.2. ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობასთან მიმართება 310
3.3. წლიური ბრუნვა 311
3.4. საბაზრო წილი 314

VIII. კუმულატიური ეფექტის დოქტრინა 317

1. ზოგადი საფუძვლები 317
2. იდენტური შინაარსის შეთანხმებები 319
3. ცალკეული შეთანხმების კონტრიბუციის განსაზღვრა 321
4. კუმულატიური და ინდივიდუალური ეფექტის ზღვარი 325

IX. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის სახეები და ეფექტები 332

1. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ეფექტების ანალიზის აუცილებლობა 332
2. ექსკლუზიური შეძენა 334
2.1. შინაარსი 334
2.2. პოზიტიური ეფექტები 335
2.3. კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული საფრთხეები 337
i. ბაზრიდან განდევნა და ბაზარზე შესვლის ბარიერების დაწესება 337
ii. ბრენდებს შორის კონკურენციის აღმოფხვრა - *single branding* 338
iii. მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა 340
2.4. Non-compete obligation 341
2.5. კონკურენციის შემზღუდველი მნიშნელოვანი ეფექტი 348
3. „ინგლისური დათქმა“ 357
4. ექსკლუზიური მიწოდება 359
4.1. შინაარსი 359
4.2. კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტი 360
4.3. ექსკლუზიური მიწოდების ადგილი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების სისტემაში 367
5. ორმხრივი ექსკლუზივი 368
6. ექსკლუზიური დისტრიბუცია 368
6.1. შინაარსი 368
6.2. კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული რისკები 371
6.3. კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტები 375
i. ზოგადი მიმოხილვა 375
ii. აქტიური გაყიდვების აკრძალვა 377
iii. პასიური გაყიდვების აკრძალვა 379
iv. ბაზრის განვითარების დოქტრინა 382
7. შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა 385
7.1. შინაარსი 385
7.2. კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული რისკები 388
7.3. ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა 389
7.4. კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტები 392

X. სამართლებრივი შედეგები 395

1. საჯაროსამართლებრივი შედეგები 395
2. კერძოსამართლებრივი შედეგები 398

2.1. გათიშვა 398
2.2. შეთანხმების ნაწილის გათიშვა 399
2.3. ზიანის ანაზღაურება 400

დასკვნითი თეზისები 403

ბიბლიოგრაფია 423

გადაწყვეტილებათა საძიებელი 428

ევროკომისიის რეკომენდაციები, სახელმძღვანელო დოკუმენტები და ევროპული რეგულაციები 436

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

ქართულენოვანი

ა. კ.	ავტორთა კოლექტივი
ბრძ.	ბრძანება
გ. ბ.	განმარტებითი ბარათი
გვ·	გვერდი
დაკ.	დაკავშირებით
დაწვ.	დაწვრილებით
ვ·	ველი
თ.	თავი
იქვ.	იქვე
იხ.	იხილეთ
მ.	მუხლი
მდგ.	მდგომარეობით
მ. თ.	მიღების თარიღი
მლნ.	მილიონი
რედ.	რედაქტორი
ს. ნ.	სადისერტაციო ნაშრომი
სკსგ.	საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება
სუსგ.	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება
სსსგ.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება
სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსკკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი
სსჟ.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალი
ქვთ.	ქვეთავი
შემდ.	შემდგომი
შპს.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ციტ.	ციტირებულია
წ.	წიგნი

გერმანულენოვანი

Abs.	Absatz
AEUV.	Arbeitsweise der Europäischen Union
AG.	Aktiengesellschaft
Art.	Artikel
AT.	Allgemeiner Teil
Aufl.	Auflage
Bd.	Band
BeckOK.	Beckscher Online Kommentar

Besch.	Beschluss
BkartA.	Bundeskartellamt
BT.	Besonderer Teil
BT-Drs.	Drucksachen des Deutschen Bundestages
BGB.	Bürgerliches Gesetzbuch
BGH.	Bundesgerichtshof
BGHZ.	Die Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Zivilsachen
BVerfGE.	Bundesverfassungsgericht
Einl.	Einleitung
EuR.	Europarecht
EUV.	Vertrag der Europäischen Union
EuZW.	Europäische Zeitschrift für Wirtschaftsrecht
EWG.	Europäische Wirtschaftsgemeinschaft
ff.	Fortfolgende
FraKom.	Frankfurter Kommentar
Grf.	Grundfragen
GrR.	Grundrechte
GmbH.	Gesellschaft mit beschränkter Haftung
GroKo.	Großkommentar
GWB.	Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen
Hb.	Handbuch
IPR.	Internationales Privatrecht
Jahrg.	Jahrgang
JuS.	Juristische Schulung
JZ.	JuristenZeitung
KartR.	Kartellrecht
KG.	Kartellgericht
KölKom.	Kölner Kommentar zum Kartellrecht
Kom.	Kommentar
KZR.	Revisionen, Beschwerden gegen die Nichtzulassung der Revision und Anträge auf Zulassung der Sprungrevision in bürgerlichen Rechtsstreitigkeiten in Kartellsachen
MüKo.	Münchener Kommentar
NJW.	Neue Juristische Wochenschrift
Nr.	Nummer
OGH.	Oberster Gerichtshof
OLG.	Oberlandesgericht
Rn.	Randnummer
Urt.	Urteil
v.	Von
Ver.	Verordnung

VersR.	Versicherungsrecht

ინგლისურენოვანი

A.	An OJ that is an annex to another OJ
ALJ.	Antitrust Law Journal
Art.	Article
CLR.	California Law Review
C.	Decision by the Court of Justice
CC.	Communication from the Commission
CD.	Decision of the European Commission
CLS.	Cornell Law School
CoRe.	European Competition and Regulatory Law Review
CR.	Commission Regulation
EC.	European Community
ECJ.	European Court of Justice
ECLI.	European Case Law Identifier
Ed.	Edition
Edit.	Editor/Editors
EU.	European Union
G.	Guidlines
HLR.	Harvard Law Review
Iss.	Issue
INT'L J.	International Law Journal
J. L&E.	Journal of Law and Economics
LQR.	Law Quarterly Review
L.	Legislation
N.	Number
No.	Notice
OJ.	The Official Journal of the European Union
P.	Page
PP.	Pages
RP.	Research paper
S.	Section
S. Afr. L.J.	South African Law Journal
T.	Decision by the General Court
TTLR.	Texas Tech Law Review
TFEU.	Treaty for the Functioning of the European Union
VLR.	Virginia Law Review
Vol.	Volume

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია და მისი სამართლებრივი შედეგები

ქართული, გერმანული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით

აბსტრაქტი: ევროკავშირთან ასოცირების რეჟიმმა საქართველო ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობის შექმნის ვალდებულებისა და გარკვეულწილად, ქართული კონკურენციის სამართლის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების აუცილებლობის წინაშე დააყენა. სრულფასოვანი დაახლოების პროცესში კი მნიშვნელოვანია ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მოწინავე პრაქტიკისა და იურიდიული მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით კონკურენციის სამართლისთვის აუცილებელი ცნებებისა და კატეგორიების ანალიზი. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმისა თუ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების სახით განხილულია კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი.

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური განვითარება განაპირობებს თვისობრივად განსხვავებული ბაზრების წარმოშობასა და უკვე არსებულის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. ტექნოლოგიური განვითარების პირობებში მატულობს მოთხოვნისა და მიწოდების სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კომერციული ურთიერთობები, რაც ბუნებრივია ზრდის მათ შორის ვერტიკალური ხელშეკრულებების რაოდენობასა და მნიშვნელობას. მსგავს ვერტიკალურ ურთიერთობებში განსაკუთრებული აქტუალობით ხასიათდება ისეთი გარიგებები, რომლებიც მოიცავენ ექსკლუზიურ დათქმებს.

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, სადაც საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებას უმეტესწილად განაპირობებს უცხოური პროდუქტის იმპორტი. უცხოელ მწარმოებელსა და იმპორტიორს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებში ექსკლუზიური დათქმების არსებობა არახალია. შესაბამისად აუცილებელია ამ კუთხით ასევე ისეთი ექსკლუზიური დათქმების იდენტიფიცირება და განსაზღვრა, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე.

მსგავსი დათქმები გვხვდება ასევე ბრენდირებული პროდუქციის შემთხვევაში, სადაც ბრენდის იმიჯისა და რეპუტაციის დაცვა მნიშვნელოვანია მწარმოებლისთვის. სწორედ ეს მიზანი წარმოადგენს ექსკლუზიური დათქმების გათვალისწინების მნიშვნელოვან საფუძველს მსგავს ურთიერთობებში. წარმოდგენილი თემის ერთ-ერთ მიზანსა და კვლევის ობიექტს წარმოადგენს ერთი მხრივ მწარმოებლის დასახელებულ ინტერესებსა და მეორე მხივ კონკურენციის დაცვის ინტერესს შორის ოქროს შუალედის პოვნა, რაც

მნიშვნელოვან სამეცნიერო ღირებულებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენს წარმოდგენილ თემას.

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის უმთავრესი თავისებურება ვლინდება იმ ფაქტში, რომ კონკრეტული ბაზრის სპეციფიკისა და სხვადასხვა ეკონომიკური მოცემულობის პირობებში მას, ერთი მხრივ, შესაძლოა ჰქონდეს კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი, ხოლო, მეორე მხრივ კი პირიქით - იგი შესაძლოა მოგვევლინოს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის ხარისხის ზრდის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად. შესაბამისად, ვერტიკალური ექსკლუზიური დათქმის ეფექტების ზუსტი შეფასება წარმოადგენს მისი კონკურენციის კანონმდებლობასთან თავსებადობის განსაზღვრის უმთავრეს წინაპირობას. წარმოდგენილი თემა კი სწორედ აღნიშნული ეფექტების სხვადასხვა სახეებისა და მათი ანალიზისთვის აუცილებელი კრიტერიუმების, მეთოდებისა და საშუალებების იდენტიფიცრებაზეა ფოკუსირებული. აღნიშნული საკითხების დეტალური ანალიზი ეკონომიკური აგენტებისთვის უფრო განჭვრეტადს გახდის მათ მიერ დასადები/დადებული ვერტიკალური ექსკლუზიური დათქმების შემცველი გარიგებების სამართლებრივ შედეგებს და შეამცირებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციებისა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრების რისკებს.

შესაბამისად, იმისათვის რომ ჩამოყალიბდეს აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩოს ოპტიმალური მოდელი, რომელიც შეძლებს უპასუხოს თანამედროვე ეკონომიკის პირობებში არსებულ გამოწვევებს აუცილებელია. კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობას თუ მის პრაქტიკულ იმპლემენტაციას, არამედ საერთაშორისო პრაქტიკასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ ამ სფეროში გადადგმულ ნაბიჯებს. შესაბამისად, წარმოდგენილ კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შედარებით-სამართლებრივ ასპექტებს, რომელიც ძირითადად ფოკუსირებულია ევროკავშირისა და გერმანული კონკურენციის სამართალზე.

დისერტაციის ფარგლებში გაანალიზებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ზოგადი სისტემა, ეკონომიკური აგენტის ცნება, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ფორმები, კონკურენციის შეზღუდვის ელემენტი, კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა საბაზრო განზომილებები, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისები, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების სახეები და მათ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის წინაპირობები, ელემენტები, სამართლებრივი შედეგები და შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *კონკურენცია; კონკურენციის სამართალი; კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება; ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა; კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები.*

Abstract: The association regime with the EU has placed Georgia under an obligation to create comprehensive competition law and, to some extent, to harmonize Georgian competition law with the EU law. In the process of complete approximation, it is essential to analyze the concepts and terms of competition law based on the best practices of the EU and its member states and the achievements of legal doctrine as it covers one of the significant concepts of competition law, the present dissertation serves to achieve this goal.

Technological development in the modern world leads to the emergence of different markets and a significant transformation of the existing ones. Furthermore, it increases the diverse commercial relations between undertakings operating at different demand and supply chain levels. It naturally raises the number and importance of vertical contracts between them. Transactions involving exclusive vertical clauses are of great significance in such vertical relationships.

Exclusive vertical clauses play an essential role in developing economic systems, where imports of foreign products primarily drive the diversity of goods and services. Moreover, the existence of exclusive vertical clauses in the legal relationship between a foreign manufacturer and an importer is not new. Therefore, it is necessary to identify and define exclusive vertical clauses that threaten an undistorted competitive environment in the country's commodity and service markets.

Similar clauses are essential for the manufacturer to protect their brand image and reputation. This is the basis for considering exclusive clauses in commercial relations with such manufacturers. One of the objectives of the presented dissertation is to find a golden middle ground between the producer's interests on the one hand and the interest of protection of fierce competition on the other, which adds significant scientific value and practical importance to the presented research.

The main feature of the exclusive vertical clause is that, under the specifics of a particular market and economic conditions, it may, on the one hand, have a restrictive effect on competition. But, on the other hand, it may become one of the determining factors for the growth of the level of competition in the relevant market. Therefore, an accurate assessment of the effects of an exclusive vertical clause is the main prerequisite for determining its compatibility with competition law requirements. Thus, the dissertation focuses on identifying different types of the mentioned effects and the criteria, methods and means necessary for their analysis. A detailed analysis of the mentioned issues will make the legal consequences of transactions involving exclusive vertical clauses more predictable for undertakings and reduce the risks of imposing sanctions and other types of liability for violation of competition law.

Therefore, it is necessary to form the optimal model of the legal framework, which will be able to respond to the challenges of the modern economy. In the research process, it is essential to pay attention not only to national legislation and its practical implementation but also to international practice and the steps taken by different countries in this field. Accordingly, in the

presented research, an important place is given to comparative legal studies, which mainly focus on EU and German competition law.

The dissertation analyzes such issues as the general system of anticompetitive agreements, the concept of the undertaking, forms of coordination of undertakings, the element of restriction of competition, market dimensions of anticompetitive agreements, exemptions from the prohibition of anticompetitive agreements, types of exclusive vertical clauses and the prerequisites for qualifying them as anticompetitive agreements, its elements, legal outcomes and relevant practical and theoretical issues.

Keywords: *Competition; Competition Law; Anticompetitive Agreement; Exclusive Vertical Clause; Exemptions from the Prohibition of Anticompetitive Agreements.*

შესავალი

1. თემის აქტუალობა და კვლევის მიზნები

1.1. ფართო კონტექსტი

თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა საზოგადოების მრავალმხრივი კეთილდღეობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორია. იგი წარმოადგენს ეკონომიკური პროგრესის უმთავრეს ქვაკუთხედს, რომელმაც, დროთა განმავლობაში, სოციალურ-პოლიტიკურ განზომილებაშიც მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა.[1] კონკურენციის კანონმდებლობა კი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საფუძვლად არსებული კონკურენციის პროცესის დაცვის ძირითად სახელმწიფო მექანიზმებს აყალიბებს.

კონკურენციის სამართალი შესაძლოა განიმარტოს სამართლის იმ ნორმების ერთობლიობად, რომელთა მიზანია კონკურენციის შემზღუდველ ქმედებათა პრევენციის გზით ქვეყნის შესაბამის ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა. ის წარმოადგენს სახელმწიფოს ხელში არსებულ იარაღს - ჩაერიოს საბაზრო პროცესებში მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება ჯანსაღ კონკურენტულ გარემოსა და კონკურენციის ბუნებრივი განვითარების პროცესს. თანამედროვე ეკონომიკურ რეალობაში კონკურენციის სამართლის აღნიშნული როლის, მნიშვნელობისა და ფუნქციის გათვალისწინებით, მას ზოგჯერ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კონსტიტუციის (*"Grundgesetz der Marktwirtschaft"/ "economic constitution"*) სახელითაც კი მოიხსენიებენ.[2]

საქართველოს საბჭოთა წარსულის გათვალისწინებით, მოულოდნელი არ არის ის ფაქტი, რომ ქართული კონკურენციის სამართალი მდიდარი ტრადიციებითა თუ ხანგრძლივი ისტორიით ნაკლებად გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, არსებობის მცირე პერიოდის განმავლობაში, მაინც არის შესაძლებელი ქართული კონკურენციის სამართლის განვითარების რამდენიმე ეტაპის გამოყოფა. ამ კუთხით ერთ-ერთი მნიშნელოვანი თარიღია 2014 წლის 21 მარტი, როდესაც ქართულმა კონკურენციის

---

[1] *Verouden V.,* Vertical Agreements and Article 81(1) EC: The Evolving Role of Economic Analysis, Antitrust Law Journal, Vol. 71, Iss. 2 (2003), pp. 525-576, 535.

[2] *Bunte H. J.,* in Langen/Bunte KartR. Kom., 12. Aufl. 2014, Einl. GWB, Rn. 55; *Verouden V.,* Vertical Agreements and Article 81(1) EC: The Evolving Role of Economic Analysis, Antitrust Law Journal, Vol. 71, Iss. 2 (2003), pp. 525-576, 535.

კანონმდებლობამ ძირეული რეფორმა განიცადა. აღნიშნული რეფორმის შედეგად ქართული კონკურენციის სამართალი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპულ კონკურენციის კანონმდებლობას და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს სახით შეიქმნა კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო.

შესაბამისი კანონმდებლობისა თუ დამოუკიდებელი აღმასრულებელი უწყების არსებობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული კონკურენციის სამართალი, როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით, ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაზე იმყოფება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი ეტაპობრივი სრულყოფა და განვითარება.

ქართულ კონკურენციის სამართალში არც საკმარისი თეორიული საფუძველია შექმნილი და არც შესაბამისი გამოცდილებაა დაგროვილი იმისათვის, რომ ზუსტად დადგინდეს და განისაზღვროს კონკურენციის სამართლის უმთავრესი ცნებები, მათი მნიშვნელობა, ეკონომიკურ აგენტთა სხვადასხვა სახის ქმედებების კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები, მახასიათებლები და ა. შ. გარდა ამისა, ნორმათა ბუნდოვანი ფორმულირება, თავის მხრივ, ართულებს მათი ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამ პროცესში მნიშნელოვანია შესაბამისი სამეცნიერო და თეორიული საფუძვლის შექმნა, რათა სამართლის აღნიშნული სფერო გახდეს მუდმივი განხილვის საგანი ქვეყნის სამეცნიერო წრეებისა თუ პრაქტიკოსი იურისტებისათვის. სწორედ ამ ფაქტში შეიძლება იქნეს დანახული წარმოდგენილი თემის აქტუალობა, რადგან ნაშრომი მიზნად სწორედ კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ინსტიტუტის კვლევასა და ამ გზით ქართული კონკურენციის სამართლის შემდგომი განვითარების ხელშეწყობას ისახავს.

კონკურენციის სამართალში კვლევების განხორციელება, სამეცნიერო ნაშრომების შექმნა და ამ დარგის განვითარება წარმოადგენს გლობალური მნიშვნელობის მოვლენას ჯანსაღი ბიზნესგარემოს შექმნისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. სწორედ კონკურენციის სამართალი და მისი ეფექტიანი აღსრულება არის ის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შესაბამის ბაზრებზე ჯანსაღი

კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. დასავლური განვითარებული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება ცხადყოფს, რომ სწორედ სამართლის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს სრულყოფასა და განვითარებაზეა დამოკიდებული ქვეყანაში სამართლიანი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება, რომელიც თანაბრად გაითვალისწინებს მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და მომხმარებელთა კეთილდღეობის მიმართ არსებულ ინტერესებს.

მსგავსი კვლევის განხორციელებას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ საქართველო უკვე წარმოადგენს ევროასოცირებულ სახელმწიფოს და ესწრაფვის შიდა კანონმდებლობის ევროპული კავშირის სამართალთან დაახლოებას. ამ პროცესის ერთ-ერთ ქვაკუთხედს სწორედ კონკურენციის სამართალი და ამ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა წარმოადგენს. ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარეობს საქართველოს ვალდებულება შექმნას კონკურენციის ყოვლისმომცველი კანონმდებლობა. ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალთან სრულყოფილი დაახლოებისთვის კი გადამწყვეტია როგორც წევრი სახელმწიფოების, ისე, ზოგადად, ევროპული იურიდიული მეცნიერებისა თუ სასამართლო პრაქტიკის მიღწევების სიღრმისეული კვლევა და მისი გეგმაზომიერი გათვალისწინება.

1.2. ვიწრო კონტექსტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს კონკურენციის პროცესისთვის საფრთხის შემქმნელი თითოეული ქმედებისა თუ გარემოების იდენტიფიცირება და შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების ანალიზი. შეიძლება ისიც ითქვას, რომ კონკურენციის სამართლის სფეროში მსგავს მასშტაბურ სრულფასოვან კვლევას ალბათ ვერცერთი სამეცნიერო ნაშრომის ფორმატი ვერ დაიტევს.

იურიდიულ ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში განვითარებული მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების ფონზე, ასევე რთულია კონკურენციის სამართლის სულისკვეთებისა თუ მისი კონკრეტული მიზნების სრულყოფილად განსაზღვრა. კონკურენციის სამართლის ფუნქციებზე საუბარი შესაძლოა დაიწყოს მომხმარებელთა კეთილდღეობით და უსასრულოდ გაგრძელდეს ეკონომიკურ თავისუფლებაზე, მცირე მეწარმეთა ინტერესების დაცვასა თუ სამუშაო

ადგილების ზრდაზე საუბრითა თუ სხვა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური განზომილებების უკიდეგანო მასშტაბების ანალიზით.

მიუხედავად ამისა, კონკურენციის სამართლის კლასიკური და უნივერსალური ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც თითქმის ყველა მართლწესრიგში მეტნაკლები ერთგვაროვნებით გამოირჩევა, მაინც არის შესაძლებელი იმ ძირითადი მექანიზმების იდენტიფიცირება, რომელთა უმთავრეს მიზანსაც კონკურენციის ჯანსაღი პროცესის დაცვა წარმოადგენს. ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, თავის მხრივ, დაკავშირებულია ისეთ სიკეთეებთან, როგორიცაა მომსახურებასა თუ საქონელზე დაწესებული დაბალი ფასები, პროდუქტის მაღალი ხარისხი, მომხმარებლებისთვის ფართო არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ინოვაციის ზრდა და ა.შ.

ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დაცვის მიზნით კონკურენციის სამართალი გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოებსა და, მეორე მხრივ, ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც კონკურენციის სამართლის უშუალო ადრესატებს წარმოადგენენ. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კონკურენციის ბუნებრივ პროცესს შესაძლოა საფრთხე შეუქმნან როგორც სახელმწიფო ორგანოებმა, ისე საკუთრივ ეკონომიკურმა აგენტებმა.

ეკონომიკური აგენტების მხრიდან მომდინარე ამ საფრთხის პრევენციის ერთ-ერთ მექანიზმს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვა წარმოადგენს. აღნიშნულის შესაბამისად, კონკურენციის სამართალი დაუშვებლად მიიჩნევს როგორც ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედ თუ პოტენციურ კონკურენტ, ასევე მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი შეთანხმების მიღწევას, რომლის მიზანი ან შედეგი კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვაა.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან შემადგენლობას ქმნის ექსკლუზიური ვერტიკალური შეთანხმების სახელით ცნობილი კოორდინაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი. როგორც ქართული, ისე ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის ფარგლებში

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პრობლემა იურიდიულ წრეებში დიდი ინტერესის საგანია.

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, სადაც საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებას უმეტესწილად უცხოური პროდუქტის იმპორტი განაპირობებს. უცხოელ მწარმოებელსა და იმპორტიორს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებში ექსკლუზიური დათქმების არსებობა არახალია. მსგავსი დათქმები ასევე გვხვდება ბრენდირებული პროდუქციის შემთხვევაში, სადაც ბრენდის იმიჯისა და რეპუტაციის დაცვა მნიშვნელოვანია მწარმოებლისთვის. აღნიშნული მიზნის მიღწევას მწარმოებლები ხშირ შემთხვევაში სწორედ ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებზე დაფუძნებული კომერციული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით ესწრაფვიან. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი ექსკლუზიური დათქმების იდენტიფიცირება და განსაზღვრა, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე.

ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური განვითარება განაპირობებს თვისობრივად განსხვავებული ბაზრების წარმოშობასა და უკვე არსებულის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. ტექნოლოგიური განვითარების პირობებში მატულობს მოთხოვნისა და მიწოდების სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კომერციული ურთიერთობები, რაც ზრდის მათ შორის ვერტიკალური ურთიერთობების რაოდენობასა და მნიშვნელობას. მსგავს ვერტიკალურ ურთიერთობებში განსაკუთრებული აქტუალობით ხასიათდება ისეთი გარიგებები, რომლებიც მოიცავს ექსკლუზიურ დათქმებს. აღნიშნული ფაქტი მეტად მნიშვნელოვან სამეცნიერო ღირებულებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენს წარმოდგენილ თემას.

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის უმთავრესი თავისებურება ვლინდება იმ ფაქტში, რომ კონკრეტული ბაზრის სპეციფიკისა და სხვადასხვა ეკონომიკური მოცემულობის პირობებში, მას, ერთი მხრივ, შესაძლოა ჰქონდეს კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი, ხოლო, მეორე მხრივ, პირიქით - იგი შესაძლოა მოგვევლინოს

შესაბამის ბაზარზე კონკურენციის ხარისხის ზრდის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად. შესაბამისად, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ეფექტების ზუსტი შეფასება წარმოადგენს მისი კონკურენციის კანონმდებლობასთან თავსებადობის განსაზღვრის უმთავრეს წინაპირობას. წარმოდგენილი თემა კი სწორედ აღნიშნული ეფექტების სხვადასხვა სახეებისა და მათი ანალიზისთვის აუცილებელი კრიტერიუმების, მეთოდებისა და საშუალებების იდენტიფიცირებაზე არის ფოკუსირებული. გარდა ამისა, წარმოდგენილ ნაშრომში ასევე განხილულია ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ელემენტები, ცნებები და თეორიები. აღნიშნული საკითხების დეტალური ანალიზი ეკონომიკური აგენტებისთვის უფრო განჭვრეტადს გახდის მათ მიერ დასადები/დადებული ვერტიკალური ექსკლუზიური დათქმების შემცველი გარიგებების სამართლებრივ შედეგებს და შეამცირებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციებისა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრების რისკებს.

2. კვლევის მეთოდები

წარმოდგენილი კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებთან მიმართებით ქართული კონკურენციის სამართლის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაზე. ამისათვის შედარებითსამართლებრივ ჭრილში გაანალიზებული და გაზიარებულია უმთავრესად გერმანული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში ჩამოყალიბებული საუკეთესო მიდგომები. აღნიშნულთან ერთად, წინამდებარე ნაშრომი გვერდს ვერ აუვლის აშშ-ში, როგორც თანამედროვე კონკურენციის სამართლის სამშობლოში, დაგროვილ მდიდარ და მრავალფეროვან გამოცდილებას.

ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალზე საუბრისას ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ შესაბამისი ნორმები 1958 წლის ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნა გერმანული დელეგაციის

ძალისხმევით.[3] აღნიშნულის გათვალისწინებით, მოულოდნელობას არ უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ ევროპული კონკურენციის სამართლის ნორმები თავიდანვე გერმანული კონკურენციის კანონებითა თუ ამ კუთხით დაგროვილი გამოცდილებით იყო შთაგონებული. კონკურენციის სამართლის მიმართ არსებული გერმანული მიდგომები კი, თავის მხრივ, „ფრაიბურგის სკოლის“ ორდოლიბერალური ეკონომიკური ფილოსოფიის პირმშოა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.[4] აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალთან ერთად, შედარებითსამართლებრივ კონტექსტში საჭიროებისამებრ ასევე გაანალიზებულია სამართლის ამ სფეროში დაგროვილი გერმანული გამოცდილება და პრაქტიკული თუ თეორიული მიდგომები. თუმცა ქართულ კონკურენციის სამართალზე ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის გავლენის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ნაშრომი ხშირ შემთხვევაში უფრო მეტად ევროკომისიისა და ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაზე არის ორიენტირებული.

3. ნაშრომის სტრუქტურა

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის, როგორც კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ყველაზე რთული იურიდიული კონსტრუქციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია მრავალმხრივ და სიღრმისეულ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ კვლევას საჭიროებს. კვალიფიკაციის აღნიშნული პროცესის აქტუალური ასპექტებისა თუ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია, როგორც მთლიანად კონკურენციის სამართალში არსებული, ასევე უშუალოდ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებთან დაკავშირებული არაერთი ცნებისა თუ პრინციპის ანალიზი. სწორედ აღნიშნულ მიდგომებზე არის აგებული წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა, სადაც ეტაპობრივად და ინდივიდუალურად არის განხილული

[3] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.161.

[4] *Verouden V.,* Vertical Agreements and Article 81(1) EC: The Evolving Role of Economic Analysis, Antitrust Law Journal, Vol. 71, Iss. 2 (2003), pp. 525-576, 535; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.161.

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესის თითოეული მნიშვნელოვანი ეტაპი თუ ელემენტი.

წინამდებარე ნაშრომის პირველი თავი წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ზოგად სისტემურ ანალიზს, რომლის ფარგლებშიც განხილულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ადგილი კონკურენციის სამართლის სისტემაში და ამ ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეები. ამასთან, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან კატეგორიებს, როგორიცაა კარტელი და მონოპოლიური კონკურენცია. ნაშრომის აღნიშნული ნაწილის ძირითად ბირთვს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ცნების უნივერსალური ელემენტებისა თუ წინაპირობებისა და კონკურენციის სამართალში დამკვიდებული ნორმის განმარტების მეთოდების ანალიზი ქმნის.

პირველ თავში იდენტიფიცირებული და განსაზღვრული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ცნების ელემენტები და წინაპირობები, თავის მხრივ, განსაზღვრავს ნაშრომის შემდგომ სტრუქტურას. აღნიშნულის შესაბამისად, ნაშრომის მომდევნო თავი ეთმობა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ისეთ აუცილებელ და მნიშვნელოვან ელემენტს, როგორიცაა ქმედების სუბიექტი. ამ ელემენტის ანალიზის ფარგლებში განხილულია ეკონომიკური აგენტისა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის, როგორც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით გათვალისწინებულ ქმედებათა განმახორციელებელი სუბიექტების მახასიათებლები და შესაბამის ცნებათა ელემენტები.

მესამე თავი ეთმობა ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის იმ ფორმების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რომელთა საშუალებითაც ბაზრის მონაწილეებს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მიღწევა არის შესაძლებელი. ნაშრომის აღნიშნული ნაწილი იწყება მცირე ტერმინოლოგიური ანალიზით და შემდეგ ინდივიდუალურად არის გაანალიზებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ისეთი სპეციალური სახეები, როგორიცაა: ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება. მესამე თავის ბოლო ქვეთავში კი

განხილულია ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში.

მეოთხე თავში განხილულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი - კონკურენციის შეზღუდვა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაანალიზებულია კონკურენციის შეზღუდვის ფორმები, სახეები და ძირითადი წინაპირობები. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, იმ პარამეტრებისა თუ ინდიკატორების ანალიზს, რომელთა საფუძველზეც ცალკეულ შემთხვევაში კონკურენციის შეზღუდვის ფაქტის დადგენა ხდება. წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში ერთმანეთისაგან ასევე გამიჯნულია ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი კატეგორიები, როგორიცაა კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა და შედეგის მქონე შეთანხმებები.

მეხუთე თავში, ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებების სახით, ერთმანეთისაგან გამიჯნულია კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა საბაზრო განზომილებები. ასევე გაანალიზებულია შესაბამისი ბაზრის ზოგადი შინაარსი და აღწერილია მისი გამიჯვნის ფუნქცია, რომელიც კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა საბაზრო განზომილებების იდენტიფიცირების ძირითად ქვაკუთხედს აყალიბებს.

დასახელებული საკითხების ანალიზისა და შესაბამისი მსჯელობის შესაბამისად, ნაშრომის მეექვსე თავი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა სისტემაში ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ადგილის განსაზღვრაზე არის ფოკუსირებული. ამ მიზნით იდენტიფიცირებულია ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ფორმალური და შინაარსობრივი ასპექტები და იგი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ზემოთ აღნიშნულ თითოეულ ელემენტთან მიმართებაში არის განხილული.

მეშვიდე თავში გაანალიზებულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისები და შესაბამისი საგამონაკლისო სისტემის აუცილებელი ელემენტები. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე კი წარმოჩენილია სხვადასხვა საგამონაკლისო სქემის ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებზე გავრცელების

თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობა და განხილულია ამისათვის აუცილებელი ზოგადი წინაპირობები.

მერვე თავი ეთმობა ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელ და ფუნდამენტურ თეორიას, რომელიც ევროპულ იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში კუმულატიური ეფექტის დოქტრინის სახელით არის ცნობილი. ნაშრომის ამ ნაწილში იდენტიფიცირებულია კუმულატიური ეფექტის დოქტრინის გამოყენების წინაპირობები და მისი პრაქტიკული გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები.

მეცხრე თავში იდენტიფიცირებულია ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების ცალკეული სახეები და სხვადასხვა ფორმები. თითოეულ ფორმასთან მიმართებით განხილულია კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების ანალიზის მეთოდები და საშუალებები.

ნაშრომის მეათე თავი სრულად არის ფოკუსირებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების სამართლებრივ შედეგებზე. ამ კუთხით ერთმანეთისაგან გამიჯნულია საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი შედეგები და თითოეულ კატეგორიასთან მიმართებით განხილულია სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი თეზისების სახით წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები და მიგნებები.

I. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ზოგადი სისტემური ანალიზი

1. მცირე ისტორიული ექსკურსი

თანამედროვე კონკურენციის სამართალი მე-19 საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებული ამერიკული ანტიტრასტული სამართლისგან იღებს სათავეს.[5] ამ პერიოდში აშშ-ში არსებობდა ტრასტის (*"Trusts"*) სახელით ცნობილი არაერთი დიდი კონცერნის ტიპის გაერთიანება, რომელიც მომხმარებლების საზიანოდ იყენებდა

[5] *Volmar M., Kranz J.,* Einführung ins KartR., JuS 2018, 14.

მონოპოლიურ მდგომარეობაზე დაფუძნებულ მომეტებულ საბაზრო ძალაუფლებას. მსგავსი პრაქტიკის აღსაკვეთად 1890 წელს მიღებულ იქნა ე. წ. „შერმანის აქტი," რომელიც გარკვეული წინაპირობების არსებობისას ეკონომიკური აგენტების ისეთ საბაზრო ქმედებებს კრძალავდა, რომლებიც კონკურენციის შემზღუდველ ხასიათს ატარებდა.

ევროპული კავშირის დონეზე კონკურენციის სამართლის ჩამოყალიბების საწყის წერტილად მიჩნეულია 1958 წელი, როდესაც ძალაში შევიდა ევროპული ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ რომის ხელშეკრულება (*Treaty establishing the European Economic Community - EEC*).[6] ამ ხელშეკრულების 85-ე და 86-ე მუხლების სახით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმები ევროპული გაერთიანების მასშტაბით ამოქმედდა. აღნიშნული ნორმების ანალოგიური მუხლები ევროპული კავშირის თანამედროვე კანონმდებლობაში გათვალისწინებულია ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე (კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვა) და 102-ე (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა) მუხლებით, რომლებიც ევროპული კავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ქვაკუთხედს ქმნის და TFEU 119-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩადებული ღია ეკონომიკისა და თავისუფალი კონკურენციის დაცვას უზრუნველყოფს.

გერმანულ რეალობაში თანამედროვე მოდელის კონკურენციის სამართლის ისტორია 1958 წელს კონკურენციის შეზღუდვების საწინააღმდეგო კანონის მიღებით *(Gesetz gegen Wettbewerbsbeschränkungen - GWB*) იწყება. GWB-ს დღეს მოქმედ რედაქციაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ ნორმას წარმოადგენს პირველი პარაგრაფი. შეიძლება ითქვას, რომ GWB არის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მოკავშირეების მიერ შემუშავებული დეკარტელიზაციის პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მე-20 საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დასრულდა. ამის შემდეგ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1952 წელს შემუშავდა გერმანიაში დღეს მოქმედი GWB, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიღებულ იქნა 1958 წელს.

[6] *Immenga U., Mestmäcker E. J.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1., 6. Aufl., 2019, Einl. Rn. 17.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშემწყობი კანონმდებლობა გერმანულ რეალობაში უფრო ადრეული პერიოდიდან იწყება. კონკურენციის სამართლის გერმანულ ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს XIX საუკუნის დასაწყისში განხორციელებული შტაინ-ჰარდენბერგის სახელით ცნობილი რეფორმა (*"Stein-Hardenbergschen Reformen"*),[7] რომელიც პრუსიული საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური ცხოვრების მრავალ მიმართულებებს მოიცავდა. ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის სექტორში აღნიშნული რეფორმა მიზნად ისახავდა გილდიებისა და მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლის გზით თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობას.[8] გერმანული კონკურენციის სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ასევე შეასრულა 1923 წელს კარტელებთან დაკავშირებით მიღებულმა დადგენილებამ.[9]

გერმანული და ევროპული კავშირისაგან განსხვავებით, ქართული კონკურენციის სამართალი შედარებით უფრო გვიან ჩამოყალიბდა, რაც ცალკეული პოლიტიკური თუ ისტორიული კონტექსტებით იყო განპირობებული. ქართული კონკურენციის სამართალი სათავეს იღებს მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ცენტრალიზებული ეკონომიკური მოწყობის მოდელიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო.

ერთ-ერთი პირველი სამართლებრივი აქტი, რომელიც ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის დაცვასა და განვითარებას ემსახურებოდა, იყო 1992 წელს მიღებული სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ." ამ აქტის აღსრულებაზე უფლებამოსილ ორგანოდ კი განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო.[10]

ქართული კონკურენციის სამართლის განვითარების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტს ასევე წარმოადგენს 1996 წელს მიღებული „მონოპოლიური

---

[7] აღნიშნული დასახელება უკავშირდება რეფორმების ავტორებისა და ცნობილი პრუსიელი სახელმწიფო მოღვაწეების, - კარლ ფრაიჰერ ფონ შტაინისა და კარლ აუგუსტ ფონ ჰარდენბერგის სახელებს.

[8] *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 1, Rn. 1.

[9] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 806; *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 2, Rn. 2.

[10] *ფეტელავა ს.,* კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, 2007, 100.

საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს წარმოადგენდა ანტიმონოპოლიური სამსახურის სახით კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი დამოუკიდებელი უწყების ჩამოყალიბება. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონი გაუქმდა, 2005 წელს, როდესაც მიღებულ იქნა ახალი კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ.“

ქართულ რეალობაში კონკურენციის სამართლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება 2012 წელს და ამ კანონში 2020 წელს განხორციელებული ცვლილებები. აღნიშნულის შედეგად, საქართველოში დღეს მოქმედი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში - კანონი) მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს, როგორც მატერიალურ ნორმათა შინაარსის, ასევე კანონდარღვევის სანქცირებისა და მისი აღსრულების კუთხით.

ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დაცვისა და განვითარებისათვის კანონით გათვალისწინებულ მექანიზმებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც კრძალავს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს. აღნიშნული მუხლი ფაქტობრივად იდენტურ შინაარსს ატარებს, რასაც TFEU 101-ე და GWB-ის პირველი მუხლები.

2. კონკურენციის კანონმდებლობით დაცული სამართლებრივი სიკეთეები

კონკურენციის სამართლის მიზანი კონკურენციის ჯანსაღი და ბუნებრივი პროცესის, ანუ ხელოვნური შეზღუდვებისაგან თავისუფალი კონკურენციისა (*“unverfälschter Wettbewerb”*) და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფაში მდგომარეობს.[11] აქედან გამომდინარე, კონკურენციის კანონმდებლობით დაცული ძირითადი და უპირველესი სამართლებრივი სიკეთეა საკუთრივ კონკურენცია, როგორც დინამიური პროცესი.[12]

---

[11] *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 198; *Volmar M., Kranz J.,* Einführung ins KartR., JuS 2018, 14; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 3; *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 1, Rn. 1, § 3, Rn. 1.

[12] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 992; *ადამია გ.* ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, იხ. სსჟ. 2020, 2, 93 და შემდგ.

ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დაცვისა და განვითარების აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ იგი ეფექტიანი და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა თუ განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს. თავისუფალი კონკურენციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად სამართლებრივ ჩარჩოებს კი კონკურენციის სამართალი აყალიბებს.

ეფექტიანი კონკურენციის პირდაპირ შედეგსა თუ მის პრაქტიკულ გამოხატულებას კონკურენციის შემზღუდველი ქმედებებისაგან მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა წარმოადგენს.[13] TFEU 101-ე მუხლით დადგენილი აკრძალვებიდან დაშვებული გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო მითითებებში ხაზგასმულია, რომ TFEU 101-ე მუხლი ბაზარზე იცავს კონკურენციას, როგორც მომხმარებლების კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და ბაზარზე არსებული რესურსების ეფექტიანი გადანაწილების ძირითად მექანიზმს.[14] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის ძირითადი მიზანია კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების მომხმარებლების კეთილდღეობაზე იმ ნეგატიური ზეგავლენის პრევენცია, რომელსაც ეკონომიკური აგენტების კონკურენციის შემზღუდავი თანაქმედება იწვევს.[15]

თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს კონკურენციის სამართალი მოწოდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა ცალკეული ინდივიდის კეთილდღეობა დაიცვას. აღნიშნულზე მეტყველებს, მაგალითად, კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით დადგენილი გამონაკლისები. კერძოდ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტთა ისეთი კოორდინაცია, რომელიც ატარებს კონკურენციის შემზღუდველ ხასიათს შესაძლოა გარკვეული წინაპირობების არსებობისას მაინც იქნეს დასაშვებად მიჩნეული. ასეთ დროს კი შესაძლებელია ცალკეული ინდივიდის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა არ იქნეს

[13] *Volmar M., Kranz J.,* Einführung ins KartR., JuS 2018, 14.

[14] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 13.

[15] ECLI:EU:T:2006:151, *"Österreichische Postsparkasse AG,"* Joined cases T-213/01 and T-214/01, 07.06.2006, § 115; ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01 27.09.2006, § 118.

გათვალისწინებული იმ საფუძვლით, რომ მას უპირისპირდება უფრო დიდი და მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთე. სწორედ ამიტომ განმარტავს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მართლმსაჯულების სასამართლო, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვისა და კონკურენციის სამართლის სხვა მექანიზმების პირდაპირ და უშუალო მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ცალკეული ინდივიდებისა თუ საბოლოო მომხმარებლების დაცვა, არამედ ბაზრის ეფექტიანი სტრუქტურის შენარჩუნება და თავისუფალი კონკურენციის პროცესის უზრუნველყოფა.[16] თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, მაინც შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის სამართლის არაპირდაპირ მიზანს ასევე წარმოადგენს მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, ხოლო დაცულ სამართლებრივ სიკეთეს - მომხმარებელთა კეთილდღეობა,[17] ვინაიდან თავისუფალი კონკურენციის დაცვა გრძელვადიან პერსპექტივაში სწორედ მომხმარებელთა მატერიალურ მდგომარეობაზე ჰ პოვებს ასახვას.

კონკურენციის სამართალს მომხმარებლების ინტერესების მსგავსი კავშირი და მიმართება გააჩნია მეწარმე სუბიექტთა ინტერესებთანაც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული მეწარმეობის თავისუფლების ერთ-ერთ ასპექტს ჯანსაღ კონკურენტულ გარემოში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა წარმოადგენს და იგი კონსტიტუციის მე-6 მუხლთან ერთობლიობაში თითოეულ მეწარმე სუბიექტს აძლევს უფლებას საკუთარი საქმიანობა თავისუფალი კონკურენციის პირობებში განახორციელოს. შესაბამისად, ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი კონკურენციის დაცვა, ავტომატურად გულისხმობს მეწარმე სუბიექტთა მართლზომიერი ინტერესების დაცვასაც.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის სამართლის მიზნებსა და სამართლის ამ დარგით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებზე საუბრისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ინსტიტუციონალური და ინდივიდუალური განზომილებები. ინსტიტუციონალურ განზომილებაში კონკურენციის სამართალი იცავს თავისუფალ კონკურენციას, როგორც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ

[16] ECLI:EU:C:2009:610, *"GlaxoSmithKline Services,"* Case In Joined Cases C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P and C-519/06 P, 06.10.2009, § 63.

[17] *Volmar M., Kranz J.,* Einführung ins KartR., JuS 2018, 14.

მნიშვნელოვან ინსტიტუტსა და პროცესს (*"Institutionenschutz"*).[18] აღნიშნულისაგან განსხვავებით, ინდივიდუალურ განზომილებაში კონკურენციის სამართალი იცავს, ერთი მხრივ, მეწარმე სუბიექტებისა და, მეორე მხრივ, მომხმარებლების, ანუ ცალკეული ინდივიდების ინტერესებს (*"Individualschutz"*).[19] შესაბამისად, ამ შემთხვევაში საქმე ეხება ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კონკურენციის სამართალში ინდივიდუალურ ინტერესებს სუბსიდიარული ხასიათი გააჩნია და ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა გარკვეული ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფების ინტერესებზე მაღლა სწორედ კონკურენციის ჯანსაღი და ბუნებრივი პროცესის, როგორც ინსტიტუციის დაცვა დადგეს.[20]

კონკურენციის სამართლით დაწესებული სპეციალური აკრძალვებიც, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მთლიანად კონკურენციის სამართლით მოცული ამ სამართლებრივი სიკეთეების დაცვასა და ამ გზით სამართლის ამ დარგის მიზნების მიღწევას ემსახურებიან. აღნიშნული გადმოსახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვისა და შესაბამის ნორმათა მიზანიც, ერთი მხრივ, ეკონომიკური აგენტების მხრიდან ხელოვნური ჩარევებისა თუ შეზღუდვებისაგან თავისუფალი კონკურენციის ბუნებრივი პროცესის, ხოლო, მეორე მხრივ, მეწარმე სუბიექტებისა და საბოლოო მომხმარებლების ინტერესების დაცვაში მდგომარეობს.

3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ადგილი კონკურენციის სამართლის სისტემაში

ქართული კონკურენციის პოლიტიკისთვის უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ საფუძველს კონსტიტუციის მე-6 მუხლი აყალიბებს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას იზრუნოს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე. კონსტიტუციის აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, ეკონომიკურ განზომილებაში

[18] *Wohlmann H., Schedl M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 4; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 4.

[19] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 4.

[20] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 107;

სახელმწიფოს ერთ-ერთი კონსტიტუციური მიზანი ქვეყანაში ეფექტიანი კონკურენციის დინამიკური პროცესის შენარჩუნებაში მდგომარეობს.[21] ამ მისიის ჯეროვანი შესრულების მიზნით სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც კონკურენციის ბუნებრივი პროცესის ხელოვნური შეზღუდვებისაგან პრევენციას უზრუნველყოფს. აღნიშნულის შესაბამისად, კანონი ქმნის იმ ნორმატიული ბაზის უმთავრეს სამართლებრივ ფუნდამენტსა თუ მექანიზმს, რომელშიც სახელმწიფოს კონკურენციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საკანონმდებლო დონეზე არის განსხეულებული.

კანონი ძირითადად ამკრძალავი ხასიათის ნორმებისაგან შედგება და იგი ამ კუთხით სრულ თანხვედრაშია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის საკანონმდებლო საფუძველს ქართულ კონკურენციის სამართალში კანონის მე-7 მუხლი აყალიბებს. ხელშეკრულების, შეთანხმებული ქმედებისა და გადაწყვეტილების სახით ქართველი კანონმდებელი აღნიშნული ნორმის სათაურშივე მიჯნავს ერთმანეთისაგან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სამ განსხვავებულ ფორმას და ნორმის დისპოზიციაშივე მიუთითებს, რომ კოორდინაციის სამივე შემთხვევა ერთი კრებსითი ტერმინის - „შეთანხმების“ ქოლგის ქვეშ არის გაერთიანებული.

კანონის მე-7 მუხლის დანაწესით, კანონმდებელი კრძალავს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ისეთ გადაწყვეტილებას, ან ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ ისეთ ხელშეკრულებასა თუ შეთანხმებულ ქმედებას, რომლის მიზანი ან შედეგი კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვაა. მსგავსი ფორმულირებით, აღნიშნული ნორმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს TFEU 101-ე და GWB პირველი მუხლების ანალოგიურ საკანონმდებლო დათქმას. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შემთხვევაში საქმე ეხება რამდენიმე ეკონომიკური აგენტის გაცნობიერებულ და ფაქტობრივ თანაქმედებას ნებისმიერი ფორმით, რომელიც მიზნად ისახავს ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენციის შეზღუდვა და რომლის დროსაც

[21] *ადამია გ.* ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, იხ. სსჟ. 2020, 2, 102.

აუცილებელი არ არის მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის რაიმე სახის სამართლებრივი ბოჭვის არსებობა.[22]

აშშ-ის კონკურენციის კანონმდებლობის საფუძვლად არსებულ შერმანის აქტშიც იგივე მიდგომას ვხვდებით, რომლის პირველი მუხლი კრძალავს ნებისმიერ ისეთ ხელშეკრულებას, კოორდინაციასა თუ შეთქმულებას, რომელიც ვაჭრობისა და კომერციის შეზღუდვისკენ არის მიმართული. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მსგავსი დიფერენცირების მიუხედავად ამერიკული მართლმსაჯულება პრაქტიკაში ძალზე იშვიათად მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან და ყველა შემთხვევისთვის ამჯობინებს, ზოგადად კონკურენციის შეზღუდვისკენ მიმართული ან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების გამოყენებას.[23]

კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ამკრძალავ ნორმებს სპეციალური ადრესატები ჰყავთ. უზოგადესი კლასიფიკაციით ქართული კონკურენციის კანონმდებლობა ქვეყნის შესაბამის ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შენარჩუნების მიზნით აკრძალვებს უწესებს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოებს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკურ აგენტებსა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებს.[24] შესაბამისად, კონკურენციის სამართალი ეკონომიკურ კონკურენციას ხელოვნური და გაუმართლებელი შეზღუდვებისაგან იცავს სახელმწიფო ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტების მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან.

აღნიშნული გადმოსახედიდან შესაძლებელია უზოგადესი კლასიფიკაციით ქართულ კონკურენციის კანონმდებლობაში არსებული ორი სახის ნორმების ერთმანეთისაგან გამიჯვნა - ნორმები, რომელთა ადრესატია ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია და ნორმები, რომლებიც გარკვეულ აკრძალვებს უწესებს სახელმწიფო ორგანოებს. კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმათა აღნიშნულ უზოგადეს კლასიფიკაციაში კანონის მე-7 მუხლის სახით არსებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი დათქმა ადგილს იკავებს ეკონომიკური

[22] *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 73.

[23] *Hay G.*, Anti-competitive Agreements: the meaning of "agreement," CLS. RP. N. 13-09, 6.

[24] *ადამია გ.* ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, იხ. სსჟ. 2020, 2, 109; *Wohlmann H., Schedl M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81.

აგენტების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებისკენ მიმართულ ამკრძალავ ნორმათა ჯგუფში. ამ ჯგუფში კანონის მე-7 მუხლთან ერთად ასევე მოიაზრება კანონის მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა), მე-11-11[2] (კონცენტრაციების კონტროლი) და 11[3] (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) მუხლები იმდენად, რამდენადაც ამ ნორმათა უშუალო ადრესატს, არა სახელმწიფო ორგანო, არამედ სწორედ ეკონომიკური აგენტი წარმოადგენს.

ეკონომიკური აგენტებისა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებისკენ მიმართული კონკურენციის კანონმდებლობის ნორმათა აღნიშნული კლასტერის ფარგლებში ასევე შესაძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ნორმები, რომლებიც ეხება ეკონომიკურ აგენტთა ცალმხრივ ქმედებებს და ნორმები, რომლებიც მიმართულია ეკონომიკურ აგენტთა გარკვეული ფორმისა და შინაარსის თანამშრომლობისა თუ კოორდინაციის აკრძალვისაკენ.[25] კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევაში, როგორც წესი, საქმე ეხება კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალულ ისეთ ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიერ ინდივიდუალურად ხდება. მაგალითად, კანონის მე-6 მუხლი დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს უკრძალავს მისი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში ამ სუბიექტს ეკრძალება ცალმხრივად და ინდივიდუალურად განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას. იგივე პრინციპი არის განვითარებული კანონის მე-11[3] მუხლში, რომელიც ეკონომიკურ აგენტებს უკრძალავს შესაბამის ბაზარზე არაკეთილსინდისიერი ქმედებების განხორციელებას.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, კანონის მე-7 მუხლის შემთხვევაში ადგილი აქვს არა ცალკეული ეკონომიკური აგენტის ცალმხრივ საბაზრო ქმედებას, არამედ ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის თანამშრომლობასა თუ კოორდინაციას, გარკვეული მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისთვის

[25] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 14; ECLI:EU:C:1973:22, „*Europemballage and Continental Can",* Case 6/72, § 25.

საკმარისი არ არის ეკონომიკური აგენტის ცალმხრივი ქმედება და იგი აუცილებლად მოითხოვს სხვა ეკონომიკურ აგენტთან თანაქმედებას.

შეთანხმების ტერმინიც კი თავიდანვე მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება კონკურენციის შეზღუდვის მიზნით გაერთიანებულ ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის ჩამოყალიბებულ კოორდინაციას, რომელიც საფრთხეს უქმნის და პირდაპირ ზიანს აყენებს ეფექტიანი კონკურენციის დინამიკურ და ბუნებრივ პროცესს. ეკონომიკურ აგენტებს შორის სხვადასხვა საბაზრო პირობებზე შეთანხმება და სამომავლო ქმედებების კოორდინირება ამცირებს მათ შორის არსებულ კონკურენტულ წნეხს. აღნიშნულის შედეგად საბაზრო პროცესის მართვის სადავეები კონკურენციის ბუნებრივი პროცესიდან კონკრეტული ეკონომიკური აგენტების ხელში გადადის, რაც ეწინააღმდეგება თავისუფალი კონკურენციის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბაზარზე არა რომელიმე კონკრეტული სუბიექტი ან სუბიექტთა ჯგუფი, არამედ კონკურენციის ბუნებრივი პროცესი უნდა ბატონობდეს.

შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული ეკონომიკური აგენტისთვის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების დადების ერთ-ერთი ძირითადი მოტივაცია სხვა ეკონომიკური აგენტებისგან მომავალი კონკურენტული წნეხის შემცირებაში მდგომარეობს.[26] რაც უფრო ნაკლებად განიცდის კონკურენტულ წნეხს ეკონომიკური აგენტი, მით უფრო მატულობს მისი თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა. აღნიშნულის პროპორციულად ასევე მცირდება ამ ეკონომიკური აგენტის მოტივაცია იზრუნოს შესაბამის ბაზარზე მის მიერ მიწოდებული საქონლისა თუ მომსახურების ფასის შემცირებაზე, ხარისხის ზრდაზე, ინოვაციაზე და ა. შ. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში ზრდის ამ ეკონომიკური აგენტის მატერიალურ სარგებელს და ამცირებს მომხმარებლის კეთილდღეობას.

შესაბამისად, ცალკეული ეკონომიკური აგენტი, როგორც წესი, კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილეობს იმ ეკონომიკურ აგენტთან ერთად, რომლისგანაც იგი კონკურენტულ წნეხს განიცდის. ასეთი ეკონომიკური აგენტი კი შესაძლოა იყოს როგორც მისი უშუალო კონკურენტი ეკონომიკური აგენტი, ასევე

[26] Streinz/Michl, EUV/AEUV, 3. Aufl. 2018, AEUV Art. 101, Rn. 41.

პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი, ანუ სუბიექტი, რომელიც შესაბამის ბაზარზე ჯერ არ არის შესული, თუმცა აქვს აღნიშნულის განხორციელების რეალური განზრახვა. ასეთ დროს საუბარია კონკურენციის შემზღუდველ ჰორიზონტალურ შეთანხმებებზე, რომელშიც ძირითადად მონაწილეობენ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები. თუმცა შესაძლებელია მსგავსი შეთანხმების მონაწილედ ასევე მოგვევლინოს პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტიც.

ჰორიზონტალურ შეთანხმებასთან ერთად ვერტიკალური შეთანხმების სახით ასევე განასხვავებენ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მეორე უზოგადეს სახეს. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება იდება არა კონკურენტ ან პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის არამედ მიწოდებისა და მოთხოვნის ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ სუბიექტებს შორის. ვერტიკალურ შეთანხმებას ეხება საქმე, მაგალითად, ისეთ დროს, როდესაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება იდება მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის, დისტრიბუტორსა და რეალიზატორს შორის და ა. შ.

4. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ცალკეული მოტივები

4.1. პირდაპირი მიზანი და ეკონომიკური აგენტის კონკურენტული ავტონომიურობა

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის ძირითადი ტელეოლოგიური საფუძველი ეკონომიკური აგენტების მხრიდან საკუთარი კომერციული პოლიტიკის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და იმპლემენტაციის აუცილებლობაში მდგომარეობს.[27] მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის ერთ-ერთ ძირითადი მოტივად აღიარებულია პრინციპი იმასთან დაკავშირებით, რომ თითოეულმა ეკონომიკურმა ოპერატორმა (ეკონომიკურმა აგენტმა) საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის იმპლემენტაციასაც იგი ცალკეულ შესაბამის ბაზარზე გეგმავს, უნდა განსაზღვროს დამოუკიდებლად და ავტონომიურად.[28] ევროპულ იურიდიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით დამოუკიდებლობის აღნიშნულ

[27] *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 193.

[28] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 116; ECLI:EU:C:1975:174, *"Coöperatieve Vereniging "Suiker Unie" UA,"* Joined cases 40 to 48, 50, 54 to 56, 111, 113 and 114-73, 16.12.1975, § 173; ECLI:EU:T:2013:449, *"Wabco Europe,"* Case T-380/10, 16.09.2013, § 40.

მოთხოვნას შესაძლოა პირობითად ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობა ეწოდოს (*"competitive autonomy"/"Wettbewerbliche Handlungsfreiheit"*).[29]

ერთი შეხედვით, შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მეწარმე სუბიექტისთვის დამოუკიდებელი მოქმედების ვალდებულების დაკისრება თუ სხვა ეკონომიკურ აგენტთან/აგენტებთან ცალკეული შინაარსის შეთანხმებაში შესვლის აკრძალვა გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სამეწარმეო თავისუფლებასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამეწარმეო თავისუფლება უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტის შესაძლებლობას თავისუფლად შეარჩიოს სამეწარმეო საქმიანობის ესა თუ ის სახე და შეუზღუდავად განახორციელოს იგი.[30] შესაბამისად, მაშინ, როდესაც კონკურენციის კანონმდებლობა მეწარმე სუბიექტს უწესებს ეკონომიკური ხასიათის ცალკეულ აკრძალვას, იგი ერევა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული სამეწარმეო თავისუფლებით დაცულ სფეროში. თუმცა ზემოთ განხილული დაცული სამართლებრივი სიკეთეების მნიშვნელობისა და როლის გათვალისწინებით, იგი მიჩნეულ უნდა იქნეს სხვადასხვა ლეგიტიმური საჯარო მიზნით გამართლებულ თანაზომიერ ჩარევად დასახელებულ ძირითად უფლებაში.[31]

სამეწარმეო თავისუფლების პირობებში იქმნებიან ახალი ეკონომიკური აგენტები, რომლებიც დამოუკიდებლად ირჩევენ ეკონომიკური საქმიანობის სახეს და ხდებიან კონკრეტული ბაზრის მონაწილეები, რაც ბაზრის სხვა მონაწილეებთან თუ პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებთან ავტომატურად წარმოშობს ანტაგონისტურ და კონკურენტულ დამოკიდებულებას. ამ შემთხვევაში, მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს ნების ავტონომია და საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა წარმოადგენს. აღნიშნულის გარანტირებას, თავის მხრივ, სამეწარმეო თავისუფლების კონსტიტუციური აღიარება უზრუნველყოფს იმდენად, რამდენადაც ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის

[29] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.162.

[30] სსსგ, №1/1/655, „ „შპს სკს" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ," 18.04.2019, § 2.

[31] *ადამია გ.* ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, იხ. სსჟ. 2020, 2, 109-112.

ჩამოყალიბება სამეწარმეო თავისუფლებასთან ორგანულად არის დაკავშირებული.[32] კონკურენციის პროცესი ყალიბდება და ვითარდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტები სწორედ კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო თავისუფლების სრულფასოვან რეალიზებას ახდენენ.[33]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებაც ეკონომიკური აგენტების ნების ავტონომიის რეალიზების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. ასეთი შინაარსის ნების ავტონომია კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაცულია სამეწარმეო თავისუფლებით.

თუმცა სამეწარმეო თავისუფლების შეუზღუდავი გარანტირება, თავის მხრივ, შეიცავს საფრთხეს, რომ ბაზრის მონაწილეები ამ კუთხით მათთვის გარანტირებულ უფლებებს კონკურენციის შეზღუდვისთვის გამოიყენებენ, რაც, ბუნებრივია, საფრთხეს შეუქმნის თავისუფალი და კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბებას. შეიძლება ითქვას, რომ, ამ კუთხით შეუზღუდავი სამეწარმეო თავისუფლება თვითონვე ქმნის მომეტებულ საფრთხეს სამეწარმეო თავისუფლებისთვის.[34] კერძოდ, ბაზარზე არსებული სხვადასხვა მასშტაბის კონკურენტული წნეხი შესაძლოა ეკონომიკური აგენტებისთვის გარკვეული იმპულსის მიმცემი აღმოჩნდეს გვერდი აუარონ ჯანსაღი კონკურენციის პროცესს და მოიფიქრონ მსგავსი წნეხის შემცირების ან აღმოფხვრის ისეთი ხელოვნური მექანიზმი, როგორიცაა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება. აღნიშნულის დასაშვებობა, თავის მხრივ, საფუძველს გამოაცლის თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებულ საბაზრო ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების საკანონმდებლო აკრძალვის მიზანია კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო თავისუფლების მხოლოდ იმ დონემდე შეზღუდვა, რომელიც საკუთრივ სამეწარმეო თავისუფლების შენარჩუნების, გარანტირებისა და დაცვისათვის არის აუცილებელი.[35]

ჯანსაღი კონკურენციის პროცესი ბუნებრივად აყალიბებს სამეწარმეო თავისუფლების იმ გონივრულ და თანაზომიერ ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია აღნიშნული თავისუფლებით სარგებლობა იმ ფორმითა და მოცულობით,

[32] სსსგ, №1/1/655, „ „შპს სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ 18.04.2019, § 5.
[33] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 2.
[34] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 4.
[35] *შეად. Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 5, Rn 556.

რომელიც საფრთხეს არ უქმნის ბაზრის სტრუქტურის მდგრადობას.[36] სწორედ ამიტომ აღნიშნავს მართლმსაჯულების სასამართლო, რომ ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის განხორციელებასაც აპირებს ან რომელსაც ახორციელებს კონკრეტული ეკონომიკური აგენტი, ამ უკანასკნელის მიერ უნდა განისაზღვროს დამოუკიდებლად,[37] ანუ ბაზრის სხვა მონაწილეებთან შეთანხმების გარეშე. კონკურენტული გარემო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისთვის შესაძლოა ართულებდეს მომგებიანი ოპერირების შესაძლებლობას, თუმცა ევროკომისიის განმარტებით, ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებად არ უნდა იქნეს მიჩნეული მათ შორის ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც კონკურენციის ხელოვნურ შეზღუდვას გამოიწვევს.[38]

მეწარმე სუბიექტების მიერ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შინაარსის დამოუკიდებლად განსაზღვრა და მისი იმპლემენტაცია ეკონომიკური კონკურენციის ეფექტიანი ფუნქციონირების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს.[39] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის დამცავი ნორმების საფუძველს წარმოადგენს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბაზრის ნებისმიერი მონაწილე დამოუკიდებლად განსაზღვრავდეს საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლით ეკონომიკური აგენტებისათვის დაწესებულ უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს.[40] ამ ხარისხის ავტონომიურობის მოთხოვნა კი თავისთავად გამორიცხავს ეკონომიკურ აგენტებს შორის ნებისმიერი სახის ისეთ პირდაპირ თუ არაპირდაპირ კონტაქტს, რომელიც მოწოდებულია გავლენა იქონიოს ამ სუბიექტების სამომავლო საბაზრო ქცევაზე.[41] ამასთან, ბაზრის მონაწილეთა შორის დადებული ისეთი ხელშეკრულება, რომელიც რაიმე ფორმით ხელყოფს ეკონომიკური აგენტის თავისუფლებას, საკუთარი

---

[36] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 4.

[37] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08 § 32; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 14.

[38] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 36.

[39] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 4; *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 1, Rn. 2.

[40] ECLI:EU:C:2006:734, *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006, § 52.

[41] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 116, 117; ECLI:EU:C:2006:734 *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006, § 52.

ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად განსაზღვროს კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები, წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვას კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გაგებით.[42]

ევროკომისია ეყრდნობა რა, მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას, განმარტავს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის საფუძვლად არსებობს იმის მოთხოვნა და აუცილებლობა, რომ თითოეულმა ეკონომიკურმა აგენტმა ის კომერციული პოლიტიკა, რომლის იმპლემენტაციასაც იგი ბაზარზე აპირებს, უნდა დაგეგმოს დამოუკიდებლად. დამოუკიდებლობის აღნიშნული მოთხოვნა, თავის მხრივ, არ ართმევს ეკონომიკურ აგენტს უფლებას ადაპტირდეს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების სავარაუდო ქმედებებთან, მაგრამ იგი ცალსახად გამორიცხავს მათ შორის ნებისმიერი სახის ისეთ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტაქტს, რომლის მიზანი ან შედეგია ერთმანეთის ქმედებაზე ზეგავლენის მოხდენა ან ერთმანეთისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეეხება მათ მიერ სამომავლოდ განსახორციელებელ საბაზრო ქმედებებს.[43]

ეკონომიკური აგენტების დამოუკიდებლობაზე საუბარი ერთი შეხედვით ავტომატურად წარმოშობს გარკვეულ წინააღმდეგობას სახელშეკრულებო სამართალში *pacta sunt servanda*-ს სახელით დამკვიდრებულ პრინციპთან, რომელიც განამტკიცებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნას. კომერციული ურთიერთობების ფარგლებში საქონლისა და მომსახურებების მიმოცვლის მიზნით დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებები შესაბამისი მეწარმე სუბიექტებისთვის წარმოშობენ ცალმხრივ ან ორმხრივ ვალდებულებებს, რომელთა მიხედვითაც, თითოეულმა მხარემ უნდა განახორციელოს გარკვეული ქმედება. შესაბამისად, მსგავს სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობა ავტომატურად იწვევს ცალკეული სუბიექტის ბოჭვას, ზღუდავს მის თავისუფლებას და აკისრებს გარკვეული ქმედების განხორციელების ვალდებულებას. ამ გადმოსახედიდან ძალზე

[42] ECLI:EU:C:1983:374, *"KERPEN & KERPEN,"* Case 319/82, 14.12.1983, § 6.
[43] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 33.

საინტერესო მიდგომას გვთავაზობს მართლმსაჯულების სასამართლო, რომელიც განმარტავს, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული ყველა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მოქმედების თავისუფლებას როდი ვარდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში.[44] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის, მთავარი ამოსავალი წერტილია ეკონომიკური აგენტის არა ზოგადად მოქმედების თავისუფლების შებოჭვა თუ დამოუკიდებლობის შეზღუდვა, არამედ ის ეფექტები რაც შეიძლება კონკრეტულმა შეთანხმებამ კონკურენციის ჯანსაღ და დინამიკურ პროცესზე იქონიოს. აღნიშნულის შესაბამისად, დამოუკიდებლობის მოთხოვნა ვრცელდება ცალკეული სუბიექტის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, რომლის ქვეშაც შესაძლოა მოაზრებულ იქნეს საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში კომერციული პოლიტიკის თავისუფლად დაგეგმვისა და ამ პოლიტიკის შესაბამისად, დამოუკიდებელი და განგრძობადი საბაზრო ქმედებების თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის პირდაპირი მიზანია ეკონომიკური აგენტების ისეთი ქმედებების პრევენცია, რომელთა საშუალებითაც კონკურენციის ბუნებრივ პროცესში ეკონომიკური აგენტების დამოუკიდებლ გადაწყვეტილებებს მათ შორის ჩამოყალიბებული მიზანმიმართული კოორდინაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ანაცვლებს.[45] იგი გამორიცხავს ბაზრის მონაწილეთა შორის იმ ფორმისა და შინაარსის თანამშრომლობას, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ბაზარზე მათი დამოუკიდებელი მოქმედების ხარისხზე, ამცირებს მათ შორის არსებულ კონკურენტულ წნეხს და ზღუდავს კონკურენციას.

4.2. თანმდევი მიზანი

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის მიზანი და მოტივი მხოლოდ ეკონომიკური აგენტების კონკურენტული ავტონომიურობისა და

[44] ECLI:EU:C:2002:98, *"Wouters,"* Case C-309/99, 19.02.2002, § 97; ECLI:EU:C:2006:492, *"David Meca-Medina and Igor Majcen,"* Case C-519/04 P, 18.07.2006, § 42.

[45] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 4.

კონკურენციის პროცესის დაცვითა თუ გარანტირებით როდი შემოიფარგლება. აღნიშნულთან ერთად კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების დაუშვებლად მიჩნევას სხვა თანმდევი შედეგებიც გააჩნია, რომელსაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს გარანტირებით აღწევს. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტული ავტონომიურობა და კონკურენციის პროცესის გარანტირება წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც კონკურენციის კანონმდებლობა სხვა თანმდევი მიზნების მიღწევასა თუ ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის პირდაპირი მიზნებისაგან უნდა გაიმიჯნოს მისი თანმდევი მიზნები.

პირდაპირი მიზნის მიღწევის გზით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა, თავის მხრივ, ისეთი თანმდევი მიზნების მიღწევას ესწრაფვის, როგორიცაა მომხმარებლის კეთილდღეობის, წარმოებისა და მიწოდების გაუმჯობესების, ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესის, ინოვაციის ზრდისა და სხვა მსგავსი სიკეთეების უზრუნველყოფა. სხვაგვარად რომ ითქვას, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის შედეგად გარანტირებული ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობა და ეფექტიანი კონკურენციის პროცესი განაპირობებს დასახელებული თანმდევი მიზნების მისაღწევად აუცილებელი საბაზრო პირობებისა თუ ეკონომიკური მოცემულობის ჩამოყალიბებას.

ერთი შეხედვით შეიძლება დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში კონკურენციის სამართლით დაცულ ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეებზე[46] არის საუბარი, თუმცა მსგავსი დაშვება ვერ იქნება გამართლებული. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ თანმდევი მიზნების შემთხვევაში საუბარია ობიექტური და ზოგადი კატეგორიის მიზნებზე, რომლებიც საბაზრო პროცესის გაჯანსაღებასა თუ ზოგადი ტექნოლოგიურ-ეკონომიკური პროგრესის შედეგად მიიღწევა. თანმდევი მიზნების შემთხვევაში საუბარია შედარებით უფრო აბსტრაქტულ სამართლებრივ კატეგორიაზე მაშინ, როდესაც ინდივიდუალურად დაცული

[46] დაწვ. იხ. თ. I, ქვთ. 2.

სამართლებრივი სიკეთეების შემთხვევაში საქმე ცალკეული სუბიექტების ინტერესებს ეხება. გარდა ამისა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის თანმდევი მიზნები, მის პირდაპირ მიზნებთან ერთად, თავის მხრივ, წარმოადგენს კონკურენციის სამართლით დაცული ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის მექანიზმს. შესაბამისად, ინდივიდუალური სიკეთეების დაცვასა და თანმდევი მიზნების მიღწევას შორის გარკვეული მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობაზეც არის საუბარი შესაძლებელი.

5. კარტელი და მონოპოლიური კონკურენცია

ეფექტიანი კონკურენციისთვის საფრთხის შემქმნელი შეიძლება აღმოჩნდეს მონოპოლიური კონკურენცია, რომელიც სრულყოფილი კონკურენციის საპირისპირო თეორიულ უკიდურესობას წარმოადგენს[47] და რომლის დროსაც, შესაბამის ბაზარზე მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტი ოპერირებს. ასეთი საბაზრო ძალაუფლება თუ მდგომარეობა შესაბამის სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი სუბიექტური შეხედულებების, ინტერესებისა თუ საჭიროებების შესაბამისად მოახდინოს კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების ფასების ფორმირება, ხარისხის განსაზღვრა და ა. შ. ამ და სხვა გარემოებების გამო მონოპოლიური მდგომარეობა არასასურველ საბაზრო კონდიციად არის მიჩნეული. აღნიშნული კი, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბაზარზე არ არსებობს სხვა სუბიექტი, რომლისგანაც მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი იგრძნობდა კონკურენტულ წნეხს, რაც დააბალანსებდა მის საბაზრო ძალაუფლებასა და ამ ძალაუფლებით ნაკარნახევ მის ისეთ ქმედებებს, რომელიც საზიანოა მომხმარებლებისთვის და ეწინააღმდეგება საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს.

მონოპოლიური ბაზრისაგან განსხვავებით, კონკურენტული ბაზარი გულისხმობს ისეთ მოცემულობას, სადაც ერთმანეთთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში მყოფი რამდენიმე ეკონომიკური აგენტი ოპერირებს. ასეთ პირობებში თითოეული ეკონომიკური აგენტი თავისი კონკურენტისაგან განიცდის კონკურენტულ წნეხს და

[47] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 29.

მსგავს პირობებში პროდუქტის ფასი თუ ხარისხი ყალიბდება კონკურენციის მასშტაბების შესაბამისად. მსგავსი საბაზრო მოცემულობის პირობებში ისმის კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდება ისეთ დროს, როდესაც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ბაზარზე იმოქმედებენ კოორდინირებულად და მათი საბაზრო ქცევები ერთმანეთთან სინქრონულ დამოკიდებულებაში იქნება. იგულისხმება ისეთი შემთხვევა, რომლის დროსაც ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად ისინი პრაქტიკულად არც ერთ ასპექტში არ გაუწევენ ერთმანეთს კონკურენციას და კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების ფასს, ხარისხს თუ სხვა მახასიათებლებს ურთიერთშეთანხმების ნიადაგზე განსაზღვრავენ. ასეთ დროს შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ინდივიდუალური საბაზრო ქმედებები პრაქტიკულად ერთი სუბიექტის ქმედებას უტოლდება. ეკონომიკური აგენტები ასეთ შემთხვევაში საკუთარ საბაზრო ძალაუფლებას ერთმანეთის საწინააღმდეგოდ არ მიმართავენ და, შესაბამისად, არც არანაირ კონკურენტულ წნეხს არ განიცდიან. ბაზრის ასეთი მდგომარეობა ემსგავსება მონოპოლიური ბაზრისთვის დამახასიათებელ კონდიციებს, სადაც მხოლოდ ერთი სუბიექტი საქმიანობს. ეკონომიკურ აგენტთა ასეთ ურთიერთშეთანხმებას „კარტელის“ ან „კარტელიზაციის“ სახელითაც მოიხსენიებენ.[48]

ტერმინ „კარტელს“ ქართული კონკურენციის კანონმდებლობა არ იცნობს და შესაბამისად, ამ ტერმინს ფაქტობრივად არც კონკურენციის აღმასრულებელი უწყება არ იყენებს. კარტელი ასევე უცხოა ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებისათვის, სადაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა (TFEU 101-ე მუხლი) მსგავს ტერმინს არ იყენებს. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ტერმინი „კარტელი“ არცთუ იშვიათად არის გამოყენებული ევროკომისიისა და მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებში.[49]

---

[48] *Colino S.,* Competition Law of the EU and UK, 7-th ed. 2011, 143; *Barry R., Angus M.,* Competition Law and Policy in the EC and UK, 4-th ed. 2009, 171.

[49] ECLI:EU:C:1972:84, *"Vereeniging van Cementhandelaren,"* Case 8-72, 17.10.1972; ECLI:EU:C:1978:19, *"Miller International Schallplatten GmbH,"* Case 19/77, 01.02.1978; ECLI:EU:C:1989:301, *"SC Belasco,"* Case 246/86 11.07.1989; ECLI:EU:C:1999:12, *"Carlo Bagnasco and Others,"* Joined cases C-215/96 and C-216/96; ECLI:EU:T:1999:48, *"Thyssen Stahl AG,"* Case T-141/94, 11.03.1999; ECLI:EU:T:2004:118*,"Tokai Carbon Co. Ltd,"* Joined cases T-236/01, T-239/01, T-244/01 to T-246/01, T-251/01 and T-252/01, 29.04.2004.

ქართული და ევროპული კონკურენციის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ტერმინი „კარტელი“ ძალზე გავრცელებულია გერმანულ რეალობაში. გერმანელი კანონმდებელი კარტელს ძალზე ხშირად იყენებს GWB-ის სხვადასხვა მუხლში. მაგალითად, GWB-ის მე-3 მუხლი ეხება კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებსა და ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებების მიერ მიღებულ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესაძლოა კონკრეტული წინაპირობების დაკმაყოფილებისას მოექცეს ამავე კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებში. ამ მუხლის სათაურად კი გერმანელი კანონმდებელი გვთავაზობს ე. წ. „შუალედური კარტელის“ (*“Mittelstandskartelle“*) ცნებასაც. გარდა ამისა, აღნიშნული კანონი ასევე განსაზღვრავს შესაბამის აღმასრულებელ უწყებას, რომელიც მოხსენიებულია როგორც „კარტელების ადმინისტრაციული ორგანო“ *(“Kartellbehörde”)* ან „კარტელების ფედერალური სამსახური“ *(“Bundeskartellamt”).* საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში კონკურენციის სამართლის აღსანიშნავად, როგორც წესი, გამოიყენება ტერმინი - „კარტელების სამართალი“ (“*Kartellrecht*“), რომელიც თავის თავში, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ ნორმებთან ერთად ასევე აერთიანებს, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარეობს შესაბამისი აღმასრულებელი უწყების ზემოთ აღნიშნული დასახელებები.

კარტელის მრავალმხრივი და არაერთგვაროვანი გამოყენების გამო რთულია მისი ზუსტი დეფინიციის განსაზღვრა. თუმცა, როგორც წესი, კარტელი გულისხმობს კონკურენციის შემზღუდველ ჰორიზონტალურ შეთანხმებებს,[50] რომლის ფარგლებშიც მიწოდებისა და მოთხოვნის ჯაჭვის ერთსა და იმავე დონეზე მოქმედი სუბიექტები ახდენენ ერთმანეთში ბაზრის განაწილებას, ფასების ფიქსაციას, წარმოების შეზღუდვას და ა. შ. ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე კარტელის მავნე ზემოქმედების მასშტაბებიდან გამომდინარე მას „ეკონომიკის სიმსივნედაც“ კი მოიხსენიებენ.[51]

[50] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 110.
[51] *Monti G.,* EC Competition Law, 2007, 324.

6. ნორმის განმარტების მეთოდები

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების წინაპირობებისა თუ მისი ცალკეული მახასიათებლებისა და გამოვლენის ფორმების ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი საკანონმდებლო დათქმების განმარტებას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის მიდგომები და პრინციპები, რომლებიც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის განმარტების პროცესში გამოიყენება.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება კანონის რელევანტური ნორმების განმარტებისას ხელმძღვანელობს ევროპული პრაქტიკით და, როგორც წესი, მხედველობაში იღებს ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროკომისიის გადაწყვეტილებებში განვითარებულ მსჯელობებსა და შესაბამის განმარტებებს. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში კონკურენციის სააგენტო მიუთითებს, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის განმარტებისას, საქართველოს ეკონომიკური გამოწვევებისა, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და ქართული კონკურენციის სამართლის მიზნების გათვალისწინებით, სააგენტო ეყრდნობა ევროკავშირის შესაბამისი ორგანოების მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს.[52] აღნიშნულის შესაბამისად, კანონის ინტერპრეტაციისას სააგენტო არაერთ გადაწყვეტილებაში კანონის ნორმათა განმარტებისას მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროკომისიის მიერ დამკვიდრებულ მიდგომებსა და გამოცდილებას იზიარებს.[53]

იგივე მიდგომას ვხვდებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც. კერძოდ, ერთ-ერთ განჩინებაში სასამართლო უთითებს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის N1551 დადგენილებით დამტკიცებულ „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიაზე," სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში კონკურენციის სფეროს განვითარება ორიენტირებულია ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებზე. აღნიშნულის შესაბამისად სასამართლო აგრძელებს

[52] სკსგ, 19.02.2020, ბრძ. N04/44, *„შპს „ჯეევერს დეველოპმენტის" საქმე,"* 29.

[53] სკსგ, 06.07.2018, ბრძ. N04/166, *„შპს „სიტროენ ჯორჯიას" საქმე,"* 10; სკსგ, 23.06.2017, ბრძ. N04/167, *„სასკოლო ავტობუსების საქმე,"* 11.

მსჯელობას და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების წინაპირობებისა თუ მისი ზოგადი შინაარსობრივი ასპექტების ანალიზისას ხელმძღვანელობს მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებებით.[54]

ქართული კონკურენციის სამართლის ნორმების ინტერპრეტაციის პროცესში ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზანშეწონილობასა თუ აუცილებლობას სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებები განაპირობებს. ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის შინაარსობრივი მსგავსებები, რომელსაც საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა ევროპულ კონკურენციის სამართალთან ავლენს. აღნიშნული მსგავსებები თვალნათლივ ჩანს კანონის მე-7 მუხლსა და TFEU 101-ე მუხლის ფორმულირებებში, რომლებიც თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, მაშინ, როდესაც, ქართული კონკურენციის სამართლისაგან განსხვავებით, ევროპული კავშირის რეალობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პრაქტიკული თუ თეორიული გამოცდილება არის დაგროვილი, მოულოდნელობას არ უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ სააგენტო და ქართული მართლმსაჯულება კანონის ნორმათა განმარტებისას უპირველესად სწორედ ევროპული გამოცდილებით ხელმძღვანელობს.

აღნიშნული მიდგომის მიზანშეწონილობაზე ასევე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველო უკვე წარმოადგენს ევროასოცირებულ სახელმწიფოს და ესწრაფვის შიდა კანონმდებლობის ევროპული კავშირის სამართალთან დაახლოებას. ამ პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს სწორედ კონკურენციის სამართალი და ამ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა წარმოადგენს. ევროპული კავშირის სამართალთან სრულყოფილი დაახლოებისთვის კი ევროპული სამართლის ქართულ კანონმდებლობაში დანერგვასთან ერთად გადამწყვეტ როლს ევროპული იურიდიული მეცნიერებისა თუ სასამართლო პრაქტიკის მიღწევების გეგმაზომიერი გათვალისწინება ასრულებს.

აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ქართული საკანონმდებლო დათქმის განმარტებისას ევროპული კავშირის შესაბამისი

[54] სუსგ, ბს-595-592(კ-17), 28.09.2017.

ორგანოების მიერ განვითარებული მიდგომებისა თუ დამკვიდრებული პრაქტიკის გაუზიარებლობის არანაირი საფუძველი ქართულ რეალობაში არ არსებობს. პირიქით, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი და შესაბამისი თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება მიჩნეულ უნდა იქნეს ქართული კონკურენციის კანონმდებლობის, მათ შორის კანონის მე-7 მუხლის განმარტებისა და ინტერპრეტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად.

კანონის მე-7 მუხლის შედარებითსამართლებრივი ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გერმანული კონკურენციის კანონმდებლობის რელევანტურ ნორმასთან მიმართებით გერმანული სასამართლოსა და შესაბამისი აღმასრულებელი უწყების გამოცდილება და პრაქტიკა. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ისევე როგორც TFEU -101-ე მუხლი, რომელის GWB-ის პირველი მუხლიც კანონის მე-7 მუხლის იდენტური შინაარსის მატარებელი ნორმაა. ამ კუთხით ასევე საინტერესოა იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც არსებობს გერმანულ რეალობაში შიდასახელმწიფოებრივი ნორმების განმარტებისას ევროპული კავშირის კონკურენციის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გამოყენების კუთხით.

კანონის განმარტებისას ევროპული და გერმანული კონკურენციის სამართლის გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შემადგენელ ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული ქართულ რეალობაში განმარტების იმ მეთოდებისა თუ პრინციპების გაზიარებაც, რომელიც უკვე მყარად არის დამკვიდრებული გერმანულ და ევროპულ იურიდიულ დოქტრინასა თუ პრაქტიკაში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ავტონომიურობის პრინციპი, რომელიც ევროპული და გერმანული კონკურენციის სამართლის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი ნორმის განმარტებისას ფართოდ გამოიყენება.

ავტონომიურობის პრინციპს საფუძვლად უდევს გაბატონებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციის სამართალი აბსოლუტურად თვითმყოფადი, სხვა დანარჩენისგან გამიჯნული სამართლის დარგია, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი პრინციპები, მოქმედების სივრცე და სამართლებრივი ცნებები გააჩნია. აღნიშნულის

შესაბამისად, კონკურენციის სამართლის ცნებებისა და ინსტიტუტების განმარტება, როგორც წესი, სამართლის სხვა დარგებისგან დამოუკიდებლად ხდება.[55]

კონკურენციის კანონმდებლობის განმარტების პროცესში მომდევნო მნიშვნელოვან მიდგომას წარმოადგენს ცალკეულ ამკრძალავ ნორმათა მაქსიმალურად ფართო განმარტების აუცილებლობა. აღნიშნულის შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი თუ კონკურენციის სამართალში არსებული სხვა ამკრძალავი ნორმები მაქსიმალურად ფართოდ განიმარტება, რათა მან მოიცვას კონკურენტულ გარემოზე ნეგატიური ეფექტის მქონე კოორდინაციის მაქსიმალურად ფართო სპექტრი.[56]

კონკურენციის შემზღუდველი ნორმის ამკრძალავის ნორმის განმარტებისას მინიმალური მნიშვნელობა ენიჭება ნორმის გრამატიკულ ფორმულირებასა თუ ამ ნორმით მოცული ცნებებისა და კონსტრუქციების სიტყვასიტყვით მნიშვნელობას. აღნიშნულზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც TFEU 101-ე მუხლის განმარტებისას ხელმძღვანელობს, როგორც ამ ნორმის, ასევე მთლიანად ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიზნებითა და კონკურენციის პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანებით.[57]

მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა უნდა გამოიყენებოდეს ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული ნებისმიერის სახისა თუ ფორმის კოლუზიური პრაქტიკის მიმართ.[58] ეკონომიკური აგენტების ქმედებების კონკურენციის სამართლის ფარგლებში შეფასებისას გასათვალისწინებელია მხოლოდ განსხვავება დამოუკიდებელ საბაზრო ქმედებასა (რომელიც დასაშვებია) და სხვა ეკონომიკურ აგენტთან/აგენტებთან შეთანხმებულ მოქმედებას (რომელიც დაუშვებელია) შორის და სამართლებრივი შედეგის დადგომის კუთხით მნიშვნელობა არ აქვს ამ უკანასკნელის განხორციელების ფორმას.[59]

---

[55] *Zimmer D.,* in Immenga/Mestmäcker GWB Kom. 3. Aufl. 2001, § 1, Rn. 24.

[56] *Colino S.,* Competition Law of the EU and UK, 7-th ed. 2011, 153; *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 73.

[57] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 64.

[58] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 108; 112.

[59] იქვ. § 108.

7. ცნების უნივერსალური ელემენტები

იმდენად, რამდენადაც წინამდებარე ნაშრომის მიზანია ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრაქტიკული და თეორიული პრობლემების ანალიზი, წარმოდგენილი კვლევის საწყის ეტაპზე აუცილებელია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსისა და მისი სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა. ამ პროცესში კი ძირითად როლს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის იდენტიფიცირება წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ საკანონმდებლო სივრცეში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის ძირითად სამართლებრივ საფუძველს კანონის მე-7 მუხლი წარმოადგენს. შესაბამისად, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის იგი უნდა ექცეოდეს დასახელებული ნორმის მოქმედების ფარგლებში. ხოლო იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად ვრცელდება კანონის მე-7 მუხლით დაწესებული აკრძალვა ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების შემცველ შეთანხმებებზე, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განსახილველი საკანონმდებლო ნორმის დისპოზიციის ანალიზის გზით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების არსებობისათვის აუცილებელი წინაპირობების განსაზღვრა და ამ ქმედების ძირითადი სამართლებრივი მახასიათებლების იდენტიფიცირება.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი საკანონმდებლო დათქმა მართალია ორი პუნქტისაგან შედგება, თუმცა მისი უკეთ აღქმისა და სიღრმისეული ანალიზის მიზნით კანონის მე-7 მუხლი შინაარსობრივად შესაძლებელია სამ ნაწილად დაიყოს.

პირველი შინაარსობრივი ნაწილი წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების საკანონმდებლო დეფინიციისა და მისი ცნების დამდგენ უზოგადეს ნორმას, რომელიც მოთავსებულია კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ზოგად ნაწილში. აღნიშნული დათქმის მიხედვით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება გულისხმობს ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ ხელშეკრულებას, მათ შორის

მიღწეულ შეთანხმებულ ქმედებასა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილებას, რომლის მიზანი ან შედეგი კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვაა.

კანონის მე-7 მუხლის მე-2 შინაარსობრივ ნაწილად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტის კერძო ნაწილი, რომელშიც მოცემულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების სპეციალური შემთხვევები.

კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი, ანუ დასახელებული საკანონმდებლო დათქმის მესამე შინაარსობრივი ნაწილი განსაზღვრავს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სამოქალაქოსამართლებრივ შედეგს. კერძოდ, TFEU 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის მსგავსად, ქართველი კანონმდებელი ბათილად აცხადებს ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი შეთანხმებების მიღწევას, რომლის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა. შესაბამისად, მსგავსი შეთანხმება დადებისთანავე ბათილია და იგი არანაირ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს.

ამდენად, ნათელია, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ცნების ელემენტები და მისი შინაარსობრივი ასპექტები კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ზოგადი ნაწილიდან გამომდინარეობს. აღნიშნულის შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ, კონკრეტული ქმედების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დაკმაყოფილებული იყოს შემდეგი წინაპირობები: 1) ქმედება უნდა განხორციელდეს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ან ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ; 2) ქმედებით უნდა ხდებოდეს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევების კოორდინირება (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება, გადაწყვეტილება); 3) ქმედების მიზანი ან შედეგი უნდა იყოს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა; 4) ქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას უნდა ახდენდეს კონკურენციაზე.[60]

სწორედ დასახელებული წინაპირობების საფუძველზე უნდა მოხდეს ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციაც.

[60] *შეად. Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 63; ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01 27.09.2006, § 55.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის აუცილებელია თითოეული დასახელებული წინაპირობის შინაარსობრივი ასპექტების სიღრმისეული ანალიზი.

II. ქმედების სუბიექტი

1. ეკონომიკური აგენტი[61]

1.1. ეკონომიკური აგენტის ცნება

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მონაწილე სუბიექტი შეიძლება იყოს ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია. შესაბამისად, კონკრეტული ქმედების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესი იწყება იმის შეფასებით, თუ რამდენად წარმოადგენს შესაბამისი ქმედების განმახორციელებელი სუბიექტი ეკონომიკურ აგენტს ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას. სწორედ აღნიშნულის დადგენის შემდეგ არის შესაძლებელი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სხვა ელემენტებისა თუ წინაპირობების ანალიზი.

ეკონომიკური აგენტის ცნებასთან მიმართებით ქართული კონკურენციის კანონმდებლობა უნიკალური მიდგომით გამოირჩევა იმდენად, რამდენადაც იგი ეკონომიკური აგენტის ცნების ლეგალურ დეფინიციას შეიცავს, რაც მას მნიშვნელოვნად განასხვავებს სხვა მართლწესრიგებისაგან. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის არც პირველადი და არც მეორადი წყაროები ნორმატიულად არ განსაზღვრავს ეკონომიკური აგენტის ცნების ლეგალურ დეფინიციას.[62] აღნიშნულმა ევროპულ რეალობაში განაპირობა ეკონომიკური აგენტის ცნებისა და მისი ელემენტების მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბება. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ სანამ მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში ეკონომიკური აგენტის ერთიანი და სრულყოფილი ცნება ჩამოყალიბდებოდა, იგი წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდიდა. ეკონომიკური აგენტის ცნებასთან მიმართებით აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შექმნილ სასამართლო განმარტებებზე დაყრდნობით კი იურიდიულ

[61] წინამდებარე ქვეთავი ეფუძნება ავტორის შემდეგ ნაშრომებში ჩამოყალიბებულ მიდგომებსა და მოსაზრებებს - *ადამია გ.* ეკონომიკური აგენტის ცნება ქართულ კონკურენციის სამართალში, სამართლის ჟურნალი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, 2020, N1, 80 – 92.

[62] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 41; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 66.

ლიტერატურაში ერთმანეთისაგან ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციონალურ და ფუნქციონალურ გაგებას განასხვავებენ.

მართლმსაჯულების სასამართლოს ადრეულ პრაქტიკაში გვხვდება გადაწყვეტილებები, სადაც სასამართლო ეკონომიკური აგენტის ცნებას ინსტიტუციონალურად აყალიბებს. ამ მიდგომის მიხედვით, ეკონომიკური აგენტის ცნების ამოსავალ წერტილს კონკრეტული სუბიექტის სამართლებრივი ფორმა და მისი ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგენს.

გასული საუკუნის სამოციანი წლების პრაქტიკაში ეკონომიკური აგენტი განმარტებულია, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი სუბიექტის ქვეშ არსებული პიროვნული, მატერიალური და არამატერიალური ფაქტორების ერთიანობა, რომელიც კონკრეტული ეკონომიკური მიზნის მიღწევას ისახავს მიზნად.[63] სასამართლო იქვე დასძენს, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალი სამართლის სუბიექტის შექმნა ახალი ეკონომიკური აგენტის წარმოშობას გულისხმობს. სასამართლო მოცემულ შემთხვევაში ყურადღების მიღმა ტოვებს სუბიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ფორმასა და შინაარსს. ეკონომიკური აგენტის განსაზღვრისას სასამართლოსთვის საკმარისია კონკრეტული სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა თუ მიზნის მქონე სუბიექტის არსებობა.

ამ მიდგომამ დროთა განმავლობაში აქტუალურობა დაკარგა[64] და მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში შემდგომი აღიარება და განვითარება ვერ ჰპოვა, ვინაიდან იგი სრულყოფილად ვერ პასუხობდა კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის წინაშე მდგარ ამოცანებს. აღნიშნული კი განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ინსტიტუციონალური გაგება მნიშვნელოვნად ავიწროებდა ეკონომიკური აგენტის ცნებას, რაც, თავის მხრივ, ზღუდავდა კონკურენციის სამართლის მოქმედების ფარგლებს.

ინსტიტუციონალური გაგებისაგან განსხვავებით, ფუნქციონალური გაგება უფრო აფართოებს ეკონომიკური აგენტის ცნების ფარგლებს. აღნიშნული მიდგომით სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევა არ არის დამოკიდებული მის სამართლებრივ ფორმასა თუ

[63] ECLI:EU:C:1962:30, *„Klöckner-Werke AG“* Joined cases 17/61 and 20/61, 13.07.1962.
[64] *Zimmer D.,* in Immenga/Mestmäcker GWB Kom. 3. Aufl. 2001, § 1, Rn. 24.

ორგანიზაციულ მოწყობაზე. ფუნქციონალური გაგების ქვაკუთხედს წარმოადგენს პირის პრაქტიკული საქმიანობა, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა თუ ორგანიზაციული მოწყობისა.

გერმანული სასამართლო პრაქტიკაც სწორედ აღნიშნულ მიდგომას იზიარებს და უგულებელყოფს ეკონომიკური აგენტის ინსტიტუციონალურ გაგებას.[65] გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.[66] ფედერალური სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გერმანიის კონკურენციის კანონმდებლობა ეფუძნება ეკონომიკური აგენტის თვითმყოფად ფუნქციონალურ ცნებას, რაც გულისხმობს, რომ სუბიექტის ეკონომიკური აგენტის ხარისხში ასაყვანად საკმარისია სახეზე იყოს ნებისმიერი სახის აქტიური და დამოუკიდებელი ჩართულობა ეკონომიკურ ბრუნვაში.[67]

დროთა განმავლობაში მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაშიც დამკვიდრდა ეკონომიკური აგენტის ცნების მიმართ ფუნქციონალური მიდგომა და მისი დეფინიცია მჭიდროდ დაუკავშირდა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას. გერმანიის ფედერალური სასამართლოს მსგავსად, მართლმსაჯულების სასამართლომაც ეკონომიკური აგენტი განმარტა, როგორც ეკონომიკურ საქმიანობის განმახორციელებელი პირი.[68] მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, სწორედ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება წარმოადგენს კონკრეტული სუბიექტის ეკონომიკური აგენტის ხარისხში აყვანის უმთავრეს წინაპირობას.[69]

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართველი კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური აგენტის ცნების ლეგალური დეფინიციაც

---

[65] იქვ. Rn. 30.
[66] NJW 1962 196.
[67] BGH Urt. v. 05.05.1981, KZR 9/80, §. 5.
[68] ECLI:EU:C:1984:271, *„Hydrotherm"* Case 170/83, 12.07.1984, § 11; ECLI:EU:C:1991:161, *„Klaus Höfner"* Case C-41/90, 23.04.1991, § 21.
[69] ECLI:EU:C:1993:63, *"Christian Poucet,"* Joined cases C-159/91 and C-160/91, 17.02.1993, § 17; ECLI:EU:C:1994:7, *"Sat Fluggesellschaft,"* Case C-364/92, 19.01.1994, § 18; ECLI:EU:C:1997:603, *"Job Centre"* Case C-55/96, 11.12.1997, § 21; ECLI:EU:C:2000:428 *„Pavlov"* Joined Cases C-180/98 to C-184/98, 12.09.2000, § 74; ECLI:EU:C:2002:98 *"Wouters"* Case C-309/99, 19.02.2002, § 47.

უმეტესწილად ფუნქციონალურ მიდგომას ეფუძნება. 2020 წელს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ეკონომიკური აგენტის ცნება ქართულ რეალობაშიც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას დაუკავშირდა. კანონის არსებული რედაქციის მე-3 მუხლში მოცემული განმარტების მიხედვით, ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებამდე ეკონომიკური აგენტის ცნების უმთავრეს ელემენტს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება წარმოადგენდა, რაც ეკონომიკური საქმიანობისგან განსხვავებით უფრო ვიწრო ცნებაა. აქედან გამომდინარე, მსგავსი მიდგომა მნიშვნელოვნად ავიწროებდა ეკონომიკური აგენტის ცნების შინაარსობრივ ფარგლებს. აღნიშნულმა კი განაპირობა ეკონომიკური აგენტის ცნების საკანონმდებლო დეფინიციის ცვლილების აუცილებლობა.

1.2. ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური აგენტის მოცემული განმარტება, თავის მხრივ, საჭიროებს საკუთრივ ეკონომიკური საქმიანობის შინაარსის განსაზღვრასაც, რათა უფრო ზუსტად დადგინდეს თუ კონკრეტულად რა სახის საქმიანობის განხორციელებისას უნდა ჩაითვალოს პირი ეკონომიკურ აგენტად. მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნულ კონტექსტში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება გულისხმობს ბაზარზე საქონლისა და/ან მომსახურების ნებისმიერი სახით მიწოდებას.[70] შესაბამისად, მართლმსაჯულების სასამართლო არ ღალატობს ჩვეულ პრაქტიკას და კონკურენციის სამართლის ნორმების განმარტებისას მაქსიმალურად აფართოებს რელევანტური ცნებებისა თუ ტერმინების შინაარსს, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნეს კონკურენციის სამართლის მოქმედების ფარგლებში ყველა ისეთი ქმედების მოქცევა, რომელსაც შესწევს კონკურენციის შეზღუდვის უნარი და მინიმალური შესაძლებლობა.[71]

ამასთან, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისათვის არარელევანტურია მისი

[70] ECLI:EU:C:2000:428 *„Pavlov"* Joined Cases C-180/98 to C-184/98, 19.02.2002, § 75; ECLI:EU:C:1987:283, *„Commission v Italy"* Case C-118/85, 16.06.1987, § 7; ECLI:EU:C:1998:303, *„Commission v Italy"* Case C-35/96, 18.16.1998, § 36.

[71] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.27.

ეკონომიკური თუ კომერციული მიზნები იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური აგენტის ცნების წინაპირობას მოგების მიღების განზრახვა არ წარმოადგენს.[72] იმისათვის რომ სახეზე იყოს ეკონომიკური საქმიანობა, მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების მიზანს.[73] თუმცა მოგებაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელებისას, პირი ყოველთვის უნდა ჩაითვალოს ეკონომიკურ აგენტად. გარდა ამისა, ანაზღაურების სანაცვლოდ ნებისმიერი საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებაც მიჩნეულ უნდა იქნეს ეკონომიკურ საქმიანობად.[74] ხოლო, იმ შემთხვევაში თუ სახეზეა საქონლის ან მომსახურების მიწოდება ანაზღაურების გარეშე, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების ანაზღაურების სანაცვლოდ მიწოდება ან სხვა სუბიექტები ახორციელებენ თუ არა იმავე საქმიანობას ანაზღაურების სანაცვლოდ.[75]

ეკონომიკური აგენტის ცნების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირება და საკუთრივ ეკონომიკური საქმიანობის ფართო განმარტება ემსახურება კონკურენციის სამართლის მიზნების მიღწევას. როგორც წესი, სადავო ქმედების განმახორციელებელი სუბიექტის იდენტიფიცირება კონკურენციის სამართლის დარღვევის შეფასების პროცესის საწყის ეტაპზე ხდება. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდო დარღვევა ვლინდება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა თუ არაკეთილსინდისიერ კონკურენტულ ქმედებაში, სამართლებრივი კვალიფიკაციის საწყის ეტაპზე უნდა დადგინდეს, თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული ქმედების განმახორციელებელი სუბიექტი ეკონომიკურ აგენტს. შესაბამისად, კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისათვის აუცილებელი უმთავრესი ამკრძალავი ნორმების ამოქმედება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია სწორედ კონკრეტული სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევაზე.

კონკურენციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებისათვის აუცილებელია, რომ კონკურენციის სამართალი ვრცელდებოდეს ნებისმიერ იმ

---

[72] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 69.

[73] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.28.

[74] ECLI:EU:C:2000:428 *„Pavlov"* Joined Cases C-180/98 to C-184/98, 19.02.2002, § 76 ; ECLI:EU:C:1998:303, *„Commission v Italy"* Case C-35/96, 18.16.1998, § 37; ECLI:EU:C:2002:98 *"Wouters"* Case C-309/99, 19.02.2002.

[75] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 14.

ქმედებაზე, რომელსაც შესწევს უნარი რაიმე ფორმით ზეგავლენა მოახდინოს ბაზარზე არსებულ კონკურენციის პროცესზე. შესაბამისად, თუ კონკურენციის სამართლის მიზანია ეკონომიკურ ცხოვრებაში კონკურენციის შეზღუდვის შემთხვევების ფართო სპექტრზე რეაგირება, მაშინ ეკონომიკური აგენტის ცნებაც მაქსიმალურად ფართოდ უნდა განიმარტოს. ამისათვის კი აუცილებელია კანონმდებლობა იძლეოდეს ეკონომიკური აგენტის ცნების ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და იგი მაქსიმალურად აერთიანებდეს ყველა იმ სუბიექტს, რომელიც კონკრეტული საბაზრო ქმედების განხორციელების გზით ნეგატიურ გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურასა თუ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე.

1.3. ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნება

ეკონომიკური აგენტის ცნების ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირება, თავის მხრივ, დამატებით ბუნდოვანებას წარმოშობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოცულობით, მასშტაბით ან პერიოდულობით უნდა იყოს დაკავებული შესაბამისი სუბიექტი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებით იმისათვის, რათა იგი მიჩნეულ იქნეს ეკონომიკურ აგენტად. აღნიშნული საკითხის პრობლემურობა განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთი და იგივე სუბიექტი ეკონომიკური საქმიანობის პარალელურად ასევე ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას.

ამ პრობლემური საკითხის გადაჭრა შესაძლებელია მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, სადაც აღიარებულია მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული სუბიექტი შესაძლოა ერთ შემთხვევაში მოქმედებდეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და არ წარმოადგენდეს ეკონომიკურ აგენტს, ხოლო სხვა შემთხვევაში შესაძლოა ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას და იგი მიჩნეულ იქნეს ეკონომიკურ აგენტად.[76] შესაბამისად, ერთი და იგივე სუბიექტი შესაძლებელია ერთ შემთხვევაში წარმოადგენდეს ეკონომიკურ აგენტს, ხოლო

[76] ECLI:EU:C:1987:283, *„Italy v Commission“* Case C-118/85, 16.06.1987, § 7.

სხვა შემთხვევაში - არა.[77] სწორედ ამ ფაქტში ვლინდება (ფუნქციონალური გაგებით) ეკონომიკური აგენტის რელატიური ანუ არააბსოლუტური ხასიათი.[78]

მართლმსაჯულების სასამართლოს ზემოთ აღნიშნული განმარტებიდან, ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური აგენტის ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელ სადავო ქმედებასთან, რომელიც შესაძლოა გამოხატული იყოს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილეობასა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში.

პრაქტიკაში შესაძლოა მოხდეს შემთხვევა, როდესაც კონკრეტული სუბიექტის გარკვეული ქმედება აკმაყოფილებდეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისათვის აუცილებელ გარკვეულ წინაპირობებს. თუმცა თუ ამ ქმედების განხორციელებისას ეს სუბიექტი მოქმედებს არა როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის, არამედ როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი, მაშინ იგი ამ ქმედების ფარგლებში ვერ ჩაითვლება ეკონომიკურ აგენტად.[79] შესაბამისად, არც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება და არც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა იქნება ასეთ დროს სახეზე. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახეზეა ისეთი ქმედება/საქმიანობა, რომელიც თავისი მიზნების, არსისა და ამ ქმედების/საქმიანობის საფუძვლად არსებული ნორმების გათვალისწინებით, დამახასიათებელია სახელმწიფო ორგანოებისთვის.[80]

ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნება და მისი ფუნქციონალური გაგება მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტული სუბიექტის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. თუმცა, მისი რელატიურობა და ფუნქციონალური განმარტება განსხვავებული შინაარსის მატარებელია და სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. როგორც აღინიშნა, ფუნქციონალური გაგების მიხედვით, ეკონომიკური აგენტის ცნების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს სუბიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა, რაც ევროპულ პრაქტიკაში გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობას, ხოლო ქართულ რეალობაში -

---

[77] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 68; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.30.

[78] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 10, 12.

[79] ECLI:EU:C:2002:98 *"Wouters,"* Case C-309/99, 19.02.2002, § 57.

[80] ECLI:EU:C:1994:7, *„SAT Fluggesellschaft mbH v Eurocontrol"* Case C-364/92 § 30.

სამეწარმეო საქმიანობას. ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნება კი ვლინდება იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში განმსაზღვრელია არა სუბიექტის ჩვეულებრივი საქმიანობა, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული სადავო ქმედების შინაარსი. შესაბამისად, შეიძლება პირი ჩვეულებრივ ეწეოდეს ეკონომიკურ/სამეწარმეო საქმიანობას, თუმცა კონკრეტული სადავო ქმედება არ წარმოადგენდეს მსგავსი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებას, რის გამოც იგი არ ჩაითვლება ეკონომიკურ აგენტად და პირიქით - შეიძლება პირი ჩვეულებრივ არ ეწეოდეს ეკონომიკურ/სამეწარმეო საქმიანობას, თუმცა, კონკრეტული სადავო ქმედება წარმოადგენდეს მსგავსი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებას, რის გამოც იგი ჩაითვლება ეკონომიკურ აგენტად.

ეკონომიკური აგენტის მსგავსი რელატიური ბუნება განაპირობებს და უზრუნველყოფს კონკურენციის სამართლის მოქნილობას და მისი ეფექტიანი აღსრულების დამატებით შესაძლებლობას. აღნიშნულის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტის არსებობის/არარსებობის დადგენა დამოკიდებულია არა სუბიექტის ჩვეულებრივ საქმიანობაზე, არამედ კონკრეტული სადავო ქმედების შინაარსზე. ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნების აღიარება უზრუნველყოფს კონკურენციის სამართლის ამკრძალავი ნორმებისთვის მოქმედების მაქსიმალურად ფართო არეალის უზრუნველყოფას და მისი ფარგლების ქვეშ ყველა ისეთი ქმედების თავმოყრას, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში და შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის.

1.4. შემძენი, როგორც ეკონომიკური აგენტი

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მრავალმხრივ და მრავალფეროვან სამყაროში განსაკუთრებულ შემადგენლობას ქმნის შემთხვევა, როდესაც მეწარმე სუბიექტთა კოორდინაციის საგანია არა საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაციის წესებისა დადგენა, არამედ ნედლეულისა თუ სხვა სახის პროდუქტების შეძენის პირობების განსაზღვრა თუ ამ პირობებზე შეთანხმება. ამ შემთხვევაში შესაბამისი სუბიექტები მოქმედებენ არა როგორც საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლები,

არამედ როგორც შემძენები. მსგავსი შინაარსის კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მოქმედებენ ასეთ დროს ეს სუბიექტები ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში და შესაბამისად, რამდენად არის შესაძლებელი მათი ეკონომიკურ აგენტად მიჩნევა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკონომიკური აგენტის ცნების მიზნებისათვის ეკონომიკური საქმიანობა გულისხმობს შესაბამის ბაზარზე საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებას. ამ შემთხვევაში პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ მსგავსი შეთანხმება ეხება არა პროდუქტის მიწოდების, არამედ შეძენის პირობების დადგენას.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, კონკურენციის სამართალი იცავს არა მარტო მიწოდების, არამედ მოხმარების კონკურენციასაც (*"Nachfragewettbewerb"*).[81] მოხმარების ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება გარკვეული საქონლისა თუ მომსახურების შეძენა არა საკუთარი, პირადი საჭიროებისათვის, არამედ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მისი შემდგომი გადაყიდვის ან გადამუშავებისა და გადამუშავებული პროდუქციის რეალიზების მიზნით. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მოიძებნება არაერთი გადაწყვეტილება, როდესაც ისეთ სუბიექტებს შორის შეთანხმება, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებდნენ გარკვეული საქონლისა თუ მომსახურების შეძენას და ადგენდნენ მასთან დაკავშირებულ პირობებს დაკვალიფიცირდა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევად.[82]

მეწარმე სუბიექტებთან ერთად საბაზრო პროცესების მნიშვნელოვან მონაწილეებს საბოლოო მომხმარებლებიც წარმოადგენენ და შესაძლოა მათმა ქმედებებმაც იქონიონ გარკვეული გავლენა შესაბამისი ბაზრის სტრუქტურასა თუ ეკონომიკურ მოცემულობაზე. აღნიშნულის მიუხედავად, ეკონომიკური აგენტის ცნება არ აერთიანებს საბოლოო მომხმარებელს. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პირადი მოხმარებისთვის შესაბამის ბაზარზე პროდუქტის შეძენა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის სამართლის დაცვის უმთავრესი ობიექტია თავისუფალი ეკონომიკური კონკურენცია. ეკონომიკური

[81] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 13.

[82] BGH, Urteil vom 12. 11. 2002 - KZR 11/01; OLG Düsseldorf, Urteil vom 12. 5. 1998 - U (Kart) 11/98; BGH, Urteil vom 16. Juni 2015 – KZR 83/13.

კონკურენცია კი ყალიბდება ისეთ სუბიექტებს, შორის, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას.

1.5. ბაზარზე მონაწილეობის ფორმა

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების კონტექსტში ეკონომიკური აგენტის ცნებისა და მახასიათებლების ანალიზის პროცესში ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია იმ სუბიექტის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევა, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება არ ატარებს მუდმივ ხასიათს ან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების დადების მომენტში საერთოდ არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. ამ შემთხვევაში მთავარი ამოსავალი წერტილია, ცალკეული ქმედება რამდენად უკავშირდება ამ სუბიექტის ეკონომიკურ საქმიანობას ან რამდენად არის ეს ქმედება განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში. შესაბამისად, გარდა იშვიათ საგამონაკლისო შემთხვევებისა, ასეთ დროს მსგავსი სუბიექტი მაინც მიიჩნევა ეკონომიკურ აგენტად.

განსახილველი საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა მნიშვნელოვან შესაძლებლობას მისცემდა ეკონომიკურ აგენტებს გვერდი აევლოთ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმისათვის. კერძოდ, საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტებს ექნებოდათ შესაძლებლობა კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადების მომენტში შეეწყვიტათ ეკონომიკური საქმიანობა და დადების შემდეგ კვლავ განეახლებინათ.

იგივე რისკები იქნებოდა სახეზე ისეთ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის ბაზარზე შესვლით დაინტერესებული სუბიექტი ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე დაამყარებდა კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციას ბაზარზე უკვე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებთან და მხოლოდ ამის შემდეგ შევიდოდა იგი ამ ბაზარზე. სწორედ ამ უკანასკნელი შემთხვევის პრევენციას ემსახურება პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტისა და პოტენციური კონკურენციის ცნებების არსებობა კონკურენციის სამართალში. ასეთ დროს კონკრეტული სუბიექტის ეკონომიკური

აგენტის ხარისხში ასაყვანად საკმარისია სახეზე იყოს იმის შესაძლებლობა, რომ იგი დაიწყებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას.[83]

1.6. კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი

კონკურენციის სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ცნებებს. ქართველი კანონმდებელი კანონის ტერმინთა განმარტებაში აღნიშნული ცნებების საკანონმდებლო დეფინიციებსაც კი გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ნათლად ირკვევა თუ რა განსხვავებაა კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების სამართლებრივ კატეგორიებს შორის.

კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი პოტენციურ კონკურენტი ეკონომიკურ აგენტად მოიაზრებს ისეთ ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა, რომ შევიდეს შესაბამის ბაზარზე. ხოლო მას შემდეგ, რაც პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი შევა შესაბამის ბაზარზე იგი უშუალოდ ერთვება ამ ბაზარზე უკვე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებთან პირდაპირ კონკურენციაში. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის ბაზარზე შესვლამდე პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი უშუალო კონკურენციას არ უწევს ამ ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს, კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი მას მაინც მიიჩნევს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად. იგივე მიდგომას ვხვდებით ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალში.[84] აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები კონკურენტულ წნეხს განიცდიან არა მარტო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან, არამედ ამ ბაზარზე შესვლით დაინტერესებული სუბიექტებისაგან. პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან მომდინარე კონკურენტული წნეხი კი ვლინდება იმ საფრთხეში, რომ ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ახალი ეკონომიკური აგენტის შემოსვლით გარკვეულწილად დაკარგავენ საბაზრო პოზიციებს ახალი ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ. შესაბამისად, პოტენციური

[83] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 24.

[84] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 10.

კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან მომდინარე კონკურენტული წნეხი ბაზარზე უკვე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს უბიძგებს გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც არ გამოიწვევს მათი მომხმარებლების გადადინებას ახალი ეკონომიკური აგენტის კალათაში. ამდენად, პოტენციური ეკონომიკური აგენტი გულისხმობს ცალკეულ შესაბამის ბაზარზე შესვლის დასაბუთებული განზრახვის მქონე ეკონომიკურ აგენტს. ხოლო კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა, როგორც ცალკეულ შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტი, ასევე ამ ბაზარზე შესვლის დასაბუთებული განზრახვის მქონე ეკონომიკური აგენტი.

შესაძლოა რამდენიმე კომპანია ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე ოპერირებდეს, თუმცა ისინი მაინც არ ჩაითვალონ ერთმანეთის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებად. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეს კომპანიები აყალიბებენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს, რის შედეგადაც ისინი ერთ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა.[85]

აღსანიშნავია, რომ პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ცნების კანონში მოცემული ლეგალური დეფინიცია გარკვეულ ბუნდოვანებებს ქმნის. კერძოდ, ქართველი კანონმდებელი პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ცნებას უკავშირებს შესაბამის ბაზარზე შესვლის დასაბუთებულ განზრახვას, რაც ძალზე აბსტრაქტული ტერმინია და რთულია მისი შინაარსისა თუ მახასიათებლების ზუსტი განსაზღვრა. თუმცა განმარტების პროცესში შესაძლებელია გაზიარებულ იქნეს ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული მიდგომები, რომელიც პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ცნების შინაარსობრივ ასპექტებთან მიმართებით უფრო ნათელ სურათს ქმნის.

ევროკომისიის პრაქტიკის მიხედვით, სუბიექტის პოტენციური ეკონომიკური აგენტის ხარისხში ასაყვანად მხოლოდ შესაბამის ბაზარზე შესვლის სურვილის არსებობა არ არის საკმარისი. ერთ-ერთ სახელმძღვანელო დოკუმენტში ევროკომისია განმარტავს, რომ ცალკეული სუბიექტი სხვა კომპანიის პოტენციურ კონკურენტად მიიჩნევა ისეთ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის ბაზარზე მოქმედი კომპანიის მიერ პროდუქტის ფასის მცირე, თუმცა პერმანენტული ზრდის შემთხვევაში მას შესწევს იმის უნარი, რომ დროის

[85] ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინასთან დაკავშირებით დაწვ. იხ. თ. III, ქვთ. 5.

მოკლე პერიოდის განმავლობაში აუცილებელი დამატებითი ინვესტიციებისა თუ სხვა სახის საქმიანობაზე გადართვისთვის საჭირო დანახარჯების განხორციელების შედეგად იგი შევა შესაბამის ბაზარზე.[86] დასახელებული ელემენტების შეფასება კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეალურ ეკონომიკურ თუ სამართლებრივ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს და არა უბრალო თეორიულ ვარაუდებსა და შესაძლებლობებს.[87]

2. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია

2.1. ზოგადი მიმოხილვა

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ადრესატებზე საუბრისას ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ცნება და მისი შინაარსობრივი ასპექტები. აღნიშნულის აუცილებლობა გამომდინარეობს როგორც კანონის მე-7, ისე TFEU 101-ე და GWB-ის პირველი მუხლების დისპოზიციიდან. თუმცა სანამ უშუალოდ შესაბამისი ნორმების შინაარსი იქნება განხილული მიზანშეწონილია მოკლედ იქნეს მიმოხილული ის უზოგადესი საფუძვლები, რომლებმაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ ნორმებში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის სპეციალური სუბიექტის ხარისხში აყვანა განაპირობა.

თანამედროვე ეკონომიკურ რეალობაში მოულოდნელობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტები აყალიბებენ გარკვეულ ასოციაციებსა თუ კავშირებს, რომელთა მიზანია საერთო ინტერესების დაცვა, სახელმწიფო ორგანოების წინაშე გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი პოზიციის დაფიქსირება, ლობიზმი და ა. შ. სამეწარმეო ასოციაციების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მასში გაერთიანებული სუბიექტების საერთაშორისო ურთიერთობების ხელშეწყობისა და საზღვარგარეთ მათი ეკონომიკური ინტერესების დაცვისა და წარმოდგენის კუთხით. ხშირად ადგილი ასევე აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მეწარმეთა გაერთიანებების ჩამოყალიბება სახელმწიფოს მიერ ხდება. ქართულ რეალობაში აღნიშნულის ნათელი მაგალითია საქართველოს სავაჭრო-

[86] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 10.
[87] იქვ.

სამრეწველო პალატა, რომელიც „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე არის შექმნილი და ქვეყნის მასშტაბით აერთიანებს ათასზე მეტ მეწარმე სუბიექტს. მსგავსი კომერციული კავშირების ჩამოყალიბება, თავის მხრივ, თანამედროვეობის მონაპოვრად ნაკლებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მეწარმეთა სხვადასხვა სახის გაერთიანებები ვაჭრობისა და ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად ყალიბდებოდა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კონკრეტული სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ცხოვრებაში. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს „ჰანზას“ (*“Hanse”)* სახელით ცნობილი სავაჭრო გაერთიანებები, რომელთა ფორმირება XII-XVII საუკუნეებში ჩრდილოეთ გერმანიაში ხდებოდა.

კომერციული კავშირები თუ ასოციაციები სხვადასხვა სიკეთეებთან ერთად ეკონომიკური აგენტების მიერ ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კონკურენციის შეზღუდვის მიზნით. აღნიშნულს კი, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ის ფაქტი, რომ იგი ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის გამარტივებას უწყობს ხელს. მეწარმეთა ასოციაციების სახით შესაძლოა შეიქმნას ეფექტიანი პლატფორმა კონკურენტებს შორის სენსიტიური ინფორმაციის გაცვლისა თუ კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა და შედეგის მქონე სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის საერთო გეგმების ფორმირებისა და განხორციელებისათვის.

გარდა ამისა, მეწარმეთა გაერთიანებები ხშირ შემთხვევაში აღჭურვილნი არიან უფლებამოსილებებით მიიღონ მათი წევრი სუბიექტებისათვის მბოჭავი ხასიათის გადაწყვეტილებები. ასეთი გაერთიანების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ასევე შესაძლოა ჰქონდეს სარეკომენდაციო ხასიათი. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონკურენციის სამართლის ჭრილში საინტერესოა იმ კუთხით, რომ მან შესაძლოა ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე იგივე ეფექტი იქონიოს, რაც კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებულ ქმედებებს გააჩნიათ. აღნიშნულის პრევენცია კი კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ქართველმა კანონმდებელმა კანონის მე-7 მუხლის დისპოზიციაში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას სპეციალური ადგილი დაუთმო. ეკონომიკურ აგენტთა

ასოციაციის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილებების აკრძალვას განსაკუთრებული ადგილი ასევე ეთმობა როგორც GWB-ის პირველ, ასევე TFEU 101-ე მუხლებში.

2.2. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია, როგორც აკრძალვის სპეციალური სუბიექტი

ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის არსის ნათლად წარმოსაჩენად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ფარგლებში ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის სამი აკრძალული ფორმა - კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება და გადაწყვეტილება.[88] კანონის მე-7 მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება და გადაწყვეტილება) მიღწევა აკრძალულია როგორც ეკონომიკურ აგენტებს შორის, ასევე ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, TFEU 101-ე მუხლი კრძალავს ხელშეკრულებებს ეკონომიკურ აგენტებს შორის, შეთანხმებულ ქმედებებსა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილებებს.[89] ზუსტად ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით GWB-ის პირველ მუხლში.[90] TFEU 101-ე და GWB-ის პირველი მუხლებით კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიღება ეკრძალება ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას და აღნიშნული ნორმები არ საუბრობენ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებზე, მიღებულ გადაწყვეტილებებსა თუ განხორციელებულ შეთანხმებულ ქმედებებზე. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გერმანული და ევროპული მოდელები ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას სიტყვასიტყვით მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიღებას უკავშირებენ. შესაბამისად, მაშინ, როდესაც კანონის მე-7 მუხლი უშვებს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადების,

---

[88] კოორდინაციის ფორმებთან დაკ. დაწვ. იხ. თ. III.

[89] "…all agreements between undertakings, decisions by associations of undertakings and concerted practices…" / "Vereinbarungen zwischen Unternehmen, Beschlüsse von Unternehmensvereinigungen und aufeinander abgestimmte Verhaltensweisen..."

[90] "...Vereinbarungen zwischen Unternehmen, Beschlüsse von Unternehmensvereinigungen und aufeinander abgestimmte Verhaltensweisen…"

შეთანხმებული ქმედების განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში, გერმანულ და ევროპულ რეალობაში ასოციაციისთვის რელევანტურია კოორდინაციის მხოლოდ ერთადერთი ფორმა - გადაწყვეტილება. სხვაგვარად, რომ ითქვას, ევროპული და გერმანული მიდგომით ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას ეკრძალება კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ეკონომიკური აგენტებისთვის დაუშვებელია კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადება და შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობა (გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია მოქმედებს, როგორც ეკონომიკური აგენტი[91]). აღნიშნული ასევე პირდაპირ გამომდინარეობს TFEU 101-ე მუხლით დადგენილი აკრძალვებიდან დაშვებული გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო მითითებებიდან, სადაც ხაზგასმულია, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებები შეიძლება დაიდოს და შეთანხმებული ქმედება განხორციელდეს ეკონომიკურ აგენტებს შორის, ხოლო კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნეს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ.[92]

აღნიშნული გადმოსახედიდან გაუგებარია, თუ რას გულისხმობს ქართველი კანონმდებელი ასოციაციის ფარგლებში განხორციელებული ქმედების ქვეშ. ერთი შეხედვით შეიძლება დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ მიდგომით ფართოვდება კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლები და იგი ეკონომიკურ აგენტებს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებში მონაწილეობას უკრძალავს როგორც დამოუკიდებლად, ასევე კონკრეტული ასოციაციის ფარგლებში. თუმცა მსგავსი მიდგომის აუცილებლობა ასეთ დროს არ დგას, ვინაიდან ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადებისა და შეთანხმებული ქმედების განხორციელების ზოგადი აკრძალვა ისედაც გულისხმობს როგორც დამოუკიდებლად,

[91] ასოციაციის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 2.4.

[92] CC., Notice, Guidelines on the application of Article 81(3) of the Treaty (2004/C 101/08), § 14 – "The prohibition rule of Article 81(1) applies to restrictive agreements and concerted practices between undertakings and decisions by associations of undertakings…"

ასევე კონკრეტული ასოციაციის ფარგლებში, მათი ჩამოყალიბების დაუშვებლობას. შესაბამისად, ამ კუთხით ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა თუ განხორციელებული შეთანხმებული ქმედების აკრძალვის დაკონკრეტების აუცილებლობა დღის წესრიგში არ დგას.[93]

ნორმის ხარვეზი ასევე მდგომარეობს იმაში, რომ კანონის მე-7 მუხლი ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში არა მარტო კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულების დადებასა თუ შეთანხმებული ქმედების განხორციელებას კრძალავს, არამედ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიღებასაც. ამ შემთხვევაში გაუგებარია თუ უშუალოდ ვის მიერ ხდება მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, ვინაიდან კანონის მე-7 მუხლში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე არის საუბარი. თუ ჩავთვლით, რომ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში ამ ასოციაციის წევრი ეკონომიკური აგენტები იღებენ კონკურენციის შემზღუდველ გადაწყვეტილებას, მაშინ ისევ ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებამდე მივდივართ, ვინაიდან ასეთ დროს ავტომატურად კმაყოფილდება კოორდინაციის ამ ფორმის (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება) წინაპირობები.[94] აქედან გამომდინარე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში ამ ასოციაციის წევრი ან სხვა ეკონომიკური აგენტები იღებენ კონკურენციის შემზღუდველ გადაწყვეტილებებს, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილება ავტომატურად დაკვალიფიცირდება კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად. ამ კუთხით კანონის მე-7 მუხლის ჩანაწერის შინაარსი არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში საკუთრივ ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადების, შეთანხმებული ქმედების განხორციელების ან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ რატომ საუბრობს ქართველი

[93] *შეად.* სკსგ, 09.03.2021, ბრძ. N04/31, *„შპს „X და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე,“* 38.
[94] კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. III, ქვთ. 3.

კანონმდებელი ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ განხორციელებული ქმედების ნაცვლად ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებაზე.

ამ საკითხთან მიმართებით ძალზე საინტერესოა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე, რომელიც ეხებოდა ეკონომიკურ აგენტთა ერთ-ერთი ასოციაციის წევრების მიერ ერთმანეთში დადებულ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას, რომლის შემდგომი განვრცობა მოხდა საკუთრივ ასოციაციის გადაწყვეტილებითა და რამდენიმე დამატებითი ხელშეკრულებით.[95] კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, რომელიც მართლმსაჯულების სასამართლომ ძალაში დატოვა, სამართალდარღვევის სახით დადგენილი იყო როგორც ასოციაციის წევრ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, ისე ასოციაციის გადაწყვეტილების არსებობა. აღნიშნულის შედეგად კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის სანქცია დაეკისრა, როგორც უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, ისე ეკონომიკურ აგენტთა შესაბამის ასოციაციას.[96]

მოცემულ საქმეზე მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროკომისიის მიერ განვითარებული მიდგომები მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში ამ ასოციაციის წევრებმა შესაძლოა ასოციაციისგან დამოუკიდებლად მიიღონ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილებები, რაც თავისი არსით, წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას. ხოლო ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია სამართალდარღვევის სუბიექტად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთრივ ეს ასოციაცია იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის შედეგი ან მიზანი კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვაა.

კანონის მე-7 მუხლისაგან განსხვავებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, TFEU 101-ე და GWB-ის პირველ მუხლებში საუბარია, არა ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში განხორციელებულ კოორდინაციაზე, არამედ საკუთრივ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე (TFEU 101-ე მუხლი – *„decisions by*

[95] ECLI:EU:C:1989:301, *"SC Belasco,"* Case 246/86 11.07.1989, §§ 3-9.
[96] იქვ. § 7.

associations of undertakings" / *„Beschlüsse von Unternehmensvereinigungen";* GWB-ის პირველი მუხლი - *"Beschlüsse von Unternehmensvereinigungen"*). ამდენად, გერმანულ და ევროპულ რეალობაში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს და შესაბამისი ნორმის უშუალო ადრესატს. ქართულ რეალობაში კი მსგავსი მიდგომა კანონის მე-7 მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს, რაც აღნიშნული ნორმის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ კანონის მე-7 მუხლი TFEU 101-ე და GWB-ის პირველ მუხლებში განვითარებული მიდგომების შესაბამისად განიმარტოს. ამდენად, კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების სუბიექტად მიჩნეულ უნდა იქნეს მხოლოდ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია, ხოლო კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების სუბიექტად - ეკონომიკური აგენტი. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს, ეკონომიკური აგენტთან ერთად, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის სახით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის სპეციალური ადრესატის ცნებისა და მახასიათებლების განხილვის აუცილებლობას.

2.3. ცნება და წინაპირობები

i. ზოგადი შინაარსობრივი ასპექტები

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, კონკურენციის სამართალში მოქმედებს ავტონომიურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სამართლის ამ სფეროში არსებული ცნებებისა და პრინციპების ინტერპრეტაცია სამართლის სხვა დარგებისგან დამოუკიდებლად, მხოლოდ კონკურენციის კანონმდებლობის მიზნების შესაბამისად ხდება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ცნებაც ავტონომიურად უნდა განიმარტოს და აღნიშნულის შედეგად განსაზღვრული და იდენტიფიცირებული მისი შინაარსობრივი ასპექტები თუ სამართლებრივი მახასიათებლები კონკურენციის კანონმდებლობისა და უშუალოდ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის მიზნებსა და ამოცანებს უნდა პასუხობდეს.

სააგენტოსა და ქართული მართლმსაჯულების პრაქტიკაში ამ ეტაპზე არ მოიძებნება მნიშვნელოვანი განმარტება თუ პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი

იქნებოდა კანონის მე-7 მუხლით მოცული ამ მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი კატეგორიის შინაარსის განსაზღვრა. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ამ კუთხით საკმაოდ მდიდარია როგორც გერმანული, ასევე ევროპული პრაქტიკა.

ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შენარჩუნებისა და კონკურენციის ბუნებრივი პროცესის ხელოვნური შეზღუდვების პრევენციის მიზნებისათვის აუცილებელია, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმების ფარგლებში მოექცეს ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ნებისმიერი ისეთი შემთხვევა, რომლის მიზანს ან შედეგს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევის უმთავრეს საშუალებას, უპირველეს ყოვლისა, ამ ნორმით მოცული ცნებებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების მაქსიმალურად ფართო განმარტება წარმოადგენს.[97] ერთ-ერთ მსგავს ცნებას ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია წარმოადგენს, რომლის შინაარსის ფარგლებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ის, თუ ქმედებათა როგორი სპექტრი უნდა იქნეს მოაზრებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილებების ქვეშ. სწორედ ამ გარემოებებით არის განპირობებული ის, რომ ევროპულ და გერმანულ იურიდიულ დოქტრინასა თუ პრაქტიკაში, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ქვეშ პრაქტიკულად ყველა ისეთი გაერთიანება მოიაზრება, რომელთა წევრებსაც წარმოადგენენ ეკონომიკური აგენტები, ანუ ბაზრის მონაწილეთა ის კატეგორია, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებით არის დაკავებული.

პრაქტიკასა და თეორიაში, როგორც წესი, თავს იკავებენ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ცნების ჩამოყალიბებისაგან,[98] ვინაიდან მისი ფართო შინაარსისა და მრავალფეროვანი მახასიათებლებიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია აღნიშნული სამართლებრივი კატეგორიის შინაარსის ერთი უნივერსალური სამართლებრივი დეფინიციისა თუ განმარტების ქვეშ მოქცევა. ამიტომ, როგორც წესი, ამ კუთხით აქცენტი ძირითადად ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის კონკრეტულ მახასიათებლებზე კეთდება, რომელთა იდენტიფიცირება და განსაზღვრა დროთა განმავლობაში, კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე მოხდა. აქედან გამომდინარე,

[97] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.123;
[98] *Maritzen L.,* KölKom, Bd. 1, 2016, § 1 GWB, Rn. 123; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 101.

წინამდებარე ნაშრომიც უმთავრესად განსახილველი ცნების მახასიათებლებზე არის ფოკუსირებული. აღნიშნულ შინაარსობრივ ასპექტებზე დაყრდნობით კი საბოლოოდ შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ცნების დეფინიციის ჩამოყალიბება.

ii. ეკონომიკური აგენტი, როგორც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის წევრი

ზემოთ მოცემული ზოგადი მსჯელობიდან გამომდინარე დასაწყისშივე არის შესაძლებელი ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის პირველი მახასიათებლის იდენტიფიცირება. კერძოდ, აღნიშნული ტერმინიც კი თავისთავად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის აუცილებელია ცალკეული ასოციაცია აერთიანებდეს სულ მცირე ორ ეკონომიკურ აგენტს მაინც. იგივე მიდგომას ვხვდებით მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში, სადაც კონკრეტული გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად კვალიფიკაციის პროცესი იწყება იმის განსაზღვრით, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ გაერთიანების წევრების ეკონომიკურ აგენტებად მიჩნევა.[99]

კონკრეტული გაერთიანების სახით ასოციაციის არსებობისათვის არ არის აუცილებელი ეს ასოციაცია თვითონ ახორციელებდეს ეკონომიკურ საქმიანობას.[100] აღნიშნულის მიუხედავად, იგი შესაძლოა მაინც ჩაითვალოს ასოციაციად იმ შემთხვევაში, თუ ამ ასოციაციის წევრები არიან ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები, ანუ ეკონომიკური აგენტები.[101]

ამასთან, ეკონომიკურ აგენტებთან ერთად შესაძლებელია ასოციაცია ასევე აერთიანებდეს სხვა სახის სუბიექტებსაც, რომლებიც არ არიან ეკონომიკური აგენტები. თუმცა ეს ფაქტი კონკრეტული გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევის დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული იმ შემთხვევაში, თუ ამ ასოციაციას წევრად ჰყავს ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტი.[102]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ქვეშ, როგორც წესი, მოიაზრება ბიზნესასოციაციები.

---

[99] ECLI:EU:C:1998:303, *"Commission v. Italy,"* Case C-35/96, 18.06.1998, §§ 34-35.
[100] *Zimmer D.,* in Immenga/Mestmäcker GWB Kom. 3. Aufl. 2001, § 1, Rn. 74.
[101] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 45.
[102] *Zimmer D.,* in Immenga/Mestmäcker GWB Kom. 3. Aufl. 2001, § 1, Rn. 78.

თუმცა ბიზნესასოციაციებთან ერთად, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მაგალითად ასევე შესაძლოა დასახელდეს სპორტული, კულტურული, პროფესიული და სხვა სახის ისეთი კავშირები, რომელთა წევრებიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ.[103]

შესაძლებელია პრაქტიკაში ასევე არსებობდეს ისეთი გაერთიანება, რომლის წევრებიც არ არიან ეკონომიკური აგენტები. სხვაგვარად, რომ ითქვას, ასეთ დროს, ზემოთ განხილული შემთხვევისაგან განსხვავებით, საქმე ეხება ისეთ ასოციაციას, რომლის არც ერთი წევრი არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას და შესაბამისად, არ წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს. აღნიშნულის მაგალითად შესაძლოა განხილულ იქნეს მომხმარებელთა ასოციაციები, რომელთა წევრებიც არ ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, რის გამოც ისინი ვერ ჩაითვლებიან ეკონომიკურ აგენტებად. გერმანულ რეალობაში ასეთი ასოციაცია არ მიიჩნევა კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღებ პირად და იგი ამ ნაწილში არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის სუბიექტს.[104] თუმცა თუ მსგავსი ასოციაცია ახორციელებს დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას იგი აყვანილ უნდა იქნეს ეკონომიკური აგენტის ხარისხში, რაც მას ამ საქმიანობის ფარგლებში ავტომატურად აქცევს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის სუბიექტად (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების ნაწილში).[105]

iii. შიდაორგანიზაციული სტრუქტურა და სამართლებრივი ფორმა

ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციაზე მსჯელობისას ყურადღებას ასევე ამახვილებენ მის შიდაორგანიზაციულ სტრუქტურასა თუ კორპორაციულ მოწყობაზე. ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის სტრუქტურულ ორგანიზებასთან მიმართებით რაიმე სახის მკაცრად განსაზღვრული სპეციალური მოთხოვნები პრაქტიკულად არ არსებობს. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ ნორმათა მიზნებისათვის

---

[103] ECLI:EU:T:2005:22, *"Laurent Piau,"* Case T-193/02, 26.01.2005, § 69; *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 44.

[104] *Zimmer D.,* in Immenga/Mestmäcker GWB Kom. 3. Aufl. 2001, § 1, Rn. 75.

[105] ასოციაციის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 2.4.

აუცილებელია ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას შესწევდეს იმის უნარი და შესაძლებლობა, რომ რელევანტურ საკითხებთან მიმართებით მისი წევრი ეკონომიკური აგენტების კონსოლიდირებული ნება გაახმოვანოს.[106]

აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია აღჭურვილი უნდა იყოს მისი წევრი სუბიექტების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით და მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობდეს, როგორც მათი წარმომადგენელი და მათი სახელით დებდეს გარიგებებს. ამ კუთხით საკმარისად უნდა იქნეს მიჩნეული სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ სხვა სუბიექტების წინაშე მათი წევრი მეწარმე სუბიექტების ინტერესების ლობირება, ამ ინტერესების გახმოვანებისა და მათი დაცვის შესაძლებლობა, მიზანი, მოტივი და სხვა.

ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში გარკვეული გაერთიანების ასოციაციად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს თუ რის საფუძველზე არის კონკრეტული გაერთიანება შექმნილი. კერძოდ, ევროპულ რეალობაში არარელევანტურია ის ფაქტი, რომ მეწარმე სუბიექტთა გაერთიანება შესაძლოა შექმნილი იყოს არა მასში გაწევრიანებული სუბიექტების თავისუფალი ნების, არამედ კანონისა თუ სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა გამოიყენება ხელშეკრულებების, შეთანხმებული ქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიმართ და შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც არის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება მიღებული.[107] აქედან გამომდინარე, საჯარო სამართლის წიაღში წარმოქმნილი გაერთიანებაც შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებად TFEU 101-ე მუხლის გაგებით[108] (გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებს მასზე დელეგირებული საჯარო

[106] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 102.

[107] ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985, § 17; ECLI:EU:C:2000:428 *„Pavlov"* Joined Cases C-180/98 to C-184/98, 12.09.2000, § 85.

[108] ECLI:EU:T:2000:91, *"CNSD,"* Case T-513/93, 30.03.2000, § 39.

უფლებამოსილების განხორციელების მოტივით[109]). შესაბამისად, ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ასოციაცია დაფუძნებულია საჯაროსამართლებრივი ნორმების საფუძველზე.[110] გარდა ამისა, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია ასევე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ამხანაგობის სახით.[111] იგივე მიდგომას ვხვდებით გერმანულ სამართლებრივ სივრცეში, სადაც კონკრეტული გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევისათვის არარელევანტურია ამ სუბიექტის სამართლებრივი ფორმა, შიდაორგანიზაციული სტრუქტურა ადგილსამყოფელი და სხვა მსგავსი მახასიათებლები.[112]

ქართული კონკურენციის კანონმდებლობის განმარტებისას ევროპულ და გერმანულ კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული ზემოთ განხილული მიდგომების გაზიარების დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. შესაბამისად, ქართულ რეალობაში კანონის მე-7 მუხლის მიზნებისათვის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტთა გაერთიანების ასოციაციად კვალიფიკაციისათვის არარელევანტურ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ კონკრეტული გაერთიანება დაფუძნებულია კანონის ან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ამასთან, კანონის მე-7 მუხლის განმარტებისას კონკრეტული გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა ასევე არ უნდა მიენიჭოს ამ გაერთიანების სამართლებრივ ფორმასა თუ მისი ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურულ მახასიათებლებს.

---

[109] ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 2.5.

[110] ECLI:EU:C:2002:98 *"Wouters,"* Case C-309/99, 19.02.2002, § 65; ECLI:EU:C:1985:33, *"BNIC v Clair,"* Case C-123/83, 30.01.1985, § 17.

[111] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 102.

[112] *Maritzen L.,* KölKom, Bd. 1, 2016, § 1 GWB, Rn. 124.

iv. ქმედების მოტივები

ეკონომიკურ აგენტზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ ეკონომიკური აგენტის ცნება რელატიურ სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს. აღნიშნულის შესაბამისად კონკრეტული სუბიექტის ეკონომიკური აგენტის ხარისხში აყვანა დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული ქმედების ხასიათზე, შინაარსსა თუ ფორმაზე.[113] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში ზუსტად ანალოგიური თვისებებით გამოირჩევა ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციაც. მსგავსი რელატიური ბუნებიდან გამომდინარე, ერთი და იგივე სუბიექტი შესაძლებელია ერთ შემთხვევაში მოქმედებდეს, როგორც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია (კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი), ხოლო სხვა შემთხვევაში როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების სუბიექტი) ან საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი თუ სხვა სახის სუბიექტი.

როგორც წესი, ეკონომიკური აგენტები გარკვეულ გაერთიანებას ქმნიან საერთო ინტერესების დაცვის მოტივით. ამ კუთხით შესაძლოა მათი ინტერესების დაცვისა თუ ლობირების აუცილებლობა იდგეს, როგორც სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს წრეებთან სხვადასხვა შინაარსისა და მასშტაბების ურთიერთობების ფარგლებში. თუმცა ის მიზნები და მოტივები, რომელთა საფუძველზეც იქნა კონკრეტული გაერთიანება დაფუძნებული არარელევანტურია ამ გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევისათვის, ვინაიდან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია წარმოადგენს არა აბსოლუტურ, არამედ რელატიურ სამართლებრივ კატეგორიას. მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული გაერთიანების ასოციაციად მიჩნევისათვის, აუცილებელია იმის შეფასება, თუ რამდენად წარმოადგენს იგი ასოციაციას TFEU 101-ე მუხლის გაგებით მაშინ, როდესაც იგი სადავო გადაწყვეტილებას იღებს.[114] აქედან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა გარკვეული გაერთიანების ეკონომიკურ

[113] ეკონომიკური აგენტის რელატიურ ბუნებასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 1.3.
[114] ECLI:EU:C:2013:127, *"Ordem dos Técnicos Oficiais de Contas,"* Case C-1/12, 28.02.2013, § 39.

აგენტთა ასოციაციად კვალიფიკაციის პროცესში მთავარი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი ქმედების განხორციელებისას ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანების მოტივები, მიზნები თუ საფუძვლები.

აღნიშნული მოტივების ამომწურავი სპექტრის განსაზღვრა მისი მრავალფეროვნების გათვალისწინებით მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული. პრაქტიკულად შეუძლებელია იმ საფუძვლების დეტალურად განსაზღვრა, რომელიც ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებას კონკრეტული ქმედების განხორციელების პროცესში გააჩნია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი და უფრო მოსახერხებელია მსჯელობის საწყის ეტაპზე მოხდეს იმ ცალკეული შემთხვევების ანალიზი, რომელთა დროსაც ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანება არ უნდა იქნეს მიჩნეული ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გაგებით.

შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას ან საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებდეს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა ან სხვა სახის გაერთიანება მოქმედებს საკუთარი ვიწრო ეკონომიკური თუ კომერციული ინტერესების შესაბამისად, იგი აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში ჩაითვლება, დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტად[115] და არა კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღებ ასოციაციად. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც იგი კონკრეტული ქმედებით ახორციელებს მასზე დელეგირებულ საჯარო უფლებამოსილებას, იგი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის ამ ქმედების ფარგლებში არც ეკონომიკურ აგენტად და არც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.[116] სწორედ აღნიშნული მახასიათებლები უსვამს ხაზს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის რელატიურ ბუნებას. შესაბამისად, მაშინ, როდესაც კონკურენციის სამართლის ჭრილში შესაფასებელი ქმედების განხორციელებისას ეკონომიკურ აგენტთა გარკვეული გაერთიანება მოქმედებს საკუთარი, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის ან მასზე დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების

[115] ასოციაციის ეკონომიკურ აგენტად მიჩნევასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 2.4.

[116] ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 2.5.

ფარგლებში, იგი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გაგებით ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად არ უნდა იქნეს მიჩნეული.

ხოლო ის მოტივები, რომელთა შესაბამისადაც უნდა მოქმედებდეს ეკონომიკურ აგენტთა გარკვეული გაერთიანება, რათა იგი კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად იქნეს მიჩნეული, როგორც უკვე აღინიშნა, ძალზე დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თუმცა რელევანტური იურიდიული ლიტერატურისა და ევროპული თუ გერმანული პრაქტიკის გათვალისწინებით მაინც არის შესაძლებელი ამ კუთხით გარკვეული ზოგადი მახასიათებლების იდენტიფიცირება.

ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება რაც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ქმედებას გააჩნია, არის მისი წევრი ეკონომიკური აგენტების სამომავლო საბაზრო ქმედებათა ფორმისა თუ შინაარსის გარკვეული ასპექტების განსაზღვრა. შეიძლება ითქვას, რომ ქმედების ადრესატებად ამ შემთხვევაში გვევლინებიან შესაბამისი გაერთიანების წევრი ეკონომიკური აგენტები, რომელთაც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის კონკრეტული გადაწყვეტილება მიემართება.[117]

ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმისათვის რელევანტური ქმედებით გარკვეულწილად კოორდინაციაში მოჰყავს მისი წევრი ეკონომიკური აგენტების კომერციული პოლიტიკა, რაც გამორიცხავს ან ზღუდავს მათ შორის არსებულ კონკურენციას. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ განსაზღვრული მსგავსი საერთო და ჰარმონიზებული თამაშის წესები კი საბოლო ჯამში დადებითად მოქმედებს მისი წევრი ეკონომიკური აგენტების ვიწრო კომერციულ ინტერესებზე, ვინაიდან იგი მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შორის არსებულ კონკურენტულ წნეხს.

აღნიშნული საკითხები წინამდებარე ნაშრომში უფრო სიღრმისეულად განხილულია ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების ანალიზის ფარგლებში.[118] ამ ეტაპზე კი ზემოთ მოცემული მსჯელობის შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა

[117] *Maritzen L.,* KölKom, Bd. 1, 2016, § 1 GWB, Rn. 126.

[118] ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილებასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. III, ქვთ. 6.

გაერთიანება ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნეულ უნდა იქნეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ გაერთიანების მიერ განხორციელებული ქმედება მიმართულია მისი წევრი ეკონომიკური აგენტებისკენ და მართლზომიერად თუ არამართლზომიერად ემსახურება მათი ვიწრო კომერციული ინტერესების დაცვას, ან წარმოადგენს ამ ინტერესების გამოძახილს და ა. შ.[119] შესაძლოა იგი ასევე მოქმედებდეს კონკრეტული სფეროს ან პროფესიის მარეგულირებელი ორგანო, რომელიც შესაბამისი სუბიექტებისთვის საბაზრო ქმედებათა გარკვეულ სტანდარტებს ადგენს.[120] ამასთან, არ არის აუცილებელი კონკრეტული გაერთიანება თვითონ ახორციელებდეს დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას იმისათვის, რათა იგი ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად, ანუ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტად იქნეს მიჩნეული.[121]

შეიძლება ითქვას, რომ მაშინ, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანების მიერ განხორციელებული ქმედება მიმართულია მისი წევრი ეკონომიკური აგენტების სამომავლო საბაზრო ქმედებების შინაარსის, ფორმისა თუ სხვა ასპექტების განსაზღვრისაკენ, ეს გაერთიანება უდავოდ მოქმედებს, როგორც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია. თუმცა რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას ცალკეული სუბიექტის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევის შესაძლებლობა სხვა შემთხვევებშიც არ უნდა გამოირიცხოს.

v. ეკონომიკური აგენტების ასოციაციათა ასოციაცია

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში ცალკე შემთხვევას ქმნის ისეთი გაერთიანება, რომლის უშუალო წევრები არიან არა ეკონომიკური აგენტები, არამედ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციები. აღნიშნულს ადასტურებს ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა, იმასთან დაკავშირებით, რომ FIFA წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას TFEU 101-ე მუხლის გაგებით. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ მიღებული რეგულაციები შესაძლოა დაკვალიფიცირდეს, როგორც

[119] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 103.
[120] ECLI:EU:C:2002:98 *"Wouters,"* Case C-309/99, 19.02.2002, § 58.
[121] ECLI:EU:C:1980:248, *"Heintz van Landewyck SARL,"* Joined Cases 209 to 215 and 218/78, 29.10.1980, § 87.

ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ FIFA წარმოადგენდა არა ეკონომიკური აგენტების, არამედ ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების გაერთიანებას და ამ საფუძვლით იგი არ უნდა ჩათვლილიყო TFEU 101-ე მუხლით გათვალისწინებულ ასოციაციად. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, FIFA ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების გაერთიანებაა, თუმცა ეროვნული ასოციაციები, თავის მხრივ, აერთიანებენ სხვადასხვა საფეხბურთო კლუბებს და შესაბამისად, მათი წევრები წარმოადგენენ ეკონომიკურ აგენტებს. აქედან გამომდინარე, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციები მიჩნეულ იქნა ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებად. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ეკონომიკური აგენტების გაერთიანებათა გაერთიანებაც, მათ შორის, FIFA წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას TFEU 101-ე მუხლის გაგებით.[122]

იგივე მიდგომებით გამოირჩევა გერმანული კონკურენციის სამართალიც, სადაც ეკონომიკური აგენტების ასოციაციათა ასოციაციის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ნორმის უშუალო ადრესატად მიჩნევის ძირითად მიზნად აღიარებულია ამ ნორმით დადგენილი აკრძალვისაგან თავის არიდების ნებისმიერი შემთხვევის პრევენცია.[123]

2.4. ასოციაცია, როგორც ეკონომიკური აგენტი

ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის რელატიური ბუნებიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტთა ერთი და იგივე გაერთიანება ერთ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღები ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული ქმედების შეფასებისას უნდა დადგინდეს, ამ ქმედების განხორციელებისას გაერთიანების სახით საქმე ეხება ეკონომიკურ აგენტს თუ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების

[122] ECLI:EU:T:2005:22, *"Laurent Piau,"* Case T-193/02, 26.01.2005, § 69-72.
[123] *Maritzen L.,* KölKom, Bd. 1, 2016, § 1 GWB, Rn. 128.

მიმღებ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას. აღნიშნული საკითხის შეფასება კი შესაბამისი ქმედების მახასიათებლების, მისი შინაარსისა და მიზნების საფუძველზე უნდა მოხდეს.

პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანება არ მოქმედებს როგორც მხოლოდ მისი წევრი სუბიექტების ინტერესების დამცველი ორგანიზაცია. შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანება მისი უშუალო მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის გარდა, ასევე ეწეოდეს გარკვეულ ეკონომიკურ თუ სამეწარმეო საქმიანობას და ამ გზით შესაბამის ბაზარზე მოქმედებდეს საკუთარი, ვიწრო კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ დროს იგი დამოუკიდებლად ერთვება ეკონომიკურ ბრუნვაში და შესაბამის ბაზარზე მოქმედებს როგორც ბაზრის დამოუკიდებელი მონაწილე. ასეთი საქმიანობის ფარგლებში კი ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია შესაძლოა აკმაყოფილებდეს კონკრეტული სუბიექტის ეკონომიკური აგენტად მიჩნევისათვის აუცილებელ წინაპირობებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სუბიექტის ეკონომიკური აგენტის ხარისხში ასაყვანად აუცილებელია იგი ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას. ამასთან, ეკონომიკური აგენტის არსებობისთვის მნიშვნელობა არ აქვს თუ რა სამართლებრივი ფორმა თუ ორგანიზაციული მოწყობა გააჩნია კონკრეტულ სუბიექტს. აღნიშნული გადმოსახედიდან ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებაც შესაძლოა ჩაითვალოს ეკონომიკურ აგენტად იმ შემთხვევაში, თუ იგი დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას.

ეკონომიკური აგენტის რელატიური ბუნებიდან გამომდინარე, ასეთი გაერთიანება შესაძლოა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ჩაითვალოს ეკონომიკურ აგენტად.[124] ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანების ეკონომიკური აგენტის ხარისხში აყვანა კი მას ავტომატურად აქცევს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების უშუალო ადრესატად.

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაშიც მოიძებნება ისეთი საქმეები, სადაც ერთი და იგივე სუბიექტი მიჩნეულ იქნა, როგორც ეკონომიკურ აგენტად, ასევე ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად. კერძოდ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში

[124] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 103.

მართლმსაჯულების სასამართლომ კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით ორგანიზებული სუბიექტი მიიჩნია ეკონომიკურ აგენტად იმ მოტივით, რომ იგი ეწეოდა დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას.[125] ამასთან, იგივე სუბიექტი სასამართლომ ასევე ჩათვალა ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად იმდენად, რამდენადაც მისი სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით მისი წევრები შესაძლოა ფიზიკურ პირებთან ერთად ასევე ყოფილიყვნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები თუ სხვა სამართლებრივი ფორმის მქონე ისეთი სუბიექტები, რომლებიც ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას.[126]

შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებამ სხვა გაერთიანებასთან დადოს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება ან ამ უკანასკნელთან ერთად განახორციელოს შეთანხმებული ქმედება. ასეთ შემთხვევებში კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის მონაწილე უშუალო სუბიექტია ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანება, როგორც ეკონომიკური აგენტი. ამ ქმედების ფარგლებში ეს გაერთიანება მოქმედებს არა როგორც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია, არამედ როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი.

კონკურენციის სამართლის მიმართულებით ქართული პრაქტიკა, სამწუხაროდ, არ არის იმ სიმაღლეზე, რომ ასოციაციებს შორის არსებულ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასა თუ შეთანხმებულ ქმედებაზე შესაძლებელი იყოს სააგენტოს ან ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით მსჯელობა. აღნიშნული საკითხი ამ დრომდე არ გამხდარა ქართული კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყებისა თუ სასამართლოს შეფასების საგანი. ქართული რეალობისაგან განსხვავებით, მართლმსაჯულების სასამართლოს არაერთხელ მოუწია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა და ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დაადგინა კიდეც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობა.[127]

[125] ECLI:EU:T:1992:79, *"Dansk Pelsdyravlerforening,"* Case T-61/89, 02.07.1992, § 50.
[126] ECLI:EU:T:1992:79, *"Dansk Pelsdyravlerforening,"* Case T-61/89, 02.07.1992, § 50.
[127] ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985, § 20.

შესაბამისად, მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში აღიარებულია კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების სპეციალური კონსტელაცია. კერძოდ, ევროპული კავშირის რეალობაში კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს არა მხოლოდ ეკონომიკურ აგენტებს, არამედ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებს[128] ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციასა და ცალკეულ ეკონომიკურ აგენტს შორის.[129]

ზემოთ მოცემული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილებისას კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლის გაგებით მიჩნეულ უნდა იქნეს დამოუკიდებელ და თვითმყოფად ეკონომიკურ აგენტად. ასეთ დროს, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი, იგი კანონის მე-7 მუხლის უშუალო ადრესატს წარმოადგენს მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების აკრძალვის ნაწილში. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია არ მოქმედებს როგორც ეკონომიკური აგენტი, იგი კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვის უშუალო ადრესატს წარმოადგენს მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების ნაწილში.

2.5. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია, როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი

ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის სამართლებრივ ფორმასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ გარკვეული გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, თუ რის საფუძველზე არის ეს გაერთიანება შექმნილი. შესაბამისად, შესაძლოა გარკვეული გაერთიანება შექმნილი იყოს სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თუმცა მხოლოდ ეს ფაქტი ვერ იქნება ამ

[128] ECLI:EU:C:1980:248, *"Heintz van Landewyck SARL,"* Joined Cases 209 to 215 and 218/78, 29.10.1980; ECLI:EU:C:1987:235, *"ANTIB,"* Case 272/85, 20.05.1987.

[129] ECLI:EU:C:1983:310, *"NV IAZ International Belgium and others,"* Joined cases 96-102, 104, 105, 108 and 110/82, 08.11.1983.

გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევის დამაბრკოლებელი გარემოება.

აღნიშნულისაგან განსხვავებული მდგომარეობა იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებას ცალკეული სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის შესაბამისად დელეგირებული აქვს გარკვეული საჯარო უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში იგი არც საკუთარი და არც მისი წევრი ეკონომიკური აგენტების კომერციული ინტერესების დაცვისა თუ მათი გათვალისწინების მოტივით არ მოქმედებს. ასეთ დროს მისი ქმედებები ნაკარნახევია მასზე დელეგირებული საჯარო უფლებამოსილებით, რაც გამორიცხავს მსგავსი საქმიანობის ფარგლებში ამ სუბიექტის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევის შესაძლებლობას. შესაბამისად, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში კონკრეტული სუბიექტი არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის სუბიექტს და მსგავსი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები გადის კანონის მე-7 მუხლის მოქმედების სივრციდან.

აღნიშნული მიდგომა კი განპირობებულია საკუთრივ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის მიზნითა და მოტივებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავსი შეთანხმებების აკრძალვის უმთავრესი საფუძველი მდგომარეობს ეკონომიკური აგენტებისათვის სახელმწიფოს მიერ ირიბად დაკისრებული ვალდებულებისგან, საკუთარი საბაზრო ქმედებები დაგეგმონ და განახორციელონ დამოუკიდებლად, ერთმანეთთან კოორდინაციის გარეშე. აღნიშნულისაგან განსხვავებით, მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გარკვეული ქმედება ნაკარნახევია საკუთრივ სახელმწიფოს მიერ მასზე დელეგირებული საჯარო უფლებამოსილებით, ამ უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი სუბიექტის თავისუფლება და დამოუკიდებლობის ხარისხი საკუთრივ სახელმწიფოს მიერვეა მინიმუმამდე დაყვანილი და იგი მოქმედებს სახელმწიფოს „მითითებების“ შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სამართლებრივ ნონსენსამდე მიგვიყვანდა იმის დაშვება, რომ სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სუბიექტისთვის დაკისრებული ვალდებულების

შესაბამისად განხორციელებული ქმედება სახელმწიფოს მიერვე მიჩნეულიყო სამართალდარღვევად.

მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილება, რომლიც მიღებულია კონკრეტული ეკონომიკური სექტორის გარკვეული მარეგულირებელი უფლებამოსილებების მქონე ისეთი ორგანოს მიერ, რომლის წევრების უმრავლესობა წარმოადგენს საჯარო უწყებების წარმომადგენლებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქმედებს საჯარო ინტერესების შესაბამისად, სცილდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს.[130]

მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის ნორმები არ გამოიყენება ისეთ ქმედებასთან მიმართებით, რომლის ბუნება ან/და მიზანი არ ექცევა ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ან რომელიც დაკავშირებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან.[131] სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ სუბიექტზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად, შეთანხმებულ ქმედებად ან გადაწყვეტილებად.[132] შესაბამისად, ცალკეული გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევისათვის აუცილებელია დადგინდეს კონკრეტულ შემთხვევაში ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემხებლობა ეკონომიკურ საქმიანობასთან და უნდა გამოირიცხოს ამ გადაწყვეტილების საჯაროსამართლებრივი ბუნება.

ამდენად, შესაძლოა მეწარმეთა გარკვეული გაერთიანება ერთ შემთხვევაში მოგვევლინოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირად, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც საჯარო სამართლისგან დისტანცირებული სუბიექტი, რომელიც მისი წევრი სუბიექტების მიერ განხორციელებული ან განსახორციელებელი ეკონომიკური საქმიანობის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით დამოუკიდებლად

---

[130] ECLI:EU:C:2000:428 *„Pavlov"* Joined Cases C-180/98 to C-184/98, 12.09.2000, § 87.

[131] ECLI:EU:C:2013:127, *"Ordem dos Técnicos Oficiais de Contas,"* Case C-1/12, 28.02.2013, § 40; ECLI:EU:C:2002:98 *"Wouters,"* Case C-309/99, 19.02.2002, § 57; ECLI:EU:C:1993:63, *"Christian Poucet,"* Joined cases C-159/91 and C-160/91, 17.02.1993, §§ 17-19.

[132] ECLI:EU:C:1995:308, *"Centro Servizi Spediporto Srl,"* Case C-96/94, 05.10.1995, § 25.

იღებს გადაწყვეტილებებს. მაშინ, როდესაც ასოციაცია მოქმედებს, საჯარო სამართლის საფუძველზე, იგი ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და ასეთი შემთხვევა ვერ მოექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში.

2.6. შუალედური დასკვნა

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია როგორც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სუბიექტი, გამოიყენება ორი გაგებით - როგორც ეკონომიკური აგენტი (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების სუბიექტი) და როგორც კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი.

ცალკეული გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევა არ არის დამოკიდებული ამ გაერთიანების ორგანიზაციულ მოწყობაზე, სამართლებრივ ფორმასა თუ მისთვის დამახასიათებელ სხვა ინსტიტუციონალურ თვისებებზე. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია წარმოადგენს რელატიურ სამართლებრივ კატეგორიას და გარკვეული ორგანიზაციული წარმონაქმნის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ შეფასებას მოითხოვს. ამასთან, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის არსებობა კონკრეტულ შემთხვევაში გამოირიცხება თუ იგი სადავო ქმედებით ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის, ასოციაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც გაერთიანება, რომელიც არ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას და რომლის მიზანი საკუთარი წევრების ინტერესების დაცვაში მდგომარეობს. ამასთან მისი ცნების ქვეშ შესაძლოა მოექცეს ნებისმიერი სახის ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც წევრად სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტი მაინც ჰყავს, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა თუ დაფუძნების სახეებისა.[133]

[133] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 43.

III. კოორდინაციის ფორმები

1. ტერმინოლოგიური ანალიზი

კანონის მე-7 მუხლი, ხელშეკრულების, შეთანხმებული ქმედებისა და გადაწყვეტილების სახით, ერთმანეთისაგან განასხვავებს ეკონომიკურ აგენტებს შორის შესაძლო კოორდინაციის სამ ფორმას. დასახელებული ნორმა ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ფორების ერთმანეთისაგან გამიჯვნასთან ერთად, მათ აღსანიშნავად ასევე გვთავაზობს ზოგად კრებსით ტერმინ „შეთანხმებას.“ აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს კანონის მე-7 მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან, რომელიც კოორდინაციის ფორმებისა და შესაბამისი აკრძალვის დამატებითი წინაპირობების დადგენის შემდეგ იქვე აკეთებს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ქმედებები კანონის ტექსტის შემდგომ ნაწილებში მოხსენიებულია როგორც „შეთანხმება.“ ამდენად, კანონმდებელი ტერმინ „შეთანხმების“ ქვეშ აერთიანებს ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაციის ისეთ ფორმებს როგორიცაა ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება და გადაწყვეტილება. ამასთან, იქვე არის დამატებითი დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ქმედებები აკრძალულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. შესაბამისად, იმისათვის რომ ეკონომიკურ აგენტთა ზემოთ დასახელებული ქმედებები მოექცეს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში აუცილებელია მათ გააჩნდეს კონკურენციის შემზღუდველი ხასიათი.[134] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კანონის მე-7 მუხლი კრძალავს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს, რომელსაც პრაქტიკაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, შეთანხმებული ქმედებისა და გადაწყვეტილების სახით.

კოორდინაციის დასახელებულ ფორმათაგან, ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაციის ერთ-ერთ გამორჩეულ შემთხვევას წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არც ევროპული და არც გერმანული კონკურენციის სამართლის ანალოგიური ნორმებში არ

[134] კონკურენციის შეზღუდვასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. IV.

გვხვდება ტერმინი ხელშეკრულება. კერძოდ, როგორც TFEU-ის 101-ე მუხლი, ასევე GWB-ის პირველი მუხლი აღნიშნული ქმედების აღსანიშნავად იყენებს ტერმინ „შეთანხმებას“ (*"Agreement"/"Vereinbarung"*). როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ რეალობაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება უფრო ფართო ცნებაა ვიდრე კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება. სხვაგვარად რომ ითქვას, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთ სახეს.

საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ გერმანელმა კანონმდებელმა GWB-ის პირველი მუხლის სათაურად განსაზღვრა „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვა.“ ხოლო იმავე მუხლში ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაციის ფორმების დიფერენცირებისას შეთანხმებული ქმედებისა და გადაწყვეტილების გვერდით კვლავ გამოიყენა ტერმინი შეთანხმება. იქმნება ისეთი სამართლებრივი მდგომარეობა, როდესაც ტერმინი „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება,“ როგორც ზოგადი კრებსითი სამართლებრივი კატეგორია, GWB-ის პირველი მუხლის სათაურიდან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში მოიცავს კოორდინაციის სამივე ფორმას, ხოლო მეორე შემთხვევაში, აღნიშნული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, წარმოადგენს კოორდინაციის ერთ-ერთ სახეს. შესაბამისად განსახილველი საკანონმდებლო დათქმის სათაური და მუხლის დისპოზიცია შინაარსობრივად ერთმანეთთან გარკვეულ ტერმინოლოგიურ წინააღმდეგობას ქმნის.

გერმანული და ქართული კონკურენციის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, TFEU-ის 101-ე მუხლი არ შეიცავს არანაირ მითითებას ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ფორმების ზოგად კრებსით დასახელებასთან მიმართებით. თუმცა მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის სამივე ფორმის აღსანიშნავად ხშირ შემთხვევაში ტერმინი „კოლუზია“ (*"Collusion"/"Kollusion"*) გამოიყენება.[135] მაგალითად,

[135] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 106; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 63; ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 108; OJ L 74, CD 17.3.1989, § 46; Communication from the Commission, Notice, Guidelines on the application of Article 81(3) of the Treaty (2004/C 101/08), § 15; *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 192.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მართლმსაჯულების სასამართლო ხელშეკრულებასა და შეთანხმებულ ქმედებას მიიჩნევს კოლუზიის ფორმებად, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი ბუნება და ერთმანეთისაგან მხოლოდ მათი ეფექტებისა თუ შედეგების ინტენსიურობით განსხვავდებიან.[136] თუმცა ევროპულ იურიდიულ ლიტერატურაში ხშირ შემთხვევაში კოორდინაციის სამივე ფორმის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებაც.“[137] ასევე უნდა აღინიშნოს, რომ TFEU 101 მუხლთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ შემუშავებულ 2001 წლის სახელმძღვანელო დოკუმენტის პირველივე აბზაცში არის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება და გადაწყვეტილება ერთობლივად მოიხსენიება როგორც „შეთანხმება“.[138] ამასთან, ამავე აბზაცში ორჯერ არის გამოყენებული ტერმინი „შეთანხმება“ (*„agreement”*) - პირველ შემთხვევაში იგი აღნიშნავს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას, ხოლო მეორე შემთხვევაში - კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს როგორც კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას, ასევე კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებასა და გადაწყვეტილებას.[139]

შესაბამისად, გერმანული და ევროპული კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის შეიძლება ითქვას, რომ „კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას“ გააჩნია ვიწრო და ფართო გაგება. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ფართო გაგება გულისხმობს უზოგადეს სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაციის ზემოთ აღნიშნულ სამივე ფორმას აერთიანებს. ხოლო კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ვიწრო გაგების ქვეშ მოიაზრება კოორდინაციის მხოლოდ

---

[136] ECLI:EU:C:1999:356, *“Anic Partecipazioni,”* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 130; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 85;

[137] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 818. *Cucu C.,* Agreements, Decisions and Concerted practices: Key concepts in the analysis of Anticompetitive Agreements, 20 LEX ET Scientia INT’ I J. 24 (2013), 27.

[138] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 1.

[139] იქვ. § 1 - „agreements between undertakings, decisions by associations of undertakings and concerted practices (collectively referred to as ‘agreements’).”

ერთი ფორმა, რომელსაც ქართველი კანონმდებელი კანონის მე-7 მუხლში „ხელშეკრულების“ სახელით მოიხსენიებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ TFEU-ის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის *“e”* ქვეპუნქტი საუბრობს „ხელშეკრულებაზე“ (*“Contracts”/“Verträge”*) მიუხედავად იმისა, რომ ამავე მუხლის პირველი პუნქტის ზოგად ნაწილში კოორდინაციის ერთ-ერთ ფორმასთან მიმართებით, „ხელშეკრულების“ ნაცვლად, გამოყენებულია ტერმინი „შეთანხმება.“ ამ კუთხით მნიშვნელოვანია ასევე ყურადღება გამახვილდეს 1923 წლის კარტელებთან დაკავშირებულ გერმანულ დადგენილებაზე (*“Kartellverordnung”*), რომელიც ხელშეკრულებისა (*“Verträge”*) და გადაწყვეტილების სახით ერთმანეთისაგან განასხვავებდა კარტელის ორ ფორმას.[140] შესაბამისად, გერმანულ პრაქტიკაშიც მოიძებნება მაგალითი იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი ფორმის აღსანიშნავად სწორედ ტერმინი „ხელშეკრულება“ (*“Vertrag”*) გამოიყენებოდა. გარდა ამისა, გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე მახვილდება ყურადღება იმ ფაქტზე, რომ TFEU 101-ე მუხლში მოცემული ტერმინი „შეთანხმება“ (*”Vereinbarung”*) ხშირ შემთხვევაში ფარავს და ემთხვევა ევროპული კავშირის რიგი წევრი სახელმწიფოების კონკურენციის კანონმდებლობაში გამოყენებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების (*“Vertrag”*) სამართლებრივ ფიგურას.[141]

აღნიშნული გადმოსახედიდან ქართველი კანონმდებლის მიდგომა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს განსახილველი საკითხის გამართლებულ და რაციონალურ გადაწყვეტად.[142] ქართულ რეალობაში კანონმდებლობის დონეზე არის გადაწყვეტილი ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური პრობლემები. შესაბამისად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სახით, სწორად არის დამკვიდრებული ერთი კრებსითი უზოგადესი სამართლებრივი ტერმინი, რომელიც მოიცავს კანონის მე-7 მუხლით

[140] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 806.

[141] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 54.

[142] შეად. *მენაბდიშვილი ს.,* კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), ს. ნ., 2016, 41.

აკრძალულ ქმედებათა მთლიან სპექტრს და მის ქვეშ ერთიანდება როგორც კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, ასევე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება და გადაწყვეტილება.[143] ამასთან, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ანალიზის მიზნებისათვის, შესაძლოა გაზიარებულ იქნეს ევროპულ და გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა თუ იურიდიულ დოქტრინაში ვიწრო გაგებით შეთანხმების მიმართ განვითარებული მიდგომები. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება გამოყენებულია TFEU 101-ე და GWB-ის პირველ მუხლში მოცემული ვიწრო გაგებით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სინონიმურ ტერმინად. შეიძლება ასევე ითქვას, რომ აღნიშნული მიდგომა უკვე დამკვიდრებულიც კი არის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, სადაც გამოთქმულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კანონის მე-7 მუხლი ევროპულ და გერმანულ კონკურენციის სამართალში არსებული „შეთანხმების“ (*“Agreement”/”Vereinbarung”*) ნაცვლად ტერმინ „ხელშეკრულებას“ (*“Contract”/“Vertrag”*) იყენებს.[144]

ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ კოორდინაციის განსახილველი ფორმების (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება, გადაწყვეტილება) განმარტებები არ არის მოცემული არც კანონში და არც ევროპული კავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებებში თუ ევროპული სამართლის სხვა წყაროებში. ამ ფორმების ლეგალური დეფინიციის ჩამოყალიბებისაგან თავი ასევე შეიკავა გერმანელმა კანონმდებელმა. ამდენად, ამ ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და მათი სამართლებრივი მახასიათებლებისა თუ შინაარსობრივი ასპექტების იდენტიფიცირება შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოებისა თუ სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ რელევანტურ პრაქტიკაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როგორც კანონის მე-7, ასევე TFEU 101-ე და GWB-ის პირველი მუხლებით მოცული კოორდინაციის ფორმების სრულფასოვანი გამიჯვნა და დიფერენცირება პრაქტიკული თუ სამეცნიერო

[143] *ჟვანია ნ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 171.
[144] იქვ. 188.

თვალსაზრისით დღემდე ვერ მოხერხდა.[145] გარდა ამისა, ევროპულ პრაქტიკაში კომისია, ზოგ შემთხვევაში, ღრმა თეორიული და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე საერთოდ არ ახდენს კოორდინაციის დასახელებული ფორმების ერთმანეთისაგან გამიჯვნას.[146] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, TFEU 101-ე მუხლი გამოიყენება ეკონომიკურ აგენტებს შორის ნებისმიერი სახის კოლუზიური პრაქტიკის მიმართ და ამის გამო ერთადერთი, რასაც მნიშვნელობა შეიძლება ამ კუთხით ჰქონდეს, არის იმის გარკვევა, მოქმედებდა თუ არა კონკრეტული ეკონომიკური აგენტი დამოუკიდებლად თუ საბაზრო ქცევის განხორციელებისას სხვა ეკონომიკურ აგენტთან იმყოფებოდა კოორდინაციაში.[147] აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ კუთხით მთავარი ამოსავალი წერტილი არის ეკონომიკური აგენტების ქმედების ეფექტები ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე. კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების არსებობისას კი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭოს მისი განხორციელების გზებისა თუ საშუალებების დადგენას.[148] გარდა ამისა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების დასახელებულ ფორმებს შორის სამართლებრივი შედეგების კუთხით არანაირი განსხვავება არ არსებობს.[149]

ევროპული გამოცდილების მიხედვით, კოორდინაციის კონკრეტული ფორმის იდენტიფიცირების საჭიროება არ დგას ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა ე. წ. ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების (*"concept of single, overall agreement"/"Rechtsifgur der komplexen und fortdauernden Zuwiderhandlung"*) შემთხვევა.[150]

თუმცა მხედველობაში ასევე უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ როგორც კანონის მე-7, ასევე TFEU 101-ე და GWB პირველი მუხლი შეიცავს კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ფორმების ამომწურავ ჩამონათვალს. ამ შემთხვევაში

---

[145] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 8.

[146] *Colino S.,* Competition Law of the EU and UK, 7-th ed. 2011, 143, 153; *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012 104; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 819; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 76.

[147] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 108.

[148] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, § 101 AEUV, Rn. 107.

[149] *Kling M., Stefan T.,* KartR, 2. Aufl. § 5. Rn. 51.

[150] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, § 101 AEUV, Rn. 108; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 819; დაწვ. იხ. თ. III, ქვთ. 5.

საქმე ეხება ე. წ. *numerus clausus-ის* პრინციპს. აღნიშნული შესაბამისად, იმისათვის რათა კონკრეტული ქმედება დაკვალიფიცირდეს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად აუცილებელია დაკმაყოფილებული იყოს დასახელებულ ნორმებში მითითებული კოორდინაციის ფორმათაგან ერთ-ერთის წინაპირობები მაინც. სხვაგვარად რომ ითქვას, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისათვის სახეზე უნდა იყოს ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება ან გადაწყვეტილება, რომლის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაციის დასახელებული ფორმების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და მათ ქვეშ მოაზრებული კონკრეტული ქმედებების სიღრმისეული ანალიზი. აღნიშნულის აუცილებლობა ასევე განპირობებულია წინამდებარე ნაშრომის მიზნებით, რათა მოხდეს კოორდინაციის იმ ფორმების იდენტიფიცირება, რომელთა ფარგლებშიც არის შესაძლებელი კონკურენციის შემზღუდველ ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებზე საუბარი.

2. ხელშეკრულება

2.1. მონაწილეთა ნების თანხვედრა

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას მასში მონაწილე სუბიექტების მხარეთა ნების თანხვედრა (*"Concurrence of Wills" / "Willensübereinstimmung"*) წარმოადგენს.[151] კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციას საფუძვლად უდევს მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული გარიგებისმიერი თანხმობა (*"Rechtsgeschäftliche Einigung"*), რომლის მიზანს ან შედეგს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა წარმოადგენს.[152] ამასთან, კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასთან

[151] ECLI:EU:T:2000:242, *"Bayer AG,"* Case T-41/96, 26.10.2000, § 52; *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 54; ECLI:EU:T:2013:449, " *Wabco Europe,"* Case T-380/10, 16.09.2013, § 35; ECLI:EU:C:1999:362, *"Montecatini,"* Case C-235/92 P, 08.07.1999, § 39; *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 74; სკსგ, 09.03.2021, ბრძ. N04/31, *„შპს „X და აუდიტ სერვის ჯგუფის" საქმე,"* 37.

[152] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 7.

მიმართებით ტერმინ „გარიგების“ ან „გარიგებისმიერის“ გამოყენებისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა არ მოხდეს სამოქალაქო სამართალში არსებულ ანალოგიურ ტერმინთან მისი გაიგივება. აღნიშნული სიფრთხილის აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება სამართლებრივად მნიშვნელოვნად განსხვავდება კერძოსამართლებრივი გარიგებისა თუ ხელშეკრულებისაგან. თუმცა გარიგებისმიერი თანხმობა ყველაზე ზუსტად გამოხატავს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ძირითად მახასიათებელსა თუ წინაპირობას, რომელიც მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ თანმხვედრი ნებისა თუ განზრახვის გამოხატვაში მდგომარეობს.

მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროკომისიის მიერ მყარად დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ ერთობლივად გამოხატული განზრახვა გარკვეული სახის საბაზრო ქმედების ან ქმედებათა ერთობლიობის განხორციელებასთან დაკავშირებით.[153] ამ განზრახვის პრაქტიკული რეალიზება კი ეკონომიკურ აგენტთა ქმედების კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი,[154] თუმცა იგი შესაძლოა მხედველობაში იქნეს მიღებული შესაბამისი სამართალდარღვევის საფუძველზე ცალკეული ეკონომიკური აგენტისათვის სანქციის შეფარდების პროცესში.[155]

ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლო ასევე განმარტავს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება და, შესაბამისად, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას ადგილი აქვს იმ მომენტიდან, როდესაც სახეზეა მხარეთა გაცხადებული თანმხვედრი ნება კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებით და

[153] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 130; ECLI:EU:T:1991:75, *"SA Hercules Chemicals NV,"* Case T-7/89, 17.12.1991, § 256; ECLI:EU:T:2000:242, *"Bayer AG,"* Case T-41/96, 26.10.2000, § 69; OJ L 152/24, CD 07.06.2001, § 185.

[154] ECLI:EU:C:2004:6, *"Aalborg Portland A/S,"* Joined cases C-204/00 P, C-205/00 P, C-211/00 P, C-213/00 P, C-217/00 P and C-219/00 P, 07.01.2004, § 85; ECLI:EU:C:1978:19, *"Miller International Schallplatten GmbH,"* Case 19/77, 01.02.1978, § 7; ECLI:EU:C:1984:65, *"Hasselblad (GB) Limited,"* Case 86/82, 21.02.1984, § 46.

[155] ECLI:EU:C:2013:160, *"Allianz Hungária Biztosító,"* Case C-32/11, 14.03.2013, § 38.

მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ კონკურენციის შეზღუდვასთან თუ, ზოგადად, შეთანხმებასთან დაკავშირებული ცალკეული დეტალები ჯერ კიდევ შეთანხმების პროცესშია.[156] სასამართლოს აღნიშნული განმარტება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება სახეზეა კონკურენციის შემზღუდველ საბაზრო ქმედებებზე შეთანხმების მომენტიდან და კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ სახელშეკრულებო მოლაპარაკებები სხვა პირობებზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს და შეზღუდვის პრაქტიკული იმპლემენტაცია ბაზარზე ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

აღნიშნული მიდგომა სხვა რელევანტურ საფუძვლებთან ერთად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ, როგორც კანონის მეშვიდე, ასევე TFEU 101-ე და GWB პირველი მუხლები კრძალავენ არა მარტო კონკურენციის შეზღუდვის შედეგის, არამედ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე ხელშეკრულებებსაც. შესაბამისად, სამართალდარღვევად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტების მიერ გაცხადებული ურთიერთმფარავი ნება ან განზრახვა ბაზარზე კოორდინირებულად მოქმედებასა თუ გარკვეული საერთო მიზნის მისაღწევად. ამ მიზნით დადებული ხელშეკრულება თავისთავად საფრთხის შემცველია ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის, რის გამოც კანონმდებელი სრულიად მართებულად არ მიიჩნევს ამ ხელშეკრულებით გაცხადებული განზრახვის პრაქტიკაში განხორციელების ფაქტის არსებობას მისი სამართალდარღვევად კვალიფიკაციისათვის.

მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული ისეთი შეთანხმება, რომლის საგანია გაყიდვების ლიმიტირება, ზღუდავს მათ ეკონომიკურ თავისუფლებას და იგი ამავდროულად კონკურენციის შეზღუდვასაც წარმოადგენს.[157] სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება კონკურენციის ჯანსაღი პროცესისთვის ეკონომიკური აგენტის კონკურენტული ავტონომიურობის მნიშვნელობას. შესაბამისად, იგი ადგენს, რომ ბაზარზე კოორდინირებულად მოქმედებისკენ მიმართული ნება, რომელიც გაცხადებულია შესაბამის სუბიექტებს შორის, ზღუდავს ამ სუბიექტების კონკურენტულ ავტონომიურობას, რაც, თავის მხრივ,

[156] ECLI:EU:T:2013:449, *"Wabco Europe,"* Case T-380/10, 16.09.2013, § 36.
[157] ECLI:EU:C:1984:65, *"Hasselblad (GB) Limited,"* Case 86/82, 21.02.1984, § 46.

ამცირებს მათ შორის არსებული კონკურენციის ხარისხსაც. უფრო მეტიც, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე ხელშეკრულება კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ამ ხელშეკრულების მიუხედავად ბაზარზე მაინც გააგრძელებენ ერთმანეთისთვის კონკურენციის გაწევას და ისე იმოქმედებენ, როგორც ერთმანეთის კონკურენტები.[158]

მხარეთა თანმხვედრი ნების არსებობისთვის არ არის აუცილებელი, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და ამ მიზნის მქონე ხელშეკრულება შესაბამისობაში იყოს შეთანხმებაში მონაწილე ყველა ან რომელიმე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ინტერესებთან.[159] სხვაგვარად, რომ ითქვას, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რამდენად მოქმედებენ მასში მონაწილე სუბიექტები იდენტური მიზნებისა თუ ინტერესების შესაბამისად.[160]

გარდა ამისა, ევროპული პრაქტიკის მიხედვით, კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაში მონაწილეობის დასადგენად მნიშვნელობა არ აქვს იმ მიზეზებსა თუ საფუძვლებს, რომელთა გამოც იყო ჩართული ცალკეული ეკონომიკური აგენტი კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაში. კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში ერთ-ერთი საქმე ეხებოდა კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას, რომელშიც მონაწილეობდა ცალკეული ასოციაციის წევრი შვიდი და ამ ასოციაციის არაწევრი ორი ეკონომიკური აგენტი. ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების მიხედვით, ასოციაციის არაწევრი ეკონომიკური აგენტები აპელირებდნენ იმ ფაქტზე, რომ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაში მათი ჩართულობა განპირობებული იყო მხოლოდ იმ კომერციული საფრთხეებით, რომელიც მათ შეექმნებოდათ ამ ხელშეკრულების სხვა სუბიექტებისგან, თუ ისინი უარს იტყოდნენ

[158] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 111.

[159] ECLI:EU:C:2004:2, *"Bundesverband der Arzneimittel-Importeure eV,"* Joined cases C-2/01 P and C-3/01 P, 06.01.2004, § 114; *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 196.

[160] ECLI:EU:T:2000:242, *"Bayer AG,"* Case T-41/96, 26.10.2000, § 52.

მასში მონაწილეობაზე.[161] გარდა ამისა, მხარეებმა ასევე მიუთითეს, რომ ისინი მიზნად არ ისახავდნენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების პრაქტიკაში იმპლემენტაციას და მათ ბაზარზე არც კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები არ განუხორციელებიათ.[162] თუმცა აღნიშნული არგუმენტი არც კომისიის და არც მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული.[163]

შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა საფუძვლები და მიზეზები განაპირობებს ამ ხელშეკრულებაში ცალკეული ეკონომიკური აგენტის მონაწილეობას. ხელშეკრულებაში მონაწილე ცალკეული ეკონომიკური აგენტისთვის შესაბამისი ქმედების სამართალდარღვევად შესარაცხად არარელევანტურია იმის მტკიცება, რომ იგი იძულებული იყო ჩართულიყო ამ ქმედებაში ან მიზნად არ ისახავდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაზრო ქმედებების პრაქტიკაში რეალურ იმპლემენტაციას და ა. შ. კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას ასევე ვერ გაამართლებს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური აგენტი იძულებული იყო განეხორციელებინა ცალკეული მართლსაწინააღმდეგო ქმედება.[164]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს ურთიერთმფარავი ნება ან განზრახვა, რომელიც უკავშირდება ბაზარზე საერთო ქმედებების განხორციელებას.[165] ამასთან, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ურთიერთმფარავი ნების ჩამოყალიბებისა თუ მისი გამოხატვის ფორმას, მხარეთა ინტერესებს და არც იმას, თუ რამდენად მოხდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული

[161] OJ L 232, 86/399/EEC, 10.07.1986, § 111.
[162] ECLI:EU:C:1989:301, *"SC Belasco,"* Case 246/86 11.07.1989, § 11; OJ L 232, 86/399/EEC, 10.07.1986, § 111.
[163] ECLI:EU:C:1989:301, *"SC Belasco,"* Case 246/86 11.07.1989, § 16.
[164] ECLI:EU:T:2000:77, *"Cimenteries CBR,"* Joined cases T-25/95, T-26/95, T-30/95, T-31/95, T-32/95, T-34/95, T-35/95, T-36/95, T-37/95, T-38/95, T-39/95, T-42/95, T-43/95, T-44/95, T-45/95, T-46/95, T-48/95, T-50/95, T-51/95, T-52/95, T-53/95, T-54/95, T-55/95, T-56/95, T-57/95, T-58/95, T-59/95, T-60/95, T-61/95, T-62/95, T-63/95, T-64/95, T-65/95, T-68/95, T-69/95, T-70/95, T-71/95, T-87/95, T-88/95, T-103/95 and T-104/95, 15.03.2000, § 2557; *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 74.
[165] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 111.

ქმედებების პრაქტიკული რეალიზება. გარდა ამისა, ცალკეული ეკონომიკური აგენტის კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაში მონაწილეობის დასადგენად არარელევანტურია ისეთი გარემოებები, როგორიცაა გარკვეული წნეხი თუ იძულება, რომლის გამოც მოხდა ამ ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამისი ნების გამოხატვა და სხვა ეკონომიკურ აგენტებთან ერთად კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ჩართვა.[166]

2.2. მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედებაში გამოხატული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება

i. მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედების არსი

იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისთვის აუცილებელია სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტის მიერ გამოხატული ნება თუ განზრახვა, როგორც წესი, კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას ვერ ექნება ადგილი ცალკეული სუბიექტის მიერ განხორციელებული ცალმხრივი ქმედების შემთხვევაში. კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით ეკონომიკური აგენტის ცალმხრივი ქმედება შესაძლოა შეფასდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავ ნორმის ფარგლებში (კანონის მე-6 მუხლი). დიფერენცირების აღნიშნული მიდგომა ერთხმად არის აღიარებული როგორც გერმანულ, ასევე, ზოგადად, ევროპულ იურიდიულ ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში.[167]

თუმცა კომერციული ურთიერთობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, პრაქტიკაში განხორციელებული თუ თეორიულად დასაშვებ ქმედებათა ფართო სპექტრი ყოველთვის აბსოლუტური სიზუსტით როდი თავსდება იურიდიულ კონსტრუქციათა კომპლექსურ სისტემებში. არსებობს გარკვეული იშვიათი საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც ცალკეული ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებული ერთი შეხედვით ცალმხრივი ქმედება (*"scheinbar einseitige Maßnahme"/"apparently unilateral measure"*) ზოგ შემთხვევაში ბიძგს აძლევს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი

[166] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 55.

[167] *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 73; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.75; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 121.

ნორმის გამოყენებას.[168] ევროკომისიის პრაქტიკაში მოიძებნება არაერთი გადაწყვეტილება, რომლის ფარგლებშიც, ეკონომიკური აგენტის მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედება კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების სახით მაინც მოექცა TFEU 101-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში.[169]

ასეთ შემთხვევებში კლასიკური გაგებით ცალმხრივ ქმედებაზე საუბარი ძალზე ამბიციურად ჟღერს, ვინაიდან მხოლოდ ერთი სუბიექტის ქმედების საფუძველზე კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ჩამოყალიბება გარკვეულწილად მაინც მოითხოვს მეორე მხარის შემხვედრ ქმედებას. თუმცა მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედების იურიდიულ კონსტრუქციაში პარტნიორი ეკონომიკური აგენტის საპასუხო თანაქმედება მასშტაბებით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება თავდაპირველი ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ჩართვისკენ მიმართული ქმედებისა თუ ნების გამოხატვის ფორმას. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში თავდაპირველი (მოჩვენებითი) ცალმხრივი ქმედება უმეტესწილად არა საკუთრივ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, არამედ მეორე მხარისკენ მიმართული კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაში მონაწილეობის წაქეზების ელემენტებს შეიცავს. სწორედ ამიტომ, იურიდიულ ლიტერატურაში მოჩვენებითად ცალმხრივ ქმედებაში გამოხატული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ნაცვლად ზოგ შემთხვევაში ცალმხრივი წაქეზების შედეგად განხორციელებულ კოორდინაციაზეც *("einseitig veranlasste Vereinbarung")* არის საუბარი.[170] აღნიშნული სირთულეების გათვალისწინებით მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედების შედეგად კონკურენციის შემზღუდველი სახელშეკრულებო კოორდინაციის არსებობის მტკიცება პრაქტიკაში მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული.

---

[168] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 80; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 73; *Colino S.,* Competition Law of the EU and UK, 7-th ed. 2011, 161; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.101; *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 197; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 7, Rn 823; *Cucu C.,* Agreements, Decisions and Concerted practices: Key concepts in the analysis of Anticompetitive Agreements, 20 LEX ET Scientia INT' I J. 24 (2013), 29; *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 4, Rn. 10.

[169] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 73; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.101; *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012, 105.

[170] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 121.

ევროკავშირის პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, ასეთ დროს ძირითადი ამოსავალი წერტილი არის იმის დადგენა თუ რა სახის ქმედებას ეხება საქმე - სახეზეა წმინდა ცალმხრივ ქმედება თუ მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით (ერთი შეხედვით/მოჩვენებითი) ცალმხრივი ქმედება, რომელიც სინამდვილეში განსხვავებული შინაარსის მატარებელია.[171] პირველ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობა გამოირიცხება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, მეორე შემთხვევაში, სადაც ქმედება მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ნაწილობრივ ატარებს ცალმხრივობის ნიშნებს, შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტთა შორის კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციას ეხებოდეს საქმე.

ამ შინაარსის გამიჯვნის პრობლემა კონკურენციის სამართალში უმეტესწილად მწვავედ დგას, მწარმოებელსა და დისტრიბუტორს ან დისტრიბუტორსა და საცალო მოვაჭრეს შორის დადებულ ვერტიკალურ ხელშეკრულებებში.[172] თეორიულად მსგავსი პრობლემა შესაძლოა ასევე წარმოიშვას მიწოდებისა და მოთხოვნის ჯაჭვის ერთსა და იმავე დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებულ ხელშეკრულებებში (ჰორიზონტალური ხელშეკრულებები). თუმცა მას ვერტიკალურ ხელშეკრულებებთან შედარებით უფრო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰორიზონტალურ ურთიერთობებში არ გააჩნია.

ეკონომიკური აგენტის ცალმხრივი ქმედების კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავ ნორმასთან მიმართებით შეფასების საჭიროებას წარმოშობს ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმე ეხება ერთი სუბიექტის ისეთ ქმედებას, რომელიც ერთი შეხედვით ცალმხრივი ხასიათის მატარებელია, თუმცა საბოლოოდ სხვადასხვა სუბიექტის ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების პრაქტიკულ განსხეულებად თუ გამოხატულებად გარდაიქმნება. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი მიდგომა წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ძირითადი წინაპირობის - მონაწილეთა ნების თანხვედრის ფართო განმარტებისა და ინტერპრეტაციის შედეგს.[173] ამ კუთხით

[171] ECLI:EU:T:2000:242, *"Bayer AG,"* Case T-41/96, 26.10.2000, § 71; იხ. ასევე, *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, Rn. 73.

[172] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 80; *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/ Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 197.

[173] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.101.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ წინასწარი თანხმობისა *("Vorweggenommene Zustimmung")* და თანაქმედების მოთხოვნის *("Mitwirkungsbedürftige Aufforderung")* ან კონკლუდენტური თანხმობის სახელით ცნობილ ორ განსხვავებულ შემადგენლობას.

ii. წინასწარი თანხმობა

ცალკეული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში შესაძლებელია ერთ-ერთი მხარე თავიდანვე იყოს აღჭურვილი უფლებამოსილებით, რომ ცალმხრივად შეცვალოს/დააკონკრეტოს სახელშეკრულებო პირობები *("Konkretisierungsbefügnis")*, და აქციოს იგი კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად, ხოლო მეორე მხარე თავიდანვე აცხადებს მზაობას შეასრულოს აღნიშნული პირობები. შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული კომერციული ურთიერთობის კონკურენციის შემზღუდველ ფაქტობრივ ხელშეკრულებად ცალმხრივი გარდაქმნა ასეთ დროს არ საჭიროებს მეორე მხარის მიერ შემდგომში დამატებითი ნების გამოხატვას, ვინაიდან მსგავსი ნება პირდაპირ თუ ირიბად თავიდანვე არსებობს (*"Vorweggenommene Zustimmung"/ „vorab getroffene Vereinbarung"*).[174] სხვაგვარად, რომ ითქვას, ასეთ დროს თავიდანვე არ აქვს ადგილი კონკურენციის შემზღუდველ ფაქტობრივ ქმედებას, თუმცა არსებობს ორმხრივად გაცხადებული ნება და მზაობა იმისა, რომ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში მოხდეს კონკურენციის შემზღუდველი საბაზრო ქმედებების პრაქტიკული განხორციელება. მსგავსი დათქმებითა თუ პირობებით კომერციული ურთიერთობის დამყარება თავიდანვე უტოლდება ისეთ შემთხვევას, როდესაც ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული ხელშეკრულება შეიცავს კონკურენციის შემზღუდველ დათქმებს, თუმცა მხარეები მაშინვე არ იწყებენ შესაბამისი საბაზრო ქმედებების განხორციელებას. ეს უკანასკნელი შემთხვევა თავიდანვე ექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის შეზღუდვისკენ მიმართული ორმხრივი განზრახვის პრაქტიკული რეალიზება ეკონომიკურ აგენტთა

[174] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 123; *Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/ Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 199.

ქმედების კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი.

კერძოსამართლებრივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაახლოებით მსგავსი ხასიათის სახელშეკრულებო დათქმების არსებობის შესაძლებლობაზე მეტყველებს სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ისეთ შემთხვევაზე საუბრობს, როდესაც ვალდებულების შესრულების პირობა უნდა განისაზღვროს ერთ-ერთი მხარის მიერ. თუმცა კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისათვის, ბუნებრივია, არ არის აუცილებელი დაკმაყოფილებული იყოს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული აღნიშნული ნორმის წინაპირობები.

განსახილველ შემადგენლობასთან მიმართებით ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს ასევე წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად არის აუცილებელი ხელშეკრულებაში ცალსახად იყოს მითითება ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ ამავე ხელშეკრულების ცალმხრივი მოდიფიცირების უფლებამოსილებით აღჭურვასთან დაკავშირებით. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში მსგავსი უფლებამოსილების არსებობის შეფასება უნდა მოხდეს შესაბამისი ხელშეკრულების მიზნებისა და იმ ეკონომიკური თუ სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც მოხდა ამ ხელშეკრულების დადება.[175]

მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედება კი ამ შეთხვევაში გამოიხატება შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მოთხოვნაში, რომელიც მიემართება მეორე პირს და ეხება კონკურენციის შემზღუდველი საბაზრო ქმედებების პრაქტიკაში განხორციელებას. ასეთ დროს, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად მხარეებს, როგორც წესი, არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ საქმე ეხება არა ორმხრივად გამოხატულ თანხმობას, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი მხარის ქმედებას. თუმცა, ასეთ დროს თუ დადგინდება, რომ თავიდანვე არსებობდა ორმხრივად გამოხატული მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთი მხარე მეორე მხარის მოთხოვნით შეასრულებდა კონკურენციის შემზღუდველ ქმედებას, მაშინ კონკურენციის

[175] ECLI:EU:C:2006:460, *"Volkswagen AG,"* Case C-74/04 P, 13.07.2006, § 48.

შემზღუდველი ხელშეკრულება ამ პირთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის საწყის ეტაპზევე იქნება სახეზე.

მსგავს მიდგომას ვხვდებით მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაში, რომლის მიხედვითაც, ავტომობილის მწარმოებლის მიერ საკუთარი დილერის მისამართით განხორციელებული მოთხოვნა, რომელიც ატარებს კონკურენციის შემზღუდველ ხასიათს არ წარმოადგენს ცალმხრივ ქმედებას, არამედ აყალიბებს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემადგენლობას და არ სცილდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს, თუ იგი ეფუძნება უკვე არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას და გამომდინარეობს მისგან.[176] ამ განმარტებაში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ კონკურენციის შემზღუდველი საბაზრო ქმედების განხორციელების მოთხოვნა (მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედება), რომელსაც ერთი მხარე უყენებს თავის პარტნიორს ეფუძნება და გამომდინარეობს მათ შორის უკვე არსებული ხელშეკრულებიდან. ანუ ასეთ დროს ხელშეკრულება დადების მომენტიდანვე უშვებს კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობას და ამასთან დაკავშირებით თავიდანვე არსებობს ორმხრივი ნება და მზაობა. შესაბამისად, ასეთი მოთხოვნა ვერ ჩაითვლება წმინდა ცალმხრივ ქმედებად და ამ საფუძვლით იგი ვერ გაექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს.

განსახილველ საკითხთან მიმართებით ასევე საინტერესოა მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში არსებული ერთ-ერთი საქმე, რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა გერმანული ავტომობილების მწარმოებელი კომპანიის მიერ იტალიის ბაზარზე მოქმედი დილერებისთვის ავტომობილების რაოდენობაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესება იმ მიზნით, რომ მოეხდინა იტალიიდან ამ პროდუქციის სხვა ქვეყანაში რეექსპორტის ბლოკირება. აღნიშნული შინაარსის შეზღუდვის ცალმხრივი დაწესების შესაძლებლობა კი პირდაპირ იყო გათვალისწინებული მწარმოებელსა და დილერს შორის დადებული ხელშეკრულებით. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში

[176] ECLI:EU:C:1985:340, *"Ford –Werke AG,"* Joined cases 25 and 26/84, 17.09.1985, § 21; ECLI:EU:C:1995:344, *"Bayerische Motorenwerke AG",* Case C-70/93, 24.10.1995, § 16.

სასამართლომ დაასკვნა, რომ დილერის მიერ მსგავსი შინაარსისა და დათქმის მქონე ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა თავიდანვე გაცხადებულ თანხმობას მწარმოებლის მიერ სამომავლოდ მსგავსი შინაარსის შეზღუდვის დაწესებაზე.[177]

iii. კონკლუდენტური თანხმობა

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების კიდევ ერთ საინტერესო კონსტელაციას ქმნის კონკლუდენტური თანხმობით მიღწეული კოორდინაციის შემთხვევა. იურიდიულ ლიტერატურაში კონკლუდენტური თანხმობით დადებულ ხელშეკრულებასაც ფორმალური თვალსაზრისით მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედებით დადებული ხელშეკრულების ფარგლებში განიხილავენ და მის ერთ-ერთ სახედაც კი მიიჩნევენ.[178] იგივე მიდგომას ავითარებს ევროპული კავშირის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში კონკლუდენტური თანხმობით (*"stillschweigende Zustimmung"/"tacit acquiescence"*) მიღწეული კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის შეფასებისას ცალმხრივი ქმედებით დადებულ ვერტიკალურ ხელშეკრულებაზე მსჯელობს.[179]

კონკლუდენტური (*de facto*) თანხმობა შესაძლოა ერთ შემთხვევაში მიჩნეულ იქნეს წინა ქვეთავში განხილული წინასწარი თანხმობის შემთხვევის ქრონოლოგიურ გაგრძელებადაც. კერძოდ, წინასწარი თანხმობის ფაქტობრივ შემადგენლობაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე მოჩვენებითი ცალმხრივი ქმედებით (მოთხოვნით) მეორე მხარეს მოუწოდებს ან მისგან მოითხოვს კონკურენციის შემზღუდველი საბაზრო ქმედების განხორციელების დაწყებას, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისთვის მსგავსი ქმედებების ფაქტობრივად განხორციელება არ არის აუცილებელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კონკურენციის შემზღუდველი ქმედების განხორციელების ნება და მზაობა შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მიერ ასეთ დროს თავიდანვე არის გაცხადებული. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისი მოთხოვნის საპასუხოდ მეორე მხარე დაიწყებს კონკურენციის

[177] ECLI:EU:C:2003:473, *"Volkswagen AG,"* Case C-338/00 P, 18.09.2003, § 65.
[178] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, Rn. 73.
[179] ECLI:EU:T:2000:242, *"Bayer AG,"* Case T-41/96, 26.10.2000, § 71.

შემზღუდველი საბაზრო ქმედებების პრაქტიკულ განხორციელებას, იგულისხმება, რომ იგი თავისი კონკლუდენტური მოქმედებით კიდევ ერთხელ გამოხატავს ნებას მონაწილეობა მიიღოს კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში. ეს ფაქტი უფრო მეტად ამარტივებს კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების ტვირთს იმდენად, რამდენადაც ასეთ დროს სახეზეა კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებული, როგორც წინასწარი, ასევე შემდგომი ორმხრივი თანხმობა.

თუმცა კონკლუდენტური თანხმობით კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დასადებად არ არის აუცილებელი სახეზე იყოს უკვე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ერთ-ერთი მხარის მიერ თავიდანვე გაცხადებული მზაობა მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ჩაერთოს კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში. უფრო მეტიც, შესაძლებელია მხარეთა შორის საერთოდ არ არსებობდეს უკვე ჩამოყალიბებული კომერციული სახელშეკრულებო ურთიერთობა. თუმცა წინასწარი თანხმობის ფაქტობრივი შემადგენლობის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც სახეზეა ერთი შედარებით უფრო აქტიური მხარე, ინიციატორი, რომელიც იწვევს მეორე ეკონომიკურ აგენტს კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობის მისაღებად. მეორე მხარე კი მსგავს ინიციატივას პირდაპირ არ იჩენს და არც შესაბამის შემხვედრ ნებას არ გამოხატავს, თუმცა იწყებს ისეთ ფაქტობრივ მოქმედებებს, რომელიც თავისთავად მეტყველებს მისი მხრიდან კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ჩართვის ნებასა თუ განზრახვაზე. კონკლუდენტური თანხმობის ფაქტობრივი შემადგენლობის დროს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისათვის ერთ-ერთი პარტნიორის ცალმხრივი ქმედება დამატებით მოითხოვს მეორე მხარის შემდგომ თანაქმედებას. თანაქმედება კი გულისხმობს კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაში ჩართვის ნებისა თუ განზრახვის კონკლუდენტური მოქმედებით გაცხადებას. ხოლო მაშინ, როდესაც მეორე მხარის ქმედება არ შეიძლება განიმარტოს და აღქმული იყოს როგორც კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობაზე თანხმობა, მაშინ ადგილი ვერ ექნება ვერც კონკურენციის შემზღუდველ

ხელშეკრულებასა და ვერც შეთანხმებულ ქმედებას,[180] ვინაიდან სახეზე არ არის შესაბამის ეკონომიკურ აგენტთა ნების თანხვედრა კონკურენციის შემზღუდველი ერთობლივი საბაზრო ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან, მეორე მხარის მიერ კონკლუდენტურად გაცხადებული თანხმობა მისი პარტნიორის მიერ განხორციელებულ ცალმხრივ ქმედებას („მოწვევა“ კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობის მისაღებად) აქცევს მოჩვენებით ცალმხრივ ქმედებად, ვინაიდან ასეთ დროს კონკურენციის შემზღუდველი საბაზრო ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული მონაწილეთა ნება ავტომატურად მოდის ერთმანეთთან თანხვედრაში.

ამდენად, კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობაზე კონკლუდენტურად გაცხადებული თანხმობის საფუძველზე დადებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემთხვევაში ერთი მხარე კონკლუდენტურად ეთანხმება მეორე მხარის მიერ მისი მისამართით გამოხატულ ნებას კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პოტენციური თანამონაწილის მისამართით განხორციელებულ მოწვევას კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მისაღწევად ერთობლივ საბაზრო ქმედებებში მონაწილეობის მისაღებად იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მიზნის მიღწევა არ ექცევა მეორე მხარის ინტერესების სფეროში.[181] შესაბამისად, კონკლუდენტური თანხმობით კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადება მოითხოვს ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორე ეკონომიკური აგენტის მისამართით პირდაპირი ან ირიბი ფორმით განხორციელებულ მოწვევას (*“express or implied Invitation”/“Mitwirkungsbedürftige aufforderung”)* კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ერთობლივად მიღწევასთან დაკავშირებით.[182] ამასთან, პრაქტიკაში კონკლუდენტური მოქმედებით მიღწეული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება შესაძლოა მხოლოდ განსაკუთრებულ საგამონაკლისო შემთხვევებში უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობითა და შესაბამისი

[180] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, Rn. 73.

[181] ECLI:EU:C:2004:2, *“Bundesverband der Arzneimittel-Importeure eV,“* Joined cases C-2/01 P and C-3/01 P, 06.01.2004, § 102.

[182] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.110; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 15.

ბაზრის ცალკეული მახასიათებლებთან მიმართებით აღნიშნული ქმედების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე დამტკიცდეს.[183]

კონკლუდენტური თანხმობით დადებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებებზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გავრცელებას მომეტებული პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია. მსგავსი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოებს ასეთი ნორმის მოქმედების ფარგლებს და კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში ჩართვის მსურველ ეკონომიკურ აგენტებს არ აძლევს შესაძლებლობას გვერდი აუარონ კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვებს. შესაძლოა პრაქტიკაში მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ეკონომიკურ აგენტებს შორის წერილობით არსებობს ხელშეკრულება, რომელიც არ შეიცავს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ამკრძალავ ნორმებთან წინააღმდეგობაში მყოფ არანაირ პირდაპირ დათქმას. ერთი შეხედვით შეიძლება დაჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი ვერ ექნება კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას. თუმცა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთ დროს უნდა შემოწმდეს ხომ არ აქვს ადგილი კონკლუდენტური მოქმედებით შეთანხმებულ კონკურენციის შემზღუდველ პირობებსა თუ დათქმებს ადგილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული მხარეთა შორის უკვე არსებული წერილობითი ხელშეკრულებით.[184]

2.3. შინაარსობრივი მასშტაბები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისთვის აუცილებელია მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების გაცხადებული თანმხვედრი ნება ან ერთობლივი განზრახვა გარკვეული სამომავლო საბაზრო ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით (*"sich auf dem Markt in einer bestimmten Weise zu verhalten" / "to conduct themselves on the market in a specific way"*). შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემთხვევაში შეთანხმების საგანსა თუ შინაარსს წარმოადგენს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების კომერციული

[183] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 281.
[184] ECLI:EU:C:2006:460, *"Volkswagen AG,"* Case C-74/04 P, 13.07.2006, § 46.

პოლიტიკისა თუ შესაბამის ბაზარზე განსახორციელებელი გარკვეული ქმედებების ერთმანეთთან დაახლოება და ჰარმონიზება.[185]

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აუცილებელ წინაპირობად სამომავლო საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებით შეთანხმების განსაზღვრამ შესაძლოა შექმნას შთაბეჭდილება, რომ მსგავსი მიდგმა იმ დონემდე შეზღუდავს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს, რომ იგი სრულფასოვნად ვერ შეასრულებს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დაცვის ეფექტიანი მექანიზმის ფუნქციას. კერძოდ, ამ კუთხით პრობლემის წარმოჩენა შესაძლებელია ისეთი ჰიპოთეტური შემთხვევების იდენტიფიცირებისა და განხილვის გზით მოხდეს, რომელთა დროსაც ეკონომიკურ აგენტთა თანმხვედრი ნება არ უკავშირდება მათი სამომავლო საბაზრო ქმედებების განსაზღვრასა თუ დაახლოებას, მაგრამ მაინც ადგილი აქვს კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების ან მიზნის არსებობას.

განსახილველ საკითხთან მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმისა და, ზოგადად, კონკურენციის სამართლის ნორმების განმარტების მეთოდებზე და ამ კუთხით ჩამოყალიბებულ პრაქტიკულ თუ სამეცნიერო მიდგომებზე. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით კონკურენციის სამართლით გათვალისწინებულ საკანონმდებლო მექანიზმებს მოქმედების ფართო ფარგლები უნდა გააჩნდეს. ამ მიდგომის შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმაც მაქსიმალურად ფართოდ უნდა განიმარტოს, რათა მან ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ყველა ისეთი შემთხვევა მოიცვას, რომელიც მოწოდებულია ნეგატიური გავლენა იქონიოს ცალკეულ შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე. კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასთან მიმართებით ნორმის ფართო განმარტების აუცილებლობა ევროპულ მიდგომებზე დაყრდნობით ასევე აღიარებულია სააგენტოს პრაქტიკაშიც.[186]

---

[185] *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 196.

[186] სკსგ, 09.03.2021, ბრძ. N04/31, *„შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე,“* 38.

სწორედ აღნიშნული მიდგომის გამოძახილია ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულების სასამართლო თითოეულ გადაწყვეტილებაში მაქსიმალურად ფართოდ განმარტავს სამომავლო საბაზრო ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებულ ერთობლივ განზრახვას.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის მიზნებზე საუბრისას აღინიშნა, რომ კონკურენციის სამართლის განსახილველ ინსტიტუტს ერთ-ერთ საფუძვლად უდევს ეკონომიკური აგენტების მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ დამოუკიდებლად, ბაზრის სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობის გარეშე უნდა განსაზღვრონ თავიანთი კომერციული პოლიტიკა თუ მიზნები და დამოუკიდებლადვე მოახდინონ მათი იმპლემენტაცია ბაზარზე (კონკურენტული ავტონომიურობა). იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ამ ფორმასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა მიერ კომერციული გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობის ხარისხზე.

კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი ევროპული უწყების მოსაზრებით, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება სახეზეა მაშინ, როდესაც მონაწილე ეკონომიკური აგენტები ერთმანეთთან მიაღწევენ კონსენსუსს გარკვეულ გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც ზღუდავს ან მოწოდებულია შეზღუდოს მათი კომერციული თავისუფლება ერთობლივი საბაზრო ქმედებების ფარგლების ან გარკვეული საბაზრო ქმედებების განხორციელებისაგან თავის შეკავების ვალდებულების დადგენით.[187] შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შინაარსი შეიძლება გულისხმობდეს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ გარკვეული მოქმედების განხორციელების ან მისი განხორციელების შესრულებისაგან თავის შეკავებას. მსგავსი ხელშეკრულების ქვეშ მოაზრებული ქმედება შეიძლება გულისხმობდეს, როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედების განხორციელების გზით გარკვეული საერთო მიზნის ან მიზნების მიღწევას.

[187] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 30; OJ L 230/1, 86/398/EEC, *"polypropylene,"* 23.04.1986, § 81.

გარდა ამისა, დასახელებული განმარტება ასევე ხაზს უსვამს ეკონომიკური აგენტების კომერციული თავისუფლებისა და ამ თავისუფლების სრულფასოვნად რეალიზების მნიშვნელობას შესაბამის ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, ზოგადად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის განმარტების მიზნებისათვის. იგი ძალზე აფართოებს შესაბამისი ნორმით მოცულ ქმედებათა სპექტრს, და მის ქვეშ მოიაზრებს ეკონომიკურ აგენტთა თანაქმედების თითქმის ყველა ისეთ შემთხვევას, რომლის ფარგლებში მასში მონაწილე სუბიექტები მათთვის გარანტირებულ სამეწარმეო თავისუფლებას ხელოვნურად აქცევენ გარკვეულ ჩარჩოებში და არ ახდენენ ამ თავისუფლების სრულფასოვან რეალიზებას.

ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი რომ მასში მონაწილე სუბიექტთა ერთობლივი ნება დეტალურად მოიცავდეს ამ კოორდინაციის ფარგლებში განსახორციელებელ თითოეულ საბაზრო ქმედებას. ამ კუთხით საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს შესაბამისი აღმასრულებელი უწყების მიერ იმის დამტკიცება, რომ ცალკეულმა ეკონომიკურმა აგენტებმა შეათანხმეს სამომავლო საბაზრო ქმედებების ზოგადი ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც ისინი აღარ აპირებენ შესაბამის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედების გაგრძელებას.[188]

2.4. ფორმა

ეკონომიკურ აგენტთა თანაქმედების კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის აუცილებელია ასევე ყურადღება გამახვილდეს მხარეთა ნების თანხვედრის იმ ფორმებზე, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს შესაბამისი ამკრძალავი ნორმის გამოყენებისათვის. აღსანიშნავია, რომ არც ქართული და არც გერმანული და ევროპული კონკურენციის კანონმდებლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არანაირ პირდაპირ მითითებას არ შეიცავს. შესაბამისად, სამივე მართლწესრიგის ფარგლებში ფორმასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა

[188] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.77.

კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყებისა თუ კომპეტენტური სასამართლოების კომპეტენციის ფარგლებში ექცევა.

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისთვის არ არის აუცილებელი მასში მონაწილე მხარეთა ნება (*"Concurrence of Wills" / "Willensübereinstimmung"*) გარკვეული წინასწარ განსაზღვრული და აუცილებელი ფორმით იყოს გამოხატული.[189] ამ კუთხით ასევე არარელევანტურია თუ რამდენად მოხდა ამ ნების განსხეულება სამართლებრივად მბოჭავი ძალის მქონე წერილობით ხელშეკრულებაში.[190]

მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკრეტული ქმედების კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის საკმარისია, რომ ერთი ეკონომიკური აგენტის ქმედება სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტის ურთიერთმფარავი ნების გამოვლინებას წარმოადგენდეს და ამ კუთხით არარელევანტურია საკუთრივ ის ფორმა, რომლითაც ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთმფარავი ნების გამოხატვა თუ ჩამოყალიბება მოხდა.[191] ევროკომისიის პრაქტიკა პირდაპირ უთითებს, რომ ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი ქმედების კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის რაიმე სახის სპეციალური სამართლებრივი ფორმის დაცვა თუ წერილობითი დოკუმენტის არსებობა არ არის აუცილებელი.[192]

ამ მიდგომის მართებულობაზე ასევე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში არსებული ერთ-ერთი საქმე, რომელიც ეხებოდა ეკონომიკურ აგენტებს შორის წერილობით დადებულ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებას, თუმცა შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებაზე ერთ-ერთი მხარის ხელმოწერა არ იყო ვალიდური. სწორედ ამ გარემოებაზე დაყრდნობით აპელირებდა ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტი, რომ ამ შემთხვევაში ფორმის ნაკლის გამო

---

[189] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 55; *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/ Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 196.

[190] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.76; OJ L 230/1, 86/398/EEC, *"polypropylene,"* 23.04.1986, § 81.

[191] ECLI:EU:C:2006:460, *"Volkswagen AG,"* Case C-74/04 P, 13.07.2006, § 37.

[192] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 30.

ვერც რეალურად დადებულ ხელშეკრულებას და ვერც TFEU 101-ე მუხლის დარღვევას ადგილი ვერ ექნებოდა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე ხელშეკრულებაზე კონკრეტული ფორმით გაკეთებული ხელმოწერის არავალიდურობა ვერ იქნებოდა მიჩნეული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ევროპული დათქმების გამოყენების შესაძლებლობის გამომრიცხავ გარემოებად.[193] ამ განმარტებიდან ნათელია, რომ მართლმსაჯულების სასამართლო კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობის ფაქტს არ აფასებს იმ ფორმაზე დაყრდნობით, რომლის შესაბამისადაც მოხდა ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს შორის ამ ხელშეკრულების დადება. კონკრეტული ქმედების კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად კვალიფიკაციის პროცესში მართლმსაჯულების სასამართლოსთვის ძირითადი ამოსავალი წერტილია ის, თუ რამდენად აქვს ადგილი შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მიერ ჩამოყალიბებულ ნებასა თუ გაცხადებულ განზრახვას იმასთან დაკავშირებით, რომ ერთმანეთთან შევიდნენ ისეთ კოორდინაციაში, რომლის მიზანი ან შედეგი იქნება კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა.

ამდენად, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისთვის მნიშვნელობა არ აქვს ეს ხელშეკრულება დაიდო ზეპირად თუ წერილობით, შესაბამის დოკუმენტზე არსებობს მხარეთა ხელმოწერა თუ არა, ან დაკმაყოფილებულია თუ არა ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი სტანდარტი.

2.5. კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან მიმართება

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა. ამის გამო გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კანონმდებელი ეკონომიკური აგენტების კოორდინაციის ფორმების ჩამოთვლას კანონის მე-7 მუხლში სწორედ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებით იწყებს.

[193] ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985, § 25.

ხელშეკრულება, კლასიკური გაგებით, კერძოსამართლებრივ ცნებას წარმოადგენს, რომელიც სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების ერთ-ერთი სახეა. კონკურენციის სამართალში აღნიშნული ტერმინის გამოყენება, კი თავიდანვე ბადებს განცდას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ცნების ქვეშ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების იდენტური სამართლებრივი კატეგორია იგულისხმება. თუმცა მსგავსი დაშვება თავიდანვე არასწორ სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს და წინააღმდეგობაში მოვა კონკურენციის სამართლის მიზნებთან და პრინციპებთან, ვინაიდან იგი მნიშვნელოვნად დაავიწროებს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს.[194]

კანონის მე-7 მუხლის გაგებით, ტერმინი ხელშეკრულება წარმოადგენს კონკურენციის სამართალში არსებულ ავტონომიურ ცნებას, რომელსაც კონკრეტული მახასიათებლები და ელემენტები გააჩნია. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართალში არსებული ანალოგიური ცნების იდენტურ სამართლებრივ კატეგორიას.[195] კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი სახეა, რომელიც კონკურენციის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ტერმინია და იგი სამართლის სხვა დარგებში არსებული პრინციპებისა და მიდგომებისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ კონკურენციის სამართლის მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისად განიმარტება.[196] აღნიშნული კი იძლევა კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არაერთი ისეთი მახასიათებლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რომელიც მას მნიშვნელოვნად განასხვავებს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებისაგან.

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემთხვევაში არ არის აუცილებელი მხარეთა ნება მიმართული იყოს სამართლებრივი ბოჭვისკენ, რომლის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნების რეალიზება თუ აღსრულება სასამართლოს მეშვეობით არის

[194] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 72.
[195] *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 73.
[196] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 52; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 822.

შესაძლებელი.[197] ევროკომისიის განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისათვის მსგავსი ხასიათის სამართლებრივი ბოჭვის ნება არ წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას.[198] ამ შემთხვევაში ბოჭვის ნებას არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი ხასიათი გააჩნია და იგი შესაძლოა ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, მორალურ თუ სხვა მსგავს განზომილებაში იყოს მოქცეული.[199] მსგავსი ფაქტობრივი ბოჭვის ნება კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას ასევე განასხვავებს კოორდინაციის სხვა ისეთი ფორმებისაგან, როგორიცაა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული თუ უბრალო პარალელური ქმედება.[200]

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების წინაპირობად სამართლებრივი ბოჭვის მიჩნევის შეუძლებლობა ასევე გამომდინარეობს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტიდან. აღნიშნული ნორმის მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო შეთანხმებები მიიჩნევა ბათილად და იგი არანაირ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, თუ მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი გამონაკლისები. ანალოგიური შინაარსის მატარებელია TFEU 101-ე მუხლის მე-2 პუნქტი. იმდენად, რამდენადაც დასახელებული ნორმების მიხედვით, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება თავიდანვე ბათილად მიიჩნევა, შეუძლებელია კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას სამართლებრივად მბოჭავი ძალა გააჩნდეს.

გარდა ამისა, მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში ჯენტლმენური გარიგებაც მიიჩნევა კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად, თუ მისი მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა დაუშვებლობა ან აკრძალვა.[201] ჯენტლმენური

---

[197] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 12; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 822; OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 30; *Barry R., Angus M.,* Competition Law and Policy in the EC and UK, 4-th ed. 2009, 173; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.76; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 70; *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 74; *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 196.

[198] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 30; OJ L 230, 18.8.1986, *"Polypropylene,"* 86/398/EEC, 23.04.1986, § 81.

[199] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 71.

[200] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 822.

[201] ECLI:EU:C:1970:71, *"ACF Chemiefarma NV,"* Case 41-69, 15.07.1970, §§ 110-113; *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 54; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 822; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 70; *Cucu C.,* Agreements, Decisions and Concerted practices: Key concepts in the analysis of Anticompetitive Agreements, 20 LEX ET Scientia INT' I J. 24 (2013), 30.

გარიგების ქვეშ მოიაზრება გარკვეული ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებული შეთანხმება, რომელიც არ წარმოადგენს კერძოსამართლებრივ გარიგებას. იგი მისი მონაწილე მხარეებისთვის არ წარმოშობს რაიმე სახის სამართლებრივი ბოჭვის ვალდებულებას და მისი შეუსრულებლობა მხოლოდ მორალური წნეხით შეიძლება იყოს სანქცირებული.[202]

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ნებისმიერ შემთხვევაში მოექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში თუ მისი შედეგი ან მიზანი იქნება კონკურენციის შეზღუდვა დაუშვებლობა ან აკრძალვა.[203] ასეთ შემთხვევაში კერძო სამართლის მიზნებისათვის ეს ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად, ხოლო კონკურენციის სამართლის მიზნებისათვის კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ევროპის კავშირისა თუ სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყებების შესწავლის საგანი ხშირად გამხდარა კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებათა ისეთი სახეები, როგორიცაა, ფრენჩაიზინგის, მომსახურების, დისტრიბუციისა თუ სხვა სახის ხელშეკრულებები.[204] შეიძლება ისიც ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ორმხრივი ან მრავალმხრივი ვალდებულებითი გარიგება. ფორმალური თვალსაზრისით კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება ნებისმიერ შემთხვევაში აკმაყოფილებს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ისეთ წინაპირობას, როგორიცაა ორი თანმხვედრი ნების გამოხატვა. კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება ხომ თავისი არსით სწორედ ორმხრივი ან მრავალმხრივი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენის შედეგია. თუმცა ორმხრივი ნების გამოვლენასთან ერთად აუცილებელია ის შინაარსი, რომელიც ამ ნების ქვეშ არის მოქცეული. აღნიშნული ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს გარკვეული

[202] *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 74; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 27.

[203] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 109; *Zimmer D.,* in Immenga/Mestmäcker GWB Kom. 3. Aufl. 2001, § 1, Rn. 85.

[204] *Colino S.,* Competition Law of the EU and UK, 7-th ed. 2011, 154.

საბაზრო ქმედებების კოორდინირებას, რომლის მიზანს ან შედეგს კონკურენციის შეზღუდვა დაუშვებლობა ან აკრძალვა უნდა წარმოადგენდეს.

2.6. მტკიცების სტანდარტი და საშუალებები

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების სხვა ფორმების მსგავსად, ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობის მტკიცების ტვირთის მატარებელია კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება. ამ კუთხით კონკურენციის სამართალში გამოიყენება მტკიცების ზოგადი პრინციპი იმასთან დაკავშირებით, რომ ის ორგანო, რომელიც აპელირებს კონკრეტული სამართალდარღვევის არსებობაზე, ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, ქართულ რეალობაში სააგენტო, ხოლო ევროპული და გერმანული კონკურენციის სამართლის დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად, ევროკომისია და გერმანიის კარტელების ფედერალური სამსახური წარმოადგენს კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობის მტკიცების ტვირთვის მატარებელ ორგანოებს.

ამასთან, იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ძირითად და აუცილებელ წინაპირობას მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების თანხვედრი ნება თუ განზრახვა წარმოადგენს, კოორდინაციის აღნიშნული ფორმის არსებობის დასადასტურებლად აუცილებელია კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელმა უწყებამ კონკრეტული საქმის მოკვლევის შედეგად წარმოადგინოს შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული კომუნიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ეს მტკიცებულებები, თავის მხრივ, უნდა ასაბუთებდეს შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის ან შედეგის მქონე თანამშრომლობის დამყარების ნებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ უტყუარ და ყველაზე გავრცელებულ მტკიცებულებას წარმოადგენს შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა თუ შედეგის

მქონე დათქმებს. თუმცა მოულოდნელობას არ უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება ხშირ შემთხვევაში წერილობითი ფორმით არ იდება. აქედან გამომდინარე, კონკურენციის აღმასრულებელი უწყებისთვის ხელსაყრელი და მომგებიანი ვერ იქნება ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ფაქტის გამოსავლენად მხოლოდ წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებებზე აქცენტის გაკეთება. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისთვის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის სავალდებულო ფორმა, რომლის დაცვის შემთხვევაშიც იქნება სახეზე ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის განსახილველი შემთხვევა. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად ართულებს კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების საქმეს ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული სავარაუდო კოორდინაციის შესწავლის პროცესში.

წერილობითი ხელშეკრულების გარეშე კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობის დასამტკიცებლად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შესაბამის სუბიექტებს შორის განხორციელებული მიმოწერა ან სხვა სახის კომუნიკაციის მასალები. ამ კუთხით ასევე შესაძლოა ეფექტური იყოს სავარაუდო კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების წარმომადგენლების შეხვედრების დამადასტურებელი მტკიცებულებების აღმოჩენა და ა. შ.

3. შეთანხმებული ქმედება

3.1. განცალკევების მოტივები

კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის დამოუკიდებელ კატეგორიათაგან ყველაზე რთულ ფორმას წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებული ქმედება, რომელზეც, ხელშეკრულებისა და გადაწყვეტილების მსგავსად, თანაბრად ვრცელდება კანონის მე-7 მუხლითა თუ TFEU 101-ე მუხლისა და GWB პირველი პარაგრაფით დადგენილი აკრძალვა. შეთანხმებული ქმედების კომპლექსური ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ პრაქტიკაში ძალზე დიდ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული იმის დადგენა, თუ სად მთავრდება კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება და იწყება

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება.[205] გამიჯვნის პრობლემასთან ერთად ასევე რთულია განსახილველი შემადგენლობის ზუსტი წინაპირობების იდენტიფიცირება. ამის ფონზე კი კანონმდებლის მიერ შეთანხმებულ ქმედებაზე ფოკუსირება და მისი სახით ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის შეზღუდვის სპეციალური სახის ფორმირება განსაკუთრებული გარემოებებითა თუ მიზეზებით არის განპირობებული.

შეთანხმებული ქმედების სახით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების განცალკევებული შემადგენლობის შექმნით მაქსიმალურად ფართოვდება კანონის მე-7 თუ TFEU 101-ე მუხლებისა და GWB პირველი პარაგრაფის მოქმედების ფარგლები. შეიძლება ითქვას, რომ ამ გზით კანონმდებელი ერთგვარად თავს იზღვევს კიდეც, რათა კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა თუ გადაწყვეტილების მიღმა არ დარჩეს ეკონომიკურ აგენტთა ისეთი თანაქმედება თუ კოორდინაცია, რომლის მიზანი ან შედეგი კონკურენციის შეზღუდვა იქნება.[206]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების სპეციალური შემადგენლობის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზანია ეკონომიკურ აგენტებს გამოაცალოს ყველანაირი შესაძლებლობა იმისა, რომ რაიმე ფორმით თავი დააღწიონ შესაბამისი ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს.[207] შეთანხმებული ქმედებისაგან განსხვავებით, კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას შედარებით უფრო მკაცრი წინაპირობები გააჩნია. აქედან გამომდინარე, მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვა ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ აგენტთა თანაქმედების შედეგად კონკურენციის შეზღუდვის სრულფასოვან პრევენციას. შესაძლოა ეკონომიკურმა აგენტებმა ისე მოახდინონ თავიანთი საბაზრო ქმედებების ფორმისა თუ შინაარსის დაახლოება და ჰარმონიზება, რომ ადგილი არ ექნეს მათ შორის კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციასა თუ საერთო მიზნის ფორმირებასთან დაკავშირებულ ურთიერთმფარავ ნებათა გამოხატვას.

---

[205] *Barry R., Angus M.,* Competition Law and Policy in the EC and UK, 4-th ed. 2009, 175.

[206] შეად. *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 7, Rn 827.

[207] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 33; *Schröter H., van Vormizeele P. V.,* Groeben/Schwarze/Hatje, Europäisches Unionsrecht, 7. Aufl. 2015, Rn. 53; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.126; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 85;

ეკონომიკურ აგენტთა მიერ ინფორმაციის უბრალო მიმოცვლამაც კი შეიძლება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებების იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნას.[208] მაგალითად, იმ იმედით, რომ მეორე მხარეც ანალოგიურად დაგეგმავს თავის საბაზრო პოლიტიკას, ბაზრის სუბიექტებმა შესაძლოა ერთმანეთს წინასწარ მიაწოდონ ინფორმაცია მათ მიერ დაგეგმილ საბაზრო ქცევებთან დაკავშირებით ისე, რომ ადგილი არ ექნეს ურთიერთმფარავი ნების გამოვლენასა და კონკურენციის შემზღუდველი შესაბამისი ხელშეკრულების ფორმირებას. ამ გზით ჩამოყალიბებული კოორდინაცია კი იმავე მასშტაბების ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის, როგორც კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა ასევე ვრცელდებოდეს ასეთ ქმედებებზე რათა მან კონკურენციის საფრთხის შემქმნელ ქმედებათა მაქსიმალურად ფართო სპექტრი მოიცვას.[209] სწორედ ამ მიზანს ემსახურება შეთანხმებული ქმედების სახით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სპეციალური შემადგენლობის კანონმდებლობით გათვალისწინება. ამასთან, გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება ხელშეკრულებასთან შედარებით ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის ნაკლებად ნეგატიური ეფექტებით არ გამოირჩევა და შესაბამისად, მისი სანქცირება კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მიდგომებითა და ინტენსივობით ხდება.[210]

---

[208] *Zimmer D.,* in Immenga/Mestmäcker GWB Kom. 3. Aufl. 2001, § 1, Rn. 86; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 59.

[209] *Biermann J.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 2, 6. Aufl., 2020, GWB § 81, Rn. 58; *Lubbig T.,* Wiedemann, Handbuch des Kartellrechts, 4. Aufl., 2020, § 8, Rn. 12; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.126; შეთანხმებულ ქმედებასთან დაკავშირებული მსჯელობისას მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ასევე გამოყენებულია ძალზე საინტერესო შედარება - იგი მოხსენიებულია როგორც *„catch-all device for preventing suspected infringements",* რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ შემადგენლობის განცალკევების მნიშვნელობას - იხ. ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 103.

[210] KG, Entscheidung vom 07.11.1980 - Kart 6/79.

3.2. მახასიათებლები და კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასთან მიმართება

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების ერთმანეთისაგან განცალკევების მიუხედავად, კოორდინაციის დასახელებული ფორმები ერთმანეთთან მნიშვნელოვან მსგავსებებსაც ავლენენ. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ კოორდინაციის მასშტაბებითა და გამოხატვის ფორმებით განსხვავდებიან.[211] კონკურენციის შემზღუდველი თანამშრომლობის დასახელებულ ფორმებს შორის მსგავსება განსაკუთრებით თავს იჩენს კონკლუდენტური თანხმობით დადებულ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასთან მიმართებით. თუმცა მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი კონცეპტუალური და შინაარსობრივი განსხვავებებიც. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი არ არის სახეზე და მისი არსებობა ეკონომიკურ აგენტთა მხოლოდ პრაქტიკული საბაზრო ქმედებების საფუძველზე ხდება შესამჩნევი.[212]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ცნების ზუსტი დეფინიციისა თუ მისი ელემენტების ამომწურავი ჩამონათვალის აბსოლუტური სიზუსტით ჩამოყალიბება და კოორდინაციის ამ ფორმის შინაარსობრივი კონტურების განსაზღვრა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული განპირობებულია განსახილველი სამართლებრივი კატეგორიის ემპირიული საფუძვლებით. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა თუ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეტ-ნაკლებად მაინც ნათელია, თუ რა ფორმითა და ელემენტებით იჩენენ ისინი კომერციულ ურთიერთობებში თავს. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება კი შესაძლოა გამოვლინდეს ეკონომიკურ აგენტთა მინიმალურ კონტაქტში და მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის ეჭვები მათ მიერ განხორციელებული საბაზრო ქმედებების ხასიათისა თუ შინაარსის მხოლოდ მსგავსებამაც კი აღძრას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში

[211] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 21.
[212] ECLI:EU:C:1972:70, *"Chemical Industries,"* Case 48-69, 14.07.1972, § 65.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონკურენციის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის დასაბუთებას მტკიცების შესაბამისი სტანდარტებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისთვის აუცილებელია მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების თანმხვედრი ნების გაცხადება სამომავლო საბაზრო ქმედებების ერთობლივად განხორციელებასთან დაკავშირებით. ასეთ დროს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ერთმანეთისთვის აშკარას ხდიან ერთობლივად განსახორციელებელი ქმედებების შინაარსს, ფორმასა და სხვა მახასიათებლებს და ასევე თანხმდებიან მის განხორციელებაზე. კონკლუდენტური თანხმობის შემთხვევაში კი ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტი ცალსახად იწვევს სხვა ეკონომიკურ აგენტს კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო მეორე *de facto* თანხმობით იღებს აღნიშნულ წინადადებას და ერთვება კოორდინაციაში. შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას არ აქვს ადგილი ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარეები უბრალოდ ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გეგმებს სამომავლო საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებით ისე, რომ არ შეთანხმდებიან მის განხორციელებაზე. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემთხვევაში ძირითად როლს სწორედ მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ მიღწეული თანხმობა ასრულებს.

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში საჭირო არ არის მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ გამოხატული განზრახვა ერთობლივი საბაზრო ქმედებების განხორციელებისა თუ საერთო მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით.[213] ამ შემთხვევაში საკმარისია მინიმალური მენტალური კონსენსუსის არსებობა,[214] რომელთან დაკავშირებითაც ეკონომიკური აგენტები არ ახდენენ ნებისა თუ განზრახვის პირდაპირ გამოხატვას და იგი ერთმანეთისთვის შეცნობადი გარკვეული ინფორმაციის გაცვლის შედეგად ხდება. ამასთან, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისათვის ასევე

[213] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 142.

[214] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.132; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 85; *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012 113.

საკმარისია რელევანტური კონტაქტის შედეგად ბაზარზე ფაქტობრივ კოორდინაციას ქონდეს ადგილი.[215]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მიერ ნების გამოხატვის კუთხით მნიშვნელოვანი ინტენსივობით არ გამოირჩევა. ამ შემთხვევაში ცალკეული ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტის კოორდინაციაში ჩართვის მიზნით არც პირდაპირ შეთავაზებასა თუ ამ მიზნით განხორციელებულ სხვა მსგავსი შინაარსისა თუ მიზნის მქონე აქტიურ ქმედებას აქვს ადგილი. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება და შეთანხმებული ქმედება თავიანთი სამართლებრივი ბუნებით ძალიან დიდ მსგავსებას ავლენენ ერთმანეთთან და განსხვავდებიან მხოლოდ მათი ინტენსიურობისა და გამოვლინების ფორმების მიხედვით.[216]

კონკლუდენტური თანხმობით დადებულ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაზე საუბრისას აღინიშნა, რომ ასეთ დროს ერთი ეკონომიკური აგენტი მეორე ეკონომიკური აგენტის მისამართით პირდაპირი ან ირიბი ფორმით ახორციელებს მოწვევას კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის ერთობლივად მიღწევასთან დაკავშირებით. კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებას ასეთი აქტიური პერსონაჟი თუ ორგანიზატორი არ ჰყავს. ამ შემთხვევაში არც ერთი ეკონომიკური აგენტი არ ახდენს პირდაპირ სხვა ეკონომიკური აგენტის მისამართით კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილეობის ნების გაცხადებასა თუ ამ ქმედებაში მონაწილეობისკენ სხვა ეკონომიკური აგენტის წაქეზებას. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების მონაწილე ყველა სუბიექტის მხრიდან ადგილი აქვს *de facto* მოქმედებას, რომელიც კოორდინაციის სახეს იძენს და რომლის შედეგი ან მიზანი კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვაა. ამდენად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა თუ შედეგის მქონე ფაქტობრივ კოორდინაციას.[217]

---

[215] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 7.

[216] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 131;

[217] *Schröter H.*, *van Vormizeele P. V.,* Groeben/Schwarze/Hatje, Europäisches Unionsrecht, 7. Aufl. 2015, Rn. 53.

ყოველმხრივი *de facto* მოქმედება განასხვავებს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებას კონკლუდენტური თანხმობით დადებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისაგან, რომელშიც მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის ფაქტობრივ საბაზრო ქმედებასთან გვაქვს საქმე. კონკლუდენტური თანხმობით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში ეკონომიკური აგენტების ფაქტობრივი ქმედება წარმოადგენს სხვა ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოწვევის პასუხს, რომელიც ასეთ დროს ამ მოწვევაზე კონკლუდენტურ თანხმობად კვალიფიცირდება. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავს პირდაპირ მოწვევას არცერთი სუბიექტის მხრიდან არ აქვს ადგილი და ასეთ დროს კოორდინაციაში მონაწილე ყველა ეკონომიკური აგენტი მხოლოდ ფაქტობრივ საბაზრო ქმედებებს ახორციელებს, რომელიც შესაბამისი წინაპირობების არსებობისას კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევად მიიჩნევა. იმდენად, რამდენადაც ასეთ დროს არ გვაქვს სახეზე კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ჩართვასთან დაკავშირებული მოწვევა, მსგავსი ფაქტობრივი საბაზრო ქმედებების სახით ვერც კონკლუდენტურ თანხმობას ექნება ადგილი.

მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების კოორდინაციის ისეთ ფორმას, რომელიც, მართალია, არ იქნა აყვანილი ისეთ დონეზე, რომ ადგილი ჰქონოდა კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას, თუმცა ახდენს მათ შორის არსებული კონკურენტული დამოკიდებულების ჩანაცვლებასა და კონკურენტული წნეხის შემცირებას ან მის სრულად აღმოფხვრას.[218] კონკურენციის

[218] ECLI:EU:C:1972:70, *"Chemical Industries,"* Case 48-69, 14.07.1972, § 64; ECLI:EU:C:1981:178, *"Gerhard Züchner,"* Case 172/80, 14.07.1981, § 12; ECLI:EU:C:1993:120, *"Ahlström Osakeyhtiö,"* Joined cases C-89/85, C-104/85, C-114/85, C-116/85, C-117/85 and C-125/85 to C-129/85, 31.03.1993, § 63; ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 115; ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG,"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 158; ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 26; ECLI:EU:T:2013:449, *"Wabco Europe,"* Case T-380/10, 16.09.2013, § 37; შეად. *ქვანია ნ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 191; შეად. სკსგ, 09.03.2021, ბრძ. N04/31, *„შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის" საქმე,"* 76-77; შეად. სკსგ, 06.07.2018, ბრძ. N04/166, *„შპს „სიტროენ ჯორჯიას" საქმე,"* 12*;* შეად. სკსგ, 23.06.2017, ბრძ. N04/167, *„სასკოლო ავტობუსების საქმე,"* 34.

შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება მოიცავს ეკონომიკურ აგენტთა ნებისმიერ ისეთ კოორდინაციას, რომელსაც მხარეთა განზრახვისა თუ ნების გამოვლენისა და თანხვედრის შედეგად არ მიუღია კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების სახე, თუმცა იგი თავს იჩენს ბაზრის შესაბამის მონაწილეთა პრაქტიკულ თანამშრომლობასა თუ ერთობლივ და ჰარმონიზებულ საბაზრო ქმედებებში.[219] მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განვითარებულ აღნიშნულ მიდგომას იზიარებს ასევე გერმანული მართლმსაჯულება, სადაც GWB პირველი მუხლის ფარგლებში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ცნების იდენტურ განმარტებებს ვხვდებით.[220]

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით ევროკომისია, განმარტავს, რომ შეთანხმებული ქმედება გულისხმობს ეკონომიკურ აგენტთა შორის კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ისეთ შემთხვევას, რომლის დროსაც, მართალია, შესაბამის სუბიექტებს შორის არ არის ფორმირებული კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, თუმცა მათ შორის ადგილი აქვს კონკურენციისათვის საფრთხის შემქმნელი კოორდინაციის მიზანმიმართულ და პრაქტიკულ გამოვლინებას.[221] შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმებული ქმედების ფაქტობრივი შემადგენლობა გულისხმობს ეკონომიკური აგენტების ისეთ თანაქმედებას, რომელიც მათი მხრიდან გაცნობიერებული და გამიზნული პრაქტიკული კოორდინაციის შედეგად წარმოიშობა და რომელსაც საფუძვლად არ უდევს მასში მონაწილე სუბიექტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება.[222] მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროკომისიის აღნიშნული განმარტებები ასევე დამკვიდრებულია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაშიც.[223]

შეთანხმებული ქმედების ცნების მსგავსი დეფინიცია, თავის მხრივ, იძლევა ეკონომიკური აგენტების კოორდინაციის განსახილველი ფორმის მახასიათებლების

---

[219] *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 76; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 58.

[220] OLG Düsseldorf Kartellsenat, Beschluss vom 03.03.2004 – VI-Kart 22/00 (V), Kart 22/00 (V), § 17.

[221] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 32; ECLI:EU:C:1972:70, *"Chemical Industries,"* Case 48-69, 14.07.1972, § 64; ECLI:EU:C:1981:178, *"Gerhard Züchner,"* Case 172/80, 14.07.1981, § 12.

[222] *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 202; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 58.

[223] სკსგ, 06.07.2018, ბრძ. N04/166 *„შპს „სიტროენ ჯორჯიას" საქმე,"* გვ. 12.

იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ერთ-ერთ პირველ და ძირითად მახასიათებლად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ცნების ორელემენტიანი სისტემა. ამ სისტემაში პირველ ელემენტს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა შორის კონტაქტი მათ მიერ სამომავლო საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებით მენტალური კონსენსუსი მიღწევის მიზნით (მაგ. სამომავლო საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლა), რომელიც არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების რაიმე ფორმით დადებას.[224] მეორე და მნიშვნელოვან ელემენტად კი მიჩნეულ უნდა იქნეს კოორდინაციაში ჩართული ეკონომიკური აგენტების მიერ პრაქტიკულად განხორციელებული საბაზრო ქმედება.[225] ამ ორ ელემენტს შორის კი უნდა არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი.[226] ამდენად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში საქმე ეხება მართლსაწინააღმდეგო კოორდინაციის შედეგზე ორიენტირებულ ფორმას.[227]

თუმცა აღნიშნული წინაპირობების მიმართ კონკურენციის სამართალში არ არსებობს რაიმე სახის მკაცრი მოთხოვნები, რათა არ შეიზღუდოს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლები. კერძოდ, ამ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა შორის დამყარებული კონტაქტი არ გულისხმობს რაიმე ფორმით ეკონომიკური და სამართლებრივი თუ მორალური ბოჭვის არსებობას.[228] გარდა ამისა, კოორდინაციის აღნიშნული ფორმის სავალდებულო წინაპირობას ასევე არ წარმოადგენს

---

[224] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 140; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 827;

[225] *Lubbig T.,* Wiedemann, Handbuch des Kartellrechts, 4. Aufl., 2020, § 8, Rn. 13; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 144; *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 206;

[226] ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 162; BGH, Urteil vom 23.04.1985 – KRB 6/84KG18.04.1984; *Schröter H., van Vormizeele P. V.,* Groeben/Schwarze/Hatje, Europäisches Unionsrecht, 7. Aufl. 2015, Rn. 55; ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 118; *Lubbig T.,* Wiedemann, Handbuch des Kartellrechts, 4. Aufl., 2020, § 8, Rn. 13.

[227] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 60, 62; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 140; *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 69.

[228] *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 76; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 827; *Biermann J.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 2, 6. Aufl., 2020, GWB § 81, Rn. 58; *Paal B. P.,* BeckOK Informations- und Medienrecht, Gersdorf/Paal, 31. Aufl. Rn. 21; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 63; *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn 75.

არც თანმხვედრი თუ ურთიერთმფარავი განზრახვა ან რაიმე სახის საერთო გეგმაზე შეთანხმება.[229]

მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენის შემდეგ ეტაპზე კი ფასდება, თუ რამდენად არის კოორდინაციის მიზანი ან შედეგი კონკურენციის, შეზღუდვა დაუშვებლობა ან აკრძალვა. ასეთ დროს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით გათვალისწინებულ შეთანხმებულ ქმედებას შეიძლება ადგილი ექნეს მაშინ, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა კოორდინირებული ქმედება იწვევს კონკურენციის ისეთი პირობების ჩამოყალიბებას, რომელიც, შესაბამის ბაზარზე არსებული პროდუქტის ხასიათისა თუ თვისებების, ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მისი ზომის გათვალისწინებით, არ არის თავსებადი ბუნებრივ და ნორმალურ საბაზრო კონდიციებთან.[230] ამასთან, ცალკეული შეთანხმებული ქმედება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში ექცევა ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მას ჯერ კიდევ არ გააჩნია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების არარსებობის მიუხედავად შეთანხმებული ქმედება მაინც ექცევა აკრძალვის ქვეშ თუ მას ასეთი შემზღუდველი მიზანი გააჩნია.[231]

ზემოთ მოცემული მსჯელობის შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება არის ეკონომიკური აგენტების მართლსაწინააღმდეგო კოორდინაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც არ არის ფორმირებული ხელშეკრულების დადების გზით და ნებათა თანხვედრის ინტენსივობით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ამ უკანასკნელს, თუმცა ეკონომიკურ აგენტთა დამოუკიდებელი პარალელური ქმედებასთან შედარებით ეს ინტენსივობა გაცილებით მეტია.[232]

---

[229] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 827;

[230] ECLI:EU:C:1975:174, *"Coöperatieve Vereniging "Suiker Unie UA,"* Joined cases 40 to 48, 50, 54 to 56, 111, 113 and 114-73, 16.12.1975, § 26.

[231] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 122-123.

[232] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 140.

3.3. რელევანტური კონტაქტი - ქმედებათა „შეთანხმება"

i. არსი

იმდენად, რამდენადაც შეთანხმებული ქმედება ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებულ კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციას წარმოადგენს, ქმედების აღნიშნული შემადგენლობის არსებობისთვის აუცილებელია მასში ჩართულ სუბიექტებს შორის გარკვეული მენტალური კონსენსუსის არსებობა.[233] აღნიშნულზე მეტყველებს საკუთრივ ტერმინი „შეთანხმებული ქმედება," რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებულ სამომავლო საბაზრო ქმედებებს ეხება საქმე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ამ ფორმის დასახელებაში სიტყვა „შეთანხმებულის" გამოყენებამ შესაძლოა კანონის მე-7 მუხლის განმარტების პროცესში გარკვეული ტერმინოლოგიური პრობლემები თუ წინააღმდეგობები წარმოშვას. აღნიშნულს განაპირობებს ის ფაქტი, რომ კანონმდებელი იმავე მუხლში ასევე იყენებს ტერმინ „შეთანხმებასაც," რომლის ქვეშ ერთიანდება ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის სამი ფორმა - ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება და გადაწყვეტილება.[234] შეთანხმებული ქმედების კონტექსტში ტერმინ „შეთანხმებას" გაცილებით უფრო ვიწრო კონტექსტი გააჩნია და ამ შემთხვევაში მხოლოდ ქმედებათა შეთანხმებაზე არის საუბარი, რომელიც კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ერთ-ერთი ფორმის, შეთანხმებული ქმედების პირველ წინაპირობას წარმოადგენს.

ქმედებათა შეთანხმებასთან მიმართებით თავიდანვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში საუბარი არ არის შესაბამისი ეკონომიკური აგენტების ურთიერთმფარავი ნებისა თუ განზრახვის გამოვლენაზე ან კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ცალკეული საბაზრო ქმედებების ერთობლივად განხორციელებასთან დაკავშირებით პირდაპირ გაცხადებულ თანხმობასა თუ გამოვლენილ ნებაზე. მსგავსი ურთიერთმფარავი ნებისა თუ განზრახვის გამოვლენის

---

[233] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 85; *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012, 113; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.132.

[234] ტერმინოლოგიურ ანალიზთან დაკ. დაწვ. იხ. გვ. _ და შემდგ.

დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმე კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას ეხება. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემთხვევაში მონაწილეთა თანმხვედრი ნების სახით არსებული სუბიექტური ელემენტი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში ფაქტობრივად არ არსებობს. შეთანხმებული ქმედება არის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების უფრო მსუბუქი ფორმა, რომელიც საჭიროებს მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის „მენტალურ კონსენსუსს“ - მინიმალურ ურთიერთგაგებასა და გარკვეული ფორმის თანამშრომლობას.[235]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის დამახასიათებელი შესუსტებული ნებელობითი ელემენტი ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაში დამკვიდრებულია „კონტაქტის“ (*“Contact”/”Fühlungnahme”*) სახელით,[236] რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ აგენტებს შორის არა ხელშეკრულების დადებას, არამედ გარკვეული მენტალური კონსენსუსის მიღწევას.[237] იგივე მიდგომას ვხვდებით ევროპულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.[238] ამ ტერმინის სახით შეთანხმებული ქმედების პირველი წინაპირობის დამკვიდრება მიზანშეწონილია ქართულ რეალობაშიც მოხდეს.[239] მსგავსი მიდგომა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ტერმინ „შეთანხმებისა“ თუ „შეთანხმებულის“ ტავტოლოგიური გამოყენების პრევენციას და, მეორე მხრივ, უფრო ნათლად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისთვის არ არის აუცილებელი მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა მიერ ურთიერთმფარავი ნებისა თუ განზრახვის გამოხატვა.

---

[235] *Barry R., Angus M.,* Competition Law and Policy in the EC and UK, 4-th ed. 2009, 175.

[236] ECLI:EU:C:1981:178, *“Gerhard Züchner,”* Case 172/80, 14.07.1981, § 13; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. §§ 3.126, 3.131; *Grave C., Nyberg J.,* Loewenheim/Meessen/Riesenkampff/Kersting/Meyer-Lindemann, KartR., 4. Aufl., 2020, Rn. 206; *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn 72; *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 4, Rn. 18.

[237] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 85; *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012 113.

[238] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 86;

[239] აღსანიშნავია, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა და სააგენტოს პრაქტიკაში უკვე არსებობს ტერმინ „კონტაქტის“ აღნიშნულ კონტექსტში გამოყენების მაგალითი - იხ. *ჟვანია ნ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 193; სკსგ, 09.03.2021, ბრძ. N04/31, *„შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე,“* 78; სკსგ, 06.07.2018, ბრძ. N04/166, *„შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე,“* 9.

კონტაქტი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაშიც არის აღიარებული. კერძოდ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სააგენტო განმარტავს, რომ შეთანხმებული ქმედების არსებობისათვის აუცილებელია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდებოდეს ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქმედებების კოორდინაცია და, ამასთან, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ერთმანეთისთვის შეუტყობინებელ და შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისთვის უცნობ მოქმედებათა გეგმას, რომელსაც თითოეული ეკონომიკური აგენტი შესაბამის ბაზარზე დამოუკიდებლად ახორციელებდა.[240] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმებული ქმედება ეფუძნება ეკონომიკურ აგენტებს შორის ნებისმიერი ფორმის კონტაქტს, რომლის შედეგადაც იმ კონკურენტულ წნეხს, რომელსაც ეკონომიკური აგენტები ერთმანეთისაგან განიცდიან, ანაცვლებს ამ კონტაქტის შედეგად ჩამოყალიბებული და განხორციელებული კონკურენციის შემზღუდველი მიზნის ან შედეგის მქონე საბაზრო ქმედებები.[241]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ფარგლებში საკუთრივ კონტაქტის ცნებასაც ავტონომიური და სპეციფიკური მნიშვნელობა გააჩნია. გერმანულ და ევროპულ მართლმსაჯულებასა თუ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანოების პრაქტიკაში მრავლად მოიძებნება გადაწყვეტილებები, რომლებზე დაყრდნობითაც შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის შინაარსის განსაზღვრა თუ მახასიათებლების იდენტიფიცირება არის შესაძლებელი.

განსახილველ კონტექსტში კონტაქტის ცნების ინტერპრეტაციისას ევროპული პრაქტიკა მისი ფართო განმარტებისკენ იხრება. აღნიშნულზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული ერთგვაროვანი მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის არსებობისთვის არ არის აუცილებელი შესაბამისმა ეკონომიკურმა აგენტებმა შეიმუშაონ რაიმე სახის სამოქმედო გეგმა, რომლის

[240] *ჟვანია ნ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 192 - ციტ. სკსგ, 10.05.2018, ბრძ. N04/117, *„ნავთობკომპანიების საქმე II,“* გვ. 51.

[241] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 142, 145.

იმპლემენტაციასაც ისინი შესაბამის ბაზარზე ერთობლივად განახორციელებენ.[242] ამდენად, კონტაქტის ცნება არ არის დაკავშირებული შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მიერ რაიმე სახის მყარი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან, რომლის შესრულებასაც ისინი დროთა განმავლობაში ეცდებიან. მსგავსი კომპლექსური მოთხოვნის შეთანხმებული ქმედების ფაქტობრივ შემადგენლობასთან დაკავშირება მნიშვნელოვნად დაავიწროვებოდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს, რაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონკურენციის კანონმდებლობის ზოგად მიზნებთან და ამოცანებთან.

გარდა ამისა, მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა უფრო შორს მიდის და კონტაქტის მახასიათებლების პოზიტიურ ფორმულირებებსაც გვთავაზობს. კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლო, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების თითოეული ელემენტის მსგავსად, შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის განმარტებასაც ნორმის ზოგად ტელეოლოგიურ საფუძვლებზე საუბრით იწყებს. ერთ-ერთი მსგავსი მნიშვნელოვანი საფუძველი კი, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, არის ეკონომიკური აგენტების მიმართ კონკურენციის სამართლის ფარგლებში არსებული დამოუკიდებლობისა თუ კონკურენტული ავტონომიურობის მოთხოვნა.[243]

ამ პრინციპზე დაყრდნობით მართლმსაჯულების სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ შეთანხმებული ქმედებისათვის აუცილებელი კონტაქტის შინაარსი გაგებული უნდა იქნეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის იმ ზოგადი და ძირითადი ტელეოლოგიური საფუძვლის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს, რომ თითოეულმა ეკონომიკურმა აგენტმა დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს ის კომერციული პოლიტიკა რომლის გატარებასა და იმპლემენტაციასაც იგი შესაბამის ბაზარზე აპირებს.[244] აქედან

[242] ECLI:EU:C:1981:178, *"Gerhard Züchner,"* Case 172/80, 14.07.1981, § 13; CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 60.

[243] ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG,"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 158; ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 32; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. §§ 3.126, 3.129; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 143; *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn 76.

[244] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 58; ECLI:EU:C:1981:178, *"Gerhard Züchner,"* Case 172/80, 14.07.1981, § 13.

გამომდინარე, შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის არსებობისთვის აუცილებელია იმის დადგენა, თუ რამდენად ახდენს გავლენას ერთმანეთთან შემხებლობაში მყოფი ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთში გაცვლილი ან ერთმანეთისთვის გამჟღავნებული ინფორმაცია მათ უნარზე, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ და განსაზღვრონ მათი სამომავლო საბაზრო პოლიტიკა და ასევე დამოუკიდებლად მოახდინონ ამ პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება.

კონკურენტული ავტონომიურობის აღნიშნული მოთხოვნა ეკონომიკურ აგენტს არ ართმევს უფლებას დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოახდინოს მისი კონკურენტის მიმდინარე თუ დაგეგმილ საბაზრო ქმედებებთან რაციონალური ადაპტირება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, იგი გამორიცხავს კონკურენტებს შორის ნებისმიერი ისეთი ხარისხის კონტაქტის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანი ან შედეგი იქნება ისეთი საბაზრო პირობებისა თუ კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ცალკეულ ბაზარზე მისაწოდებელი საქონლისა თუ მომსახურების, ამ ბაზრის ზომისა და ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობის გათვალისწინებით არ არის შესაბამისობაში ნორმალურ და ჯანსაღ საბაზრო პირობებთან.[245]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტებს შორის სამომავლო საბაზრო ქმედებებსა თუ მათ კომერციულ პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებული ბუნდოვანების შემცირება ან სრულად აღმოფხვრა, რაც ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული კონკურენციის ხარისხსა და მასშტაბებს ამცირებს.[246] მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ასევე განმარტავს, რომ დაუშვებელია ეკონომიკურმა აგენტმა რაიმე ფორმით ითანამშრომლოს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთან ერთობლივი კომერციული პოლიტიკისა თუ სამომავლო საბაზრო ქმედებების განსაზღვრის მიზნით და უზრუნველყოს ამ

[245] ECLI:EU:C:1981:178, *"Gerhard Züchner,"* Case 172/80, 14.07.1981, § 14.

[246] ECLI:EU:T:2013:449, *"Wabco Europe,"* Case T-380/10, 16.09.2013, § 39; ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 35;*Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 76.

მართლსაწინააღმდეგო თანამშრომლობის წარმატება იმ ბუნდოვანებების ან ინფორმაციის ნაკლებობის აღმოფხვრით, რომელიც მათი სამომავლო საბაზრო ქმედებების ისეთ არსებით ელემენტებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა შესაბამის ბაზარზე ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების მოცულობა, ადგილი, თარიღი და ფასი.[247] შესაბამისად, ამ შემთხვევაში სასამართლო მსგავს მონაცემებს მომეტებული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციად მიიჩნევს, რომელთან დაკავშირებითაც არსებული ბუნდოვანება ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული კონკურენციის ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი მდგენელი და განმსაზღვრელი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისათვის რელევანტური კონტაქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთში ისეთი ინფორმაციის გაცვლა, რომელიც მათ მიერ უკვე დაწესებულ ან სამომავლოდ დასაწესებელ ფასებს ეხება.[248]

ამდენად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისთვის აუცილებელია ამ ქმედებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ საკუთარი საბაზრო ქცევის განსაზღვრისას ერთმანეთში გაცვლილი ინფორმაციის მხედველობაში მიღება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც კოორდინაციას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინტენსიური ხასიათი გააჩნია.[249] სხვაგვარად რომ ითქვას, ასეთ დროს უნდა დასტურდებოდეს, რომ შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქმედებების შინაარსისა თუ ფორმის განსაზღვრაზე გავლენა იქონია ერთმანეთში გაცვლილმა ან ერთმანეთისთვის გაცხადებულმა ინფორმაციამ. აღნიშნული მიდგომა კი გამომდინარეობს ეკონომიკური აგენტების ვალდებულებიდან, საკუთარი საბაზრო პოლიტიკის განსაზღვრისას იმოქმედონ დამოუკიდებლად, ერთმანეთთან კოორდინაციის გარეშე. ხოლო იმ პირობებში, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული ინფორმაცია გავლენას ახდენს ბაზრის მეორე მონაწილის მიერ კონკრეტულ საბაზრო ქცევასთან დაკავშირებით მისაღებ გადაწყვეტილებაზე, საუბარი ვერ იქნება დამოუკიდებელ საბაზრო მოქმედებასა თუ ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

[247] ECLI:EU:C:1972:70, *"Chemical Industries,"* Case 48-69, 14.07.1972, § 118.
[248] ECLI:EU:C:1981:178, *"Gerhard Züchner,"* Case 172/80, 14.07.1981, § 21.
[249] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 121.

აღნიშნული კი ამცირებს ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის ხარისხს, ვინაიდან ნაცვლად ერთმანეთთან ანტაგონისტური საბაზრო დამოკიდებულებისა, ისინი მოქმედებენ კოორდინირებულად და ერთმანეთს უსადაგებენ თავიანთ საბაზრო ქმედებებს. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვა ეკონომიკურ აგენტებს შორის გამორიცხავს ნებისმიერი ისეთი სახის კონტაქტსა თუ კომუნიკაციას, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ამ ეკონომიკური აგენტების ინდივიდუალური საბაზრო ქმედებების შინაარსისა თუ სახის ფორმირებაზე ან რომლის შედეგადაც ადგილი აქვს ერთ-ერთი ან ყველა ეკონომიკური აგენტის მიერ დაგეგმილი სამომავლო საბაზრო ქმედებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას და ასეთი კონტაქტის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა.[250] ამასთან, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისთვის არ არის აუცილებელი სახეზე იყოს კონტაქტის ინტენსივობის გარკვეული ხარისხი. ერთჯერადი კონტაქტი თუ ინფორმაციის ერთჯერადი გაცვლა/მიწოდებაც კი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების დასადგენად.[251]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტი სახეზეა ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს იმ დონის ფიზიკური თუ ინფორმატიული შემხებლობა გააჩნიათ ერთმანეთთან, რომელიც ავტომატურად ახდენს გავლენას მათი საბაზრო ქცევის განსაზღვრისა და განხორციელების დამოუკიდებლობის ხარისხზე.[252] ასეთი კონტაქტს კი შესაძლოა ადგილი ქონდეს ცალკეულ პროფესიულ კონფერენციებში, შეხვედრებსა თუ დისკუსიებში მონაწილეობის ან სხვა შემთხვევებში.[253]

[250] ECLI:EU:T:2013:449, *"Wabco Europe,"* Case T-380/10, 16.09.2013, § 38.
[251] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 86;
[252] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 143.
[253] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 86;

ii. კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების აკრძალვის ფარგლებში ეკონომიკური აგენტებისთვის კონტაქტის დაუშვებლობა არ ართმევს ბაზრის მონაწილეებს უფლებას საერთოდ გამორიცხონ მათ შორის ნებისმიერი შინაარსისა და ფორმის კომუნიკაცია. საწინააღმდეგოს დაშვება, ბუნებრივია, არათანაზომიერად შეზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციით ეკონომიკური აგენტებისთვის გარანტირებული სამეწარმეო თავისუფლების ფარგლებს.

კომერციული კომუნიკაციისა თუ ურთიერთობის ერთ-ერთი მიზანი, როგორც წესი ეკონომიკურ აგენტებს შორის გარკვეული ინფორმაციის მიმოცვლაში მდგომარეობს. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის საგანიც ეკონომიკური აგენტების მიერ ერთმანეთისთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მენტალური კონსენსუსის მიღწევას შესაბამის სუბიექტებს შორის დამყარებული ინფორმატიული კავშირი უდევს საფუძვლად. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ კონკურენციის სამართალი სრულად სპობს ეკონომიკურ აგენტებს შორის ნებისმიერი სახის ინფორმაციისა თუ მონაცემების გაცვლის შესაძლებლობას.

კონკურენციის სამართლის თეორია და პრაქტიკა ინფორმაციათა ფართო სპექტრიდან გარკვეულწილად მიჯნავს მონაცემთა ცალკეულ კატეგორიებსა თუ ინფორმაციის გაცვლის ინტენსივობის გარკვეულ ხარისხს და მათ კონკურენციის სამართლისთვის მომეტებული ინტერესების ფარგლებში აქცევს. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების აკრძალვა, თავისი არსით, დაუშვებლად მიიჩნევს ეკონომიკურ აგენტებს შორის სამომავლო საბაზრო ქმედებების შესახებ ინდივიდუალურად მიღებული თუ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებებისა და განზრახვების შესახებ ინფორმაციის მიმოცვლას, როდესაც აღნიშნულის შედეგად ისეთი კონკურენტული პირობების ჩამოყალიბების საფრთხე, რომელიც ნორმალურ საბაზრო მოცემულობასთან არ არის თავსებადი.[254]

[254] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 33.

კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია, როგორც წესი, დაკავშირებულია კონკურენტის საბაზრო პოზიციებსა და სამომავლო ეკონომიკურ სტრატეგიასთან.[255] მსგავსი ინფორმაციის მაგალითად შესაძლოა დასახელებულ იქნეს სამომავლო საფასო პოლიტიკა, ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებაზე დაგეგმილი ფასდათმობები, წარმოების მასშტაბები, ბაზარზე მისაწოდებელი საქონლის მოცულობები და კომერციული სტრატეგიის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.[256] აღნიშნულისაგან განსხვავებით, ევროპულ პრაქტიკაში გლობალური სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლა, რომელსაც არ გააჩნია ინდივიდუალური ან ინდივიდუალიზირებადი ხასიათი არ წარმოადგენს კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციას და მისი სხვა ეკონომიკური აგენტისთვის მიწოდება არ ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის შემადგენლობას.[257] აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ზოგადი და არაინდივიდუალური ხასიათის სტატისტიკური ინფორმაცია არ იძლევა ცალკეული ეკონომიკური აგენტის საბაზრო ქცევის განჭვრეტის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია უნდა უზრუნველყოფდეს ცალკეული ეკონომიკური აგენტის საბაზრო ქცევასთან დაკავშირებით ინდივიდუალიზებული ინფორმაციის მიღებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ამ ინფორმაციის საფუძველზე სხვა ეკონომიკურმა აგენტებმა მოახდინონ ამ მონაცემებთან მათი საბაზრო ქმედებების მისადაგება.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების გაგებით კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის კონკრეტული სახეებისა თუ მაგალითების ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, ეკონომიკურ აგენტებს შორის გაცვლილი ინფორმაციის კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციად მიჩნევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებითა და მხედველობაში მიღებით უნდა

[255] იქვ. § 34.
[256] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 86; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 67.
[257] ECLI:EU:T:1998:104, *"Stora Kopparbergs Bergslags AB,"* Case T-354/94, 14.05.1998, § 112.

მოხდეს. ზოგადად კი ევროკომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ ინფორმაციის გაცვლა შესაძლოა ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტურ კონტაქტად იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის აღმოფხვრის სტრატეგიულ ბუნდოვანებას, ზღუდავს ეკონომიკურ აგენტთა დამოუკიდებლობას, ინდივიდუალიზმს აცლის ბაზრის მონაწილეთა საბაზრო ქმედებების ფორმასა თუ შინაარსს და ამცირებს ჯანსაღი მეტოქეობის მოტივაციას.[258]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისათვის არ არის აუცილებელი კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის ორმხრივი ან მრავალმხრივი გაცვლა. ამ კუთხით კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას შესაძლოა ადგილი ექნეს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ ხდება.[259] ერთ-ერთ საქმეზე მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ ეკონომიკური აგენტი წარმოადგენდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების მონაწილე სუბიექტს მხოლოდ იმიტომ, რომ მან მისი კონკურენტის საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებით მიიღო ინფორმაცია.[260]

ამასთან, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემთხვევის მსგავსად, არც ასეთ დროს არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფორმით მოხდა ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტისთვის კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის მიწოდება ან ქონდა თუ არა ადგილი კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ჩართვის იძულებას.[261] ევროკომისიის განმარტებით, ეკონომიკურმა აგენტებმა მსგავსი ინფორმაცია ერთმანეთს შესაძლოა მიაწოდონ როგორც პერსონალური შეხვედრების

[258] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 62.
[259] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 62.
[260] ECLI:EU:T:2000:77, *"Cimenteries CBR,"* Joined cases T-25/95, T-26/95, etc., 15.03.2000, § 1852.
[261] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 143.

გზით, ასევე ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის ან სხვა საშუალებების გამოყენებით.[262]

ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტისთვის კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნება არ წარმოადგენს არანაირ პირდაპირ მოწვევას კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მსგავსი მოწვევის შემთხვევაში ადგილი აქვს ნებათა ორმხრივი ფორმირების დასაწყისს და შესაბამისად, ქმედების შეფასება უნდა მოხდეს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ჭრილში მაშინ, როდესაც ადრესატი ამ მოწვევას მიიღებს შემხვედრი ნების გაცხადებით ან კონკლუდენტური თანხმობით. აღნიშნულისაგან განსხვავებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის არსებობისთვის არ არის აუცილებელი კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის განცხადების ადრესატის მხრიდან კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ჩართვასთან დაკავშირებით შემხვედრი ნების გამოხატვა ან რაიმე სახის უკუკავშირი.[263] კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის ცალმხრივი მიწოდებაც კი უკვე აყალიბებს შეთანხმებული ქმედებისათვის რელევანტურ კონტაქტს.[264] ქმედებათა მსგავსი კონსტელაციის შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების დასადგენად საკმარისია ადრესატმა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მის შესაბამისად დაიწყოს პრაქტიკული საბაზრო ქმედებების განხორციელება. აღნიშნულის შედეგად კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის მიმწოდებელი ეკონომიკური აგენტი ასკვნის, რომ ჩამოყალიბდა თანამშრომლობა, რომლის შედეგადაც შემცირდა ან სრულად აღმოიფხვრა მათ შორის არსებული კონკურენციის ხარისხი და კონკურენტული წნეხის მასშტაბები.

[262] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 62.

[263] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 143.

[264] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 62.

iii. ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტი ატარებს ორმხრივ ან მრავალმხრივ ხასიათს. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით აღნიშნული წინაპირობა დაკმაყოფილებულია ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტი სხვა ეკონომიკურ აგენტს უმხელს სამომავლოდ განსახორციელებელ საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, თუ ეს უკანასკნელი ითხოვს ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებას ან იღებს მას.[265] თუმცა პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი ისეთ შემთხვევას, როდესაც ეკონომიკური აგენტი უშუალოდ სხვა ეკონომიკურ აგენტს ან აგენტებს არ აწვდის სამომავლო საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, თუმცა მისი მხრიდან ამ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების გზით იგი მაინც შეცნობადი ხდება მათთვის. მსგავსი ქმედება, ერთი შეხედვით, იგივე შედეგებს იწვევს რასაც ინფორმაციის პირდაპირი მიწოდება - სამომავლო საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მაინც ხელმისაწვდომი ხდება სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა თავიანთი კომერციული პოლიტიკა ამ ინფორმაციის შესაბამისად და მისი ზეგავლენით განსაზღვრონ და იგი მიუსადაგონ ინფორმაციის განმცხადებელი ეკონომიკური აგენტის ქმედებებს.

თუმცა ამ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ამკრძალავი ნორმის დარღვევა ყოველთვის მარტივი როდია. პრობლემურია იმის განსაზღვრა თუ რამდენად აყალიბებს საჯაროდ გაცხადებული ინფორმაცია ეკონომიკურ აგენტებს შორის მენტალურ კონსენსუსს, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში, ბუნებრივია, ადგილი არ აქვს კონკურენციის შეზღუდვისკენ მიმართული ურთიერთმფარავი ნებისა თუ განზრახვის გამოვლენას, თუმცა შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის გარკვეული მენტალური კონსენსუსის თუ თანხვედრის არსებობა მაინც აუცილებელია, რომელიც თანმხვედრი ნების მნიშვნელოვნად შესუსტებულ ფორმას წარმოადგენს. კონკურენციის

[265] ECLI:EU:T:2000:77, *"Cimenteries CBR,"* Joined cases T-25/95, T-26/95, etc., 15.03.2000, § 1849.

შეზღუდვისკენ მიმართული მსგავსი მენტალური კონსენსუსის დადგენა ინფორმაციის საჯაროდ გაცხადების შემთხვევაში კი ძალზე დიდ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული.

ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებას, როგორც წესი, პრაქტიკაში ადგილი აქვს ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასების დაგეგმილი ზრდის შესახებ ცნობების პრესაში, ონლაინ შეტყობინებების გზით ან დარგობრივ ჟურნალებში გამოქვეყნების გზით. ასეთი ქმედება ხშირ შემთხვევაში ემსახურება მომხმარებლების ინფორმირებას ეკონომიკური აგენტის მიერ დაგეგმილ სამომავლო საფასო პოლიტიკასთან დაკავშირებით. სწორედ ამ საფუძვლით განმარტა მართლმსაჯულების სასამართლომ, რომ მერქნის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის მიერ კვარტალურად ფასების გამოქვეყნება არ მოდის წინააღმდეგობაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ ნორმასთან.[266]

ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, ცალკეული კომპანიის მიერ ინფორმაციის ცალმხრივი საჯარო გამოქვეყნება, მაგალითად, გაზეთის საშუალებით, არ ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების შემადგენლობას.[267] ასეთ დროს კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება ამოწმებს თუ რამდენად აყალიბებს მსგავსი ინფორმატიული პოლიტიკა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტურ კონტაქტს ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელიც საბოლოო ჯამში კონკურენციის შეზღუდვას იწვევს.[268] ასეთი კონტაქტის საფუძველს კი ქმნის შემთხვევა, როდესაც სხვა ეკონომიკური აგენტი ასევე საჯარო გამოქვეყნების გზით ავრცელებს ინფორმაციას. მსგავსი ქმედებები კი შესაძლოა მიზნად ისახავდეს სამომავლო კოორდინირებულ ქმედებებთან დაკავშირებით გარკვეული მენტალური კონსენსუსის მიღწევას, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების დადგენას.

---

[266] ECLI:EU:C:1993:120, *"Ahlström Osakeyhtiö,"* Joined cases C-89/85, C-104/85, C-114/85, C-116/85, C-117/85 and C-125/85 to C-129/85, 31.03.1993, § 50.

[267] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 62.

[268] *Lubbig T.,* Wiedemann, Handbuch des Kartellrechts, 4. Aufl., 2020, § 8, Rn. 14a.

3.4. ქმედება ვიწრო გაგებით და მიზეზობრივი კავშირი

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ფაქტობრივი შემადგენლობის მეორე ელემენტს ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიერ მათი კონტაქტის შესაბამისად განხორციელებული პრაქტიკული საბაზრო ქმედება წარმოადგენს, რომელსაც, პირობითად, ვიწრო გაგებით შეთანხმებული ქმედება შეიძლება ეწოდოს. შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის გარდა პირდაპირი თუ ირიბი კონტაქტისა და მათ მიერ პრაქტიკაში განხორციელებული შესაბამისი საბაზრო ქმედებებისა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისთვის აუცილებელია ამ ქმედებებსა და ეკონომიკურ აგენტებს შორის დამყარებულ კონტაქტს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა.[269] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი ქმედების დადგენა მოითხოვს ეკონომიკური აგენტების მიერ მათ შორის არსებული კონტაქტის შესაბამისი საბაზრო ქმედებების (კოლუზიური პრაქტიკა/"collusive practices") ფაქტობრივი განხორციელების დადასტურებას.[270] აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ რელევანტური კონტაქტის არსებობა, თუ მას ეკონომიკური აგენტების მხრიდან არ მოჰყვა შესაბამისი პრაქტიკული საბაზრო ქმედება ან ქმედებები.[271]

მსგავსი მიზეზობრივი კავშირის დადგენა და მტკიცების შესაბამისი სტანდარტით დასაბუთება პრაქტიკაში მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული სირთულეებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების განსახილველი ელემენტების არსებობის მტკიცების სტანდარტი ძალზე დაბალია.[272] კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკასა და ევროპულ თუ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დროთა განმავლობაში განვითარდა მიზეზობრივი კავშირის პრეზუმფციის სახელით ცნობილი

[269] *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 76; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.133.
[270] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, §§ 118, 124.
[271] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn 72.
[272] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.133.

მიდგომა (*"Kausalitätsvermutung"*).[273] ამ მიდგომის საშუალებით შესაძლებელია შეთანხმებული ქმედების სახით კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა დადგინდეს ისე, რომ მტკიცების განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით არ დასაბუთდეს რელევანტურ კონტაქტსა და ცალკეულ საბაზრო ქმედებებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი.

ფაქტობრივი საბაზრო ქმედებისა და მიზეზშედეგობრივი კავშირის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ცალკეულ შემთხვევაში კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელ უწყებასა და შესაბამის ეკონომიკურ აგენტს შორის მტკიცების ტვირთის მონაცვლეობა. აღნიშნულზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო განმარტავს, რომ იმდენად, რამდენადაც კომისიამ მტკიცების შესაბამისი სტანდარტით დაადასტურა ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის მონაწილეობა ისეთ შეხვედრაში, რომლის გაცხადებულ მიზანსაც კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის დამყარება წარმოადგენდა, კომისია არ იყო ვალდებული წარმოედგინა მტკიცებულება, რომ შეხვედრაში მონაწილე ეკონომიკურმა აგენტებმა განახორციელეს პრაქტიკული საბაზრო ქმედებები ან შეზღუდეს კონკურენცია.[274] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტები ერთმანეთთან იმყოფებიან შეთანხმებული ქმედებისათვის რელევანტურ კონტაქტში და ამასთანავე აქტიურად ოპერირებენ შესაბამის ბაზარზე, არსებობს იმის პრეზუმფცია, რომ ეს ეკონომიკური აგენტები თავიანთი კომერციული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და საბაზრო ქმედებების ფაქტობრივი განხორციელებისას მხედველობაში იღებენ და ითვალისწინებენ იმ ინფორმაციას, რომელიც მათ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან კონტაქტის შედეგად მიიღეს.[275] ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნულ პრეზუმფციას ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის ინტეგრალურ ნაწილად

[273] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn 75.
[274] ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 167.
[275] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 121; ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 162.

მიიჩნევს,[276] რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მნიშვნელობასა და ფუნქციას კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების პროცესში.

მსგავსი პრეზუმფციის წარმოშობისთვის მნიშვნელობა არ აქვს თუ რა ინტენსივობით და რა პერიოდით ადრე იყო კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტი დამყარებული შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის.[277] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ისეთ შეხვედრაში ერთჯერადი მონაწილეობაც კი, სადაც კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაცვლა მოხდა ან ხდებოდა, საკმარისია იმისათვის, რომ წარმოიშვას მსგავსი პრეზუმფცია. თუმცა სასამართლო ასევე ადგენს, რომ რაც უფრო ხშირია და ინტენსიური მსგავსი კონტაქტი, მით უფრო მყარი საფუძველი იქმნება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების დასადგენად.[278] გარდა ამისა, ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტი სხვა ეკონომიკური აგენტისაგან იღებს კომერციულად სენსიტიურ ინფორმაციას, ივარაუდება, რომ აღნიშნულის შედეგად ინფორმაციის მიმღები საკუთარი ქმედებების ადაპტირებას ახდენს ამ ინფორმაციის შინაარსთან.[279] ამდენად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის არსებობისა და ამ კონტაქტში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის მენტალური კონსენსუსის მიღწევის პირობებში მოქმედებს იმის პრეზუმფცია, რომ ამ ყველაფერს მოჰყვა შესაბამისი პრაქტიკული საბაზრო ქმედების განხორციელება (შეთანხმებული ქმედება ვიწრო გაგებით) და ამ ქმედებასა და კონტაქტს/მენტალურ კონსენსუსს შორის არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირი.

ევროპული პრაქტიკის მიხედვით ასეთი პრეზუმფციის წარმოშობის პირობებში საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთის მატარებელია შესაბამისი ეკონომიკური აგენტი, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ მისი მხრიდან სხვა ეკონომიკურ აგენტებთან დამყარებულ რელევანტურ კონტაქტს არანაირი გავლენა არ მოუხდენია მის მიერ

---

[276] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 52.

[277] სკსგ, 09.03.2021, გრძ. N04/31, *„შპს „X და აუდიტ სერვის X გუფის" საქმე,"* 97.

[278] ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 162; ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 58; ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 121.

[279] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 62.

პრაქტიკულად განხორციელებული საბაზრო ქმედებების ფორმის, შინაარსისა თუ სხვა მახასიათებლების ფორმირებაზე.[280]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობის მნიშვნელოვან პრეზუმფციას ქმნის რელევანტური კონტაქტის ისეთი გავრცელებული შემთხვევა, როგორიცაა ეკონომიკური აგენტების წარმომადგენლების შეხვედრებსა თუ თავყრილობებში მონაწილეობა. მსგავსი შეხვედრები, როგორც წესი, ეკონომიკურ აგენტებს შორის კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელოვან პლატფორმას ქმნის. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის არსებობის მყარი მტკიცებულება არის სახეზე მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტი მონაწილეობს იმ შეხვედრაში, სადაც სამომავლოდ განსახორციელებელ საერთო საბაზრო ქმედებებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, არსებობს პრეზუმფცია, რომ ასეთ შეხვედრაზე დასწრების შედეგად ეკონომიკური აგენტი წარმოადგენს ამ შეხვედრის ფარგლებში ჩამოყალიბებული შეთანხმებული ქმედების მონაწილე სუბიექტს, თუ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ შეხვედრაზე დასწრების მიუხედავად იგი არ გამხდარა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მონაწილე.[281] კერძოდ, ამ შემთხვევაშიც ძირითადი ამოსავალი წერტილია ეკონომიკური აგენტის დამოუკიდებლობა და ამ დამოუკიდებლობაზე ის გავლენა, რომელიც გააჩნია ცალკეულ კონტაქტს სხვა ეკონომიკურ აგენტებთან.

აქედან გამომდინარე, თუ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება სათანადო მტკიცებულებებით დაასაბუთებს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიერ მსგავს შეხვედრებში მონაწილეობას, იგი ქმნის კონკურენციის შემზღუდველ

[280] ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 167; ECLI:EU:T:2000:77, *"Cimenteries CBR,"* Joined cases T-25/95, T-26/95, etc., 15.03.2000, § 1865.

[281] ECLI:EU:T:1995:62, *"Tréfileurope Sales SARL,"* Case T-141/89, 16.04.1995, §§ 53, 58; ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 96; ECLI:EU:T:1999:48, *"Thyssen Stahl AG,"* Case T-141/94, 11.03.1999. § 177.

შეთანხმებულ ქმედებაში ამ ეკონომიკური აგენტის მონაწილეობის პრეზუმფციას და ამ გზით საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი შესაბამის ეკონომიკურ აგენტზე გადააქვს.[282]

იმისათვის, რომ შესაბამისი ეკონომიკური აგენტი ასეთ დროს გაექცეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მასზე გავრცელებას, მან უნდა ამტკიცოს, რომ შეხვედრაში მონაწილეობის შედეგად მიღებულ ინფორმაციას გავლენა არ მოუხდენია მისი საბაზრო ქმედების შინაარსის განსაზღვრასა თუ კონკურენტულ ავტონომიურობაზე.[283] თუმცა ამ პრეზუმფციის გაბათილების შესაძლებლობა პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელია. ევროპული პრაქტიკის მიხედვით, ცალკეული ეკონომიკური აგენტის მიერ ისეთ შეხვედრაში მონაწილეობისას, სადაც ეკონომიკური აგენტები ამჟღავნებენ და ერთმანეთს აწვდიან სენსიტიურ ინფორმაციას, ეს ეკონომიკური აგენტი ითვლება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის მონაწილედ და ამ პრეზუმფციას ვერ გააბათილებს ის ფაქტი, რომ მას ამ შეხვედრაში პასიური როლი გააჩნდა და პირდაპირ არ მოუთხოვია მსგავსი ხასიათის ინფორმაციის მიწოდება.[284] აღნიშნულის მიუხედავად, ევროპული მიდგომების გათვალისწინებით, ასეთ დროს ეკონომიკურ აგენტს მაინც რჩება შესაძლებლობა თავი დააღწიოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის შესაბამისი სანქციის დაკისრებას.

კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა იცნობს ე. წ. საჯარო დისტანცირების ცნებას, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური აგენტი შესაძლოა არ ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების მონაწილედ, თუ იგი შესაბამის შეხვედრაში მონაწილეობის მიუხედავად საჯაროდ და ცხადად განაცხადებს უარს კოორდინაციაში მონაწილეობაზე. საჯარო დისტანცირება ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიხატოს შესაბამის შეხვედრაში მონაწილეობის დაუყოვნებლივ შეწყვეტაში მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტისთვის ცხადი გახდა ამ შეხვედრისა და მის ფარგლებში განსახილველი საკითხების კონკურენციის

[282] ECLI:EU:C:2004:2, *"Bundesverband der Arzneimittel-Importeure eV,"* Joined cases C-2/01 P and C-3/01 P, 06.01.2004, § 63; ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 96.
[283] ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG,"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 162.
[284] ECLI:EU:T:2000:77, *"Cimenteries CBR,"* Joined cases T-25/95, T-26/95, etc., 15.03.2000, § 1849.

შემზღუდველი ბუნება და იგი შეხვედრაზევე ღიად განმარტავს ამ შეხვედრაში მონაწილეობის გაგრძელებაზე უარის თქმის მიზეზებს.[285] მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, ის ფაქტი, რომ დეკლარირებულად კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეხვედრაში მონაწილე ეკონომიკური აგენტი არ იცავს და არ ახორციელებს ამ შეხვედრის ფარგლებში შეთანხმებულ სამომავლო საბაზრო ქმედებებს, არ გამორიცხავს მისი მხრიდან კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასა თუ შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობას თუ მან საჯაროდ არ მოახდინა დისტანცირება იმ შეთანხმებიდან, რომელიც ამ შეხვედრაზე იქნა მიღწეული.[286] სანქციის თავიდან არიდების ერთერთ საშუალებად ასეთ დროს მართლმსაჯულების სასამართლო ასევე მიიჩნევს არა ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელებას, არამედ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყებისთვის შესაბამისი განცხადებით მიმართვასა და მის ინფორმირებას.[287]

როგორც წესი, შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტი დროში წინ უსწრებს ვიწრო გაგებით შეთანხმებულ ქმედებას, თუმცა შესაძლებელია ქმედების განსახილველი შემადგენლობის ეს ორი აუცილებელი ელემენტი დროში ემთხვეოდეს ერთმანეთს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო ქმედება წინ უსწრებს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონტაქტს, სახეზე ვერ იქნება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება და ადგილი ექნება ქმედებათა დასაშვებ პარალელიზმს.[288]

ვიწრო გაგებით შეთანხმებული ქმედებისაგან უნდა გაიმიჯნოს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ელემენტი. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების განხორციელებისათვის აუცილებელია რელევანტური კონტაქტისა და მისი შესაბამისი ფაქტობრივი ქმედების არსებობა, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ამ ქმედებას პირდაპირ გააჩნდეს

[285] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.79.
[286] ECLI:EU:T:2000:77, *"Cimenteries CBR,"* Joined cases T-25/95, T-26/95, etc., 15.03.2000, § 1389.
[287] ECLI:EU:T:2002:70, *"HFB Holding,"* Case T-9/99, 20.03.2002, § 226.
[288] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 148.

კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები.[289] სხვაგვარად, რომ ითქვას, კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო შეთანხმებული ქმედების სავალდებულო წინაპირობას არ წარმოადგენს ამ ქმედების შედეგად შესაბამის ბაზარზე დამდგარი ისეთი ფაქტობრივი ეფექტები, როგორიცაა კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. ამ კუთხით კოორდინაციის აღნიშნული ფორმა მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენს კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასთან, რომლის დროსაც არ არის აუცილებელი ცალკეულ ხელშეკრულებას შედეგად მოჰყვეს კონკურენციის შეზღუდვა, თუ სახეზეა მსგავსი მიზანი. აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმიდან, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს არა მარტო ისეთ შეთანხმებას, რომლის შედეგია კონკურენციის შეზღუდვა, არამედ ასევე ისეთ კოორდინაციასაც, რომელსაც ასეთი მიზანი გააჩნია. აღნიშნული მიდგომა კი თანაბრად ვრცელდება როგორც კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებზე, ასევე შეთანხმებულ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე.[290] შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების მსგავსად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება იქნება სახეზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ უკანასკნელის მიზანია კონკურენციის შეზღუდვა და მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ფაქტობრივად რა ეფექტები იქონია ამ ქმედებამ შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.[291] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის განზრახვის არსებობა არ არის აუცილებელი ამ კოორდინაციის შეთანხმებულ ქმედებად კვალიფიკაციისათვის.[292]

აღნიშნული გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ვიწრო გაგებით შეთანხმებული ქმედებისა და ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ამ ქმედების ეფექტების ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემა არ დგება მიზნით დეტერმინირებული კოორდინაციის

[289] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 124.
[290] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 24; ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, § 123.
[291] ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999, §§ 122, 123; ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, §§ 29-30; ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG"* Case C-199/92 P, 08.07.1999, § 163.
[292] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 27.

შემთხვევაში. ასეთ დროს ვიწრო გაგებით შეთანხმებული ქმედების მიზანია კონკურენციის შეზღუდვა, რაც მას ავტომატურად აქცევს მართლსაწინააღმდეგო ქმედებად და მნიშვნელობა არ აქვს თუ რა ფაქტობრივი გავლენა იქონია მან ცალკეულ შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე. სწორედ ამიტომ განმარტავს მართლმსაჯულების სასამართლო, რომ შეთანხმებული ქმედების მართლწინააღმდეგობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ მიზნებზე, რომლის მიღწევასაც ისახავენ კონკრეტული ქმედებით შესაბამისი ეკონომიკური აგენტები და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ეკონომიკური თუ საბაზრო მოცემულობა, რომლის ფარგლებშიც ცალკეული კოორდინაციის ჩამოყალიბება მოხდა.[293] ხოლო როდესაც ცალკეულ შემთხვევაში სახეზე არ არის მიზნით დეტერმინირებული კოორდინაცია, აუცილებელია ვიწრო გაგებით შეთანხმებული ქმედების პრაქტიკული ეფექტების ანალიზი. ასეთ დროს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა იქნება სახეზე მხოლოდ მაშინ, როდესაც დადგინდება ამ ქმედებით გამოწვეული კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები.

შეთანხმებული ქმედების ერთ-ერთ კლასიკურ შემადგენლობას ქმნის შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ერთმანეთს უზიარებენ ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების სამომავლო ფასებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და აღნიშნული მონაცემების შესაბამისად ეს ეკონომიკური აგენტები ხელოვნურად ინარჩუნებენ იდენტური ან მიახლოებული ფასების დონეს შესაბამის ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისათვის რელევანტური კონტაქტი გამოიხატება ერთმანეთისთვის ფასებთან დაკავშირებული მონაცემების გაზიარებაში, ხოლო ვიწრო გაგებით შეთანხმებულ ქმედებად კი მიჩნეულ უნდა იქნეს შესაბამისი ფასების დაწესებაში გამოხატული ფაქტობრივი საბაზრო ქმედებები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დასადგენად არ არის აუცილებელი ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე მისი პრაქტიკული ეფექტების ანალიზი, ვინაიდან ფასების ხელოვნურ დონეზე შენარჩუნება (ფასების ფიქსაციას) ნებისმიერ შემთხვევაში

[293] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 27.

უთანაბრდება კონკურენციის შეზღუდვას და იგი ავტომატურად მიიჩნევა ასეთი მიზნის მქონე კოორდინაციად.

შეთანხმებული ქმედების მეორე მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს შემთხვევა, როდესაც ცალკეული პროდუქტის მწარმოებელი ეკონომიკური აგენტები ერთმანეთს უზიარებენ ისეთ ინფორმაციას რომელიც უკავშირდება მათი წარმოების მასშტაბებს, შესაბამის ბაზარზე მისაწოდებელი პროდუქტის რაოდენობას, მოცულობას და ა. შ. კომერციულად სენსიტიური ეს ინფორმაცია გავლენას ახდენს ამ ეკონომიკური აგენტების მიერ თავიანთი წარმოების მოცულობებისა და მასშტაბების განსაზღვრაზე. საბოლოო ჯამში, ამ ქმედებით იზღუდება წარმოების მასშტაბები და შესაბამის ბაზარზე მიწოდებული თუ მისაწოდებელი პროდუქტის მოცულობა. პროდუქტის მოცულობის კონტროლის შედეგად ამ პროდუქტის მოთხოვნის სასარგებლოდ იზრდება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სხვაობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ჯანსაღ საფასო კონკურენციას და ზიანს აყენებს მომხმარებელთა ინტერესებს. ასეთ დროს ვიწრო გაგებით შეთანხმებული ქმედება გამოიხატება კოორდინაციაში ჩართული თითოეული ეკონომიკური აგენტის მიერ ცალკეული პროდუქტის წარმოებისა და შესაბამის ბაზარზე მიწოდების მასშტაბების შეზღუდვასა და მის ხელოვნურ დონეზე შენარჩუნებაში.

ამასთან, ვიწრო გაგებით შეთანხმებული ქმედების შეფასებისას განსაკუთრებით პრობლემურ საკითხს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რა სიზუსტით უნდა ემთხვეოდეს ცალკეული ქმედება შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის დამყარებული კონტაქტის შინაარსს. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის მიზნითა და მისი ამოცანების შესაბამისად უნდა მოხდეს. ამ კუთხით კი მთავარი აქცენტები კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მაქსიმალურად ფართო განმარტებაზე უნდა გაკეთდეს. შესაბამისად, თუ დავუშვებთ, რომ ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებული ფაქტობრივი ქმედებები ზუსტად უნდა იყოს თანხვედრაში მათ შორის არსებული კონტაქტის შინაარსთან, მაშინ ნორმის მოქმედების ფარგლები მნიშვნელოვნად შევიწროვდებოდა. გარდა ამისა, მსგავსი დაშვება ეკონომიკურ აგენტებს მისცემთ შესაძლებლობას ძალზე მარტივად აუარონ გვერდი კონკურენციის შემზღუდველი

შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს იმ გზით, რომ ხელოვნურად არ შეუსაბამონ მათი ფაქტობრივი საბაზრო ქმედებები მათ შორის არსებული კონტაქტის შინაარსს, თუმცა მაინც განახორციელონ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება და მარტივად შევიდნენ ერთმანეთთან კონკურენციის შემზღუდველ ეფექტიან კოორდინაციაში. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისთვის არ არის აუცილებელი ეკონომიკურ აგენტთა პრაქტიკული საბაზრო ქმედებები მაქსიმალური სიზუსტით იყოს თანხვედრაში მათ შორის არსებული კონტაქტის შინაარსთან და პირობებთან.[294]

3.5. ქმედებათა პარალელიზმი

შეთანხმებული ქმედების ერთ-ერთ ძირითად და ყველაზე გავრცელებულ ინდიკატორს ეკონომიკურ აგენტთა პარალელური ქმედებები წარმოადგენს. აღნიშნული გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ეკონომიკური აგენტები ერთმანეთის მსგავს საბაზრო ქმედებებს ახორციელებენ. თუმცა, რაც არ უნდა მაცდური იყოს მსგავსი ქმედება კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყებებისათვის რათა შესაბამისი მოკვლევის პროცედურები დაიწყონ და კონკურენციის შეზღუდვის ფაქტი დაადგინონ, ქმედებათა პარალელიზმი ყოველთვის არ ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შემადგენლობას. აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებული ფორმითა და შინაარსით იდენტური ან იდენტურთან მიახლოებული ქმედებები შესაძლოა განპირობებული იყოს ჩვეულებრივი საბაზრო მოცემულობით და არა კონკურენციის ხელოვნური შეზღუდვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აღმასრულებელი უწყება ატარებს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მტკიცების ტვირთს, რომელიც არცთუ ისე მსუბუქად გამოიყურება.

გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ ეკონომიკური აგენტების მიმართ კონკურენციის სამართალში არსებული დამოუკიდებლობის მოთხოვნა ბაზრის მონაწილეებისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებასთან ერთად კომერციული

[294] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 145.

პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და საბაზრო ქმედებების განსაზღვრის კუთხით გარკვეულ დამატებით გარანტიებსაც ქმნის. კერძოდ, კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო თავისუფლების ფარგლებში თითოეული ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეწარმეო პოლიტიკა და მოარგოს იგი საკუთარ მიზნებსა და საჭიროებებს. აღნიშნული თავისუფლების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული საბაზრო ქმედებები კი შესაძლოა მიმსგავსებული იყოს სხვა ეკონომიკური აგენტების ქმედებებს და შემთხვევითაც კი დაემთხვეს მას.

შესაბამისად, ქმედებათა დასაშვებ პარალელიზმთან მიმართებით ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ორი შემთხვევა. ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ეკონომიკური აგენტების ქმედებათა ფორმისა თუ შინაარსის შემთხვევით მსგავსებას. მეორე შემთხვევაში კი საქმე ეხება კონკურენტის საბაზრო ქმედებებთან ეკონომიკური აგენტის ქმედებების გაცნობიერებულ მისადაგებას, თუმცა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისაგან განსხვავებით ასეთ დროს ეკონომიკური აგენტი მოქმედებს დამოუკიდებლად.[295] აქედან გამომდინარე, სააგენტო სწორად განმარტავს, როდესაც აღნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს ეკონომიკური აგენტის გარკვეული საბაზრო ქცევა დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ ქმედებას წარმოადგენს თუ იგი სხვა ეკონომიკურ აგენტებთან კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის შედეგია.[296]

ქმედებათა პარალელიზმს განსაკუთრებით ხშირად აქვს ადგილი მაღალკონცენტრირებულ, ოლიგოპოლიურ ბაზრებზე, სადაც ოპერირებადი ეკონომიკური აგენტების რიცხვი ძალზე დაბალია. ეკონომიკურ აგენტთა მცირე რაოდენობა კი ამარტივებს საბაზრო პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას, რაც ხშირ შემთხვევაში შესაძლოა ერთმანეთის საბაზრო ქმედებების მისადაგებისთვის მნიშვნელოვანი იმპულსების მიმცემი აღმოჩნდეს. გარდა ამისა, შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა სიმცირე ამ ბაზრის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას მარტივად და სწრაფად მოახდინონ რეაგირება ერთ-ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური

[295] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 61.
[296] სკსგ, 06.07.2018, ბრძ. N04/166, *„შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე,“* 9.

აგენტის მიერ კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებულ საბაზრო ქმედებაზე და მიიღონ ისეთი საპასუხო ზომები, რომელიც შესაძლოა სხვა სუბიექტის ქმედებების მსგავსი იყოს.[297] ამ ფაქტს კი შესაბამისი ეკონომიკური აგენტები აქტიურად იყენებენ კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი უწყებების წინააღმდეგ თავის დასაცავად. აღნიშნულზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში არსებული ერთ-ერთი საქმე, სადაც პოტენციური სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტი აპელირებდა იმ ფაქტზე, რომ მისი ქმედება არა კონკურენტებთან თანამშრომლობის, არამედ არსებული საბაზრო მოცემულობის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა.[298] აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებების გამო, როგორც წესი, ოლიგოპოლიურ ბაზრებზე განხორციელებული ქმედებები არ ქმნიან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების შემადგენლობას.[299]

მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით შეთანხმებულ ქმედებას არ გააჩნია კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ყველა ელემენტი თუმცა მისი წარმოშობა ხდება ეკონომიკური აგენტების კოორდინაციის შედეგად, რომელზეც ასეთ დროს მეტყველებს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებული საბაზრო ქმედებები.[300] მიუხედავად იმისა, რომ დაუშვებელია ეკონომიკური აგენტების პარალელური საბაზრო ქცევის გაიგივება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებასთან, იგი შესაძლოა ჩაითვალოს ასეთი ქმედების დამადასტურებელ მყარ მტკიცებულებად მაშინ, როდესაც იგი აყალიბებს ისეთ საბაზრო პირობებს, რომელიც არ შეესაბამება ბუნებრივ და ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს. ასეთ შემთხვევაში ბაზარზე ადრე არსებული და ამ ქმედების შედეგად ჩამოყალიბებული საბაზრო პირობებისა თუ კონკურენციის ხარისხის შესაფასებლად მხედველობაში მიიღება შესაბამისი პროდუქტის ბუნება, მახასიათებლები, ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, საბაზრო ძალაუფლება და ბაზრის მოცულობა.[301] აღნიშნულ ინდიკატორებზე დაყრდნობით შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე ეკონომიკური

[297] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 151.
[298] ECLI:EU:C:1972:70, *"Chemical Industries,"* Case 48-69, 14.07.1972, §§ 57-58.
[299] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 151.
[300] ECLI:EU:C:1972:70, *"Chemical Industries,"* Case 48-69, 14.07.1972, § 65.
[301] იქვ. § 66.

აგენტების პარალელური ქცევის ნეგატიური ეფექტები შესაძლოა გამოიხატებოდეს ფასების იმ დონეზე შენარჩუნებაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ბუნებრივი კონკურენციის პირობებში ჩამოყალიბებული ფასებისაგან.[302] თუმცა, თუ ასეთ დროს არ დგინდება ეკონომიკურ აგენტებს შორის დამყარებული რელევანტური კონტაქტი, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების დადასტურება სათუოა. ამდენად, ეკონომიკური აგენტების ქმედებათა რაციონალური პარალელიზმი, მათ შორის, ოლიგოპოლიურ ბაზრებზე, დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის არ დამყარებულა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტი.[303]

4. ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინა

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედების ზემოთ განხილული ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების მიუხედავად, შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაცია მაინც არ მოექცეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ასევე წარმოადგენს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების თვითმყოფადობა.

კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადება თუ შეთანხმებული ქმედების განხორციელება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ განცალკევებული, დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამართალსუბიექტობის მქონე პირთა მიერ.[304] თუმცა, კანონის მე-7 მუხლის გაგებით, ორი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის არსებობისათვის კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია საკმარისი არ იყოს ორი ან მეტი სამართლებრივად დამოუკიდებელი და განცალკევებული სუბიექტის არსებობა. კერძოდ, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დამოუკიდებელი ბაზრის სხვადასხვა მონაწილე კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენციის

[302] იქვ. § 67.
[303] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 143.
[304] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 21.

სამართლის მიზნებისათვის მიჩნეულ იქნეს ერთ ეკონომიკურ სუბიექტად, რაც გამორიცხავს მათ შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის შესაძლებლობას.

აღნიშნული მიდგომა ევროპულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ეფუძნება „ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის“ სახელით ცნობილ თეორიას. მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული დოქტრინის საფუძველზე რამდენიმე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი შესაძლებელია ჩაითვალოს ერთ ეკონომიკურ სუბიექტად.[305] ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის დოქტრინის მიხედვით, სამართლებრივად ერთმანეთისაგან განცალკევებული სუბიექტები არ მიიჩნევიან დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებად იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის არსებობს გარკვეული ხარისხის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ამართლებს ამ სუბიექტების არა სხვადასხვა, არამედ ერთ ეკონომიკურ აგენტად მიჩნევას. ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნევისათვის საკმარისი ხარისხის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა კი ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვთ კონკრეტულ სუბიექტებს გადაწყვეტილების მიღების რეალური ავტონომია და საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა.[306] ამასთან, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, სამართლებრივად განცალკევებულ სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ სახეზეა ერთი ეკონომიკური აგენტი, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებულება უფრო ფართო ცნებაა და მისი არსებობის მიუხედავად კონკრეტული სუბიექტები შესაძლოა მაინც სარგებლობდნენ გარკვეული დამოუკიდებლობით და ისინი სხვა სუბიექტთან ერთად არ ქმნიდნენ ერთ ეკონომიკურ აგენტს.[307] შესაბამისად, კონკრეტული სუბიექტის ცალკე ეკონომიკურ აგენტად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ მას გააჩნდეს

[305] ECLI:EU:C:2009:536 *"Akzo Nobel NV"*, Case C-97/08 P, 10.09.2009, § 55; ECLI:EU:C:2006:784, „*Confederación Española",* Case C-217/05, 14.12.2006, § 40.

[306] ECLI:EU:T:2005:322 *„DaimlerChrysler AG"*, Case T-325/01, 15.09.2005, § 85; ECLI:EU:T:2012:46 *"DuPont Performance Elastomers"*, Case T-76/08, 02.02.2012, § 58.

[307] სააგენტოს გადაწყვეტილება, 06/07/2018, *„სიტროენ ჯორჯია",* N04/166, გვ. 17.

გადაწყვეტილებების მიღების რეალური ავტონომია და დამოუკიდებლობის საკმარისი ხარისხი.

თუმცა ბაზრის რომელიმე მონაწილის დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა გარკვეულ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული. მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ ერთი კომპანია მეორე კომპანიაში ფლობს წილების 100 პროცენტს, მაშინ არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ დედა კომპანიას აქვს გადამწყვეტი გავლენა შვილობილი კომპანიის ეკონომიკურ პოლიტიკაზე,[308] რაც გულისხმობს, რომ შვილობილ კომპანიას არ გააჩნია რეალური ავტონომია ბაზარზე საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით და მისი კომპეტენცია მხოლოდ დედა კომპანიის მითითებების შესრულებით შემოიფარგლება.[309] სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევაში შვილობილი კომპანიის ქმედებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციის კანონმდებლობასთან, სრულად შეერაცხება დედა კომპანიასაც, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს უკანასკნელი სათანადო მტკიცებულებებით არ დაასაბუთებს, რომ შვილობილი კომპანია სარგებლობს ბაზარზე დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობით.[310] აქედან გამომდინარე, 100 პროცენტიანი წილის ფლობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ დედა და შვილობილი კომპანია ქმნიან ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული სუბიექტები მტკიცების მაღალი ხარისხით საწინააღმდეგოს არ დაასაბუთებენ. ასეთ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა რელევანტური გარემოება, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ, ორგანიზაციულ თუ სამართლებრივ კავშირებს და უბრალოდ ის ფაქტი, რომ დედა კომპანია არ ერევა/ჩარეულა შვილობილი კომპანიის გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არის საკმარისი.[311] ამასთან, საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ აღნიშნული პრეზუმფციის გაბათილება შესაბამისი სუბიექტების ინტერესებში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შვილობილი კომპანიის მიმართ დგინდება კონკურენციის

[308] ECLI:EU:C:2009:536 *"Akzo Nobel NV"*, Case C-97/08 P, 10.09.2009, § 61;
[309] ECLI:EU:C:1996:405, *"Viho Europe BV"*, Case C-73/95 P, 24.10.1996, § 16.
[310] იქვე.
[311] ECLI:EU:C:2012:479 *„Alliance One International Inc"*, Joined Cases C-628/10 P and C-14/11 P, 19.07.2012, § 45; ECLI:EU:C:2013:514 *„Stichting Administratiekantoor Portielje",* Case C-440/11 P, 11.07.2013, § 66.

კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი, ვინაიდან მისი გაბათილების შემთხვევაში აღნიშნული ქმედება არ შეერაცხება დედა კომპანიას და სანქცია დაეკისრება მხოლოდ შვილობილ კომპანიას.

მსგავსი პრეზუმფცია არ არსებობს იმ შემთხვევაში თუ დედა კომპანია სრულად არ ფლობს შვილობილი კომპანიის წილებს.[312] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ასეთ დროს, აუცილებელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელმა უწყებამ ეკონომიკური, ორგანიზაციული თუ სამართლებრივი კავშირების საფუძველზე შეძლოს იმის მტკიცება, რომ ადგილი აქვს შვილობილ კომპანიაზე გადამწყვეტი ზეგავლენის განხორციელებას დედა კომპანიის მხრიდან.[313] წილის ასპროცენტიანი ფლობისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის მატარებელია არა შესაბამისი ეკონომიკური აგენტი, არამედ კონკურენციის აღმასრულებელი უწყება.

ზემოთ მოცემულ შემთხვევებში, ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნეულ რამდენიმე ეკონომიკურ აგენტს შორის არსებული ხელშეკრულება თუ შეთანხმებული ქმედება, როგორც წესი ერთ კორპორატიულ ჯგუფში გარკვეული ფუნქციების გადანაწილებად მიიჩნევა და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებულ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას.[314] აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უკვე არსებული გარკვეული ხარისხის ურთიერთკონტროლი ისედაც გამორიცხავს მათ შორის კონკურენციას და შესაბამისად მათი შეთანხმების შედეგად შეუძლებელია კონკურენციის შეზღუდვა, ვინაიდან ისინი ერთმანეთის კონკურენტებს არ წარმოადგენენ. ამასთან, ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად მიჩნეულ რამდენიმე ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში შვილობილი კომპანიის კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებები სრულად უნდა შეერაცხოს ასევე იმ ეკონომიკურ აგენტსაც, რომელიც ზემოთ მოცემული მსჯელობის შესაბამისად ახორციელებს მასზე კონტროლს.

[312] *Faul/Nikpay*, სქ. 14. § 3.59.
[313] ECLI:EU:T:2012:46 *"DuPont Performance Elastomers"*, Case T-76/08, 02.02.2012, § 61.
[314] ECLI:EU:C:1974:114, „*Centrafarm BV*", Case 15-74, 31.10.1974, § 41.

5. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება

5.1. აკრძალვის ტელეოლოგიური საფუძვლები

მეწარმე სუბიექტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სახით კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის სპეციალური შემადგენლობის შექმნა ეკონომიკურ აგენტებს ართმევს შესაძლებლობას კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედებისთვის გათვალისწინებული წინაპირობების გვერდის ავლით დაამყაროს ისეთი თანამშრომლობა, რომელიც კონკურენციის ხელოვნურ შეზღუდვას გამოიწვევს (*"Umgehungsverbot"*).[315] აღნიშნული მიდგომის გარეშე შესაძლებელია პრაქტიკაში კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება მარტივად ჩანაცვლდეს ასოციაციის გადაწყვეტილებით და ამ გადაწყვეტილებას ისეთივე შედეგები ან მიზნები ექნეს, როგორიც ექნებოდა ამავე ასოციაციის წევრებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადებას.[316] შესაბამისად, კონკურენციის ბუნებრივი პროცესის დაცვის აუცილებლობის პირობებში დაუშვებელია კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედების აკრძალვის პარალელურად დასაშვები იყოს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული ანალოგიური ეფექტის მქონე გადაწყვეტილება, როგორც კოორდინაციის ალტერნატიული ფორმა.[317] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა ეკონომიკურ აგენტთა თანამშრომლობის გზით ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის საფრთხის შექმნის პრევენციას ახდენს არა მარტო ეკონომიკური აგენტების პირდაპირი კოორდინაციის ფორმების (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება) აკრძალვით, რამედ იგი ასევე გამორიცხავს ეკონომიკურ აგენტთა ინსტიტუციონალურ კოორდინაციას, რომლის დროსაც ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ კოლექტიური წარმონაქმნისა თუ საერთო ორგანოების საშუალებით.[318]

---

[315] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 23; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.122; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 47; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 133.

[316] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 47;

[317] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 60.

[318] ECLI:EU:T:2012:260, *"MasterCard,"* Case T-111/08, 24.05.2012, § 243.

ამდენად, კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილებების აკრძალვა მნიშვნელოვნად აფართოებს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ფარგლებს. იგი არ ტოვებს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ იქნეს ისეთი ხარისხის კოორდინაცია, რომლის მიზანი ან შედეგი იქნება კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა.

5.2. გადაწყვეტილება ვიწრო გაგებით

კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების სახით კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის არსებობისათვის აუცილებელია ერთობლივად რამდენიმე წინაპირობა იქნეს დაკმაყოფილებული. წინაპირობათა ამ სისტემაში კი პირველ ადგილს იკავებს რელევანტური სუბიექტის განსაზღვრა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის სახით კონკურენციის შემზღუდველ გადაწყვეტილებას ჰყავს სპეციალური სუბიექტი.[319] შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ქმედება, რომელსაც პირობითად ვიწრო გაგებით კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილება ეწოდოს. ამ გადაწყვეტილებაზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გასავრცელებლად კი აუცილებელია მისი მიზანი ან შედეგი იყოს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა (კონკურენციის შეზღუდვის ელემენტი).[320] მოცემულ შემთხვევაში განხილვის საგანია ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მეორე ელემენტი - გადაწყვეტილება ვიწრო გაგებით, ანუ კოორდინაციის ერთ-ერთი ფორმა.

ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მსგავსად, კონკურენციის სამართალში ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც მაქსიმალურად ფართოდ განიმარტება,[321] რათა მან ყველა ისეთი რელევანტური ქმედება მოიცვას, რომელიც მოწოდებულია გავლენა იქონიოს შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე. ეკონომიკურ აგენტთა

[319] ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 2.
[320] კონკურენციის შეზღუდვის ელემენტთან დაკ. დაწც. იხ. თ. IV.
[321] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 62; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 81; *Cucu C.,* Agreements, Decisions and Concerted practices: Key concepts in the analysis of Anticompetitive Agreements, 20 LEX ET Scientia INT' I J. 24 (2013), 32.

ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიჩნევისათვის არ არის აუცილებელი ამ ასოციაციის წევრთა მიერ გამოხატული ნება ან განზრახვა ამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისა თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსით მოცული სამომავლო საბაზრო ქმედებების პრაქტიკულად განხორციელებასთან დაკავშირებით.[322] აღნიშნული კი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ამ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის უშუალო ადრესატს არა ეკონომიკური აგენტი, არამედ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია წარმოადგენს. მთავარია ამ შემთხვევაში დადგინდეს, რომ ადგილი აქვს გადაწყვეტილების მიმღები ასოციაციის წევრების ინსტიტუციონალურ კოორდინაციას.[323]

როგორც ზემოთ, აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის, ასოციაცია გულისხმობს ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებას. ამ ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი შესაძლოა საერთოდ არ უკავშირდებოდეს არც თვითონ ამ ასოციაციის, არც მისი წევრი ან სხვა მეწარმე სუბიექტების ეკონომიკურ საქმიანობას. შესაძლოა ასოციაციის კონკრეტული ქმედება მიზნად ისახავდეს გარკვეული შიდაორგანიზაციული ან სხვა ისეთი საკითხების მოწესრიგებას, რომელიც უშუალოდ მიმართული არ არის მისი წევრი ეკონომიკური აგენტებისკენ, ამ უკანასკნელთათვის არ ადგენს სამომავლო საბაზრო ქცევის გარკვეულ სტანდარტებს და არც საკუთარი ეკონომიკურ საქმიანობასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქვს რამე კავშირი. მაგალითად, გერმანიის კონკურენციის ფედერალური უწყების განმარტებით, ასოციაციის ის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება მისი წევრი ეკონომიკური აგენტების მიერ საწევრო გადასახადების გაზრდას, ვერ მოექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში.[324] შესაბამისად, ასოციაციის მსგავს ქმედებას არანაირი შემხებლობა არ აქვს ეკონომიკურ საქმიანობასთან და მას არც შესაბამის ბაზარზე და ამ ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე ექნება რაიმე სახის გავლენა. აქედან გამომდინარე, ასოციაციის მიერ ასეთი შინაარსისა თუ ხასიათის გადაწყვეტილების შემთხვევაში თავიდანვე უნდა გამოირიცხოს

[322] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 62.
[323] ECLI:EU:T:2012:260, *"MasterCard,"* Case T-111/08, 24.05.2012, § 244.
[324] BKartA., Besch., V. 21.12.2007 - B 3-6/05, *„Arzneimittelhersteller",* Rn. 25.

კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების არსებობა მისი არარელევანტური ხასიათისა და შინაარსის გამო. აღნიშნული მსჯელობიდან კი გამომდინარეობს პირველი დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიჩნევისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ გადაწყვეტილებას გარკვეული შემხებლობა ჰქონდეს მისი წევრი ეკონომიკური აგენტების ან საკუთრივ ამ ასოციაციის ეკონომიკურ საქმიანობასთან.[325]

ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად უნდა ატარებდეს იგი მბოჭავ ხასიათს იმისათვის, რათა იგი მოექცეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას ძირითადი ამოსავალი წერტილია მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამის ნორმას მოქმედების მაქსიმალურად ფართო ფარგლები უნდა მიენიჭოს. აქედან გამომდინარე, თუ მოხდება დაშვება, რომ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილებას აუცილებლად უნდა გააჩნდეს სამართლებრივად მბოჭავი ძალა, მნიშვნელოვნად შეიზღუდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლები და იგი ჯეროვნად ვერ შეასრულებს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დაცვის ფუნქციას. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის არ არის აუცილებელი, რომ მას რაიმე ფორმით მისი წევრი მეწარმე სუბიექტებისთვის სამართლებრივი ბოჭვის ძალა გააჩნდეს.[326] თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას ასოციაციის წევრი ეკონომიკური აგენტებისთვის გააჩნდეს შესასრულებლად სავალდებულო ძალა. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ასეთ დროს გარკვეულწილად საქმე ეხება ასოციაციის მარეგულირებელ უფლებამოსილებას, რომელიც მას შესაძლოა საკუთრივ ასოციაციის წევრებისგან ქონდეს მინიჭებული და იგი არ გულისხმობს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას.[327]

---

[325] ECLI:EU:C:2002:98, *"Wouters,"* Case C-309/99, 19.02.2002, § 63.

[326] ECLI:EU:C:1987:34, *"Verband der Sachversicherer e.V.,"* Case 45/85, 27.01.1987, § 26.

[327] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 52.

სამართლებრივი ბოჭვის არასავალდებულო ხასიათზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში არსებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ არ გაიზიარა მხარეთა არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა უბრალო ხასიათის რეკომენდაციას, რომელსაც არ გააჩნდა მბოჭავი ძალა და აღნიშნულის გამო მხარე თვლიდა, რომ იგი ვერ ჩაითვლებოდა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ სასამართლომ მიუთითა, რომ რეკომენდაციის საფუძველზე და მის შესაბამისად მეორე ეკონომიკური აგენტი ახორციელებდა კონკრეტული სახის საბაზრო ქმედებებს. ამ საქმეში დასტურდებოდა, რომ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის წევრები თავიანთი საბაზრო ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებდნენ და მისდევდნენ ამ ასოციაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას ასოციაციის წევრებისთვის გააჩნდა ფაქტობრივი მოქმედების ძალა, მიუხედავად იმისა, რომ იგი რაიმე სახის სამართლებრივ ვალდებულებებს არ წარმოშობდა. აღნიშნული საფუძვლით სასამართლომ ჩათვალა, რომ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების აუცილებელი წინაპირობები დაკმაყოფილებული იყო.[328] მართლმსაჯულების სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ეკონომიკური აგენტთა ასოციაციის მიერ გაცემული რეკომენდაცია ვერ გაექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს მაშინ, როდესაც იგი კონკურენციის შემზღუდველ ხასიათს ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ მას შესაძლოა შესაბამისი სუბიექტებისათვის მბოჭავი ძალა არ გააჩნდეს.[329] ამ კუთხით ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია ის ფაქტი, თუ რამდენად ხდება მსგავსი გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზება შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მიერ. ერთ-ერთ საქმეზე მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ასოციაციის წევრი ეკონომიკური აგენტები მისდევდნენ ასოციაციის მიერ სარეკომენდაციო ხასიათის

[328] ECLI:EU:C:1980:248, *"Heintz van Landewyck SARL,"* Joined cases 209 to 215 and 218/78, 29.10.1980, § 86.

[329] ECLI:EU:C:1983:310, *"ANSEAU-NAVEWA,"* Joined cases 96-102, 104, 105, 108 and 110/82., 08.11.1983, § 20; *Eilmansberger T.,* Streinz/Michl, EUV/AEUV, 3. Aufl. 2018, AEUV Art. 101, Rn. 10.

გადაწყვეტილებების პირობებს, არარელევანტური იყო იმაზე მსჯელობა, რომ კონკრეტულ გადაწყვეტილებას გააჩნდა სარეკომენდაციო ხასიათი.[330] თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების ფაქტობრივ შესრულებაზე აქცენტირება არ უნდა იქნეს გაგებული ისე თითქოს, კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების აუცილებელ წინაპირობას ფაქტობრივად მბოჭავი ხასიათი წარმოადგენს. ასეთ დროს არ არის აუცილებელი სახეზე იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების ფაქტობრივი შეუსრულებლობისას ასოციაცია ეკონომიკურ აგენტებს აკისრებს გარკვეულ სანქციებს ან სხვა ნებისმიერი მექანიზმის გამოყენებით აიძულებს მათ გადაწყვეტილების შესრულებას. ასევე აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების არსებობისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რამდენად მოხდა ეკონომიკური აგენტების მიერ ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების პრაქტიკაში რეალიზება.[331]

ამასთან, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილება, როგორც წესი, წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა განზრახვისა თუ ნების პირდაპირ ან ირიბ გამოხატულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას იმოქმედებენ კონკრეტული სახით. აღნიშნული ნება ერთ შემთხვევაში შესაძლოა გამომდინარეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალო ჩართულობითა და მასზე თანხმობის გაცხადებით. გარდა ამისა, იგი ირიბად ასევე შესაძლოა გამომდინარეობდეს ასოციაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებიდან, რომელიც ასოციაციის შესაბამის ორგანოებს აძლევდეს კონკურენციისთვის ცალკეული ხასიათის საფრთხის შემცველი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებას. ასოციაციის წევრობით კი ეკონომიკური აგენტები ავტომატურად უერთდებიან შესაბამის სადამფუძნებლო დოკუმენტის სულისკვეთებას და მის საფუძველზე და შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება ავტომატურად იქცევა მათი ნების გამოხატულებადაც.[332] ამასთან,

[330] ECLI:EU:C:1980:248, *"Heintz van Landewyck SARL,"* Joined Cases 209 to 215 and 218/78, 29.10.1980, § 86-87.
[331] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 80.
[332] ECLI:EU:C:1987:34, *"Verband der Sachversicherer e.V.,"* Case 45/85, 27.01.1987, § 26.

შესაძლებელია ასოციაციის ცალკეული გადაწყვეტილება საერთოდ არ გამომდინარეობდეს მისი წესდებიდან და იგი ცალკეულ შემთხვევაში იმწუთიერი მოლაპარაკების შედეგადაც იქნეს მიღებული, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში *ad hoc* გადაწყვეტილების სახელითაც არის ცნობილი.[333]

ვიწრო გაგებით გადაწყვეტილების ქვეშ იგულისხმება ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული ნებისმიერი კორპორატიული აქტი, რომელიც წარმოადგენს ასოციაციის ნების გამოხატულებას და მიზნად ისახავს მისი წევრი ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევის კოორდინირებას.[334] ამასთან, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში ეკონომიკურ აგენტთა გადაწყვეტილების ფორმალურ სტანდარტებთან მიმართებით არ არსებობს რაიმე სახის სპეციალური მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებაც არის აუცილებელი კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დასადგენად. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველ გადაწყვეტილებად მიიჩნევა ცალკეული ასოციაციის მიერ არა მარტო გარკვეული ფორმალური სტანდარტების დაცვით მიღებული თუ გამოცემული აქტი ან დოკუმენტი, არამედ ასევე ნებისმიერი სახის, ფორმისა თუ შინაარსის გადაწყვეტილება, რომელიც ასოციაციის წიაღში წარმოშობილი ნების ნაყოფსა თუ გამოხატულებას წარმოადგენს.[335] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ასოციაციის მიერ მიღებული ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილება, მისი სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, რომელიც წარმოადგენს ამ ასოციაციის ნამდვილი ნებისა და განზრახვის გამოხატულებას, მოახდინოს მისი წევრების საბაზრო ქმედებების კოორდინირება, მიჩნეულ უნდა იქნეს ასოციაციის გადაწყვეტილებად კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის გაგებით.[336] შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი

---

[333] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 79.

[334] *Beckmann K., Müller U.,* Hoeren/Sieber/Holznagel, Multimedia-Recht, 2020, Rn. 75; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 80; BGH 14.8.2008, *„Lottoblock“*, Az. KVR 54/07, Rn. 26; ECLI:EU:C:1987:34, *“Verband der Sachversicherer e.V.,”* Case 45/85, 27.01.1987, § 32.

[335] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 51.

[336] ECLI:EU:C:1987:34, *“Verband der Sachversicherer e.V.,”* Case 45/85, 27.01.1987, § 32; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 48; BGH 14.8.2008, *„Lottoblock“*, Az. KVR 54/07, Rn. 26; *Cucu C.,* Agreements, Decisions and Concerted practices: Key concepts in the analysis of Anticompetitive Agreements, 20 LEX ET Scientia INT’ I J. 24 (2013), 31.

გადაწყვეტილების არსებობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს ასოციაციის მიერ ავტონომიურად ფორმირებული ნება და იმის უფლებამოსილება ან უნარი, რომ ცალკეულ გადაწყვეტილებაში განსხეულებულ შინაარსთან დაკავშირებით მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება (*"Gestaltungsautonomie"*).[337]

ასოციაციის ფარგლებში ფორმირებულ ნებაზე ვერ იქნება საუბარი, როდესაც იგი ცალკეულ შემთხვევაში მოქმედებს როგორც საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი.[338] ასეთი უფლებამოსილების განხორციელებისას, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გაგებით, ასოციაციის ქმედება ვერ ჩაითვლება გადაწყვეტილებად იმდენად, რამდენადაც იგი მოქმედებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად, რომლის დროსაც მისი ნების ავტონომიის ფარგლები შეზღუდულია. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოსა და ეროვნული კანონმდებლობის მიერ ნაკარნახევი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის პირდაპირ ობიექტს იმდენად, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ეკონომიკური აგენტების მიერ ასოციაციაზე დელეგირებული ფუნქციების განხორციელებას.[339] უფრო მეტიც, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის რელატიური ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას არც რელევანტური სუბიექტი იქნება სახეზე და ეკონომიკურ აგენტთა შესაბამისი გაერთიანება ვერ ჩაითვლება კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღებ ასოციაციად.[340]

გარდა ამისა, მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების არსებობისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმ სამართლებრივ ჩარჩოებსა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ცალკეულ წესებს, რომლის ფარგლებშიც ხდება ასეთი

[337] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 134.
[338] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 52.
[339] ECLI:EU:C:2002:97, *"Manuele Arduino,"* Case C-35/99, 19.02.2002, § 16-17.
[340] ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის რელატიურ ბუნებასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 1.3.

გადაწყვეტილების მიღება.[341] აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების არსებობისთვის არ აქვს მნიშვნელობა თუ რამდენად გააჩნია მას სამართლებრივი მოქმედების ძალა და რამდენად არის იგი ნამდვილი სამოქალაქო სამართლის გადმოსახედიდან. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ასოციაციის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდებას, კანონმდებლობას ან გარკვეულ ფორმალურ თუ მატერიალურ ასპექტებთან მიმართებით ითვლება ბათილად.[342]

5.3. ჯგუფურ დომინანტურ მდგომარეობასთან მიმართება

იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმისთვის რელევანტური ასოციაციის შემთხვევაში საქმე ეხება ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებას, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასოციაციისაგან გაიმიჯნოს ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფური დომინანტური მდგომარეობა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალულ მეორე მნიშვნელოვან და მეტად პრობლემურ შემთხვევას. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა რამდენიმე ეკონომიკური აგენტის ქმედებას, არამედ ბაზრის ერთი ისეთი მონაწილის მიერ განხორციელებულ ცალმხრივ ქმედებას, რომელსაც შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები გააჩნია. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ძირითად და უმთავრეს წინაპირობას კი დომინანტური საბაზრო ძალაუფლების ფლობა წარმოადგენს. შესაბამისად, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის განსახილველი შემთხვევა შესაძლებელია სახეზე იყოს იმ შემთხვევაში თუ ქმედებას ახორციელებს

[341] ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985, § 17; ECLI:EU:C:1987:34, *"Verband der Sachversicherer e.V.,"* Case 45/85, 27.01.1987, § 32.

[342] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 83.

ისეთი ეკონომიკური აგენტი, რომელიც შესაბამის ბაზარზე ფლობს დომინანტურ მდგომარეობას.

დომინანტური საბაზრო ძალაუფლების ერთ-ერთ სპეციალურ შემადგენლობას ქმნის ე. წ. ჯგუფური დომინანტობის შემთხვევა, რომლის დროსაც, არა ერთი, არამედ რამდენიმე ეკონომიკური აგენტი ერთობლივად ფლობს დომინანტურ საბაზრო ძალაუფლებას. ჯგუფური დომინანტობის მომეტებული მნიშვნელობიდან გამომდინარე ქართველმა კანონმდებელმა აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას კანონში სპეციალური ნორმები დაუთმო.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს შემთხვევებს, რომლის დროსაც ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად. დასახელებული ნორმის მიხედვით, ამისათვის აუცილებელია, რომ ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ისინი არ განიცდიდნენ მნიშვნელოვან კონკურენციას არც მათი ჯგუფის შიგნით და არც შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან. აღნიშნული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში დამატებით აუცილებელია, რომ არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი აღემატებოდეს 50 პროცენტს და თითოეულის საბაზრო წილი შეადგენდეს არანაკლებ 15 პროცენტს ან არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი აღემატებოდეს 80 პროცენტს და თითოეულის საბაზრო წილი შეადგენდეს არანაკლებ 15 პროცენტს.

კონკრეტულ ასოციაციაში ეკონომიკური აგენტების წევრობა, როგორც წესი, აღძრავს გონივრულ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ეკონომიკური აგენტები ერთმანეთისაგან არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას. ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის ან შედეგის მქონე ქმედებების გამოვლენისას შესაძლებელია ფიქრი დაიწყოს ასოციაციის გადაწყვეტილების სახით არა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობაზე, არამედ ჯგუფური

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე. ორივე ქმედების შემადგენლობის სწორედ აღნიშნული ელემენტის მსგავსება განაპირობებს მათ შორის მკვეთრი წყალგამყოფი ხაზის გავლების აუცილებლობას.

თუმცა მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის არსებობისთვის ასევე აუცილებელია ეკონომიკური აგენტები იმ დონემდე იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი მხრიდან იდენტური ფორმისა და შინაარსის საბაზრო ქმედებების განხორციელება.[343] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გაგებით, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის შემთხვევაში მის წევრ ეკონომიკურ აგენტებს შორის მსგავსი კავშირის არსებობა არ არის აუცილებელი. კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების შემთხვევაში ქმედების სუბიექტს წარმოადგენს არა ასოციაციის წევრები არამედ თვითონ ასოციაცია, რომელიც მის წევრ ეკონომიკურ აგენტებს კარნახობს ბაზარზე განსახორციელებელ პრაქტიკულ ქმედებებს. ეს გადაწყვეტილება კი არ წარმოადგენს ასოციაციის წევრი ეკონომიკური აგენტების გაერთიანებული საბაზრო ძალაუფლების გამოყენების შედეგს და ასეთ გადაწყვეტილებასთან მიმართებით ასოციაციის წევრები არ არიან ერთმანეთთან იმ დონეზე დაკავშირებულნი, რომ მათ შორის სრულად იყოს აღმოფხვრილი კონკურენცია, ამასთანავე, შეეძლოთ ბაზარზე იდენტური ქმედებების განხორციელება და ამავდროულად ერთობლივად აკმაყოფილებდნენ საბაზრო ძალაუფლებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის ყველა ან რამდენიმე წევრი აკმაყოფილებს ჯგუფურ დომინანტობასთან დაკავშირებულ წინაპირობებს და მათი მხრიდან ადგილი აქვს ამ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, მაშინ მათი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ასოციაციის მიერ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილებისა და შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობას.

[343] ECLI:EU:C:1995:308, *"Centro Servizi Spediporto Srl,"* Case C-96/94, 05.10.1995, § 33.

5.4. მიმართება ეკონომიკური აგენტის ცალმხრივ ქმედებასთან

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ზოგადი შინაარსობრივი ასპექტების განხილვისას აღინიშნა, რომ კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა ეხება ისეთ ქმედებას, რომელსაც ორმხრივი ან მრავალმხრივი ხასიათი გააჩნია, რაც პირდაპირ გულისხმობს კონკურენციის ხელოვნური შეზღუდვის პროცესში სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტის მონაწილეობას. იგივე მიდგომას ვხვდებით GWB-ის პირველი და TFEU-101 მუხლებთან მიმართებით.

სწორედ ეს ორმხრივი ან მრავალმხრივი ხასიათი განასხვავებს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას კონკურენციის კანონმდებლობით დაწესებული მეორე ისეთი მნიშვნელოვანი აკრძალვისაგან, როგორიცაა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომლის დროსაც ქმედების სუბიექტს მხოლოდ დომინანტი ეკონომიკური აგენტი წარმოადგენს. შესაბამისად, კონკურენციის სამართლის ფარგლებში ცალკეული ეკონომიკური აგენტის ცალმხრივი ქმედების შეფასება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავ ნორმასთან მიმართებით.[344] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმების გამოყენება კი ეკონომიკური აგენტის სრულად ცალმხრივ ქმედებასთან მიმართებით პრაქტიკულად შეუძლებელია.[345] თუმცა ამ ზოგად კანონზომიერებასთან მიმართებით შესაძლოა გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნიდეს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოხატული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი ფორმა.

კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების ანალიზმა ცხადჰყო, რომ ამ შემთხვევაში ქმედების სუბიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოორდინაციის აღნიშნული ფორმის შემთხვევაშიც კონკრეტული სუბიექტის ცალმხრივ ქმედებას ეხება საქმე. თუმცა კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების აკრძალვის ტელეოლოგიური

---

[344] ამ კუთხით გარკვეული გამონაკლისები ასევე არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ამკრძალავ ნორმებთან მიმართებით, თუმცა აღნიშნული საკითხის ანალიზი სცილდება წარმოდგენილი კვლევის ფარგლებს.

[345] *Colino S.,* Competition Law of the EU and UK, 7-th ed. 2011, 154.

საფუძვლებისა და ამ ქმედების ფაქტობრივი საბაზრო ეფექტების გათვალისწინებით აშკარა ხდება, რომ ამ შემთხვევაში შესაბამისი ნორმა ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის კოორდინაციის გზით კონკურენციის ბუნებრივი პროცესის ხელოვნური შეზღუდვის პრევენციას ისახავს მიზნად. ამ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის თვითმიზანი არ არის მხოლოდ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ ცალკეული შინაარსის გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის უზრუნველყოფა. კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების აკრძალვის შემთხვევაში კანონმდებელი უფრო შორეულ პერსპექტივაში არსებული საფრთხეების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. აღნიშნული საფრთხე კი იმ სუბიექტებისგან მომდინარეობს, რომელთა მისამართითაც არის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილება მიღებული.

კერძოდ, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილება მისი წევრი ეკონომიკური აგენტების სამომავლო საბაზრო ქმედების ჰარმონიზებასა და კოორდინირებას ახდენს. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებას საბოლოო ჯამში იგივე ეფექტი გააჩნია, რაც ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებსა თუ განხორციელებულ შეთანხმებულ ქმედებებს. აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში, კონკურენციის შეზღუდვა მაინც ეკონომიკური აგენტების ორმხრივ ან მრავალმხრივ ქმედებაში გამოიხატება.

გარდა ამისა, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ცალკეული სუბიექტის მიერ მიღებული და მისი წევრი ეკონომიკური აგენტების ნებისგან განკერძოებული კატეგორია. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების აკრძალვის ერთ-ერთი მიზანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაბამისი ნორმის მოქმედების ფარგლების მაქსიმალურად გაფართოებასა და კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ჩართვის მსურველი ეკონომიკური აგენტებისთვის კონკურენციის ხელოვნური შეზღუდვის უკანასკნელი საშუალების აღმოფხვრაში მდგომარეობს. შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

ირიბად მაინც მისი წევრი ეკონომიკური აგენტების ნების გამოხატულებას წარმოადგენს, რასაც, საბოლოო ჯამში, მაინც არა კონკრეტული სუბიექტის ცალმხრივ, არამედ ეკონომიკურ აგენტთა ორმხრივ ან მრავალმხრივ ქმედებამდე მივყავართ. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტების მართლსაწინააღმდეგო კოორდინაციისა თუ თანამშრომლობის გამოხატულებად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან, იურიდიულ ლიტერატურაში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ცალკეული გადაწყვეტილება ცალმხრივ ქმედებად მიიჩნევა და იგი სცდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს მაშინ, როდესაც ეს გადაწყვეტილება არა ორი ან მეტი წევრი ეკონომიკური აგენტის, არამედ მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტისკენ არის მიმართული.[346]

ამასთან, ამ კუთხით ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე იმ ფაქტზე, რომ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია შესაძლოა ცალკეულ შემთხვევაში მოქმედებდეს, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტი.[347] მსგავს შემთხვევას შესაძლოა ადგილი ქონდეს მაშინ, როდესაც ცალკეულ შესაბამის ბაზარზე ასოციაცია გამოდის, როგორც დამოუკიდებელი ბაზრის მონაწილე. შესაბამისად, თუ კონკრეტული ქმედების განხორციელებისას ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია მოქმედებს დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში და ესწრაფვის საკუთარი ვიწრო მიზნების მიღწევას შესაბამის ბაზარზე, მაშინ საქმე ეხება მის ცალმხრივ ქმედებას, რომელიც შესაძლოა შეფასდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში, თუ ამ ნორმის სხვა აუცილებელი რეკვიზიტები არის დაკმაყოფილებული.[348]

5.5. ასოციაციისა და ეკონომიკური აგენტის პასუხისმგებლობათა გამიჯვნა

კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების შემთხვევაში კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვა მიემართება ეკონომიკურ აგენტთა

[346] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 133.
[347] ასოციაციის დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტად მიჩნევასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 2.4.
[348] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 133.

ასოციაციას.[349] აქედან გამომდინარე, დარღვევის დადგენის შემთხვევაში როგორც საჯარო სამართლებრივი სანქციის, ასევე კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ადრესატსაც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია წარმოადგენს. თუმცა იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია აბსტრაქტულ და ფართო ხასიათის მატარებელ სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს, შესაძლოა პრაქტიკაში დადგეს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი არ იყოს სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანების ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისათვის არ არის აუცილებელი იგი ორგანიზებული და დაფუძნებული იყოს გარკვეული სამართლებრივი ფორმით.[350] ასეთ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია არ არსებობს სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის სახით, როგორც კერძოსამართლებრივი, ასევე საჯაროსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება ასეთი ასოციაციის წევრ ეკონომიკურ აგენტებს.[351]

ამასთან, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების ერთ-ერთ თავისებურებას ასევე წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების პარალელურად შესაძლოა ასევე ადგილი ჰქონდეს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედების არსებობას იმ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელთა მიმართაც ცალკეული გადაწყვეტილების მიღება მოხდა. ასეთ შემთხვევაში შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს ინდივიდუალურად უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასა თუ შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობისათვის. ასევე აღსანიშნავია, რომ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მოხდა გადაწყვეტილებასთან ერთად ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს შორის იგივე შინაარსით კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადება თუ შეთანხმებული ქმედების განხორციელება, უნდა მოხდეს კოორდინაციის ამ

[349] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 57.
[350] დაწვ. იხ. თ. II, ქვთ. 2.
[351] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 139; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 57;

უკანასკნელი ფორმების წინაპირობების შემოწმების საფუძველზე. ამ კუთხით აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შემთხვევათა რამდენიმე კონსტელაცია.

შესაძლოა ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციამ გამოსცეს გარკვეული რეკომენდაცია, რომელიც აკმაყოფილებს კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების წინაპირობებს. ასეთ დროს ამ ასოციაციას თავისთავად დაეკისრება პასუხისმგებლობა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების არსებობისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რამდენად განახორციელეს ასოციაციის წევრმა ეკონომიკურმა აგენტებმა ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ფაქტობრივი საბაზრო ქმედებები. თუმცა ასეთი გადაწყვეტილების პარალელურად შესაძლოა ამ ასოციაციის წევრმა ცალკეულმა ეკონომიკურმა აგენტებმა ბაზარზე ფაქტობრივად დაიწყონ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შინაარსის შესაბამისად მოქმედება. ასეთ დროს პრობლემურ საკითხს წარმოადგენს იმის გადაწყვეტა, თუ რამდენად ქმნის ეკონომიკურ აგენტთა მსგავსი პრაქტიკა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ ფაქტობრივ შემადგენლობას.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა აუცილებელია მოხდეს კოორდინაციის ცალკეული ფორმების აკრძალვის მიზნებზე ფოკუსირებით. კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების პრევენცია, რომლებიც მოწოდებულია უზრუნველყონ მისი წევრი ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქმედებათა კოორდინაცია. ამ ქმედებისათვის კი პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის ასოციაციას - სუბიექტს, რომელმაც განახორციელა მსგავსი ქმედება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების აკრძალვის მიზანია, ეკონომიკურ აგენტთა ფაქტობრივი კოორდინირებული მოქმედებების განხორციელების პრევენცია. შესაბამისად, ეკონომიკური აგენტების მიერ ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამის საბაზრო ქმედებების განხორციელება წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების აკრძალვის მიზანთან. ამ მიზნის მიღწევას კი მხოლოდ ასოციაციისთვის კონკურენციის შემზღუდველი

გადაწყვეტილების მიღების გამო პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, აუცილებელია ეკონომიკურ აგენტთა მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებების დამოუკიდებლად და ასოციაციისგან აბსტრაჰირებულად განხილვა.

კერძოდ, ეკონომიკური აგენტების მიერ ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი ფაქტობრივი ქმედებების განხორციელებისას, ავტომატურად კმაყოფილდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ერთ-ერთი წინაპირობა - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური ქმედება ვიწრო გაგებით.[352] თუმცა ამ კუთხით კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის არსებობისთვის აუცილებელია რელევანტური კონტაქტის არსებობაც. როგორც, ზემოთ აღინიშნა, ამ შემთხვევაში ძირითადი ამოსავალი წერტილია კოორდინირებული ქმედების განმახორციელებელ სუბიექტებს შორის მენტალური კონსენსუსის მიღწევა. მსგავსი მენტალური კონსენსუსი კი განსახილველი კონსტელაციის პირობებში სახეზეა - შესაბამისი ეკონომიკურ აგენტებს აქვთ პირდაპირი ნება განახორციელონ ასოციაციის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ქმედებები.[353] გარდა ამისა, იმდენად, რამდენადაც ეს გადაწყვეტილება, რომელიც კონკურენციის შემზღუდველი შინაარსის მატარებელია სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით ცნობილი ხდება შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისთვის, იგი თავისთავად გულისხმობს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის არსებობასაც. სწორედ ამ გარემოებებზე დაყრდნობით, ასეთ დროს მიიჩნევა, რომ ეკონომიკური აგენტები ახორციელებენ შეთანხმებულ ქმედებებს და მათ ასოციაციის პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად ამ ქმედებისათვის უნდა დაეკისროთ შესაბამისი პასუხისმგებლობა.[354] საწინააღმდეგოს დაშვება მიგვიყვანდა ისეთ შედეგამდე, როდესაც ასოციაციას ეკონომიკური აგენტები გამოიყენებენ

[352] დაწვ. იხ. თ. III, ქვთ. 3.4.

[353] *Cucu C.,* Agreements, Decisions and Concerted practices: Key concepts in the analysis of Anticompetitive Agreements, 20 LEX ET Scientia INT' I J. 24 (2013), 31.

[354] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 81; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 139; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 51.

პასუხისმგებლობისაგან გაქცევის საშუალებად და კანონის გვერდის ავლით შეძლებენ კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის განხორციელებას.

კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებასთან ერთად ასევე აუცილებელია იმის ანალიზი, თუ რამდენად არის შესაძლებელი ასოციაციის მიერ კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიღების პარალელურად ადგილი ჰქონდეს ამავე ასოციაციის წევრებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობას. როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისთვის აუცილებელი არ არის შესაბამისმა ეკონომიკურმა აგენტებმა განახორციელონ მათ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისი ფაქტობრივი საბაზრო ქმედებები. შესაბამისად, ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი საბაზრო ქმედებების ფაქტობრივი განხორციელება ვერ იქნება იმის მტკიცებულება, რომ ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულია კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ამ კუთხით მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ასოციაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცალკეული ეკონომიკური აგენტების უშუალო ჩართულობა. იმ შემთხვევაში თუ ასოციაციის წევრი ცალკეული ეკონომიკური აგენტები უშუალოდ არიან ჩართულები გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების განსაზღვრის პროცესში იქმნება ისეთი სამართლებრივი მდგომარეობა, როდესაც ეს ეკონომიკური აგენტები ერთმანეთში პირდაპირ ათანხმებენ სამომავლოდ ერთობლივად განსახორციელებელი საბაზრო ქმედებების ფორმასა და შინაარსს. შესაბამისად, ამ პროცესში მათ შორის ყალიბდება ურთიერთმფარავი ნება თუ განზრახვა, რომელიც მიმართულია მათი მხრიდან კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობის მიღებისაკენ. აქედან გამომდინარე, ასეთ დროს ასოციაციის გადაწყვეტილებასთან ერთად და მისგან დამოუკიდებლად ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის იდება კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, რომელიც ქმნის კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალული ქმედების ინდივიდუალურ შემადგენლობას. აქედან გამომდინარე, ამ ხელშეკრულების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს ასეთ შემთხვევაში სამართალდარღვევისათვის დამოუკიდებლად ეკისრებათ

შესაბამისი პასუხისმგებლობა.[355] აღნიშნულისაგან განსხვავებით, ასეთ დროს ის ეკონომიკური აგენტები, რომლებიც არ იყვნენ ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ უნდა ჩაითვალონ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებად მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ამ ასოციაციის წევრები არიან.[356] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის წევრი ეკონომიკური აგენტი არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შესაბამისად არ ხდება კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების მონაწილე, მაგრამ, აღნიშნული მიუხედავად, იგი იწყებს გადაწყვეტილების შესაბამის ფაქტობრივ საბაზრო ქმედებებს, მისი მხრიდან ადგილი ექნება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობას.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიღების გამო სანქცია დაეკისროს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას და ამავდროულად ადგილი ექნეს ამ ასოციაციის წევრ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების დადებასა თუ შეთანხმებული ქმედების განხორციელებას. ასეთ დროს პასუხისმგებლობა შესაბამისი ქმედებებისთვის ეკისრება როგორც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას (გადაწყვეტილების ნაწილში), ასევე ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს (ხელშეკრულების და/ან შეთანხმებული ქმედების) ნაწილში.[357]

6. ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინა

პრაქტიკაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც ეკონომიკური აგენტები ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ ძალზე კომპლექსურ და მრავალმხრივ კოორდინაციაში შედიან ერთმანეთთან, რომლის ფარგლებშიც შესაძლოა არაერთი ვიწრო შინაარსისა თუ მოქმედების ფარგლების მქონე ქმედება განხორციელდეს. ასოციაციისა და ეკონომიკური აგენტების პასუხისმგებლობათა გამიჯვნისას ასევე ცალსახად

[355] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 139; *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 57.

[356] შეად. *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 53; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 85.

[357] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 85.

გამოჩნდა, რომ შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევაში ერთდროულად არსებობდეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედება, ხელშეკრულება და ასოციაციის გადაწყვეტილება.[358] თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ, ზოგადად, კონკურენციის სამართლის დარღვევის დადგენა ძალზე მასშტაბურ მოკვლევასა და აღმასრულებელი ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დონის სირთულეებთან არის დაკავშირებული განგრძობადი და არაერთჯერადი ხასიათის მქონე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების დამტკიცება. აღნიშნულ პროცესს კიდევ უფრო გაართულებდა თუ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელ უწყებას ექნებოდა იმის ვალდებულება, რომ მსგავს შემთხვევებში მოეხდინა შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების თითოეული კონკრეტული ქმედების იდენტიფიცირება და შესაბამისი მტკიცების ხარისხით ამ ქმედებების არსებობის სათითაოდ დასაბუთება. მსგავსი მიდგომა პრაქტიკულად შეუძლებელს გახდიდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების არსებობის დამტკიცებას და საფრთხეს შეუქმნიდა კონკურენციის სამართლის პრაქტიკული აღსრულების ეფექტიანობას. სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილებას ემსახურება ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინა (*"Concept of a single, overall agreement"*), რომელიც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების დასადგენად კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყებებისთვის მტკიცების ზომიერ და რაციონალურ სტანდარტებს აყალიბებს.

აღნიშნული დოქტრინა ევროკომისიამ განავითარა განგრძობადი ხასიათის კომპლექსური შეთანხმებების მიმართ TFEU 101-ე მუხლით დაწესებული აკრძალვის ეფექტიანი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით.[359] ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინის მიხედვით, კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი უწყება არ არის ვალდებული საქმის მოკვლევისას ამტკიცოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა მთელი სერიის არსებობა და მოახდინოს კოორდინაციის თითოეული ფორმისა თუ შემთხვევისა და თითოეული

[358] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 133.
[359] OJ L 74, CD 17.3.1989, § 30; OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 30.

მათგანის განმახორციელებელი სუბიექტების ზუსტი იდენტიფიცირება.[360] განსაკუთრებით პრობლემურია ცალკეულ შემთხვევებში ასოციაციის გადაწყვეტილებისა და ეკონომიკურ აგენტთა შორის დადებული ხელშეკრულების გამიჯვნა. ასეთ დროს ევროპული პრაქტიკა არ ფოკუსირდება კონკრეტული კოორდინაციის ფორმის იდენტიფიცირებაზე, როდესაც კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ძირითადი ნიშნები არის სახეზე.[361]

მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით ევროკომისია განმარტავს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს როგორც განცალკევებული ქმედებების, ასევე ურთიერთდაკავშირებულ ქმედებათა გარკვეული სერიის, ანუ ქმედებათა ერთობლიობის განხორციელების გზით.[362] ეს უკანასკნელი შემთხვევა კი წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ ერთიან და განგრძობად შეთანხმებას, რომელიც მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს TFEU-101-ე მუხლის ერთ დარღვევად შეერაცხებათ. ასეთ დროს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება და შეთანხმებული ქმედება პრაქტიკაში ხშირად ფასდება როგორც *"uno actu",* ანუ შემადგენლობა, რომელიც ერთ დარღვევად კვალიფიცირდება და კონკურენციის სამართლის ჭრილში ერთ ქმედებად ფასდება, ვინაიდან ამ ქმედებების პარალელური თანაარსებობა პრაქტიკაში გამორიცხული არ არის.[363] მსგავს შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტებს შორის ადგილი არ აქვს კონკურენციის შემზღუდველ ისეთ ინდივიდუალურ და განკერძოებულ ქმედებებს, რომელთა მონაწილეებიც განსხვავებული და დამოუკიდებელი სუბიექტები არიან. ასეთ დროს საქმე ეხება ერთი და იმავე ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფის მიერ განხორციელებულ დროში განგრძობად ქმედებას, რომელიც წარმოადგენს ერთი საერთო მიზნის გამოხატულებას და ეს მიზანი მათ შორის არსებული კონკურენციის სხვადასხვა ფორმით შეზღუდვაში მდგომარეობს. გარდა ამისა, კომისია ასევე დასძენს, რომ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის პასიური როლი ამ შეთანხმების ფორმირებასა და

[360] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. 819; OJ L 152/24, CD 07.06.2001, § 237.
[361] *Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 53.
[362] OJ L 152/24, CD 07.06.2001, § 237.
[363] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 144.

იმპლემენტაციაში და ის ფაქტი, რომ იგი ნაკლები ინტენსივობით იღებდა მონაწილეობას სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის გამართულ შეხვედრაში არ გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას ერთიანი განგრძობადი ქმედების მიმართ. შესაბამისად, თითოეული ეკონომიკური აგენტი ასეთ დროს პასუხს აგებს არა მარტო მის მიერ უშუალოდ განხორციელებულ კონკრეტულ როლსა თუ ქმედებაზე/ქმედებებზე, არამედ მას ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა მთლიანად შეთანხმებაზე, როგორც კონკურენციის შემზღუდველ ერთიან და განგრძობად ქმედებაზე.[364]

აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ევროპული კავშირის პირველი ინსტანციის სასამართლომაც გაიზიარა ევროკომისიის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტის პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენა არ არის დამოკიდებული იმაზე, სრულად იყო თუ არა მისთვის ხელმისაწვდომი ამ ქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, არამედ იგი განისაზღვრება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში, როგორც მთლიან ქმედებაში, მისი მონაწილეობით. სასამართლო ასევე დაეთანხმა კომისიის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიის მიერ კონკრეტული ეკონომიკური აგენტების მხრიდან ფასისმიერი ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით მტკიცებულებების წარუდგენლობა, არ გამორიცხავს ამ ეკონომიკური აგენტების ჩართულობას კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში, ვინაიდან ისინი იყვნენ იმ შეთანხმების ფორმირების მონაწილეები, რომლის ფარგლებშიც კოორდინირებული საფასო პოლიტიკა იქნა დაგეგმილი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ასევე ასკვნის, რომ ეკონომიკურ აგენტს განგრძობად კარტელში მონაწილეობის გამო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი მონაწილეობდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ნაწილის (და არა ყველა ელემენტის) განხორციელებაში, თუ ამ ეკონომიკურმა აგენტმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ შეთანხმების ის ნაწილი, რომელშიც იგი უშუალოდ მონაწილეობდა, განსაკუთრებით წლების განმავლობაში ორგანიზებულ შეხვედრებში ჩართულობის გზით, იყო განგრძობადი და უფრო მასშტაბური გეგმის

[364] OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 31.

ნაწილი, რომელიც კონკურენციის ხელოვნურ შეზღუდვას ისახავდა მიზნად და ეს გეგმა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისათვის აუცილებელ ყველა წინაპირობას აკმაყოფილებდა.[365]

ორმხრივი ან მრავალმხრივი განგრძობადი შეთანხმებული ქმედება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს კონკურენციის შემზღუდველი ერთი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად თუ დამტკიცდება, რომ ეს ქმედებები წარმოადგენენ იმ ერთიანი გეგმის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ემსახურება საერთო მიზნის მიღწევას. თუმცა მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონკრეტული ეკონომიკური აგენტი ახორციელებდა შეთანხმებულ ქმედებას ავტომატურად არ ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების და შესაბამისად, ამ ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებული განგრძობადი ხასიათის მქონე კონკურენციის შემზღუდველი მთლიანი შეთანხმების მონაწილეს. ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინის მიხედვით, მთლიანი განგრძობადი ქმედებისთვის მსგავს სუბიექტს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ კონკრეტული შეთანხმებული ქმედების განხორციელებით იგი მონაწილეობდა კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაში.[366]

მართალია, ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინა ზრდის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტის პასუხისმგებლობის ფარგლებს, თუმცა ამ დოქტრინის გამოყენება შესაძლოა მომგებიანიც კი იყოს სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტისათვის. კერძოდ, თუ ეკონომიკური აგენტის რამდენიმე საბაზრო ქმედება არ იქნა განხილული, როგორც ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების ნაწილი, მაშინ მას სანქცია დაეკისრება თითოეული ქმედებისათვის ცალ-ცალკე. სხვაგვარად, რომ ითქვას, კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5 პროცენტის ფარგლებში ეკონომიკურ აგენტს შეეფარდება რამდენიმე ქმედებისთვის ცალ-ცალკე.

[365] ECLI:EU:T:1999:80, *"Limburgse Vinyl Maatschappij NV and others v. commission,"* Joined cases T-305/94, T-306/94, T-307/94, T-313/94 to T-316/94, T-318/94, T-325/94, T-328/94, T-329/94 and T-335/94, 20.04.1999, § 773-776.

[366] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 77.

ასეთ შემთხვევაში თითოეული ქმედებისთვის დაწესებულმა ჯარიმამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ერთი სამართალდარღვევისთვის კანონით დადგენილი ჯარიმის 5 პროცენტიან ნიშნულს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, თუ დამტკიცდება, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებული რამდენიმე საბაზრო ქმედება წარმოადგენდა კონკურენციის შემზღუდველი ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების ნაწილს, მაშინ დადგება ისეთი სამართლებრივი შედეგი, რომლის დროსაც ამ ეკონომიკურ აგენტს პასუხისმგებლობა დაეკისრება კონკურენციის შემზღუდველი მხოლოდ ერთი ქმედებისათვის და შესაბამისად, დაკისრებული სანქციის მოცულობაც მოექცევა ჯარიმის 5 პროცენტიანი ზღვრის ფარგლებში.

ზემოთ მოცემული მსჯელობის საფუძველზე, შესაძლოა იმ აუცილებელი წინაპირობების იდენტიფიცირება, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინის შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა. კერძოდ: 1) ერთიანი გეგმის არსებობა, რომლის შესაბამისადაც ეკონომიკური აგენტები ესწრაფვიან საერთო მიზნის მიღწევას; 2) ამ გეგმის განხორციელებაში კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომლითაც ამ უკანასკნელს გარკვეული წვლილი შეაქვს ერთიანი გეგმის განხორციელებაში; 3) ეკონომიკური აგენტის მიერ იმის გაცნობიერება (იცოდა ან უნდა სცოდნოდა), რომ სხვა ეკონომიკური აგენტების მხრიდან ადგილი აქვს სამართალდარღვევას.[367]

ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების დოქტრინა ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომისიის პრაქტიკაში და ევროპული კავშირის შიდა ბაზარზე იგი უზრუნველყოფს კონკურენციის უფრო ხისტი და შედარებით მკაცრი პოლიტიკის იმპლემენტაციას. აღნიშნული დოქტრინის საფუძველზე კომისია განკერძოებულად არ აფასებს კონკრეტული ეკონომიკური აგენტების ცალკეულ ინდივიდუალურ ქმედებას, არამედ იგი ფოკუსირდება განგრძობად საბაზრო პროცესზე, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკური აგენტები გარკვეულ ქმედებათა პროგრამაზე თანხმდებიან. ამ პროცესში ეკონომიკური აგენტების ნებისმიერი მონაწილეობა კი მას შეერაცხება სამართალდარღვევად და ამისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმ როლსა და ფუნქციას,

[367] *შეად. Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 5, Rn 819.

რომელიც მან შეასრულა კონკურენციის შემზღუდველი ერთიანი და განგრძობადი შეთანხმების პროცესში. მისი მონაწილეობის მასშტაბები მხედველობაში მიიღება მხოლოდ შესაბამისი სანქციის ზომისა და მოცულობის განსაზღვრის პროცესში.

IV. კონკურენციის შეზღუდვა

1. ტერმინოლოგიური ანალიზი

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვის მიზანს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციისთვის საფრთხის შემქმნელი კოორდინაციისაგან კონკურენციის ბუნებრივი პროცესის დაცვა წარმოადგენს. ამ გადმოსახედიდან გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს სწორედ კონკურენციის შეზღუდვის ელემენტი ასრულებს. იგი წარმოადგენს ცალკეული ქმედების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის უკანასკნელ უნივერსალურ ელემენტს, რომელიც როგორც ქართული, ასევე ევროპული და გერმანული კონკურენციის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. შესაბამისად, როგორც კანონის მე-7, ასევე TFEU 101-ე და GWB-ის პირველი მუხლებში საუბარია ისეთი შეთანხმებების აკრძალვაზე, რომელთა მიზანი ან შედეგი კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვაა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტთა შორის დადებული ხელშეკრულება, განხორციელებული შეთანხმებული ქმედება ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ მოექცევა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა ამკრძალავი ნორმის ფარგლებში თუ კოორდინაციის დასახელებულ ფორმათა მიზანს ან შედეგს არ წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა.

კანონის მე-7 მუხლის ჩანაწერი კონკურენციის შეზღუდვის, დაუშვებლობისა თუ აკრძალვასთან მიმართებით შესაძლოა სიტყვასიტყვით არ ემთხვეოდეს TFEU 101-ე და GWB-ის პირველი მუხლების (*"prevention, restriction or distortion" / "Verhinderung, Einschränkung oder Verfälschung"*) ფორმულირებებს, თუმცა ეს ფაქტი არ უნდა იქნეს მიჩნეული კანონის მე-7 მუხლის განმარტების პროცესში TFEU 101-ე და GWB-ის პირველი მუხლების გამოყენების შემაფერხებელ თუ დამაბრკოლებელ გარემოებად. ევროპულ და

გერმანულ პრაქტიკასა თუ იურიდიულ ლიტერატურაში კონკურენციის პროცესზე ნეგატიური გავლენის შეფასების პროცესში მისი სამსახოვანი გამოხატვა არანაირი დატვირთვის მატარებელი არ არის.[368] როგორც წესი, სამივე მათგანი „კონკურენციის შეზღუდვის“ (*“restriction of competition” / “Wettbewerbsbeschränkung”*) ზოგადი ცნების ქვეშ არის მოქცეული.[369]

კანონის მე-7 მუხლის ფორმულირებაში ბუნდოვანი და გაურკვეველია თუ რას გულისხმობს კანონმდებელი კონკურენციის დაუშვებლობისა და აკრძალვის ქვეშ და რით განსხვავდება ეფექტიანი კონკურენციის პროცესისთვის ზიანის მიყენების აღნიშნული ფორმები კანონის მე-7 მუხლში მათ გვერდით ნახსენები კონკურენციის შეზღუდვისაგან. ენობრივი გადმოსახედიდან კი აშკარად რჩება შთაბეჭდილება, რომ რა შინაარსიც არ უნდა იგულისხმებოდეს კონკურენციის „აკრძალვისა“ და „დაუშვებლობის“ ქვეშ, აღნიშნული ალტერნატივები შესაძლოა ცალსახად კონკურენციის „შეზღუდვის“ ცნების ფარგლებში მოექცეს.

კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში კონკურენციის შეზღუდვას გააჩნია ვიწრო და ფართო გაგება. კონკურენციის შეზღუდვის ვიწრო გაგების მიხედვით, კონკურენციის აკრძალვისა და დაუშვებლობის გვერდით იგი წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი წინაპირობის ინდივიდუალურ ალტერნატივას. ხოლო ფართო გაგებით კონკურენციის შეზღუდვა სამივე მათგანს აერთიანებს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალზე დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული ფართო გაგებით კონკურენციის შეზღუდვის სამი სხვადასხვა ალტერნატივის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. გარდა ამისა, ასევე აღინიშნა, რომ ევროპულ და გერმანულ რეალობაში პრაქტიკულად არ ხდება მსგავს ალტერნატივებს შორის ცალსახა წყალგამყოფი ხაზის გავლება და მათი ერთმანეთისაგან დიფერენცირება. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომისა და კანონის მე-7 მუხლის განმარტების მიზნებისათვის მიზანშეწონილია,

[368] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 182.

[369] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 91; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 167; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 7, Rn 832; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 124; *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 40; *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 4, Rn. 28; *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 199.

ევროპული მიდგომის მსგავსად, ქართულ იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში კონკურენციის შეზღუდვის სახით დამკვიდრდეს ერთი ზოგადი ტერმინი, რომლის ფარგლებშიც გაერთიანდება ამ კუთხით კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული სამივე ალტერნატივა.

2. კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა და/ან აკრძალვა

კონკურენციის შეზღუდვის ცნებას არც კანონის მე-7 მუხლი და არც სხვა ნორმები არ განსაზღვრავენ. შესაბამისად, რთულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აღნიშნული ელემენტის ზუსტი მახასიათებლებისა და იმ პარამეტრების იდენტიფიცირება, რომელზე დაყრდნობითაც ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია. მსგავსი სირთულეების წინაშე დგას ევროპული და გერმანული კონკურენციის სამართალიც.[370]

მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ რა უნდა იყოს ძირითადი ამოსავალი წერტილი ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის განსაზღვრაში - კოორდინაციაში ჩართულ ეკონომიკურ აგენტთა დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობის (კონკურენტული ავტონომიურობის) შეზღუდვა თუ მხოლოდ ის ზეგავლენა, რომელიც ამ კოორდინაციას შეიძლება გააჩნდეს მომხმარებლებისა თუ სხვა ეკონომიკური აგენტების ინტერესებზე. პირველი მიდგომა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის საფუძვლად არსებულ ეკონომიკურ აგენტთა დამოუკიდებლობის მოთხოვნასთან, ხოლო მეორე მათგანი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებთან არის დაკავშირებული. თუმცა, როდესაც საქმე კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს ეხება, შეუძლებელია აღნიშნული ორი ასპექტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ვინაიდან საბაზრო მოცემულობისა და ამ ბაზარზე არსებული კონკურენტული პირობების ცვლილება განპირობებულია ცალკეულ კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების კომერციული დამოუკიდებლობის

[370] *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 1, Rn. 4; § 4, Rn. 28.

შეზღუდვით და აღნიშნული ცვლილება ამავდროულად ისედაც ახდენს გავლენას მომხმარებლებისა თუ სხვა ეკონომიკური აგენტების ინტერესებზე.[371]

საკითხს კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ აგენტთა მიერ სხვადასხვა ბაზარზე დამყარებული თითქმის იდენტური შინაარსის კოორდინაციას შესაძლოა ერთ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის არსებითად შემზღუდველი ხასიათი გააჩნდეს, ხოლო სხვა ბაზარზე პირიქით - ხელი შეუწყოს ბაზრის ეფექტიანობის ზრდას. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შეზღუდვის ცნების ერთი უნივერსალური ცნების ჩამოყალიბება ფაქტობრივად შეუძლებელია.

კონკურენციის შეზღუდვასთან მიმართებით არსებული ბუნდოვანებების აღმოფხვრის ერთ-ერთ ეფექტურ გზად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს კონკურენციის იმ მასშტაბისა თუ ხარისხის განსაზღვრა, რომლის მიღწევა უნდა უზრუნველყოს კონკურენციის კანონმდებლობამ. მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა ემსახურება ევროპული კავშირის შიდა ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის მიღწევას, რაც გულისხმობს ისეთი კონკურენციის გარანტირებას, რომელიც აუცილებელია ევროპული კავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებების მიზნების მისაღწევად და რომლის ხარისხი, ინტენსივობა და მასშტაბები შესაძლოა სხვადასხვა შესაბამის ბაზარზე, ცალკეული პროდუქტისა და ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.[372] მართლმსაჯულების სასამართლოს აღნიშნული განმარტება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი კონკურენციის სამართალში აღიარებს და ამკვიდრებს ეფექტიანი კონკურენციის კონცეფციას.[373]

ქართული კონკურენციის კანონმდებლობაც ეფექტიანი კონკურენციის თეორიას იზიარებს. ამაზე მეტყველებს არაერთი ნორმა, რომელიც მოცემულია როგორც კანონში, ასევე მის საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. კონკურენციის

---

[371] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 41.

[372] ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01 27.09.2006, § 109; ECLI:EU:C:1977:167, Case 26-76, *„Metro SB-Großmärkte"* § 21-22.

[373] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 22; *Wohlmann H., Schedl M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 85.

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებიც[374] (შემდგომში - ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები) სრულად ემყარება ეფექტიანი კონკურენციის პრინციპს. უფრო მეტიც, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები შეიცავს ეფექტიანი კონკურენციის ცნების დეფინიციასაც, რომლის მიხედვითაც, ეფექტიანი კონკურენცია საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის ისეთ ოპტიმალურ კომბინაციას გულისხმობს, როდესაც ბაზრის შედეგიანობა შესაძლებლად მაღალ მაჩვენებელს უტოლდება.

ეფექტიანი კონკურენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ ეფექტიანი კონკურენცია არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ყველა შესაბამისი ბაზრისთვის უნიფიცირებული, ერთიანი „ფორმულა“. ეფექტიანი კონკურენციის კონცეფცია გულისხმობს, რომ ბაზარზე მიღწეული უნდა იყოს შედეგიანობის შეძლებისდაგვარად მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნული მაჩვენებელი კი, ბუნებრივია, სხვადასხვა ბაზრისთვის სხვადასხვაა, რაც კონკურენციის ეფექტიანობის რელატიურ ბუნებაზე მეტყველებს. შესაბამისად, კონკურენციის ეფექტიანობაც ყოველ კონკრეტულ ბაზართან მიმართებაში განსხვავებულად უნდა შეფასდეს და განისაზღვროს. კონკრეტული ხარისხის კონკურენცია შეიძლება საკმარისი იყოს იმისათვის რომ ერთმა ბაზარმა შეძლებისდაგვარად მაღალ მაჩვენებელს მიაღწიოს, მაგრამ ამავე ხარისხის კონკურენცია შესაძლოა არ იყოს საკმარისი სხვა ბაზრისთვის იმავე მაჩვენებლის მისაღწევად. კონკურენციის ეფექტიანობისთვის განმსაზღვრელია კონკრეტულ ბაზარზე არსებული მოცემულობა, ბაზრის სტრუქტურა თუ სხვა მახასიათებლები. აქედან გამომდინარე, ეფექტიანი კონკურენციის არსებობის თუ არარსებობის საკითხი ყოველი კონკრეტული ბაზრისთვის დამოუკიდებლად უნდა განისაზღვროს და უნდა დაეფუძნოს ამ ბაზრის კონკრეტულ პარამეტრებს. ეფექტიანი კონკურენციის ძირითად ინდიკატორს, როგორც წესი, წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ასრულებს შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენცია მასზე დაკისრებულ ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა მართვის

[374] https://admin.competition.ge/uploads/f378cc39831d4686878cb52e7b84e4ad.pdf (19.07.2021 მდგ.)

ფუნქცია, განაწილების ფუნქცია, საბაზრო ძალაუფლების განეიტრალების ფუნქცია, სოციალური ფუნქცია და ა. შ.[375] აღნიშნულის გათვალისწინებით, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის ერთ-ერთ პირველ და ძირითად ინდიკატორად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ეფექტიანი კონკურენციისთვის პირდაპირი ზიანის მიყენება ან მისთვის ნებისმიერი ისეთი საფრთხის შექმნა, რომელიც შესაბამის ბაზარზე ისეთ კონკურენტულ პირობებს ქმნის, რომელიც გამორიცხავს თავისუფალი კონკურენციის ფუნქციების შესრულებას.

ეფექტიანი კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას ასევე წარმოადგენს კონკურენციის პროცესის დინამიურობა, რომელზეც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაში. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სააგენტო აღნიშნავს, რომ კონკურენციას, როგორც დინამიურ პროცესს, მომხმარებლისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მუდმივ სრულყოფას, განვითარებასა და ზრდას განიცდის.[376] მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით სააგენტო ასევე განმარტავს, რომ კონკურენციის შეზღუდვა სახეზეა, როდესაც კონკრეტულ ქმედებას შესწევს იმის უნარი, რომ გავლენა მოახდინოს ბაზრის სტრუქტურაზე და რომელიც მოწოდებულია ხელი შეუშალოს არსებული კონკურენციის ხარისხის შენარჩუნებას ან შეაფერხოს მისი შემდგომი ზრდა და განვითარება.[377] სააგენტო ასევე იზიარებს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას იმასთან დაკავშირებით, რომ ბაზრის სტატიკურ მდგომარეობაში შენარჩუნება ინოვაციური პროდუქტების შემცირებას, მომხმარებელთა არჩევანის შესაძლებლობების შეზღუდვასა თუ ფასებთან დაკავშირებულ პრობლემებს წარმოშობს.[378]

გარდა ამისა, მართლმსაჯულების სასამართლო უფრო ზოგადი ხასიათის განმარტებებსაც აკეთებს და ადგენს, რომ კონკურენციის შეზღუდვა სახეზეა მაშინ,

---

[375] ეკონომიკური კონკურენციის ფუნქციებთან დაკ. იხ. *ადამია გ.* ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, იხ. სსჟ. 2020, 2, 94 და შემდგ.

[376] სკსგ, 19.02.2020, ბრძ. N04/44, *„შპს „ჯევერს დეველოპმენტის“ საქმე,“* 78.

[377] სკსგ, 19.02.2020, ბრძ. N04/44, *„შპს „ჯევერს დეველოპმენტის“ საქმე,“* 78, ციტ. ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, „*Hoffmann-La Roche*,“ §§ 91; ECLI:EU:T:2003:250, Case T-203/01 *“Michelin II”* §§ 238-239.

[378] *სკსგ, 19.02.2020, ბრძ. N04/44, „შპს „ჯევერს დეველოპმენტის“ საქმე,“* 78, ციტ. ECLI:EU:C:2010:603, C-280/08 P, *„Deutsche Telekom AG“*, § 182, ECLI:EU:C:2009:214 Case C-202/07 P, *“France Télécom”*, § 112.

როდესაც ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის შედეგი ან მიზანი შესაბამის ბაზარზე ისეთი კონკურენტული პირობების წარმოშობაა, რომელიც, შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ამ ბაზარზე მისაწოდებელი საქონლისა თუ მომსახურებისა და მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, არ შეესაბამება ნორმალურ საბაზრო პირობებს.[379] ამ მიდგომის გამოყენების შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკურენციის ის ხარისხი, რომელიც იარსებებდა/არსებობდა შესაბამის ბაზარზე კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი კოორდინაციის გარეშე და იგი უნდა შედარდეს კონკურენციის იმ პირობებთან, რომელიც ჩამოყალიბდა ამ კოორდინაციის შედეგად. ამასთან, აუცილებელი არ არის კონკრეტულ შემთხვევაში იმის დადგენა, თუ რამდენად ხელყოფს ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაცია ცალკეულ ინდივიდთა ინტერესებს იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით დაცული ძირითადი და უმთავრესი სამართლებრივი სიკეთეა კონკურენცია.[380] აღნიშნული მიდგომა ასევე გაზიარებულია ევროკომისიის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის შედეგად კონკურენციის შეზღუდვის მასშტაბების შეფასება უნდა მოხდეს კონკურენციის იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც შესაბამის ბაზარზე იარსებებდა კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველი კოორდინაციის არარსებობის პირობებში.[381]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში შეზღუდვის ობიექტს წარმოადგენს თავისუფალი კონკურენციის ნებისმიერი ისეთი დასაშვები გამოვლინება ან ფორმა, როგორიცაა ფასთან, ხარისხთან, რაოდენობასთან თუ ცალკეული პროდუქტის სხვა მახასიათებლებთან დაკავშირებული კონკურენცია.[382] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაცია ექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების

[379] ECLI:EU:C:1975:174, *"Coöperatieve Vereniging "Suiker Unie" UA,"* Joined cases 40 to 48, 50, 54 to 56, 111, 113 and 114-73, 16.12.1975, § 174; ECLI:EU:C:1981:178, *"Gerhard Züchner,"* Case 172/80, 14.07.1981, § 14; ECLI:EU:C:1998:256 , *"John Deere Limited,"* Case C-7/95 P, 28.05.1998, § 87.

[380] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08 § 38.

[381] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 17.

[382] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 44.

ფარგლებში, თუ მას გააჩნია მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენციის ისეთ პარამეტრებზე, როგორიცაა ფასი, წარმოება, პროდუქტის ხარისხი, პროდუქტის მრავალფეროვნება, ინოვაცია და ა. შ.[383] აღნიშნულ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის საგანს წარმოადგენს ცალკეული საქონლის ან მომსახურების შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ხელოვნურ დონეზე შენარჩუნება (ფასების ფიქსაცია), წარმოების შეზღუდვა, ტექნოლოგიურ განვითარებაზე უარის თქმა და ა. შ.

ცალკეული კოორდინაციის შედეგად შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენციის ხარისხის ცვლილების შეფასება, თავის მხრივ, ეფუძნება კონკურენციის სხვადასხვა პარამეტრისა (*"Wettbewerbsparameter"/"Parameters of Competition"*)[384] თუ ინდიკატორის ანალიზს. იურიდიულ ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონკურენციის სხვადასხვა პარამეტრებსა თუ ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც ხდება კონკრეტულ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების იდენტიფიცირება და შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენციის ხარისხისა თუ დონის ცვლილება. თუმცა აღნიშნული პარამეტრების სიმრავლისა და მათი კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია ყველა მათგანის ჩამოთვლა და ანალიზი. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს რამდენიმე მათგანზე.

3. ცალკეული პარამეტრები და ინდიკატორები

3.1. კონკურენტული ავტონომიურობა

კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის არსებობის უპირველეს და უმთავრეს წინაპირობას კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტის კომერციული დამოუკიდებლობის შეზღუდვა წარმოადგენს.[385] როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს

[383] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 16.

[384] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 45; *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.169.

[385] *Wohlmann H., Schedl M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 84; *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 1, Rn. 5; *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 205.

პრინციპი იმასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიკურმა აგენტებმა თავიანთი საბაზრო პოლიტიკის დაგეგმვა და მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია დამოუკიდებლად, სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შეთანხმების გარეშე უნდა მოახდინონ.[386] სხვაგვარად რომ ითქვას, ცალკეულ შესაბამის ბაზრებზე კონკურენციის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს ეკონომიკური აგენტების კონკურენტული ავტონომიურობა (*"competitive autonomy"/"Wettbewerbliche Handlungsfreiheit"/"Wirtschaftliche Handlungsfreiheit"*) წარმოადგენს.[387] შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც კონკურენციის სამართლით დაცულ უმთავრეს სამართლებრივ სიკეთეს კონკურენციის პროცესი წარმოადგენს, კონკურენციის სამართალმა უნდა უზრუნველყოს კონკურენციის პროცესის საფუძვლად არსებული ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობის დაცვა. კონკურენტული ავტონომიურობა კი ამ კუთხით გულისხმობს ეკონომიკური აგენტების მხრიდან ისეთი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად, ბაზრის სხვა მონაწილეებთან კოორდინაციის გარეშე მიღებას, რომელიც უკავშირდება კონკურენციის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ფასი, მიწოდების მასშტაბები, სხვადასხვა შესაბამის ბაზარზე ოპერირების დაწყება და ა. შ.

აქედან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევაში კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის არსებობის შეფასების ძირითად საფუძველსა და საყრდენს წარმოადგენს ის, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული კოორდინაცია ამ ეკონომიკური აგენტების კომერციულ დამოუკიდებლობასა თუ კონკურენტულ ავტონომიურობაზე.[388] ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის შედეგად შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენციის შეზღუდვას ყოველთვის უდევს საფუძვლად მასში მონაწილე ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის სამომავლო საბაზრო ქმედების ფორმისა თუ შინაარსის განსაზღვრაზე კოორდინაციის ხელოვნური ზეგავლენა ან კოორდინაციის შედეგად ამ ეკონომიკური აგენტის კომერციული მოტივაციის

[386] დაწვ. იხ. თ. I, ქვთ. 4.

[387] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.162; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 200; *Wohlmann H., Schedl M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 83.

[388] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 91; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 200.

ცვლილება, რომელიც, თავის მხრივ, ასევე ახდენს გავლენას მისი კომერციული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.[389]

კომერციული პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესზე ზეგავლენა შეიძლება ეხებოდეს ეკონომიკურ საქმიანობასა თუ საბაზრო პროცესებში მონაწილეობის ნებისმიერ ასპექტს. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ცალკეული შეთანხმება ეკონომიკურ აგენტებს ავალდებულებს გარკვეული საბაზრო ქმედების განხორციელებას ან განხორციელებისაგან თავის შეკავებას ან კოორდინაციის შედეგად აღმოიფხვრება ან მცირდება მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული ის ბუნდოვანება, რომელიც მათ სამომავლო საბაზრო ქცევებთან არის დაკავშირებული.[390] კომერციული დამოუკიდებლობის შეზღუდვის კონკრეტულ მაგალითებს შეიცავს საკუთრივ კანონის მე-7 მუხლი, რომელიც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ზოგად წინაპირობებთან ერთად, ასევე ჩამოთვლის სპეციალურ შემთხვევებსაც. კერძოდ, შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ფიქსაცია, წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა, ბაზრის განაწილება და ა. შ. ფასების ფიქსაციის შემთხვევაში კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტის დამოუკიდებლობის შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ იგი თავისუფლად ვეღარ ახდენს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასის დაწესებას და ფასის განსაზღვრის პროცესში ხელმძღვანელობს სხვა ეკონომიკურ აგენტებთან მიღწეული შეთანხმებით. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ბაზრის განაწილების შემთხვევაში შესაბამის ეკონომიკურ აგენტს ხელოვნურად ეზღუდება ბაზრების სრულად ათვისების შესაძლებლობა და იგი თავისუფლად და დამოუკიდებლად აღარ წყვეტს ცალკეული პროდუქციული ბაზრის კონკრეტულ ტერიტორიულ არეალში თუ სხვა პროდუქციულ ბაზარზე შესვლის საკითხს.

ამასთან, კომერციულ დამოუკიდებლობაზე ნებისმიერი სახის ზეგავლენა ვერ იქნება იმის თქმის საფუძველი, რომ ადგილი აქვს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით გათვალისწინებულ ქმედებას. აღნიშნული არ წარმოადგენს

[389] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 15.

[390] *Wohlmann H., Schedl M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 86.

კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის არსებობის ერთადერთ წინაპირობას.[391] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისათვის ასევე აუცილებელია იმის დადგენა, რომ კოორდინაციისა და ამ გზით შეზღუდული კომერციული დამოუკიდებლობის შედეგად უარესდება საბაზრო მოცემულობა და შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენცია. ევროკომისიის განმარტებით, ამ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებას აქვს მნიშვნელოვანი ნეგატიური ეფექტები კონკურენციის ისეთ პარამეტრებზე, როგორიცაა ფასი, წარმოების მოცულობა, ხარისხი, პროდუქტის მრავალფეროვნება და ა. შ.[392]

3.2. შეზღუდვაუნარიანი კონკურენცია

ეკონომიკურ აგენტთა შორის დამყარებული კოორდინაციის შედეგად კონკურენციის შეზღუდვაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ კოორდინაციასთან შემხებლობაში მყოფ შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე არსებობს ე. წ. შეზღუდვაუნარიანი ფაქტობრივი ან პოტენციური კონკურენცია (*"beschränkbarer Wettbewerb"*).[393] კონკრეტული ქმედების შედეგად კონკურენციის შეზღუდვას შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ დროს, როდესაც ამ ქმედების განხორციელებისას შესაბამისი ეკონომიკური აგენტის მოქმედების თავისუფლება გარკვეული ობიექტური გარემოებებით ისედაც შეზღუდული იყო. აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ მიღებული ცალკეული მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს ან აგენტთა ჯგუფს ქმედების გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ასეთი ქმედება კონკურენციის შეზღუდვას იწვევს დაუშვებელია ეკონომიკურ აგენტს რაიმე სახის პასუხისმგებლობა დაეკისროს. შეზღუდვაუნარიან კონკურენციას ასევე ვერ ექნება ადგილი ისეთ შემთხვევებში, როდესაც ცალკეული ეკონომიკური აგენტების ავტონომიური და დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობა სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულირებების გამო ფაქტობრივად გამორიცხულია. დამოუკიდებლობის

[391] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 201.
[392] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 16.
[393] *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 211.

ხარისხის ასეთი შეზღუდვის პირობებში კი შეუძლებელია ეკონომიკური აგენტები თავისუფალ კონკურენციაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, ასეთ დროს არც შეზღუდვაუნარიანი კონკურენცია იქნება სახეზე და არც აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული კოორდინაციის შედეგად იქნება შესაძლებელი კონკურენციის შეზღუდვის ფაქტის არსებობა.

3.3. ფაქტობრივი და პოტენციური კონკურენცია

წინამდებარე ნაშრომის დასაწყისშივე აღინიშნა, რომ კონკურენციის სამართლით დაცული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური სამართლებრივი სიკეთეა კონკურენცია.[394] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმაც სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება და იგი ჯანსაღ კონკურენტულ გარემოსა და კონკურენციის პროცესს იცავს ეკონომიკური აგენტებს შორის ჩამოყალიბებული სხვადასხვა შინაარსის ისეთი კოორდინაციისაგან, რომლის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა.

დასავლურ მართლწესრიგებში, როგორც წესი, თავს იკავებენ კონკურენციის ერთი ზოგადი უნივერსალური ცნების ჩამოყალიბებისაგან. კონკურენციის საკანონმდებლო დეფინიციის ჩამოყალიბებისაგან მსგავსი დისტანცირება განპირობებულია იმ საფრთხეებით, რომელიც შესაძლოა წარმოშვას კონკურენციის ცნების უნივერსალურმა განსაზღვრებამ თუ განსაზღვრის მცდელობამ.[395] ერთ-ერთ ასეთ საფრთხედ კი მოიაზრება იმის დიდი ალბათობა, რომ კონკურენციის ცნების დეფინიციის მიღმა დარჩება ის აუცილებელი ელემენტები თუ ასპექტები, რომელიც პრაქტიკაში კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისათვის შესაძლოა მომეტებული მნიშვნელობის მატარებელი აღმოჩნდეს.[396] აქედან გამომდინარე, არც ევროპული კავშირის და არც გერმანულ კონკურენციის კანონმდებლობაში არ გვხვდება კონკურენციის ნორმატიული განმარტება.

---

[394] დაწვ. იხ. თ. I, ქვთ. 2.

[395] *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 1, Rn. 1.

[396] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 107; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 6, Rn 716.

ევროპული და გერმანული მიდგომების საწინააღმდეგოდ, ქართველმა კანონმდებელმა განსხვავებული გზა აირჩია და კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში შემოგვთავაზა კონკურენციის ცნების ლეგალური დეფინიცია. აღნიშნული ნორმის მიხედვით, კონკურენცია განმარტებულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ განმარტებაში ყურადღებას იქცევს ორი ასპექტი - ფაქტობრივი კონკურენცია და პოტენციური კონკურენცია. ფაქტობრივი კონკურენციის ქვეშ იგულისხმება შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენცია. აღნიშნულისაგან განსხვავებით, პოტენციური კონკურენცია გულისხმობს პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედ და პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციას. იმდენად, რამდენადაც კანონის მე-7 მუხლით დაცულ ძირითად სამართლებრივ სიკეთეს კონკურენცია წარმოადგენს, საფუძველს მოკლებული არ იქნება იმ დასკვნის გაკეთება, რომ კანონის მე-7 მუხლი იცავს როგორც ფაქტობრივ, ასევე პოტენციურ კონკურენციასაც. ამ კუთხით ქართული კონკურენციის კანონმდებლობა სრულ თანხვედრაშია ევროპულ და გერმანულ პრაქტიკასთან, სადაც კონკურენციის ქვეშ მოიაზრება როგორც ფაქტობრივი, ასევე პოტენციური კონკურენცია.[397] შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში კონკურენციის შეზღუდვა გულისხმობს როგორც ფაქტობრივი, ასევე პოტენციური კონკურენციის შეზღუდვასაც.[398]

აღნიშნული მიდგომა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც თავისუფალი კონკურენცია და სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა გარანტირებული უნდა იყოს ასევე ისეთი სუბიექტისთვის, რომლის ეკონომიკური საქმიანობაც ცალკეულ შესაბამის ბაზარზე მოქმედებაში ჯერ კიდევ არ

[397] ECLI:EU:T:2011:181, *"Visa Europe Ltd and Visa International Service,"* Case T-461/07, 14.04.2011, § 68; ECLI:EU:T:1998:198, *"European Night Services,"* Joined Cases T-374/94, T-375/94, T-384/94 and T-388/94, 15.09.1998, § 137; ECLI:EU:T:2012:332, *"E.ON Ruhrgas AG,"* Case T-360/09, 29.06.2012, § 85; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 7, Rn 835; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 107; *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 45.

[398] შეად. *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 198.

არის გარდასახული. ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის გზით სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის გარკვეულ სასაქონლო თუ მომსახურების ბაზარზე ან ბაზრებზე შესვლის ხელოვნური ბარიერების შექმნა კი კონკურენციის შეზღუდვის საკმარისი ინტენსივობის არსებობის პირობებში არ არის თავსებადი კონკურენციის კანონმდებლობის მიზნებთან და ამოცანებთან.

ფაქტობრივი კონკურენციისაგან განსხვავებით, პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული იმის განსაზღვრა თუ რამდენად აქვს ცალკეულ შემთხვევაში პოტენციურ კონკურენციას ადგილი, რომელიც ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული კოორდინაციის შედეგად იზღუდება. ფაქტობრივი კონკურენციის დადგენა ხდება მარტივად - ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების განსაზღვრით. პოტენციური კონკურენციის შემთხვევაში კი რთულია განისაზღვროს თუ ვინ წარმოადგენს პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის მიხედვით პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი გულისხმობს ისეთ სუბიექტს, რომელსაც აქვს ცალკეულ შესაბამის ბაზარზე შესვლის დასაბუთებული განზრახვა. შესაბამისად, ნებისმიერი ეკონომიკური აგენტი არ წარმოადგენს პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს და შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ნებისმიერი სხვა მეწარმე სუბიექტებისგან არ განიცდიან კონკურენტულ წნეხს.

პოტენციური კონკურენციის არსებობის დადგენა პრაქტიკაში საბაზრო მოცემულობის ფრთხილი და სიღრმისეული ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა შემოწმდეს თუ რამდენად არსებობს სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული შესაძლებლობა შევიდნენ შესაბამის ბაზარზე.[399] აღნიშნული გულისხმობს შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და ეკონომიკური აგენტის რესურსების სიღრმისეულ ანალიზს.[400] ამასთან, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი ასეთი ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს თითოეული შემთხვევის ეკონომიკურად რეალისტურ მიდგომებსა და

[399] ECLI:EU:T:2012:332, *"E.ON Ruhrgas AG,"* Case T-360/09, 29.06.2012, § 85.
[400] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 47.

შესაბამისი ბაზრის სტრუქტურულ შესწავლას.[401] მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ ცალკეული სუბიექტის პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მისაჩნევად აუცილებელია განისაზღვროს თუ რამდენად ექნებოდა მას შესაბამის ბაზარზე შესვლისა და ამ ბაზარზე უკვე მოქმედი კომპანიებისთვის კონკურენციის გაწევის რეალური შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნებოდა სხვა ეკონომიკურ აგენტთა კონკრეტულ კოორდინაციას.[402] ევროკომისიის მიერ განვითარებული მიდგომების მიხედვით, პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა ისეთი სუბიექტი, რომელსაც აქვს რეალური შესაძლებლობა მოკლე დროში განახორციელოს შესაბამის ბაზარზე შესვლა და იტვირთოს ამ ბაზარზე გონივრული დროით ოპერირების განხორციელებისათვის აუცილებელი ხარჯების გაწევა.[403]

3.4. მიწოდებისა და შეძენის კონკურენცია

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით დაცული კონკურენციის პროცესი ხშირ შემთხვევაში ცალკეული საქონლისა და მომსახურების შესაბამის ბაზარზე მიწოდების პროცესში ეკონომიკურ აგენტებს შორის წარმოშობილ მეტოქეობას გულისხმობს, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში მიწოდების კონკურენციის სახელით არის ცნობილი (*"Angebotswettbewerb"*).[404] ამ პროცესში კონკურენციის ძირითად ასპექტს სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე დაწესებულ ფასებთან მიმართებით ჩამოყალიბებული კონკურენცია ასრულებს. თუმცა მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ საფასო კონკურენცია არ წარმოადგენს ეკონომიკური კონკურენციის ერთადერთ ეფექტიან გამოხატულებას, რომელსაც ყოველთვის აბსოლუტური პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს.[405] მართალია, მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით, ფასებთან

---

[401] ECLI:EU:T:1998:198, *"European Night Services,"* Joined Cases T-374/94, T-375/94, T-384/94 and T-388/94, 15.09.1998, § 137; ECLI:EU:T:2012:332, *"E.ON Ruhrgas AG,"* Case T-360/09, 29.06.2012, § 86.

[402] ECLI:EU:T:2012:332, *"E.ON Ruhrgas AG,"* Case T-360/09, 29.06.2012, § 86.

[403] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 10; *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 47.

[404] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 45.

[405] ECLI:EU:C:1977:167, *"Metro SB-Großmärkte GmbH & Co. KG,"* Case 26-76, 25.10.1977, § 21.

დაკავშირებული კონკურენცია შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდეს კონკურენციის პროცესში, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ისეთი ფაქტორების იგნორირებას, როგორიცაა ხარისხი, წარმოების მოცულობა თუ საქონელსა და მომსახურებაზე ფართო არჩევანის უზრუნველყოფა.[406] ამ კუთხით კონკურენციის მნიშვნელოვან პარამეტრს ასევე ქმნის კვლევა და განვითარება, რომელიც შესაბამის ბაზარზე ინოვაციის ზრდას უწყობს ხელს.[407] როდესაც ეკონომიკური აგენტები ერთმანეთთან ამყარებენ ისეთ კოორდინაციას, რომლის შედეგადაც უარს ამბობენ კვლევასა და განვითარებაში ინვესტირებაზე, ფერხდება ტექნოლოგიური განვითარება და საბოლოო ჯამში ეკონომიკური აგენტები კარგავენ ინოვაციური პროდუქტებისა თუ მომსახურების შექმნის მოტივაციას, რაც ბუნებრივია უარყოფითად აისახება მომხმარებელთა კეთილდღეობასა და ჯანსაღ კონკურენციაზე.

ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებასთან ერთად, ეკონომიკური აგენტებს შორის კონკურენცია ასევე წარმოიშობა ახალი ნედლეულის ბაზრების ათვისების ან ნედლეულის მოპოვების პროცესში. ასეთ დროს ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ არა როგორც მიმწოდებლები, არამედ როგორც პროდუქტის შემძენი სუბიექტები. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, პირადი მოხმარების მიზნით პროდუქტის შეძენა უნდა გაიმიჯნოს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შეძენისაგან. ეკონომიკური აგენტის ცნების ანალიზისას აღინიშნა, რომ მაშინ, როდესაც ცალკეული სუბიექტი პირადი მოხმარების მიზნით ახდენს გარკვეული საქონლისა თუ მომსახურების შეძენას, იგი მოქმედებს არა როგორც ეკონომიკური აგენტი, არამედ, როგორც მომხმარებელი. შესაბამისად, მოხმარების პროცესში ეკონომიკური კონკურენცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ცალკეული სუბიექტები ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახდენენ პროდუქტის შეძენას მისი გადამუშავების ან შემდგომი რეალიზაციის მიზნით.[408] ამ პროცესში წარმოშობილ კონკურენციას კი პირობითად შეძენის კონკურენცია *(შეად. "Nachfragewettbewerb")* შეიძლება ეწოდოს.[409]

---

[406] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 171.

[407] *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 198; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 173.

[408] მომხმარებლისა და ეკონომიკური აგენტების ცნებების გამიჯვნასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II.

[409] შეად. *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 45.

ევროპულ იურიდიულ ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში ცალსახად არის აღიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციის სამართლითა და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეა არა მარტო მიწოდების, არამედ შეძენის კონკურენციაც.[410] ამ შემთხვევაში გარკვეულ კითხვებს შეიძლება წარმოშობდეს ის გარემოება, რომ მოხმარების კონკურენციის შეზღუდვა შესაძლოა მომხმარებლის ინტერესებს ნაკლებად ზღუდავდეს. ამ დაშვების საფუძვლად არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შეძენის პროცესში ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაცია თავისთავად არ ნიშნავს, რომ ეს ეკონომიკური აგენტები მიწოდების პროცესში არ უწევენ ერთმანეთს კონკურენციას. თუმცა იმის გათვალისწინებთ, რომ კონკურენციის სამართალი ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფით არა მხოლოდ მომხმარებლების, არამედ მეწარმე სუბიექტების ინტერესებსაც იცავს, მაშინ აუცილებელია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა ასევე გავრცელდეს შეძენის კონკურენციისთვის საფრთხის შემქმნელ კოორდინაციის შემთხვევებზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა მიწოდებისა და მოთხოვნის ჯაჭვის ზედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ინტერესები. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის შედარებით ქვედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები შესაძლოა შეთანხმდნენ ზედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვის ფასებზე, მიწოდების წყაროების განაწილებაზე და ა. შ. მსგავსი შინაარსის შეთანხმება, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია ზედა დონეზე მოქმედი შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც მიწოდების საქმიანობით არიან დაკავებულები. მაგალითად, თუ გარკვეული პროდუქტის დისტრიბუტორები შეთანხმდებიან მწარმოებლებისგან შესასყიდ ფასზე, მნიშვნელოვნად შეიზღუდება მწარმოებლების ინტერესები, ვინაიდან მათ შეეზღუდებათ თავისუფალი კონკურენციის პირობებში მათ მიერ წარმოებული პროდუქტის

[410] ECLI:EU:C:1994:413, *"Gøttrup-Klim e.a. Grovvareforeninger,"* Case C-250/92, 15.12.1994, § 35; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 174; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 119; *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 198.

რეალიზების შესაძლებლობა მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ასეთ დროს დისტრიბუტორებს შორის მომხმარებლებისთვის პროდუქტის მიწოდების პროცესში არსებობდეს ეფექტიანი კონკურენცია. შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა მიწოდებისა და მოთხოვნის ჯაჭვის ზედა დონეზე მოქმედ ეკონომიკური აგენტების ინტერესებს ისევე იცავს მოხმარების კარტელიზებისაგან, როგორც მომხმარებლებს მიწოდების კარტელიზებისაგან.[411]

შეძენის კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობაზე მეტყველებს ასევე კანონის მე-7 მუხლის დისპოზიცია, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საუბრობს შესყიდვის ფასების ან შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა სავაჭრო პირობების დაწესებაზე. იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი გამოყოფს მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს. მართალია სხვა პუნქტებში პირდაპირი მითითება მოხმარების კონკურენციასთან დაკავშირებით არ არის მოცემული, თუმცა იგი არც აღნიშნულის გამომრიცხავ გარემოებებზე არ აკეთებს კონკრეტულ აქცენტებს.

ამასთან, ნორმის შინაარსობრივი სიღრმეების ანალიზის შედეგად აშკარა ხდება, რომ შეძენის კონკურენციის შეზღუდვა კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი შეთანხმებების თითოეული სპეციალური შემთხვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ კანონმდებელი დასახელებულ მუხლში საუბრობს სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესებაზე ან გარიგების დასადებად მხარისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებაზე. ამ შემთხვევაში სავაჭრო პარტნიორი ან გარიგებს მხარე არ გულისხმობს მხოლოდ მიწოდებისა და მოთხოვნის ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედ სუბიექტებს, არამედ იგი ასევე მოიცავს ზედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის ან აგენტების საზიანოდ კონკურენციის შეზღუდვასაც.

[411] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 119.

3.5. შიდაბრენდული და ბრენდებს შორის კონკურენცია

თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური ბრუნვის მრავალფეროვნებისა და მისი მასშტაბების გათვალისწინებით ცალკეულ სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე, როგორც წესი, სხვადასხვა ბრენდის, დასახელებისა თუ სხვადასხვა მწარმოებლის მიერ ნაწარმოები პროდუქცია უწევს ერთმანეთს კონკურენციას. ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც შესაბამის ბაზარზე ერთი და იგივე ბრენდის პროდუქტის მიწოდებას რამდენიმე ეკონომიკური აგენტი ახდენს. აღნიშნულის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ბრენდებს შორის კონკურენციას (*"Interbrand Competition"*) და შიდაბრენდულ კონკურენციას (*"Interbrand Competition"*). ამასთან, კონკურენციის ორივე სახე თანაბრად წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.[412] აღნიშნულზე მეტყველებს ევროკომისიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების შეფასებისას მნიშვნელოვანი და აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც ბრენდებს შორის (კონკურენტულ დამოკიდებულებაში მყოფი ბრენდების მიმწოდებლებს შორის კონკურენცია) ასევე შიდაბრენდული კონკურენცია (ერთი და იმავე ბრენდის დისტრიბუტორებს შორის კონკურენცია).[413]

3.6. კონკურენტებისა და სხვა ეკონომიკურ აგენტთა ინტერესები

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ძირითადი ტელეოლოგიური საფუძველი ეკონომიკური აგენტების მიერ საბაზრო ქმედებების დამოუკიდებლად განსაზღვრისა და განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. თუმცა ცალკეულ ეკონომიკურ აგენტთა მიერ მიღწეული კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაცია ხშირ შემთხვევაში სხვა ეკონომიკური აგენტების სამეწარმეო თავისუფლების შეზღუდვაშიც გამოიხატება. კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა გარკვეულმა სპექტრმა შესაძლოა

[412] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 171; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 17; *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 198.

[413] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 17.

გავლენა იქონიოს ნედლეულის ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების თავისუფალ დაშვებაზე, შესაბამის ბაზარზე პოტენციური ეკონომიკური აგენტების შესვლის სიმარტივეზე და ა. შ. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის განსაზღვრა მესამე პირთა ინტერესებზე ამ კოორდინაციის გავლენის შეფასების გზითაც ხდება.[414]

ამ კუთხით ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს კონკურენტი და სხვა ეკონომიკური აგენტების ინტერესები. ჰორიზონტალური შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლოა კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში არ მონაწილეობდეს ცალკეულ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტი. ასეთ დროს, შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა ნაწილი ერთვება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში, ხოლო მეორე ნაწილი რჩება მის მიღმა. მსგავსი კარტელური გარიგების მიზანი კი შესაძლოა სწორედ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან განდევნა იყოს. აღნიშნული კი ბუნებრივია ზღუდავს მათ კომერციულ ინტერესებს. მსგავსი ინტერესების არსებითი ხელყოფა კი შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შეზღუდვის არსებობის დამადასტურებელ ერთ-ერთ ინდიკატორად იქნეს მიჩნეული.

დაახლოებით ანალოგიური შემთხვევა იქმნება პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან ან სხვა ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით. შესაძლოა ცალკეული ჰორიზონტალური შეთანხმება თავისი შინაარსით ხელს უშლიდეს და მნიშვნელოვნად აფერხებდეს პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შესაბამის ბაზარზე შესვლაში. ასევე შესაძლებელია, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაცია მნიშვნელოვნად ზღუდავდეს ისეთი ეკონომიკური აგენტის ინტერესებს, რომელიც ამ შეთანხმებაში მონაწილე სუბიექტებისთვის არც კონკურენტ და არც პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს არ წარმოადგენენ. მაგალითად, ისეთი სუბიექტები, რომლებიც კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისგან იძენენ ან მათ აწვდიან გარკვეულ საქონელს ან მომსახურებას.

[414] *Emmerich V.*, KartR., 13. Aufl. 2014 § 4, Rn. 29.

შესაბამისად, კონკურენტი, პოტენციური კონკურენტი ან სხვა ეკონომიკური აგენტების კომერციული ინტერესების ხელყოფა შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულ იქნეს კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის არსებობის შეფასების პროცესში. თუმცა ასეთი ინტერესების ხელყოფა ავტომატურად არ ქმნის კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის არსებობის საკმარის მტკიცებულებას.

3.7. მომხმარებელთა ინტერესები

TFEU 101-ე მუხლით დადგენილი აკრძალვებიდან დაშვებული გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო მითითებებში აღნიშნულია, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ძირითადი მიზანია კონკურენციის, როგორც მომხმარებელთა კეთილდღეობისა რესურსების ეფექტური გადანაწილების მექანიზმის დაცვა.[415] ევროკომისიის აღნიშნულ განმარტებაში განსაკუთრებული აქცენტი არის გაკეთებული მომხმარებელთა კეთილდღეობაზე. თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული ისე თითქოს, კონკურენციის სამართლით დაცული უმთავრესი სამართლებრივი სიკეთე არის მომხმარებელთა ინტერესები. კონკურენციის სამართლის უმთავრესი მიზანი ეფექტიანი კონკურენციის პროცესის დაცვაა, რომელიც ავტომატურად ექცევა მომხმარებელთა ინტერესებში. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მიზანია ეკონომიკურ აგენტთა შორის კონკურენციის შეზღუდვის შედეგად მომხმარებელთა კეთილდღეობის შემცირების პრევენცია.[416] აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში კონკურენციის შეზღუდვის ფაქტის დადგენა გარკვეულწილად ასევე შეიძლება დაეფუძნოს ამ კოორდინაციის მომხმარებელთა კეთილდღეობაზე ზეგავლენის ანალიზს. მომხმარებელთა კეთილდღეობა კი ძირითადად დამოკიდებულია კონკურენციის ისეთ

[415] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 13.
[416] ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01 27.09.2006, § 118.

პარამეტრებზე, როგორიცაა ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების ფასი, ხარისხი, წარმოების მოცულობა, პროდუქტის მრავალფეროვნება და ა. შ.[417]

4. კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი

4.1. ზოგადი მიმოხილვა

კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათის მიუხედავად კანონმდებელი ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციას კონკურენციის შეზღუდვას, როგორც მხოლოდ დამდგარი ფაქტის არსებობას არ უკავშირებს. კანონის მე-7 მუხლის დისპოზიციაში, ქართველი კანონმდებელი კონკურენციის შეზღუდვის შედეგთან ერთად ასევე საუბრობს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებზე. იგივე მიდგომას ვხვდებით TFEU 101-ე (*"...have as their object or effect..."*) და GWB-ის პირველი (*"...bezwecken oder bewirken..."*) მუხლების დისპოზიციებში, რომლებიც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობას კონკურენციის შეზღუდვის მიზანს ან კონკურენციის შემზღუდველ ეფექტს უკავშირებენ.

ამ კუთხით დასახელებულ ნორმებს შორის ერთი შეხედვითაც შესამჩნევი ხდება მცირე ტერმინოლოგიური განსხვავება. კერძოდ, მაშინ, როდესაც ევროპული და გერმანული ნორმები კონკურენციის შეზღუდვის მიზანთან ერთად გამოყოფენ კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის მქონე შეთანხმებებს, ქართველი კანონმდებელი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის ნაცვლად იყენებს „შედეგის" ცნებას. აღნიშნული განსხვავება დასახელებულ ნორმებს შორის არანაირ შინაარსობრივ აცდენასა თუ განსხვავებას არ იწვევს. კონკურენციის შეზღუდვის შედეგი და კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი ფაქტობრივად ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია და ორივე უკავშირდება კონკურენციის შეზღუდვას, როგორც ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის შედეგად დამდგარ რეზულტატს. შესაბამისად, საფუძველს მოკლებული არ არის იმის მტკიცება, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის

[417] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 16.

ანალიზისას კონკურენციის შეზღუდვის შედეგი და კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი გამოყენებულ იქნეს სინონიმურ სამართლებრივ ტერმინებად.

კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით მოცული კოორდინაციის სამივე ფორმის საერთო მახასიათებელს წარმოადგენს. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტების აღნიშნული ქმედებების სამართალდარღვევად მიჩნევისათვის, აუცილებელია მათი მიზანი ან შედეგი იყოს კონკურენციის შეზღუდვა. აღნიშნულის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა (*"Restriction by object"/"bezweckte Wettbewerbsbeschränkungen")* და შედეგის/ეფექტის (*"Restriction by effect"/"Bewirkte Wettbewerbsbeschränkungen"*) მქონე შეთანხმებებს.

ამასთან, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავ ქართულ, გერმანულ და ევროპულ ნორმათა დისპოზიციებიდან იკვეთება, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და შედეგი არ წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული ქმედების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიჩნევისათვის აუცილებელ კუმულატიურ წინაპირობებს. კერძოდ, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისათვის არ არის აუცილებელი ორივე აღნიშნული ელემენტის ერთდროულად არსებობა. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ისინი ქმნიან კონკურენციის საწინააღმდეგო კოორდინაციის ალტერნატიულ ელემენტებს და ერთ-ერთის არსებობაც კი საკმარისია კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დასადგენად.[418] იგივე მიდგომა არის განვითარებული საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების პრაქტიკაში.[419]

---

[418] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009, § 28; ECLI:EU:C:2008:643, *"Beef Industry Development Society,"* Case C-209/07, 20.11.2008, § 15; ECLI:EU:C:2015:484; *"ING Pensii,"* Case C-172/14, 16.07.2015, § 30; ECLI:EU:C:2011:631, *"Football Association Premier League,"* Joined cases C-403/08 and C-429/08, 04.11.2011, § 135; *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 49; *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012, 118; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 92; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 205; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 128; *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 253.

[419] სკსგ, 09.03.2021, ბრძ. N04/31, *„შპს „X და აუდიტ სერვის ჯგუფის" საქმე,"* 98.

განსახილველ კატეგორიათა ალტერნატიულობა კი მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ანალიზის აუცილებლობას განაპირობებს. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შეზღუდვის კანონით გათვალისწინებული ფორმების (შეზღუდვა, დაუშვებლობა, აკრძალვა) დიფერენცირებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურ აგენტთა თანამშრომლობის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობის მატარებელია კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა და შედეგის მქონე კოორდინაციათა ცალკეული შემთხვევების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ამასთან, მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში კონკურენციის შეზღუდვის, დაუშვებლობისა თუ აკრძალვის ელემენტი, როგორც წესი, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ქმედების შემადგენლობის განკერძოებულ ელემენტად არ განიხილება. იგი არა ინდივიდუალურად, არამედ მხოლოდ ცალკეული შეთანხმების მიზანთან ან შედეგთან ერთობლიობაში ფასდება.[420] შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში ერთობლიობაში უნდა დადგინდეს თუ რამდენად აქვს აღნიშნულ კოორდინაციას კონკურენციის შეზღუდვის, დაუშვებლობის ან აკრძალვის მიზანი ან შედეგი.

4.2. კონკურენციის შეზღუდვის მიზანი

მართალია, წინამდებარე კვლევა ქართულ, ევროპულ და გერმანულ კონკურენციის სამართალზე არის ფოკუსირებული და ორიენტირებული, თუმცა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ფარგლებში კონკურენციის შეზღუდვის ელემენტზე საუბრისას შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს ამერიკის შეერთებული შტატების ანტიტრასტული სამართალი და ამ კუთხით ამერიკაში დაგროვილი გამოცდილება თუ ჩამოყალიბებული პრაქტიკა. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქართულ, გერმანულ და ევროპულ კონკურენციის სამართალში აღმოცენებული კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების ცნება (*"Restriction by object"/"bezweckte Wettbewerbsbeschränkungen")* მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენს ამერიკულ ანტიტრასტულ სამართალში არსებულ ე. წ. „*per se* აკრძალვასთან."

[420] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 43.

ამერიკულ რეალობაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ უმთავრეს სამართლებრივ საფუძველს 1890 წელს მიღებული შერმანის აქტის პირველი მუხლი ქმნის.[421] ერთი შეხედვაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, რომ შერმანის აქტის აღნიშნული მუხლი საკანონმდებლო ტექნიკისა თუ ფორმულირების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი მონათესავე ევროპული, გერმანული და ქართული ნორმებისაგან.

შერმანის აქტის პირველი მუხლი არ საუბრობს არც კონკურენციის შეზღუდვაზე, არც კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებზე და იგი არც კონკურენციის შეზღუდვის ფორმებსა თუ სახეებს აკონკრეტებს. აღნიშნული ნორმა კრძალავს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც ცალკეულ შტატებს შორის ან სხვა სახელმწიფოებთან ზღუდავენ თავისუფალ ვაჭრობას. ამერიკელი კანონმდებელი ამ შემთხვევაში არ აკონკრეტებს თუ რა ფორმით უნდა ზღუდავდეს ცალკეული ხელშეკრულება ვაჭრობას და რა მასშტაბების შეზღუდვას უნდა ჰქონდეს ადგილი, რათა იგი ამ ნორმით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში მოექცეს. შესაბამისად, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, იკრძალება ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც რაიმე ფორმით მაინც ზღუდავს შტატებს შორის ან სხვა სახელმწიფოებთან არსებულ ვაჭრობას.

თუმცა ამერიკულმა მართლმსაჯულებამ, ბუნებრივია, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების გზას გვერდი აუარა და დაამკვიდრა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც შერმანის აქტით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში ექცეოდა მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოადგენდა ვაჭრობის მნიშვნელოვან შეზღუდვას. ხოლო იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ატარებდა ცალკეული ქმედება ვაჭრობის მნიშვნელოვნად შემზღუდველ ხასიათს ამერიკულმა სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს და განავითარეს ე. წ. *"Per Se"* აკრძალვისა და *"Rule of Reason"*-ის სახელით ცნობილი მიდგომები.[422]

---

[421] *"Every contract, combination in the form of trust or otherwise, or conspiracy, in restraint of trade or commerce among the several States, or with foreign nations, is declared to be illegal. Every person who shall make any contract or engage in any combination or conspiracy hereby declared to be illegal shall be deemed guilty of a felony, and, on conviction thereof, shall be punished…"*

[422] *"U. S. v. Topco Associates, Inc.,"* 405 U.S. 596, 1972, 607; *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 207.

Per Se აკრძალვის წესის მიხედვით, არსებობს ქმედებათა ისეთი სახეები, რომლებიც კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ხასიათით გამოირჩევიან და ამ გზით ზიანს აყენებენ ბაზარს. ამ ქმედებებთან დაკავშირებული მომეტებული საფრთხეების გამო, ისინი დასაწყისშივე მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა და ამისათვის აუცილებელი არ არის დამატებითი ეკონომიკური ეფექტებისა თუ რაიმე სახის გამამართლებელი გარემოებების კვლევა, ანალიზი და შეფასება. *Per Se* აკრძალვის ქვეშ მოქცეული ქმედებების შემთხვევაში თავიდანვე სახეზეა იმ მასშტაბის შემზღუდველი ქმედებები, რომ სამართალდარღვევის დასადგენად საჭირო და აუცილებელი არ არის ღრმა ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე იმის შეფასება თუ რა ეფექტები გააჩნია მას თავისუფალ ვაჭრობასა და ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე.[423] კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი შესაბამისი უწყება თუ დაადგენს, რომ *per se* სამართალდარღვევის ქვეშ მოაზრებულ ქმედებას ცალკეულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, იგი არ არის ვალდებული დამატებით ასაბუთოს შესაბამის ბაზარზე არსებულ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ამ ქმედების ნეგატიური ეფექტების არსებობა. გარდა ამისა, *per se* სამართალდარღვევის ქვეშ მოაზრებული ქმედების განხორციელების დადგენის შემთხვევაში, შესაბამისი ქმედების განმახორციელებელს არ აქვს შესაძლებლობა ეკონომიკური თუ სამართლებრივი დასაბუთებით დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას არ ჰქონია ადგილი.

ამერიკული მართლმსაჯულების მიხედვით, ისეთი შეთანხმებები, როგორიცაა ფასების ფიქსაცია შერმანის აქტის ფარგლებში წარმოადგენს *per se* სამართალდარღვევას და ასეთ დროს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად ვერ ჩაითვლება ვერანაირი მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული გარიგება კონკურენტულ გარემოზე დადებითი ეფექტებით გამოირჩევა.[424] გარდა ამისა, *per se* სამართალდარღვევად მიიჩნევა ასევე ბაზრის ჰორიზონტალური განაწილება, *"bid rigging"*-ი და სხვა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კოორდინაციის ისეთი ფორმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში, რომლებიც არ

[423] *"U. S. v. Continental T. V., Inc. v. GTE Sylvania Inc.,"* (1977), No. 76-15.
[424] *"U. S. v. Socony-Vacuum Oil Co.,"* 310 U.S. 150, 1940, 218.

ექცევა *per se* სამართალდარღვევის ქვეშ, გამოიყენება ე. წ. *"Rule of Reason"*-ის ტესტი, რომელიც *per se* აკრძალვის უკიდურეს საპირისპირო სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს.

per se აკრძალვის მსგავს სამართლებრივ კატეგორიას ქართულ, გერმანულ და ევროპულ კონკურენციის სამართალში კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებები (*"Restriction by object"/"bezweckte Wettbewerbsbeschränkungen"*) აყალიბებს.[425] ამერიკული კონკურენციის სამართლის მსგავსად, დასახელებული მართლწესრიგების ფარგლებშიც აღიარებულია მიდგომა, იმასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმება, მისი შინაარსისა და ბუნების გათვალისწინებით, თავისთავად წარმოადგენს საფრთხეს ჯანსაღი კონკურენტული გარემოსათვის.[426] ერთ-ერთ სახელმძღვანელო დოკუმენტში ევროკომისია განმარტავს, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებები წარმოადგენენ ეკონომიკურ აგენტთა ისეთ კოორდინაციას, რომლებსაც, მათი მახასიათებლებისა და ბუნების გათვალისწინებით, შესწევთ იმის უნარი, რომ სერიოზული ნეგატიური ეფექტები იქონიონ შესაბამისი ბაზრის სტრუქტურაზე და არსებითად შეზღუდონ კონკურენცია.[427] ამ საფრთხის პრევენციისა და კონკურენციის ბუნებრივი პროცესის ხელშეწყობისათვის აუცილებელია კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებები საწყის ეტაპზევე იქნეს სამართალდარღვევად მიჩნეული.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ეკონომიკური აგენტების კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად მიჩნევის წინაპირობას არ წარმოადგენს ის, თუ რამდენად მოახდინეს ამ ეკონომიკურმა აგენტებმა მათ შორის არსებული შეთანხმების პრაქტიკაში რეალიზება. ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მომეტებული საფრთხეების გამო, კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიიჩნევა

---

[425] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 205.

[426] BGH 17.10.2017, *„Almased VITALKOST,"* Az. KZR 59/16, NZKart 2018, 52, Rn. 20; ECLI:EU:C:2015:184, *"Dole Food Company,"* Case C-286/13 P, 19.03.2015, § 114; ECLI:EU:C:2014:2204, *"Groupement des cartes bancaires,"* Case C-67/13 P, 11.09.2014, § 50; ECLI:EU:C:2013:160, *"Allianz Hungária Biztosító,"* Case C-32/11, 14.03.2013, § 36; ECLI:EU:C:2015:784, *"Maxima Latvija,"* Case C-345/14, 26.11.2015, § 20; ECLI:EU:C:2008:643, *"Beef Industry Development Society,"* Case C-209/07, 20.11.2008, § 17; ECLI:EU:C:2015:484, *"ING Pensii,"* Case C-172/14, 16.07.2015, § 31.

[427] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 21.

არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც კონკურენციის შეზღუდვის სახით ფაქტობრივი შედეგი უკვე დადგა, არამედ ისეთი კოორდინაციაც, რომელსაც შესაბამისი შეთანხმებით გათვალისწინებული პრაქტიკული საბაზრო ქმედებები არ მოჰყოლია.[428] ამდენად, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის შემთხვევაში სამართალდარღვევა სახეზეა შესაბამისი ხელშეკრულების დადების, შეთანხმებული ქმედების განხორციელების ან ასოციაციის გადაწყვეტილების მიღებისთანავე და იგი წარმოადგენს კანონის მე-7 და TFEU 101-ე მუხლითა თუ GWB პირველი პარაგრაფით *per se* აკრძალულ ქმედებას. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებები ქმნიან სამართალდარღვევის ე. წ. საფრთხის შემქმნელ შემადგენლობას (*"Gefährdungstatbestand"*), რომლის დროსაც კონკურენციის შეზღუდვის პრაქტიკული ეფექტების სახით შედეგის დადგომა არ არის აუცილებელი.[429]

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების *per se* აკრძალვა მნიშვნელოვნად ამარტივებს შესაბამისი აღმასრულებელი უწყებების ძალისხმევას სავარაუდო სამართალდარღვევის მოკვლევის პროცესში. ასეთ დროს აუცილებელი არ არის იმის შეფასება, თუ რა გავლენა იქონია კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებამ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე.[430] შესაბამისად, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე ხელშეკრულების, შეთანხმებული ქმედების ან ასოციაციის გადაწყვეტილების შემთხვევაში საკმარისია მტკიცების შესაბამისი სტანდარტით იმის დასაბუთება, რომ ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციას კონკურენციის შეზღუდვის მიზანი გააჩნია. სწორედ ამ მიდგომას ავითარებს ევროპული კავშირის მართლმსაჯულება და კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყებაც. ევროკომისიისა და მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, აუცილებელი არ არის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე კონკრეტული შეთანხმების

[428] ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08 § 39;*Paschke M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 7.

[429] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 2, 6. Aufl., 2020, GWB § 1, Rn. 130; *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 49; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 205; სკსგ, 10.05.2018, გრძ. N04/117 *„ავთობკომპანიების საქმე II,"*29.

[430] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 49.

ეფექტების შეფასება მაშინ, როდესაც ამ შეთანხმების მიზანს კონკურენციის შეზღუდვა წარმოადგენს.[431]

ერთი შეხედვით შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი სუბიექტური სამართლებრივი კატეგორიაა და ამ შემთხვევაში აუცილებელია ცალკეულ შეთანხმებაში მონაწილე მხარეთა იმ მიზნებისა თუ მოტივების იდენტიფიცირება, რომელთა შესაბამისადაც ისინი მოქმედებდნენ იმ მომენტში, როდესაც შესაბამის შეთანხმებაში ერთვებოდნენ. თუმცა აღნიშნულ მსჯელობას სათუოს ხდის ის ფაქტი, რომ როგორც კანონის მე-7, ასევე TFEU 101-ე და GWB პირველი მუხლები საუბრობენ არა შეთანხმებაში მონაწილე მხარეთა, არამედ საკუთრივ შეთანხმების მიზნებზე. ევროკომისიის განმარტებით, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმების შეფასების პროცესში მასში მონაწილე მხარეთა სუბიექტური მოტივები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც დამატებითი მტკიცებულება, თუმცა იგი არ წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმების აუცილებელ წინაპირობას.[432] ანალოგიურ მიდგომებს ავითარებს მართლმსაჯულების სასამართლოც.[433] მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში მთავარი ამოსავალი წერტილია არა მხარეთა სუბიექტური მოტივები და მიზნები, არამედ საკუთრივ შეთანხმების შინაარსობრივი მიზნები.[434] შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების იდენტიფიცირება შესაძლოა მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების სუბიექტური მოტივებისა თუ იმ მიზნების მხედველობაში მიღების გარეშეც მოხდეს, რომელთა შესაბამისადაც ისინი კოორდინაციის დამყარებისას მოქმედებენ. უფრო მეტიც, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმების არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმ ცალკეულ საფუძვლებსა თუ

[431] OJ L 152/24, CD 07.06.2001, § 230; OJ L 239/14, CD 14.09.1994, § 37; ECLI:EU:C:2014:2204, *"Groupement des cartes bancaires,"* Case C-67/13 P, 11.09.2014, § 49; ECLI:EU:C:2013:160, *"Allianz Hungária Biztosító,"* Case C-32/11, 14.03.2013, § 37; ECLI:EU:C:2008:643, *"Beef Industry Development Society,"* Case C-209/07, 20.11.2008, § 16.

[432] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 22.

[433] ECLI:EU:C:2014:2204, *"Groupement des cartes bancaires,"* Case C-67/13 P, 11.09.2014, § 55; ECLI:EU:C:1984:130, *"Asturienne,"* Case C-29/83, 28.03.1984, § 26.

[434] ECLI:EU:C:1984:130, *"Asturienne,"* Case C-29/83, 28.03.1984, § 26.

ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა მიღწევასაც შესაბამისი ეკონომიკური აგენტები ცალკეული შეთანხმებით ისახავდნენ მიზნად.[435]

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმება არ წარმოადგენს აბსოლუტურ სამართლებრივ კატეგორიას. კონკურენციის შეზღუდვის მიზნის არსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად უნდა განისაზღვროს. ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში ძირითად და უპირველეს როლს ამ კოორდინაციის შინაარსი და მისი ობიექტური მიზნები ასრულებს.[436] გარდა ამისა, ცალკეული შეთანხმების კონკურენციის შემზღუდველი მიზნისა თუ ეფექტების დასადგენად აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ის სამართლებრივი და ეკონომიკური კონტექსტი რომლის ფარგლებშიც მოხდა კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებს შორის ამ შეთანხმების მიღწევა.[437] ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით ალბათობის ისეთი მაღალი ხარისხით დასტურდებოდეს ამ კოორდინაციის უნარი ნეგატიური გავლენა იქონიოს საქონლისა თუ მომსახურების ფასზე, მიწოდების მოცულობასა და ხარისხზე, რომ შესაძლებელი იყოს შესაბამისი კოორდინაციის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოსა თუ საბაზრო სტრუქტურაზე პრაქტიკული ეფექტების სიღრმისეული კვლევის განხორციელების ზედმეტად მიჩნევა.[438]

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების ერთი ზოგადი უნივერსალური ცნების განსაზღვრა,

---

[435] ECLI:EU:C:2008:643, *"Beef Industry Development Society,"* Case C-209/07, 20.11.2008, § 21.

[436] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 22; ECLI:EU:C:2015:184, *"Dole Food Company,"* Case C-286/13 P, 19.03.2015, § 117; ECLI:EU:C:2015:484; *"ING Pensii,"* Case C-172/14, 16.07.2015, § 33; ECLI:EU:C:2011:631, *"Football Association Premier League,"* Joined cases C-403/08 and C-429/08, 04.11.2011, § 136; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 208; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 129.

[437] ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01 27.09.2006, § 111; ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08 § 43; ECLI:EU:C:2011:631, *"Football Association Premier League,"* Joined cases C-403/08 and C-429/08, 04.11.2011, § 136; CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 24.

[438] ECLI:EU:C:2014:2204, *"Groupement des cartes bancaires,"* Case C-67/13 P, 11.09.2014, § 51.

რომელიც კოორდინაციის ყველა შესაბამის ფორმას დაიტევს პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების განსაზღვრა, როგორც წესი, შესაბამისი ორგანოების პრაქტიკასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი იმ ცალკეულ შემთხვევათა გარკვეული სპექტრის იდენტიფიცირება, რომელთა შემთხვევაშიც კონკურენციის შეზღუდვის მიზნით დეტერმინირებული ხელშეკრულების, შეთანხმებული ქმედებისა თუ ასოციაციის გადაწყვეტილებაზე იქნება საუბარი შესაძლებელი. ამასთან, გერმანული და ევროპული მიდგომების მიხედვით, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებები მაქსიმალურად ვიწროდ განიმარტება, რათა უზრუნველყოფილი იყოს იმ ეკონომიკური აგენტების ინტერესების მაქსიმალურად დაცვა, რომელთა ქმედებების შეფასებაც ცალკეულ შემთხვევაში ხდება.[439] კოორდინაციათა არაგონივრულად ფართო სპექტრის კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებად მიჩნევა მნიშვნელოვნად შეზღუდავდა ეკონომიკურ აგენტთა ინტერესებს. მსგავსი მიდგომა მათ წაართმევდა იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ მათ შორის არსებულ კოორდინაციას მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტები გააჩნია ბაზრის სტრუქტურისა და კონკურენციის განვითარებაზე.

ევროპულ და გერმანულ პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილების შედეგად დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ისეთი შემთხვევები, რომლის დროსაც არც კონკურენციის შეზღუდვის მიზნის დადგენა და არც კონკრეტული ქმედების ეფექტების შეფასება არ არის აუცილებელი. ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული კოორდინაციის გარკვეული ფორმები ავტომატურად მიიჩნევა კონკურენციის შემზღუდველ ისეთ შეთანხმებად, რომელსაც *ex definitione* კონკურენციის შეზღუდვის მიზანი გააჩნია და ამიტომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ისეთ შემადგენლობას ქმნის, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობის *Per se* დარღვევად

[439] ECLI:EU:C:2014:2204, *"Groupement des cartes bancaires,"* Case C-67/13 P, 11.09.2014, § 58; ECLI:EU:C:2015:784, *"Maxima Latvija,"* Case C-345/14, 26.11.2015, § 18; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 130.

მიიჩნევა.[440] ამ კუთხით გარკვეული საფუძვლები ასევე შექმნილია ქართული კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების პრაქტიკაშიც.

მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების ფასის დადგენა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა მოახდინოს სხვა ეკონომიკურ აგენტთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე.[441] აქედან გამომდინარე, სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ეკონომიკური აგენტების მიერ შეთანხმების გზით კონკრეტულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასების ფიქსაციას ნებისმიერ შემთხვევაში კონკურენციის შეზღუდვის მიზანი გააჩნია.[442] იგივე მიდგომას ავითარებს საქართველოს კონკურენციის სააგენტოც, რომელიც ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ ფასების ფიქსაცია კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას წარმოადგენს.[443]

გარდა ფასების ფიქსაციისა, ევროპული მართლმსაჯულება კონკურენციის კანონმდებლობის *per se* დარღვევად მიიჩნევს ეკონომიკურ აგენტთა ისეთ კოორდინაციასაც, რომლის საგანია მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს შორის ბაზრების გადანაწილება ან წარმოების შეზღუდვა, ვინაიდან იგი ნებისმიერ შემთხვევაში მოწოდებულია გავლენა იქონიოს წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე და შეზღუდოს კონკურენცია.[444] იგივე მიდგომას ავითარებს ევროკომისია, რომელიც აღნიშნავს, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული ის ჰორიზონტალური შეთანხმება, რომლის საგანი ფასების ფიქსაციის ან ბაზრის განაწილებასთან ერთად ასევე არის წარმოების შეზღუდვა თუ ბაზარზე მისაწოდებელი საქონლისა თუ მომსახურების მოცულობების განსაზღვრა, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს კონკურენციის

[440] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 91.

[441] ECLI:EU:T:1999:48, *"Thyssen Stahl AG,"* Case T-141/94, 11.03.1999. § 312; ECLI:EU:C:1977:167, *"Metro SB-Großmärkte GmbH & Co. KG,"* Case 26-76, 25.10.1977, § 21.

[442] ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985, § 22; ECLI:EU:C:2015:784, *"Maxima Latvija,"* Case C-345/14, 26.11.2015, § 19.

[443] სკსგ, 10.05.2018, ბრძ. N04/117 *„ნავთობკომპანიების საქმე II,"* 29.

[444] ECLI:EU:T:2011:181, *"Visa Europe Ltd and Visa International Service,"* Case T-461/07, 14.04.2011, § 67; ECLI:EU:T:1998:198, *"European Night Services,"* Joined Cases T-374/94, T-375/94, T-384/94 and T-388/94, 15.09.1998, § 136; ECLI:EU:C:1979:191, *"BMW Belgium SA,"* Joined cases 32/78, 36/78 to 82/78, 12.07.1979, § 32; ECLI:EU:C:2015:484; *"ING Pensii,"* Case C-172/14, 16.07.2015, § 32.

შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას.[445] კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების *per se* აკრძალვასთან მიმართებით მართლმსაჯულების სასამართლოს მიდგომებს სრულად იზიარებს გერმანიის ფედერალური სასამართლოც, რომელიც აღნიშნულ წესს ასევე იყენებს GWB პირველი პარაგრაფის განმარტების პროცესში.[446]

აღსანიშნავია, რომ სააგენტო კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებად განიხილავს სახელმწიფო შესყიდვებში ეკონომიკურ აგენტთა ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებას.[447] საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში 2020 წელს განხორციელებულ ცვლილებებამდე ქმედების აღნიშნული შემადგენლობა სპეციალურად იყოს მითითებული კანონის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში. ცვლილებების შედეგად კი აღნიშნული ქვეპუნქტის კანონის მე-7 მუხლიდან ამოღება მოხდა. აღნიშნული განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო შესყიდვებში ურთიერთშეთანხმებული მონაწილეობა ისედაც მოცული იყოს კანონის მე-7 მუხლის სხვა სპეციალური დანაწესებით.[448] თუმცა დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვებში ურთიერთშეთანხმებული მონაწილეობა კანონის არსებული რედაქციის ფარგლებში მაინც უნდა იქნეს განხილული კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებად.

Per se დარღვევის არსებობის წესი გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ისეთი დარღვევების შემთხვევაში, როგორიცაა ფასების ფიქსაცია ან ბაზრის განაწილება, კონკურენტულ გარემოზე ამ ქმედებების ეფექტების შეფასების გარეშეც ცხადია, რომ მათი ზეგავლენა ბაზრის სტრუქტურასა და ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ნებისმიერ შემთხვევაში ნეგატიური იქნება.[449] კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა და შედეგის მქონე

---

[445] OJ L 152/24, CD 07.06.2001, § 228; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 23; CC – G. on the applicability of Article 81 of the EC Treaty to horizontal cooperation agreements (2001/C 3/02), OJ C 3/2, 06.01.2001, § 18; Streinz/Michl, EUV/AEUV, 3. Aufl. 2018, AEUV Art. 101, Rn. 42.

[446] BGH 17.10.2017, *„Almased VITALKOST,“* Az. KZR 59/16, NZKart 2018, 52, Rn. 20.

[447] სკსგ, 06.07.2018, ბრძ. N04/166, *„შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე,“* 12.

[448] გ. ბ. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, მ. თ. 16/09/2020, 6.

[449] *Monti G.,* EC Competition Law, 2007, 325.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების დიფერენცირებას დიდი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია იმდენად, რამდენადაც იგი ცალკეულ შემთხვევაში გარკვეულწილად ამცირებს შესაბამისი აღმასრულებელი უწყებისთვის დაკისრებულ მტკიცების ტვირთს. აღნიშნულზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთი განმარტება, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაციის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ეფექტების შეფასება და მისი მხედველობაში მიღება აუცილებელი არ არის ისეთ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმების მიზანია კონკურენციის შეზღუდვა დაუშვებლობა ან აკრძალვა.[450] სხვაგვარად რომ ითქვას, მაშინ, როდესაც შეთანხმების მიზანია კონკურენციის შეზღუდვა, მისი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის არარელევანტურია იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგები იქონია ამ შეთანხმებამ შესაბამის ბაზარზე და იგი ავტომატურად ექცევა შესაბამისი ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში.[451] კონკურენციის შეზღუდვის მიზნით დეტერმინირებული კოორდინაციის მსგავსი ხასიათიდან გამომდინარე, ცალკეული ქმედების კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებად კვალიფიკაციის ეტაპზე ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე აღნიშნული ქმედების ეფექტების შეფასებამდე აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად გააჩნია მას კონკურენციის შეზღუდვის მიზანი.[452]

4.3. კონკურენციის შეზღუდვის შედეგი

i. მიმართება "rule of reason"-ის ტესტთან

ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილებისა თუ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების დამოუკიდებლობისა და თავისუფალი ნების შეზღუდვის მიუხედავად, ცალკეული ქმედება შესაძლოა კონკრეტულ ეკონომიკურ მოცემულობაში კონკურენციის ხელშემწყობ ძირითად ფაქტორადაც კი მოგვევლინოს. აღნიშნული საკითხი თანამედროვე კონკურენციის სამართლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე იქცა

---

[450] ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985, § 22; ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01 27.09.2006, §§ 111-112; *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012, 118.

[451] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 167; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 20.

[452] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 91.

დიდი დებატების საგნად. ამ კუთხით გარკვეულ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს წარმოშობს ის ფაქტი, რომ ხისტი მიდგომებისა და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ბრმად აღსრულების შემთხვევაში შესაძლოა შესაბამისი აკრძალვის ქვეშ მოექცეს ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული კოორდინაციის ისეთი სპეციალური გამოვლინებები, რომლებიც ზიანის ნაცვლად შეიძლება მნიშვნელოვანი სიკეთის მომტანი გახდეს ჯანსაღი კონკურენციის პროცესისთვის. მსგავს შემთხვევას უმეტესწილად ადგილი აქვს ისეთ დროს, როდესაც ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული კონკრეტული შეთანხმება მართალია შეიცავს კონკურენციის შეზღუდვის ნიშნებს, თუმცა მისგან მომდინარე პოზიტიური ეფექტები უფრო მასშტაბურობით გამოირჩევა, რომელიც, სულ მცირე, აბალანსებს ან ხშირ შემთხვევაში გადაწონის კიდეც ამავე შეთანხმებით გამოწვეულ კონკურენციის შეზღუდვის მასშტაბებს. შესაბამისად, ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების, მათ შორის, კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის არსებობის მიუხედავად, ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაცია ავტომატურად არ გულისხმობს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობას.[453]

იმდენად, რამდენადაც კონკურენციის სამართლით და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით დაცული უმთავრესი სამართლებრივი სიკეთეა ეფექტიანი კონკურენციის პროცესი, კონკურენციისთვის ხელის შემწყობი და კონკურენციაზე დადებითი ეფექტების მქონე შეთანხმებების დაუშვებლად მიჩნევა მხოლოდ ცალკეული ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვიდოდა მთლიანად სამართლის ამ დარგის სულისკვეთებასა და მიზნებთან. გარდა ამისა, შესაძლოა ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული შეთანხმება კონკურენციის შეზღუდვის პარალელურად მნიშვნელოვანი ბენეფიტების მომტანი აღმოჩნდეს მომხმარებლებისა თუ ზოგადად, ბაზრის გრძელვადიანი განვითარებისათვის.

აღნიშნულმა გარემოებებმა კი განაპირობა ის ფაქტი, რომ ამერიკული ანტიტრასტული სამართლის წიაღში წარმოიშვა და განვითარდა *"rule of reason"*-ის

[453] *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012 117; *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 167.

სახელით ცნობილი ტესტი, რომლის მიხედვითაც, ცალკეული ქმედების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში მთავარი ამოსავალი წერტილი არის შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული კონკურენციის შეზღუდვის ელემენტი.[454] *"rule of reason"*-ის ტესტის მთავარი მიზანია, ეკონომიკურ აგენტთა ქმედების აკრძალვა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი მნიშვნელოვნად ზღუდავენ შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციას. ამისათვის აუცილებელია ცალკეული შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება და მისი ზუსტი პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრებისა და დროითი ჩარჩოების დადგენა. ამ პროცესში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს შესაბამისი ქმედების განმახორციელებელ სუბიექტთა საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრა. აღნიშნული პარამეტრებისა თუ ინდიკატორების საფუძველზე კი საბოლოო ჯამში უნდა მოხდეს კონკრეტული ქმედების კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული ეფექტების შეფასება. ამასთან, ასეთ დროს ხდება მხარეებზე მტკიცების ტვირთის გადანაწილებაც. კერძოდ, შესაბამისი ეკონომიკური აგენტი ატარებს იმის მტკიცების ტვირთს, რომ მის მიერ განხორციელებულ ქმედებას ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე გააჩნია პოზიტიური ეფექტები. ხოლო კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება ვალდებულია ამტკიცოს შესაბამისი ქმედების კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების ისეთი მასშტაბები, რომელსაც ვერ გადაწონის ამავე ქმედებასთან დაკავშირებული დადებითი ეფექტები.

დაახლოებით მსგავსი ტესტის გამოყენების საფუძველს ქმნიან ქართულ და ევროპულ კონკურენციის სამართალში არსებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმები.[455] კერძოდ, ამ შემთხვევაში საუბარია არა კონკურენციის შეზღუდვის მიზნის, არამედ კონკურენციის შეზღუდვის შედეგისა თუ შემზღუდველი ეფექტის მქონე შეთანხმებებზე (*"Restriction by effect"/"Bewirkte Wettbewerbsbeschränkungen"*). შეთანხმებათა აღნიშნული კატეგორია კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმების საპირისპირო კატეგორიას წარმოადგენს. ასეთი

[454] Levy F. H., Federal Antitrust Law and Rule of reason, 1 VLR. 1913-1914, 1(3), 197; *Säcker F. J., Molle A.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 480.

[455] შეად. *Verouden V.,* Vertical Agreements and Article 81(1) EC: The Evolving Role of Economic Analysis, Antitrust Law Journal, Vol. 71, Iss. 2 (2003), pp. 525-576, 539.

კატეგორიის კოორდინაციათა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე მისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების ანალიზი. სწორედ ამ კონტექსტში არის ევროკავშირის კონკურენციის სამართალში *rule of reason*-ის ტესტი დამკვიდრებული.[456]

თუმცა კლასიკურ ამერიკულ *rule of reason*-ის ტესტსა და ევროპულ და ქართულ კონკურენციის სამართალში დამკვიდრებულ კონკურენციის შეზღუდვის შედეგისა თუ კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის ინსტიტუტს შორის საკანონმდებლო ტექნიკისა და მოწესრიგების თვალსაზრისით მაინც არსებობს გარკვეული კონცეპტუალური განსხვავება. აღნიშნული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ამერიკულ რეალობაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში *rule of reason*-ის ტესტის საფუძველზე არ ფასდება ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის დადებითი ეფექტები მხოლოდ კონკურენციის პროცესზე. სამართლის შეფარდებისას ამ დროს ასევე მხედველობაში მიიღება ყველა სხვა სახის ბენეფიტი თუ სარგებელი, რომელიც შესაძლოა კონკრეტულ კოორდინაციასთან იყოს დაკავშირებული.[457] ასეთი სარგებლის ქვეშ შესაძლოა მოაზრებული იყოს, ტექნოლოგიური პროგრესი, მომხმარებელთა კეთილდღეობა, წარმოების გაუმჯობესება და ა. შ. ამერიკულ რეალობაში თუ სხვა სახის მნიშვნელოვანი ბენეფიტების არსებობა დადგინდება, მიუხედავად კონკურენციის შემზღუდველი გარკვეული ეფექტების არსებობისა, ცალკეული შეთანხმება შესაძლოა მაინც არ დაექვემდებაროს აკრძალვას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, *rule of reason*-ის ტესტის შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა როგორც პირდაპირი, ასევე თანმდევი მიზნების მიღწევის მოტივით მოქმედებს.[458]

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ევროპულ და ქართულ რეალობაში არსებული კონკურენციის შემზღუდველი ეფექტისა თუ კონკურენციის შეზღუდვის შედეგის ელემენტის ფარგლებში ფასდება ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული

---

[456] *Pohlman P.,* in Jaeger/Kokott/Pohlmann/Schroeder, FraKom zum KartR, 2021, Grf. Art. 81 Abs. 3 EG, Rn 102.

[457] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 982.

[458] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის პირდაპირ და თანმდევ მიზნებთან დაკ. დაწვ. იხ. თ. I, ქვთ. 4.

ცალკეული კოორდინაციის მხოლოდ ის დადებითი ეფექტები, რომელიც ამ კოორდინაციას მასთან შემხებლობაში მყოფ შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე არსებულ კონკურენციასა თუ კონკურენტულ გარემოზე გააჩნია.[459] ამერიკული კონკურენციის სამართლისაგან განსხვავებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ევროპული და ქართული ნორმის (TFEU 101-ე მუხლის პირველი პუნქტი; კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი) ფარგლებში არ ფასდება სხვა სახის ბენეფიტები და სარგებელი, რომელიც შესაძლოა ეკონომიკურ აგენტთა კონკრეტულ კოორდინაციას მოჰყვეს შედეგად (მაგ. ტექნოლოგიური ან ეკონომიკური პროგრესი, მომხმარებელთა კეთილდღეობა და ა. შ.).[460] აქედან გამომდინარე, TFEU 101-ე მუხლისა და კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტები ყოველთვის მოქმედებენ მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის პირდაპირი მიზნების მიღწევის მოტივით. პირდაპირი მიზნების მიღწევა კი ირიბად განაპირობებს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის თანმდევი მიზნების მიღწევის გარანტირებასაც.

ქართულ და ევროპულ კონკურენციის სამართალში არსებული ამერიკული კონკურენციის სამართლისაგან განსხვავებული მიდგომა განპირობებულია იმ საგამონაკლისო წესების არსებობით, რომელიც გათვალისწინებულია როგორც ქართულ, ასევე ევროპულ კონკურენციის კანონმდებლობაში. ამ შემთხვევაში იგულისხმება კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი და TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტი. დასახელებული ნორმები განსაზღვრავენ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმიდან გამონაკლის შემთხვევებს. ამ საგამონაკლისო ნორმების ამოქმედება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება თუ დადგინდება, რომ ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაცია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით გათვალისწინებულ წინაპირობებს აკმაყოფილებს. ცალკეულ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაზე აღნიშნული საგამონაკლისო სისტემის გავრცელება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება მიწოდების ან

[459] *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 507-514.
[460] შეად. *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1009-1013.

დისტრიბუციის გაუმჯობესებას, ტექნოლოგიურ ან ეკონომიკურ პროგრესს, მომხმარებელთა კეთილდღეობას და ა. შ.

შესაბამისად, ქართულ და ევროპულ რეალობაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის თანმდევი მიზნების მიღწევის გარანტირება საგამონაკლისო სისტემის ფარგლებში ხდება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, *rule of reason*-ის ტესტის საფუძველზე ამერიკულ რეალობაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში ფასდება როგორც პირდაპირი (კონკურენციის პროცესის დაცვა), ასევე თანმდევი მიზნების (ჯანსაღი კონკურენციით გამოწვეული სხვა სახის ბენეფიტები და სარგებელი) მიღწევის შესაძლებლობა.

თუმცა ევროპულ და ქართულ რეალობაში საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არსებული ასეთი მიდგომა არ გამორიცხავს სამართლის შეფარდების კონკრეტულ ეტაპზე ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის ყველა სახის პოზიტიური ეფექტების ერთდროული ანალიზის შესაძლებლობას. პრაქტიკაში შესაძლებელია კონკურენციის ხელშემწყობი და კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული სხვა სახის პოზიტიური ეფექტების ანალიზი კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის განხილვისას მოხდეს. უფრო მეტიც, მსგავსი მიდგომა პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილადაც კი უნდა იქნეს მიჩნეული.[461]

ii. შინაარსი

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების შეზღუდვის მიზნისა და შედეგის მქონე კატეგორიებად დაყოფა ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კვალიფიკაციის პროცესში გარემოებათა თანმიმდევრული ანალიზის აუცილებლობას აყალიბებს. კერძოდ, კონკურენციის კანონმდებლობასთან ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის თავსებადობა თუ წინააღმდეგობა კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეფასდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს კოორდინაცია კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას

[461] ამ მიდგომის მიზანშეწონილობასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. VII, ქვთ 2.4.

(*"Restriction by object" / "bezweckte Wettbewerbsbeschränkungen")* არ წარმოადგენს. აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკიდან, რომელიც განმარტავს, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმების არარსებობის პირობებში, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაცია მხოლოდ მაშინ ჩაითვლება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად, როდესაც მას კონკურენციის შემზღუდველი ინტენსიური ეფექტები *(„to an appreciable extent" / "spürbar")* გააჩნია.[462] იგივე მიდგომებით გამოირჩევა კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი ქართული უწყებაც.[463]

კონკურენციის შეზღუდვის ეფექტის მქონე შეთანხმების ცნების განსაზღვრა, როგორც წესი, მისი დეფინიციის ნეგატიური ფორმულირების ჩამოყალიბებით ხდება. აღნიშნულის შესაბამისად, კონკურენციის შეზღუდვის ეფექტის მქონე შეთანხმებად მიჩნეულ უნდა იქნეს კონკურენციის შემზღუდველი ნებისმიერი ისეთი შეთანხმება, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვა. კონკურენციის შეზღუდვის ეფექტის მქონე შეთანხმების დადგენა პრაქტიკაში ჰიპოთეტურ მოცემულობათა შედარების გზით ხდება. ამ მეთოდის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში კოორდინაციის შედეგად შესაბამის ბაზარზე წარმოქმნილი კონკურენციის ხარისხი უნდა შედარდეს აღნიშნული კოორდინაციის დამყარებამდე არსებულ მოცემულობასთან.[464] მაგალითად, შესაბამისი ბაზრიდან განდევნის ეფექტის (*"Marktabschottung" / "market forclosure"*) მქონე შეთანხმებების შემთხვევაში, შედარების საგანს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციამდე პოტენციური ეკონომიკური აგენტების მიერ შესაბამის ბაზარზე შესვლის სიმარტივის ხარისხი კოორდინაციის შემდეგ წარმოქმნილი ანალოგიური შინაარსის შედეგებთან. გარდა ამისა, შესაძლებელია ასევე გათვალისწინებულ იქნეს შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობის

---

[462] ECLI:EU:C:2008:643, *"Beef Industry Development Society,"* Case C-209/07, 20.11.2008, § 15; ECLI:EU:C:2015:484; *"ING Pensii,"* Case C-172/14, 16.07.2015, § 30; ECLI:EU:C:2011:631, *"Football Association Premier League,"* Joined cases C-403/08 and C-429/08, 04.11.2011, § 135; ECLI:EU:C:2006:734, *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006, § 48

[463] სკსგ, 09.03.2021, ბრძ. N04/31, *„შპს „X და აუდიტ სერვის ჯგუფის" საქმე,"* 39.

[464] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 218.

ან კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილების ცვლილება და ა. შ.

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე კოორდინაციის მსგავსად, კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის მქონე შეთანხმების შემთხვევაშიც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დასადგენად აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ის ეკონომიკური და სამართლებრივი მოცემულობა, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ.[465] ასევე გასათვალისწინებელია შესაბამისი საქონელი და მომსახურება, შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე არსებული ფაქტობრივი მოცემულობები, ამ ბაზრის/ბაზრების სტრუქტურა, კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და მათი საბაზრო პოზიციები, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაუფლება, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები და ა. შ.[466]

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ქმედების შეფასების პროცესში ძირითად ამოსავალ წერტილს შესაბამისი შეთანხმების შინაარსი წარმოადგენს, შემზღუდველი ეფექტის მქონე შეთანხმების შემთხვევაში ქმედების შეფასების პროცესში ძირითად როლს ბაზრის ანალიზი ასრულებს, რომლის შედეგადაც კონკურენტულ გარემოზე შესაბამისი კოორდინაციის ზეგავლენის მასშტაბები განისაზღვრება. გარდა ამისა, მართლმსაჯულების სასამართლომ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების შემცველ შეთანხმებებთან მიმართებით განმარტა, რომ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ცალკეული შეთანხმების ნეგატიური ეფექტების შეფასებისას ასევე უნდა იქნეს შესწავლილი, თუ რამდენად აქვს ადგილი ამავე ბაზარზე/ბაზრებზე მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის ანალოგიური შინაარსის შეთანხმებას ადგილი და ასეთის არსებობის შემთხვევაში ყველა მსგავსი შეთანხმებების ერთობლივად განხილვითა და მათი ერთობლივი ეფექტების

[465] ECLI:EU:C:2006:734, *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006, § 49.
[466] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 219.

შეფასებით უნდა დადგინდეს ცალკე აღებული თითოეული შეთანხმების კონკურენციის შემზღუდველი ხასიათი.[467]

ერთი შეხედვით შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების არსებობისათვის აუცილებელია კონკურენციის შეზღუდვის სახით, ადგილი ჰქონდეს ფაქტობრივად დამდგარ შესაბამის შედეგებს და არა პოტენციურ შემზღუდველ ეფექტებს. თუმცა მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის მქონე შეთანხმებების არსებობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკურენციის შეზღუდვის სახით უკვე დამდგარი ფაქტობრივი შედეგებით.[468] ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა დაუშვებლად მიიჩნევს ეკონომიკურ აგენტთა არა მარტო ისეთ კოორდინაციას, რომლის კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები ფაქტობრივად უკვე სახეზეა, არამედ ასევე ისეთ კოორდინაციასაც, რომელსაც პოტენციურად შესაძლოა მოჰყვეს მსგავსი ეფექტები მიუხედავად იმისა, რომ იგი კონკრეტულ მომენტში ჯერ შეიძლება არ იყოს სახეზე.[469]

აღნიშნული მიდგომა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც შესაძლოა ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებას არ გააჩნდეს იმწუთიერი ნეგატიური ეფექტები შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე, თუმცა გარკვეული პარამეტრებისა თუ ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იყოს იმ დასკვნის გაკეთება, რომ ეს შეთანხმება სამომავლოდ გამოიწვევს კონკურენციის შემზღუდველ ეფექტებს. ასეთი პოტენციური საფრთხეების აღკვეთაც უშუალოდ კონკურენციის სამართლის პირდაპირ მიზანსა და ამოცანას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლებში მოექცეს ეკონომიკურ აგენტთა ისეთი შეთანხმებაც, რომელიც არ წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე კოორდინაციას (*"Restriction by object"/"bezweckte Wettbewerbsbeschränkungen")* და გააჩნია არა მხოლოდ

---

[467] ECLI:EU:C:1994:171 *"Gemeente Almelo,"* Case C-393.92, 27.04.1997 § 37; ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 14.

[468] ECLI:EU:C:2014:2204, *"Groupement des cartes bancaires,"* Case C-67/13 P, 11.09.2014, § 82; ECLI:EU:C:2015:784, *"Maxima Latvija,"* Case C-345/14, 26.11.2015, § 30; ECLI:EU:C:2006:734, *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006, § 50.

[469] ECLI:EU:T:1994:259, *"John Deere Ltd,"* Case T-35/92, 27.10.1994, §§ 61, 92.

იმწუთიერი, არამედ პოტენციური ნეგატიური ეფექტები შესაბამისი ბაზრის სტრუქტურასა და ამ ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.

ევროკომისიის მიერ განვითარებული მიდგომების მიხედვით, იმისათვის, რომ, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გაგებით, ეკონომიკურ აგენტთა ჰორიზონტალურ კოორდინაციას გააჩნდეს კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი მას უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ ინტენსიურად იქონიოს უარყოფითი ზეგავლენა კონკურენციის სულ მცირე ერთ ისეთ პარამეტრზე, როგორიცაა ფასი, წარმოების მასშტაბები, პროდუქტის ხარისხი, ბაზარზე მიწოდებული თუ მისაწოდებელი საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნება ან ინოვაციის მასშტაბები.[470] აღნიშნულის განსაზღვრა კი ხდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა შეთანხმების ბუნება და შინაარსი, შეთანხმების შედეგად მხარეების მიერ ინდივიდუალურად ან ერთობლივად მოპოვებული საბაზრო ძალაუფლების მასშტაბები, შეთანხმების შედეგად მხარეთა მიერ ამ საბაზრო ძალაუფლების გამოყენების გამარტივება და ა. შ.[471]

4.4. შეზღუდვის ინტენსივობა და კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმებები

კონკურენციის შეზღუდვის ნებისმიერი მასშტაბისა თუ ინტენსივობის ეფექტის არსებობა არ წარმოადგენს იმის ავტომატურ მტკიცებულებას, რომ ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას. კერძოდ, როგორც გერმანულ, ისე ევროპულ მართლმსაჯულებასა და პრაქტიკაში ერთხმად არის აღიარებული, რომ ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები უნდა გამოირჩეოდეს მნიშვნელოვანი ინტენსივობით, რათა იგი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში მოექცეს. ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაცია აკრძალულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი ფაქტობრივი და პოტენციური ნეგატიური ეფექტები

[470] CC – G. on the applicability of Article 81 of the EC Treaty to horizontal cooperation agreements (2001/C 3/02), OJ C 3/2, 06.01.2001, § 27.
[471] იქვ. § 28.

კონკურენციის ჯანსაღ პროცესზე არის საკმარისად საგრძნობი (*"hinreichend spürbar"/"sufficiently appreciable)."*[472] აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღწეული შეთანხმება სცდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს თუ მას, შესაბამისი ეკონომიკური აგენტების სუსტი საბაზრო პოზიციების გათვალისწინებით, გააჩნია მხოლოდ უმნიშვნელო ეფექტი ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე.[473]

ამასთან, კონკურენციის შეზღუდვის მნიშვნელოვანი ეფექტის არსებობის შეფასება ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში რელევანტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე არა კონკურენციის შეზღუდვის მიზნის, არამედ კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის მქონე შეთანხმებას ეხება.[474] აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების შემთხვევაში კონკურენციის შეზღუდვის მნიშვნელოვანი ინტენსივობა ყოველთვის სახეზეა.

აღსანიშნავია, რომ არც GWB პირველი პარაგრაფი და არც კანონის მე-7 და TFEU 101-ე მუხლები აღნიშნულ ელემენტთა მიმართებით არანაირ პირდაპირ მითითებას არ შეიცავს. შესაბამისი ნორმატიული ჩანაწერის არარსებობის მიუხედავად, გერმანულ და ევროპულ მართლმსაჯულებასა თუ შესაბამისი აღმასრულებელი უწყებების პრაქტიკაში შეზღუდვის ინტენსიური ეფექტი (*"Spürbarkeit der Wettbewerbsbeschränkung"/ "appreciable effects"*) დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და მიიჩნეოდა, როგორც კონკურენციის შეზღუდვის დაუწერელი მახასიათებელი.[475]

აღნიშნულის გათვალისწინებით ქართულ რეალობაშიც მიზანშეწონილი და აუცილებელია გაზიარებულ იქნეს ევროპული და გერმანული მიდგომები და

---

[472] ECLI:EU:T:1994:259, *"John Deere Ltd,"* Case T-35/92, 27.10.1994, § 61, 92.

[473] ECLI:EU:C:1969:35, *"Franz Völk,"* Case 5-69, 09.07.1969, § 5-7; ECLI:EU:C:1971:47, *"Société anonyme Cadillon,"* Case 1-71, 06.05.1971, § 5-9; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 139.

[474] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 222, 226; შეად. *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 3.209 და შემდგ.

[475] ECLI:EU:C:1966:38, *"Maschinenbau Ulm,"* Case 56-65, 30.06.1966; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 138; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 2, 6. Aufl., 2020, GWB § 1, Rn. 43; *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 127.

შეზღუდვის ინტენსიური ეფექტი კონკურენციის შეზღუდვის შედეგის მქონე კოორდინაციის აუცილებელ წინაპირობად იქნეს მიჩნეული.

გარდა ამისა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა თუ შეზღუდვის ინტენსიური ეფექტის ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის აუცილებელ წინაპირობად მიჩნევა შესაძლოა დაეფუძნოს საკუთრივ კანონის ცალკეულ დებულებებს. კერძოდ, კანონის მე-8 მუხლი განსაზღვრავს ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ისეთ შემთხვევებს, რომელთა დროსაც ადგილი აქვს კონკურენციის უმნიშვნელოდ შეზღუდვას.

კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მე-7 მუხლით განსაზღვრული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებულ ისეთ ჰორიზონტალურ კოორდინაციაზე რომელში მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი საბაზრო წილი 10 პროცენტს არ აღემატება. ვერტიკალური კოორდინაციის შემთხვევაში კი კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ მოქმედებს, თუ ასეთი კოორდინაციის თითოეული მხარის საბაზრო წილი არ აღემატება 15 პროცენტს. ამ შემთხვევაში ვერტიკალური შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტის წილი უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, იმ შესაბამის ბაზარზე, რომელზეც კონკრეტული მათგანი ოპერირებს. ამასთან, ისეთი შეთანხმება, რომელიც მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური შეთანხმების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ შეთანხმებად კლასიფიკაცია, კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა არ მოქმედებს, თუ შესაბამის ბაზარზე შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 10 პროცენტს არ აღემატება. შესაბამისად, კანონმდებელი კანონის მე-8 მუხლის აღნიშნული დებულებებით ქმნის გარკვეულ მინიმალურ ზღვარს, რომლის მიუღწევლობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმება წარმოადგენს კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდავ კოორდინაციას. აღნიშნული გარემოება კი პირდაპირ მიუთითებს კანონმდებლის ნებაზე, რომ იგი კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ აკრძალვას

უქვემდებარებს მხოლოდ ისეთ შეთანხმებებს, რომელთა ეფექტებიც ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე მნიშვნელოვანი ინტენსივობით გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პროცენტული ზღვრების გადაჭარბება ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციას გააჩნია კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტები. კანონმდებელი ამ შემთხვევაში ნეგატიური ფორმულირებით აყალიბებს განსახილველ ნორმას და ადგენს ზღვარს მხოლოდ იმ მიზნით, რომ განსაზღვროს კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმებები, რომლებიც ავტომატურად გამოირიცხებიან კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვიდან. მოცემული საბაზრო წილების ლიმიტების გადაჭარბების შემთხვევაში კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელ უწყებას მაინც აწევს მტკიცების ტვირთი იმასთან დაკავშირებით, რომ დაასაბუთოს კონკრეტული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტები, ვინაიდან ასეთ დროს მაინც არის შესაძლებელი, რომ ცალკეულ კოორდინაციას გააჩნდეს კონკურენციის მხოლოდ უმნიშვნელოდ შემზღუდველი ეფექტები და იგი არ მოექცეს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში. აღნიშნული დასკვნა ასევე გამომდინარეობს ევროპულ კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული მიდგომებიდან.[476]

ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში, კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბაზრო წილის ტესტის განსაკუთრებული როლი მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეულ შემთხვევებში კვალიფიკაციის პროცესის ნეგატიური შედეგით დასრულება შესაძლოა ამ ტესტის გამოყენებამ საწყის ეტაპზევე უზრუნველყოს. კერძოდ, მაშინ, როდესაც თავიდანვე სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ აგენტებს მცირე საბაზრო წილი გააჩნიათ, მათ შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობის საფუძვლიანი ეჭვების მიუხედავად, შესაძლოა კვალიფიკაციის პირველ ეტაპზევე შემოწმდეს მათი საბაზრო წილები. თუ დადგინდება, რომ ამ ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები კანონის მე-8 მუხლის ზღვრულ ოდენობებში ექცევა, მათ შორის

[476] *შეად.* ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995, § 98.

არსებული სავარაუდო შეთანხმების კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში შეფასების პროცესი ავტომატურად შეწყდება.

კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმებებისთვის ევროპულ კონკურენციის სამართალშიც არის დადგენილი გარკვეული ზღვრები, რომლის მიუღწევლობის შემთხვევაში ევროკომისია ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ კოორდინაციას კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებად მიიჩნევს და აღნიშნული საფუძვლით იგი აღარ ექცევა TFEU 101-ე მუხლით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში. 2014 წელს მიღებულ ერთ-ერთ სპეციალურ დოკუმენტში (შემდგომში - *"De Minimis Notice"*) ევროკომისია განსაზღვრავს ცალკეულ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების მოცულობებს, რომელთა მიუღწევლობის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული კოორდინაცია აღარ ექვემდებარება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავს ნორმას და კომისია ასეთ დროს არ იწყებს ევროპული კანონმდებლობით გათვალისწინებულ აღსრულების პროცედურებს.[477] აღსანიშნავია, რომ კომისიის მიერ დადგენილი ზღვრები პირდაპირ ემთხვევა კანონის მე-8 მუხლი მუხლით დადგენილ მინიმალურ საბაზრო წილთა მოცულობებს.[478] ამასთან, კომისია აღნიშნულ დოკუმენტში პირდაპირ მიუთითებს, რომ ნეგატიური ფორმულირებით შესაბამისი ზღვრების (*"Spürbarkeitsschwelle"*) განსაზღვრა არ გულისხმობს, რომ აღნიშნული ზღვრების გადაჭარბების შემთხვევაში საქმე აუცილებლად კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების მქონე შეთანხმებას ეხება.[479] ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია ამ ზღვრების გადაჭარბების შემთხვევაშიც დადგეს ისეთი მოცემულობა, რომლის დროსაც ადგილი აქვს კონკურენციის უმნიშვნელოდ შეზღუდვას და შესაბამისი

[477] CC. No. on agreements of minor importance which do not appreciably restrict competition under Article 101(1) of the Treaty on the Functioning of the European Union (De Minimis Notice), 2014/C 291/01, OJ C 291, 30.8.2014, p. 1–4, § 3, 5.

[478] იქვ. § 8. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც De Minimis Notice-ის აღნიშნულ პარაგრაფსა და კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტს შორის არსებობს, მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ქართული ნორმისაგან განსხვავებით, ევროპული დოკუმენტი ვერტიკალური შეთანხმების ნაცვლად საუბრობს ისეთ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებებზე, რომლებიც არ არიან ერთმანეთის კონკურენტები და/ან პოტენციურ კონკურენტები.

[479] იქვ. § 3; G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 9.

კოორდინაციაც არ მოექცეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში.[480]

საყურადღებოა, რომ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი გარკვეულ გამონაკლისებს აწესებს ამავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ წესთან მიმართებით. კერძოდ, დასახელებული ნორმის მიხედვით, კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებად არ მიიჩნევა კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კოორდინაციათა სახეები, მიუხედავად მათში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილებისა. აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დასახელებულ ქვეპუნქტებში მითითებულ კოორდინაციათა გარკვეული სახეები ნებისმიერ შემთხვევაში გამოირჩევიან შეზღუდვის მნიშვნელოვანი ინტენსივობით და წარმოადგენენ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებს. კერძოდ, საუბარია კონკურენციის კანონმდებლობის ისეთ დარღვევებზე როგორიცაა ფასების ფიქსაცია („ა“ ქვეპუნქტი) და ბაზრის განაწილება („გ“ ქვეპუნქტი). როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავსი ქმედებები მიჩნეულია კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებად, რომლებიც ავტომატურად მიიჩნევა კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებად და ასეთ დროს აუცილებელი არ არის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ამ კოორდინაციათა ეფექტების შეფასება. იგივე მიდგომას ავითარებს *De Minimis Notice*-იც, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ამ დოკუმენტით დადგენილი ზღვრები ვრცელდება მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის მქონე შეთანხმებებზე (*“Restriction by effect”/”Bewirkte Wettbewerbsbeschränkungen”*).[481] სწორედ აღნიშნული გარემოებებით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ კანონმდებელი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ წესს არ ავრცელებს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე.

თუმცა ამ კუთხით ქართველი კანონმდებლის მიერ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის სპეციალურ ქვეპუნქტებზე მითითება არ უნდა იქნეს გამართლებულად

[480] იქვ. § 3.
[481] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 9.

მიჩნეული. კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირება ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ კანონის მე-7 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის ფარგლებში მოქცეულ კოორდინაციათა ყველა სახე წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას. ასეთი მიდგომა კი ვერ იქნება გამართლებული იმდენად, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებელია კანონის მე-7 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა ქმედება არ წარმოადგენდეს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას (*“Restriction by object”/”bezweckte Wettbewerbsbeschränkungen”).* კერძოდ, ამ კუთხით საყურადღებოა ის გარემოება, რომ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ფასების ფიქსაციასთან ერთად ასევე საუბარია სხვადასხვა სახის სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენაზე. სავაჭრო პირობების დადგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეთანხმება ავტომატურად არ ქმნის იმის თქმის საფუძველს, რომ ასეთი შინაარსის კოორდინაცია ნებისმიერ შემთხვევაში არის ისეთი ბუნებისა თუ მახასიათებლების მატარებელი, რომელიც ცალკეულ შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვას იწვევს. აქედან გამომდინარე, კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების მოქმედებიდან კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სრულად გამორიცხვა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან იგი ეხება არა მხოლოდ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის, არამედ ეფექტის მქონე შეთანხმებებსაც. შესაბამისად, მიზანშეწონილია კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში კანონმდებელმა თავი შეიკავოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის კონკრეტულ ქმედებებზე მითითებისაგან და შემოიფარგლოს მხოლოდ იმაზე ფოკუსირებით, რომ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი არ ვრცელდება კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებზე.

4.5. შედარება და შეჯამება

ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი/ეფექტი ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის აუცილებელ ელემენტად თუ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან, კონკურენციის

შეზღუდვის მიზანი და შედეგი/ეფექტი არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების კუმულატიურ წინაპირობებს. შესაბამისად ერთ-ერთი მათგანის (მიზანი ან შედეგი/ეფექტი) არსებობაც კი საკმარისია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისათვის.

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმების შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაცია ავტომატურად მიიჩნევა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად და ასეთ დროს არ არის აუცილებელი ცალკეული კოორდინაციის პრაქტიკული ეფექტების შეფასება. როგორც გერმანული ფედერალური სასამართლო განმარტავს, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების შემთხვევაში კონკურენციის შეზღუდვის ინტენსიური ეფექტი ყოველთვის სახეზეა.[482] იგი გამოირჩევა კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების კომერციული დამოუკიდებლობისა თუ კონკურენტული ავტონომიურობის არსებითი და მრავალმხრივი შეზღუდვით და მისი შინაარსის გათვალისწინებით ცალსახაა, რომ იგი საკმარისად საგრძნობ, პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ფასზე, მრავალფეროვნებაზე, ინოვაციაზე, ეკონომიკური აგენტების არჩევანზე, თავისუფლად შევიდნენ შესაბამისი ბაზრის ამა თუ იმ ნაწილზე და ა. შ. როგორც წესი, ასეთ შეთანხმებებად მიიჩნევა ეკონომიკურ აგენტთა ისეთი კოორდინაცია, რომლის საგანიცაა ფასების ფიქსაცია, ბაზრის განაწილება, წარმოების შეზღუდვა და სხვა. ამასთან, კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებად ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კვალიფიკაციის პროცესში ძირითად როლ შეთანხმების შინაარსი ასრულებს.

იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაცია არ წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას, დღის წესრიგში ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე მისი პრაქტიკული ეფექტების შეფასება დგება. კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში შეფასების პროცესში ძირითად როლს არა შეთანხმების შინაარსი, არამედ ბაზრისა და სხვადასხვა სამართლებრივი თუ ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი ასრულებს. ანალიზის

[482] BGH 17.10.2017, *„Almased VITALKOST,“* Az. KZR 59/16, NZKart 2018, 52, Rn. 20.

პროცესში მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა შესაბამის ბაზრის/ბაზრების სტრუქტურა, კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და მათი საბაზრო პოზიციები, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაუფლება, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები და ა. შ. ამასთან, ასეთ დროს ნებისმიერი მასშტაბისა თუ ხასიათი ნეგატიური ეფექტის არსებობა არ არის საკმარისი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისათვის. ამისათვის აუცილებელია ნეგატიური ეფექტი გამოირჩეოდეს მნიშვნელოვანი ინტენსივობით (*"Spürbarkeit der Wettbewerbsbeschränkung"/ "appreciable effects"*).

V. კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა საბაზრო განზომილებები

1. შესაბამისი ბაზარი და კონკურენციის შეზღუდვის ტერიტორიული ფარგლები

კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალული თითქმის ყველა ქმედების შეფასების პროცესის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა წარმოადგენს. კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი განიმარტება, როგორც საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე.

ცალკეული დარღვევის სახის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის როლი და მისი განსაზღვრის სპეციფიკა თუ ინტენსივობა გარკვეულწილად განსხვავებულია.[483] აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებით თვალშისაცემია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო დარღვევათა შეფასების შემთხვევაში. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა აუცილებელია იმის დასადგენად, თუ რამდენად ფლობს ცალკეული ეკონომიკური აგენტი დომინანტურ მდგომარეობას, რომლის გარეშეც კანონის მე-6 მუხლის დარღვევას ვერასდროს ექნება ადგილი.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების შეფასების პროცესში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა სხვადასხვა მიზნითა თუ საჭიროებით არის განპირობებული. ერთ-

[483] ECLI:EU:T:1995:34, *"Vereniging van Samenwerkende,"* Case T-29/92, 21.02.1995, § 74.

ერთი ასეთი საჭიროება ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების პროცესში დგება. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ კონკურენციის დინამიკური პროცესი სწორედ ცალკეული შესაბამისი ბაზრის ფარგლებში არსებობს. კონკურენციის ხარისხი და ეფექტიანობა კი სხვადასხვა შესაბამის ბაზარზე განსხვავებულია. ამასთან, კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კონკურენცია გულისხმობს შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობას ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ განმარტებიდან გამომდინარე ნათელია, რომ კონკურენციის შეზღუდვა სწორედ შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობის პროცესის შეზღუდვას გულისხმობს. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შესაფასებლად აუცილებელია იმ ცალკეული შესაბამისი ბაზრის ან ბაზრების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლოა სავარაუდო სამართალდარღვევის შედეგად კონკურენციის შეზღუდვას ჰქონდეს ადგილი.

აქედან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მნიშვნელოვანია არა მარტო დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შეფასების, არამედ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მიზნებისთვისაც. თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების იდენტიფიცირება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ღრმა ეკონომიკურ ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას საჭიროებს. აღნიშნულის აუცილებლობა, როგორც წესი, მხოლოდ განსაკუთრებულ საგამონაკლისო შემთხვევებში დგება.[484]

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრაზე ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცალკეული ქმედების მიმართ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გამოყენების შესაძლებლობა. კერძოდ, მსგავს ნორმებს, როგორც წესი, გააჩნია მოქმედების გარკვეული ტერიტორიული ფარგლები, ანუ ის სივრცე, სადაც ცალკეული ნორმა ჯანსაღი კონკურენციის პროცესის დაცვას ისახავს მიზნად. აქედან გამომდინარე,

[484] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 6, Rn 730.

იმ შესაბამისი ბაზრის საზღვრები, რომელსაც ზღუდავს კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი ქმედება, უნდა ექცეოდეს ცალკეული ნორმის მოქმედების ტერიტორიულ ფარგლებში. მაგალითად, კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ისეთ ქმედებებზე, რომელსაც საქართველოს სასაქონლო ან მომსახურების ბაზრებზე გააჩნიათ მნიშვნელოვანი გავლენა. ამდენად, თუ ცალკეული ქმედება არ ზღუდავს კონკურენციას საქართველოს შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე, მაშინ მისი შეფასება ვერც კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით ვერ მოხდება.

შესაბამისად, კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა თუ შედეგის, როგორც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი წინაპირობის, ძირითადი ფუნქცია არ შემოიფარგლება, მხოლოდ კონკრეტული ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის როლის შესრულებით. ცალკეული ქმედების შეფასებისაგან დამოუკიდებლად მას ძალზე დიდი მნიშვნელობა ასევე გააჩნია საკუთრივ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის განმარტების პროცესში. აღნიშნულს კი განაპირობებს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ელემენტის საფუძველზე განისაზღვრება კონკრეტულ ქმედებასთან მიმართებით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლები, რომელიც უმთავრესად ამ ქმედებით გამოწვეულ კონკურენციის შეზღუდვის მასშტაბებზე არის დამოკიდებული.

კონკურენციის შეზღუდვის ფარგლები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპულ კონკურენციის სამართალში, რაც კანონის მე-7 და TFEU 101-ე მუხლებში განვითარებულ კიდევ ერთ იდენტურ მიდგომად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ქართულ და ევროპულ ნორმებს შორის არსებული მნიშვნელოვანი მსგავსებების მიუხედავად, ისინი მაინც ვერ ჩაითვლებიან აბსოლუტურად იდენტურ დათქმებად. კერძოდ, კანონის მე-7 მუხლისაგან განსხვავებით, TFEU 101-ე მუხლი აკრძალვას ითვალისწინებს მხოლოდ ისეთი შეთანხმების მიმართ, რომელსაც გავლენა აქვს ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე. (*"…which may affect trade between Member States…"/ "…welche den Handel zwischen Mitgliedstaaten zu beeinträchtigen geeignet sind…"*). ამდენად, იმ შემთხვევაში თუ

კონკურენციის შემზღუდველი ქმედება არ არის მოწოდებული შეზღუდოს წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობა, მაშინ ეს ქმედება სცილდება ევროპული კავშირის შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილების ფარგლებს და ინაცვლებს წევრი სახელმწიფოების კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობის მოქმედების სივრცეში.[485] აღნიშნული გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მოქმედების ფარგლების განმსაზღვრელ ერთ-ერთ დამატებით ელემენტს წარმოადგენს.

ევროპულ რეალობაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების იდენტიფიცირების პროცესში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ერთ-ერთი მიზანი სწორედ წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვის დადგენაში მდგომარეობს. კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მიზნებისათვის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ემსახურება იმის დადგენას თუ რამდენად გააჩნია ცალკეულ ხელშეკრულებას, შეთანხმებულ ქმედებასა თუ გადაწყვეტილებას კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან კონკურენციის შემზღუდველი ეფექტი ევროპული კავშირის შიდა ბაზარზე.[486] აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულების სასამართლო ადგენს კომისიის ვალდებულებას, რომ განსაზღვროს შესაბამისი ბაზარი მაშინ, როდესაც სხვაგვარად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად გააჩნია ცალკეული ხელშეკრულებას, შეთანხმებულ ქმედებას ან ასოციაციის გადაწყვეტილებას კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი ევროკავშირის გეოგრაფიულ არეალში.[487]

TFEU 101-ე მუხლში მოცემულ აღნიშნული მიდგომა განპირობებულია ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიზნებითა და ფუნქციებით. კერძოდ, ევროპული კონკურენციის სამართლის მოქმედების გეოგრაფიული სივრცე არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიით, არამედ იგი თანაბრად

---

[485] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 7, Rn 815; Communication from the Commission, Notice, Guidelines on the application of Article 81(3) of the Treaty (2004/C 101/08), § 12.

[486] ECLI:EU:T:1995:34, *"Vereniging van Samenwerkende,"* Case T-29/92, 21.02.1995, § 74; ECLI:EU:T:2003:76, *"CMA CGM and Others,"* Case T-213/00, 19.03.2003, § 206.

[487] ECLI:EU:T:2000:180, *"Volkswagen AG,"* Case T-62/98, 06.07.2000, § 230; ECLI:EU:T:2003:76, *"CMA CGM and Others,"* Case T-213/00, 19.03.2003, § 206.

ვრცელდება ყველა წევრ სახელმწიფოზე და მოწოდებულია ჯანსაღი კონკურენტული გარემო დაიცვას მთლიანად შიდა ბაზარზე (*"single market"* / *"Binnenmarkt"*).[488] გარდა ამისა, ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალი, კონკურენციის პროცესისა და მომხმარებელთა კეთილდღეობის დაცვასთან ერთა მიზნად ასევე ისახავს ევროპული კავშირის მასშტაბით არსებული შიდა ბაზრის ინტეგრაციის უზრუნველყოფას.[489] TFEU 101-ე მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვა ევროპული კავშირის დონეზე აყალიბებს შიდა ბაზარზე თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის სისტემის ერთ-ერთ ძირითად სამართლებრივ საფუძველს, რომლის მიღწევასაც ევროპული კავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებები ესწრაფვიან.[490] აღნიშნულის შესაბამისად, ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალი და შესაბამისად, TFEU 101-ე მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა კონკრეტული ქმედება მოწოდებულია, ხელყოს წევრ სახელმწიფოთა შორის თავისუფალი ვაჭრობა.[491]

ამასთან, TFEU 101-ე მუხლით დადგენილი აკრძალვებიდან დაშვებული გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო მითითებებში აღნიშნულია, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე ნეგატიური ზეგავლენის ელემენტი წარმოადგენს ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალში სპეციალურად დამკვიდრებულ ავტონომიურ სამართლებრივ კატეგორიას. აქედან გამომდინარე, TFEU 101-ე მუხლის განსახილველი ელემენტის არსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ინდივიდუალურ შეფასებას საჭიროებს.[492]

მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროკომისიის პრაქტიკაში წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა ძალზე ფართოდ განიმარტება. ამიტომ პრაქტიკულად არ არსებობს შემთხვევა, რომლის დროსაც

---

[488] ECLI:EU:C:2001:465, *"Courage v Crehan,"* Case C-453/99, 20.09.2001, § 20.
[489] *Monti G.,* EC Competition Law, 2007, 20.
[490] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 5, Rn. 3.
[491] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 5, Rn 577.
[492] Communication from the Commission, Notice, Guidelines on the application of Article 81(3) of the Treaty (2004/C 101/08), § 12.

აღნიშნული წინაპირობის დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება შეაფერხოს რელევანტური ქმედების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია. ეს მიდგომა კი, თავის მხრივ, ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლისთვის, მათ შორის, TFEU 101-ე მუხლისთვის მოქმედების მაქსიმალურად ფართო ფარგლების უზრუნველყოფას ემსახურება.

მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ის ფაქტი, რომ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ევროპული კავშირის მხოლოდ ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მასშტაბით არსებულ კონკურენციაზე, არ გამორიცხავს, რომ ამ ქმედებას ნეგატიური ეფექტები ჰქონდეს წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე.[493] მართლმსაჯულების სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ TFEU 101-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დასაკმაყოფილებლად და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისთვის არ არის აუცილებელი კონკრეტულ შემთხვევაში დასტურდებოდეს ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი.[494] ამისათვის საკმარისია, რომ რელევანტურ ქმედებას მხოლოდ შესწევდეს იმის უნარი, რომ ნეგატიური ზეგავლენა იქონიოს მასზე.[495] წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე ნეგატიური ზეგავლენის უნარის შესაფასებლად, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია რელევანტური ობიექტური სამართლებრივი ფაქტორებისა თუ ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობის საფუძველზე არსებობდეს ალბათობის საკმარისი ხარისხი, იმისა, რომ ცალკეულმა შეთანხმებამ შესაძლოა პირდაპირი ან ირიბი, ფაქტობრივი ან პოტენციური გავლენა მოახდინოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.[496] ამასთან, მართლმსაჯულების სასამართლოს

---

[493] ECLI:EU:C:1989:301, *"SC Belasco,"* Case 246/86 11.07.1989, § 33; ECLI:EU:C:2006:734, *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006, § 37; ECLI:EU:C:1972:84, *"Vereeniging van Cementhandelaren,"* Case 8-72, 17.10.1972, § 29.

[494] ECLI:EU:C:1978:19, "*Miller International Schallplatten* GmbH," Case 19/77 01.02.1978, § 15;

[495] ECLI:EU:C:1997:375, *"Ferriere Nord SpA,"* Case C-219/95 P, 17.07.1997, § 19; ECLI:EU:C:1999:12, *"Carlo Bagnasco and Others,"* Joined cases C-215/96 and C-216/96, § 48; ECLI:EU:C:1985:488, *"Stichting Sigarettenindustrie,"* Joined cases 240, 241, 242, 261, 262, 268 and 269/82, 10.12.1985, § 47; ECLI:EU:C:2006:734, *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006, § 43.

[496] ECLI:EU:C:1985:488, *"Stichting Sigarettenindustrie,"* Joined cases 240, 241, 242, 261, 262, 268 and 269/82, 10.12.1985, § 48.

პრაქტიკის მიხედვით, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ევროპული ნორმის გამოყენებას ვერ დააბრკოლებს ის გარემოება, რომ ცალკეული შეთანხმების ერთ-ერთი მხარე არ წარმოადგენს წევრი სახელმწიფოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ სუბიექტს იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმებას გააჩნია გავლენა შიდა ბაზრის ტერიტორიაზე.[497]

ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოში კონკურენციის სამართლის აღსრულების მიზნებისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რამდენად არის გათვალისწინებული აღნიშნული სახელმწიფოს კანონმდებლობით კონკრეტული აკრძალვა ან რამდენად ემთხვევა იგი ევროპული კავშირის სამართლის შესაბამისი ნორმის დისპოზიციასა თუ შინაარსს.[498] გარდა ამისა, ერთ-ერთ საქმეზე მართლმსაჯულების სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება, რომლის მიზანია ან შედეგია შუალედურ პროდუქტზე ფასების ფიქსაციის გზით კონკურენციის შეზღუდვა, ნებისმიერ შემთხვევაში მოწოდებულია გავლენა იქონიოს წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე, თუ ამ შუალედური პროდუქტისაგან დამზადებული საბოლოო პროდუქტი წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის საგანს და მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ საკუთრივ ამ შუალედური პროდუქტის რეალიზაცია არ ხდება სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.[499]

2. შესაბამისი ბაზრის გამოკვეთის ფუნქცია

ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის ერთ-ერთი დანიშნულება კონკურენციის ბუნებრივ პროცესზე ცალკეული კოორდინაციის ზეგავლენის მასშტაბების დადგენაში მდგომარეობს. იგი მნიშვნელოვან როლს ასევე ასრულებს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების საბაზრო განზომილებების იდენტიფიცირების პროცესში. სწორედ კონკრეტულ კოორდინაციასთან შემხებლობაში მყოფი შესაბამისი ბაზრისა თუ ბაზრების იდენტიფიცირებაზე არის დამოკიდებული

[497] ECLI:EU:C:1978:133, *"Tepea BV,"* Case 28/77, 20.06.1978, § 47.

[498] ECLI:EU:C:2002:98, *"Wouters,"* Case C-309/99, 19.02.2002, § 66; ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985, § 17.

[499] ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985, § 29.

იმის განსაზღვრა თუ რა მასშტაბები გააჩნია კონკურენციის შემზღუდველ ცალკეულ შეთანხმებას და რომელ ბაზარზე/ბაზრებზე ვრცელდება მისი მოქმედება.

ცალკეული ქმედების კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებში შეფასების პროცესში ამ ქმედებასთან შემხებლობაში მყოფი შესაბამისი ბაზრისა თუ ბაზრების განსაზღვრა ასევე ასრულებს ე. წ. გამიჯვნის ფუნქციას. იმის მიხედვით, თუ რამდენ შესაბამის ბაზარზე ვრცელდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მოქმედება თუ ეკონომიკური ეფექტები და რამდენ შესაბამის ბაზარზე ოპერირებენ ცალკეული შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტები, ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმების სახით ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ორ ძირითად სახეს. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების დამატებით სახედ ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული შეთანხმება არ აკმაყოფილებს არც ჰორიზონტალური და არც ვერტიკალური შეთანხმებისათვის გათვალისწინებულ წინაპირობებს.

3. ჰორიზონტალური შეთანხმებები და კარტელის ცნება

საბოლოო მომხმარებლამდე მიწოდების პროცესში ნებისმიერი საქონელი თუ მომსახურება გარკვეულ გზასა თუ ეტაპს გადის, რომელიც მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის სახელით არის ცნობილი. ამ ჯაჭვის საწყის წერტილად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნედლეული, რომლის გადამუშავების შედეგად კონკრეტული პროდუქტი მიიღება. წარმოებული პროდუქტი მწარმოებლიდან დისტრიბუტორის ხელში გადადის, რომელიც მას საცალო მოვაჭრეს აწვდის. ეს უკანასკნელი კი შესაბამისი პროდუქტის რეალიზაციას საბოლოო მომხმარებელზე ახდენს. მოთხოვნისა და მიწოდების აღნიშნული ჯაჭვის ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა პროდუქციული ბაზრების იდენტიფიცირება, რომელიც მოიცავს ნედლეულის, წარმოების, დისტრიბუციის, საბოლოო რეალიზაციისა და სხვა ბაზრებს. მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის თითოეულ მსგავს დონეზე არსებულ ბაზარზე ცალკეული ეკონომიკური აგენტები ეწევიან შესაბამის ეკონომიკურ საქმიანობას, რომლებიც აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში წარმოადგენენ ერთმანეთის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. აქედან გამომდინარე, სწორედ შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებაზე არის დამოკიდებული კონკურენტი

ეკონომიკური აგენტების განსაზღვრა,[500] რომელიც კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განმარტებულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი.

შესაბამისი ბაზრის განსაზღვრაზე ასევე დამოკიდებულია პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების იდენტიფიცირებაც. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი განმარტებულია, როგორც დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად.

შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირების საფუძველზე კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების დადგენა იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს, თუ რამდენად აქვს ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის სახით კონკურენციის შემზღუდველ ჰორიზონტალურ შეთანხმებას ადგილი, რომელიც კანონის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენს შეთანხმებას ბაზრის ერთსა და იმავე დონეზე მოქმედ ან პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის.

აღნიშნულ განმარტებაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ კანონმდებელი დასახელებულ ნორმაში პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტის გვერდით არ იყენებს ტერმინს - „კონკურენტი ეკონომიკური აგენტი.“ ასეთი მიდგომა ცალკეული ობიექტური გარემოებებით არის განპირობებული. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთმანეთის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ ის სუბიექტები, რომლებიც ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე ოპერირებენ. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, თავის მხრივ, პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრებისა და დროითი ჩარჩოების დადგენის გზით ხდება. თუმცა პრაქტიკაში შესაძლოა მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც შეთანხმება იდება ერთსა და იმავე პროდუქციულ ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც სხვადასხვა შესაბამის გეოგრაფიულ საზღვრებში ოპერირებენ. ასეთ დროს, მართალია, ეკონომიკური აგენტები მომხმარებლებს ურთიერთჩანაცვლებად საქონელსა თუ მომსახურებას აწვდიან, თუმცა ისინი მიწოდებას ახორციელებენ სხვადასხვა გეოგრაფიულ საზღვრებში, რომლებიც არ

[500] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 70.

ქმნიან ერთ შესაბამის ბაზარს. აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ითვლება, რომ ასეთ დროს ეს ეკონომიკური აგენტები წარმოებისა თუ დისტრიბუციის რგოლის ერთსა და იმავე დონეზე მოქმედებენ და მათ შორის დამყარებული კოორდინაცია კანონის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩაითვლება ჰორიზონტალურ შეთანხმებად.[501] ამდენად, ნებისმიერი ჰორიზონტალური შეთანხმების აუცილებელი წინაპირობაა, რომ მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტები წარმოადგენდნენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს, პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც ერთსა და იმავე პროდუქციულ ბაზარზე ოპერირებენ.

კონკურენციის შემზღუდველ ჰორიზონტალურ შეთანხმებებს ხშირ შემთხვევაში კარტელის სახელითაც მოიხსენიებენ. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „კარტელი“ გერმანული სამართლის წიაღში წარმოიშვა.[502] მის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის მასშტაბებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში კონკურენციის სამართალი კარტელების სამართლადაც კი მოიხსენიება. უფრო მეტიც, გერმანიაში, კონკურენციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს ორი განსხვავებული ფედერალური კანონი. ერთი მათგანი მოიცავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებულ საკითხებს (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონი - UWG), ხოლო მეორე ადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონკურენციის შემზღუდველი კონცენტრაციების ამკრძალავს ნორმებს (კონკურენციის შეზღუდვების საწინააღმდეგო კანონი - GWB). სწორედ ამ უკანასკნელთან (GWB) მიმართებით გამოიყენება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „კარტელების სამართალი“ (*“Kartellrecht”*).

შეიძლება ითქვას, რომ კარტელების ეპოქა გერმანიასა და ევროპაში მე-19 საუკუნის მიწურულს დაიწყო. 1905 წლის მონაცემებით მხოლოდ გერმანიაში 400-მდე კარტელი არსებობდა, რომელთაგან ყველაზე ცნობილია, აგურის, ფოლადის, სხვადასხვა ქიმიკატების, ტექსტილის, ქვანახშირისა და სამთო-მოპოვებით ინდუსტრიებში

[501] შეად. *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 175.

[502] *Wohlmann H., Schedl M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 107; *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 5, Rn 555, 796.

არსებული კარტელები. იმ პერიოდში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, არ იყო საჭირო კარტელების სახელმწიფო კონტროლი, ვინაიდან, ისედაც არსებობდა სხვადასხვა სახის ეკონომიკური ფაქტორები, რომელიც მათ საბაზრო ძალაუფლებას აბალანსებდა და მინიმუმამდე ამცირებდა კარტელებისგან მომდინარე ნეგატიურ ეფექტებს.[503] სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანია კარტელების ქვეყნადაც კი მოიხსენიებოდა (*"Land der Kartelle").* ზიგფრიდ ჩიერსკი ჯერ კიდევ 1928 წელს კარტელს განმარტავდა, როგორც ეკონომიკის ერთსა და იმავე სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ეკონომიკური აგენტების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად შესაბამისი ბაზრის თვითნებურ რეგულირებას ისახავდა.[504]

კარტელური გარიგების შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ერთიანდებიან ერთი და იმავე საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი ეკონომიური აგენტები, რომლებიც ხელოვნურად ადგენენ მათ მიერ შესაბამის ბაზარზე პროდუქტის მიწოდების პირობებს. აღნიშნული კი, ბუნებრივია, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს კონკურენციას და მომხმარებელს უსპობს შესაძლებლობას, რომ ისარგებლოს იმ ბენეფიტებით, რომელიც ჯანსაღ კონკურენტულ პროცესებთან არის დაკავშირებული. მსგავსი პრობლემური კოორდინაციის მაგალითად შესაძლოა მოყვანილ იქნეს ეკონომიკურ აგენტთა ისეთი ჰორიზონტალური თანამშრომლობა, რომლის საგანიცაა ფასების ფიქსაცია, წარმოებისა თუ პროდუქციის შეზღუდვა, ბაზრის გეოგრაფიული გადანაწილება და სხვა. ასეთი შინაარსის მატარებელი შეთანხმებები ეკონომიკურ აგენტებს აძლევს შესაძლებლობას არამართლზომიერი საშუალებებით და ბაზრის ბუნებრივი განვითარების ფარგლებში ჩამოყალიბებული კონკურენტული წნეხის გვერდის ავლით შეინარჩუნონ ან გაზარდონ საბაზრო ძალაუფლება.[505] აღნიშნული კი მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ისეთ საბაზრო პირობებზე, როგორიცაა

[503] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 5, Rn 562.

[504] *Rittner F., Dreher M., Kulka M.,* Wettbewerbs- und KartR. 8. Aufl. § 7, Rn 796 (ციტ. *Tschiersky,* Kartelorganisation, 1928, S. 9).

[505] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 4.

ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ფასი, პროდუქციის ხარისხი, მრავალფეროვნება და სხვა.

ასეთი ფორმითა თუ შინაარსით ჩამოყალიბებული კარტელური გარიგება მისი მონაწილეებისთვის ეკონომიკურად უმეტესწილად მხოლოდ მაშინ არის მომგებიანი, როდესაც მასში გაერთიანებულია შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკურ აგენტთა უმრავლესობა მაინც.[506] აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებულ კარტელს მიღმა დარჩენილი ბაზრის სხვა მონაწილეები, როგორც წესი, აგრძელებენ ბაზარზე დამოუკიდებელ მოქმედებას. მსგავსი ეკონომიკური აგენტის თავისუფალი საბაზრო ქცევები კი ფაქტობრივად ძირს უთხრის კარტელში მონაწილე სუბიექტთა მართლსაწინააღმდეგო მიზნებს. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლოა განხილულ იქნეს კარტელური გარიგების ისეთ კლასიკური შემთხვევები, როგორიცაა ჰორიზონტალური ფასების ფიქსაცია და ბაზრის გეოგრაფიული გადანაწილება.

ფასების ფიქსაციის შემთხვევაში კარტელური გარიგების მონაწილეები თანხმდებიან, რომ ისინი შესაბამის ბაზარზე მომხმარებლებს საქონელსა თუ მომსახურებას მიაწვდიან ფიქსირებულ ფასად. ხოლო მაშინ, როდესაც კარტელი არ აერთიანებს შესაბამისი ბაზრის მონაწილე ცალკეულ სუბიექტს ან სუბიექტებს, რომლებიც გარკვეულ ძალაუფლებას ფლობენ შესაბამის ბაზარზე, კარტელანტების მხრიდან ფიქსირებული ფასისაგან მატერიალური სარგებლის მიღება სათუოა. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბაზარზე თავისუფლად მოქმედი ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკური აგენტები საკუთარი საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებას იწყებენ კარტელიზებულთან შედარებით უფრო ნაკლებ ფასად, რაც, კარტელანტებთან შედარებით, მათ კონკურენტუნარიანობასაც ზრდის იმდენად, რამდენადაც დაბალი ფასის შედეგად ისინი უფრო მეტ მომხმარებელს მიიზიდავენ. შესაბამისად, იქმნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფასების ფიქსაციის შედეგად კარტელანტები კარგავენ მომხმარებლებს და

[506] *Wollmann H., Schedl M.,* MüKo zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Bd. 1, 2007, Art. 81, Rn. 110.

შეთანხმებულ ფასად ისინი უკვე ვეღარ ახერხებენ შესაბამის ბაზარზე პროდუქტის რეალიზებას.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იქმნება ბაზრის გეოგრაფიული განაწილების შემთხვევაში. კონკურენციის შემზღუდველი მსგავსი შინაარსის შეთანხმების შედეგად მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ახდენენ ბაზრების გაყოფას ისე, რომ შესაბამისი ბაზრის თითოეულ ნაწილში მიმწოდებლად მხოლოდ ერთი კარტელანტი რჩება. კარტელის მიღმა დარჩენილი თავისუფალი ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკური აგენტები კი მთლიან შესაბამის ბაზარზე აგრძელებენ ოპერირებას. აღნიშნულის შედეგად, შესაბამისი ბაზრის თითოეულ განაწილებულ სეგმენტზე თავისუფალი ეკონომიკური აგენტის კონკურენტად რჩება მხოლოდ ერთი კარტელანტი. აღნიშნულის შედეგად ბაზრის თითოეულ სეგმენტზე თავისუფალი ეკონომიკური აგენტების მიმართ არსებული კონკურენტული წნეხი ავტომატურად მცირდება, იმდენად რამდენადაც ეს უკანასკნელი კონკურენციას უწევს მხოლოდ ერთ კარტელანტს და არა კარტელური გარიგების ყველა მონაწილეს ერთად აღებულს. შესაბამისად, კარტელური გარიგება ასეთ დროს უფრო მეტად მომგებიანი ხდება კარტელის მიღმა დარჩენილი ეკონომიკური აგენტისთვის, ვინაიდან იგი ასეთ დროს უპირისპირდება არა კარტელის მონაწილეთა ერთობლივ საბაზრო ძალაუფლებას, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის.

თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტთა ჰორიზონტალური კოორდინაცია შესაძლოა მნიშვნელოვან სარგებელთან და დადებით ეფექტებთანაც იყოს დაკავშირებული. იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური აგენტები გააერთიანებენ თავიანთ უნარებსა თუ რესურსებს ეკონომიკურ აგენტთა ჰორიზონტალურ კოორდინაციას შესაძლოა გააჩნდეს ისეთი არსებითი ეკონომიკური ბენეფიტები, როგორიცაა ეკონომიკურ აგენტებს შორის კომერციული რისკების განაწილება, ხარჯების დაზოგვა, ინვესტიციის მოცულობების გაზრდა, ტექნოლოგიური განვითარება, საქონლისა და მომსახურების ხარისხისა თუ ინოვაციის სწრაფი ზრდა და ა. შ.[507]

[507] CC - G. on the applicability of Art. 101 TFEU to horizontal co-operation agreements, OJ, 14.1.2011, p. 1–72, 14.01.2001, 2011/C 11/01, § 3.

4. ვერტიკალური შეთანხმებები

კანონი ჰორიზონტალურ შეთანხმებასთან ერთად ასევე გვთავაზობს ვერტიკალური შეთანხმების ცნებას. კერძოდ, მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ვერტიკალური შეთანხმება გულისხმობს ისეთ კოორდინაციას, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტებიც მიწოდებისა და მოთხოვნის ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზრებზე ოპერირებენ. ასეთ დროს შესაძლოა საქმე ეხებოდეს ისეთ კოორდინაციას, რომლის მონაწილე სუბიექტებსაც წარმოადგენენ მწარმოებელი და დისტრიბუტორი, დისტრიბუტორი და საცალო მოვაჭრე და ა. შ.[508] ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე მსგავსი შეთანხმებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტები კი ცნობილია კონკურენციის ვერტიკალური შეზღუდვის სახელით (*"Vertical restraints" / "Vertikale Wettbewerbsbeschränkungen"*).

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონკურენციის სამართლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე არ არსებობდა ცალსახა პასუხი იმაზე, თუ რამდენად იყო შესაძლებელი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით გამოყენება.[509] თუმცა ევროკომისიისა და მართლმსაჯულების სასამართლოს ადრეული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ აღნიშნულ კითხვას პასუხი გაეცა და ნათელი გახდა, რომ ევროპული კონკურენციის სამართალი უპრობლემოდ ვრცელდებოდა ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებულ ვერტიკალურ კოორდინაციაზე. იგივე მიდგომით გამოირჩევა გერმანული და თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნის კონკურენციის კანონმდებლობა. ევროპული გამოცდილებისა და ქართულ კონკურენციის სამართალში შესაბამისი საკანონმდებლო დეფინიციის არსებობის გათვალისწინებით, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კანონის მე-7 მუხლი ასევე ვრცელდება კონკურენციის შემზღუდველ ვერტიკალურ შეთანხმებებზე.

---

[508] *Akhtar Z.,* Anti-Competitive Effects of Vertical Restraints, *CoRe*, Vol. 2, Iss. 1 (2018), pp. 24-35, 24; *Kirchhoff W.,* Wiedemann, Handbuch des Kartellrechts, 4. Aufl., 2020, § 8, Rn. 12; Vettas N., Developments in Vertical Agreements, Antitrust Bulletin, Vol. 55, Iss. 4 (Winter 2010), pp. 843-874, 845.

[509] *Sarad N. J.,* EEC Regulation of Exclusive Dealing Arrangements, International Tax & Business Lawyer, Vol. 3, Iss. 1 (Summer 1985), pp. 81-101, 82; *Mcgrath W.,* Group Exemptions for Exclusive Distribution Agreements in the Common Market, 9, N. C. J. INT. L & COM. REG. 1983, 231, 234.

ამდენად, კონკურენციის შემზღუდველი ვერტიკალური შეთანხმებების მიმართ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის გამოყენების დამაბრკოლებელ გარემოებად არ უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ ნორმის დისპოზიციაში შესაბამის პირდაპირ მითითებას არ ვხვდებით. უფრო მეტიც, აღნიშნული ასევე პირდაპირ გამომდინარეობს დასახელებული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან, რომელიც ერთმანეთისაგან არ მიჯნავს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შეთანხმებებს და აკრძალვას, განურჩევლად საბაზრო განზომილებისა, უქვემდებარებს ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ნებისმიერ ისეთ ფორმას, რომლის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა.

საბაზრო განზომილებების მიხედვით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და სხვა სახის შეთანხმებებად კლასიფიცირება თანაბრად ვრცელდება ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის სამივე ფორმაზე. შესაბამისად, თუ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება იდება ან შეთანხმებული ქმედება ხორციელდება კონკურენტ ან პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის ადგილი ექნება ჰორიზონტალურ შეთანხმებას (კონკურენციის შემზღუდველი ჰორიზონტალური ხელშეკრულება ან შეთანხმებული ქმედება). მოთხოვნისა და მიწოდების სხვადასხვა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შემთხვევაში კი ყალიბდება ვერტიკალური შეთანხმება.

იგივე მდგომარეობა იქმნება ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში. თუმცა ამ კუთხით ჰორიზონტალური, ვერტიკალური თუ სხვა სახის გადაწყვეტილების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ერთი შეხედვით შესაძლოა გარკვეულ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. აღნიშნულ სირთულეს კი განაპირობებს ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში ძირითადი მოქმედი პირი არა რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, არამედ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციაა. თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი ამოსავალი წერტილია იმის განსაზღვრა, თუ ვინ არიან ასოციაციის კონკრეტული გადაწყვეტილების ადრესატები. თუ გადაწყვეტილება ეხება ასოციაციის ისეთ წევრ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე ოპერირებენ, მაშინ ადგილი ექნება კონკურენციის შემზღუდველ ჰორიზონტალურ

გადაწყვეტილებას, ხოლო მიწოდებისა და მოთხოვნის სხვადასხვა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შემთხვევაში საქმე ეხება ვერტიკალურ გადაწყვეტილებას.

ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმების ერთმანეთისაგან გამიჯვნას მომეტებული პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. კოორდინაციის ფორმების მსგავსი დიფერენცირება შესაძლოა კონკურენციის შეზღუდვის მასშტაბებისა თუ კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების შეფასების ერთ-ერთ პირველ ინდიკატორადაც კი იქნეს მიჩნეული. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ, როგორც წესი, ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ვერტიკალური და ჰორიზონტალური შეთანხმების ნეგატიური ეფექტები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ეკონომიკურ აგენტებს შორის დამყარებული ვერტიკალური კომერციული ურთიერთობა ჰორიზონტალური შეთანხმებისაგან სრულიად განსხვავებულ ეკონომიკურ თუ სამართლებრივი ფენომენია. იმდენად, რამდენადაც ჰორიზონტალური შეთანხმება კონკურენტ ან პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის იდება, ასეთი შეთანხმების იმწუთიერი შედეგია ამ შეთანხმების შედეგად დამყარებული ახალი საბაზრო წესრიგიდან ცალკეული მოწინააღმდეგის (შეთანხმების მიღმა დარჩენილი ეკონომიკური აგენტის) გარიყვა თუ სამომავლოდ მისი შესაბამისი ბაზრიდან განდევნა ან ასეთ სუბიექტთან პირდაპირი კოორდინაციის დამყარების გზით მისგან მომდინარე კონკურენტული წნეხის შემცირება ან სრულად აღმოფხვრა. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, კონკურენციის სამართლის ფარგლებში ეკონომიკურ აგენტთა ჰორიზონტალური კოორდინაციის შეფასების საწყის ეტაპზევე ხდება იმის დაშვება და პრეზუმირება, რომ ამ შეთანხმების შედეგად თავისუფალ კონკურენციას ადგება ზიანი.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ვერტიკალური შეთანხმების შემთხვევაში ადგილი არ აქვს კონკურენტ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის დამყარებულ კოორდინაციას, იშვიათი საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, შეფასების საწყის ეტაპზე ივარაუდება, რომ ამ შეთანხმებას ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ნეგატიური ეფექტები არ გააჩნია. ვერტიკალური შეთანხმების შედეგად კონკურენციის შეზღუდვის ერთ-ერთ

ძირითად ინდიკატორად მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მომეტებული საბაზრო ძალაუფლება მიიჩნევა.[510] ვერტიკალური შეთანხმებების შემთხვევაში კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით გარკვეული საფრთხეები იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ შეთანხმებასთან შემხებლობაში მყოფი შესაბამისი ბაზრები ბრენდებს შორის არასაკმარისი ხარისხის კონკურენციით (*"Inter-brand competition"*) გამოირჩევა.[511] ასეთ შემთხვევას ძირითადად ადგილი აქვს ისეთ დროს, როდესაც შემძენის ან მიმწოდებლის ან ორივე დონეზე არსებობს გარკვეული ხარისხის მომეტებული საბაზრო ძალაუფლება.[512] ბრენდებს შორის კონკურენციის დაბალი ხარისხის პირობებში კი აუცილებელი ხდება კონკურენციის კანონმდებლობის ჩარევა და როგორც ბრენდებს შორის, ასევე შიდაბრენდულ კონკურენციაზე ზრუნვა და მათი დაცვა.[513]

ამასთან, ვერტიკალური შეთანხმების შედეგად კონკურენციის შეზღუდვას არაპირდაპირი ხასიათი გააჩნია იმდენად, რამდენადაც ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული ვერტიკალური ურთიერთობის ფორმისა თუ შინაარსის ცვლილება გავლენას ახდენს შესაბამის ბაზარებზე ამ ეკონომიკური აგენტების ჰორიზონტალურ ქცევაზე. სხვაგვარად, რომ ითქვას, ვერტიკალური შეთანხმების შედეგად ამ შეთანხმების მონაწილე ზედა ან ქვედა დონის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი საკუთარ კომერციულ პოლიტიკასა თუ ქმედებათა შინაარსს ცვლის იმ ბაზარზე, სადაც იგი ოპერირებს. შესაბამისად, ვერტიკალურ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკური აგენტის ქცევის შინაარსის ცვლილება გავლენას ახდენს ამ ეკონომიკურ აგენტსა და მის კონკურენტებს შორის ადრე არსებულ კონკურენტულ დამოკიდებულებასა თუ მათ შორის არსებულ კომერციულ წესრიგზე.

სხვადასხვა ამოცანებისა თუ მიზნების მიღწევასთან ერთად, ეკონომიკურ აგენტებს შორის ვერტიკალური კოორდინაცია *inter alia* ყალიბდება ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების დისტრიბუციის გამარტივებისა და ეფექტიანობის ზრდის მიზნით.

---

[510] *Vettas N.,* Developments in Vertical Agreements, Antitrust Bulletin, Vol. 55, Iss. 4 (Winter 2010), pp. 843-874, 845.

[511] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 6.

[512] იქვ.

[513] იქვ.

შესაბამისად, ვერტიკალური შეთანხმებები, ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე გარკვეულ ნეგატიურ ზემოქმედებასთან ერთად მნიშვნელოვანი სარგებლითაც ხასიათდება.[514] იგი გარკვეულ შემთხვევებში ცალკეულ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის ზრდის ხელშემწყობ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებადაც კი შეიძლება იქნეს მიჩნეული. სწორედ ამ გარემოებებით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ, ჰორიზონტალური შეთანხმებებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურ აგენტთა ვერტიკალურ კოორდინაციასთან მიმართებით ევროპულ რეალობაში კონკურენციის სამართლის აღსრულების კუთხით აშკარად შესამჩნევი და თვალშისაცემია ევროკომისიის გაცილებით უფრო ლმობიერი მიდგომები.

კონკურენციის სამართალში ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის ხელშემწყობ ეფექტებზე საუბარი საფუძველს იღებს ჩიკაგოს სკოლიდან, რომელიც ავითარებს მიდგომას იმასთან დაკავშირებით, რომ ვერტიკალური შეთანხმება ხშირ შემთხვევაში დისტრიბუციის ხარჯების შემცირებით ხელს უწყობს გაყიდვების მასშტაბების ზრდასა და მის გამარტივებას.[515] ევროპულ რეალობაში კი ვერტიკალური შეთანხმებების პოზიტიურ ეფექტებზე აქტიური მსჯელობა მე-20 საუკუნის მიწურულს დაიწყო.[516] მსჯელობის ძირითადი საგანი კი იყო ის, თუ რა როლი და დატვირთვა უნდა ჰქონოდა ეკონომიკურ ანალიზს ბაზრის მონაწილეთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში.[517] აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ინტერპრეტაციის პროცესში ეკონომიკური ანალიზის ფუნქცია არსებითად გაფართოვდა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა კონკურენციის სამართლის მეცნიერებასა თუ პრაქტიკაში.

კონკურენციის პოლიტიკის დონეზე ეკონომიკური ანალიზისა და მიდგომების დამკვიდრებისა და განვითარების კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროკომისიის მიერ ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით 1997 წელს მიღებულმა

---

[514] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 6.

[515] *Akhtar Z.,* Anti-Competitive Effects of Vertical Restraints, *CoRe*, Vol. 2, Iss. 1 (2018), pp. 24-35, 24.

[516] *Galle R., Burdinski S.*, Neuste Entwicklungen bei vertikalen Beschränkungen, EuZW 2021, 439.

[517] *Verouden V.,* Vertical Agreements and Article 81(1) EC: The Evolving Role of Economic Analysis, Antitrust Law Journal, Vol. 71, Issue 2 (2003), pp. 525-576, 525.

ე. წ. *Green paper*-მა.[518] ეკონომიკურ აგენტთა ვერტიკალური კოორდინაციის კონკურენციის სამართლის ფარგლებში შეფასების პროცესში ძირითადი და მოწინავე ადგილი ამ დოკუმენტში სწორედ ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობამ დაიკავა. სხვადასხვა მიზეზებთან ერთად, კომისიის აღნიშნული მიდგომა განპირობებული იყო იმის სურვილით, რომ ცალსახად და მკაფიოდ გაემიჯნათ ერთმანეთისაგან კონკურენციისთვის ზიანის მომტანი და ჯანსაღი კონკურენციის პროცესის ხელშემწყობი ვერტიკალური შეთანხმებები.

კანონმდებელი კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში ასევე გვთავაზობს იმ სამართლებრივ ინდიკატორებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ვერტიკალური შეთანხმებების კონკურენციის შემზღუდველი და ხელშემწყობი გარემოებების მხედველობაში მიღება. კერძოდ, მე-8 მუხლში კანონმდებელი საუბრობს კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებებზე და განსაზღვრავს შესაბამის წინაპირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაცია ავტომატურად გამოირიცხება კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლებიდან.[519] გარდა ამისა, კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებს მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვიდან გამონაკლის ისეთ შემთხვევებს, რომელთა დროსაც ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული კოორდინაცია ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას და ა. შ.

სავარაუდოა, რომ ქართულ კონკურენციის სამართალში მოცემული აღნიშნული მიდგომა ნაკარნახევია ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული მეტი ეკონომიკური მიდგომით (*"more economics-based approach"*). შესაბამისად, ქართველმა კანონმდებელმა სრულიად მართებულად უარი თქვა საკითხის გადაწყვეტის მკაცრ ფორმალურ სამართლებრივ მიდგომაზე. კანონის მე-9 მუხლი ტოვებს სივრცეს იმისათვის, რომ ცალკეული ვერტიკალური შეთანხმება შეფასდეს ინდივიდუალურად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში იქნეს

[518] Commission Green Paper on vertical restraints in EC competition policy, (96) 721, 30.01.1997.
[519] დაწვ. იხ. თ. IV, ქვთ. 4.4.

მიღებული შესაბამისი ბაზრის მოცემულობა და ის ეფექტები, რომელიც ამ ბაზარზე არსებულ კონკურენციასა და მომხმარებელთა კეთილდღეობაზე გააჩნია ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ კოორდინაციას.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემური საკითხი, რომელიც ვერტიკალურ შეთანხმებებს უკავშირდება, მდგომარეობს იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად არის იგი მოწოდებული არჩევანის თავისუფლებისა და დისტრიბუტორებს ან საცალო მოვაჭრეებს შორის არსებული შიდაბრენდული კონკურენციის ხარისხის გაზრდის კუთხით ნებისმიერ შემთხვევაში სიკეთის მომტანი იყოს მომხმარებელთა კეთილდღეობისთვის.[520]

ევროკომისიის განმარტებით, ცალკეულ ვერტიკალურ შეთანხმებაზე კონკურენციის სამართლის გავრცელების აუცილებლობა დგება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ შეთანხმებასთან შემხებლობაში მყოფი შესაბამისი ბაზარი არ გამოირჩევა მაღალი ხარისხის კონკურენციით, რასაც, როგორც წესი, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის ზედა, ქვედა ან ორივე დონეზე მოქმედი ამ შეთანხმების მონაწილე სუბიექტი/სუბიექტები ფლობენ მომეტებულ საბაზრო ძალაუფლებას.[521]

5. შემძენი და მიმწოდებელი

ეკონომიკურ აგენტთა ვერტიკალური კოორდინაციის შინაარსის უფრო ნათლად და მარტივად წარმოსაჩენად მიზანშეწონილია მასში მონაწილე პირებთან მიმართებით გარკვეული დამატებითი ტერმინებისა თუ ცნებების მხედველობაში მიღება. როგორც უკვე აღინიშნა, ვერტიკალური ურთიერთობა გულისხმობს ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზრებზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებას. კანონის მე-7 მუხლისთვის რელევანტური ვერტიკალური ურთიერთობის მონაწილეები გარკვეული საქონლისა თუ მომსახურების წარმოებას/მიწოდებას და/ან შეძენას ნებისმიერ შემთხვევაში საკუთარი კომერციული მიზნების შესაბამისად ახდენენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალკეული ვერტიკალური ურთიერთობის მონაწილეებად გვევლინებიან, ერთი მხრივ,

[520] *Akhtar Z.,* Anti-Competitive Effects of Vertical Restraints, *CoRe*, Vol. 2, Iss. 1 (2018), pp. 24-35, 25.
[521] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 6.

მწარმოებელი/მიმწოდებელი და მეორე მხრივ - შემძენი.[522] ამასთან, მწარმოებელი, რომელიც გარკვეულ პროდუქტს ქმნის, ამავდროულად მიმწოდებლადაც გვევლინება იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი მის მიერ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციას ამ პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტზე ახდენს.

შესაბამისად, ნებისმიერ ვერტიკალურ ურთიერთობასთან მიმართებით შესაძლოა იდენტიფიცირებულ იქნეს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტის ორი სახე - მიმწოდებელი და შემძენი. მიმწოდებელი არის ცალკეული ვერტიკალური ურთიერთობის ფარგლებში შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ზედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკურ აგენტი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, შემძენი წარმოადგენს ცალკეული ვერტიკალური ურთიერთობის ფარგლებში შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტს.

მიმწოდებელიც და შემძენიც შესაბამის ვერტიკალურ ურთიერთობაში ერთვებიან თავიანთი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისთვის რელევანტური შემძენი ვერ იქნება ისეთი სუბიექტი, რომელიც ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებას იძენს პირადი მოხმარების მიზნით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაბამისი სუბიექტი წარმოადგენს მომხმარებელს და არა ეკონომიკურ აგენტს.[523] აქედან გამომდინარე, ასეთ დროს ვერც კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციას ვერ ექნება ადგილი.

VI. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შინაარსი და ადგილი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა სისტემაში

1. ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის ზოგადი შინაარსი

ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების შეძენასთან თუ საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებასთან დაკავშირებული ურთიერთობები თანამედროვე ეკონომიკურ მოცემულობაში ბაზრის მონაწილეებს შორის სხვადასხვა ფორმითა და

[522] *Shenefield J.,* A Survey of the Antitrust Law of Exclusive Agreements, 6 U RICH. Law Review, 1972, 225, 233.
[523] მომხმარებლისა და ეკონომიკური აგენტების ცნებების გამიჯვნასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. II, ქვთ, 1.

შინაარსით ყალიბდება. მდგრადი და სტაბილური კომერციული კავშირები, როგორც წესი, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებს ეფუძნება, რომელიც ეკონომიკურ აგენტებს შორის ცალკეული საქონლის ერთმანეთში მონაცვლეობას, გარკვეული მომსახურების გაწევას ან მიღებას, გასაღების მუდმივი შესაძლებლობებისა და მიწოდების მყარი წყაროების გარანტირებას ისახავს მიზნად. ურთიერთობათა ასეთ სპექტრში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული ვერტიკალური ურთიერთობები, რომელთა საბოლოო დანიშნულებაც გარკვეული საქონლის ან მომსახურების საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებაში მდგომარეობს.

ურთიერთობათა ამ ჯაჭვში ნებისმიერ შემთხვევაში ჩართულია მწარმოებელი, ანუ ჯაჭვის ყველაზე მაღალ დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი. მწარმოებელთან ერთად ამ ჯაჭვის მონაწილეს ასევე წარმოადგენს შუალედური რგოლის მოთამაშე, რომელიც გარკვეული გამტარის როლს ასრულებს და ემსახურება მწარმოებლის მიერ წარმოებული პროდუქტის საბოლოო მომხმარებლამდე მიტანას (მიწოდებას). ასეთი შუამავალი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება განსხვავებული იყოს. ამ მახასიათებლების გათვალისწინებით, მიწოდების ჯაჭვი, რომელიც სხვადასხვა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან შედგება და მიზნად ისახავს ცალკეული პროდუქტის ან მომსახურების საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებას, ხშირ შემთხვევაში, სარეალიზაციო ან სადისტრიბუციო სისტემის სახელითაც არის ცნობილი (*"Vertriebssystem" / "Distribution system"*).[524]

სარეალიზაციო სისტემები, როგორც წესი, მწარმოებლის ინიციატივით ყალიბდება, ვინაიდან ის არის კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების შემქმნელი და თავდაპირველად სწორედ მას უჩნდება იმის ინტერესი, რომ მისი პროდუქტი საბოლოო მომხმარებლამდე მივიდეს. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში მსგავსი სისტემის

[524] *Klotz R.,* Schröter/Jakob/Klotz/Mederer, Europäisches Wettbewerbsrecht, Groko, 2. Auflage, 2014, Rn. 697; *Nolte S.,* Langen/Bunte KartR Kom., Bd., 2, Europäisches KartR, 13. Aufl. 2018, Art. 101 AEUV, Rn. 299.

ჩამოყალიბების ინიციატორი სხვა ეკონომიკური აგენტიც შეიძლება იყოს. ამ უკანასკნელ შემთხვევას, მაგალითად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულ მწარმოებელს ბაზრის გარკვეული გეოგრაფიული არეალი აუთვისებელი აქვს და ცალკეული სუბიექტი გამოდის ინიციატივით, რომ იგი კონკრეტული მწარმოებლის მიერ წარმოებულ პროდუქტს ამ მწარმოებლის მიერ ჯერ კიდევ აუთვისებელ გეოგრაფიულ სივრცეში გაუწევს დისტრიბუციას. პრაქტიკაში ხშირად აქვს ასევე ისეთ შემთხვევას ადგილი, როდესაც ცალკეულ ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტთა სადისტრიბუციო სისტემა უკვე არსებობს და წარმოების დონეზე ახლად შესული ეკონომიკური აგენტი მის მიერ წარმოებული ახალი ბრენდის პროდუქტის რეალიზაციას სწორედ ამ უკვე არსებული სისტემის საშუალებით ესწრაფვის.

სარეალიზაციო სისტემის ორგანიზების ერთ-ერთ გამოვლინებას მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიურ დათქმებზე დაფუძნებული კომერციული ურთიერთობები წარმოადგენს. იგი შესაძლოა მიჩნეულ იქნეს მწარმოებლის მცდელობად მაქსიმალურად აკონტროლოს წარმოების დონიდან საბოლოო მომხმარებლამდე მის მიერ წარმოებული პროდუქტის მიერ გასავლელი გზა.[525] როგორც წესი, ასეთი ურთიერთობები სარეალიზაციო სისტემას უფრო მოქნილსა და ეფექტურს ხდის. გარკვეულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული ასეთი შინაარსის თანამშრომლობა შესაბამის ბაზრებზე კონკურენციის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორადაც კი შეიძლება მოგვევლინოს.

მიუხედავად ამ სიკეთეებისა, ასეთი ურთიერთობა შესაძლოა ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მნიშვნელოვანი საფრთხეების შემცველიც კი აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა შესაბამისი წინაპირობების არსებობისას კონკურენციის შემზღუდველი ვერტიკალური შეთანხმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენლობას ქმნის.[526]

მსგავსი შინაარსის დათქმები, როგორც წესი, ისეთ ხელშეკრულებებში გვხვდება, რომელიც, ერთი მხრივ, მწარმოებელსა და, მეორე მხრივ, დისტრიბუტორს ან საცალო

[525] *Weisbard S.,* Resale Price Maintenance, Exclusive Dealing and Tying Arrangements, Antitrust Bulletin, Vol. 10, Iss. 3, May - June 1965, pp. 341-380, 341.
[526] *Steptoe M. L., Wilson D.,* Developments in Exclusive Dealing, Antitrust, Vol. 10, Iss. 3, 1996, pp. 25-29, 25.

მოვაჭრეს შორის იდება. საკითხის უფრო მარტივად წარმოჩენისთვის ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შემცველი ხელშეკრულებების მხარეებს ასევე მოიხსენიებენ მიმწოდებლისა (მიწოდების ჯაჭვის ზედა დონეზე მოქმედი სუბიექტი) და შემძენის (მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედი სუბიექტი) სახელით.[527]

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმები ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ექსკლუზიური მიწოდების ან შეძენის ვალდებულების გარკვეულ ფორმებს აყალიბებენ.[528] იგი შესაძლოა განიმარტოს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი, რომლის შედეგადაც შემძენი და/ან მიმწოდებელი ერთმანეთის წინაშე კისრულობენ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ექსკლუზიური შეძენის/მიწოდების ვალდებულებას.[529]

აღსანიშნავია, რომ ექსკლუზიური შინაარსის მატარებელი შეთანხმებების გარდა ეკონომიკურ აგენტთა ვერტიკალური კოორდინაცია პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმითა თუ შინაარსით გვხვდება. შესაბამისად, ვერტიკალური შეთანხმების ქოლგის ქვეშ ერთიანდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმით გათვალისწინებულ კოორდინაციათა საკმაოდ ფართო სპექტრი. აღნიშნულ მრავალფეროვნებაში კი არსებობს გარკვეული საერთო კანონზომიერებები თუ მახასიათებლები, რომელიც ყველა ვერტიკალური შეთანხმებისათვის საერთოა და რომელიც მათ კონკურენციის შემზღუდველი ჰორიზონტალური შეთანხმებებისაგან განასხვავებს.

ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობასთან მიმართებით ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც მართლმსაჯულების სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების ფარგლებში განიხილა, შეეხებოდა მწარმოებლის მიერ კონკრეტული დისტრიბუტორისთვის ევროპული კავშირის წევრ ცალკეულ სახელმწიფოებში

[527] *Spinks, S. O.,* Exclusive Dealing, Discrimination and Dicounts under EU Competition Law, ALJ, Vol. 67, N3, 2000, PP. 641-670, 650.

[528] დაწვ. იხ. თ. V, ქვთ. 5; *Mestmäcker E. J., Schweitzer H.,* Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Auflage 2014, Rn. 42.

[529] *Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 1. Kom. Zum Europäichen KartR, 6. Aufl., 2020, AEUV 102. Rn. 214; შეად. *Marwell H. P.,* Exclusive Dealing, J. L&E., Vol. 25, N1, 1988, PP 1-25, 1; *Steptoe M. L., Wilson D.,* Developments in Exclusive Dealing, Antitrust, Vol. 10, Iss. 3, 1996, pp. 25-29, 25.

გარკვეული პროდუქტის მიწოდების ექსკლუზიური უფლების მინიჭებას. ეს შეთანხმება ასევე ითვალისწინებდა ექსკლუზივის მფლობელი დისტრიბუტორის აბსოლუტური ტერიტორიული დაცვის გარანტიებს, რაც გულისხმობდა მის სამოქმედო ტერიტორიაზე მესამე პირების ოპერირების პრევენციასა და დისტრიბუტორის ვალდებულებას, არ მოეხდინა შესაბამისი პროდუქტის რეალიზება შეთანხმებით გათვალისწინებული ტერიტორიის ფარგლებს მიღმა. დისტრიბუტორის ვალდებულებას ასევე წარმოადგენდა კომერციული ურთიერთობა არ დაემყარებინა მწარმოებლის კონკურენტებთან და შესაბამის ბაზარზე არ მოეხდინა კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზება.[530]

როდესაც ერთი და იგივე ბრენდის დისტრიბუტორებს შორის არსებობს ჯანსაღი კონკურენცია, ისინი იძულებულნი არიან შეამცირონ თავიანთი მოგების მარჟა, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მომხმარებელთა ინტერესებზე.[531] მწარმოებელსა და დისტრიბუტორს ან დისტრიბუტორსა და საცალო მოვაჭრეს შორის დადებული ვერტიკალური ექსკლუზიური დათქმის მქონე შეთანხმება კი ზიანს აყენებს სწორედ ასეთ შიდაბრენდულ კონკურენციას. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დისტრიბუციის ან საცალო ვაჭრობის დონეზე ცალკეულ ბრენდთან მიმართებით ერთი ეკონომიკური აგენტი მოიპოვებს ერთპიროვნულ ძალაუფლებას, რაც გამორიცხავს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებასთან დაკავშირებით შიდაბრენდული კონკურენციის არსებობას.

2. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ადგილი კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ფორმათა სისტემაში

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ზოგადი შინაარსობრივი ასპექტების განხილვისას აღინიშნა, რომ კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში ექცევა ისეთი ქმედებები, როგორიცაა კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება ან გადაწყვეტილება. ასევე აღინიშნა, რომ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების სუბიექტია ეკონომიკური აგენტი, ხოლო გადაწყვეტილების

[530] ECLI:EU:C:1969:35, *"Franz Völk,"* Case 5-69, 09.07.1969, § 4.
[531] *Akhtar Z.,* Anti-Competitive Effects of Vertical Restraints, *CoRe*, Vol. 2, Iss. 1 (2018), pp. 24-35, 25.

- ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია. ამ სისტემის გათვალისწინებით ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესის ეტაპობრივი ანალიზის ფარგლებში აუცილებელია განისაზღვროს კოორდინაციის ის ფორმა/ფორმები, რომლის/რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პრაქტიკაში ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური შეთანხმების ჩამოყალიბება.

როგორც წესი, ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების საშუალებით ყალიბდება. ასეთი ხელშეკრულების ის ნაწილი თუ პუნქტი, რომელიც ექსკლუზიური მიწოდების ან შესყიდვის ვალდებულებას ადგენს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის სახელით არის ცნობილი. აქედან გამომდინარე, შეიძლება დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაცია ეკონომიკურ აგენტებს შორის მხოლოდ ხელშეკრულების საშუალებით ყალიბდება. თუმცა კანონის მე-7 მუხლის ფორმულირება მსგავსი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. ნორმის დისპოზიცია კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული შეთანხმებების მიღწევას უშვებს არა მარტო კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, არამედ შეთანხმებული ქმედებისა თუ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების საშუალებითაც.

ერთი შეხედვით რთულად წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა მოხდეს მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის ჩამოყალიბება ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების საშუალებით. აღნიშნული ფაქტობრივი კონსტელაციის უკეთ გასაანალიზებლად შესაძლოა მხედველობაში იქნეს მიღებული ეკონომიკურ აგენტთა ისეთი ასოციაცია, რომლის წევრ ეკონომიკურ აგენტებსაც წარმოადგენენ გარკვეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ყველა ან რამდენიმე დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები, ანუ მეწარმე სუბიექტების მთელი ან გარკვეული ვერტიკალი. თეორიულად შესაძლებელია, რომ ასეთმა ასოციაციამ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება,

რომლის მიხედვითაც ცალკეული პროდუქტის გარკვეულ მწარმოებელსა და ამ პროდუქტის დისტრიბუტორს შორის ჩამოყალიბდეს ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველზე კონკრეტულ მწარმოებელს შესაძლოა დაეკისროს ვალდებულება ექსკლუზიურად მხოლოდ ერთ დისტრიბუტორს მიაწოდოს მის მიერ წარმოებული პროდუქტი, ხოლო დისტრიბუტორის ვალდებულებად შესაძლოა განისაზღვროს მხოლოდ ამ კონკრეტული მწარმოებლის მიერ წარმოებული პროდუქტის შეძენა და რეალიზება. შესაძლებელია ამავე ან სხვა გადაწყვეტილებით ანალოგიური შინაარსის ვალდებულებები სხვა მწარმოებლებისა და დისტრიბუტორებისთვისაც განისაზღვროს.

ასეთ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული ექსკლუზიური ვერტიკალური ვალდებულების შემცველი გადაწყვეტილება ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს. ამასთან, იგი ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების შემცველი ხელშეკრულების იდენტური ეფექტებითა და სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგებით გამოირჩევა. შესაბამისად, კონკურენციის სამართლის ამოცანებისა და მიზნების გათვალისწინებით, აუცილებელია ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ასეთი გადაწყვეტილება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში მოექცეს. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების მსგავსად, კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების იმ პუნქტსა თუ ნაწილს, რომელიც ექსკლუზიური მიწოდების ან შესყიდვის ვალდებულებას ადგენს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს, შესაძლოა პირობითად ასევე ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა ეწოდოს.

ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების მსგავსად, თეორიულად შესაძლებელია ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა ასევე ჩამოყალიბდეს შეთანხმებული ქმედების სახით. ასეთ შემთხვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ცალკეული პროდუქტის ან მომსახურების მიწოდების სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისათვის რელევანტური კონტაქტის საფუძველზე ყალიბდება.

მოცემული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის მიღწევა ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს შორის შესაძლებელია როგორც ხელშეკრულების, ასევე შეთანხმებული ქმედებისა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების საშუალებით. აქედან გამომდინარე, ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის (სხვა აუცილებელ წინაპირობებთან ერთად) საკმარისია სახეზე იყოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კოორდინაციის ფორმათაგან (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება) ერთ-ერთი მაინც.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის ჩამოყალიბებას შეთანხმებული ქმედების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების საშუალებით პრაქტიკაში, ხელშეკრულებასთან შედარებით, იშვიათად შეიძლება ჰქონდეს ადგილი. აღნიშნული განპირობებულია საკუთრივ ვერტიკალური ექსკლუზიური ურთიერთობის ჩამოყალიბების თავისებურებებით. როგორც წესი, ასეთი ურთიერთობა შესაბამისი პირობების შეთანხმების მიზნით მასში ჩართულ ეკონომიკურ აგენტებს შორის უფრო მეტად ინტენსიურ კონტაქტს საჭიროებს, ვიდრე ამას შეთანხმებული ქმედების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ვერტიკალური ექსკლუზიური ურთიერთობის ჩამოყალიბება ხშირ შემთხვევაში მხარეებს შორის შესაბამისი პირობების პირდაპირი შეთანხმების შედეგია, რომელიც უფრო მეტად ხელშეკრულების და არა შეთანხმებული ქმედების ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების სახეს ატარებს.

სწორედ აღნიშნული გარემოებები განაპირობებს იმ ფაქტს, რომ წინამდებარე ნაშრომი ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების სახით უფრო მეტად ფოკუსირებულია კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებზე და არა ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ასოციაციის გადაწყვეტილება ან

შეთანხმებული ქმედება. თუმცა, წარმოდგენილ ნაშრომში ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შემცველი ხელშეკრულების ფარგლებში იდენტიფიცირებული და გაანალიზებული შესაბამისი გარემოებები თუ პარამეტრები ასევე რელევანტურია გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული ქმედებისთვისაც.

3. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა, როგორც მთლიანი შეთანხმების ნაწილი

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ეკონომიკური აგენტები ერთმანეთთან სხვადასხვა სახისა თუ შინაარსის კომერციულ ურთიერთობებს ამყარებენ. იგივე ითქმის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციებზე, რომლებიც თავიანთი ფუნქციისა თუ კომპეტენციის ფარგლებში არაერთ გადაწყვეტილებას იღებენ. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა თუ ურთიერთობა შეგვიძლია აღნიშნულ ურთიერთობათა და გადაწყვეტილებათა ფართო სპექტრის ერთ-ერთ პატარა ნაწილად და ელემენტად წარმოვიდგინოთ.

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში შესაფასებლად არ არის აუცილებელი მთლიანი ხელშეკრულება ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება მხოლოდ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის მომწესრიგებელი პუნქტებისა თუ ნაწილებისაგან შედგებოდეს. პრაქტიკაში უფრო ხშირად აქვს ადგილი შემთხვევას, როდესაც ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობასთან დაკავშირებული დათქმები თუ ნორმები ცალკეულ ხელშეკრულებასა თუ გადაწყვეტილებაში არის ინტეგრირებული. ასეთი ხელშეკრულება და გადაწყვეტილება, როგორც წესი, ცალკეულ კომერციულ ურთიერთობასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს აწესრიგებს. ასეთ შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიიჩნევა არა მთლიანი ხელშეკრულება ან გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის მომწესრიგებელი დათქმები და ნორმები.

შესაბამისად, ცალკეულ კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა მთლიან კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებას არ აქცევს კონკურენციის

შემზღუდველ შეთანხმებად. ამ შემთხვევაში თვითონ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ფაქტობრივ შემადგენლობას, რომელიც კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებისაგან თვისობრივად განსხვავებულ სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესი გულისხმობს არა მთლიანი გადაწყვეტილების, ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედების შინაარსის კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში შეფასებას, არამედ ასეთ დროს კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებში ფასდება მხოლოდ, ის ნორმები და დათქმები, რომლებიც ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებს აყალიბებენ. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს სხვა პუნქტებისა თუ დათქმების სრულ იგნორირებას, ვინაიდან რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სამართლებრივი თუ ეკონომიკური მოცემულობის განსაზღვრისათვის კომერციული ურთიერთობის ნებისმიერი ასპექტი შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი აღმოჩნდეს.

4. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ადგილი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა შინაარსობრივ სისტემაში

კანონის მე-7 მუხლი, TFEU 101 მუხლის მსგავსად, პირველი პუნქტის სპეციალურ ნაწილში ჩამოთვლის შეთანხმებათა გარკვეულ ფორმებსა და მაგალითებს, რომლებიც ექვემდებარებიან შესაბამის აკრძალვებს იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ამავე პუნქტის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები. პირველი სამართლებრივი პრობლემა, რომელსაც განსახილველი ნორმის აღნიშნული ნაწილი ქმნის უკავშირდება იმის განსაზღვრას, თუ რამდენად არის აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავი და რამდენად არის შესაძლებელი ეკონომიკურ აგენტთა ისეთი ქმედება მოექცეს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ ჩამონათვალში. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კი ნორმის განმარტების მეთოდების გამოყენებითა და საუკეთესოო ევროპული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ზოგადი ნაწილი მთავრდება სიტყვით - „კერძოდ.“ კანონმდებლის აღნიშნული მიდგომა აჩენს იმის განცდას, რომ ამავე პუნქტის სპეციალურ ნაწილში ჩამოთვლილი შემთხვევები წარმოადგენს, კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვის ქვეშ მოქცეულ ქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს. თუმცა განსახილველი ნორმის მსგავსი სიტყვასიტყვითი განმარტება ვერ იქნება მიზანშეწონილი იმდენად, რამდენადაც ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად დაავიწროებს მისი მოქმედების ფარგლებს.

კანონის მე-7 მუხლის, ისევე როგორც კონკურენციის კანონმდებლობაში არსებულ ნორმათა განმარტებისას ძირითადი ამოსავალი წერტილი კონკურენციის სამართლის მიზნები და ამოცანები უნდა იყოს.[532] აღნიშნულის შესაბამისად, სამართლის ამ სფეროში არსებული ნორმები ისე უნდა განიმარტოს, რომ იგი კონკურენციის კანონმდებლობის საფუძვლად არსებული მიზნების მიღწევის ეფექტიან მექანიზმად იქცეს. ამისათვის კი აუცილებელია კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში მოექცეს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელსაც შესწევს უნარი არსებითი ზიანი მიაყენოს ჯანსაღი კონკურენციის ბუნებრივ პროცესს და რომელიც აკმაყოფილებს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის სპეციალურ ნაწილში ჩამოთვლილი ქმედებები ექცევიან შესაბამისი აკრძალვის ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები აკმაყოფილებენ ამავე პუნქტის ზოგადი ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა ასეთი ქმედებების ჩამონათვალი ვერ იქნება ამომწურავი. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ვიწრო განმარტება, შეიცავს საფრთხეს იმასთან დაკავშირებით, რომ ნორმით დადგენილი აკრძალვის ფარგლებს მიღმა დარჩეს ჯანსაღი კონკურენციისთვის არსებითი საფრთხის შემქმნელ კოორდინაციათა ისეთი ფორმა, რომლიც, მართალია, პირდაპირ არ არის მოცემული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის სპეციალურ ნაწილში არსებულ ჩამონათვალში, თუმცა აკმაყოფილებს ამავე პუნქტის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

[532] კონკურენციის კანონმდებლობის ნორმათა განმარტების მეთოდებთან დაკ. დაწვ. იხ. თ. I, ქვთ 6.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ჩამონათვალის ამომწურავობაზე აქცენტის გაკეთება ეწინააღმდეგება ევროპულ კონკურენციის სამართალში დამკვიდრებულ მიდგომებს.[533] ევროპულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ დოქტრინაში ერთხმად არის აღიარებული მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ TFEU 101-ე მუხლში მოცემული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სპეციალური სახეების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.[534] აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი ევროპული გამოცდილების გამოძახილს, რომლის ფარგლებში აღიარებულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა ამკრძალავ ნორმას მაქსიმალურად ფართო ფარგლები უნდა გააჩნდეს, რათა მან მოიცვას ნებისმიერი ისეთი შეთანხმება, რომლის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა. ამ შემთხვევაში მთავარი ამოსავალი წერტილია კონკურენციის ბუნებრივი პროცესისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დაცვის ინტერესები, რომელიც მოითხოვს, რომ აკრძალვას დაექვემდებაროს ეკონომიკურ აგენტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ნებისმიერი ისეთი ფორმა, რომელიც საფრთხეს უქმნის ნორმითა და მთლიანად კონკურენციის კანონმდებლობით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებს.

ქართულ და ევროპულ კონკურენციის სამართალში არსებული მიდგომებისაგან განსხვავებით, გერმანული კანონმდებლობა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებთან მიმართებით განსხვავებული მოწესრიგებით გამოირჩევა. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ GWB-ის პირველი მუხლი არ შეიცავს არანაირ მითითებას კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებათა სპეციალურ შემთხვევებთან მიმართებით. გერმანელი კანონმდებელი ამ კუთხით ერთი ზოგადი ამკრძალავი დათქმის გათვალისწინებით შემოიფარგლება, რომელიც თითქმის იგივე შინაარსითა და ფორმულირებით გამოირჩევა, როგორც კანონის მე-7 და TFEU-ის 101-ე მუხლები. ამ შემთხვევაში გერმანელმა კანონმდებელმა მიზანმიმართულად შეიკავა თავი შესაბამის ამკრძალავ ნორმაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების სპეციალური

[533] *ჟვანია ნ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 173.
[534] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 210.

ფორმებისა თუ სახეების ჩამონათვალის გაკეთებისაგან. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ასეთ დროს ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კანონის მე-7 მუხლის გამოყენებისას პირველი პუნქტის კერძო ნაწილი არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს იგი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ფორმათა ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებთან მიმართებით კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის კერძო ნაწილი არანაირ სპეციალურ მითითებას არ შეიცავს, მაინც არის შესაძლებელი, რომ მსგავსი შინაარსის კოორდინაცია კანონის აღნიშნულ მუხლთან მიმართებით შეფასდეს. შეფასების შედეგად თუ დადგინდება, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის მიზანი ან შედეგია კონკურენციის შეზღუდვა და მასზე არ ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისები, მაშინ იგი ავტომატურად დაექვემდებარება შესაბამის აკრძალვას.

ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გარკვეულ შემთხვევებში ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმაზე დაფუძნებული კოორდინაცია შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილებისას შესაძლოა მოექცეს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ შეთანხმების შინაარსობრივ ფორმათა გარკვეული ნაწილის ფარგლებში. ამ კუთხით ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, სადაც ბაზრის შეზღუდვაზე არის საუბარი. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა, როგორც წესი, ამ ურთიერთობის მიღმა დარჩენილი ეკონომიკური აგენტებისთვის ბაზრის შემზღუდველი ეფექტებით გამოირჩევა. ამ კუთხით საუბარი ასევე შესაძლებელია კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებაზე, რომელიც გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესების გზით მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენებას ეხება. თუმცა ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად

კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი ცალკეულ შემთხვევაში იგი კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებათა შემადგენლობას ემთხვეოდეს. აღნიშნული კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი მაქსიმალურად ფართოდ უნდა განიმარტოს და მისი მოქმედების ფარგლებში უნდა მოექცეს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც აკმაყოფილებს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

5. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ადგილი კონკურენციის შეზღუდვის ფორმათა სისტემაში

ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკურენციის შეზღუდვის ელემენტი.[535] კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის მე-7 მუხლის აკრძალვის ფარგლებში ექცევა ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული მხოლოდ ისეთი შეთანხმება, რომელიც მოწოდებულია ამ შეთანხმებასთან შემხებლობაში მყოფ შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენცია. აქედან გამომდინარე, მოულოდნელობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში კონკურენციის შეზღუდვის ელემენტი გადამწყვეტი როლის მატარებელია.

კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის ანალიზი ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებთან მიმართებით გარკვეული სირთულეებით ხასიათდება. აღნიშნულ სირთულეს კი ამ ურთიერთობის შინაარსი და მისი მახასიათებლები განაპირობებს. ამ კუთხით ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის მთავარი თავისებურება ვლინდება იმ ფაქტში, რომ იგი ყველა შემთხვევაში არ წარმოადგენს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველ შეთანხმებას. იგი ხშირ შემთხვევაში კონკურენციის პროცესის წამახალისებელ ფაქტორადაც კი შეიძლება მოგვევლინოს.[536] აქედან გამომდინარე, ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობები არ აყალიბებენ კონკურენციის

[535] კონკურენციის შეზღუდვის ელემენტთან დაკ. დაწვ. იხ. თ. IV.
[536] *Steptoe M. L., Wilson D.,* Developments in Exclusive Dealing, Antitrust, Vol. 10, Iss. 3, 1996, pp. 25-29, 25.

შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებს და ისინი ავტომატურად არ ექცევიან კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული *per se* აკრძალვის ფარგლებში.[537]

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებთან ერთად, კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების მქონე შეთანხმების სახით კანონის მე-7 მუხლი ასევე იცნობს კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის მეორე ფორმასაც. ეკონომიკურ აგენტთა ასეთი კოორდინაციის შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისთვის აუცილებელია შეფასდეს მისი როგორც კონკურენციის შემზღუდველი, ასევე კონკურენციის პროცესის ხელშემწყობი გარემოებები თუ ფაქტორები. შეთანხმებათა სწორედ ამ კატეგორიაში ექცევა ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობებიც, რომელთა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ეფექტების სიღრმისეული და დეტალური ანალიზი არის აუცილებელი. ეკონომიკურ აგენტთა მსგავსი შინაარსის თანამშრომლობა კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში ექცევა მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი ანალიზის საფუძველზე დადგინდება, რომ ის კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტებით გამოირჩევა.

6. ზოგადი მიმართება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას შორის არსებული მნიშვნელოვანი კონცეპტუალური განსხვავებების მიუხედავად, ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებთან მიმართებით მათ შორის მკაფიო განსხვავებების იდენტიფიცირება მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება სხვადასხვა სახის ქმედებებთან ერთად ასევე მოიცავს დომინანტური მდგომარეობის მქონე მიმწოდებლის მიერ მყიდველისთვის ისეთი ვალდებულების დაკისრებას, რომელიც გულისხმობს ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ექსკლუზიურ შეძენას მხოლოდ ამ

[537] *Rosch T.,* Evolution of Exclusive Dealing Law, 7, Sedona, conf. J. 2006, 51; *ჟვანია ნ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 296.

მიმწოდებლისაგან.[538] ანალოგიური შინაარსის ვალდებულების საპირისპირო გამოვლინებას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დომინანტი შემძენი იგივე მიდგომას მიმწოდებლის მიმართ იყენებს.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების შეფასების ძირითად მიზანს დომინანტი მიმწოდებლების მხრიდან ექსკლუზიური ვალდებულების კონკურენციის შეზღუდვის ერთ-ერთ მექანიზმად გამოყენების პრევენცია წარმოადგენს.[539] აქედან გამომდინარე, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა შესაძლებელია ერთ შემთხვევაში დაკვალიფიცირდეს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად, ხოლო სხვა შემთხვევაში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.[540]

ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ბაზარზე კონკრეტული დომინანტი ეკონომიკური აგენტის ოპერირება უკვე თავისთავად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ამ ბაზარზე კონკურენციის ხარისხი შემცირებულია. ხოლო მაშინ, როდესაც ეს დომინანტი ეკონომიკური აგენტი ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების შედეგად მყიდველს აიძულებს შესაბამისი საქონელი ან მომსახურება ექსკლუზიურად შეიძინოს მხოლოდ მისგან, ისედაც დაბალი ხარისხის კონკურენცია კიდევ უფრო მცირდება იმდენად, რამდენადაც სხვა მიმწოდებლებს ეზღუდებათ ბაზარზე თავისუფალი ოპერირებისა და საქონლისა თუ მომსახურების რეალიზების თავისუფალი შესაძლებლობა. აღნიშნული კი განპირობებულია ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების გამომრიცხავი ეფექტით, რომლის შედეგადაც დომინანტი ეკონომიკური აგენტი საკუთარი საბაზრო ძალაუფლების შედეგად მომხმარებლებს ართმევს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას და ამ გზით საკუთარი ეკონომიკური

[538] ECLI:EU:C:1979:36, *"Hoffmann-La Roche,"* Case 85/76, 13.02.1979, § 121.

[539] *Spinks, S. O.,* Exclusive Dealing, Discrimination and Dicounts under EU Competition Law, ALJ, Vol. 67, N3, 2000, PP. 641-670, 650.

[540] Busche J., KölKom, Bd. 3, 2016, § 102 AEUV, Rn. 219; *Eilmansberger T., Bien F.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 102, Rn. 578; *აკოლაშვილი მ., სერგია ნ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 432.

ინტერესების სასარგებლოდ ამცირებს კონკურენტების საბაზრო წილებს და იკავებს მათ საბაზრო პოზიციებს.

დომინანტ მიმწოდებელსა და შემძენს შორის დადებული ისეთი ხელშეკრულებები, რომლებითაც გათვალისწინებულია ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმები, შესაძლოა ასევე მოიცავდეს გარკვეულ ფასდათმობებთან დაკავშირებულ დებულებებს (*"fidelity discounts"; "loyalty rebates"*), რომლებიც კიდე უფრო აძლიერებენ მსგავსი ხელშეკრულებების კონკურენციის შემზღუდველ და კონკურენტი ეკონომიკური აგენტების შესაბამისი ბაზრიდან გამომრიცხავ ეფექტებს (*"Foreclosure effect"*). მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მიერ შეთავაზებული მსგავსი ფასდათმობები მყიდველში აჩენს ძლიერ მოტივაციასა და იმპულსებს, რომ კონკრეტულ საქონელსა თუ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები დაიკმაყოფილონ შესაბამისი დომინანტი მიმწოდებლისაგან, რასაც ფაქტობრივად იგივე გამომრიცხავი ეფექტები გააჩნია, რაც ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებს.[541]

ასეთ დროს ცალკეულ ქმედებასთან მიმართებით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ხდება საკუთრივ ამ ქმედების მახასიათებლებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში მთავარი ამოსავალი წერტილია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ატარებს ქმედება ცალმხრივ ხასიათს. ერთმნიშვნელოვნად ცალმხრივი ქმედების განხორციელების შემთხვევაში იგი უნდა შეფასდეს მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმის საფუძველზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქმედების განხორციელება ხდება კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის დამყარებასთან დაკავშირებული ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის თანხმვედრი ნების საფუძველზე მაშინ იგი უნდა შეფასდეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში.

თუმცა პრაქტიკაში ცალმხრივი და მრავალმხრივი ქმედების ერთმანეთისაგან გამიჯვნა განსაკუთრებული სირთულეებით გამოირჩევა. მნიშვნელოვან პრობლემას

[541] ECLI:EU:C:1979:36, *"Hoffmann-La Roche,"* Case 85/76, 13.02.1979, § 110.

ქმნის შემთხვევა, როდესაც ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება იდება მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედების საფუძველზე, რომელიც გარკვეულ მსგავსებებს ავლენს სრულად ცალმხრივ ქმედებასთან.[542]

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევაში ასევე შესაძლებელია ერთი და იგივე ქმედების მიმართ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმების ერთობლივი გამოყენება. აღნიშნულზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ცალკეული ქმედების მიმართ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის გამოყენება არ გამორიცხავს ამავე ქმედების მიმართ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმის გამოყენების შესაძლებლობას.[543] უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავ ნორმათა პარალელური გამოყენებაც.[544] შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული ქმედება შესაძლოა ერთდროულად წარმოადგენდეს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებასაც და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასაც. მსგავს შემთხვევას ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების გამოყენების შემთხვევაში.

VII. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების სისტემაში

1. გამონაკლისების სისტემა

ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული ის კოორდინაცია, რომელიც აკმაყოფილებს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ფორმალურ წინაპირობებს, შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში მაინც არ მოექცეს დასახელებული ნორმით დადგენილი აკრძალვის ქვეშ და მასზე არც ამავე მუხლის მეორე პუნქტით

[542] მოჩვენებითად ცალმხრივ ქმედებასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. III, ქვთ. 2.2.
[543] ECLI:EU:T:1990:41, *"Tetra Pak Rausing SA,"* Case T-51/89, 10.07.1990, § 21.
[544] ECLI:EU:C:1989:140, *"Ahmed Saeed Flugreisen,"* Case 66/86, 11.04.1991, § 37; ECLI:EU:T:1990:41, *"Tetra Pak Rausing SA,"* Case T-51/89, 10.07.1990, § 21.

გათვალისწინებული ბათილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები არ გავრცელდეს. კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულია მთელი რიგი იმ საგამონაკლისო ნორმებისა, რომელთა გამოყენებისთვის აუცილებელი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმების გამოყენების შესაძლებლობა ავტომატურად გამოირიცხება. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვებიდან გამონაკლისების დამდგენი ნორმების გარეშე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისები კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში განცალკევებულად არის მოწესრიგებული, იგი მაინც კანონის მე-7 მუხლთან ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული.[545]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების სისტემა, რომელიც ქართულ რეალობაში როგორც საკანონმდებლო ასევე კანონქვემდებარე ნორმებისაგან შედგება, ემსახურება ისეთი უსაფრთხო სივრცის შექმნას, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებათა გარკვეული კატეგორია დაცული იქნება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გავრცელებისაგან.[546] საგამონაკლისო სისტემა განსაზღვრავს ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ იმ შეთანხმებათა მახასიათებლებსა და წინაპირობებს, რომლებიც ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის ნაკლები საფრთხეებით გამოირჩევიან ან მათგან მომდინარე საფრთხეებს მნიშვნელოვნად აღემატება ის სიკეთეები, რომელიც ამ შეთანხმებებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება თითქოს გამონაკლისების ეს სისტემა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის შინაარსთან თუ მიზნებთან გარკვეულ ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იმყოფება. თუმცა უფრო ფართო კონტექსტსა და განზომილებაში მსგავსი მოსაზრება ვერ იქნება

[545] შეად. *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 997.

[546] *McKenna C.,* New Competition Rules for Vertical Agreements, International Journal of Franchising Law , Vol. 8, Iss. 3 (2010), pp. 33-36, 33.

გაზიარებული. კონკურენციის სამართლის თეორიისა თუ მისი სულისკვეთების გათვალისწინებით, როგორც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი, ასევე ამ აკრძალვიდან გამონაკლისების დამდგენი სისტემა ერთნაირ მოტივებს ეფუძნება და ფართო კონტექსტში ორივე მათგანს იდენტური მიზნები გააჩნია.[547]

აღნიშნული საერთო მიზნები, თავის მხრივ, მოიცავს ეფექტიანი კონკურენციის ჯანსაღი პროცესის გარანტირებასა და დაცვას. ამ მიზნის მისაღწევად კანონმდებელი სამართლებრივ აკრძალვას უქვემდებარებს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველ შეთანხმებებს და ამავდროულად ითვალისწინებს საგამონაკლისო ნორმებს, რომლებიც გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს, საკუთრივ, დასახელებული აკრძალვის გავრცელების არეალსა და შესაბამისი ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებს. ამ გზით კანონმდებელი მის მიერვე დაწესებული აკრძალვის ინტენსივობისა და მასშტაბების ლეგიტიმურ მიზანთან თანაზომიერების საკანონმდებლო გარანტიებს აყალიბებს. აღნიშნულის შედეგად კი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა საბაზრო პროცესებში ერევა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ინტენსივობით, რომელიც ცალკეულ შესაბამის ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის დასაცავად თუ მის მისაღწევად არის აუცილებელი. სწორედ ამ გარემოებაში ვლინდება ის ფაქტი, რომ კანონის მე-7 მუხლსა და ამ მუხლით დაწესებული აკრძალვებიდან საგამონაკლისო ნორმები ფართო კონტექსტში იდენტური მიზნების მიღწევას ემსახურებიან.

აღნიშნულ საგამონაკლისო ნორმებს ცალკეულ შემთხვევაში ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შემცველი ურთიერთობების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაცია, როგორც წესი, არ ქმნის კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შემადგენლობას და იგი ხშირ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტებით ნაკლებად გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, სხვა ბევრი სახის კოორდინაციის ფორმასთან

[547] *Pohlman P.,* in Jaeger/Kokott/Pohlmann/Schroeder, FraKom zum KartR, 2021, Grf. Art. 81 Abs. 3 EG, Rn 21; *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 509.

შედარებით, ექსკლუზიურ ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით საგამონაკლისო ნორმების გავრცელების ალბათობა უფრო დიდია.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების ქართული სისტემა ორი ზოგადი ალტერნატიული მიმართულებისაგან შედგება. ერთი მიმართულება ეფუძნება კოორდინაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილებს, რომელიც გათვალისწინებულია კანონის მე-8 მუხლით. ამ შემთხვევაში საუბარია კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებებზე, რომელსაც ვერტიკალური კოორდინაციის შემთხვევაში ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები არ აღემატება 15 პროცენტს.[548]

ხოლო მეორე იმ დამატებით სარგებელსა და ბენეფიტებს, რომელიც შესაძლოა ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ კოორდინაციასთან იყოს დაკავშირებული. აღნიშნულის შესაბამისად, ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებთან მიმართებით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების სისტემის გამოყენება ორი ალტერნატიული ტესტის გამოყენებით უნდა მოხდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ტესტის წინაპირობების დაკმაყოფილებაც კი საკმარისია იმისათვის, რათა კონკრეტული ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა კონკურენციის შემზღუდველი ნორმის მოქმედების ფარგლებიდან გამოირიცხოს.

2. ეფექტიანობის ტესტი

2.1. შინაარსი და წინაპირობები

კანონის მე-8 მუხლისაგან განსხვავებით, კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო ნორმების გამოყენების ძირითადი ამოსავალი წერტილი არ არის შეთანხმების მონაწილეთა საბაზრო პოზიციები. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ძირითად აქცენტებს შეთანხმების შინაარსობრივ ასპექტებსა და მისგან მომდინარე სხვადასხვა ფორმისა თუ ინტენსივობის ეფექტებზე აკეთებს. ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესის გამოყენების შესაძლებლობა დღის

[548] დაწვ. იხ. თ. IV. ქვთ. 4.4.

წესრიგში მხოლოდ მაშინ დგება, როდესაც სახეზე იქნება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება, რომლის მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილები კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობებში არ ექცევიან.[549]

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, მიუხედავად მცირე ტექნიკური განსხვავებებისა, შინაარსობრივად GWB-ის მე-2 პარაგრაფის პირველ პუნქტს ემთხვევა. ამ კუთხით ქართველმა და გერმანელმა კანონმდებლებმა ნორმათა ტექნიკური ორგანიზების კუთხით ერთი და იგივე მიდგომა აირჩიეს, როდესაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი და ამ აკრძალვიდან გამონაკლისი წესების დამდგენი ნორმები სხვადასხვა მუხლებში მოაწესრიგეს. გერმანული საგამონაკლისო ნორმა კი, თავის მხრივ, სიტყვასიტყვით იმეორებს TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსსა და ფორმულირებას.

შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, ქართულ და, მეორე მხრივ, ევროპულ და გერმანულ კონკურენციის სამართალში ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის მიმართ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმიდან გამონაკლისების გამოყენება, მიუხედავად მცირე ტექნიკური განსხვავებებისა, თითქმის იდენტურ წინაპირობებს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნორმა და მასთან დაკავშირებით ევროპული და გერმანული ორგანოების მიერ განვითარებული პრაქტიკული მიდგომები კანონის მე-9 მუხლის განმარტების პროცესში მნიშვნელოვანი ღირებულების მატარებელია.

ევროპულ იურიდიულ ლიტერატურაში TFEU 101-ე მუხლის მესამე პუნქტის დისპოზიციას ოთხ ძირითად ელემენტად თუ წინაპირობად ყოფენ და განიხილავენ. იგივე მიდგომა არის განვითარებული ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში, სადაც აღნიშნულ წინაპირობათა შემდეგი ფორმითა და შინაარსით კლასიფიკაცია არის მოცემული: **I.** შეთანხმება უნდა აუმჯობესებდეს საქონლის წარმოებას ან დისტრიბუციას ან ხელს უნდა უწყობდეს ტექნიკურ ან ეკონომიკურ პროგრესს; **II.** იგი უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებლებზე შექმნილი სარგებლის სამართლიანად

[549] კვალიფიკაციის პროცესში ეფექტიანობის ტესტის ადგილთან დაკ. დაწვ. იხ. თ. VII, ქვთ. 2.4.

გადანაწილებას; **III.** შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უნდა უწესებდეს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ შეთანხმების მიზნების მიღწევასთან; **IV.** შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ უნდა აძლევდეს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.[550]

ფაქტობრივად ანალოგიური წინაპირობები არის მოცემული კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც პირობითად ზოგად და კერძო ნაწილად ან ნეგატიურ და პოზიტიურ წინაპირობებად შეიძლება დაიყოს. დასახელებული პუნქტის ზოგადი ნაწილი მოიცავს ორ პოზიტიურ წინაპირობას, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, **(I)** „წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს“ და, მეორე მხრივ, **(II)** მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფას. ხოლო ნეგატიური წინაპირობები მოიცავს **(III)** ეკონომიკური აგენტებისთვის ისეთი დამატებითი ვალდებულებების დაუწესებლობას, რომელიც არ არის დაკავშირებული შეთანხმების საგანთან და **(IV)** შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კონკურენციის აღკვეთის შეუძლებლობას.

რელევანტურ გარემოებათა სიმრავლის მიუხედავად, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად ნათელი ხდება, რომ ამ შემთხვევაში საქმე კუმულატიურ წინაპირობებს ეხება. აქედან გამომდინარე, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გავრცელება ცალკეულ კოორდინაციაზე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც შესაბამისი ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კუმულატიურად აკმაყოფილებს ზემოთ დასახელებულ ოთხივე წინაპირობას.

იგივე მიდგომას ვხვდებით ევროპულ რეალობაში. TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით არსებობს მართლმსაჯულების სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო ხაზს უსვამს ზემოთ დასახელებული 4 წინაპირობის კუმულატიურად არსებობის აუცილებლობას იმისათვის, რათა ცალკეული

[550] ECLI:EU:C:1985:327, "*Remia BV*," Case 42/84, 11.07.1985, § 38; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 34; *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 65.

შეთანხმება საგამონაკლისო წესებს დაექვემდებაროს და მასზე TFEU 101-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ გავრცელდეს.[551] მართლმსაჯულების სასამართლოს აღნიშნული პრაქტიკა ასევე განსხეულებულია TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო დოკუმენტში, რომელშიც აღნიშნულია, რომ TFEU 101-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვიდან გამონაკლისების გავრცელება უკავშირდება ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული ოთხი ძირითადი წინაპირობის კუმულატიურად არსებობას, რომელთაგან ორი ნეგატიური, ორი კი პოზიტიური ხასიათისა თუ შინაარსის მატარებელია.[552] აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, როგორც TFEU 101-ე მუხლის მესამე პუნქტის ქართულ ანალოგში მოცემული ზემოთ დასახელებული ოთხივე წინაპირობის კუმულატიურად არსებობა არის აუცილებელი იმისათვის, რათა ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღწეულ ცალკეულ კოორდინაციაზე კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა არ გავრცელდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული წინაპირობების ძირითად მახასიათებლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის ფაქტი, რომ ისინი სამართლებრივზე მეტად უფრო ეკონომიკურ კატეგორიებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი ფორმალობებისა და ღრმა იურიდიული კონსტრუქციების გამოყენებით მათი ზუსტი შინაარსისა თუ ცალკეული მახასიათებლების განსაზღვრა და იდენტიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელია. სწორედ მსგავსმა კომპლექსურობამ და მრავალმხრივობამ განაპირობა ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში ძალზე საინტერესო მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც დასახელებული წინაპირობების ანალიზის კუთხით სასამართლოსა და შესაბამისი აღმასრულებელი უწყებების კომპეტენციათა გამიჯვნასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს. კერძოდ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ კონკურენციის შემზღუდველი

[551] ECLI:EU:C:1984:9, "*VBVB and VBBB*", Joined cases 43/82 and 63/82, 17.01.1984, § 61; ECLI:EU:C:2006:734, *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006, § 65; ECLI:EU:T:1994:89, "*Matra Hachette SA,*" Case T-17/93, 15.07.1994, § 104; ECLI:EU:T:1995:34, *"Vereniging van Samenwerkende,"* Case T-29/92, 21.02.1995, § 286.

[552] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, §§ 34, 42.

შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების დამდგენი ნორმით გათვალისწინებულ წინაპირობებთან მიმართებით ევროკომისიის მიერ განხორციელებული ღრმა და მრავალმხრივი ეკონომიკური ანალიზის რევიზიისას სასამართლოს უფლებამოსილება შეზღუდულია იმის შეფასებით, თუ რამდენად სწორად იყო ამ პროცესში კომისიის მიერ შესაბამისი პროცედურული ნორმები გამოყენებული, ცალკეული ფაქტობრივი გარემოების დასასაბუთებლად რამდენად რელევანტური არგუმენტები იყო კომისიის მხრიდან მოყვანილი, რამდენად რეალურ ფაქტებს ეფუძნება შესაბამისი მსჯელობები და რამდენად აქვს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ან ცალკეულ ეკონომიკურ შეფასებებში აშკარა შეცდომას ადგილი.[553] სასამართლო ასევე დასძენს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ამ კუთხით კომისიის მიერ ჩამოყალიბებული შეფასებების თავისით ჩანაცვლება.[554]

2.2. მტკიცების ტვირთი

კანონის მე-9 მუხლი ასევე შეიცავს სპეციალურ ჩანაწერს მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით. როგორც კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებზე და კონკურენციის სამართლის აღსრულების ზოგად პრინციპებთან დაკავშირებული მსჯელობისას აღინიშნა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების არსებობის მტკიცების ტვირთის მატარებელია შესაბამისი აღმასრულებელი უწყება. სწორედ ეს უკანასკნელი არის ვალდებული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამტკიცოს, რომ ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის შედეგად ადგილი აქვს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი შეთანხმების არსებობას, რომელიც კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ აკრძალვას ექვემდებარება. აღნიშნულისაგან განსხვავებით, კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრებათ შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს. ამდენად, დასახელებული ნორმით კანონმდებელი თავადვე ახდენს მტკიცების ტვირთის განაწილებას აღმასრულებელ უწყებასა და შესაბამის

[553] ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 135; ECLI:EU:T:1994:20, *"Groupement des Cartes Bancaires,"* Joined cases T-39/92 and T-40/92, 23.02.1994, § 109.
[554] ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 135.

ეკონომიკურ აგენტებს შორის. იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისების სისტემის ცალკეულ შეთანხმებაზე გავრცელება შესაბამისი ეკონომიკური აგენტების ინტერესებში შედის, ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ ამისათვის რელევანტური გარემოებების მტკიცების ტვირთი კანონმდებელმა მათ დააკისრა.

აღნიშნული მიდგომა, სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, სადაც ასევე არის დამკვიდრებული მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ საგამონაკლისო ნორმების გამოყენებისათვის აუცილებელი გარემოებების არსებობის ვალდებულება შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს ეკისრებათ. აღნიშნულზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ადგენს, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების განმსაზღვრელი ნორმის საფუძველზე შესაბამისი ეკონომიკური აგენტები ვალდებულნი არიან კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელ უწყებას წარუდგინონ გამონაკლისების დაშვების ეკონომიკური დასაბუთება და ცალკეული არგუმენტების კომისიის მხრიდან გაუზიარებლობის შემთხვევაში - წარადგინონ ალტერნატიული დასაბუთება.[555] სასამართლო აგრძელებს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ მართალია კომისიას, თავის მხრივ, შეუძლია გარკვეული მითითებები მისცეს ეკონომიკურ აგენტებს, თუმცა კომისიას ამის არანაირი სამართლებრივი ვალდებულება არ გააჩნია. გარდა ამისა, მტკიცების ტვირთი და ვალდებულება ამ შემთხვევაში ვრცელდება კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის ოთხივე წინაპირობის არსებობის დასაბუთებაზე.[556]

[555] ECLI:EU:C:1984:9, "*VBVB and VBBB*", Joined cases 43/82 and 63/82, 17.01.1984, § 52; ECLI:EU:T:1995:34, *"Vereniging van Samenwerkende,"* Case T-29/92, 21.02.1995, § 262; ECLI:EU:T:1994:259, "*John Deere Ltd*," Case T-35/92, 27.10.1994, § 105; ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01, 27.09.2006, § 235; ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 136; ECLI:EU:T:1994:89, "*Matra Hachette SA,*" Case T-17/93, 15.07.1994, § 104.

[556] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 50.

2.3. მიმართება კონკურენციის შეზღუდვის ელემენტთან

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა და კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემა ერთ მთლიანობას ქმნის, ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღწეული ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში აუცილებელია აღნიშნულ ნორმათა ინდივიდუალური ფუნქციის, მიზნებისა და მოქმედების ფარგლების განსაზღვრა. კანონის მე-9 მუხლი უმთავრესად კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვიდან ისეთი შეთანხმებების გამოთავისუფლებას უზრუნველყოფს, რომლებსაც შესწევთ უნარი, უკეთ შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში ჯანსაღი და ბუნებრივი კონკურენციის პროცესის შედეგად უნდა იქნეს მიღწეული. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც კონკურენციის კანონმდებლობის მიზნები უკეთესად არის მიღწევადი იმ ცალკეული შეთანხმებით, რომელიც კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების მატარებელია, მაშინ არ არსებობს იმის ლოგიკური საფუძველი, რომ ასეთი შეთანხმება კონკურენციის კანონმდებლობითვე იქნეს დაუშვებლად ცნობილი. ასეთ დროს იქმნება ისეთი სამართლებრივი მდგომარეობა, როდესაც კონკურენციის სამართლის მიზნები და ფუნქციები კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული შეთანხმების არსებობის პირობებში უკეთ სრულდება და მიიღწევა.[557] აქედან გამომდინარე, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების პროცესში, ძირითადი კითხვა, რომელსაც ცალკეულ შემთხვევაში უნდა გაეცეს პასუხი, მდგომარეობს იმის გარკვევაში თუ რამდენად არის მოწოდებული კონკრეტული შეთანხმება ეფექტიანობისა თუ ობიექტური კეთილდღეობის ზრდის შედეგად უკეთესად შეასრულოს ეკონომიკური კონკურენციის ფუნქციები.[558]

ეკონომიკური კონკურენცია კონკურენციის სამართლით დაცული ძირითადი და უმთავრესი სამართლებრივი სიკეთეა,[559] რომლის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა წარმოადგენს. არსებული ეკონომიკური

---

[557] *Ellger R.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, 6. Aufl., 2019, AEUV Art. 101 Abs. 3, Rn. 6-7.

[558] ეკონომიკური კონკურენციის ფუნქციებთან დაკ. დაწვ. იხ. *ადამია გ.* ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, სსჟ., 2020, 2, 94 და შემდგ.

[559] დაწვ. იხ. თ. I, ქვთ. 2.

მოწყობის პირობებში სწორედ თავისუფალი კონკურენცია აძლევს ბიძგს ისეთი სიკეთეების წარმოშობას, როგორიცაა ინოვაცია, ტექნოლოგიური პროგრესი, დაბალი ფასები, მაღალი ხარისხი და ა. შ. კონკურენციის სამართალი, თავისუფალი კონკურენციის დაცვითა და ამ გზით მისი პირდაპირი ამოცანების შესრულების უზრუნველყოფით ირიბად ასევე ხელს უწყობს თავისუფალ კონკურენციასთან ასოცირებული მრავალმხრივი სარგებლის შექმნასა და ჩამოყალიბებას. ამ სიკეთეების მიღწევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის თანმდევ მიზანს წარმოადგენს.[560] აქედან გამომდინარე, კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე კონკურენციის, როგორც მრავალმხრივი პოზიტიური ეფექტების წარმოშობის მექანიზმის დაცვისა და გარანტირების მიზნით კომერციულ ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის ინტენსივობა და მასშტაბები შეუძლებელია ეფექტიან კონკურენციასთან ასოცირებული პოზიტიური ეფექტების მხედველობაში მიღების გარეშე იქნეს განსაზღვრული. საწინააღმდეგოს დაშვება შექმნიდა ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის დროსაც ეფექტიანი კონკურენციის დაცვის მოტივით აკრძალვას დაექვემდებარებოდა ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღწეული ისეთი კოორდინაცია, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ეფექტიან კონკურენციაზე უკეთ უზრუნველყოფს მასთან დაკავშირებული პოზიტიური ეფექტების მიღწევას. აღნიშნულზე მეტყველებს მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია, რომ ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნების მიზანი თანაარსებობს სხვადასხვა სახის მიზნებთან და ამ გადმოსახედიდან კონკურენციის ცალკეული შეზღუდვა შესაძლოა დასაშვები იყოს იმ პირობით, რომ ეს აუცილებელია სხვა ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად და იგი არ იწვევს ევროკავშირის შიდა ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კონკურენციის აღმოფხვრას.[561]

სწორედ მსგავსი ინდივიდუალური მიზნის მიღწევას ემსახურება კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემაც, რომელიც ეკონომიკურ

[560] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის პირდაპირ და თანმდევ მიზნებთან დაკ. დაწვ. იხ. თ. I, ქვთ. 4.

[561] ECLI:EU:C:1977:167, *"Metro SB-Großmärkte GmbH,"* Case 26-76, 25.10.1977, § 21; ECLI:EU:C:1980:248, *"Heintz van Landewyck SARL,"* Joined Cases 209 to 215 and 218/78, 29.10.1980, § 176.

აგენტთა ცალკეული კოორდინაციიდან მომდინარე პოზიტიური ეფექტების შენარჩუნების მოტივით ამავე კოორდინაციის შედეგად შეზღუდული ეფექტიანი კონკურენციის პროცესის კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ამკრძალავი მექანიზმით დაცვის აუცილებლობას გამორიცხავს. სამართლის შეფარდებისას კანონის მე-9 მუხლში მოცემული საგამონაკლისო სქემის გამოყენებისათვის აუცილებელია შეფასდეს ის პოზიტიური ეფექტები, რომლებიც კონკურენციის შეზღუდვის სანაცვლოდ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული ცალკეული კოორდინაციით მიიღწევა (თანმდევი მიზნები).

ამ პროცესში თავს იჩენს კანონის მე-7 და მე-9 მუხლების მოქმედების ფარგლების გამიჯვნის პრობლემა, ვინაიდან კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ერთ-ერთი წინაპირობა ეკონომიკურ აგენტთა კონკრეტული კოორდინაციის ეფექტების შეფასებაა. აღნიშნული აქტუალურია ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე არა კონკურენციის შეზღუდვის მიზნის (*"bezwäckte Wettbewerbsbeschränkungen"* / *"restriction by object"*), არამედ კონკურენციის შემზღუდველი ეფექტისა თუ შედეგის მქონე შეთანხმებას ეხება.[562] შესაბამისად, სამართლის შეფარდების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის აუცილებელია კანონის მე-9 მუხლის ფარგლებში შესაფასებელი ეფექტებისაგან გაიმიჯნოს ის ეფექტები, რომელთა გათვალისწინებაც კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით უნდა მოხდეს.

გამიჯვნის აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მარტივ საშუალებას წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის პირდაპირი და თანმდევი მიზნების მხედველობაში მიღება.[563] ამ შემთხვევაში პირდაპირი მიზანი გულისხმობს ეფექტიანი კონკურენციის დაცვას, ხოლო თანმდევი მიზანი მოიცავს იმ პოზიტიური ეფექტებისა თუ სარგებლის უზრუნველყოფას, რომელთა მიღწევასაც, თავის მხრივ, ეფექტიანი კონკურენცია განაპირობებს. ამ გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ კანონის მე-7 მუხლი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის პირდაპირი მიზნების მიღწევას ესწრაფვის მაშინ, როდესაც კანონის მე-9 მუხლი

[562] კონკურენციის შემღუდველი ეფექტების მქონე შეთანხმებებთან დაკ. დაწვ. იხ. იხ. თ. IV, ქვთ. 4.3.

[563] კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის პირდაპირ და თანმდევ მიზნებთან დაკ. დაწვ. იხ. თ. I, ქვთ. 4.

შესაბამისი წინაპირობების არსებობისას პირდაპირი მიზნების გვერდის ავლით თანმდევი მიზნების მიღწევის გარანტირებას უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში, კონკურენციის შემზღუდველ ეფექტებთან მიმართებით, შეფასების ობიექტია ის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები, რომელიც ეკონომიკურ აგენტთა კონკრეტულ კოორდინაციას მხოლოდ კონკურენციის პროცესზე გააჩნია. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ ეფექტიანი კონკურენციის ხელშემწყობი და მისი შემზღუდავი ფაქტორები. აღნიშნულის შედეგად კი დგინდება, თუ რამდენად შესწევს ცალკეულ კოორდინაციის კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვის უნარი. ასეთის არსებობის შემთხვევაში კი ეს კოორდინაცია კანონის მე-7 მუხლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ წინაპირობებს აკმაყოფილებს.

კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტის დადგენის შემდეგ ეტაპზე კი ხდება ცალკეული კოორდინაციის სხვა დადებითი ეფექტების შეფასება, რომელიც უკვე კანონის მე-9 მუხლის მოქმედების ფარგლებს განეკუთვნება. ასეთ დროს უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად შესწევს ცალკეულ კოორდინაციას კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის თანმდევი მიზნების მიღწევის უნარი, რაც კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების საპირწონე სხვა სარგებლის მიღებას გულისხმობს. ეს უკანასკნელი შეიძლება უკავშირდებოდეს წარმოების ან მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნოლოგიურ ან ეკონომიკურ პროგრესს, მომხმარებლების კეთილდღეობის ზრდას და ა. შ.

ამ შინაარსისა თუ ფორმის პოზიტიური ეფექტების მიღწევას, როგორც წესი, ეფექტიანი კონკურენცია უზრუნველყოფს. თუმცა მაშინ, როდესაც ასეთი სარგებელი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის მქონე კოორდინაციის გზით მიიღწევა და იგი არის იმ მასშტაბის, რომ გამოათანაბროს კონკურენციის შეზღუდვის სახით დამდგარი ნეგატიურ ეფექტები, მაშინ ასეთ კოორდინაციასთან მიმართებით გარკვეული გამონაკლისების დაშვებაზე საუბარი საფუძველს მოკლებული ვერ იქნება. ამ გამონაკლისების გავრცელების წინაპირობები კი, თავის მხრივ, კანონის მე-9 მუხლში

არის მოცემული, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ცალკეული კოორდინაცია კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში ვერ მოექცევა.

2.4. ეფექტიანობის ტესტის ადგილი კვალიფიკაციის პროცესში

საბაზრო წილის ტესტისაგან განსხვავებით, ეფექტიანობის ტესტის გამოყენება ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესის საწყის ეტაპზე პრაქტიკულად გამორიცხულია. იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში შეფასების ძირითადი ობიექტია ეკონომიკურ აგენტთა შორის დადებული კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული შეთანხმებისგან მომდინარე სარგებლისა თუ ბენეფიტების მასშტაბები, შეიძლება ითქვას, რომ ეფექტიანობის ტესტი კვალიფიკაციის პროცესის ფინალურ სტადიას წარმოადგენს. შეუძლებელია ეფექტიანობის ტესტის საფუძველზე კანონის მე-7 მუხლით დაწესებული აკრძალვიდან გამონაკლისების დაწესებაზე საუბარი მანამ, სანამ არ დადგინდება საკუთრივ ამ მუხლის საფუძველზე აკრძალული ქმედების არსებობა. ასეთი ქმედება კი გულისხმობს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველ შეთანხმებას, რომლისთვისაც შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილება არის აუცილებელი.

თუმცა ამ ფორმალური მიდგომის მკაცრად დაცვა სამართლის შეფარდების პროცესში შეიძლება არაპრაქტიკული გამოდგეს და კვალიფიკაციის პროცესის შემაფერხებელ გარემოებადაც კი მოგვევლინოს. აღნიშნულს განაპირობებს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შეზღუდვის ელემენტისა და კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის ურთიერთმიმართება, რომელიც წინა ქვეთავში იქნა განხილული. ამ კუთხით დასახელებული ნორმები სხვადასხვა მიზნებსა და ამოცანებს ემსახურებიან. თუმცა ორივე შემთხვევაში აუცილებელია ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის პოზიტიური ეფექტების ანალიზი.

კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში პოზიტიური ეფექტი გულისხმობს კონკურენციის ხელშემწყობ ფაქტორებს, ხოლო კანონის მე-9 მუხლის ფარგლებში - კოორდინაციის შედეგად დამდგარ სხვადასხვა სახის სარგებელს. თუმცა ორივე სახის პოზიტიური ეფექტი ფასდება ცალკეული კოორდინაციით გამოწვეული კონკურენციის შეზღუდვის მასშტაბებთან მიმართებით. კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში ფასდება თუ რამდენად

გადაწონის კონკურენციაზე პოზიტიური ეფექტები კონკურენციის შემზღუდველ ეფექტებს. ხოლო კანონის მე-9 მუხლის ფარგლებში ფასდება თუ რამდენად გააჩნია ცალკეულ კოორდინაციას იმ მასშტაბის სხვა სახის სარგებელი (ეკონომიკური ან ტექნოლოგიური პროგრესი ან მიწოდების ან წარმოების გაუმჯობესება) რომელიც გამოათანაბრებს კონკურენციის შემზღუდველ ეფექტებს.

აქედან გამომდინარე, პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელი და ეფექტურია კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის წინაპირობების შეფასება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის ანალიზის პარალელურად მოხდეს. ასეთი მიდგომის შედეგად არ იქნება აუცილებელი ცალკეული შეთანხმებით გამოწვეული კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების განმეორებითი ანალიზი. გარდა ამისა, იგი ასევე იძლევა კონკურენციის ხელშემწყობი და სხვა სახის პოზიტიური ეფექტების ერთდროული შეფასების შესაძლებლობას, რომლის შედეგადაც უფრო მარტივად განსაზღვრადია, თუ რამდენად გადაწონის ცალკეული კოორდინაციიდან მომდინარე პოზიტიური ეფექტები მისგან მომდინარე ნეგატიურ ეფექტებს.

ამ მიდგომის შესაბამისად განხორციელებული ანალიზის შედეგად თუ დადგინდება, რომ კონკურენციის ხელშემწყობი ეფექტები გადაწონის კონკურენციის შემზღუდველ ეფექტებს, მაშინ ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაცია არ ჩაითვლება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად, ვინაიდან იგი არ დააკმაყოფილებს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შეზღუდვის ელემენტით გათვალისწინებულ წინაპირობებს. ხოლო საკმარისი მასშტაბებისა და ინტენსივობის სხვა სახის პოზიტიური სარგებლის არსებობის შემთხვევაში კონკრეტული კოორდინაცია შესაძლოა კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების გამო გათავისუფლდეს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვიდან.

2.5. გაუმჯობესება და პროგრესი

i. ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულება

ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებულ კოორდინაციაზე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გავრცელების ერთ-ერთ

ყველაზე რთულ და კომპლექსურ წინაპირობად ამ პუნქტის ზოგად ნაწილში მითითებული „წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესება და ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი“ უნდა იქნეს მიჩნეული. ეს სირთულე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი, თავის მხრივ, არაერთი დამატებითი ელემენტისა თუ ქვეწინაპირობისაგან შედგება, რომელთა ანალიზის საფუძველზეც კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის ცალკეულ შეთანხმებაზე გავრცელების პირველი წინაპირობა. თუმცა ამ ელემენტების ანალიზამდე აუცილებელია განისაზღვროს თუ რა სახის ურთიერთმიმართება არსებობს მათ შორის.

ამ შემთხვევაში საუბარია კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გავრცელების პირველი წინაპირობის იმ ოთხ ელემენტზე, რომელიც გულისხმობს წარმოების გაუმჯობესებას, მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნოლოგიურ პროგრესსა და ეკონომიკურ პროგრესს. განსახილველი ნორმის ფორმულირებიდან არ ჩანს, თუ ზუსტად რა ფორმის ურთიერთდამოკიდებულებაში (კუმულატიური თუ ალტერნატიული) მყოფი მოთხოვნების ჩამოყალიბება სურდა კანონმდებელს ამ ელემენტების სახით. ერთ შემთხვევაში გამოყენებულია „ან/და“ კავშირი, ხოლო მეორე შემთხვევაში „და“ კავშირი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს გარკვეულ შერეულ მიდგომას.

„წარმოებისა“ და „მიწოდების“ გაუმჯობესებას შორის „ან“ კავშირის გამოყენება მეტყველებს მათი სახით ალტერნატიული ელემენტების არსებობაზე. „ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესთან“ მიმართებით დეფისის გამოყენება კი ქმნის „ტექნიკური პროგრესისა“ და „ეკონომიკური პროგრესის“ კუმულატიურ ელემენტებად მიჩნევის საფუძველს. პროგრესისა და გაუმჯობესების ნაწილებს შორის გამოყენებულია მხოლოდ კავშირი „და“, რომელიც ასევე კუმულატიური მიდგომის განვითარების საფუძველს ქმნის. შესაბამისად, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვიდან გამონაკლისების გასავრცელებლად, ცალკეული შეთანხმება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა უზრუნველყოფდეს ტექნიკურ და ეკონომიკურ პროგრესს და ამასთანავე ხელს

უნდა უწყობდეს წარმოების ან დისტრიბუციის გაუმჯობესებას. ამდენად, ცალკეულ შეთანხმებაზე გამონაკლისების გასავრცელებლად მოცემული 4 ელემენტიდან, აუცილებელია დაკმაყოფილებული იყოს სულ მცირე 3 წინაპირობა (წარმოების ან დისტრიბუციის გაუმჯობესებიდან ერთ-ერთი და ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესიდან - ორივე) მაინც.

მსგავსი მიდგომა მნიშვნელოვნად ავიწროებს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების ფარგლებს. ასეთ პირობებში შესაბამისი ეკონომიკური აგენტები ვალდებულნი არიან ამტკიცონ, რომ მათ შორის დამყარებული კოორდინაცია კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ზოგად ნაწილში მოცემული ზემოთ აღნიშნული 4 ელემენტიდან აკმაყოფილებს სულ მცირე სამს. აღნიშნულის მიღწევა კი პრაქტიკაში მნიშვნელოვან წინააღმდეგობებთან შეიძლება აღმოჩნდეს დაკავშირებული.

თანამედროვე ეკონომიკურ მოცემულობაში ეკონომიკურ აგენტებს შორის დამყარებული კოორდინაციისა თუ კომერციული თანამშრომლობის ფორმა და შინაარსი პრაქტიკულად შეუზღუდავი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შეთანხმებათა შინაარსი კი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა სფეროებში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის იდება ცალკეული შეთანხმება. შესაძლოა პრაქტიკაში მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული კოორდინაცია მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესის განმაპირობებელი აღმოჩნდეს, თუმცა აღნიშნულმა პროგრესმა შესაძლოა არანაირი გავლენა არ იქონიოს არც წარმოების და არც დისტრიბუციის გაუმჯობესებაზე. ასეთ შეთანხმებასთან მიმართებით კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის წინაპირობების დაკმაყოფილებისა და მასზე საგამონაკლისო წესების გავრცელების შესაძლებლობა თავიდანვე გამოირიცხება. მსგავს მაგალითებს კი პრაქტიკაში შესაძლოა არაერთი მიმართულებით ჰქონდეს ადგილი.

ეს პრობლემა განსაკუთრებული აქტუალურობითა და სიმწვავით გამოირჩევა ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების შემცველ ურთიერთობებთან მიმართებით. ხშირ შემთხვევაში ასეთი ურთიერთობის ძირითადი მიზანი ცალკეული პროდუქტის ან მომსახურების დისტრიბუციის გამარტივებასა თუ გაუმჯობესებაში მდგომარეობს. შესაძლოა ასეთი ურთიერთობა დისტრიბუციის გამარტივების შედეგად წარმოების

ზრდასა თუ ეკონომიკურ პროგრესსაც უკავშირდებოდეს. შედარებით ნაკლებად აქვს ადგილი ისეთ შემთხვევას, როდესაც ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის უშუალო შედეგი ან მიზანი ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევაში მდგომარეობს. მართალია, თეორიულად შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევაში ოთხივე ელემენტის ან სამი მათგანის დაკმაყოფილება, თუმცა ამის მიუხედავად, განსახილველი ოთხი ელემენტიდან სამის არსებობის აუცილებლობა იმისათვის, რათა ცალკეულ შეთანხმებაზე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესები გავრცელდეს, მაინც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ ნორმის მოქმედების ფარგლებს. აღნიშნული კი კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს მხრიდან კომერციულ ურთიერთობებში არათანაზომიერი ჩარევის საფრთხეებს შეიცავს.

ამიტომ, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად დამდგარი სამართლებრივი შედეგი ვერცერთ შემთხვევაში ვერ უპასუხებს კონკურენციის სამართლის წინაშე მდგარ ამოცანებს. გარდა ამისა, მსგავსი მიდგომა წინააღმდეგობაში მოვა ნორმის ტელეოლოგიურ საფუძვლებთანაც. კანონის მე-9 მუხლის მიზანია კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვიდან დაადგინოს რაციონალური გამონაკლისები და გონივრულ ჩარჩოებში მოაქციოს მისი მოქმედების ფარგლები. ამ მუხლის პირველი პუნქტის ზოგად ნაწილში მოცემულ პირველ წინაპირობასთან დაკავშირებული ჩანაწერის („წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესება და ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი“) სიტყვასიტყვითი განმარტება კი აღნიშნულ მიზნებთან და მოტივებთან მნიშნელოვან წინააღმდეგობებს ქმნის. იგი ფაქტობრივად გამორიცხავს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვიდან ეფექტიანი საგამონაკლისო სისტემის ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის განმარტებისას სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს მისი ტელეოლოგიური საფუძვლების მხედველობაში მიღება და ნორმის იმ ფორმით განმარტება, რომელიც უზრუნველყოფს იმის შესაძლებლობას, რომ ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური პროგრესი, წარმოების გაუმჯობესება და დისტრიბუციის გაუმჯობესება განხილულ იქნეს ერთმანეთის ალტერნატივებად და ერთ-ერთი მათგანის არსებობაც კი საკმარისი იყოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული

პირველი პოზიტიური წინაპირობის („წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესება და ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი“) დასაკმაყოფილებლად.

სწორედ ასეთი მიდგომა არის განვითარებული ევროპულ კონკურენციის სამართალში.[564] კერძოდ, TFEU 101-ე მუხლის მესამე პუნქტში გამონაკლისის გავრცელების პირველ წინაპირობასთან მიმართებით ვხვდებით შემდეგ ფორმულირებას: „...აუმჯობესებს წარმოების ან დისტრიბუციის პროცესს ან ხელს უწყობს ტექნიკურ ან ეკონომიკურ პროგრესს...“[565] ამ კუთხით ზუსტად იდენტური ფორმულირება არის მოცემული GWB-ის მე-2 პარაგრაფის პირველ პუნქტში.[566] აღნიშნულ ფორმულირებაში ყველა ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება „ან“ კავშირით, რაც მათ ალტერნატიულობაზე მეტყველებს. შესაბამისად, ევროპულ რეალობაში დასახელებულ ელემენტთაგან ერთ-ერთის არსებობაც კი საკმარისია იმისათვის, რათა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ კოორდინაციაზე გავრცელების პირველი წინაპირობა დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს. აღნიშნული კიდევ ერთხელ მეტყველებს, ქართველი კანონმდებლის მიერ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ზოგადი ნაწილის ფორმულირებისას დაშვებულ ტექნიკურ შეცდომაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის განმარტებისას მიზანშეწონილია ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური პროგრესი, წარმოების გაუმჯობესება და დისტრიბუციის გაუმჯობესება განხილულ იქნეს ერთმანეთის ალტერნატიულ ელემენტებად. თუმცა ნორმის განმარტებასთან დაკავშირებული სირთულეებისა თუ იურიდიული უხერხულობების თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნებოდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და მისი იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომელიც დასახელებულ პრობლემურ საკითხებს გაითვალისწინებდა.

---

[564] *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 628.

[565] *„contributes to improving the production or distribution of goods or to promoting technical or economic progress“*

[566] *“…zur Verbesserung der Warenerzeugung oder - Verteilung oder zur Förderung des technischen oder wirtschaftlichen Fortschritts beitragen…”*

ii. საერთო მახასიათებლები

ტექნიკურ პროგრესს, ეკონომიკურ პროგრესს, წარმოების გაუმჯობესებასა და დისტრიბუციის გაუმჯობესებას, როგორც კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების პირველი წინაპირობის დამოუკიდებელ ელემენტებს გარკვეული საერთო მახასიათებლები გააჩნიათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემა პოზიტიურ და ნეგატიურ წინაპირობებს ეფუძნება. წინამდებარე თავის ფარგლებში განსახილველი წინაპირობა კი ამ კუთხით პოზიტიურ წინაპირობათა კატეგორიას განეკუთვნება იმდენად, რამდენადაც იგი გარკვეული საბაზრო პროცესებისა თუ ეკონომიკური მოცემულობის სხვადასხვა ასპექტის პოზიტიურ ცვლილებებზე არის ორიენტირებული.

მსგავსი პოზიტიური ცვლილების არსებობისთვის საკმარისი არ არის იმის დადგენა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველი შეთანხმება სარგებლის მომტანია მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის.[567] აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მსგავსი პოზიტიური ეფექტები, როგორც წესი, შეთანხმებათა უმრავლესობას გააჩნია იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ეკონომიკური აგენტების ჩართვა, როგორც წესი, პირადი სარგებლის მიღების მოტივებით არის განპირობებული. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ასეთ დროს აუცილებელია იმის დადგენა, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას გააჩნია იმ მასშტაბის მნიშვნელოვანი ობიექტური სარგებლის მოტანის უნარი, რომელიც მოწოდებულია გადაწონოს ან გამოათანაბროს ამ შეთანხმების შედეგად ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მიყენებული ზიანი.[568] იგივე მიდგომებით გამოირჩევა გერმანული კონკურენციის სამართლის დოქტრინა და პრაქტიკა.[569]

---

[567] *Brömmelmeyer C.,* FraKo. EUV/GRC/AEUV, 3. Bd. 1. Aufl. 2017, Rn. 117; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1082; *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 620.

[568] ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01 27.09.2006, § 247; ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995, § 180; ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 139; ECLI:EU:T:1994:89, "*Matra Hachette SA,*" Case T-17/93, § 104.

[569] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 5; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 49.

მართლმსაჯულების სასამართლოს აღნიშნული განმარტებიდან, კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული კოორდინაციიდან მომდინარე პოზიტიური ეფექტების მასშტაბებისა და ინტენსივობის სახით, ასევე გამომდინარეობს საგამონაკლისო სისტემის პირველი ელემენტის ერთ-ერთი საინტერესო მახასიათებელი. აღნიშნული გულისხმობს, რომ კონკურენციის შემზღუდველ კონკრეტულ შეთანხმებაზე საგამონაკლისო სქემის გასავრცელებლად ნებისმიერი სახის პოზიტიური ეფექტის არსებობა არ არის საკმარისი. ამისათვის აუცილებელია, რომ შესაბამისი პოზიტიური ეფექტები გარკვეული ხარისხის ეკონომიკური მნიშვნელობის მატარებელი იყოს, რათა მან კონკრეტული შეთანხმებით გამოწვეული კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების გამოთანაბრება შეძლოს.[570]

აქედან გამომდინარე, კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენების პირველი წინაპირობის ელემენტთა შეფასებისას, ანალიზის ძირითად და უმთავრეს ობიექტს ცალკეული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ობიექტურად პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები წარმოადგენს. ამ შემთხვევაში საქმე ეხება იდენტიფიცირებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ეფექტებს შორის არსებული გარკვეული ეკონომიკური ბალანსის დადგენას. აღნიშნულის შედეგად ერთ ან რამდენიმე ელემენტთან მიმართებით თუ აღმოჩნდება, რომ შესაბამისი პოზიტიური ეფექტები უფრო აღმატებულია, ვიდრე კონკურენციის შემზღუდველ კონკრეტულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ნეგატიური ეფექტები, მაშინ არსებობს იმის თქმის რეალური საფუძველი, რომ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესის გამოყენების პირველი წინაპირობა დაკმაყოფილებულია.

განსახილველი საგამონაკლისო სქემის პირველი წინაპირობით მოცული წარმოების ან მიწოდების გაუმჯობესება ან ტექნოლოგიური ან ეკონომიკური პროგრესი კანონის მე-9 მუხლთან მიმართებით გაგებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ როგორც დამდგარი შედეგი, არამედ როგორც განვითარების განგრძობადი პროცესი. წარმოების/მიწოდების გაუმჯობესება და ტექნოლოგიური/ეკონომიკური პროგრესი, როგორც განგრძობადი პროცესი აღწერს გარკვეული იდეის წარმოშობისა და შესაბამისი კვლევის გარდასახვას ბაზარზე მისაწოდებელ პროდუქტსა და მომსახურებაში, წარმოების ან მიწოდების

[570] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1085.

გაუმჯობესებისკენ მიმართულ გარკვეულ ქმედებათა და ღონისძიებათა ერთობლიობის განგრძობადობას და ა. შ. ხოლო როგორც შედეგი, წარმოების/მიწოდების გაუმჯობესება და ტექნოლოგიური/ეკონომიკური პროგრესი უკვე გულისხმობს მისი, როგორც პროცესის, დასრულებასა და ამ პროცესის შედეგად გარკვეული ხელშესახები რეზულტატის არსებობას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მიწოდების ან წარმოების უფრო დახვეწილი და სრულყოფილი მექანიზმების დანერგვაში, შესაბამის ბაზარზე მისაწოდებლად ტექნოლოგიურად დახვეწილი და ინოვაციური მზა პროდუქტისა თუ მომსახურების სახით უკვე დამდგარ შედეგში და ა. შ.[571]

ამ დიფერენცირების გათვალისწინებით, პრობლემურია იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რა სახის თანამშრომლობის შემთხვევაში უნდა იქნეს მიჩნეული კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის აღნიშნულ ელემენტებში გამოხატული მოთხოვნა შესრულებულად. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფაქტობრივი კონსტელაცია. კერძოდ, ერთი შემთხვევა, როდესაც ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული თანამშრომლობა ხელს უწყობს წარმოების/მიწოდების გაუმჯობესებას და ტექნოლოგიურ/ეკონომიკურ პროგრესს, როგორც პროცესს, რომლის შედეგიც ჯერ არ არის დამდგარი და მეორე შემთხვევა, როდესაც თანამშრომლობის საფუძველზე წარმოების/მიწოდების გაუმჯობესება და ტექნოლოგიური/ეკონომიკური პროგრესის, როგორც შედეგის დადგომას უკვე აქვს ადგილი.

უდავოა, რომ მიწოდების ან წარმოების უფრო სრულყოფილი მექანიზმების დანერგვაში, შესაბამის ბაზარზე მისაწოდებლად ტექნოლოგიურად დახვეწილი და ინოვაციური მზა პროდუქტისა თუ მომსახურების სახით უკვე დამდგარ რეზულტატსა თუ სხვა გარემოებებში გამოხატული წარმოების/მიწოდების გაუმჯობესება და ტექნოლოგიური/ეკონომიკური პროგრესი, როგორც უკვე დამდგარი ფაქტი და შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს საგამონაკლისო სქემის პირველი წინაპირობის მოთხოვნების დაკმაყოფილებად. განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობა იქმნება მაშინ, როდესაც წარმოების/მიწოდების გაუმჯობესება და ტექნოლოგიური/ეკონომიკური

[571] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1120.

პროგრესი კონკრეტული ხელშესახები შედეგის სახით არ არის დამდგარი. შესაძლოა ცალკეული შეთანხმება გარკვეულ მომენტებში შესაბამისი პროცესის ხელშემწყობ ფაქტორად მოგვევლინოს, თუმცა საბოლოოდ ეს პროცესი გარკვეულ ხელშესახებ რეზულტატში ვერ გარდაისახოს. ასეთ შემთხვევაში კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის პირველი წინაპირობის დაკმაყოფილება შესაძლოა გარკვეულწილად სათუო გახდეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ TFEU 101-მუხლის პირველი პუნქტისა და GWB მეორე პარაგრაფის მსგავსად, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას არ წარმოადგენს ამავე მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის პირველი წინაპირობით გათვალისწინებული პოზიტიური ეფექტების, როგორც შედეგის დადგომა დროში ზუსტად ემთხვეოდეს ეკონომიკურ აგენტთა შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების დადებას.[572] თუმცა, პოზიტიური ეფექტის მიღწევის, როგორც მხოლოდ პროცესის არსებობა საკმარისი არ არის განსახილველი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, საგამონაკლისო სქემის პირველი წინაპირობით გათვალისწინებული პოზიტიური ელემენტების სახით TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც სათანადო მტკიცებულებებით დასტურდება ობიექტურად პოზიტიური ეფექტების, როგორც ცალკეული ხელშესახები შედეგის დადგომის მაღალი ალბათობა.[573] აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული პოზიტიური ეფექტის სახით დამდგარი შედეგი არ არის სახეზე, საგამონაკლისო სქემის პირველი წინაპირობის ცალკეული ელემენტის არსებობისათვის აუცილებელია სათანადო მტკიცებულებებით დასტურდებოდეს ასეთი შედეგის მიღწევის მაღალი ალბათობა.

[572] *შეად. Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 626.

[573] ECLI:EU:C:2009:610, *"GlaxoSmithKline Services,"* In Joined Cases C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P and C-519/06 P, 06.10.2009, § 93.

iii. წარმოების გაუმჯობესება

კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისების პირველი წინაპირობის პირველ ელემენტად კანონმდებელი წარმოების გაუმჯობესებას განსაზღვრავს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ანალოგიურ მიდგომას ავითარებს TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტი (*"Verbesserung der Warenerzeugung" / "improving the production"*). ამ შემთხვევაში „წარმოების" ცნების ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ გარკვეული მატერიალური საქონლის შექმნა. ტერმინი „წარმოება" უფრო ფართო სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც ასევე მოიცავს გარკვეული მომსახურების შექმნის პროცესსაც.[574] შესაბამისად, ტერმინი „წარმოება" მიემართება ნებისმიერი სახის საქონელსა და მომსახურებას, რომლის მიწოდებაც არის შესაძლებელი შესაბამის ბაზარზე.

წარმოების გაუმჯობესებაზე შესაძლოა პრაქტიკაში რამდენიმე ფაქტორმა იქონიოს გავლენა. ამ კუთხით კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემისთვის ყველაზე რელევანტურია საწარმოო პროცესის სრულყოფა, რაც მისი უფრო რაციონალურად და ეფექტიანად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.[575] ევროკომისიის განმარტებით, წარმოების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთ საფუძვლად შესაძლოა ახალი ტექნოლოგიებისა თუ მეთოდების დანერგვა იქნეს მიჩნეული.[576] არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს წარმოების მოცულობებისა თუ მასშტაბების ზრდა ან ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელიც ერთეულ პროდუქტთან მიმართებით წარმოების ხარჯების შემცირებას განაპირობებს. წარმოების ხარჯების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია ე. წ. მასშტაბის ეკონომია (*"economies of scale" / Größenvorteile"*), რომელიც

---

[574] *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 618; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1079; *Schröter H., van Vormizeele P. V.,* Schröter/Jakob/Klotz/Mederer, Europäisches Wettbewerbsrecht, Groko, 2. Auflage, 2014, Rn. 290, 299; *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 88; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 48; *Brömmelmeyer C.,* FraKo. EUV/GRC/AEUV, 3. Bd. 1. Aufl. 2017, Rn. 117.

[575] *Schröter H., van Vormizeele P. V.,* Schröter/Jakob/Klotz/Mederer, Europäisches Wettbewerbsrecht, Groko, 2. Aufl., 2014, Rn. 300; *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 629; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1108; Entscheidung der Kommission vom 13. Juli 1983 betreffend ein Verfahren nach Artikel 85 EWG-Vertrag "*Rockwell/Iveco*".

[576] OJ L 354, 31.12.1994, p. 87–94, "*Asahi/Saint-Gobain*" § 24; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 64;

წარმოების რაოდენობრივი თუ მოცულობითი ზრდის შედეგად ერთეული პროდუქტის წარმოებაზე გასაწევი ხარჯების შემცირებას გულისხმობს.[577] წარმოების გაუმჯობესების მნიშვნელოვან გამოვლინებას ასევე წარმოადგენს პროდუქტისა თუ მომსახურების ხარისხის ზრდა,[578] მომხმარებლებისთვის ცალკეულ პროდუქტთან თუ მომსახურებასთან მიმართებით ფართო არჩევანის გარანტირება ან საერთოდ ახალი სახის პროდუქტის შეთავაზება.[579]

წარმოების ეფექტიანობის ზრდისკენ გადადგმულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს ასევე წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიებისა თუ მეთოდების სწავლის პროცესში დაზოგილი ხარჯები.[580] აქედან გამომდინარე, წარმოების გაუმჯობესების კუთხით განსაკუთრებული როლის მატარებელი შეიძლება აღმოჩნდეს წარმოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით ეკონომიკურ აგენტებს შორის გამოცდილებისა თუ დაგროვილი ცოდნის გაზიარება.[581] აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოების გაუმჯობესებას საფუძვლად შეიძლება დაედოს ეკონომიკურ აგენტებს შორის დამყარებული ისეთ კოორდინაცია, რომლის საგანიცაა კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული თანამშრომლობა.[582]

iv. მიწოდების გაუმჯობესება

მიწოდების გაუმჯობესება ცალკეული პროდუქტის ან მომსახურების დისტრიბუციის პროცესში რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ეფექტიანობის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით ზრდას გულისხმობს. ეკონომიკურ აგენტთა ჰორიზონტალურ შეთანხმებებთან შედარებით, მიწოდების გაუმჯობესების შემთხვევას უფრო ხშირად ადგილი ვერტიკალური კოორდინაციის შემთხვევაში აქვს, ვინაიდან მიწოდება, თავისი

---

[577] *Schröter H., van Vormizeele P. V.,* Schröter/Jakob/Klotz/Mederer, Europäisches Wettbewerbsrecht, Groko, 2. Aufl., 2014, Rn. 299; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 66;

[578] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, §§ 69.

[579] *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 630; *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 89.

[580] *Schröter H., van Vormizeele P. V.,* Schröter/Jakob/Klotz/Mederer, Europäisches Wettbewerbsrecht, Groko, 2. Aufl., 2014, Rn. 299.

[581] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 89.

[582] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1112; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 70.

არსით, ვერტიკალური ხასიათის მატარებელ პროცესად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მიწოდებასთან დაკავშირებული დადებითი ეფექტები განსაკუთრებით აქტუალურია ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობების შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც ასეთი ურთიერთობა მასში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს აძლევს შესაძლებლობას მინიმუმამდე დაიყვანონ საბაზრო რყევებთან დაკავშირებული რისკები, არსებითად შეამცირონ დისტრიბუციის ხარჯები და კონკურენტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზარდონ შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების კონკურენტუნარიანობა.[583]

წარმოების გაუმჯობესების მსგავსად, მიწოდების გაუმჯობესებაც შესაძლებელია გამოხატული იყოს ეფექტიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდაში. ეფექტიანობის რაოდენობრივი ზრდა, ევროკომისიის განმარტებით, შესაძლოა გამოვლინდეს შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამისი საქონლისა და მომსახურების დისტრიბუციის ხარჯების შემცირებაში.[584] ხარჯების შემცირების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ამ შემთხვევაში შესაძლოა მიჩნეულ იქნეს მასშტაბის ეკონომია, რომლის საფუძველზეც მიწოდების მასშტაბების რაოდენობრივი ზრდა ერთეული პროდუქტის მიწოდებაზე გასაწევი ხარჯების შემცირებას იწვევს.[585]

მიწოდების გაუმჯობესების ერთ-ერთ გამოვლინებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს დისტრიბუციის პროცესში მომსახურების ხარისხის ზრდა. აღნიშნული შესაძლოა გამოხატული იყოს მომხმარებელთა საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული მომსახურების დანერგვაში, მიწოდების დროის შემცირებასა თუ სხვა თანმდევი მომსახურებების გაწევაში.[586] მიწოდების ხარისხობრივი გაუმჯობესება შეიძლება შეფასდეს მისი კომერციული მოქნილობითა და მწარმოებლებისა და მომხმარებლების მოთხოვნილებებზე რეაგირების უნარით, რაც გულისხმობს განაწილების სისტემის

---

[583] *Brömmelmeyer C.,* FraKo. EUV/GRC/AEUV, 3. Bd. 1. Aufl. 2017, Rn. 125.

[584] 91/480/EWG: Entscheidung der Kommission vom 30. Juli 1991 in einem Verfahren nach Artikel 85 EWG-Vertrag in der Sache IV/32.659 – "*IATA Passenger Agency Programme*", § 57; 91/481/EWG: Entscheidung der Kommission vom 30. Juli 1991 in einem Verfahren nach Artikel 85 EWG-Vertrag in der Sache IV/32.792 – "*IATA Cargo Agency Programme*", § 51.

[585] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 90.

[586] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 72; 82/742/EWG: Entscheidung der Kommission vom 29. Oktober 1982 über ein Verfahren nach Artikel 85 EWG-Vertrag "*Amersham Buchler*", § 11.

შესაძლებლობას ადაპტირდეს მომხმარებლის მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ ქცევებთან თუ ჩვევებთან და კონცენტრირდეს ისეთ პროდუქტებზე, რომელიც მომხმარებლის მხრიდან ყველაზე დიდი მოთხოვნით გამოირჩევა.[587] მიწოდების გაუმჯობესება ასევე შეიძლება გამოიხატოს მომხმარებლებისათვის შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების ფართო სპექტრის შეთავაზებაში, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის არჩევანის შესაძლებლობის ზრდას. აღნიშნული ფაქტორი ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის მეორე წინაპირობასთან ერთობლიობაში, რომელიც მომხმარებლების კეთილდღეობის ზრდას გულისხმობს.[588]

v. ტექნოლოგიური პროგრესი

ტექნოლოგიური პროგრესი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია, რომელიც ძირითად იმპულსებს აძლევს ახალი და მაღალგანვითარებული საქონლისა და მომსახურების შექმნასა და მომხმარებლებისთვის მიწოდებას.[589] გარდა ამისა, ტექნოლოგიური პროგრესი ეფექტიანი კონკურენციის განვითარების ერთ-ერთი საფუძველიცაა იმდენად, რამდენადაც უმთავრესად ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ ამ კუთხით მიღწეული წარმატებები აიძულებს სხვა ეკონომიკურ აგენტებს ინოვაციაზე ორიენტირებას. მსგავსი მომეტებული მნიშვნელობის გამო მოულოდნელობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიური პროგრესი საგამონაკლისო სქემის გამოყენების პირველი წინაპირობის ერთ-ერთ ალტერნატიულ ელემენტად არის მიჩნეული.

ტექნოლოგიური პროგრესი, საჭიროებს ახალი ცოდნის შექმნას, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი სამეცნიერო კვლევების განხორციელება. ამისათვის ეკონომიკური აგენტები ცოდნის დამოუკიდებლად გენერირების საშუალებებს მიმართავენ ან ამავე მიზნით იწყებენ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობას სხვადასხვა სახის ტექნოლოგიური მიღწევებისა თუ გამოცდილების ერთმანეთში

[587] ECLI:EU:C:1980:248, *"Heintz van Landewyck SARL,"* Joined Cases 209 to 215 and 218/78, 29.10.1980, § 184.
[588] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1114.
[589] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 70; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1119.

გაცვლის მიზნით. ამ გადმოსახედიდან, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის ტექნოლოგიური პროგრესი, როგორც საგამონაკლისო სქემის ერთ-ერთი ელემენტი, ხშირ შემთხვევაში ისეთი შეთანხმებებისთვის არის რელევანტური, როგორიცაა, სალიცენზიო ხელშეკრულებები, კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული კოორდინაცია და ა. შ.[590] ასეთ დროს ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღწეული შეთანხმების მიზანია ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და ბაზარზე დანერგვა.[591] ამ კუთხით, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის ფარგლებში ტექნოლოგიური პროგრესის ელემენტი შესაძლოა სახეზე იყოს მაშინ, როდესაც კონკურენციის შემზღუდველი კონკრეტული შეთანხმების შედეგად ახალი საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის შეთავაზება ხდება იმაზე უფრო სწრაფად, უფრო ნაკლები დანახარჯებითა და უფრო მაღალი ტექნოლოგიური სტანდარტებით, ვიდრე ეს ამ შეთანხმების გარეშე იქნებოდა შესაძლებელი.[592] აღნიშნულის მაგალითად შესაძლოა ასევე განხილულ იქნეს ევროკომისიის ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ტექნოლოგიური პროგრესის მომტან შეთანხმებად მიჩნეულ იქნა ეკონომიკურ აგენტთა ისეთი კოორდინაცია, რომლის შედეგადაც მხარეებს ისეთი ძრავის განვითარების შესაძლებლობა მიეცათ, რომელიც, მათ მფლობელობაში უკვე არსებულ ძრავებთან შედარებით, ერთ მგზავრთან მიმართებით მნიშვნელოვნად შეამცირებდა ხარჯებს და ექნებოდა მავნე აირებისა და ხმაურის მინიმალური ემისია.[593]

vi. ეკონომიკური პროგრესი

პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი ეკონომიკურ პროგრესსა და საგამონაკლისო სისტემის პირველი წინაპირობის დანარჩენ სამ ელემენტს შორის გარკვეულ შინაარსობრივ ურთიერთგადაკვეთას.[594] აქედან გამომდინარე, ევროპულ რეალობაში

---

[590] *Brömmelmeyer C.,* FraKo. EUV/GRC/AEUV, 3. Bd. 1. Aufl. 2017, Rn. 128.

[591] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 91.

[592] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 70; *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 91.

[593] OJ L 58, 03.03.2000, p. 16–29, *"GEAE/P & W,"* § 79.

[594] *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 634.

ეკონომიკური პროგრესი ხშირ შემთხვევაში განიხილება, როგორც ზოგადი ცნება, რომელიც თავის თავში დანარჩენ სამ ელემენტს აერთიანებს.[595] მსგავსი ზოგადი და მრავალმხრივი სამართლებრივი კატეგორიის გამოყენება წარმოადგენს იმის მცდელობას, რომ საგამონაკლისო სქემის მიღმა არ დარჩეს პოზიტიური ეკონომიკური ეფექტების მქონე სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ არ თავსდება დანარჩენი სამი ელემენტის მოქმედების ფარგლებში.

აღნიშნულზე მეტყველებს ევროკომისიის მდიდარი პრაქტიკა, სადაც ეკონომიკური პროგრესის ფარგლებში განხილულია ცალკეულ შეთანხმებათა ისეთი პოზიტიური ეფექტები, როგორიცაა ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება,[596] ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მავნე გამონაბოლქვის შემცირება,[597] ენერგოეფექტურობის ზრდა,[598] სასოფლო დასახლებებში საკომუნიკაციო სისტემების განვითარების ხელშეწყობა[599] და ა. შ. ეკონომიკური პროგრესის მსგავსი შინაარსით განხილვა ცხადჰყოფს ეკონომიკური პროგრესისა და ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელოვან შინაარსობრივ თანაკვეთას. სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ევროკომისია ამ ორ ელემენტს ხშირ შემთხვევაში ერთობლიობაში განიხილავს. ევროკომისიის პრაქტიკაში ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობის საფუძველზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებისაგან ასევე განთავისუფლდა ეკონომიკურ აგენტთა ისეთი კოორდინაცია, რომელიც ინდუსტრიულ თუ კომერციულ გამოფენაზე მონაწილეობას შეეხებოდა. შეთანხმების შედეგად კი ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებოდათ სხვა ანალოგიურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. ევროკომისიამ კი ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მსგავსი შეთანხმება ხელს უწყობდა ეკონომიკურ პროგრესს

[595] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1128; *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 636; OJ L 100, 20.4.1990, p. 32–37, *"Moosehead/Whitbread,"* § 16.
[596] OJ L 100, 20.4.1990, p. 32–37, *"Moosehead/Whitbread,"* § 16; OJ L 58, 03.03.2000, p. 16–29, *"GEAE/P & W,"* § 79.
[597] OJ L 301, 04.11.1988, p. 68–73, *"BBC Brown Boveri"* § 23.
[598] OJ L 187, *"CECED", p.* 47–54, 26.7.2000, § 47.
[599] OJ L 306, *Eirpage", p.* 22–33, 07.11.1991, § 15.

იმდენად, რამდენადაც ცალკეულ პროდუქტთა კონცენტრაცია ერთ კონკრეტულ ადგილას მნიშვნელოვნად ამაღლებდა მომხმარებელთა არჩევანის შესაძლებლობას.[600]

2.6. მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდა

i. მომხმარებელი

კანონმდებლის მიერ მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდის სახით დამოუკიდებელი წინაპირობი ჩამოყალიბება ემსახურება იმ მიზანს, რომ ცალკეული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება სარგებლის მომტანი არ იყოს მხოლოდ მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის. იგი უზრუნველყოფს შექმნილი პოზიტიური ეფექტების მომხმარებლებზე გადანაწილებასაც.

განსახილველი საგამონაკლისო სქემის მოქმედების ფარგლების ზუსტად იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია განხილულ იქნეს საკუთრივ მომხმარებლის ცნება. ამ შემთხვევაში იგი არ მოიცავს მხოლოდ საბოლოო მომხმარებელს, რომლებიც ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებას საკუთარი პირადი მოხმარებისთვის იძენენ. კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, მომხმარებელი ასევე გულისხმობს ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც სხვადასხვა მიზნით იძენს შეთანხმებასთან შემხებლობაში მყოფ ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებას. იგი შეიძლება იყოს სხვა ეკონომიკურ აგენტიც, რომელიც მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით იძენს ასეთ საქონელსა თუ მომსახურებას.[601] გარდა ამისა, მომხმარებელი ასევე არ გულისხმობს მხოლოდ კოორდინაციაში ჩართული ეკონომიკური აგენტებისგან შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების პირდაპირ შემძენს, ანუ იმ სუბიექტს, რომელიც უშუალოდ კონკრეტული შეთანხმების მონაწილე სუბიექტთან ამყარებს სახელშეკრულებო ურთიერთობას. მომხმარებლის ცნება ამ შემთხვევაში უფრო ფართოდ განიმარტება და იგი მოიცავს შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერ ქვედა

[600] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1131.

[601] *Brömmelmeyer C.,* FraKo. EUV/GRC/AEUV, 3. Bd. 1. Aufl. 2017, Rn. 119; *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 94; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1139.

დონეზე მოქმედ ნებისმიერ არაპირდაპირ შემძენსაც, რომელიც სხვადასხვა მიზნით იძენს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებას.[602]

ii. კეთილდღეობის ზრდა

კეთილდღეობის ზრდასთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ფორმულირება როგორც TFEU 101-ე მუხლის მესამე პუნქტში, ასევე GWB მე-2 პარაგრაფში განვითარებული მიდგომებისგან მნიშვნელოვნად არის აცდენილი. გერმანული და ევროპული ნორმები ამ შემთხვევაში საუბრობენ არა ზოგადად მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდაზე, არამედ კონკრეტული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებით შექმნილი სარგებლისა თუ წარმოშობილი პოზიტიური ეფექტების მომხმარებლებისთვის სამართლიანად გადანაწილებაზე.[603] მიუხედავად მსგავსი ტექნიკური ხასიათის განსხვავებებისა, დასახელებულ ნორმებს იდენტური მიზნები და ამოცანები გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის განმარტების პროცესში ზემოთ აღნიშნულ გერმანულ და ევროპულ ნორმებთან მიმართებით დაგროვილი თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილების გაუზიარებლობის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

კეთილდღეობა თუ სარგებელი ამ შემთხვევაში არ გულისხმობს წმინდა კომერციულ მოგებას, რომლის თანაზიარიც მომხმარებელი უნდა გახდეს. განსახილველი ცნების ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც შეიძლება კონკურენციის შემზღუდველი კონკრეტული შეთანხმებიდან გამომდინარეობდეს. აღნიშნული კი არ გულისხმობს, მხოლოდ ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასების შემცირებას ან ფასების ზრდის პრევენციას. მომხმარებლის კეთილდღეობა და სარგებელი საგამონაკლისო სქემის ფარგლებში შესაძლოა გამოიხატოს ახალი, უფრო დახვეწილი და მაღალი ხარისხის საქონლისა თუ მომსახურების შეთავაზებაში.[604]

---

[602] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 94.

[603] *"...allowing consumers a fair share of the resulting benefit..."* / "*...unter angemessener Beteiligung der Verbraucher an dem entstehenden Gewinn...*"

[604] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 95.

ის კეთილდღეობა თუ სარგებელი, რომლის თანაზიარიც უნდა გახდეს მომხმარებელი და რომელმაც მასზე დადებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს, განხილულ უნდა იქნეს საგამონაკლისო სქემის პირველ წინაპირობასთან ერთობლიობაში, რომელიც წარმოების ან მიწოდების გაუმჯობესებას ან ტექნოლოგიურ ან ეკონომიკურ პროგრესს გულისხმობს.[605] კონკრეტულ შემთხვევაში, კონკურენციის შემზღუდველ ცალკეულ შეთანხმებას, რომელსაც დასახელებული პოზიტიური ეფექტებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს მიღწევის პოტენციალი გააჩნია, ასევე უნდა შესწევდეს იმის უნარი, რომ აღნიშნული პოზიტიური ეფექტები თანაზომიერად აისახოს არა მხოლოდ მასში მონაწილე სუბიექტების, არამედ მომხმარებელთა კეთილდღეობაზეც. მაგალითად, ეკონომიკური აგენტებისთვის წარმოების ხარჯების შემცირება მომხმარებლებისთვის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების შეძენის ფასების შემცირებაში შეიძლება გარდაისახოს, ტექნოლოგიური პროგრესი - ხარისხის ზრდაში და ა. შ.

კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდაზე მითითება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს, კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული შეთანხმებიდან მომდინარე სიკეთეები მომხმარებლებზე სრულად უნდა გადანაწილდეს. მომხმარებლის მიერ მისაღები ბენეფიტების მასშტაბებთან დაკავშრებით შედარებით უფრო ნათელ სურათს ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმიდან გამონაკლისების დამდგენი ევროპული და გერმანული ნორმები, სადაც მომხმარებლების სამართლიან წილსა (*"a fair share"*) და შექმნილ სარგებელში მომხმარებლების თანაზომიერ თანამონაწილეობაზე *("angemessene Beteiligung")* არის საუბარი. გერმანულ და ევროპულ პრაქტიკასა თუ თეორიაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, შექმნილ სარგებელში მომხმარებლების თანამონაწილეობა გულისხმობს მომხმარებლებზე სულ მცირე იმ მასშტაბის ბენეფიტების გავრცელებას, რომელიც საკმარისია იმისათვის, რათა მათთვის დაკომპენსირდეს კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული შეთანხმებით გამოწვეული ფაქტობრივი ან პოტენციური ნეგატიური ეფექტები.[606] მაგალითად, თუ კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული

[605] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1145.

[606] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 96; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 85.

შეთანხმების შედეგად მოსალოდნელია შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასების ზრდა, ამ შეთანხმებაზე გამონაკლისების სქემის გასავრცელებლად აუცილებელია აღნიშნული ნეგატიური ეფექტი დაკომპენსირდეს ხარისხის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ხარისხის პროპორციული ზრდით ან სხვა თანაზომიერი პოზიტიური ეფექტით.[607]

განსახილველი წინაპირობის დაკმაყოფილებისთვის ასევე არ არის აუცილებელი, მომხმარებელთა კეთილდღეობის იმწუთიერ ზრდას ჰქონდეს ადგილი. შესაძლებელია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ნეგატიური ეფექტი შეთანხმების მიღწევისთანავე დადგეს, თუმცა მისგან მომდინარე პოზიტიური ეფექტები მომხმარებელზე რაღაც დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ გავრცელდეს. თუმცა ამ კუთხით რაც უფრო დიდია პოზიტიური ეფექტების მომხმარებლებზე გავრცელების დროითი ინტერვალი, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისათვის რელევანტური კეთილდღეობა თუ სარგებელი მით უფრო დიდი და მასშტაბური უნდა იყოს, რათა მან კონკურენციის შემზღუდველი შესაბამისი შეთანხმებიდან მომდინარე ნეგატიური ეფექტები გამოათანაბროს.[608]

ამასთან, იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში მომხმარებლის ცნება მოიცავს მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედ ნებისმიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ შემძენს, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განსახილველი წინაპირობის დაკმაყოფილებისათვის არ არის აუცილებელი, რომ შექმნილი პოზიტიური ეფექტები უშუალოდ საბოლოო მომხმარებელზე გავრცელდეს. ამ კუთხით საკმარისია ცალკეული შეთანხმებით წარმოქმნილი ეფექტები სარგებლის მომტანი იყოს მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერ ქვედა დონეზე მოქმედ სუბიექტთა გარკვეული კატეგორიისთვის.[609]

---

[607] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 86; *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 96.

[608] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 87; *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 97.

[609] *Ellger R., Fuchs A.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 2. Kom. Zum deutschen KartR, 6. Aufl., 2020, § 2. Rn. 94.

2.7. მიზეზობრივი კავშირი, შეზღუდვის აუცილებლობა და პროპორციულობა

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ერთ-ერთი უმთავრესი ტელეოლოგიური საფუძველი ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობის დაცვასა და უზრუნველყოფაში მდგომარეობს. აღნიშნულის ერთ-ერთ გამოვლინებას კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი „ა“ ქვეპუნქტი წარმოადგენს, სადაც ცალკეული შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის ამ შეთანხმებითვე დაკისრებულ ვალდებულებებზე არის საუბარი. ვალდებულების დაკისრების ფარგლებში ერთ-ერთ შინაარსობრივ მიმართულებასა თუ ასპექტს ამ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობის შეზღუდვა წარმოადგენს. ამით კანონმდებელი ცალკეული შეთანხმების შედეგად ეკონომიკურ აგენტთა ინდივიდუალური კონკურენტული ავტონომიურობის შეზღუდვასა და ამ შეთანხმებით გამოწვეული სხვადასხვა სახის პოზიტიურ ეფექტებს შორის ოქროს შუალედის მიღწევას ცდილობის.

იმდენად, რამდენადაც ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობა შესაბამის ბაზარზე კონკურენციის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი ამ შემთხვევაში შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის დაწესებულ ინდივიდუალურ შეზღუდვებთან ერთად კონკურენციის შეზღუდვის ინტენსივობასა და მასშტაბებზე საუბრობს. სწორედ ამ გადმოსახედიდან არის ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტში საგამონაკლისო სქემის მესამე წინაპირობის ფარგლებში კონკურენციის ინდივიდუალურ შეზღუდვაზე (*“individual restrictions of competition “*) ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი გაკეთებული.[610]

დასახელებულ შეზღუდვებთან ერთად კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ყურადღება გამახვილებულია ამ შეზღუდვებსა და შესაბამისი კოორდინაციის შედეგად წარმოშობილ პოზიტიურ ეფექტებს შორის მიზეზობრივ კავშირზე. ამ შემთხვევაში გამოყენებულია ტერმინი „მიზნები“, რომელიც მიემართება კანონის მე-9 მუხლის ზოგად ნაწილში ჩამოთვლილ პოზიტიურ წინაპირობებს. აქედან გამომდინარე, საგამონაკლისო სქემის მესამე წინაპირობა ამავე სქემის პირველი ორი

[610] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 73.

წინაპირობის დაკმაყოფილებასა და ცალკეულ კოორდინაციას შორის რაციონალური მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენას გულისხმობს.[611]

მიზეზშედეგობრივ კავშირთან ერთად საგამონაკლისო სქემის განსახილველი წინაპირობის ძირითად ელემენტებს ასევე წარმოადგენს ამავე სქემის პირველი ორი წინაპირობით გათვალისწინებული პოზიტიური ეფექტების მიღწევისათვის ეკონომიკურ აგენტთა კონკრეტული კოორდინაციით გამოწვეული შეზღუდვის აუცილებლობა და პროპორციულობა.

აუცილებლობის ტესტის ფარგლებში უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად იძლევა მთლიანად შეთანხმება და ამ შეთანხმებით მასში მონაწილე მხარეებისთვის გათვალისწინებული ინდივიდუალური შეზღუდვები საგამონაკლისო სისტემის პირველი და მეორე წინაპირობით გათვალისწინებული პოზიტიური ეფექტების მიღწევის იმაზე უკეთეს შესაძლებლობას, ვიდრე ეს ამ შეზღუდვების გარეშე იქნებოდა შესაძლებელი.[612] ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს რამდენად წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაცია ამ კოორდინაციის შედეგად წარმოშობილი პოზიტიური ეფექტების მისაღწევ ერთადერთ შესაფერის საშუალებას. ამისათვის აუცილებელია გამოირიცხოს იგივე მასშტაბის პოზიტიური ეფექტების მისაღწევად ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის სხვა უფრო ნაკლებად ზიანის მომტანი საშუალებების არსებობა.

აუცილებლობის ტესტის დაკმაყოფილების შემდეგ ფასდება ცალკეული კოორდინაციით დაწესებული შეზღუდვის პროპორციულობა. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკურ აგენტთა შორის დამყარებული ცალკეული კოორდინაციის შედეგად წარმოქმნილი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები უნდა იყოს პროპორციული საგამონაკლისო სქემის პირველი ორი წინაპირობით გათვალისწინებული იმ პოზიტიური ეფექტებისა, რომელიც ამ შეთანხმების შედეგად დადგა.[613] შესაბამისად, თუ წარმოქმნილ პოზიტიურ ეფექტებსა და კონკურენციის

[611] *Kersting C., Walzel D. K.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 626; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1086; *Brömmelmeyer C.,* FraKo. EUV/GRC/AEUV, 3. Bd. 1. Aufl. 2017, Rn. 118.
[612] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 74.
[613] ECLI:EU:T:1994:89, "*Matra Hachette SA,*" Case T-17/93, 15.07.1994, § 135.

შეზღუდვის მასშტაბებს შორის არ არსებობს თანაზომიერი ურთიერთდამოკიდებულება, მაშინ ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაცია ვერ დააკმაყოფილებს საგამონაკლისო სქემის მესამე წინაპირობას და იგი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მოქმედების ფარგლებს ვერ გაექცევა.

2.8. კონკურენციის აღკვეთის დაუშვებლობა

კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის მეოთხე (ნეგატიური) წინაპირობა ეკონომიკურ აგენტებს არ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ კონკურენცია შესაბამისი სასაქონლო და მომსახურების ბაზრის/ბაზრების მნიშვნელოვან ნაწილზე აღკვეთონ. აღნიშნული მიდგომა უმთავრესად ეფექტიანი კონკურენციის გრძელვადიანი განვითარების უზრუნველყოფის აუცილებლობით არის განპირობებული. ეკონომიკურ აგენტთა მეტოქეობა მდგრადი ეკონომიკური პროგრესისა და ეფექტიანობის ძირითადი ბიძგისა და იმპულსების განმაპირობებელი ფაქტორია. მაშინ, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული ცალკეული კოორდინაციის შედეგად შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე იზღუდება და აღმოიფხვრება კონკურენცია, ეკონომიკურ აგენტთა მეტოქეობის პროცესი დეგრადაციის გზას ადგება და მოკლევადიანი პოზიტიური ეფექტების სანაცვლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში იქმნება ისეთი მოცემულობა, როდესაც შესაბამის ბაზარზე კონკურენტული წნეხი შემცირდება, რაც დროთა განმავლობაში რესურსების არათანაბარ გადანაწილებაში, ინოვაციის შემცირებაში, ფასების ზრდაში და სხვა სახის ნეგატიურ ეფექტებსა თუ შედეგებში გარდაისახება.[614] აქედან გამომდინარე, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა საგამონაკლისო სისტემას მაინც ჯანსაღ კონკურენტულ გარემოსთან დაკავშირებული გრძელვადიანი მიზნებისა და ინტერესების ჩარჩოებს უქვემდებარებს.

საგამონაკლისო სისტემის განსახილველი წინაპირობის შეფასების პროცესში აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ცალკეულ შეთანხმებასთან შემხებლობაში მყოფი შესაბამისი ბაზრების ზუსტ საზღვრებზე და სიღრმისეულად გაანალიზდეს ამ

[614] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 105.

ბაზარზე არსებული კონკურენციის ხარისხი. იდენტიფიცირებულ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის რაც უფრო დიდი ინტენსივობით გამოირჩევა კონკრეტულ მომენტში შესაფასებელი კოორდინაცია, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ამ კოორდინაციის მიმართ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემა გავრცელდეს.[615]

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ საუბრობს კონკურენციის ნებისმიერი ხარისხით ან ინტენსივობით აღმოფხვრაზე. კანონმდებელი იქვე აკეთებს დათქმას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კუთხით რელევანტურია მხოლოდ კონკურენციის ისეთი შეზღუდვა, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ცალკეულ კოორდინაციასთან შემხებლობაში მყოფი შესაბამისი ბაზრის/ბაზრების მნიშვნელოვან ნაწილზე. თუმცა კანონით განსაზღვრული არ არის, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული შესაბამისი ბაზრის/ბაზრების მნიშნელოვან ნაწილად.

კანონმდებელი კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში ადგენს საქართველოს მთავრობის კომპეტენციას განსაზღვროს ის პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც წესდება ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისები და რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმების კონკრეტულ სახესთან. აღნიშნული ნორმის შესაბამისად მიღებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის N526 დადგენილება, „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ (შემდგომში „N526 დადგენილება“ ან „გამონაკლისების დადგენილება“).

გამონაკლისების დადგენილების მე-5 მუხლი განსაზღვრავს შეთანხმებათა გარკვეულ სახეებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემა და ამ შეთანხმებათა მიმართ ადგენს იმ პროცენტულ მაჩვენებლებს, რომელთა მიხედვითაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი საბაზრო წილის განსაზღვრა ხდება. კერძოდ, გამონაკლისების დადგენილების მე-8 პუნქტის მიხედვით, დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული

[615] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 1192; CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 107.

შეთანხმებების შემთხვევაში ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი გულისხმობს ამ შეთანხმებასთან შემხებლობაში მყოფი შესაბამისი ბაზრების მთლიანი მოცულობის 30 პროცენტს. N526 დადგენილების მე-15 მუხლი ეხება ტექნოლოგიური ტრანსფერის ხელშეკრულებებს და ადგენს, რომ ამ შინაარსის ჰორიზონტალური კოორდინაციის შემთხვევაში ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება 20 პროცენტის, ხოლო ვერტიკალური შეთანხმებების შემთხვევაში - 30 პროცენტის ოდენობით. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი 20 პროცენტით არის ასევე განსაზღვრული სპეციალიზაციის ხელშეკრულებებისათვის, რაც გამონაკლისების დადგენილების მე-19 მუხლით არის გათვალისწინებული. ამავე დადგენილების 22-ე მუხლი კი შესაბამისი ბაზრის მნიშნელოვან ნაწილს საერთო კვლევების წარმოების შეთანხმებებთან მიმართებით 25 პროცენტის ოდენობით განსაზღვრავს.

2.9. ნორმატიული კონკრეტიზება?

გამონაკლისების დადგენილების დანიშნულება მხოლოდ შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის განსაზღვრაში როდი მდგომარეობს. ის ასევე აყალიბებს იმ წინაპირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ამავე დადგენილებით გათვალისწინებულ შეთანხმებათა კატეგორიებზე გამონაკლისების გავრცელება არის შესაძლებელი.

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმიდან გამონაკლისების დაწესებისკენ მიმართული ზოგადი წესების სხვა სამართლებრივ აქტში კონკრეტიზება ქართული კონკურენციის კანონმდებლობის მიგნებად ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს. ანალოგიურ მიდგომას არაერთ დასავლურ მართლწესრიგში ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად ევროპულ რეალობაში არსებობს ევროპული კავშირის სამართლის რამდენიმე მეორადი წყარო, სადაც გამონაკლისებთან დაკავშირებით უფრო სპეციალური ნორმებიც არის განსაზღვრული.

ქართული კონკურენციის სამართლისაგან განსხვავებით, გამონაკლისებთან მიმართებით ევროპული კონკურენციის სამართალი უფრო ცხადი და ცალსახა მიდგომებით გამოირჩევა. კერძოდ, ევროპული მოწესრიგება ცალკეულ ვერტიკალურ

შეთანხმებაზე როგორც ჯგუფური გამონაკლისების გავრცელების, ასევე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ცალკეული ეფექტების შედეგად მასზე ინდივიდუალური გამონაკლისების გამოყენებისა და ამ გზით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმისაგან განთავისუფლების შესაძლებლობას იძლევა. ამ შემთხვევაში მხედველობაში არის მისაღები ვერტიკალური შეთანხმებების აკრძალვიდან ჯგუფურ გამონაკლისებთან დაკავშირებული N330/2010 რეგულაციისა და TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის ურთიერთმიმართება.

აღსანიშნავია, რომ ვერტიკალური შეთანხმებების აკრძალვიდან ჯგუფურ გამონაკლისებთან დაკავშირებული N330/2010 რეგულაციის მიღებამდე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებიდან გამონაკლისების ევროპულმა სისტემამ არაერთხელ განიცადა მნიშნელოვანი ტრანსფორმაცია. თავდაპირველად ევროკომისიას მიღებული ჰქონდა არაერთი რეგულაცია, რომელიც სხვადასხვა სექტორში დამყარებულ კოორდინაციებთან მიმართებით ინდივიდუალურ გამონაკლისებსა და შესაბამის წინაპირობებს განსაზღვრავდა. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ეკონომიკური აგენტები ვალდებულნი იყვნენ გარკვეული კატეგორიის შეთანხმებების დადებისას სპეციალური ფორმის დაცვით მიემართათ კომისიისთვის, რომლის დასტურის შემთხვევაშიც ისინი კონკრეტული შეთანხმების დადების უფლებას მოიპოვებდნენ.

შეთანხმებათა ინდივიდუალური რევიზია, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად ართულებდა საგამონაკლისო სისტემის ეფექტიანობასა და მოქნილობას. აქედან გამომდინარე, ევროკომისიამ საბოლოოდ არჩევანი ჯგუფური გამონაკლისების დაწესებაზე გააკეთა. პირველი ჯგუფური გამონაკლისების რეგულაცია ძალაში 1967 წელს შევიდა, რომელიც ექსკლუზიურ დისტრიბუციასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს შეეხებოდა.[616] 1983 წელს მიღებულ იქნა ექსკლუზიური დისტრიბუციისა და ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებებთან დაკავშირებული რეგულაცია. შემდგომ პერიოდებში ცალ-ცალკე მიიღეს სალიცენზიო შეთანხმებებთან, ავტომობილების დისტრიბუციისა და ფრენჩაიზინგის შეთანხმებებთან დაკავშირებული რეგულაციები.

[616] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Einl. Rn. 7.

1996 წელს ძალაში შევიდა ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ შეთანხმებებთან მიმართებით ჯგუფური გამონაკლისები რეგულაცია.

ჯგუფური გამონაკლისების დასახელებულ რეგულაციებზე დაფუძნებული საგამონაკლისო სისტემა თავიდანვე დიდი კრიტიკის ობიექტად იქცა. კრიტიკის ძირითადი საფუძველი მნიშვნელოვანი ხარვეზის შემცველ ნორმებსა და ამ რეგულაციათა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ პრობლემებში მდგომარეობდა. თითოეული რეგულაციას მოქმედების შეზღუდული ფარგლები გააჩნდა და გარკვეულ საკითხებთან მიმართებით ასევე ხშირი იყო ნორმათა გავრცელების ურთიერთთანაკვეთა. მსგავსი მოუქნელი სისტემა კი ხშირ შემთხვევაში მნიშნელოვან წინააღმდეგობებს უქმნიდა ეკონომიკურად მომგებიანი და ტექნოლოგიურ განვითარებასა თუ ინოვაციაზე ორიენტირებული შეთანხმებების დადებას.

საგამონაკლისო სისტემასთან დაკავშირებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად ევროკომისიამ 1995 წელს ახალი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად შესაბამის რეფორმაზე დაიწყო მუშაობა. აღნიშნულის შედეგად 2000 წლის პირველ ივნისს მიღებულ იქნა ვერტიკალური შეთანხმებების შესახებ ჯგუფურ გამონაკლისებთან დაკავშირებული რეგულაცია, რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლის 31 მაისი. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი ძალაში შევიდა ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით ჯგუფური გამონაკლისების ახალი რეგულაცია, რომელიც დღემდე მოქმედებს და იგი მის წინამორბედთან შედარებით გარკვეულ კორექტირებებს შეიცავს, თუმცა ძირითადი პრინციპები და მიდგომები მაინც იგივე დარჩა.[617] გარდა ამისა, ევროკავშირში შეთანხმებათა გარკვეულ სახეებთან მიმართებით ასევე მოქმედებს ჯგუფურ გამონაკლისებთან დაკავშირებით სხვა სპეციალური რეგულაციებიც. კერძოდ, კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული გარკვეული კატეგორიის შეთანხმებებზე TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების შესახებ 2010 წლის რეგულაცია,[618] სპეციალიზაციასთან დაკავშირებით გარკვეული კატეგორიის შეთანხმებებზე TFEU 101-ე

[617] CR (EU) No 330/2010 of 20 April 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices.

[618] OJ L 335, 18.12.2010, p. 36–42, CR (EU) No 1217/2010 of 14 December 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to certain categories of research and development agreements.

მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების შესახებ 2010 წლის რეგულაცია,[619] ტექნოლოგიების ტრანსფერთან დაკავშირებით გარკვეული კატეგორიის შეთანხმებებზე TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების შესახებ 2010 წლის რეგულაცია,[620] ავტოსატრანსპორტო სექტორში დადებული გარკვეული კატეგორიის შეთანხმებებზე TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების შესახებ 2010 წლის რეგულაცია[621] და საზღვაო გადაზიდვების სექტორში დადებული გარკვეული კატეგორიის შეთანხმებებზე TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების შესახებ 2010 წლის რეგულაცია.[622]

აღნიშნული რეგულაციების მიხედვით, ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოსაყალიბებელი კოორდინაციის წინასწარი რევიზია თუ კონტროლი არ ხდება. მისი შეფასება დღის წესრიგში მხოლოდ შესაბამისი შეთანხმების დადებისა და ამ შეთანხმების სახით TFEU 101-ე მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში დგება. შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებზე საგამონაკლისო სისტემის გავრცელების *ex ante* რევიზიის ნაცვლად ევროკომისიამ მისი *ex post* კონტროლის სახით უფრო მოქნილი და ეფექტური მექანიზმი შექმნა.[623]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა, რომელიც ევროპულ საგამონაკლისო სისტემას ახასიათებს მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ იმ შემთხვევაში თუ ცალკეული კოორდინაცია არ აკმაყოფილებს ჯგუფური გამონაკლისების რეგულაციებით გათვალისწინებულ წინაპირობებს, აღნიშნული ავტომატურად არ აქცევს მას TFEU 101-ე მუხლით აკრძალულ ქმედებად. ასეთ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება ცალკეულ კოორდინაციაზე ინდივიდუალური გამონაკლისის გავრცელების შესაძლებლობა.

---

[619] OJ L 335, 18.12.2010, p. 43–47, CR (EU) No 1218/2010 of 14 December 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to certain categories of specialisation agreements.

[620] OJ L 93, 28.3.2014, p. 17–23, CR (EU) No 316/2014 of 21 March 2014 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of technology transfer agreements.

[621] OJ L 129, 28.5.2010, p. 52–57, CR (EU) No 461/2010 of 27 May 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices in the motor vehicle sector.

[622] OJ L 256, 29.9.2009, p. 31–34, CR (EC) No 906/2009 of 28 September 2009 on the application of Article 81(3) of the Treaty to certain categories of agreements, decisions and concerted practices between liner shipping companies (consortia).

[623] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 984.

ცალკეულ კოორდინაციაზე ინდივიდუალური გამონაკლისის გავრცელება გულისხმობს ამ კოორდინაციის TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ წინაპირობებთან მიმართებით შეფასებას,[624] რომელიც, თავის მხრივ, ემთხვევა კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მანდატორულ ელემენტებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ცალკეული კოორდინაცია არ აკმაყოფილებს რომელიმე ჯგუფური გამონაკლისის რეგულაციით გათვალისწინებულ წინაპირობებს, სამართალშეფარდების პროცესში ფასდება, თუ რამდენად არის იგი თავსებადი TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ანალიზის ობიექტია კონკრეტული კოორდინაციის ინდივიდუალური ეფექტები. აქედან გამომდინარე, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას ცალკეულ კოორდინაციასთან მიმართებით შეიძლება არა ჯგუფური გამონაკლისების რეგულაციების, არამედ TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე დაწესდეს ინდივიდუალური გამონაკლისი და ამ გზით გამოირიცხოს მასზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გავრცელება.

შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ რეალობაში არსებული ჯგუფური გამონაკლისების რეგულაციები განსაზღვრავენ შეთანხმებათა იმ კატეგორიებს, რომლებიც ევროკომისიის მოსაზრებით ნებისმიერ შემთხვევაში აკმაყოფილებენ TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ წინაპირობებს. შესაბამისად, ამ რეგულაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება გამორიცხავს ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებულ ცალკეულ კოორდინაციაზე TFEU 101-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის გავრცელების შესაძლებლობას. თუმცა ჯგუფური გამონაკლისების რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ შესაბამისი კოორდინაცია არ აკმაყოფილებს TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ წინაპირობებს. შესაბამისად, ასეთი კოორდინაცია ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით

[624] *Seelinger D.,* Wiedemann, Handbuch des KartR, 4. Aufl., 2020, § 11, Rn. 311.

გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით ამ კოორდინაციის ეფექტების განცალკევებულ ანალიზს.

ევროპული რეალობისაგან განსხვავებით, ქართული საგამონაკლისო დადგენილება არ ვრცელდება მხოლოდ ერთ სექტორსა თუ ერთი სახეობის შეთანხმებათა ჯგუფზე. გარკვეულ სექტორებთან მიმართებით საგამონაკლისო სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმების ცალკეული სამართლებრივი აქტით ინდივიდუალურად მოწესრიგების ნაცვლად, N526 დადგენილება ვრცელდება რამდენიმე სექტორში დადებულ სხვადასხვა შინაარსის შეთანხმებებზე. კერძოდ, N526 დადგენილების მე-5 მუხლის მიხედვით, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემა ვრცელდება მხოლოდ იმ ვერტიკალურ შეთანხმებებზე, რომელიც გულისხმობს დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინაციასა და შეთანხმებას ავტოსატრანსპორტო სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის. ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ასევე ადგენს საგამონაკლისო სისტემის გამოყენების შესაძლებლობას ისეთ ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური ტრანსფერის, სპეციალიზაციისა და საერთო კვლევების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფურ გამონაკლისებთან დაკავშირებული ევროპული რეგულაციების ანალოგიური მიზნებისა და ამოცანების მქონე სამართლებრივ აქტს ქართულ რეალობაში N526 დადგენილება აყალიბებს. თუმცა მისი ევროპული ანალოგისაგან განსხვავებით, გამონაკლისების ქართული დადგენილება საკითხის სრულყოფილი მოწესრიგებითა და მის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისი მოქმედების სივრცით, საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფილებითა და ეფექტურობით ნაკლებად გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით კოორდინაციის იმ ცალკეული სახეებისა თუ ფორმების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის ვალდებულებას, რომელთა მიმართაც შესაძლებელი იქნება კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის გამოყენება. აღნიშნულ ჩანაწერს გარკვეული ბუნდოვანება შემოაქვს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო

სისტემასა და გამონაკლისების დადგენილებას შორის არსებულ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ შემთხვევაში გაურკვეველია, თუ რა ფუნქციის მატარებელია N526 დადგენილება. იგი ამომწურავად განსაზღვრავს შეთანხმებათა იმ კატეგორიას, რომლებიც ავტომატურად გამოირიცხება კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვიდან თუ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ევროპული N330/2010 რეგულაციის მსგავს მიდგომას და N526 დადგენილების მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მაინც არის შესაძლებელი ცალკეულ კოორდინაციაზე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ინდივიდუალური გამონაკლისის გავრცელება.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტებით უნდა დაიწყოს, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ N526 დადგენილების მიღების სამართლებრივ საფუძველს აყალიბებს. სწორედ აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს თუ რა უფლებამოსილება აქვს საქართველოს მთავრობას გამონაკლისების დაწესების კუთხით და რა სამართლებრივი ფუნქციის მატარებელია აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტი.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომელსაც გამონაკლისების დადგენილება უნდა ემსახურებოდეს. დასახელებული ნორმის მიხედვით, მთავრობის დადგენილებით უნდა მოწესრიგდეს ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული კოორდინაციის კონკრეტულ სახესთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც წესდება გამონაკლისები. დასახელებულ ნორმაში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით. ამდენად, გამონაკლისების დადგენილება კოორდინაციის ცალკეულ სახეებთან მიმართებით დეტალურად განსაზღვრავს პროცესუალურ და მატერიალურ წინაპირობებს, რომელთა შესაბამისადაც, ცალკეულ შემთხვევაში საგამონაკლისო სისტემის გამოყენება უნდა მოხდეს.

მიუხედავად ამისა, კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი მაინც არ იძლევა ზუსტ და ცალსახა პასუხს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის შესაძლებელი კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ცალკეულ კოორდინაციასთან მიმართებით ინდივიდუალური გამონაკლისის დაშვება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს კოორდინაცია არ ექცევა N526 დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებათა კატეგორიაში. სააგენტოს მიერ კანონის მე-7 მუხლის გზამკვლევ დოკუმენტში განვითარებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც, „კანონის მე-7 მუხლის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ სადავო ხელშეკრულება ჩავარდება ზემოთ ხსენებული დადგენილების ერთ-ერთ გამონაკლისში.“ იგივე მოსაზრება არის გაზიარებული ქართულ იურიდიულ დოქტრინაშიც.[625] თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული საკითხი ჯერჯერობით არც სააგენტოსა და არც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში კონკრეტულ საქმესთან მიმართებით განხილვის საგანი არ გამხდარა. შესაბამისად, ამ კუთხით მყარად დადგენილი პრაქტიკა საქართველოში არ არსებობს.

გარდა ამისა, გარკვეულწილად მაინც ბუნდოვანი რჩება ის, თუ რის საფუძველზე არის სააგენტოს გზამკვლევს დოკუმენტსა და ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ასეთი ცალსახა მოსაზრება განვითარებული. ამ კუთხით საყურადღებოა კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობის დადგენილებით უნდა განისაზღვროს ამავე მუხლის პირველ პუნქტში „მითითებული გარემოებები – განსაკუთრებული პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც წესდება გამონაკლისები და რომლებიც დაკავშირებულია შეთანხმების კონკრეტულ სახესთან...“ ამ შემთხვევაში მთავარ პრობლემას წარმოშობს ის ფაქტი, რომ კანონმდებელი მიუთითებს შეთანხმების კონკრეტულ სახესთან მიმართებით გამონაკლისების გამოყენების განსაკუთრებულ პირობებზე. ამ ჩანაწერიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას ნებისმიერ შემთხვევაში გააჩნია კომპეტენცია შეთანხმებათა გარკვეული სახეების მიმართ დაადგინოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენების წესი. აღნიშნულის პარალელურად

[625] *გველესიანი ზ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 354.

საფუძველს სრულად მოკლებული ვერ იქნება იმის მტკიცება, რომ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საგამონაკლისო წესის გავრცელება ასევე შესაძლებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი შეთანხმებების მიმართაც, რომელიც არ არის გათვალისწინებული N526 დადგენილების მე-5 მუხლში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ფორმულირება სიტყვასიტყვითი განმარტების შემთხვევაში ასეთი მოსაზრების აბსოლუტური ჭეშმარიტების სრულყოფილ საფუძველს ვერ აყალიბებს.

სააგენტოს გზამკვლევ დოკუმენტსა და ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში განვითარებული მოსაზრების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ისეთი განმარტება, რომლის მიხედვითაც გამონაკლისების დადგენილების უმთავრესი მიზანი კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკონკრეტებაში, მათი შინაარსობრივი ასპექტების უფრო ნათლად წარმოჩენასა და მოქმედების ფარგლების დეტალურ განსაზღვრაში მდგომარეობს. აღნიშნული გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ N526 დადგენილება წარმოადგენს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის ნორმატიულ კონკრეტიზებას. შესაბამისად, ამ მიდგომის მიხედვით, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემა რელევანტურია მხოლოდ კოორდინაციის იმ ფორმათა მიმართ, რომლებიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით იქნება განსაზღვრული. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ე. წ. *numerus clausus*-ის პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, განსაზღვრულია შეთანხმებათა იმ კატეგორიის ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა მიმართებითაც შესაძლებელია კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის გამოყენება. შესაბამისად, აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, თუ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში შესაფასებელი ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის შინაარსი არ ემთხვევა გამონაკლისების დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებათა შინაარსს, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის გამოყენების შესაძლებლობა ავტომატურად გამოირიცხება.

იმდენად, რამდენადაც კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ვერ აყალიბებს სრულფასოვან და ცალსახა სამართლებრივ საფუძველს იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შესაძლებელია N526 დადგენილების მიღმა დარჩენილ კოორდინაციათა გარკვეული სახეების მიმართ ინდივიდუალური გამონაკლისების გამოყენება, სააგენტოს ან სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით განსხვავებული პრაქტიკის დამკვიდრებამდე, ქართულ რეალობაში არსებობს მოცემულობა, რომლის მიხედვითაც, ქართული კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვიდან ინდივიდუალური გამონაკლისების გამოყენების შესაძლებლობას.

აღნიშნული მიდგომა ქართული კონკურენციის კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად უნდა იქნეს მიჩნეული. მსგავსი საკანონმდებლო მოწესრიგება სრულად აცდენილია ევროპულ კონკურენციის კანონმდებლობას და მნიშვნელოვნად ზღუდავს ეკონომიკური აგენტების უფლებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამტკიცონ, რომ მათ მიერ დამყარებული კოორდინაცია ისეთი ინტენსივობის მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტების მომტანია, რომელსაც შესწევს უნარი გამოათანაბროს ამავე კოორდინაციიდან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები. გარდა ამისა, პრაქტიკულად შეუძლებელია ერთ სამართლებრივ აქტში წინასწარ სრულყოფილად განისაზღვროს შეთანხმებათა იმ კატეგორიათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა პოზიტიური ეფექტები კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების პრევენციაზე უფრო აღმატებული და მომეტებული ეკონომიკური ღირებულების მატარებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ასეთი მიდგომა ასევე წინააღმდეგობაში მოდის, საკუთრივ, საგამონაკლისო სისტემის არსთან, მიზნებთან და ფუნქციასთან.[626] ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოდიფიცირება და მისი იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომელიც შექმნის იმის სამართლებრივ საფუძველს, რომ ისეთ კოორდინაციასთან მიმართებით, რომელიც არ ემთხვევა N526 დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა ფაქტობრივ

[626] გამონაკლისების სისტემის მიზნებთან და ფუნქციასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. VII, ქვთ. 1.

შემადგენლობას, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ინდივიდუალური გამონაკლისების დაწესება.

2.10. გამონაკლისი გამონაკლისიდან

კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ საგამონაკლისო სქემაში კანონმდებელი ცალკეული ფორმისა თუ შინაარსის მქონე შეთანხმებათა მიმართ მისი გამოყენების გამომრიცხავ სპეციალურ დათქმებს არ განსაზღვრავს. მსგავსი დათქმა, კანონით მხოლოდ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით არის დადგენილი, რომელიც გამორიცხავს საბაზრო წილების საფუძველზე განსაზღვრული საგამონაკლისო წესების გამოყენების შესაძლებლობას კანონის მე-7 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შეთანხმებათა კატეგორიებზე.

თუმცა კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის გამოყენების გამომრიცხავ დებულებებს შეიცავს გამონაკლისების დადგენილება, რომლის მე-3 მუხლი განსაზღვრავს შეთანხმებათა გარკვეულ სახეებს, რომელთა მიმართაც გამონაკლისების გამოყენება დაუშვებელია. ამ შემთხვევაში დადგენილება საუბრობს ისეთ შეთანხმებებზე, რომელიც გულისხმობს შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ ფიქსაციას და ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებას. ამ შემთხვევაში N526 დადგენილება საგამონაკლისო სქემის გამოყენებას გამორიცხავს კანონის მე-7 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შეთანხმებებზე.

შესაბამისად, გამონაკლისების დადგენილება იმეორებს კანონის მე-8 მუხლში განვითარებულ მიდგომას, და მიზნად ისახავს საგამონაკლისო სქემას არ დაუქვემდებაროს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებები. თუმცა ამ ამოცანის შესრულების მსგავსი მიდგომა, რომელიც კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტსა და გამონაკლისების დადგენილების მე-3 მუხლში არის განვითარებული ტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ უნდა იქნეს მიჩნეული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ შემთხვევაში განსახილველ ნორმათა მიზანია გამონაკლისების გავრცელების

გამორიცხვა კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებზე. კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კი ფასების ფიქსაციასთან ერთად ასევე საუბრობს სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დაწესებაზე. სავაჭრო პირობის დაწესების ფარგლებში კი თეორიულად შესაძლებელია ისეთი შინაარსის შეთანხმება მოექცეს, რომელსაც კონკურენციის შეზღუდვის მიზანი არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტსა და გამონაკლისების დადგენილების მე-3 მუხლში პირდაპირი მითითება გაკეთდეს უშუალოდ კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებებზე და არა ზოგადად კანონის მე-7 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კოორდინაციაზე.

კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებების გამორიცხვა საგამონაკლისო სისტემის მოქმედების ფარგლებიდან უცხო არც ევროპული კონკურენციის სამართლისთვის არ არის.

TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო დოკუმენტში, ევროკომისია მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმა მისი მოქმედების სფეროდან ცალკეულ შეთანხმებათა კატეგორიებს *a priori* არ გამორიცხავს. ანალოგიურ მიდგომას იზიარებს ასევე მართლმსაჯულების სასამართლო, რომელიც ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში არ ეთანხმება კომისიის საწინააღმდეგო მსჯელობას და განმარტავს, რომ არ არსებობს ისეთი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება, რომელთან მიმართებითაც თეორიულად და ფორმალურად შეუძლებელი იქნებოდა TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის გამოყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა არის დაკმაყოფილებული.[627]

მიუხედავად ამისა, ევროპულ რეალობაში მაინც არის იდენტიფიცირებული ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის ის ფორმები, რომლებზეც განსახილველი საგამონაკლისო სქემის გავრცელება პრაქტიკულად შეუძლებელია. TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო დოკუმენტში, აღნიშნულია, რომ ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის

[627] ECLI:EU:T:1994:89, “*Matra Hachette SA,*” Case T-17/93, 15.07.1994, § 85.

ისეთ შემთხვევები, რომლებიც კონკურენციის შეზღუდვის კუთხით განსაკუთრებული მასშტაბურობით, სიმძიმითა და ინტენსივობით გამოირჩევიან, ალბათობის მაღალი ხარისხით მოკლებულნი არიან საგამონაკლისო სქემით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.[628] ეკონომიკურ აგენტთა ასეთ კოორდინაციად კი ამავე დოკუმენტში მიჩნეულია ისეთი შეთანხმებები, რომელთა შინაარსი გულისხმობს, ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ფასების ჰორიზონტალურ ფიქსაციას, ბაზრის ტერიტორიულ განაწილებას, წარმოების შეზღუდვას და ა. შ.[629] ამ შინაარსის მატარებელი კოორდინაცია წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას და ასეთ შეთანხმებებთან მიმართებით რთულია იმაზე საუბარი, რომ მათ შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ საგამონაკლისო სისტემის პირველი ორი პოზიტიური წინაპირობა. ისინი პრაქტიკულად ნებისმიერ შემთხვევაში მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შექმნან რაიმე სახის ობიექტური ეკონომიკური სარგებელი ან დადებით გავლენა იქონიონ მომხმარებელთა კეთილდღეობაზე.[630]

3. ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა, როგორც გამონაკლისების დადგენილების მოწესრიგების საგანი

3.1. დისტრიბუტორებს შორის შეთანხმება?

კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტითა და N526 დადგენილებით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის არსებული მოდელი მნიშვნელოვანწილად ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებზეც ვრცელდება. თუმცა ნორმათა აღნიშნულ სისტემაში ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა სიტყვასიტყვით არსად არ არის ნახსენები. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საგამონაკლისო სისტემა ფარავს ვერტიკალურ ურთიერთობათა ფართო სპექტრს, რომლის ფარგლებშიც ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის იდენტიფიცირებაც არის შესაძლებელი.

N526 დადგენილების მე-5 მუხლი, რომელშიც იმ შეთანხმებათა ამომწურავი ჩამონათვალი არის მოცემული, რომელზეც განსახილველი საგამონაკლისო სისტემა

[628] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 46.
[629] CC – G. on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118, § 46.
[630] იქვ.

ვრცელდება, გამონაკლისებისადმი დაქვემდებარებული ერთ-ერთი კოორდინაციის სახით განსაზღვრავს დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებულ შეთანხმებას. კოორდინაციის ამ ფორმასთან მიმართებით გამონაკლისების დადგენილებაში არსებული ხარვეზებისა და დისტრიბუტორებს შორის დადებული ვერტიკალური შეთანხმების არსის უკეთ წარმოსაჩენად და უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის შესაძლოა განხილულ იქნეს ცალკეული პროდუქტის მიწოდების სამდონიანი ჯაჭვი, რომელიც წარმოების, დისტრიბუციისა და საცალო ვაჭრობის დონეზე არსებულ შესაბამის ბაზრებს მოიცავს (*იხ. სქემა N1*).

სქემა N1

როგორც წესი, წარმოების დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები გარკვეული ნედლეულისგან საბოლოო მზა პროდუქტს აწარმოებენ. დისტრიბუციის დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები (დისტრიბუტორები) მწარმოებლისგან იძენენ ამ უკანასკნელის მიერ წარმოებულ პროდუქტს და მას საცალო მოვაჭრეებს ბითუმად აწვდიან. საცალო მოვაჭრეები კი დისტრიბუტორებისაგან ბითუმად შეძენილი პროდუქტის საცალო მოხმარებლებზე რეალიზებას ახდენენ. ასევე შესაძლებელია, რომ საცალო მოვაჭრეებმა პირდაპირი კომერციული ურთიერთობა დაამყარონ მწარმოებელთან და დისტრიბუტორების გვერდის ავლით შეიძინონ ის პროდუქტი, რომლის რეალიზაციასაც ისინი შემდგომში საცალო მომხმარებლებზე მოახდენენ.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, გამონაკლისების დადგენილების მე-2 მუხლის პირველ პუნქტში დისტრიბუტორი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი ეკონომიკური აგენტი, რომელიც შეისყიდის ვერტიკალური შეთანხმების საგანს (საქონელი ან მომსახურება), მისი შემდგომი საბითუმო ან საცალო გაყიდვის მიზნით, ასევე ეკონომიკური აგენტი, რომელიც ყიდის ვერტიკალური შეთანხმების საგანს მიმწოდებლის სახელით როგორც საცალო, ისე საბითუმო დისტრიბუციის დონეზე.“ ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ გამონაკლისების დადგენილებისათვის დისტრიბუტორს არ წარმოადგენს ის ეკონომიკური აგენტი, რომელიც ცალკეული პროდუქტის წარმოების დონეზე ოპერირებს,[631] ვინაიდან ეს უკანასკნელი ახდენს არა ვერტიკალური შეთანხმების საგნის (პროდუქტის) შეძენას მისი პირდაპირი გადაყიდვის მიზნით, არამედ მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით თვითონ აწარმოებს მას.

გამონაკლისების დადგენილება დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევს საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტს, ვინაიდან იგი ცალკეულ პროდუქტს მიწოდების ჯაჭვის ზედა დონეებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან იძენს მისი შემდგომი საცალო რეალიზაციის მიზნით. შესაბამისად, გამონაკლისების დადგენილების მიზნებისათვის დისტრიბუტორად მიიჩნევა როგორც დისტრიბუციის, ასევე საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები.[632]

N1 სქემაზე დისტრიბუტორები ოპერირებენ მიწოდების ჯაჭვის მხოლოდ მეორე დონეზე. შესაბამისად, წარმოდგენილი სქემის ფარგლებში დისტრიბუტორებს შორის ვერტიკალური შეთანხმება, როგორც წესი, ვერ დაიდება, ვინაიდან ისინი ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე ოპერირებენ. ამ კუთხით გამონაკლისის სახით შესაძლოა განხილულ იქნეს შემთხვევა, როდესაც წარმოებისა და საცალო ვაჭრობის დონეებს შორის არსებობს დისტრიბუციის რამდენიმე ვერტიკალური დონე. ასეთ შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა, რომ დისტრიბუციის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ვერტიკალური შეთანხმება.

[631] იხ. *სქემა N1* - მიწოდების ჯაჭვის პირველი დონე.
[632] იხ. *სქემა N1* - მიწოდების ჯაჭვის მეორე და მესამე დონე.

გამონაკლისების დადგენილების მიზნებისათვის დისტრიბუტორად ასევე მოიაზრება საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი. აქედან გამომდინარე, გამონაკლისების დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ზემოთ მოცემული N1 სქემის ფარგლებში გულისხმობს ისეთ ვერტიკალურ შეთანხმებას, რომელიც იდება მიწოდების ჯაჭვის მე-2 და მე-3 დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის, ანუ დისტრიბუტორსა და საცალო მოვაჭრეს შორის, ან წარმოებისა და საცალო ვაჭრობის დონეებს შორის არსებული რამდენიმე დონის დისტრიბუციის ბაზრებზე ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებს შორის.

აღნიშნული მიდგომა დადგენილების ერთ-ერთ ძირითად ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული. კერძოდ, ამ შემთხვევაში გაუგებარია, გამონაკლისები რატომ არ შეიძლება გავრცელდეს მწარმოებელსა და დისტრიბუტორს ან მწარმოებელსა და საცალო მოვაჭრეს შორის დადებულ ვერტიკალურ შეთანხმებებზე. ორივე ეს შეთანხმება როგორც შინაარსობრივად, ასევე ეკონომიკური ეფექტების კუთხით დისტრიბუტორსა და საცალო მოვაჭრეს შორის დადებული ვერტიკალური შეთანხმების იდენტურია. მათ შორის ერთადერთი განსხვავება მხოლოდ შეთანხმებაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია გამონაკლისების დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება იმ ფორმით, რომ გამონაკლისების კუთხით ერთგვაროვანი მიდგომა იყოს ჩამოყალიბებული როგორც დისტრიბუტორსა და საცალო მოვაჭრეს, ასევე მწარმოებელსა და დისტრიბუტორს ან მწარმოებელსა და საცალო მოვაჭრეს შორის დადებული ვერტიკალური შეთანხმებების მიმართ.

თუმცა შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე აუცილებელია დისტრიბუტორებს შორის დადებული შეთანხმება განიმარტოს ჩვეულებრივ ვერტიკალურ შეთანხმებად, რომლის მონაწილეებიც შეიძლება იყვნენ ცალკეული პროდუქტის ან მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები. მსგავსი მიდგომა უფრო ეფექტიანსა და მოქნილს გახდის საგამონაკლისო სისტემას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გამონაკლისების დადგენილების მიზნებისა და ამოცანების მიღწევასა თუ შესრულებას. ამ მიდგომის განვითარების საფუძველს ასევე ქმნის N526 დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი,

რომელიც ეხება საგამონაკლისო სისტემის გავრცელებას დისტრიბუტორებს შორის დადებულ ისეთ ვერტიკალურ შეთანხმებაზე, რომლის ერთ-ერთ მონაწილეს მწარმოებელი წარმოადგენს. აღნიშნულის შესაბამისად, აშკარაა, რომ საგამონაკლისო დადგენილების აღნიშნული ნორმა დისტრიბუტორებს შორის შეთანხმებად ასევე მოიაზრებს ისეთ შეთანხმებასაც, რომლის ერთ-ერთ მხარეს მწარმოებელი წარმოადგენს.

აღნიშნულზე მეტყველებს ასევე საგამონაკლისო დადგენილებასა და ევროპულ რეგულაციებს შორის არსებული გარკვეული პარალელები. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროპულ რეალობაში მოქმედებს ჯგუფური გამონაკლისების რამდენიმე რეგულაცია. ერთ-ერთი რეგულაცია (N330/2010) ეხება ვერტიკალურ შეთანხმებებთან არსებულ ზოგად გამონაკლისებს. დანარჩენი რეგულაციები კი კონკრეტულ სექტორებთან თუ შეთანხმებათა სახეებთან მიმართებით განსაზღვრავენ ჯგუფურ გამონაკლისებთან დაკავშირებულ სპეციალურ წესებს. ასეთი სპეციალური მოწესრიგება კი ეხება ავტოსატრანსპორტო სექტორში დადებულ შეთანხმებებს, ტექნოლოგიურ ტრანსფერთან დაკავშირებულ თანამშრომლობას და ა. შ. მსგავსი სპეციალური მიდგომები ასევე განსაზღვრულია N526 დადგენილებით, რომელშიც სპეციალურად არის მოწესრიგებული ტექნოლოგიური ტრანსფერის შეთანხმებებთან, სპეციალიზაციასთან და სხვა სახის შეთანხმებებთან დაკავშირებული ურთიერთობები.

შეიძლება ითქვას, რომ N526 დადგენილებით დისტრიბუტორებს შორის დადებულ შეთანხმებებთან მიმართებით (დადგენილების მე-2 თავი) არსებული ნორმები გარკვეულწილად ემთხვევა ვერტიკალურ შეთანხმებებთან (N330/2010) მიმართებით არსებულ გამონაკლისების შესახებ ევროპულ რეგულაციას. ასევე თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დისტრიბუტორებს შორის დადებული შეთანხმების ქვეშ ასევე მოაზრებული უნდა იქნეს ისეთი შეთანხმებები, რომელთა მონაწილე ეკონომიკურ აგენტსაც წარმოადგენს მწარმოებელი, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამონაკლისების დადგენილების მე-2 თავი (მე-6-მე-9 მუხლები) აწესრიგებს ზოგადად ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებული ჯგუფური გამონაკლისების რეგულაცია სხვა სპეციალური ჯგუფური გამონაკლისების რეგულაციებთან გარკვეულწილად სუბსიდიარულ დამოკიდებულებაში იმყოფება.[633] აღნიშნული გულისხმობს, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაცია სხვა სპეციალური ჯგუფური გამონაკლისების შესახებ რეგულაციის ფარგლებში ექცევა, მაშინ ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებული ჯგუფური გამონაკლისების დადგენილებასთან შედარებით სწორედ სპეციალურ სამართლებრივ აქტს ენიჭება უპირატესობა მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს კოორდინაცია ასევე აკმაყოფილებდეს ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებული რეგულაციით გათვალისწინებულ წინაპირობებს.[634]

იგივე მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული გამონაკლისების დადგენილების განმარტების პროცესში. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ დისტრიბუტორებს შორის შეთანხმებების მომწესრიგებელი ნორმები ამავე დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სხვა სახის შეთანხმებების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებთან მიმართებით სუბსიდიარულ დამოკიდებულებაში იმყოფება. შესაბამისად, თუ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტთა ცალკეული კოორდინაცია ექცევა ავტოტრანსპორტის სექტორში მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა შორის შეთანხმების, ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულების, სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმების ან საერთო კვლევების წარმოების შესახებ შეთანხმების მომწესრიგებელ ნორმათა ფარგლებში, მაშინ დისტრიბუტორებს შორის დადებულ შეთანხმებებთან მიმართებით გამოსაყენებელი საგამონაკლისო ნორმები არ უნდა იქნეს გამოყენებული.

3.2. ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობასთან მიმართება

თეორიულად შესაძლებელია ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა გამონაკლისების დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის შეთანხმებების საფუძველზე თუ ფარგლებში ჩამოყალიბდეს. აღნიშნული გულისხმობს, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა შესაძლოა ავტოსატრანსპორტო სექტორში

[633] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Einl. Rn. 41.
[634] *Nolte S.,* Langen/Bunte KartR Kom., Bd., 2, Europäisches KartR, 13. Aufl. 2018, Art. 101 AEUV, Rn. 378 ff.

დადებული შეთანხმებით, ტექნოლოგიური ტრანსფერის, სპეციალიზაციის ან საერთო კვლევების წარმოების შესახებ შეთანხმებებით იქნეს გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევებში, შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობაზე გავრცელდება გამონაკლისების ის სპეციალური წესები, რომლებიც N526 დადგენილების მე-3-მე-6 თავებით არის გათვალისწინებული. თუმცა ასეთი შემთხვევებისთვის აუცილებელია არაერთი თეორიული წინაპირობის ერთდროულად არსებობა, რომელთა ანალიზიც მნიშნელოვან წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული და ამასთანავე სცილდება წინამდებარე ნაშრომის მიზნებს.

აქედან გამომდინარე, ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებზე N526 დადგენილებით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის გავრცელების შესაძლებლობა წინამდებარე ნაშრომში განხილულია მხოლოდ დადგენილების მე-2 თავთან მიმართებით, რომელიც გამონაკლისებს განსაზღვრავს დისტრიბუტორებს შორის დადებულ შეთანხმებებთან მიმართებით. აღნიშნული მიდგომის განმაპირობებელ ერთ-ერთ გარემოებად ასევე შესაძლოა მიჩნეულ იქნეს გამონაკლისების დადგენილების მე-2 თავის სუბსიდიარული ხასიათი, რომელიც შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილებისას ნებისმიერი სახის ვერტიკალური შეთანხმებებისთვის არის რელევანტური თუ ამავე დადგენილების მე-3-მე-6 თავებით სხვა რამ არ არის სპეციალურად გათვალისწინებული.

3.3. წლიური ბრუნვა

ვერტიკალური შეთანხმებებზე N526 დადგენილებით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის გავრცელებისათვის ამავე დადგენილებით არაერთი დამატებითი წინაპირობა არის გათვალისწინებული. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გამონაკლისების დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი უთითებს ამავე დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილებაზე. ეს უკანაკნელი, თავის მხრივ, იმეორებს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პოზიტიურ და ნეგატიურ წინაპირობებს. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საგამონაკლისო დადგენილება წარმოადგენს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული სისტემის ნორმატიულ კონკრეტიზებას. შესაბამისად,

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმისათვის რათა, ცალკეული შეთანხმება, მათ შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა მოექცეს N526 დადგენილებით გათვალისწინებულ საგამონაკლისო სისტემაში აუცილებელია ასევე დაკმაყოფილებული იყოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები.

აღნიშნულთან ერთად, გამონაკლისების დადგენილებით ასევე გათვალისწინებულია დამატებითი სპეციალური მოთხოვნები იმისათვის, რათა ცალკეული ვერტიკალური შეთანხმება არ მოექცეს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა, N526 დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა წლიურ ბრუნვას უკავშირდება.

ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებულ ვერტიკალურ კოორდინაციაზე გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ მაშინ, თუ თითოეული მათგანის წლიური ბრუნვა ბოლო საფინანსო წლის განმავლობაში არ აღემატება 15 მლნ ლარს. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ ნორმაში ისევ გამოყენებულია ტერმინი „დისტრიბუტორი ეკონომიკური აგენტი.“ შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვიდან გამონაკლისი არ გავრცელდება ისეთ ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობაზე, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტების წლიური ბრუნვა წინა ფინანსური წლის განმავლობაში აღემატება 15 მლნ ლარს.

მსგავსი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს გამონაკლისების მოქმედების ფარგლებს იმდენად, რამდენადაც ნებისმიერ ვერტიკალურ შეთანხმებაზე გამონაკლისების გავრცელებას მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მსგავსი მცირე მოცულობის წლიურ ბრუნვაზე ხდის დამოკიდებულს. აღნიშნული კი პრაქტიკულად აზრს უკარგავს N526 დადგენილების არსებობას და არ პასუხობს მის წინაშე მდგარ ამოცანებსა თუ მის საფუძვლად არსებულ ტელეოლოგიურ მიზნებს. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ კანონის მე-8 მუხლი უკვე ითვალისწინებს საბაზრო წილის ტესტს, რომლის მიხედვითაც ვერტიკალურ შეთანხმებებზე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება თუ მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 15 პროცენტს. შესაბამისად, ქართული რეალობის გათვალისწინებით გამონაკლისების დადგენილების მე-6 მუხლის

მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში (15 მლნ ლარზე ნაკლები წლიური ბრუნვა) ბაზრების მნიშვნელოვან ნაწილთან მიმართებით ავტომატურად დაკმაყოფილდება კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა.

გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ ასეთი მიდგომა უცხოა ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით არსებული გამონაკლისების ევროპული რეგულაციისთვისაც (N330/2010), რომელიც, ზოგადად, ნებისმიერი სახის ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით ანალოგიური შინაარსის მიდგომას არ შეიცავს. წლიურ ბრუნვებთან დაკავშირებით N330/2010 დადგენილება მართალია შეიცავს გარკვეულ დებულებებს, თუმცა არა იმ კონტექსტში და იმ ფორმულირებით, რომელიც N526 დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში არის მოცემული.

კერძოდ, N330/2010 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი გარკვეულ შემთხვევებში გამონაკლისების გავრცელებას უკავშირებს ეკონომიკურ აგენტთა წლიურ ბრუნვას, რომელიც განსაზღვრულია 50 მლნ ევროს ოდენობით. წლიურ ბრუნვასთან დაკავშირებული აღნიშნული მოთხოვნა ეხება მხოლოდ ისეთ ვერტიკალურ შეთანხმებას, რომელიც იდება ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ ასოციაციასა და მის წევრებს შორის ან ასეთ ასოციაციასა და მის მიმწოდებელს შორის, თუ ასოციაციის წევრი ყველა ეკონომიკური აგენტი არის საცალო მოვაჭრე და ამ ასოციაციის არც ერთი ცალკე აღებული წევრის წლიური ბრუნვა მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ აგენტთან ერთად არ აღემატება 50 მლნ ევროს. ამ მიდგომით N330/2010 რეგულაცია ვერტიკალურ შეთანხმებებზე საგამონაკლისო სისტემის გავრცელებას წლიური ბრუნვის სახით დამატებით წინაპირობას უქვემდებარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ისეთ ვერტიკალურ შეთანხმებას ეხება, რომელშიც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია მონაწილეობს. აღნიშნული ნორმის ძირითადი ტელეოლოგიური საფუძველი მდგომარეობს იმ რისკების დაზღვევასა თუ შემცირებაში, რომელიც ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში ასოციაციის წევრი ეკონომიკური აგენტების მიერ გარკვეულ თანამშრომლობის დამყარებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ამ შემთხვევაში ძირითადი რისკები იქმნება იმ კუთხით, რომ ეკონომიკურ აგენტთა

ასოციაცია მისი წევრი ეკონომიკური აგენტებისთვის ქმნის ხელსაყრელ და მნიშნელოვან პლატფორმას ერთმანეთთან დაამყარონ კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ჰორიზონტალური კოორდინაცია.

აღნიშნული კიდევ უფრო სათუოს ხდის გამონაკლისების დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წლიური ბრუნვის სახით ვერტიკალურ შეთანხმებებზე გამონაკლისების გავრცელების დამატებითი წინაპირობის არსებობის აუცილებლობას. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს N526 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით არსებული გამონაკლისების მოქმედების ფარგლებს.

გარდა ამისა, ამავე დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად გამონაკლისების გავრცელების დამატებითი წინაპირობა უკავშირდება ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილებს. აღნიშნულთან ერთად წლიურ ბრუნვაზე აქცენტის გაკეთება და ამ კუთხით ეკონომიკური აგენტებისთვის დამატებითი მოთხოვნის დაწესება აბსოლუტურად უადგილო და საფუძველს მოკლებულია.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ წლიურ ბრუნვებთან დაკავშირებით გამონაკლისების დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანაწესი სრულიად ზედმეტია და ეწინააღმდეგება ამავე დადგენილების მიზნებსა და კანონის მე-9 მუხლის სულისკვეთებას. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია განსახილველ სამართლებრივ აქტში შესაბამისი ცვლილების განხორციელება და აღნიშნული ნორმის სრულად ამოღება ან მისი იმ ფორმით ჩამოყალიბება, როგორც ეს მოცემულია N330/2010 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში.

3.4. საბაზრო წილი

ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებული გამონაკლისების რეგულაცია გამოიყენება ისეთი ვერტიკალური შეთანხმების მიმართ, რომლის მონაწილე მიმწოდებლის ან შემძენის საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე 30 პროცენტს არ

აღემატება.[635] ამ კუთხით ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებული ევროპული რეგულაცია გამონაკლისების გავრცელების გამომრიცხავ ორ ალტერნატიულ გარემოებას განსაზღვრავს. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევაში საგამონაკლისო სქემის ასამოქმედებლად არ არის აუცილებელი მასში მონაწილე ორივე ეკონომიკური აგენტი (როგორც მიმწოდებელი, ასევე შემძენი) იმ შესაბამის ბაზარზე, სადაც ისინი ოპერირებენ, ფლობდნენ 30 პროცენტიან საბაზრო წილს. N330/2010 რეგულაციით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემა არ მოქმედებს ისეთ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტი მაინც ფლობს ამ მასშტაბის საბაზრო წილს. შესაბამისად, ევროპული კონკურენციის კანონმდებლობის მიხედვით, იმისათვის, რათა ცალკეული ვერტიკალური შეთანხმება მოექცეს საგამონაკლისო სქემაში, მასში მონაწილე არცერთი ეკონომიკური აგენტი არ უნდა ფლობდეს შესაბამის ბაზარზე 30 პროცენტიან საბაზრო წილს.

ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი იანგარიშება მიწოდების, ხოლო შემძენი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი - შეძენის ბაზართან მიმართებით. შემძენის საბაზრო წილი მიწოდების ბაზარზე რელევანტური შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქმე ორმხრივ ბაზარს ეხება.[636] ევროპულ რეალობაში საბაზრო წილთან დაკავშირებული აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა არ ქმნის არანაირ პრეზუმფციას იმასთან დაკავშირებით, რომ ცალკეული შეთანხმება ავტომატურად ექცევა TFEU 101-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში ან ამ შეთანხმებას არ შესწევს იმის უნარი, რომ დააკმაყოფილოს TFEU 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები.[637]

ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით გამონაკლისების დადგენილებაც ადგენს საბაზრო წილთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დამატებით წინაპირობას. კერძოდ, 30 პროცენტიან საბაზრო წილთან დაკავშირებული მოთხოვნა გათვალისწინებულია N526

[635] CR (EU) N. 330/2010 of 20 April 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices, Art 3, S. 1; *Ellger R.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 1. Kom. Zum europäischen KartR, 6. Aufl., 2020, 101 AEUV. Rn. 551.
[636] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Einl. Rn. 45.
[637] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 23;

დადგენილების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, რომელიც ადგენს, რომ ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით ბაზრის მნიშნელოვანი ნაწილი გულისხმობს არანაკლებ შესაბამისი ბაზრის 30 პროცენტს. აღნიშნული ფორმულირება მნიშვნელოვნად განსხვავდება N330/2010 რეგულაციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიდგომისაგან, რომელიც პირდაპირ გამორიცხავს ცალკეულ ვერტიკალურ შეთანხმებაზე გამონაკლისის გავრცელების შესაძლებლობას თუ მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე აღემატება 30 პროცენტს. უფრო მეტიც, N330/2010 რეგულაციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ამავე რეგულაციის მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში ადგენს, რომ ისეთი ვერტიკალური შეთანხმებები, რომლის მონაწილე მიმწოდებლის საბაზრო წილი მიწოდების ბაზარზე და შემძენის საბაზრო წილი შეძენის ბაზარზე არ აღემატება 30 პროცენტს, არ ექცევიან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, თუ ცალკეულ ვერტიკალურ კოორდინაციაში მონაწილე მიმწოდებლისა და შემძენის საბაზრო წილები 30 პროცენტს არ აჭარბებს, ეს კოორდინაცია არ მიიჩნევა კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველ შეთანხმებად და მასზე არ ვრცელდება TFEU 101-ე მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა.[638]

ამის მიუხედავად, გამონაკლისების დადგენილების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის განსხვავებული ფორმულირება საბოლოო ჯამში იგივე სამართლებრივ შედეგებს იწვევს, რასაც N330/2010 რეგულაციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნულის უფრო ნათლად წარმოსაჩენად აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა მიზნით არის გამონაკლისების დადგენილების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი და რას ემსახურება მისი პროცენტული გამოსახვა. ამის პასუხი კი კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში არის მოცემული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სქემის მე-4 აუცილებელ

[638] *Seelinger D.,* Wiedemann, Handbuch des KartR, 4. Aufl., 2020, § 11, Rn. 303; *Petsche A., Lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 171; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101 AEUV, Rn. 463.

წინაპირობას. ამ ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ შეთანხმებაზე გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს შეთანხმება არ აძლევს ეკონომიკურ აგენტებს შესაძლებლობას შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე აღკვეთონ კონკურენცია. ვერტიკალურ შეთანხმებებზე გამონაკლისების გავრცელების მიზნებისათვის კი N526 დადგენილება ადგენს, რომ ამ კუთხით ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აქედან გამომდინარე, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გაგებით, შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე ცალკეული ვერტიკალური შეთანხმება კონკურენციის შეზღუდვას იწვევს იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილე ერთ-ერთი ან ყველა ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი აღემატება 30 პროცენტს. შესაბამისად, N330/2010 რეგულაციის მსგავსად, ამ შემთხვევაში ვერტიკალურ შეთანხმებაზე გამონაკლისების დადგენილების გავრცელების გამომრიცხავი გარემოება შეიძლება აღმოჩნდეს ცალკეული ვერტიკალური შეთანხმების მონაწილე არა ყველა, არამედ ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტის ისეთი საბაზრო წილი, რომელიც აღემატება 30 პროცენტს.

VIII. კუმულატიური ეფექტის დოქტრინა

1. ზოგადი საფუძვლები

ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობების ეფექტების შეფასებისა და მისი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესის ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტს ე. წ. კუმულატიური ეფექტის დოქტრინა (*“Bündeltheorie” / “The Cumulative Effect Doctrine”*) აყალიბებს. კუმულატიური ეფექტის დოქტრინა კონკურენციის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებთან მიმართებით განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეორიას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში საუბარია იმ მეთოდსა და საშუალებაზე, რომლის მიხედვითაც ცალკეულ შემთხვევაში ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების შეფასება უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ

შეთანხმებად კვალიფიკაცია კუმულატიური ეფექტის დოქტრინის გამოყენების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია.

კუმულატიური ეფექტის დოქტრინას საფუძვლად უდევს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ერთსა და იმავე საბაზრო მოცემულობაში მიღწეული იდენტური შინაარსის შეთანხმებები, რომელთა ეფექტები ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ერთი და იმავე მიმართულებით ვითარდება, წარმოადგენენ ერთიანი სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცის ნაწილს. შესაძლოა პრაქტიკაში მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც კონკრეტული შინაარსის მატარებელი ცალკე აღებული ერთი შეთანხმება მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი არ იყოს შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოსთვის. თუმცა ბაზრის სტრუქტურა თუ ამ ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს ამავე შინაარსის რამდენიმე შეთანხმებამ, რომლებიც სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის ერთმანეთის პარალელურად ერთსა და იმავე ბაზარზე/ბაზრებზე იდება. სწორედ ამ გარემოებებით არის განპირობებული მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთი განმარტება, რომლის მიხედვითაც, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში საკმარისი არ არის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი მხოლოდ ცალკე აღებული ერთი ექსკლუზიური ურთიერთობის ინდივიდუალური და განცალკევებული ეფექტების იდენტიფიცირება და მისი ანალიზი.[639] ასეთ დროს, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შემცველი ცალკეული შეთანხმების კონკურენტული ეფექტების განსაზღვრისათვის აუცილებელია იმ სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცის სრულფასოვანი ანალიზი, რომლის ფარგლებშიც არის აღნიშნული შეთანხმება წარმოშობილი.[640] სწორედ ამ აუცილებლობით არის განპირობებული ევროპული კონკურენციის სამართლის წიაღში კუმულატიური ეფექტის დოქტრინის ჩამოყალიბება და განვითარება.

[639] ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 82; ECLI:EU:C:1967:54, *"SA Brasserie de Haecht,"* Case C-23/67, 12.12.1967.

[640] ECLI:EU:C:1967:54, *"SA Brasserie de Haecht,"* Case C-23/67, 12.12.1967.

2. იდენტური შინაარსის შეთანხმებები

კუმულატიური ეფექტის დოქტრინა სამართლებრივ თუ ეკონომიკურ გარემოებათა შეფასების გარკვეულ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას გულისხმობს.[641] კერძოდ, ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში ჯერ უნდა მოხდეს შესაბამის ბაზარზე მიღწეული იდენტური შინაარსის კოორდინაციათა აღმოჩენა და იმის დადგენა, თუ რამდენად აქვთ მათ კუმულატიურად იმის უნარი, რომ შესაბამის ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების დაშვების შეზღუდვის გზით მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონიონ ამ ბაზარზე არსებულ კონკურენციის პროცესზე.[642]

კუმულატიური ეფექტის დოქტრინის მიზნებისათვის, იდენტური შინაარსის კოორდინაცია არ გულისხმობს მხოლოდ ისეთ შეთანხმებებს, რომლის ერთ-ერთ მონაწილეს ერთი და იგივე ეკონომიკური აგენტი წარმოადგენს (მაგ. ერთი მწარმოებლის მიერ სხვადასხვა დისტრიბუტორთან ან საცალო მოვაჭრესთან დადებული შეთანხმებები). ამ შემთხვევაში იგულისხმება მიწოდების ჯაჭვის ერთსა და იმავე დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ ამავე ჯაჭვის ქვედა ან ზედა დონეზე მოქმედ სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტთან მიღწეული ერთი და იგივე შინაარსის ისეთ შეთანხმებები, რომლებიც ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციასთან დაკავშირებულ დათქმებს ითვალისწინებს.[643] კუმულატიური ეფექტის დოქტრინის მიხედვით, თუ ასეთ დროს იდენტიფიცირებულ ერთი და იგივე შინაარსის ვერტიკალურ შეთანხმებებს შესწევთ იმის უნარი, რომ მათთან შემხებლობაში მყოფ რომელიმე

---

641 *Roth W., Ackermann T.,* Jaeger/Kokott/Pohlmann/Schroeder, FraKo zum KartR, 99. Lieferung 03.2021, Grundfragen des Art. 81 Abs. 1 EG, Rn. 347; *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 283.

642 ECLI:EU:C:2009:215, "*Pedro IV Servicios SL,*" Case C-260/07, 02.04.2009, § 83; ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 83; ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 19; ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995, § 99; ECLI:EU:C:1967:54, *"SA Brasserie de Haecht,"* Case C-23/67, 12.12.1967; ECLI:EU:C:2000:679, *"Neste Markkinointi",* Case C-214/99, 07.12.2000, § 25.

643 ECLI:EU:C:1967:54, *"SA Brasserie de Haecht,"* Case C-23/67, 12.12.1967; ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 15; ECLI:EU:C:2009:215, "*Pedro IV Servicios SL,*" Case C-260/07, 02.04.2009, § 83; ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995, § 99; ECLI:EU:C:2006:607, *"Unilever Bestfoods,"* Case C-552/03 P, 28.09.2006, § 86; *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 282; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101, Rn. 460.

შესაბამის ბაზარზე აღმოფხვრან კონკურენცია, მაშინ არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ ამ ერთობლიობაში შემავალი ცალკეული შეთანხმებაც იწვევდეს კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას.[644]

აღნიშნულისაგან განსხვავებით, თუ იდენტიფიცირებულ შეთანხმებებს ერთობლიობაში შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოსთვის მნიშვნელოვანი ნეგატიური ეფექტი არ ექნება, მაშინ ასეთი ეფექტი კუმულატიურად შეფასებულ შეთანხმებათაგან ვერც ცალკე აღებულ ინდივიდუალურ შეთანხმებას ვეღარ ექნება.[645] კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის არარსებობის პირობებში კი ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღწეული ცალკეული კოორდინაცია ვერ მოექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში. შესაბამისად, ასეთ დროს კონკრეტული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია და კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა ვერ მოხდება იმდენად, რამდენადაც კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობას ვეღარ ექნება ადგილი.

ამ პროცესში შინაარსობრივად მსგავს კოორდინაციათა იდენტიფიცირებასთან ერთად მნიშნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ზღუდავენ ისინი სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას და რამდენად გააჩნიათ მათ კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტები. ამ კუთხით ევროპული სასამართლო პრაქტიკა გარკვეულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებსაც აყალიბებს, რომელთა მიხედვითაც ასეთ დროს კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტების არსებობა უნდა შეფასდეს. კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაანალიზდეს, თუ რა მასშტაბის ბარიერებს ქმნიან ცალკეულ შესაბამის ბაზარზე მიღწეული ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობები და აღნიშნულის შედეგად რამდენად აქვთ პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს იმის

[644] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101, Rn. 460.
[645] ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 23; ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 83; ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995, § 99.

რეალური შესაძლებლობა, რომ დამატებითი დანახარჯებისა თუ ინვესტიციების განხორციელების შედეგად მაინც შეაღწიონ შესაბამის ბაზარზე და დაიწყონ სრულფასოვანი ეკონომიკური საქმიანობა.[646] გარდა ამისა, იგივე მიდგომა არის განვითარებული შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებითაც. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ამ კუთხით რელევანტურია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არსებობს მათთვის შესაბამის ბაზარზე საბაზრო პოზიციების გაზრდისა და გაფართოების რეალური სივრცე და შესაძლებლობა.[647] ამ პროცესში აუცილებელია ასევე მხედველობაში იქნეს მიღებული შესაბამის ბაზარზე არსებული ისეთი საბაზრო პირობები, როგორიცაა მონაწილეთა რაოდენობა, მათი რესურსები, საბაზრო წილები და ა. შ.

3. ცალკეული შეთანხმების კონტრიბუციის განსაზღვრა

ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით შესაბამის ბაზარზე იდენტიფიცირებული ერთი და იგივე შინაარსის შეთანხმებების მიერ კუმულატიურად გამოწვეული ბაზრის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობის დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული ინდივიდუალური შეთანხმების სახით ადგილი აქვს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტების მქონე კოორდინაციას. კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, შესაბამის ბაზარზე არსებული ერთნაირი შინაარსის შეთანხმებათა ჯგუფის არსებობა, მაშინაც კი თუ მას შესაბამის ბაზარზე შესვლის შესაძლებლობებზე მნიშვნელოვანი ეფექტები გააჩნია, არ არის საკმარისი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ცალკეული კოორდინაციის შედეგად გამოწვეული კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობას აქვს ადგილი.[648]

შესაბამის ბაზარზე მიღწეული ერთნაირი შინაარსის ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციათა კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტების დადგენის

---

[646] ECLI:EU:C:2000:679, *"Neste Markkinointi",* Case C-214/99, 07.12.2000, § 26; ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 21; ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995, § 106.

[647] ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 113; ECLI:EU:C:2000:679, *"Neste Markkinointi",* Case C-214/99, 07.12.2000, § 26.

[648] ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 20.

შემდგომ ეტაპზე აღნიშნული კუმულატიური ეფექტის გამოწვევაში ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის წილისა თუ როლის განსაზღვრა უნდა მოხდეს.[649] ასეთ დროს კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტის გამოწვევა შეერაცხება იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომელთა წილი ამ ეფექტების დადგომაში განსაკუთრებულად დიდია.[650] აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ ისეთი ვერტიკალური შეთანხმებები, რომლის მონაწილე მწარმოებლების კონტრიბუცია კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების გამოწვევაში უმნიშვნელოა, არ ექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში.[651]

კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტის მიღწევაში ცალკეული ეკონომიკური აგენტის კონტრიბუციის განსაზღვრის პროცესში ძირითად და უმთავრეს როლს შესაბამის ბაზარზე ამ ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი ასრულებს.[652] რაც უფრო დიდია მიწოდების ჯაჭვის ზედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ მას კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში მონაწილეობა და ამ გზით კონკურენციის ბუნებრივი პროცესის მნიშვნელოვნად შეზღუდვა შეერაცხოს. საბაზრო წილის განსაზღვრაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს შესაბამის ბაზარზე დაკავებულ ბაზრის პროცენტულ მაჩვენებელთან ერთად ასევე ასრულებს ის, თუ მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთაგან რამდენი ეკონომიკური აგენტი იმყოფება კონკრეტულ მიმწოდებელთან ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციაში.[653]

პრაქტიკაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მიმწოდებელი ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობას მიწოდების ჯაჭვის ქვედა

---

[649] ECLI:EU:C:2000:679, *"Neste Markkinointi",* Case C-214/99, 07.12.2000, § 27; ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995, § 99; ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003, § 83.

[650] ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995, § 99; ECLI:EU:C:2000:679, *"Neste Markkinointi",* Case C-214/99, 07.12.2000, § 27; ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 24.

[651] ECLI:EU:C:2000:679, *"Neste Markkinointi",* Case C-214/99, 07.12.2000, § 27.

[652] ECLI:EU:T:2001:177, *"Roberts,"* Case T-25/99, 05.07.2001, § 76.

[653] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101, Rn. 460; ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 25.

დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედ რამდენიმე შემძენთან ამყარებს. ამ მიმწოდებლის მიერ დადებული ყველა ასეთ ვერტიკალურ შეთანხმებას შესაძლოა ერთობლიობაში ბაზრის შემზღუდველი მნიშვნელოვანი კუმულატიური ეფექტები გააჩნდეს. თუმცა აღნიშნული ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმწოდებლის მიერ დადებული ყველა ვერტიკალური შეთანხმება კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველ ვერტიკალურ კოორდინაციას აყალიბებს და ყველა მათგანზე ავტომატურად გავრცელდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა. თავისი შინაარსისა და მასშტაბების გათვალისწინებით, შესაძლოა კონკრეტული მიმწოდებლის მიერ დადებულ ერთ ან რამდენიმე ვერტიკალურ შეთანხმებას გააჩნდეს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ინდივიდუალური ეფექტი, ხოლო ამავე მიმწოდებლის მიერ ამავე შინაარსით დადებულ სხვა ვერტიკალურ შეთანხმებას/შეთანხმებებს კი არა. ასეთ შემთხვევაში ერთი მიმწოდებლის მიერ დადებული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შემცველი მხოლოდ ისეთი შეთანხმება მოექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში, რომლის კონტრიბუცია, მისი ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მასშტაბების გათვალისწინებით, ბაზრის შემზღუდველ კუმულაციურ ეფექტებში მნიშვნელოვანი ინტენსივობით გამოირჩევა.[654]

აღნიშნული კონტრიბუციის მასშტაბები ასევე დამოკიდებულია ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის ხანგრძლივობაზე. ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის ხანგრძლივობა მისი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების შეფასების პროცესში ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ისეთი ბაზრები, რომლებიც მოკლევადიანი ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობებით ხასიათდება შესაძლოა საკმაოდ მაღალი ხარისხის კონკურენციით გამოირჩეოდეს, თუ ყველა დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტს ექნება თანაბარი შესაძლებლობა და შანსი, რომ ცალკეული მიმდინარე შეთანხმების მოქმედების

[654] *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 283.

დროის გასვლის შემდეგ მან ანალოგიური ურთიერთობა შესაბამის ეკონომიკურ აგენტთან დაამყაროს.[655]

მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, თუ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შემცველი ცალკეული შეთანხმების მოქმედების ხანგრძლივობა აშკარად და მნიშვნელოვნად აჭარბებს შესაბამის ბაზარზე სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ მსგავსი შინაარსის შეთანხმებების მოქმედების ვადებს (*"manifestly excessive" / "unverhältnismäßig lang"*), მაშინ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ასეთი კოორდინაცია კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად დაკვალიფიცირდება და მოექცევა შესაბამისი ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში.[656] აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, შედარებით მცირე საბაზრო წილის მქონე მიმწოდებელი, რომელიც წლების განმავლობაში კონკრეტულ შემძენთან ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობაში იმყოფება, შეუძლია ბაზრის შეზღუდვასა და შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენციისთვის საფრთხის შექმნასა თუ ზიანის მიყენებაში ისეთივე კონტრიბუტორი იყოს, როგორც ის მიმწოდებელი, რომელსაც დიდი საბაზრო წილი გააჩნია, მაგრამ შემძენებთან შედარებით მოკლევადიან ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობას ამყარებს.[657]

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა აერთიანებს რამდენიმე გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლომ კონკურენციის კუმულატიურ შეზღუდვაში მათი უმნიშვნელო როლისა თუ კონტრიბუციის გათვალისწინებით, ცალკეულ შეთანხმებებზე არ გაავრცელა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა და ისინი ეკონომიკურ აგენტთა დასაშვებ კოორდინაციად მიიჩნია. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს ერთ-ერთი საქმე, სადაც სასამართლომ ხელშეკრულებათა სისტემა, რომელთა მოქმედების ხანგრძლივობა 9 წელს შეადგენდა და შეეხებოდა შესაბამისი პროდუქტისა თუ მომსახურების საბოლოო მომხმარებლების ერთ პროცენტზე ნაკლებ რაოდენობას, არ მიიჩნია კონკურენციის მნიშვნელოვნად

[655] *Steptoe M. L., Wilson D.,* Developments in Exclusive Dealing, Antitrust, Vol. 10, Iss. 3, 1996, pp. 25-29, 26.
[656] ECLI:EU:C:2000:679, *"Neste Markkinointi",* Case C-214/99, 07.12.2000, § 27; ECLI:EU:T:2001:177, *"Roberts,"* Case T-25/99, 05.07.2001, § 76; ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 26.
[657] ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 26; ECLI:EU:T:2001:177, *"Roberts,"* Case T-25/99, 05.07.2001, § 76.

შემზღუდველ შეთანხმებად იმ მოტივით, რომ ანალოგიურ შეთანხმებათა მოქმედების საშუალო ხანგრძლივობა შესაბამის ბაზარზე 20 წელს შეადგენდა.[658] იმდენად, რამდენადაც აღნიშნული შეთანხმების მოქმედების ხანგრძლივობა აშკარად არ იყო (*"manifestly excessive" / "unverhältnismäßig lang"*) ანალოგიურ შეთანხმებათა საშუალო ხანგრძლივობაზე მაღალი კუმულატიურ შემზღუდველ ეფექტში მისი კონტრიბუციაც უმნიშვნელოდ იქნა მიჩნეული და მასზე არ გავრცელდა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედება.

4. კუმულატიური და ინდივიდუალური ეფექტის ზღვარი

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებულ კუმულატიური ეფექტის დოქტრინას ევროკომისიაც აქტიურად იზიარებს საკუთარ გადაწყვეტილებებში. აღნიშნული დოქტრინის როლისა და მისი აქტუალურობის გათვალისწინებით, ეკონომიკურ აგენტთა შორის მიღწეულ შეთანხმებათა კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი კუმულატიური ეფექტის გამოანგარიშების ერთიანი სტანდარტისა თუ პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით სპეციალური ნორმები ევროკომისიის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებშიც კი გვხვდება. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტს *De Minimis Notice*-ი წარმოადგენს, რომლის მე-10 პარაგრაფი შეიცავს მნიშვნელოვან ჩანაწერს ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებულ კოორდინაციათა კონკურენციის შემზღუდველ კუმულატიურ ეფექტებთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული ცალკეული შეთანხმებების კუმულატიურ ეფექტებთან მიმართებით *De Minimis Notice*-ით დადგენილ პროცენტულ ზღვრებს რაიმე ფორმის მატერიალური იურიდიული ძალა არც მართლმსაჯულების სასამართლოსა და არც წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ორგანოებისთვის არ გააჩნია.[659] აღნიშნულ დანაწესებს მბოჭავი ძალა მხოლოდ ევროკომისიისთვის, როგორც ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი უწყებისთვის გააჩნია. ამ ფორმით

[658] ECLI:EU:T:2001:177, *"Roberts,"* Case T-25/99, 05.07.2001, §§ 77-80.

[659] *Säcker F. J., Zorn A.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Aufl. 2020, Rn. 284.

ევროკომისია ეკონომიკური აგენტებისთვის წინასწარ განჭვრეტადს ხდის მის პრიორიტეტებს და იმას, თუ რა მასშტაბის შეთანხმებებთან მიმართებით მოახდენს იგი შესაბამისი აღსრულების პროცედურების ინიცირებას. ამასთან, ევროკომისიის აღნიშნული მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს იმის ირიბ აღიარებად, რომ *De Minimis Notice*-ის მე-10 პარაგრაფით გათვალისწინებული პროცენტული ზღვრის მიუღწევლობის შემთხვევაში, შესაბამისი კოორდინაცია არ წარმოადგენს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველ შეთანხმებას და რომ მასზე არ უნდა გავრცელდეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა.

ცალკეულ შეთანხმებათა კუმულატიურ ეფექტებთან მიმართებით *De Minimis Notice*-ი ადგენს, რომ თუ ერთი და იგივე შინაარსის მატარებელ შეთანხმებათა კუმულაცია მოიცავს შესაბამისი ბაზრის მხოლოდ 30 პროცენტს, მაშინ ივარაუდება, რომ ასეთ შემთხვევაში ბაზრის შემზღუდველი მნიშვნელოვანი კუმულატიური ეფექტი არ არსებობს.[660] აღნიშნულის მაგალითად შესაძლოა განხილულ იქნეს შემთხვევა, როდესაც ცალკეული პროდუქტის წარმოების ბაზარზე რამდენიმე ეკონომიკური აგენტი ოპერირებს. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შემცველი შეთანხმება საცალო მოვაჭრესთან ან დისტრიბუტორთან კი დადებული აქვს წარმოების ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა მხოლოდ მცირე რაოდენობას, რომელთა ჯამური საბაზრო წილი ამ ბაზარზე არ აღემატება 30 პროცენტს. ევროკომისიის მოსაზრებით ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ექსკლუზიური დათქმების შემცველ ვერტიკალურ კოორდინაციებს ბაზრის შემზღუდველი მნიშვნელოვანი კუმულატიური ეფექტები არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ასეთ დროს ჩაითვლება, რომ ამ ვერტიკალურ შეთანხმებათაგან ცალკე აღებულ არც ერთ შეთანხმებას არ გააჩნია კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტები. შესაბამისად, მათი სახით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისა და ამ გზით კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას ადგილი ვერ ექნება.

[660] De Minimis Notice, § 10 – "...A cumulative foreclosure effect is unlikely to exist if less than 30 % of the relevant market is covered by parallel (networks of) agreements having similar effects" / "Es ist unwahrscheinlich, dass ein kumulativer Abschottungseffekt vorliegt, wenn weniger als 30 % des relevanten Marktes von nebeneinander bestehenden (Netzen von) Vereinbarungen, die ähnliche Wirkungen auf dem Markt haben, abgedeckt werden."

ევროპული კონკურენციის კანონმდებლობისა თუ სასამართლო პრაქტიკისაგან განსხვავებით, ქართული კონკურენციის კანონმდებლობა ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებულ იდენტური შინაარსის კოორდინაციათა კუმულატიურ ეფექტებთან მიმართებით არანაირ სპეციალურ მოწესრიგებას არ ითვალისწინებს, რითაც მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ დგება კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულების შესაძლებლობა. აღნიშნულ საფრთხეს მნიშვნელოვნად ამწვავებს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები.

კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ცალკეულ კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილთან მიმართებით ადგენს გარკვეულ პროცენტულ ზღვრებს, რომელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კონკრეტულ შეთანხმებაზე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება. ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით, აღნიშნული 15 პროცენტის ოდენობით არის განსაზღვრული. ეს კი გულისხმობს, რომ ისეთი ვერტიკალური შეთანხმება, რომელში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი იმ შესაბამის ბაზრებზე, სადაც ეს ეკონომიკური აგენტები ოპერირებენ არ აღემატება 15 პროცენტს, არ ექცევა კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლებში. მსგავსი შინაარსი პროცენტული ზღვარი ანალოგიურად არის დადგენილი *De Minimis Notice*-ითაც.[661]

ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე მისი მინიმალური ეფექტების გამო ამ პროცენტულ ზღვრებში მოქცეული ცალკე აღებული კონკრეტული შეთანხმება როგორც ქართულ, ასევე ევროპულ კონკურენციის სამართალში კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველ შეთანხმებად ითვლება. სწორედ ამიტომ, ასეთი შეთანხმებები გათავისუფლებულია კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებისაგან. თუმცა, განსახილველი საკითხის მხოლოდ ამ ფორმით მოწესრიგება და დამატებითი ჩამკეტი საკანონმდებლო მექანიზმების გაუთვალისწინებლობა ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მომეტებული საფრთხეების შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს.

[661] De Minimis Notice, § 8 (“b”).

ამ საფრთხეების უკეთ წარმოსაჩენად შესაძლებელია განხილულ იქნეს კონკრეტული ჰიპოთეტური შემთხვევა. კერძოდ, დავუშვათ, რომ ცალკეული პროდუქტის მიწოდებისა და მოთხოვნის ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის იდება ექსკლუზიური მიწოდების ან შეძენის ვალდებულების შემცველი შეთანხმებები. ასევე დავუშვათ, რომ როგორც ზედა, ასევე ქვედა დონეზე მოქმედებს 10-10 ეკონომიკური აგენტი და თითოეული მათგანი შესაბამის ბაზარზე ათპროცენტიან საბაზრო წილს ფლობს. ზედა და ქვედა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებობს ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების შემცველი ინდივიდუალური ვერტიკალური შეთანხმებები. ცალკე აღებული ყველა აღნიშნული შეთანხმება ავტომატურად ექცევა კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროცენტულ ზღვრებში (15 %), ვინაიდან ყველა მათგანი 10 პროცენტიან საბაზრო წილს ფლობს. შესაბამისად, ყველა ცალკე აღებული შეთანხმება ინდივიდუალურად მარტივად დააღწევს თავს კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლებს.

აღნიშნული შემთხვევა უფრო ფართო კონტექსტში თუ შეფასდება ნათელი გახდება, რომ ყველა ამ შეთანხმებას ერთობლიობაში ბაზრის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტი გააჩნია. მიწოდების ჯაჭვის როგორც ქვედა, ასევე ზედა დონეზე არსებულ ბაზრებზე შესვლის შესაძლებლობა პოტენციური ეკონომიკური აგენტებისთვის მნიშვნელოვნად არის შეზღუდული. ამ ბაზრებზე უკვე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს კი საბაზრო პოზიციების გაფართოების რეალური შესაძლებლობა არ აქვთ, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პროდუქტის როგორც მიწოდების, ასევე გასაღების წყაროები ექსკლუზიური შეთანხმებებით სრულად და მყარად არის ათვისებული და დახშული. აქედან გამომდინარე, იქმნება ისეთ მოცემულობა, როდესაც შესაბამის ბაზრებზე როგორც მიწოდების, ასევე მოხმარების კონკურენციის დინამიური პროცესი სრულად არის პარალიზებული. ასეთ საბაზრო მოცემულობაში კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო ნორმა სრულად გამორიცხავს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია ამ ბაზრებზე არსებული კონკურენციის პროცესისთვის.

სწორედ მსგავსი რისკების აღმოფხვრის მიზნით არის ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალში დამკვიდრებული ე. წ. კუმულატიური ეფექტის დოქტრინა, რომელიც ცალკეული შეთანხმების კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტის შეფასების პროცესში მხედველობაში იღებს და ითვალისწინებს არა მარტო ცალკეული შეთანხმების ინდივიდუალურ ეფექტებს, არამედ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე იდენტური შინაარსის მატარებელ შეთანხმებათა ერთობლივ ნეგატიურ ეფექტებს. იგი ასევე ასრულებს გარკვეული ჩამკეტი სამართლებრივი მექანიზმის როლს იმისათვის, რათა კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმებების განმსაზღვრელი ნიშნულები ბოროტად არ იქნეს გამოყენებული და მისი მიზნის საწინააღმდეგოდ ხელი არ შეუწყოს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედებისაგან კონკურენციისთვის მომეტებული საფრთხის შემქმნელ კოორდინაციათა გათავისუფლებას.

კუმულატიური ეფექტის დოქტრინისა და 30 პროცენტიან ზღვართან დაკავშირებით *De Minimis Notice*-ის მე-10 პარაგრაფის გათვალისწინებით, ზემოთ განხილული ჰიპოთეტური შემთხვევა ევროპულ რეალობაში, ქართულისგან განსხვავებით, უფრო სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს. ასეთ დროს, უპირველეს ყოვლისა, ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი ვერტიკალური შეთანხმებები იდენტიფიცირდება. აღნიშნულის შედეგად განისაზღვრება ათივე ვერტიკალური შეთანხმება, რომელიც იდენტური შინაარსის მატარებელია. შემდეგ მოხდება ათივე შეთანხმების კუმულატიური ეფექტების შეფასება. როგორც უკვე აღინიშნა, ამ შემთხვევაში კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი კუმულატიური ეფექტის არსებობა უდავოა იმდენად, რამდენადაც მიწოდებისა და გასაღების წყაროები ექსკლუზიური შეთანხმებებით სრულად არის ათვისებული. აღნიშნული კი პოტენციური ეკონომიკური აგენტებისთვის ქმნის შესაბამის ბაზარზე შესვლის პრაქტიკულად გადაულახავ ბარიერებს, ხოლო კონკურენტი ეკონომიკური აგენტები მოკლებულები არიან საბაზრო პოზიციების გაფართოების რეალურ შესაძლებლობას.

კუმულატიური ეფექტის დოქტრინის ფარგლებში ამ შემთხვევის შეფასების შემდეგ ეტაპზე კი უნდა მოხდეს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველ ამ კუმულატიურ

ეფექტში ცალკეული შეთანხმებების კონტრიბუციისა თუ როლის გათვალისწინება. ამ შემთხვევაში შესაბამისი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილებთან ერთად მხედველობაში მიიღება შეთანხმების მოქმედების ხანგრძლივობა და სხვა ეკონომიკური თუ სამართლებრივი ფაქტორები.

ქართულ რეალობაში აღნიშნულ ჰიპოთეტურ შემთხვევასთან მიმართებით მსგავსი სიღრმისეული ანალიზის არც შესაძლებლობა და არც აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან ყველა ეს შეთანხმება ავტომატურად ექცევა კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისებში. შესაბამისად, ვერცერთ მათგანზე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა ვერ გავრცელდება.

მოცემულ მსჯელობასთან მიმართებით შეიძლება პრობლემურად ჩანდეს *De Minimis Notice*-ის მე-8 პარაგრაფის “ხ” ქვეპუნქტი, რომელიც, კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მსგავსად, ვერტიკალური შეთანხმებებთან მიმართებით გამონაკლისის სახით 15 პროცენტიანი საბაზრო წილს განსაზღვრავს. შესაბამისად, ასეთ დროს ისმის კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის შესაძლებელი ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით საგამონაკლისო პროცენტული ზღვრების იდენტური მოწესრიგების პირობებში ზემოთ მოცემულ ჰიპოთეტური ქეისის შემთხვევაში ევროპულ კონკურენციის სამართალში კუმულატიური დოქტრინის გამოყენება, ქართულ კონკურენციის სამართალში კი არა. აღნიშნული კითხვის პასუხი მოცემულია *De Minimis Notice*-ის უკვე მრავალჯერ ნახსენები მე-10 პარაგრაფში, რომელშიც მე-8 პარაგრაფის “ხ” ქვეპუნქტისთვის მნიშვნელოვანი ჩამკეტი მექანიზმი არის გათვალისწინებული.

De Minimis Notice-ის მე-10 პარაგრაფი გარკვეულ პროცენტულ ზღვარს ასევე ადგენს კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტის მიღწევაში ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული კონკრეტული შეთანხმების ინდივიდუალურ ეფექტთან დაკავშირებით. კერძოდ, დასახელებული ნორმის მიხედვით, ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების შესაბამის ბაზარზე, სადაც კონკურენცია შეზღუდულია ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებათა კუმულატიური ეფექტით, საბაზრო წილის ის პროცენტული ზღვრები, რომელიც მე-8 და მე-9 პარაგრაფებით არის

განსაზღვრული, მცირდება 5 პროცენტამდე, როგორც კონკურენტებს შორის, ასევე არაკონკურენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებებთან მიმართებით.[662]

როგორც ზემოთ აღინიშნა, *De Minimis Notice*-ის მე-9 პარაგრაფი იგივე შინაარსის მატარებელია, როგორიც კანოის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს, რომ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ მოქმედებს იმ ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე 15 პროცენტს არ აღემატება. კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტის მქონე იდენტური შინაარსის მატარებელი შეთანხმებების არსებობის შემთხვევაში ევროპულ რეალობაში *De Minimis Notice*-ის მე-10 პარაგრაფის პირველი წინადადების საფუძველზე ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით არსებული საგამონაკლისო პროცენტული ზღვარი (15%) ხუთ პროცენტამდე მცირდება. აღნიშნული კი იდენტური შინაარსის შეთანხმებათა მიერ გამოწვეული კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტის არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად ამცირეს საგამონაკლისო ნორმის მოქმედების ფარგლებს და ცალკეულ კოორდინაციასთან მიმართებით ზრდის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გამოყენების შესაძლებლობას.

სწორედ დასახელებული გარემოებებით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ევროპულ რეალობაში ზემოთ განხილული ჰიპოთეტური ქეისის მსგავს შემთხვევებში, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა აქტუალურობას არ კარგავს. აღნიშნული კი კონკურენციის კანონმდებლობის უფრო ეფექტიანი აღსრულების შესაძლებლობას იძლევა. ამ შემთხვევაში ეფექტიანი აღსრულების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გავრცელების შესაძლებლობა ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებულ ყველა იმ კოორდინაციაზე, რომელიც მომეტებული საფრთხის შემცველია ცალკეულ შესაბამის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოსათვის. ქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის არსებული რედაქციის პირობებში კანონით

[662] *Klotz R.,* in Schröter/Jakob/Klotz/Mederer, Europäisches Wettbewerbsrecht, Großkommentar, 2. Auflage, 2014, Rn. 714.

ასევე მოხდეს *De Minimis Notice*-ის მე-10 პარაგრაფის მსგავსი ნორმის გათვალისწინება და კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული პროცენტული ზღვრების შემცირება ისეთ შემთხვევებთან მიმართებით, როდესაც საქმე იდენტური შინაარსის მატარებელ შეთანხმებათა კონკურენციის შემზღუდველ კუმულატიურ ეფექტებს ეხება. აღნიშნული უფრო მეტ მოქნილობასა და ეფექტიანობას შესძენს ქართულ კონკურენციის კანონმდებლობას და გააჩნდეს იმის შესაძლებლობას, რომ კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლებს მიღმა არ დარჩეს ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული ისეთი კოორდინაცია, რომელსაც შესწევს უნარი მნიშვნელოვნად შეზღუდოს კონკურენცია ქვეყნის შესაბამის ბაზრებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც ქართულ კონკურენციის კანონმდებლობაში არის მოცემული, ქართულ რეალობაში კუმულატიური ეფექტის დოქტრინის გამოყენების შესაძლებლობასა თუ აუცილებლობას სრულიად არ გამორიცხავს. ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის კანონის მე-7 მუხლის დარღვევად კვალიფიკაციის პროცესში კუმულატიური ეფექტის დოქტრინა აქტუალობას ინარჩუნებს ისეთ შემთხვევებში თუ მასში მონაწილე სუბიექტები არ აკმაყოფილებენ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

IX. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის სახეები და ეფექტები

1. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის ეფექტების ანალიზის აუცილებლობა

ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების ეფექტების ანალიზი ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული ამ შინაარსის კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. აღნიშნულის აუცილებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების, შეთანხმებული ქმედების ან გადაწყვეტილების სახით ადგილი აქვს ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებულ კოორდინაციას, რომელიც ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობას აყალიბებს და მასში ჩართული ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები არ ექცევიან კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პროცენტულ ზღვრებში.

ასეთ დროს შესაბამისი კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაცია მისგან მომდინარე ეფექტების ანალიზზე არის დამოკიდებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლის შეფარდების აღნიშნულ ეტაპზე ფასდება შესაბამისი კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი და მისგან მომდინარე სხვადასხვა სახის პოზიტიური ეფექტები.[663] ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც კონკურენციის პროცესის ხელშემწყობი გარემოებების, ასევე სხვა სახის პოზიტიური ეფექტების ანალიზს. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობიდან მომდინარე პოზიტიური ეფექტები გადაწონის კონკურენციის შემზღუდველ ეფექტებს, მაშინ შესაბამისი კოორდინაცია არ დაკვალიფიცირდება კანონის მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებად (კონკურენციის ხელშემწყობი ეფექტების შემთხვევაში) ან მოექცევა კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ საგამონაკლისო სისტემაში (სხვა სახის პოზიტიური ეფექტების შემთხვევაში) და მასზე არ გავრცელდება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ ერთი შინაარსობრივი გამოვლინებაა, საკუთრივ ამ ურთიერთობის ფარგლებშიც არის შესაძლებელი სხვადასხვა სახისა თუ შინაარსის კოორდინაციაზე საუბარი. პრაქტიკაში, როგორც წესი, ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობა ცალკეული პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის იდება, რომელთა მოთხოვნილებები, მიზნები და ამოცანები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია. კომერციული ურთიერთობების სწორედ მსგავსი მრავალფეროვნება განაპირობებს ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის რამდენიმე სპეციალური ფორმის არსებობას.

ამ მრავალფეროვნების შედეგია ასევე ის, რომ ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობების ფორმების სრულად იდენტიფიცირება და შესაბამისი ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა ვერტიკალური ექსკლუზიური დათქმის, როგორც კონკურენციის სამართლისთვის მეტად

[663] დაწვ. იხ. თ. VII, ქვთ. 2.4.

მნიშვნელოვანი სამართლებრივი კატეგორიის სიღრმისეული ანალიზისა და მისი მახასიათებლების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია მისი რამდენიმე ისეთი სახის ანალიზი, რომელსაც პრაქტიკაში ყველაზე ხშირად შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ამ კუთხით შესაძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ექსკლუზიური მიწოდების, ექსკლუზიური შეძენის, ექსკლუზიური ტერიტორიული პროტექციის, ორმხრივი ექსკლუზივისა და სხვა შემთხვევები.

ექსკლუზიური ვერტიკალური ვალდებულების შემცველ კოორდინაციათა ეფექტები, მათი ფორმისა და შინაარსის მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის, აუცილებელია ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის სახეების იდენტიფიცირება და მისგან მომდინარე პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების თითოეულ იდენტიფიცირებულ სახესთან მიმართებით ინდივიდუალურად განხილვა.

2. ექსკლუზიური შეძენა

2.1. შინაარსი

ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებასთან (*"Alleinbezugspflichten"*) დაკავშირებული შეთანხმება წარმოადგენს. აღნიშნული გულისხმობს შემძენის (მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი - დისტრიბუტორი, საცალო მოვაჭრე და ა. შ.) ვალდებულებას ცალკეული საქონელი ან მომსახურება ან ერთგვაროვან საქონელთა და მომსახურებათა ჯგუფი შეიძინოს ერთი მიმწოდებლისაგან.[664] უფრო კონკრეტულად, ამ შემთხვევაში შემძენის ვალდებულება მოიცავს ცალკეულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული მთლიანი

[664] *Grafunder R.,* Bacher/Hempel, BeckOK KartR, 1. Aufl., 2020, Rn. 57; *Haag S., Karl M.,* Gloy/Loschelder/ Danckwerts, Wettbewerbsrecht, 5. Aufl. 2019, Rn. 12; 22; *Dietze P., Janssen H.,* KartR in der Anwältlichen Praxis, 5. Auflage, 2015, Rn. 339; *Eilmansberger T.,* Kruis T., Streinz/ Michl, EUV/AEUV, 3. Aufl., 2018, § 203; *Klotz R.,* Schröter/Jakob/Klotz/Mederer, Europäisches Wettbewerbsrecht, Groko, 2. Auflage, 2014, Rn. 829; *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art. 1, Rn. 28; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101 AEUV, Rn. 457; შეად. *ჟვანია ნ.,* იხ. ა. კ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019, 296.

მოთხოვნის ან ამ მოთხოვნის უდიდესი ნაწილის მხოლოდ ერთი მიმწოდებლისგან დაკმაყოფილებას.[665]

ექსკლუზიურ შეძენასთან დაკავშირებული შეთანხმება შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევაში ნეგატიურად ფორმულირებულ დებულებებსაც აერთიანებდეს. კერძოდ, მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ისეთი დათქმები, რომელიც შემძენს პირდაპირ ან არაპირდაპირ უწესებს შეთანხმებით გათვალისწინებული პროდუქტის ან მომსახურების, ან მისი ურთიერთჩამნაცვლებელი პროდუქტის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლისგან შეძენის ან სხვა მსგავსი შინაარსის აკრძალვას.

2.2. პოზიტიური ეფექტები

მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის დადებული ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი ვერტიკალური შეთანხმებები მწარმოებელს აძლევს მის მიერ წარმოებული პროდუქტის გარკვეული მოცულობების გარანტირებული გაყიდვის შესაძლებლობას.[666] გარდა ამისა, ასეთი შეთანხმების საფუძველზე მწარმოებელი კონკრეტული პროდუქტის წარმოების შესაბამის ბაზარზე მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას მოიპოვებს, ვინაიდან ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების მქონე დისტრიბუტორი ასეთ დროს იძულებულია კონკრეტულ პროდუქციასთან დაკავშირებული საკუთარი მოთხოვნა მხოლოდ ამ მიმწოდებლისგან დაიკმაყოფილოს. შესაბამისად, იგი ამ პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებით ვერანაირ კომერციულ ურთიერთობას სხვა მწარმოებლებთან ვერ დაამყარებს. სწორედ ამ ფაქტში ვლინდება მწარმოებლის ის კონკურენტული უპირატესობა, რომელსაც იგი დისტრიბუტორთან დადებული ექსკლუზიური შეძენის შეთანხმების შედეგად სხვა მწარმოებლებთან მიმართებით მოიპოვებს.

---

[665] *Mäger T.,* Schulze/Janssen/Kadelbach, Europarecht, 4. Aufl. 2020, Rn. 129; *Weisbard S.,* Resale Price Maintenance, Exclusive Dealing and Tying Arrangements, Antitrust Bulletin, Vol. 10, Iss. 3, May - June 1965, pp. 341-380, 364.

[666] *Kirchhoff W.,* Wiedemann, Hb, des KartR, 4. Aufl., 2020, § 8, Rn. 255; ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991 § 11.

მწარმოებელთან ერთად, ასეთი შეთანხმების მიმართ მნიშვნელოვანი კომერციული ინტერესები დისტრიბუტორსაც გააჩნია. ექსკლუზიური შეძენის შეთანხმების საფუძველზე იგი იქმნის კონკრეტული პროდუქტით მომარაგების მუდმივ და საიმედო წყაროს. ამ პირობებით მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის ჩამოყალიბებული გრძელვადიანი კომერციული ურთიერთობა სამომავლოდ ასევე ქმნის იმის საფუძველს, რომ დისტრიბუტორმა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა მწარმოებლისგან გარკვეული ფასდათმობებითაც კი ისარგებლოს.

გარდა ამისა, მწარმოებლისა და დისტრიბუტორის ამ განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან შესაბამისობასა და თანხვედრაში მყოფი ინტერესებთან ერთად, მათ გარკვეული იდენტური ინტერესებიც გააჩნიათ. კერძოდ, საკუთარი მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, როგორც მწარმოებლის, ასევე დისტრიბუტორის ინტერესშია მაქსიმალურად დიდი მოცულობის პროდუქტის რეალიზება. აღნიშნული თანაზიარი მიზანი კი განაპირობებს მასშტაბის ეკონომიას, ერთობლივ ზრუნვას პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის ზრდაზე და ა. შ.

მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობასთან ერთად ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემთხვევას შესაძლოა ასევე ადგილი ჰქონდეს დისტრიბუტორსა და საცალო მოვაჭრეს შორის ჩამოყალიბებულ ვერტიკალურ ურთიერთობაში. ამ შემთხვევაში მხარეთა მოტივაცია და ინტერესები იგივეა, რაც მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის ურთიერთობაში. ასეთ დროს დისტრიბუტორის მოტივაცია ემთხვევა იმ ინტერესებს, რომელიც მწარმოებელს გააჩნია მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის ურთიერთობაში და საცალო მოვაჭრისა - იმ ინტერესებს, რომელიც გააჩნია დისტრიბუტორს მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის ურთიერთობაში.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებაზე დაფუძნებული კოორდინაცია მნიშნელოვანი სარგებლის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს წარმოებისა და მიწოდების გაუმჯობესების კუთხით. ამ კუთხით მან ასევე შესაძლოა მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტები იქონიოს მომხმარებელთა კეთილდღეობაზეც. შესაბამისად, ექსკლუზიურ შეძენასთან დაკავშირებული

შეთანხმებების პოზიტიური ეფექტების განხილვა კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში შესაძლებელია სწორედ ამ მიმართულებით განვითარდეს. თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს სხვა სახის პოზიტიური ეფექტების არსებობის შესაძლებლობასაც.

2.3. კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული საფრთხეები

i. ბაზრიდან განდევნა და ბაზარზე შესვლის ბარიერების დაწესება

სხვა სახის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის მსგავსად, ექსკლუზიურ შეძენასთან დაკავშირებული ვალდებულებებიც ბაზრის შემზღუდველი ეფექტებით გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ექსკლუზიური შეძენის ვალდებულება ზღუდავს შემძენის თავისუფლებას კომერციული ურთიერთობა დაამყაროს სხვა მიმწოდებლებთან.[667] შემძენის თავისუფლების ამ ფორმით ხელყოფა, თავის მხრივ, გარდაისახება ზედა დონეზე არსებული ბაზრის შეზღუდვაში. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ შემთხვევაში პოტენციური ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამის ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი ბარიერები წარმოიქმნება. გარდა ამისა, ბაზრის შემზღუდველი ეფექტები ასეთ დროს ასევე ვლინდება შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან გასვლის იძულებაში.[668] ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შედეგად, სხვა მწარმოებლებისა თუ მიწოდების ჯაჭვის ზედა დონეზე მოქმედი სხვა მიმწოდებლებისთვის რთულდება შესაბამის ბაზარზე თავისუფალ და თანასწორ პირობებში ოპერირების შესაძლებლობა.[669] აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ზედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების პოტენციურ კლიენტს/კლიენტებს ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებაზე დაფუძნებული კომერციული ურთიერთობა დამყარებული აქვთ მათ კონკურენტ

---

[667] Commission Decision of 21 December 1977 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/29.418 - spices), OJ L 53, 24.2.1978, p. 20–25, § 18.

[668] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101 AEUV, Rn. 457; Commission Decision of 21 December 1977 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/29.418 - spices), OJ L 53, 24.2.1978, p. 20–25, § 18.

[669] *Mäger T.,* Schulze/Janssen/Kadelbach, Europarecht, 4. Aufl. 2020, Rn. 130; *Eilmansberger T.,* Kruis T., Streinz/Michl, EUV/AEUV, 3. Aufl., 2018, § 204; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101 AEUV, Rn. 457.

ეკონომიკურ აგენტთან. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მათ ურთულდებათ საკუთარი პროდუქტისა თუ მომსახურების რეალიზება.

ii. ბრენდებს შორის კონკურენციის აღმოფხვრა - *single branding*

ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი ვერტიკალური შეთანხმება განსაკუთრებული საფრთხის შემცველია მაშინ, როდესაც ქვედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი საცალო მოვაჭრეს წარმოადგენს. შესაბამისად, ასეთ დროს ქვედა დონეზე მოქმედი სუბიექტი მიწოდების ჯაჭვის ზედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტისაგან შეძენილი საქონლისა თუ მომსახურების უშუალოდ საბოლოო მომხმარებლებზე რეალიზებას ეწევა. აქედან გამომდინარე, საბოლოო მომხმარებლების არჩევანის მასშტაბები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წყაროებიდან და რა მრავალფეროვნებით ახდენს საცალო მოვაჭრე სარეალიზაციო საქონლისა და მომსახურების შეძენას.

საცალო მოვაჭრესთან დადებული ექსკლუზიური შეძენის ვალდებულება ზოგ შემთხვევაში შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ ერთი ბრენდის, ანუ ერთი მწარმოებლის მიერ წარმოებული საქონლისა თუ მომსახურების რეალიზების ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით ხშირია ცალკეულ მწარმოებელსა და საცალო მოვაჭრეს შორის დამყარებულ კომერციულ ურთიერთობაში. ამ ურთიერთობაში საცალო მოვაჭრემ მწარმოებლის წინაშე შეიძლება აიღოს ვალდებულება, რომ მხოლოდ მის მიერ წარმოებულ პროდუქციას გაუწევს რეალიზებას.[670] ასეთი შინაარსის ვალდებულების შედეგად საბოლოო მომხმარებლებს საცალო ვაჭრობის ბაზარზე შესაძლებლობა აქვთ ერთ შესაბამის პროდუქციულ ბაზარს მიკუთვნებულ პროდუქტთაგან მხოლოდ ერთი ბრენდის პროდუქტი შეიძინონ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების აღნიშნულ შემთხვევას კონკურენციის სამართლის ევროპულ პრაქტიკასა თუ

[670] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 129.

იურიდიულ ლიტერატურაში *"Single branding"*-ის[671] ან *"Markenzwang"*-ის[672] სახელითაც მოიხსენიებენ. ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების განსახილველი ეფექტის უკეთ წარმოსაჩენად შესაძლოა განხილულ იქნეს N2 სქემაზე მოცემული შემთხვევა.

სქემა N2

N2 სქემაზე გამოსახულ საბაზრო მოცემულობაში გარკვეულ "X" პროდუქტს აწარმოებს ორი მწარმოებელი - "A" და "B" ეკონომიკური აგენტი. შესაბამისად, ბაზარზე არსებობს კონკრეტული "X" პროდუქტის ორი ბრენდი. ორივე ბრენდის "X" პროდუქტი მიეწოდება ქვედა დონეზე მოქმედ ორივე საცალო მოვაჭრეს - "C" და "D" ეკონომიკურ აგენტს. აღნიშნულის შედეგად საბოლოო მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ მათთვის სასურველი და მოსაწონი ბრენდის X პროდუქტი. თუმცა იმ შემთხვევაში თუ "A" მწარმოებელი "C" და "D" ეკონომიკურ აგენტებთან დაამყარებს ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებაზე დამყარებულ ვერტიკალურ კოორდინაციას, მომხმარებლებს აღარ ექნებათ შესაძლებლობა აღნიშნული საცალო მოვაჭრეების ობიექტებში შეიძინონ "B" ეკონომიკური აგენტის მიერ წარმოებული "X" პროდუქტი. აღნიშნულს განაპირობებს ის ფაქტი, რომ საცალო მოვაჭრეები აღნიშნული კოორდინაციის შედეგად ვალდებულნი არიან რეალიზაცია გაუწიონ მხოლოდ "A" ბრენდის X პროდუქტს, რაც საცალო დონეზე აღმოფხვრის ბრენდებს შორის კონკურენციას და მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ "A" ეკონომიკური აგენტის მიერ წარმოებული X პროდუქტი რჩება.

---

[671] *Faull J., Nikpay A.,* The EU Law of Competition, 3rd ed. § 9.55; G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 129; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 168; *Whish R., Bailey D.,* Competition Law, 7-th ed. 2012, 683.

[672] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art. 1, Rn. 28.

Single branding-ის ვალდებულება ასევე შეიძლება გათვალისწინებული იყოს დისტრიბუტორსა და საცალო მოვაჭრეს ან მწარმოებელსა და დისტრიბუტორს შორის მიღწეული შეთანხმების ფარგლებში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცალკეული დისტრიბუტორი შესაძლოა ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტებსა და მომსახურებებს სხვადასხვა მწარმოებლებისგან იღებდეს. მაშინ, როდესაც ასეთი დისტრიბუტორი საცალო მოვაჭრესთან დებს ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველ შეთანხმებას, როგორც წესი, *Single branding*-ის შემთხვევას არ აქვს ადგილი, ვინაიდან დისტრიბუტორი საცალო მოვაჭრეს ექსკლუზიურად აწვდის სხვადასხვა მწარმოებლის მიერ წარმოებულ სხვადასხვა ბრენდის პროდუქტს.

iii. მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა

ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებით გამოწვეულ შემდეგ მნიშვნელოვან საფრთხეს მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის ჩამოყალიბების გამარტივება და მისი ხელშეწყობა წარმოადგენს. დასახელებული კოორდინაციის ქვეშ ამ შემთხვევაში მიმწოდებლებს შორის კონკურენციის შემზღუდველი ჰორიზონტალური შეთანხმებების მიღწევა უნდა ვიგულისხმოთ.

აღნიშნული საფრთხის უკეთ წარმოსაჩენად და გასაანალიზებლად მაგალითის სახით შესაძლოა ისევ განხილულ იქნეს მიწოდების ჯაჭვის ორი დონე, სადაც პირველ დონეზე ცალკეული პროდუქტის მწარმოებლები, ხოლო მეორე დონეზე საცალო მოვაჭრეები ოპერირებენ. ასევე დავუშვათ, რომ მიწოდების დონეზე არსებული შესაბამისი ბაზარი დაბალი კონცენტრაციით გამოირჩევა და ამ ბაზარზე ოცამდე ეკონომიკური აგენტი ოპერირებს. ასეთ დაბალი კონცენტრაციის პირობებში ეკონომიკური აგენტებისთვის კონკურენციის შემზღუდველი ჰორიზონტალური კოორდინაციის ჩამოყალიბებისთვის ნოყიერი ნიადაგი ნაკლებად არსებობს. კონკურენციის შემზღუდველი ჰორიზონტალური შეთანხმება, როგორც წესი, მაშინ არის მომგებიანი და მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტებისთვის მატერიალური სარგებლის მომტანი, როდესაც ამ შეთანხმებაში შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტი ან მათი მნიშნელოვანი ნაწილი მონაწილეობს. ამის მიღწევა კი შესაბამისი ბაზრის დაბალი კონცენტრაციის პირობებში

თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ასეთ დროს შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა ძალიან მაღალია.

თუმცა, ასეთ საბაზრო პირობებში შესაძლოა რამდენიმე მწარმოებელმა ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი ვერტიკალური კოორდინაცია დაამყაროს ქვედა დონეზე მოქმედ საცალო მოვაჭრეებთან. კერძოდ, დავუშვათ, რომ მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედებს ოთხი საცალო მოვაჭრე. შესაბამისად, ასევე დავუშვათ, რომ ზედა დონეზე მოქმედი რომელიმე 4 მწარმოებელი ინდივიდუალურად შედის მსგავსი შინაარსის ვერტიკალურ კოორდინაციაში 4 საცალო მოვაჭრესთან. ასეთ დროს იქმნება ისეთ მოცემულობა, რომლის დროსაც ოთხი მწარმოებლის მიერ ერთმანეთის დამოუკიდებლად ოთხ საცალო მოვაჭრესთან ჩამოყალიბებულია ოთხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაცია. აღნიშნული ვერტიკალური შეთანხმებები კი ავტომატურად გამოიწვევს წარმოების ბაზრიდან სხვა მწარმოებლების განდევნას. აღნიშნულის შედეგად, მიწოდების ჯაჭვის ზედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მცირდება ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და იზრდება ბაზრის კონცენტრაციის დონე. ეკონომიკურ აგენტთა მცირე რაოდენობა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელსაყრელ პირობებს ქმნის კონკურენციის შემზღუდველი ჰორიზონტალური კოორდინაციის ჩამოყალიბებისთვის, რაც დამატებითი საფრთხეების მომტანია ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის. სწორედ ამ ფაქტში ვლინდება ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებასთან დაკავშირებული მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის ხელშემწყობი ეფექტები.

2.4. Non-compete obligation

ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების განსაკუთრებულ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კანონის მე-9 მუხლითა და N526 დადგენილებით გათვალისწინებულ საგამონაკლისო სისტემაში ეკონომიკურ აგენტთა ვერტიკალური კოორდინაციის აღნიშნულ გამოვლინებას სპეციალური და დამატებითი მომწესრიგებელი ნორმები ეძღვნება. ამ კუთხით ქართული კონკურენციის კანონმდებლობა გარკვეულ მსგავსებებს ევროპულ კონკურენციის კანონმდებლობასთანაც ავლენს.

ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი ვერტიკალური კოორდინაცია, ბუნებრივია, არ ექცევა კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია საგამონაკლისო სისტემის ფარგლებში არსებული საბაზრო წილის ან ეფექტიანობის ტესტებით გათვალისწინებული წინაპირობები. საბაზრო წილის ტესტთან მიმართებით თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მე-8 მუხლით ეკონომიკურ აგენტთა წლიურ ბრუნვებთან დაკავშირებით გათვალისწინებული პროცენტული ზღვრების დაკმაყოფილების შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლის მოქმედება ავტომატურად გამოირიცხება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებასთან მიმართებით ეფექტიანობის ტესტი წინაპირობათა შედარებით უფრო რთული და კომპლექსური სქემით გამოირჩევა. აღნიშნულ სირთულეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ეფექტიანობის ტესტის ფარგლებში ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით გამონაკლისების დადგენილებით განსაზღვრული ზოგადი წინაპირობების დაკმაყოფილება ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი შეთანხმების კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლებიდან გამოსარიცხად არ არის საკმარისი.

N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამავე დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებს არ უქვემდებარებს ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც იწვევს „კონკურენციის პირდაპირ ან ირიბ შეზღუდვას დაუზუსტებელი ვადით ან დაზუსტებული ვადის შემთხვევაში – 5 წელზე მეტი ვადით.“ ამ დადგენილების მე-6 მუხლი კი ეხება „შეთანხმებას დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს“ შორის, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს დისტრიბუციისა და საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ ვერტიკალურ კოორდინაციას.

გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი პირდაპირ და უშუალოდ ეხება *single branding*-ისა თუ ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემთხვევას. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის შინაარსი, რომელიც, მიუხედავად არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზისა, ამ ნორმიდან გამომდინარეობს.

აღნიშნული ნორმის შინაარსის უკეთ გასააზრებლად მიზანშეწონილია მხედველობაში იქნეს მიღებული ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით გამონაკლისების გამოყენებასთან დაკავშირებული ევროკომისიის 2010 წლის 20 აპრილის N330/2010 რეგულაციის (შემდგომში - N330/2010 რეგულაცია) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტი, რომელსაც თითქმის იდენტური შინაარსი აქვს, რაც გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველ პუნქტს. კერძოდ, N330/2010 რეგულაციის აღნიშნული ნორმა ადგენს, რომ ვერტიკალურ შეთანხმებებთან დაკავშირებით ამავე რეგულაციის პირველი მუხლით დადგენილი გამონაკლისები არ ვრცელდება ისეთ ვერტიკალურ შეთანხმებაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ითვალისწინებს „კონკურენციის აკრძალვას“ და რომლის ხანგრძლივობაც შეთანხმებაში გათვალისწინებული არ არის ან გათვალისწინებულია და აღემატება 5 წელს. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ რეგულაციის აღნიშნული ნორმის ინგლისურ ვერსიაში გამოყენებულია ტერმინი *“non-compete obligation”,* ხოლო გერმანულ ვერსიაში *„Wettbewerbsverbot”,* რომელიც გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში თარგმნილია, როგორც „კონკურენციის შეზღუდვა.“ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული სამართლებრივი კატეგორიის აღსანიშნავად ასევე გამოიყენება ტერმინი *“Konkurrenzschutzklausel”*, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც „კონკურენციისგან (კონკურენტული წნეხისგან) დამცავი დათქმა.“[673]

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი განმარტების გარეშე ტერმინი „კონკურენციის შეზღუდვა“ მოცემულ შემთხვევაში სრულყოფილად არ ასახავს იმ შინაარსს რაც ჩადებულია N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტში *„non-compete obligation”/„Wettbewerbsverbot”* ტერმინების ქვეშ. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ N330/2010 რეგულაციის პირველ მუხლის პირველი პუნქტის “d” ქვეპუნქტში სპეციალურად არის გათვალისწინებული *non-compete obligation”/„Wettbewerbsverbot”* ტერმინის განმარტება.

[673] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art. 1, Rn. 43.

N330/2010 რეგულაციის პირველ მუხლის პირველი პუნქტის "d" ქვეპუნქტში მოცემულია *„non-compete obligation"/„Wettbewerbsverbot"* ცნების დეფინიციის ორი ალტერნატივა. პირველი ალტერნატივის მიხედვით, *non-compete obligation"/„Wettbewerbsverbot"* გულისხმობს ვერტიკალური შეთანხმების ფარგლებში შემძენისთვის ისეთი პროდუქტის ან მომსახურების წარმოების, შეძენის ან გაყიდვის აკრძალვას, რომელიც პირდაპირ კონკურენტულ დამოკიდებულებაში იმყოფება (წარმოადგენს ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტს ან მომსახურებას) შესაბამისი ვერტიკალური შეთანხმებით გათვალისწინებულ პროდუქტთან ან მომსახურებასთან. მეორე ალტერნატივის მიხედვით, *non-compete obligation", /„Wettbewerbsverbot"* თავის თავში მოიაზრებს ვერტიკალური შეთანხმებით გათვალისწინებული შემძენის ისეთ პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას, მიმწოდებლისაგან (ანუ ამავე ვერტიკალური შეთანხმების მონაწილე იმ ეკონომიკური აგენტისგან, რომელიც ოპერირებს ზედა დონის შესაბამის ბაზარზე) დაიკმაყოფილოს ამავე ვერტიკალური შეთანხმებით გათვალისწინებულ პროდუქტთან ან მომსახურებასთან ან მის ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული მისი მთლიანი მოთხოვნის 80 პროცენტზე მეტი.

შესაბამისად, N330/2010 რეგულაციის პირველ მუხლის პირველი პუნქტის "d" ქვეპუნქტი ფაქტობრივად ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებისა (*"Alleinbezugspflichten"*) და *"single branding"*-ის ("*Markenzwang*") შინაარსობრივ ასპექტებს განსაზღვრავს. მაგალითისათვის შეიძლება განხილულ იქნეს ღვინის „X" ბრენდის მწარმოებელსა და საცალო მოვაჭრეს შორის დადებული ვერტიკალური შეთანხმების შემთხვევა. იმისათვის რომ ეს შეთანხმება მოექცეს N330/2010 რეგულაციის პირველ მუხლის პირველი პუნქტის "d" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განმარტებაში იგი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთს მაინც: ა) საცალო მოვაჭრე ღვინოს ყიდულობს მხოლოდ ამ შეთანხმების მონაწილე მწარმოებლისაგან და ამასთანავე მას ეკრძალება სხვა ბრენდის ღვინის შეძენა სხვა მწარმოებლისაგან და მისი რეალიზაცია; ბ) იმ ღვინის, რომლის რეალიზაციასაც ეწევა საცალო მოვაჭრე, მთლიანი მოცულობის 80 პროცენტზე მეტს შეიძენს შეთანხმების მონაწილე მწარმოებლისაგან.

აღნიშნული შინაარსი კი სრულად ემთხვევა წინამდებარე ნაშრომში ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების (*"Alleinbezugspflichten"/"Markenzwang"/"single branding"*) შინაარსთან დაკავშირებულ მსჯელობებს.[674] კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსკლუზიური შეძენის ვალდებულება გულისხმობს შემძენის (მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი - დისტრიბუტორი, საცალო მოვაჭრე და ა. შ.) ვალდებულებას ცალკეული საქონელი ან მომსახურება ან ერთგვაროვან საქონელთა და მომსახურებათა ჯგუფი ან ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძინოს ერთი მიმწოდებლისაგან. N330/2010 რეგულაციის პირველ მუხლის პირველი პუნქტის "d" ქვეპუნქტში მოცემული განმარტების პირველი ალტერნატივა გულისხმობს მთლიანი შეძენის, ხოლო მეორე ალტერნატივა მნიშვნელოვანი ნაწილის შეძენის შემთხვევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ რეალობაში ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებასთან მიმართებით მოთხოვნის მნიშნელოვან ნაწილად სწორედ მთლიანი მოთხოვნის 80 პროცენტი ან მეტი მიიჩნევა. ქართულ რეალობაში მსგავსი პირდაპირი მითითება არც საკანონმდებლო დონეზე და არც შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში არ არის მოცემული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე დუმს გამონაკლისების დადგენილებაც. მიუხედავად ამისა ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, ქართულ რეალობაში ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებასთან მიმართებით მსგავსი 80 პროცენტიანი ნიშნულის სახით შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბების დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. თუმცა ცალკეული ბუნდოვანებების აღმოფხვრის მიზნით ამ კუთხით მაინც მიზანშეწონილია შესაბამისი მითითება გამონაკლისების დადგენილებაში იქნეს ჩამოყალიბებული.

ამდენად, N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „a" ქვეპუნქტი ამავე რეგულაციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის "d" ქვეპუნქტთან ერთობლიობაში TFEU 101-ე მუხლიდან გამონაკლის შემთხვევად არ მიიჩნევს ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებისა თუ *"single branding"*-ის ("*Markenzwang*") ისეთ შემთხვევას, რომლის ხანგრძლივობაც დაკონკრეტებული არ არის ან აღემატება ხუთ წელს. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის

[674] *Kirchhoff W.,* Wiedemann, Hb, des Kartellrechts, 4. Aufl., 2020, § 8, Rn. 256.

პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი აბსტრაქტულ და ბუნდოვან კატეგორიებზე საუბრობს რაც არაერთ გაურკვევლობას ქმნის. კერძოდ, N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამავე დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები არ ვრცელდება ისეთ შეთანხმებებზე, რომლის შინაარსიც გულისხმობს კონკურენციის პირდაპირ ან ირიბ შეზღუდვას დაუზუსტებელი ან ხუთ წელზე მეტი ვადით.

აღნიშნულ ჩანაწერში გაურკვეველია, თუ რას გულისხმობს ტერმინი კონკურენციის პირდაპირი ან ირიბი შეზღუდვა. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამავე დადგენილების მე-6 მუხლში უბრალოდ კონკურენციის შეზღუდვაზე არის საუბარი და დადგენილებაში არ არის განმარტებული თუ რა იგულისხმება კონკურენციის შეზღუდვის ცნების ქვეშ. NN330/2010 რეგულაციის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამონაკლისების დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ამავე დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში განსაზღვრავს ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი შეთანხმებაზე გამონაკლისების გავრცელების სპეციალურ წესს.

შესაბამისად, გამონაკლისების დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი კოორდინაცია არ ექცევა კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში, თუ იგი შემძენს არ უწესებს ცალკეულ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე მისი მთლიანი მოთხოვნის ან მისი მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილის მხოლოდ ერთი მიმწოდებლისაგან დაკმაყოფილების ვალდებულებას გაურკვეველი ან ხუთ წელზე მეტი ვადით. ამ მიდგომის შებრუნებული ფორმულირებით ჩამოყალიბების გზით კი უფრო მარტივი და ნათელი ხდება ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველ შეთანხმებაზე საგამონაკლისო სისტემის გავრცელების წინაპირობების შინაარსი. კერძოდ, ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველ შეთანხმებაზე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებში: (1) შეთანხმება მიმწოდებელს არ

უწესებს ცალკეულ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე არსებული მისი მოთხოვნის 80 პროცენტზე მეტის მხოლოდ ერთი მიმწოდებლისაგან დაკმაყოფილების ვალდებულებას ან (2) უწესებს ასეთ ვალდებულებას, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლის ვადით. აღნიშნული ორი ალტერნატიული წინაპირობის დაკმაყოფილებასთან ერთად ასევე აუცილებელია შეთანხმება პასუხობდეს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გარდა ამისა, ამ კუთხით დამატებით პრობლემას ქმნის N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ამავე დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გავრცელების შესაძლებლობას გამორიცხავს ისეთ ვერტიკალურ კოორდინაციაზე, რომელიც გულისხმობს „მხარისთვის პირდაპირ ან ირიბ აკრძალვას, მის სისტემაში შეისყიდოს ან გაყიდოს სხვა, მიმწოდებლის კონკურენტი ეკონომიკური აგენტის პროდუქცია/მომსახურება...“ განსახილველი ნორმა პირდაპირ არ საუბრობს ექსკლუზიური შეძენისას ვალდებულებაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციაზე, თუმცა ნორმის მოცემული ფორმულირება გარკვეულწილად ემთხვევა კოორდინაციის დასახელებულ ფორმას. კერძოდ, N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საუბრობს კოორდინაციაში მონაწილე ერთ-ერთი მხარისთვის დაწესებულ აკრძალვაზე სხვა მიმწოდებლებისაგან არ შეიძინოს და რეალიზაცია არ გაუწიოს მიმწოდებლის კონკურენტი ეკონომიკური აგენტის საქონელსა და მომსახურებას. ამ შემთხვევაში დადგენილება არანაირი ვადით არ ზღუდავს ამ წესს. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დათქმასთან, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს non-compete obligation-თან დაკავშირებული ევროპული ნორმის (N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “a” ქვეპუნქტი) ანალოგს.

ამ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გამონაკლისების დადგენილებაში N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის ნორმათა არასწორ ტრანსპოზიციას. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “a” ქვეპუნქტი კრძალავს non-compete obligation-ის ისეთ შემთხვევას, რომლის ხანგრძლივობაც გაურკვეველია ან აღემატება 5 წელს. ამავე პუნქტის “c” ქვეპუნქტში კი

შემოთავაზებულია შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის წევრისათვის non-compete obligation-ის მსგავსი ვალდებულების დაკისრების აკრძალვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გამონაკლისების დადგენილების ავტორებს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სწორედ N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “c” ქვეპუნქტის ანალოგიური დათქმის გათვალისწინება ჰქონდათ განზრახული. აღნიშნული ვარაუდის საფუძველს ქმნის ის ფაქტი, რომ დასახელებულ პუნქტში ვხვდებით შემდეგი სახის ჩანაწერს „...იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეთანხმების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის წევრი.“ ამ შემთხვევაში ნორმის ძირითადი ხარვეზი მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული ფორმულირების მიხედვით, გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება მხოლოდ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დადებულ შეთანხმებაზე. ასეთი მიდგომა კი ქმნის ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, როდესაც N526 დადგენილება კოორდინაციის ერთსა და იმავე სახესთან მიმართებით ორი სხვადასხვა შინაარსის მიდგომას გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სრულყოფა და მისი იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომ მან მოიცვას N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “a” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შინაარსი და გავრცელდეს მხოლოდ “non-compete obligation”-ის კლასიკურ შემთხვევებზე. ხოლო ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ იგი ვრცელდებოდეს მხოლოდ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დადებულ შეთანხმებებზე.

2.5. კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტი

იმდენად, რამდენადაც ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაცია არ წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას, მისი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია მას გააჩნდეს კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტები, რომელსაც ვერ გადაწონის ამავე შეთანხმებასთან დაკავშირებული კონკურენციის ხელშემწყობი ეფექტები.[675]

[675] ECLI:EU:C:2009:215, “*Pedro IV Servicios SL,*” Case C-260/07, 02.04.2009, § 83; ECLI:EU:C:1991:91, *“Stergios Delimitis,”* Case C-234/89, 28.02.1991, §§ 10-13; ECLI:EU:C:2000:679, *“Neste Markkinointi”,* Case C-214/99,

აღნიშნული ასევე ვრცელდება ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციაზე. ასეთ დროს კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტები ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებით გამოწვეული კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული რისკების ინტენსივობისა და მასშტაბების ანალიზის საფუძველზე უნდა შეფასდეს. ცალკეულ შემთხვევაში რაც უფრო მეტი ინტენსივობით ექნება ადგილი ბაზრიდან განდევნის ეფექტებს, ბაზარზე შესვლის ბარიერების დაწესებას, ბრენდებს შორის კონკურენციის შეზღუდვასა თუ მიწოდების ბაზარზე კონცენტრაციის ზრდას ადგილი, მით უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ ცალკეული კოორდინაცია კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტებით გამოირჩეოდეს და მასზე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა გავრცელდეს.

კონკურენციის შეზღუდვის მსგავსი მასშტაბები პრაქტიკაში სხვადასხვა ინდიკატორებსა თუ პარამეტრებზე დაყრდნობით უნდა დადგინდეს. ერთ-ერთ ასეთ ინდიკატორად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი ვერტიკალური ურთიერთობის ხანგრძლივობა. ასევე გასათვალისწინებელია კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამისი კომერციული საქმიანობისთვის აუცილებელი ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა.[676] ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობასთან დაკავშირებული კონკურენციის მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასების პროცესში უმთავრეს როლს მაინც მასში ჩართული ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები ასრულებს. კონკრეტულ შემთხვევაში რაც უფრო დიდია აღნიშნული პარამეტრი, მით მეტია კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობის ალბათობა.

გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ ერთი მწარმოებლის მიერ ცალკე აღებულ ერთ კონკრეტულ სუბიექტთან დამყარებული ექსკლუზიური კოორდინაციის მხოლოდ ინდივიდუალური ეფექტების შეფასება შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი.

07.12.2000, § 25; ECLI:EU:T:2002:84, *"Colin Joynson,"* Case T-231/99, 21.03.2002, § 48; კონკურენციის შეზღუდვის მნიშვნელოვან ეფექტებთან დაკ. დაწვ. იხ. თ. IV, ქვთ. 4.4.

[676] *Klein B.,* Exclusive Dealing as Competition for Distribution on the Merits, George Mason Law Review, Vol. 12, Iss. 1, Fall 2003, pp. 119-162, 122.

ასეთ დროს საქმეში ერთვება კუმულატიური ეფექტის დოქტრინა. აღნიშნულის საფუძველზე უნდა გაანალიზდეს არა ცალკე აღებული ერთი ვერტიკალური შეთანხმების, არამედ სხვა მსგავსი შინაარსით დამყარებული ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობების ერთობლივი ეფექტები.[677]

ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებასთან დაკავშირებული კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების ანალიზისა და ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური ურთიერთობის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტების უკეთ წარმოჩენისა და მათი ანალიზისათვის მიზანშეწონილია N3 სქემის საფუძველზე განხილულ იქნეს კონკრეტული საბაზრო მოცემულობა.

სქემა N3



N3 სქემაზე მოცემულია ცალკეული პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის ორი დონე. პირველ დონეზე ოპერირებს მწარმოებელი, რომელიც აწარმოებს კონკრეტულ X პროდუქტს. მეორე დონეზე მოქმედებენ საცალო მოვაჭრეები, რომლებიც მწარმოებლისგან ყიდულობენ ამ უკანასკნელის მიერ წარმოებულ X პროდუქტს და ეწევიან ამ პროდუქტის საბოლოო მომხმარებლებზე რეალიზებას.

მოცემულ შემთხვევაში X პროდუქტს აწარმოებს სამი მწარმოებელი - მწარმოებელი „A" და მისი კონკურენტები "B" და "C". აქედან გამომდინარე, შესაბამის ბაზარზე არსებობს X პროდუქტის სამი ბრენდი, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენტულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

[677] კუმულატიური ეფექტის დოქტრინასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. VIII.

აღნიშნული მწარმოებლები საკუთარი პროდუქტის საბოლოო მომხმარებლებზე რეალიზებას საცალო მოვაჭრეების საშუალებით ახორციელებენ. N3 სქემაზე მოცემულ საბაზრო მოცემულობაში X პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის მეორე დონეზე ოპერირებს ხუთი ეკონომიკური აგენტი - “E”, “F”, “G”, “H” და “I”. შესაბამისად, ზედა დონეზე მოქმედი მწარმოებლები საკუთარი წარმოების X პროდუქტის რეალიზების მიზნით კომერციულ ურთიერთობაში სწორედ ამ საცალო მოვაჭრეებთან იმყოფებიან.

“D” ეკონომიკურ აგენტს აქვს დასაბუთებული განზრახვა შევიდეს X პროდუქტის წარმოების ბაზარზე. შესაბამისად, იგი ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტის პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს.

წარმოების შესაბამის ბაზარზე შესვლის შემდეგ “D” ეკონომიკურ აგენტს ესაჭიროება საკუთარი წარმოების X პროდუქტის სარეალიზაციო არხების მოძიება. რეალიზების ერთ-ერთ არსებულ შესაძლებლობას მიწოდების ჯაჭვის მეორე დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებთან შესაბამისი კომერციული ურთიერთობის დამყარება წარმოადგენს. აღნიშნულისათვის არსებობს სხვა ალტერნატივებიც. კერძოდ, საკუთარი წარმოების X პროდუქტის პირდაპირ მომხმარებლებზე რეალიზაცია, საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის ჩამოყალიბება და ა. შ. თუმცა ეს უკანასკნელი საშუალებები დამატებით დანახარჯებსა და ინვესტიციას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ეფექტიან და გამართლებულ შესაძლებლობას მოცემულ შემთხვევაში უკვე არსებულ საცალო მოვაჭრეებთან შესაბამისი კომერციული ურთიერთობის დამყარება წარმოადგენს.

პოტენციური და კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან მომდინარე კონკურენტული წნეხის პირობებში მას ეზღუდება თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა. საკუთარი მოგების მაქსიმიზაციის მიზნით საცალო მოვაჭრეებისა და საბოლოო მომხმარებლებისთვის საზიანო ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, როგორიცაა X პროდუქტზე დაწესებული ფასების ზრდა, იგი დაკარგავს საბოლოო მომხმარებლებსა თუ საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედ კომერციულ პარტნიორებს “B” და “C“ ეკონომიკური აგენტების სასარგებლოდ და “D” ეკონომიკურ აგენტსაც უფრო გაუმარტივებს X პროდუქტის წარმოების შესაბამის ბაზარზე საქმიანობის

დაწყებას. ასეთ კონკურენტულ პირობებში „A” ეკონომიკური აგენტი იძულებულია ინოვაციის, ფართო არჩევანისა თუ დაბალი ფასების შეთავაზების გზით მუდმივ რეჟიმში იზრუნოს საკუთარი მომხმარებლებისა თუ კომერციული პარტნიორების შენარჩუნებასა თუ ახალი მომხმარებლებისა და კომერციული პარტნიორების მოზიდვაზე.

აღნიშნული კონკურენტული წნეხის შესამცირებლად ან სრულად აღმოსაფხვრელად მას შეუძლია ჰორიზონტალურ კოორდინაციაში შევიდეს “B”, “C“ და/ან “D” ეკონომიკურ აგენტებთან. მაგალითად, შესაძლებელია კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთან პროდუქტის ფასებზე, მისაწოდებელ მოცულობაზე, ბაზრის ტერიტორიული ნიშნით განაწილებასა და სხვა საბაზრო პირობებზე შეთანხმების გზით მათ შორის არსებული კონკურენციის ხარისხის მინიმუმამდე დაყვანა. პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტთანაც შესაძლოა იგივე საკითხებზე შეთანხმება ან სულაც ისეთი პირობის შეთავაზება, როგორიცაა გარკვეული მატერიალური სარგებლის მიღების სანაცვლოდ შესაბამის ბაზარზე შესვლისაგან თავის შეკავება.

მსგავსი შინაარსის ჰორიზონტალური შეთანხმებები მნიშვნელოვანი საფრთხის შემქმნელია შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოსთვის. იგი ზიანის მომტანია, არა მარტო საბოლოო მომხმარებლებისათვის, არამედ მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედი საცალო მოვაჭრეებისა და ზედა დონეზე მოქმედი მწარმოებლისთვისაც (განსაკუთრებით პროდუქტის შესყიდვის ფასზე შეთანხმების შემთხვევაში).

გარდა ამისა, შესაბამისი ეკონომიკური აგენტისთვის მნიშნელოვანი მატერიალური სიკეთეების მოტანასთან ერთად, ასეთი შინაარსის ჰორიზონტალური კოორდინაციის დამყარება მისთვის გარკვეული რისკების მატარებელიც არის. მსგავსი ქმედებისათვის შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შესაძლოა მნიშვნელოვანი სანქციები დაეკისროთ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, ვერტიკალური შეთანხმებისაგან განსხვავებით, ჰორიზონტალური კოორდინაციის შემთხვევაში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის მტკიცება შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოებისათვის გაცილებით უფრო მარტივია. ასევე შესაძლებელია, რომ არც კონკურენტ და არც

პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს არ ჰქონდეთ ჰორიზონტალურ შეთანხმებაში მონაწილეობის სურვილი და განზრახვა.

კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტისაგან მომდინარე კონკურენტული წნეხის შესამცირებლად ან სრულად აღმოსაფხვრელად "A" ეკონომიკური აგენტისთვის შემდგომ ალტერნატიულ საშუალებას ვერტიკალური კოორდინაციის დამყარება წარმოადგენს. კერძოდ, ამ შემთხვევაში იგულისხმება ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი ვერტიკალური კოორდინაცია, რომლის საფუძველზე, საცალო მოვაჭრეები მხოლოდ "A" ეკონომიკური აგენტისაგან შეიძენენ X პროდუქტს და ანალოგიური შინაარსის კომერციულ ურთიერთობას არ დაამყარებენ "B", "C" და/ან "D" ეკონომიკურ აგენტებთან.

ვერტიკალური კოორდინაციის მიზანი ასეთ დროს კონკურენტი ეკონომიკური აგენტის შესაბამისი ბაზრიდან განდევნასა და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტისათვის შესაბამის ბაზარზე შესასვლელად ახალი და უფრო რთულად გადასალახი ბარიერების დაწესებაში მდგომარეობს. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი N3 სქემაზე მოცემულ საბაზრო პირობებში შესაძლებელია ქვედა დონეზე მოქმედ საცალო მოვაჭრეებთან ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციაზე შეთანხმების გზით.

მსგავს საბაზრო მოცემულობაში X პროდუქტის წარმოების შესაბამის ბაზარზე შესასვლელად და ამ ბაზარზე სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად ეკონომიკური აგენტისთვის გარდაუვალია საცალო მოვაჭრეებთან კომერციული ურთიერთობის დამყარება. სწორედ საცალო მოვაჭრეების საშუალებით უნდა მოახდინონ მწარმოებლებმა მათ მიერ წარმოებული პროდუქტის საბოლოო მომხმარებლებზე რეალიზება.

აქედან გამომდინარე, "B", "C" და/ან "D" ეკონომიკური აგენტებისაგან მომდინარე კონკურენტული წნეხის აღმოფხვრის მიზნით "A" ეკონომიკურ აგენტს შეუძლია ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის შემცველი შეთანხმება დადოს საცალო მოვაჭრეებთან და ამ საცალო მოვაჭრეებისთვის იგი X პროდუქტის ერთადერთი და ექსკლუზიური მიმწოდებელი გახდეს. ასეთი შეთანხმების შედეგად საცალო მოვაჭრეები გაწყვეტენ კომერციულ ურთიერთობას "B", "C" მწარმოებლებთან, რაც X პროდუქტის

შესაბამისი ბაზრიდან ფაქტობრივად მათ განდევნას გამოიწვევს, ვინაიდან ისინი ასეთ დროს ვეღარ შეძლებენ საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედი სუბიექტების საშუალებით მათი პროდუქციის რეალიზებას. აღნიშნულის შედეგად ისინი იძულებულები იქნებიან მოიძიონ ახალი გასაღებისა თუ რეალიზაციის გზები, რაც დამატებით დანახარჯებსა და ინვესტიციებს მოითხოვს. გარდა ამისა, ამ პროცესში მათ გარკვეული დროის დაკარგვაც მოუწევს, რაც შეიძლება მათთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალთან აღმოჩნდეს დაკავშირებული. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ "A" მწარმოებელსა და მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედ საცალო მოვაჭრეებს შორის დადებული ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველ შეთანხმებას X პროდუქტის წარმოების დონეზე შესაბამისი ბაზრიდან განდევნის ეფექტები გააჩნია.

თუმცა პრაქტიკაში შესაძლოა ყველა საცალო მოვაჭრესთან ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის მიღწევა შეუძლებელი გახდეს. ამიტომ ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის მიზანშეწონილია N3 სქემაზე მოცემულ საბაზრო სტრუქტურის ფარგლებში განხილულ იქნეს დამატებითი ფაქტობრივი გარემოებებიც. კერძოდ, დავუშვათ, რომ "A" მიმწოდებელი, "X" პროდუქტის მიწოდების ბაზარზე ფლობს 30 პროცენტიან საბაზრო წილს, "B" და "C" ეკონომიკური აგენტები კი 35-35 პროცენტიან საბაზრო წილებს.

საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედი "E", "F", "G", "H" და "I" ეკონომიკური აგენტები ფლობენ 20-20 პროცენტიან საბაზრო წილებს.

ასეთ პირობებში, "A" მიმწოდებელი ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებაზე დაფუძნებულ სამ ვერტიკალურ კოორდინაციას ამყარებს "E", "F" და "G" საცალო მოვაჭრეებთან. "B" და "C" ეკონომიკურ აგენტებს კი ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაცია არც ერთ საცალო მოვაჭრესთან არ აქვს დამყარებული და აგრძელებენ ჩვეულებრივ კომერციულ ურთიერთობას "H" და "I" საცალო მოვაჭრეებთან.

ამ შემთხვევაში შესაფასებელია "A" ეკონომიკური აგენტის მონაწილეობით დადებული ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული სამი ვერტიკალური შეთანხმება. ამ კოორდინაციათა კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად

კვალიფიკაციის საწყის ეტაპზევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არცერთი მათგანი არ ექცევა კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისებში. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები შესაბამის ბაზარზე 15 პროცენტს აღემატება.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან იდენტური შინაარსის სამი სხვადასხვა შეთანხმება არის სახეზე, კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასების პროცესში უნდა ჩაერთოს კუმულატიური ეფექტის დოქტრინა.[678] აღნიშნულის შესაბამისად, თითოეული შეთანხმებიდან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შესაფასებლად აუცილებელია განისაზღვროს იდენტური შინაარსის შეთანხმებები და შეფასდეს მათი კუმულატიური ეფექტი ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული არ გულისხმობს მხოლოდ ერთი სუბიექტის მიერ დადებულ შეთანხმებებს (მაგ. ერთი მწარმოებლის მიერ რამდენიმე დისტრიბუტორთან ან საცალო მოვაჭრესთან დადებული შეთანხმებები). ამ შემთხვევაში იგულისხმება მიწოდების ჯაჭვის ერთსა და იმავე დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ ამავე ჯაჭვის ქვედა ან ზედა დონეზე მოქმედ სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტთან მიღწეულ ერთი და იგივე შინაარსის ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციასთან დაკავშირებულ დათქმებს ითვალისწინებს.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა “A” ეკონომიკური აგენტის მიერ დადებული სამი იდენტური შინაარსის ვერტიკალური შეთანხმება. შესაბამისად, კუმულატიური ეფექტის დოქტრინის მიხედვით, საწყის ეტაპზე უნდა შეფასდეს სამივე შეთანხმების ერთობლივი ეფექტი ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე. აღნიშნული ეფექტი კი მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს, რომ საცალო ვაჭრობის დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ “X” პროდუქტის შეძენის პოტენციალის 60 პროცენტი “A” ეკონომიკური აგენტის კონკურენტი “B” და “C” მწარმოებლებისთვის იხურება. მაშინ, როდესაც “B” და “C” ეკონომიკური აგენტების ერთობლივი საბაზრო წილი განსახილველ შეთანხმებათა დადებამდე შეადგენდა 70 პროცენტს, მათი პოტენციალი შემცირდა 40 პროცენტამდე.

[678] კუმულატიური ეფექტის დოქტრინასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. VIII.

შესაბამისად, “A”, ”B” და ”C” ეკონომიკურ აგენტებს შორის თავისუფალი კონკურენციის სივრცე რჩება ბაზრის მხოლოდ 40 პროცენტზე.

გარდა ამისა, მსგავსი საბაზრო მოცემულობა “D” პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტისთვისაც ქმნის შესაბამის ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვან ბარიერს, ვინაიდან ეს უკანასკნელიც იძულებული ხდება მხოლოდ კოორდინაციის მიღმა დარჩენილ 40 პროცენტიან თავისუფალ სივრცეზე გააკეთოს აქცენტი. აღნიშნული ბარიერი ამ შემთხვევაში გამოიხატება იმ ფაქტში, რომ X პროდუქტის წარმოებით დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტს წარმოების შესაბამის ბაზარზე სრულფასოვანი და თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად ესაჭიროება საკუთარი პროდუქტის გასაღების სრულფასოვანი და თანაბარი შესაძლებლობა. ასეთი თანაბარი შესაძლებლობა კი “A” ეკონომიკურ აგენტსა და საცალო მოვაჭრეებს შორის დადებული ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი ვერტიკალური შეთანხმების პირობებში ფაქტობრივად არ არსებობს.

აღნიშნული გადმოსახედიდან, მაღალია იმის ალბათობა, რომ განსახილველ ვერტიკალურ კოორდინაციათა კუმულატიური ეფექტი კონკურენციის შეზღუდვის მნიშვნელოვანი ინტენსივობით გამოირჩევა. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი ეკონომიკური თუ სამართლებრივი მოცემულობის გათვალისწინებით მაინც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მოცემულ შემთხვევაში კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისთვის რელევანტური ინტენსივობით კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები არ დადგინდეს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ასეთ დროს მხედველობაში ასევე უნდა იქნეს მიღებული კოორდინაციათა ხანგრძლივობა, სხვა ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობა ჩამოაყალიბონ ან განავითარონ ახალი სარეალიზაციო სისტემები და ა. შ.

ასეთ დროს თუ კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობა დადგინდება, კვალიფიკაციის შემდეგ ეტაპზე აუცილებელია შექმნილ კუმულატიურ ეფექტში თითოეული ვერტიკალური კოორდინაციის წილისა თუ კონტრიბუციის განსაზღვრა. სწორედ ამ უკანასკნელზე არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად

გავრცელდება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა ცალკეულ კოორდინაციაზე და რა ოდენობით მოხდება მისი სანქცირება.

3. „ინგლისური დათქმა“

ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო შემთხვევას აყალიბებს ე. წ. „ინგლისური დათქმის“ (*“Englische Klausel” / “English Clause”*) სახელით ცნობილ შეთანხმებაზე დაფუძნებული კოორდინაცია. ინგლისური დათქმის შემცველი შეთანხმებით შემძენი მიმწოდებლის წინაშე იღებს ვალდებულებას მას მიაწოდოს უფრო ხელსაყრელ პირობებთან დაკავშირებით სხვა მიმწოდებლისგან/მიმწოდებლებისგან მიღებული შეთავაზებები, რომლის საფუძველზეც არსებულ მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა შემძენს შესთავაზოს იგივე ან უკეთესი პირობები იმისათვის, რათა ამავე შემძენთან შეინარჩუნოს არსებული კომერციული ურთიერთობა.[679] შემძენს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება დათანხმდეს ახალ შეთავაზებას, თუ არსებული მიმწოდებელი უარს განაცხადებს ან ვერ მოახერხებს ახალი შეთავაზების ანალოგიური ან უკეთესი პირობებით მასთან კომერციული ურთიერთობის დამყარებასა თუ გაგრძელებას.[680]

ასეთი შინაარსის გათვალისწინებით ინგლისური დათქმა არ ქმნის მკაცრად ექსკლუზიურ ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური ურთიერთობის კლასიკურ შემთხვევას. იგი შესაძლოა მოაზრებულ იქნეს, როგორც ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების უფრო მსუბუქი ფორმა.[681] აღნიშნულის მიუხედავად, ინგლისური დათქმა მაინც აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მას შესაძლოა იგივე შედეგები უკავშირდებოდეს, რაც, როგორც წესი, ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის კლასიკური შემთხვევებისთვის არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის საფრთხის შემქმნელი ისეთი

---

[679] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101 AEUV, Rn. 461; *Schneider H.,* Langen/Bunte KartR Kom., Bd., 2, Europäisches KartR, 13. Aufl. 2018, Art. 101 AEUV, Rn. 583; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 168.

[680] *Eilmansberger T., Bien F.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 102, Rn. 598; G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 129.

[681] *Maritzen L.,* KölKom, Bd. 1, 2016, § 1 GWB, Rn. 343; *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art. 1, Rn. 28.

ეფექტი, როგორიცაა კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამის ბაზარზე თავისუფალი დაშვების შეზღუდვა. შემძენისათვის გარანტირებული არჩევანის გარკვეული შესაძლებლობის მიუხედავად, ინგლისურ დათქმაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციას მაინც არ შესწევს იმის უნარი, რომ სრულად გაანეიტრალოს ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის შექმნილი საფრთხეები.[682]

ინგლისურმა დათქმამ შესაძლოა მოკლევადიან პერსპექტივაში ფასებთან დაკავშირებული კონკურენციის განვითარებას შეუწყოს ხელი და იგი გარკვეული სარგებლის მომტანიც კი იყოს შემძენისათვის. აღნიშნულის საწინაღმდეგოდ, გრძელვადიან პერსპექტივაში ინგლისური დათქმის ეფექტები ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მნიშვნელოვანი საფრთხეების შემცველია იმდენად, რამდენადაც მან შესაძლოა შესაბამის ბაზარზე მესამე პირთა დაშვება და თავისუფალი ოპერირება გაართულოს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, სამომავლოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნის მიმწოდებლის საბაზრო პოზიციების ეტაპობრივი ზრდისთვის. ერთი მიმწოდებლის ხელში მომეტებული საბაზრო ძალაუფლების თავმოყრა და მისკენ მიმართული კონკურენტული წნეხის შემცირება კი საბოლოოდ მაინც ქმნის ფასების ზრდისა თუ სხვა საბაზრო პირობების გაუარესების რისკებს.

ინგლისური დათქმა მიმწოდებლის სასარგებლოდ ასევე ზრდის ბაზრის გამჭვირვალობას.[683] მსგავსი შინაარსის შეთანხმების შედეგად იგი მუდმივ რეჟიმში იღებს განახლებულ ინფორმაციას ზოგად საბაზრო მოცემულობასა და ისეთ სენსიტიურ მონაცემებთან დაკავშირებით, როგორიცაა კონკურენტების მიერ შესაბამის ბაზარზე შემძენებისთვის შეთავაზებული ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების პირობები, მათი ფასი და ა. შ. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით მიმწოდებელს უმარტივდება კონკურენტების ბაზრიდან განდევნისკენ მიმართული ეფექტიანი საბაზრო პოლიტიკის უფრო მარტივად დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობა.[684] თუ ინგლისური დათქმის არსებობა სხვა მიმწოდებლებისთვის გახდება ცნობილი, ისინი, როგორც წესი,

[682] *Eilmansberger T., Bien F.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 102, Rn. 598.
[683] *Schneider H.,* Langen/Bunte KartR Kom., Bd., 2, Europäisches KartR, 13. Aufl. 2018, Art. 101 AEUV, Rn. 583.
[684] ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, „*Hoffmann-La Roche*," § 107.

შესაბამის შემძენისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზებისაგან თავს შეიკავებენ, რათა კოორდინაციაში ჩართულმა მიმწოდებელმა მუდმივ რეჟიმში არ მიიღოს კონკურენტებისა და, ზოგადად, ბაზრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ასეთი პოლიტიკის განუხორციელებლობის შემთხვევაში კი შესაბამის ბაზარზე შექმნილი მსგავსი მასშტაბის გამჭვირვალობა ქმნის მიმწოდებლებს შორის კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის ჩამოყალიბების ხელსაყრელ პირობებს, რაც, ბუნებრივია, ასევე მნიშნელოვანი საფრთხეების შემქმნელია ეფექტიანი კონკურენციის თავისუფალი და ჯანსაღი პროცესისთვის.

4. ექსკლუზიური მიწოდება

4.1. შინაარსი

ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებზე დაფუძნებულ ურთიერთობათა სისტემაში ექსკლუზიური შეძენის საპირისპირო შემთხვევას ქმნის ექსკლუზიური მიწოდების (*"Alleinbelieferung"* / *"exclusive supply"*) სახელით ცნობილი ვერტიკალური კოორდინაცია.[685] ექსკლუზიური შეძენისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ექსკლუზივის ვალდებულება ეკისრება არა შემძენს, არამედ მიმწოდებელს. იგი გულისხმობს მიმწოდებლისთვის (მწარმოებელი, დისტრიბუტორი და ა. შ.) დაკისრებულ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას, შესაბამისი შეთანხმებით გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურება მიაწოდოს მხოლოდ ერთ შემძენს.[686]

ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებული ურთიერთობა ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეულ შეთანხმებაში სხვადასხვა შინაარსითა თუ ფორმით შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული. ისევე როგორც სხვა სახის კონკურენციის შემზღუდველი

[685] *Haag S., Karl M.,* Gloy/Loschelder/Danckwerts, Wettbewerbsrecht, 5. Aufl. 2019, Rn. 11; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht 3. Aufl., 2020, AEUV Art. 101, Rn. 463; Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 192; *Petsche A., Lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 169; *Rahlmeyer D.,* Martinek/Semler/Flohr, Hb des Vertriebsrechts, 4. Aufl., 2016, § 8, Rn. 17.

[686] *Dietze P., Janssen H.,* KartR in der Anwältlichen Praxis, 5. Aufl., 2015, Rn. 333; *Haag S., Karl M.,* Gloy/Loschelder/Danckwerts, Wettbewerbsrecht, 5. Aufl. 2019, Rn. 11; *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art. 1, Rn. 33; *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101 AEUV, Rn. 463; *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 181.

ექსკლუზიური ვერტიკალური შეთანხმებების შემთხვევაში, არც ექსკლუზიური მიწოდების დროს არ არის აუცილებელი რაიმე სახის სამართლებრივი ბოჭვის ვალდებულების არსებობა. კანონის მე-7 მუხლისთვის რელევანტური ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური ურთიერთობის არსებობისათვის საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მიმწოდებელი საკუთარი საქონლისა თუ მომსახურების რეალიზებისას პრაქტიკულად მხოლოდ ერთ შემძენზე კონცენტრირდება.[687]

ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების შემცველი ვერტიკალური კოორდინაციის დამყარებით დაინტერესებულ ძირითად სუბიექტს წარმოადგენს შემძენი, რომელიც ქვედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე ოპერირებს. მსგავსი შინაარსის კოორდინაციაში შემძენის მონაწილეობის ძირითადი მოტივაცია მისი კონკურენტებისათვის ნედლეულსა თუ ცალკეულ საქონელსა და მომსახურებაზე თავისუფალი წვდომის შესაძლებლობის მნიშვნელოვნად შემცირებაში მდგომარეობს. მისი კონკურენტებისთვის ბაზრის შეზღუდვის გზით შემძენი შესაბამის ბაზარზე მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობას და ხელოვნურად იუმჯობესებს საბაზრო პოზიციებს. აქედან გამომდინარე, ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მნიშვნელოვანი საფრთხეები ცალკეული პროდუქტისა თუ მომსახურების არა მიწოდების, არამედ შეძენის ბაზარზე იქმნება.[688]

4.2. კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტი

ექსკლუზიურ მიწოდებასთან დაკავშირებული ვერტიკალური კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების ანალიზი ფაქტობრივად იგივე პრინციპებისა თუ მეთოდების შესაბამისად ხდება, რაც განხილულ იქნა ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებასთან მიმართებით.[689] ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება უნდა

---

[687] *Rahlmeyer D.,* Bauer/Rahlmeyer/Schöner, Vertriebskartellrecht, 2020, § 20, Rn. 1; Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 192.

[688] *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 169.

[689] ექსკლუზიური შეძენის ეფექტებთან დაკ. დაწვ. იხ. თ. IX, ქვთ. 2.

გამახვილდეს ისეთ გარემოებებსა და ფაქტორებზე, როგორიცაა კოორდინაციის ხანგრძლივობა, მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები, სხვა ეკონომიკური აგენტებისთვის წარმოშობილი დამატებითი ხარჯები და ა. შ. გარდა ამისა, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას ექსკლუზიური მიწოდების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში განსაკუთრებული როლის მატარებელია კუმულატიური ეფექტის დოქტრინაც.[690]

როგორც წესი, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულება მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია შიდაბრენდული კონკურენციისათვის, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მიმწოდებელი შემდგომი რეალიზაციის მიზნით მხოლოდ ერთ შემძენს აწვდის ცალკეული ბრენდის პროდუქტსა თუ მომსახურებას. აღნიშნულის შედეგად ქვედა დონის შესაბამის ბაზარზე ამ კონკრეტული ბრენდის რეალიზატორი მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტი რჩება. ეს უკანასკნელი კი ამ ბრენდის საქონლისა თუ მომსახურების კუთხით ვერანაირ კონკურენტულ წნეხს ვერ განიცდის იმდენად, რამდენადაც შესაბამის ბაზარზე არ არსებობს იგივე ბრენდის პროდუქტის სხვა მიმწოდებელი.

შიდაბრენდული კონკურენციის შეზღუდვასთან ერთად, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია შესაძლოა ცალკეულ შემთხვევაში ბრენდებს შორის კონკურენციის ხელშემწყობ ფაქტორადაც მოგვევლინოს. ასეთ შემთხვევას ძირითადად მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ერთი შესაბამისი ბაზარი ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების სხვადასხვა ბრენდებს აერთიანებს. თუმცა ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის შეუძლებელია უნივერსალური მიდგომის ჩამოყალიბება იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს შიდაბრენდული კონკურენციის შეზღუდვით წარმოშობილი ნეგატიური ეფექტები ბრენდებს შორის არსებული კონკურენციის ხელშემწყობი ეფექტებით გამოთანაბრებულად მიჩნეული.

თუმცა ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის განსახილველი გამოხატულება ბრენდებს შორის კონკურენციის გაუმჯობესებისა თუ განვითარების

[690] კუმულატიური ეფექტის დოქტრინასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. VIII.

ბიძგის მიმცემად ყოველთვის როდი შეიძლება მოგვევლინოს. შესაბამისი ბაზრის სტრუქტურისა თუ ცალკეული ეკონომიკური მოცემულობის გათვალისწინებით, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციას ხშირ შემთხვევაში მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედი სხვა შემძენებისთვის არა მხოლოდ შიდაბრენდული კონკურენციის, არამედ მთლიანად შესაბამისი ბაზრის შემზღუდველი ეფექტებიც გააჩნია.[691] კერძოდ, კონკრეტულ სარეალიზაციო საქონელსა თუ მომსახურებაზე სრულფასოვანი და თანაბარი წვდომის გარეშე ექსკლუზიური მიწოდების შედეგად შესაბამის კოორდინაციაში მონაწილე შემძენის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ეკონომიკური საქმიანობის თავისუფალი განხორციელების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ეზღუდებათ. ამასთან, შესაბამისი საბაზრო სტრუქტურის პირობებში ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებულმა ვერტიკალურმა კოორდინაციამ შესაძლოა ამ კოორდინაციის მიღმა დარჩენილი ქვედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესაბამისი ბაზრიდან სრულად განდევნაც კი გამოიწვიოს.[692]

ექსკლუზიური მიწოდებით გამოწვეული ბაზრიდან გამომრიცხავი თუ კონკურენციის შემზღუდველი სხვა სახის ეფექტების ინტენსივობისა და მასშტაბების შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეულ პარამეტრებსა და ინდიკატორებზე დაყრდნობით ხდება. ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებული კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვედა დონეზე მოქმედი სუბიექტის (შემძენის) ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შეძენისა და გასაღების მიმართულებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ასეთ დროს შემძენის ეკონომიკური საქმიანობა ერთ შემთხვევაში გულისხმობს მიმწოდებლისაგან ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების შეძენას მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. აღნიშნულისაგან განსხვავებით, მიმწოდებლისაგან შეძენილი ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების შემდგომი

[691] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 194.

[692] *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 170; *Ellger R.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 1. Kom. Zum europäischen KartR, 6. Aufl., 2020, 101 AEUV. Rn. 551.

რეალიზაცია ქმნის დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას. ამ გადმოსახედიდან ერთმანეთისაგან განასხვავებენ შეძენისა (*"vorgelagerter Beschaffungsmarkt" / "upstream purchase market"*) და რეალიზაციის (*"nachgelagerter Vertriebsmarkt" / "downstream supply market"*) ბაზრებს, სადაც შემძენი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.[693] ევროკომისიის განმარტებით, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს შემძენის საბაზრო წილები, რომელსაც იგი შესაბამისი საქონლის ან მომსახურების შეძენის ბაზარზე ფლობს, თუმცა თუ შემძენს შეძენილი საქონლის და/ან მომსახურების შემდგომი რეალიზაციის ბაზარზე არ გააჩნია მომეტებული საბაზრო ძალაუფლება, მაშინ მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხეები ნაკლებად არსებობს.[694]

ისევე როგორც ვერტიკალური კოორდინაციის სხვა შემთხვევებში, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებასთან მიმართებითაც ევროკომისია საბაზრო წილის კრიტიკულ ოდენობად მიიჩნევს 30 პროცენტიან ზღვარს.[695] აღნიშნულის შესაბამისად, ევროკომისია თვლის, რომ იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციის მიმართულებით არსებულ ბაზარზე (*"nachgelagerter Vertriebsmarkt" / "downstream supply market"*) ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციის მონაწილე შემძენის საბაზრო წილი აღემატება 30 პროცენტს, მაშინ მაღალია იმის ალბათობა, რომ ასეთ კოორდინაციას ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე მნიშნელოვანი ნეგატიური ეფექტები გააჩნია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეძენის ბაზარზე შემძენის საბაზრო წილი ნაკლებია 30 პროცენტზე, მაგრამ სარეალიზაციო ბაზარზე მისი წილი აღემატება 30 პროცენტს, მაშინ მაინც არსებობს კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობის გარკვეული ალბათობა. ხოლო შემძენის მხრიდან დომინანტური საბაზრო ძალაუფლების ფლობის შემთხვევაში ნებისმიერი ვალდებულება, რომელსაც

---

[693] *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 172.

[694] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 194.

[695] *Wolf M.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, Europäisches Wettbewerbsrecht3. Aufl. 2020, Art. 101 AEUV, Rn. 463; *Rahlmeyer D.,* Martinek/Semler/Flohr, Hb des Vertriebsrechts, 4. Aufl., 2016, § 41, Rn. 17; Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 194.

იღებს მიმწოდებელი იმასთან დაკავშირებით, რომ ცალკეული საქონელი თუ მომსახურება ექსკლუზიურად მიაწოდოს მხოლოდ ამ შემძენს, ალბათობის მაღალი ხარისხით კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტებით გამოირჩევა.

საკუთრივ კოორდინაციაში ჩართული შემძენის საბაზრო წილთან ერთად, ექსკლუზიურ მიწოდებასთან დაკავშირებული ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში მნიშვნელოვან პარამეტრად ასევე მიიჩნევა მისი კონკურენტი ეკონომიკური აგენტის/აგენტების საბაზრო პოზიციები.[696] აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათზე ახდენს ნეგატიურ გავლენას და შეიცავს მათი ბაზრიდან განდევნის საფრთხეებს. ევროკომისიის განმარტებით, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების შესაბამისი ბაზრიდან განდევნის მაღალი ალბათობა არსებობს იმ შემთხვევაში თუ მათი საბაზრო წილები ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ ურთიერთობაში ჩართულ შემძენთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. მეტი ან თანაბარი საბაზრო პოზიციები კი ასეთ დროს მათ აძლევს შესაძლებლობას სხვა მიმწოდებლებს შესთავაზონ მათი საქონლისა თუ მომსახურების ადეკვატური და კონკურენტული სარეალიზაციო პირობები. აღნიშნულის შედეგად, ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია ამ კოორდინაციაში ჩართული შემძენის კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის, როგორც წესი, ნაკლებად საზიანოა.

შესაძლოა პრაქტიკაში მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც შესაბამის ბაზარზე ერთმანეთის პარალელურად სხვადასხვა მიმწოდებლებსა და შემძენებს შორის იდება ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური შეთანხმება. ასეთ შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასება კუმულატიური ეფექტის დოქტრინის გამოყენებით უნდა მოხდეს.[697]

აღსანიშნავია, რომ ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში ერთმანეთის პარალელურად არსებული ექსკლუზიური მიწოდების

---

[696] *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 171.

[697] კუმულატიური ეფექტის დოქტრინასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. VIII.

ვალდებულებაზე დაფუძნებული იდენტური შინაარსის სხვადასხვა ვერტიკალურ შეთანხმებათა კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები განსაკუთრებულ ნეგატიურ გავლენას პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე ახდენს. ამ შემთხვევაში იგულისხმება მოთხოვნისა და მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე არსებული შესაბამის ბაზარზე შესვლით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები. ასეთ სუბიექტებს დასახელებულ შესაბამის ბაზარზე შესასვლელად და ამ ბაზარზე თანასწორ პირობებში სრულფასოვანი ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად ესაჭიროებათ მიწოდების წყაროებზე თავისუფალი დაშვება. ერთმანეთის პარალელურად არსებული ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების შემცველ ვერტიკალურ კოორდინაციათა არსებობა კი მათ აღნიშნულის შესაძლებლობას უზღუდავს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ასეთ პირობებში პოტენციურ მიმწოდებლებს ქვედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტების წინაშე ნაკისრი აქვთ ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულება, რაც გამორიცხავს მათ შესაძლებლობას სხვა შემძენებთან დაამყარონ ანალოგიური კომერციული ურთიერთობა. შესაბამისად ყველა მიმწოდებლის ან მიმწოდებელთა უმრავლესობის მიერ დადებულ ვერტიკალურ კოორდინაციათა კუმულატიური ეფექტები ასეთ დროს პოტენციური ეკონომიკური აგენტებისთვის ქვედა დონეზე შესვლის ფაქტობრივად გადაულახავ ბარიერებს ქმნის. აღნიშნული კი კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტებისა და კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალულ კოორდინაციათა არსებობის მნიშვნელოვან საფუძვლებს აყალიბებს.

ექსკლუზიური მიწოდების კანონის მე-7 მუხლთან მიმართებით შეფასების პროცესში რელევანტურ პარამეტრად ასევე უნდა იქნეს მიჩნეული მიმწოდებლის დამაბალანსებელი საბაზრო ძალაუფლება.[698] აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ, როგორც წესი, ძლიერი საბაზრო პოზიციების მქონე მიმწოდებლები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ცალკეული შემძენის წინაშე იკისრონ ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულება.[699] შესაბამისი ეკონომიკური ძალაუფლების პირობებში მიმწოდებლის

[698] *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 173; *Rahlmeyer D.,* Martinek/Semler/Flohr, Hb des Vertriebsrechts, 4. Aufl., 2016, § 41, Rn. 23.
[699] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 198.

ინტერესებთან, როგორც წესი, ნაკლებად თავსებადია საკუთარი საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაციის ფართო შესაძლებლობების მხოლოდ ერთ შემძენთან დაკავშირება და ამ ფორმით მისი სარეალიზაციო სივრცის დავიწროება. თუმცა მაშინ, როდესაც მიწოდების ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელი მიმწოდებელი ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციას ამყარებს ერთ კონკრეტულ შემძენთან, შესაბამისი ბაზრის შემზღუდველმა ეფექტებმა შეიძლება მნიშვნელოვანი მასშტაბები შეიძინოს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მიწოდების ბაზარზე მიმწოდებლის კუთვნილი საბაზრო წილების პროპორციულად მცირდება შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების შეძენის წყაროებზე ქვედა დონეზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისა თუ პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების წვდომა.

ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასების პროცესში შემძენისა თუ სხვა ეკონომიკური აგენტების საბაზრო პოზიციებთან ერთად განსაკუთრებული როლი ასევე აკისრია შესაბამისი კოორდინაციის ხანგრძლივობას.[700] რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება ექსკლუზიური მიწოდება მით უფრო დიდია კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობის ალბათობა. ევროკომისიის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში ურთიერთობა, რომელიც ხუთ წელზე ნაკლები ვადით გრძელდება, როგორც წესი საჭიროებს კონკურენციის შემზღუდველ და კონკურენციის ხელშემწყობ ეფექტებს შორის ბალანსის არსებობას, რათა მასზე არ გავრცელდეს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვა.[701] ხუთ წელზე მეტი ხანგრძლივობის შემთხვევაში კი ნაკლებია იმის ალბათობა, რომ შესაბამისი კოორდინაციიდან მომდინარე პოზიტიურმა ეფექტებმა გადაწონოს კონკურენციის შემზღუდველი ნეგატიური ეფექტები.[702]

---

[700] *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 171; *Rahlmeyer D.,* Martinek/Semler/Flohr, Hb des Vertriebsrechts, 4. Aufl., 2016, § 41, Rn. 38.

[701] *Rahlmeyer D.,* Martinek/Semler/Flohr, Hb des Vertriebsrechts, 4. Aufl., 2016, § 41, Rn. 40; Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 195.

[702] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 195.

4.3. ექსკლუზიური მიწოდების ადგილი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების სისტემაში

ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალურ კოორდინაციაზე თანაბრად ვრცელდება კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული საბაზრო წილისა და ეფექტიანობის ტესტები. N526 დადგენილება, მართალია არ საუბრობს ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ ურთიერთობაზე, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ შემთხვევაში გამოიყენება დისტრიბუტორებს შორის შეთანხმებების მიმართ გათვალისწინებული ნორმები.[703] ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გამონაკლისების დადგენილების ფარგლებში ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების ანალიზის ფარგლებში უნდა შეფასდეს არის ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი კოორდინაციის აღნიშნულ ფორმაზე *non-compete obligation*-თან მიმართებით ამავე დადგენილების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის გავრცელება.[704]

აღსანიშნავია, რომ გამონაკლისების დადგენილება ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების შემცველ ვერტიკალურ კოორდინაციებზე აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დასახელებულ ნორმაში არ არის დაკონკრეტებული ვერტიკალური ურთიერთობის კონკრეტული სახე. გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ამ კუთხით მნიშვნელოვნად განსხვავდება N2010/330 რეგულაციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „d” ქვეპუნქტში განვითარებული მიდგომისაგან, რომელიც პირდაპირ საუბრობს მხოლოდ შემძენის ვალდებულებაზე. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ევროპულ რეალობაში non-compete obligation-ის სარკისებური გამოყენება სხვა სახის ექსკლუზიურ ურთიერთობებზე არ ხდება.[705] აქედან გამომდინარე, ქართულ რეალობაში *non-compete obligation*-თან მიმართებით არსებული სპეციალური წესის ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციაზე გავრცელების თეორიული შესაძლებლობა მაინც არსებობს. მიუხედავად ამისა, გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველი

[703] დისტრიბუტორებს შორის შეთანხმებასთან დაკ. დაწვ. იხ. თ. VII, ქვთ. 3.1.
[704] non-compete obligation-თან დაკ. დაწვ. იხ. თ. IX, ქვთ. 2.4.
[705] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art. 1, Rn. 45.

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში არსებული შინაარსობრივი ბუნდოვანებებისა და ტერმინოლოგიური ხარვეზების გათვალისწინებით, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციის მიმართ მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა მაინც სათუოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

5. ორმხრივი ექსკლუზივი

ზემოთ განხილულ შემთხვევებში ძირითადი აქცენტი კეთდება ვერტიკალური ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის ვალდებულებაზე, რომელიც გარკვეული ექსკლუზიური საბაზრო ქმედებების განხორციელებას უკავშირდება. თუმცა კომერციულ ურთიერთობებში ხშირად აქვს ისეთ შემთხვევას ადგილი, როდესაც ცალკეული პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული ვერტიკალური ურთიერთობის ფარგლებში ორივე მხარე იღებს ექსკლუზივის ვალდებულებას. ასეთი შინაარსისა თუ ხასიათის გათვალისწინებით მსგავსი ვერტიკალური ურთიერთობა ორმხრივი ექსკლუზივის სახელით არის ცნობილი (*“Beiderseitige Exklusivität”*).[706] ორმხრივი ექსკლუზივის შემთხვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ვერტიკალურ ურთიერთობაში ერთდროულად გვხდება როგორც ექსკლუზიური მიწოდების, ასევე ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების ელემენტები. მათგან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების ანალიზი კი ხდება იმ პრინციპებისა თუ მიდგომების გამოყენებით, რომლებიც წინა ქვეთავებში იქნა განხილული.

6. ექსკლუზიური დისტრიბუცია

6.1. შინაარსი

ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების ერთ-ერთ საინტერესო და ფართოდ გავრცელებულ გამოვლინებას წარმოადგენს ექსკლუზიური დისტრიბუციის სახელით ცნობილი შემთხვევა. ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებული აღნიშნული ვერტიკალური კოორდინაციის ძირითადი სპეციფიკა ვლინდება იმ ფაქტში, რომ ასეთი ურთიერთობის ფარგლებში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ცალკეული

[706] *Haag S., Karl M.,* Gloy/Loschelder/Danckwerts, Wettbewerbsrecht, 5. Aufl. 2019, Rn. 14.

პროდუქტი ან მომსახურება გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეში მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით ექსკლუზიურად მიაწოდოს ერთ კონკრეტულ შემძენს (ქვედა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტს - დისტრიბუტორს, საცალო მოვაჭრეს და ა. შ.).[707]

ექსკლუზიური დისტრიბუციის ერთ-ერთ მაგალითად შესაძლოა განხილულ იქნეს შემთხვევა, როდესაც ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების მიმწოდებელი საქართველოს თითოეულ რეგიონში კომერციულ ურთიერთობას ამყარებს მხოლოდ ერთ შემძენთან და მის წინაშე იღებს ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებას და შესაბამისი სასაქონლო ან მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები მთელს საქართველოს მოიცავს. ასეთი შინაარსის ვერტიკალური შეთანხმებების შედეგად მიმწოდებელი ქმნის შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების სარეალიზაციო სისტემას, რომლის ფარგლებშიც მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს გეოგრაფიულად უნაწილებს სარეალიზაციო სივრცეს. შედეგად, შესაბამისი საქონლის ან მომსახურების სარეალიზაციო სისტემაში ჩართული ქვედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები ერთმანეთისგან გარკვეულწილად დაცულები არიან კონკურენტული წნეხისაგან. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საქმე ეხება გარკვეულ სადისტრიბუციო სისტემას, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტები წინასწარ დადგენილ გეოგრაფიულ სივრცეში ოპერირებენ და რომელიც ამ სივრცეში მათ იცავს ამავე სისტემაში ჩართულ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან კონკურენციისაგან.

ამ შინაარსის გათვალისწინებით იგი მნიშვნელოვან მსგავსებებს ავლენს ექსკლუზიურ მიწოდებაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციასთან. მიუხედავად ამისა, ექსკლუზიური ურთიერთობის ამ ორი შემთხვევის ძირითადი შინაარსობრივი ასპექტები, შემძენისთვის სანაცვლოდ დაკისრებული ვალდებულებები და ეკონომიკური თუ სამართლებრივი მახასიათებლები მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და ცალ-ცალკე შემადგენლობად განხილვის აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში.

---

[707] *Schroter H.*, The Application of Art. 85, of the EEC Treaty to Exclusive Distribution Agreements, FORDHAM INT. L. J. 1, 1984, 10; *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 159; *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 181; *Seelinger D.,* Wiedemann, Handbuch des KartR, 4. Aufl., 2020, § 11, Rn. 175; *Rahlmeyer D.,* Martinek/Semler/Flohr, Hb des Vertriebsrechts, 4. Aufl., 2016, § 41, Rn. 17.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულების შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ცალკეული პროდუქტი ან მომსახურება მთლიან შესაბამის ბაზარზე მიაწოდოს მხოლოდ ერთ შემძენს. აღნიშნულისაგან განსხვავებით, ექსკლუზიური დისტრიბუციის შემთხვევაში მიმწოდებელი ახდენს ქვედა დონეზე არსებული შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ დანაწევრებას და თითოეულ გეოგრაფიულ სივრცეში ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებას აწვდის მხოლოდ ერთ დისტრიბუტორს.[708]

ასეთ დროს მიმწოდებელი, როგორც წესი, ასევე იღებს ვალდებულებას შეთანხმებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში შემდგომი რეალიზაციის მიზნით არ დაუშვას სხვა შემძენებისთვის იმავე პროდუქტის მიწოდება და არც თვითონ მოახდინოს ამ გეოგრაფიულ თუ სამომხმარებლო სივრცეში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ან მისი ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების რეალიზება.[709] აქედან გამომდინარე, შემძენი შესაბამისი შეთანხმებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ თუ სამომხმარებლო სივრცეში მოიპოვებს ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ექსკლუზიური დისტრიბუციის/რეალიზების უფლებას და ამ გზით კონკრეტული ბრენდის საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაციის პროცესში ამცირებს ან სრულად აღმოფხვრის მისი კონკურენტების მხრიდან მომდინარე კონკურენტულ წნეხს. მსგავსი შინაარსის გათვალისწინებით იურიდიულ ლიტერატურაში ქმედების აღნიშნულ შემადგენლობას ექსკლუზიური დისტრიბუციის სახელითაც მოიხსენიებენ (*"exclusive distribution"/"Alleinvertrieb"*).[710] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ტერმინ „დისტრიბუციის" გამოყენების მიუხედავად, ექსკლუზიურ ტერიტორიულ პროტექციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია ცალკეულმა მიმწოდებელმა შეიძლება დადოს, როგორც საბითუმო რეალიზატორთან (კლასიკური დისტრიბუტორი) ასევე საცალო მოვაჭრესთანაც.

[708] *შეად.* Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 194.

[709] *Füller T. J.,* KölKom, Bd. 3, 2016, § 101 AEUV, Rn. 266; *Haag S., Karl M.,* Gloy/Loschelder/Danckwerts, Wettbewerbsrecht, 5. Aufl. 2019, Rn. 13.

[710] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art. 1, Rn. 29.

6.2. კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული რისკები

თანამედროვე კომერციულ ურთიერთობებში მწარმოებლის კომერციული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ეფექტიანი და გამართული სადისტრიბუციო სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში სწორედ დისტრიბუტორების სწორად შერჩევაზე არის დამოკიდებული წარმოებული პროდუქციის იმ ფორმითა და მასშტაბებით რეალიზაცია, რომელიც მწარმოებლის მოგების მაქსიმიზაციას უზრუნველყოფს. ექსკლუზიურ დისტრიბუციასთან დაკავშირებული ვერტიკალური კოორდინაციაც, როგორც წესი, სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება. თუმცა აღნიშნულ სიკეთეებთან ერთად, ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია გარკვეულ შემთხვევებში ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის მნიშვნელოვანი საფრთხეების შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს.

ექსკლუზიური დისტრიბუციიდან მომდინარე ძირითადი საფრთხე, რომელიც შესაბამის ბაზარზე არსებულ ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს შეიძლება შეექმნას, შიდაბრენდული კონკურენციის შემცირებასა და ბაზრის განაწილების გზით კონკურენციის ბუნებრივი პროცესის შეზღუდვაში მდგომარეობს.[711] უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას ისეთი მოცემულობა, როდესაც დისტრიბუციის დონეზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტები სრულად განიდევნებიან შესაბამისი ბაზრიდან და შედეგად შესაბამის ბაზარზე კონკურენცია სრულად აღმოიფხვრება.[712]

ექსკლუზიური დისტრიბუციის შემთხვევაში შიდაბრენდული კონკურენციის შეზღუდვას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ცალკეული შემძენისთვის განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში კონკრეტული ბრენდის საქონლისა თუ მომსახურების რეალიზების შესაძლებლობას მოიპოვებს მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტი. ამ ტერიტორიაზე მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტებს კი ეზღუდებათ ამ ბრენდის

[711] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 151; *Petsche A., Lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 159.

[712] *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 159.

პროდუქტის მიმწოდებლისაგან შეძენისა და შემდგომში მისი ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე რეალიზაციის შესაძლებლობა.

ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციიდან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების ინტენსივობა და მასშტაბები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ მიწოდების ჯაჭვის რომელ დონეზე (საბითუმოზე თუ საცალო) მოქმედ ეკონომიკურ აგენტთან ამყარებს ცალკეული მიმწოდებელი აღნიშნული შინაარსის ვერტიკალურ კოორდინაციას. როგორც წესი, საცალო მოვაჭრის მონაწილეობით ჩამოყალიბებული მსგავსი შინაარსის ვერტიკალური კოორდინაცია შიდაბრენდული კონკურენციის შეზღუდვის კუთხით უფრო მეტი ინტენსივობით გამოირჩევა. აღნიშნულის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორად მიჩნეულ უნდა იქნეს საბოლოო მომხმარებლების დაბალი მობილურობა, რომლის გამოც ისინი, როგორც წესი, იძულებულნი არიან დაკმაყოფილდნენ იმ შეთავაზებით, რომელიც მათ გეოგრაფიულად მათთვის ხელსაყრელ ადგილას გააჩნიათ. შესაბამისად, მაშინ, როდესაც კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ცალკეული ბრენდის პროდუქტის მხოლოდ ერთი საცალო რეალიზატორი არსებობს, ამ ბრენდის პროდუქტით დაინტერესებული საბოლოო მომხმარებელი იძულებულია მის შესაძენად მიმართოს მხოლოდ ამ ერთადერთ საცალო რეალიზატორს. ეს უკანასკნელი კი ექსკლუზიური დისტრიბუციის წყალობით ამ კონკრეტული ბრენდის პროდუქტის რეალიზაციის პროცესში სხვა რეალიზატორებისაგან არანაირ კონკურენტულ წნეხს არ განიცდის. შესაბამისად, ამ ბრენდის პროდუქტის რეალიზაციის პირობების დაწესების კუთხით იგი თავისუფლების მაღალი ხარისხით სარგებლობს. აღნიშნული კი მომხმარებლებისთვის ზიანის მომტანი სარეალიზაციო პოლიტიკის გატარების უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა.

შიდაბრენდული კონკურენციის შემზღუდველი ეფექტებით ასევე გამოირჩევა საბითუმო დონეზე მოქმედი შემძენის მონაწილეობით დამყარებული ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია. თუმცა საცალო მოვაჭრის მონაწილეობით ჩამოყალიბებული ანალოგიური შინაარსის შეთანხმებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ლოჯისტიკის გაუმჯობესებისა თუ გაყიდვების

ხელშეწყობის შედეგად წარმოშობილი მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტების საფუძველზე შიდაბრენდული კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების გამოთანაბრების უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს.

ექსკლუზიურ დისტრიბუციასთან დაკავშირებულ ვერტიკალურ კოორდინაციას პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმითა თუ შინაარსით შეიძლება ჰქონდეს ადგილი. აღნიშნული ვარიაციების ერთმანეთისაგან განმასხვავებელ ძირითად კრიტერიუმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს შემძენისთვის დაკისრებული ვალდებულების შინაარსი. ამ კუთხით ერთმანეთისაგან განასხვავებენ აქტიური (*"aktive Verkäufe" / "active selling"*) და პასიური (*"passiver Verkäufe" / "passive selling"*) გაყიდვების აკრძალვის სახელით ცნობილ დათქმებს.

აქტიური გაყიდვის აკრძალვა გულისხმობს შემძენის ვალდებულებას შესაბამისი საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია არ მოახდინოს მისთვის განკუთვნილი გეოგრაფიული სივრცის მიღმა არსებულ მომხმარებლებზე პროდუქტის რეკლამირებისა თუ მომხმარებლებისთვის მისი პირდაპირი შეთავაზების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გზით.[713] აქტიური გაყიდვების აკრძალვის შემთხვევაში შემძენს მაინც რჩება შესაძლებლობა მისთვის განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცის მიღმა მოახდინოს შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაცია იმ პირობით, რომ იგი ამ სივრცეში არ გამოიყენებს რეკლამასა თუ მომხმარებლებისთვის პროდუქტის პირდაპირი შეთავაზების სხვა ფორმებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეალიზაცია ხდება პასიური გაყიდვების საშუალებით. ეს უკანასკნელი გულისხმობს შემძენისთვის განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცის მიღმა შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაციის ისეთი ფორმებისა თუ საშუალებების გამოყენებას, როგორიცაა მომხმარებლის მიერ მიღებული შეკვეთებისა თუ მოთხოვნის საფუძველზე პროდუქტის გაყიდვა ისე, რომ იგი არ ეწევა შესაბამისი პროდუქტის რეკლამირებას და არ იყენებს მომხმარებლისთვის საქონლისა თუ მომსახურების პირდაპირი შეთავაზების სხვადასხვა მექანიზმებს.[714]

[713] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 165.
[714] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 165.

აქედან გამომდინარე, პასიური გაყიდვების აკრძალვა უფრო მეტად ავიწროებს შემძენის მოქმედების თავისუფლების ფარგლებს.

ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფისათვის შემძენს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს სრულფასოვანი შესაძლებლობა ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში ნებისმიერ მომხმარებელზე თავისუფლად გასწიოს შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაცია.[715] დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლების სანაცვლოდ შემძენისთვის დაკისრებული აქტიური და პასიური გაყიდვების უფლების აკრძალვა კი მნიშვნელოვნად ზღუდავს ამ უკანასკნელის კომერციული დამოუკიდებლობის ფარგლებს. სწორედ აქ წარმოიქმნება ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული საფრთხეები. ამ საფრთხეების ინტენსივობა და მასშტაბები კი განსაზღვრავს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ექსკლუზიურ დისტრიბუციასთან დაკავშირებული ვერტიკალური კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისა და მასზე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის გავრცელების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, შესაბამის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის პროცესისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემქმნელი შეიძლება აღმოჩნდეს შემთხვევა, როდესაც ცალკეული შემძენი (დისტრიბუტორი, საცალო რეალიზატორი და ა. შ.) ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების რამდენიმე მიმწოდებლისაგან იღებს ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლებას. ასეთ დროს შემძენი მისთვის განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში სხვადასხვა ბრენდის საქონლისა თუ მომსახურების რეალიზების ექსკლუზიურ უფლებას მოიპოვებს. ასეთი ფაქტობრივი მოცემულობა შიდაბრენდულ კონკურენციასთან ერთად ასევე მოწოდებულია მნიშვნელოვნად შეზღუდოს შესაბამის ბრენდებს შორის არსებული კონკურენცია. ამასთან, რაც უფრო მაღალია შესაბამის ბაზარზე აღნიშნული ბრენდების კუმულატიური საბაზრო წილი მით უფრო მაღალია ბრენდებს შორის არსებული კონკურენციის შეზღუდვის ალბათობა. კერძოდ, ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტზე დაყრდნობით შესაძლოა განხილულ იქნეს შემთხვევა, როდესაც კონკრეტული საცალო

[715] *Seelinger D.,* Wiedemann, Handbuch des KartR, 4. Aufl., 2020, § 11, Rn. 169.

მოვაჭრე გარკვეულ ტერიტორიაზე ახორციელებს ორი სხვადასხვა ბრენდის ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის რეალიზაციას. ამ მოცემულობაში შესაძლოა ერთ-ერთი ბრენდის საქონლის მიმწოდებელმა შეამციროს მისი საბითუმო მიწოდების ფასი, თუმცა საცალო მოვაჭრემ უცვლელად დატოვოს მისი საბოლოო მომხმარებლებზე რეალიზაციის ფასი. ასეთ დროს საცალო მოვაჭრეს არანაირი მოტივაცია არ აქვს, რომ საბითუმო მიწოდების ფასის შემცირება პროპორციულად ასახოს საცალო რეალიზაციის ფასზე იმდენად, რამდენადაც სწორედ იგი არის ამ საქონლის ურთიერთჩანაცვლებადი სხვა ბრენდის საქონლის ექსკლუზიური დისტრიბუტორი. იგივე ფასის შენარჩუნების პირობებში მას არ ემუქრება მომხმარებლების დაკარგვის საფრთხე, ვინაიდან იგი სხვა სუბიექტებისაგან საკმარისი ხარისხის კონკურენტულ წნეხს არ განიცდის. შესაბამისად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებების კუმულატიური ეფექტები ასეთ დროს ნეგატიურ გავლენას ახდენს კონკურენციის პროცესზე.

6.3. კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტები

i. ზოგადი მიმოხილვა

ექსკლუზიური დისტრიბუციიდან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასებისას პრაქტიკულად იგივე მიდგომები გამოიყენება, რაც სხვა სახის ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციასთან მიმართებით იქნა განხილული. ამ შემთხვევაშიც, შეფასების ერთ-ერთ ძირითად პარამეტრს წარმოადგენს მიმწოდებელი ეკონომიკური აგენტისა და მისი კონკურენტის საბაზრო პოზიციები. რაც უფრო მაღალია მიმწოდებლის საბაზრო ძალაუფლება შესაბამის ბაზარზე მით უფრო დიდია შიდა ბრენდული კონკურენციის შეზღუდვის საფრთხე. ევროკომისიის განმარტებით, მიმწოდებლის მხრიდან 30 პროცენტიანი საბაზრო წილის გადაჭარბების შემთხვევაში იქმნება შიდა ბრენდული კონკურენციის შეზღუდვის მნიშვნელოვანი რისკები.[716] აქედან გამომდინარე, ასეთ დროს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილებისა თუ ცალკეული ვერტიკალური

[716] Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 153.

კოორდინაციიდან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი ზეგავლენის დასაბალანსებლად აუცილებელია შესაბამისი პოზიტიური ეფექტების მნიშვნელოვანი ინტენსივობით არსებობა.

გარდა ამისა, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლების საფუძვლად არსებული სახელშეკრულებო დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ხელშეკრულების საგნად არსებული საქონლის ან მომსახურების ბუნება, მოცულობა, ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლების მიმნიჭებელი და ამ უფლების მიმღები ეკონომიკური აგენტების საბაზრო ძალაუფლება და ექსკლუზიური დისტრიბუციის დათქმით გათვალისწინებულ გეოგრაფიულ სივრცეში სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ პარალელური იმპორტისა თუ რეექსპორტის შესაძლებლობები. სასამართლო აგრძელებს მსჯელობას და იქვე დასძენს, რომ ამ პროცესში ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტული ექსკლუზიური დათქმის როგორც ინდივიდუალური ანალიზი, ასევე მისი შეფასება ამ დათქმასთან შემხებლობაში მყოფ შესაბამის ბაზრებზე არსებულ ანალოგიურ გარიგებებთან ერთობლიობაში.[717]

აღნიშნული ზოგადი მიდგომების პარალელურად, ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების შეფასება ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია ამ კოორდინაციის ფარგლებში შემძენისათვის დაკისრებული შემხვედრი ვალდებულების შინაარსზე. აღნიშნულის გათვალისწინებით იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ექსკლუზიური დისტრიბუციის სხვადასხვა ვარიაციებს. სწორედ ამ ვარიაციების ინდივიდუალური ანალიზი იძლევა განსახილველ კოორდინაციასთან დაკავშირებული კონკურენციის შემზღუდველი სპეციფიკური ეფექტების უკეთ იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

[717] ECLI:EU:C:1966:38, *"Maschinenbau Ulm,"* Case 56-65, 30.06.1966.

ii. აქტიური გაყიდვების აკრძალვა

ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციის ერთ-ერთ სპეციალურ შემადგენლობას ქმნის შემთხვევა, როდესაც კოორდინაციაში მონაწილე შემძენს მისთვის ექსკლუზიურად განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცის მიღმა ეკრძალება შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების აქტიური გაყიდვების განხორციელება. ევროკომისიის განმარტებით „აქტიური“ გაყიდვების ქვეშ მოიაზრება საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაცია მომხმარებლებთან პირდაპირი აქტიური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.[718] ასეთ დროს გამყიდველი მომხმარებელს სარეალიზაციო პროდუქტს სთავაზობს ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გზით. გარდა ამისა, აქტიური გაყიდვის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად ასევე მოიაზრება მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფების მისამართით განხორციელებული სხვადასხვა სახისა და შინაარსის სარეკლამო კამპანიის განხორციელება.[719] ექსკლუზიური დისტრიბუციის შემთხვევაში ერთ-ერთი შემძენის მხრიდან აქტიური გაყიდვების საკითხი დღის წესრიგში დგება მაშინ, როდესაც ცალკეული შემძენი ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებით მისთვის სპეციალურად განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცის მიღმა არსებულ მომხმარებელთა ჯგუფს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებას აქტიური რეკლამირებისა თუ მომხმარებლებისთვის პირდაპირი შეთავაზების სხვა მექანიზმების გამოყენებით სთავაზობს.[720]

ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლებაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციის ფარგლებში აქტიური გაყიდვების აკრძალვა გულისხმობს ცალკეული შემძენის ვალდებულებას, ამ შეთანხმებით მისთვის განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცის მიღმა არ განახორციელოს შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების აქტიური გაყიდვები. ასეთი დათქმების შემთხვევაში ექსკლუზიურ სადისტრიბუციო სისტემაში კონკრეტულ მიმწოდებელთან ჩართული შემძენები შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების სარეალიზაციო ქვედა დონის ბაზარზე მოიპოვებენ გარკვეული ხარისხის

[718] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 51.
[719] *Seelinger D.,* Wiedemann, Handbuch des KartR, 4. Aufl., 2020, § 11, Rn. 182.
[720] *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 165.

ტერიტორიულ პროტექციას, რის შედეგადაც ისინი მათთვის განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში სხვა შემძენების მხრიდან აქტიური გაყიდვების განხორციელებისაგან არიან დაცულები.

აქტიური გაყიდვების აკრძალვის შემთხვევაში შემძენებს შორის სარეალიზაციო ბაზარზე კონკურენცია სრულად არ აღმოიფხვრება, ვინაიდან მათ ერთმანეთის ტერიტორიაზე პასიური გაყიდვების განხორციელების შესაძლებლობა მაინც რჩებათ. შესაბამისად, აქტიური გაყიდვების აკრძალვა ცალკეულ შემძენს შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების სარეალიზაციო ბაზარზე სხვა შემძენებისაგან მომავალი კონკურენტული წნეხისაგან სრულად არ იცავს. გარკვეული ხარისხის კონკურენტული დამოკიდებულების არსებობისა თუ შენარჩუნების გამო N330/2010 რეგულაცია ვერტიკალური კოორდინაციის ფარგლებში დასაშვებად მიიჩნევს შემძენისათვის აქტიური გაყიდვების აკრძალვის დაწესებას იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებული იქნება ამავე რეგულაციით ვერტიკალური შეთანხმებებისათვის გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნები თუ წინაპირობები.[721]

ანალოგიური მიდგომით გამოირჩევა N526 დადგენილებაც. კერძოდ, გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამავე დადგენილებით გათვალისწინებულ გამონაკლისებს არ უქვემდებარებს ისეთ ვერტიკალურ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს მხარისათვის ტერიტორიული ან მომხმარებელთა ან სხვა ნიშნით შეზღუდვის დაწესებას. თუმცა იგივე ქვეპუნქტი ამ საგამონაკლისო ნორმიდან ითვალისწინებს სპეციალურ გამონაკლისს. კერძოდ, ამ შემთხვევაში საუბარია გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც ამავე პუნქტის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი არ გამოიყენება, თუ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება ექსკლუზიურ ტერიტორიაზე ან ექსკლუზიურ მომხმარებელთა ჯგუფზე აქტიური გაყიდვების შეზღუდვას, რომელიც მიმწოდებელს რეზერვირებული აქვს თავისთვის ან გამოყოფილი აქვს სხვა შემძენისთვის. შესაბამისად, გამონაკლისების დადგენილების ზოგადი

[721] *Ellger R.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd 1. Kom. Zum europäischen KartR, 6. Aufl., 2020, Vertikal-GVO Art. 4, Rn. 61; *Lorenz M.*, An Introduction to EU Competition Law, 165.

მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ქართულ რეალობაში აქტიური გაყიდვების აკრძალვაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციაზე ვრცელდება საგამონაკლისო სისტემა და იგი არ ექვემდებარება კანონის მე-7 მუხლით დადგენილ აკრძალვას.

iii. პასიური გაყიდვების აკრძალვა

აქტიური გაყიდვების აკრძალვისაგან განსხვავებით, კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით მნიშვნელოვან წინააღმდეგობაში მოდის ექსკლუზიური დისტრიბუციის ისეთი შეთანხმება, რომელიც შემძენისთვის პასიური გაყიდვების აკრძალვის ვალდებულების დაკისრებას ითვალისწინებს. პასიური გაყიდვა გულისხმობს საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაციის ისეთ შემთხვევას, როდესაც ეკონომიკური აგენტი შესაბამის პროდუქტს მომხმარებელს აწვდის მხოლოდ ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში. ასეთ დროს ცალკეული დისტრიბუტორის ექსკლუზიურ ტერიტორიაზე ასევე აღწევს ექსკლუზიური დისტრიბუციის სისტემაში ჩართული სხვა რეალიზატორთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია, თუმცა ამ უკანასკნელის მხრიდან ადგილი არ აქვს სხვისთვის განკუთვნილ ექსკლუზიურ ტერიტორიაზე არსებულ მომხმარებლებზე პირდაპირ გამიზნული სარეკლამო კამპანიის განხორციელებას.[722] პასიური გაყიდვების აკრძალვის შემთხვევაში კონკრეტულ მიმწოდებელთან ექსკლუზიურ სადისტრიბუციო სისტემაში ჩართულ დისტრიბუტორებს შორის ფაქტობრივად სრულად აღმოიფხვრება კონკურენცია და ასეთ დროს ისინი აბსოლუტურად არიან დაცულები ერთმანეთისაგან მომავალი კონკურენტული წნეხისაგან. ასეთი შინაარსით არსებული ვერტიკალური კოორდინაცია თავისი ეფექტებით ფაქტობრივად ბაზრის ჰორიზონტალურ განაწილებას უთანაბრდება.

ბაზრის ჰორიზონტალური განაწილების შემთხვევაში კონკურენტი ან/და პოტენციური ეკონომიკური აგენტები თანხმდებიან, რომ მათი საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი ბაზრის გარკვეული გეოგრაფიული სივრცით და ამ სივრცეში ისინი ერთმანეთს აღარ გაუწევენ კონკურენციას. ასეთი შეთანხმების პირობებში კოორდინაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტები ხელოვნურად

[722] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 51.

აღმოფხვრიან ერთმანეთის მიმართ არსებულ კონკურენტულ წნეხს, რაც, თავის მხრივ, კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტებით გამოირჩევა. ასეთი ეფექტების ინტენსივობა და მასშტაბები განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ბაზრის ჰორიზონტალური განაწილება კონკურენციის შეზღუდვის მიზნის (*"bezweckte Wettbewerbsbeschränkung" / "Restriction by object"*) მქონე შეთანხმებად მიიჩნევა და ავტომატურად ექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში.

თითქმის ანალოგიური ეფექტები მიიღწევა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე დამყარებული ვერტიკალური კოორდინაციის შემთხვევაში მიმწოდებელი შემძენს უწესებს პასიური გაყიდვების აკრძალვას. კერძოდ, ასეთ დროს მიმწოდებელი რამდენიმე შემძენს ექსკლუზიურად განუსაზღვრავს სარეალიზაციო არეალს. პასიური გაყიდვების აკრძალვის შემთხვევაში ამ მიმწოდებელთან ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციაში მყოფ ეკონომიკურ აგენტებს სრულად ეკრძალებათ ერთმანეთის სამოქმედო ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება და ერთმანეთისთვის კონკურენციის გაწევა. შესაბამისად, მათი სარეალიზაციო არეალი შემოიფარგლება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ მათთვის მკაცრად განსაზღვრული გეოგრაფიული სივრცით. სწორედ ამიტომ, იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში პასიური გაყიდვების აკრძალვას აბსოლუტური ტერიტორიული პროტექციის (*"absoluter Gebietsschutz" / "absolute territorial protection"*)[723] სახელითაც მოიხსენიებენ. მართალია, ასეთ დროს შემძენებს შორის არ მყარდება ჰორიზონტალური კოორდინაცია და ამ გზით ისინი არ ახდენენ შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ დანაწევრებას, თუმცა ამ შემთხვევაში კონკურენტული გარემოსთვის თითქმის ისეთივე ეფექტები წარმოიშობა, როგორც ბაზრის ჰორიზონტალური განაწილების შემთხვევაში. ერთადერთი განსხვავება მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ჰორიზონტალური კოორდინაციის შემთხვევაში რეალიზატორების შეთანხმების ობიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ კონკრეტული

[723] ECLI:EU:C:1969:35, *"Franz Völk,"* Case 5-69, 09.07.1969, § 5/7; *Seelinger D.,* Wiedemann, Handbuch des KartR, 4. Aufl., 2020, § 11, Rn. 177.

ბრენდის საქონლისა თუ მომსახურების სარეალიზაციო სივრცის, არამედ მთლიანი შესაბამისი ბაზრის დანაწილება, რაც ნებისმიერ ურთიერთჩანაცვლებად საქონელსა და მომსახურებას გულისხმობს. სწორედ ამ გარემოებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურ ტერიტორიულ პროტექციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია არ უნდა იქნეს მოაზრებული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბაზრის განაწილებად. მართალია, ბაზრის ჰორიზონტალური განაწილება უფრო მეტი საფრთხის შემცველია ჯანსაღი კონკურენტული გარემოსთვის, თუმცა პასიური აკრძალვის შემცველი ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებაც კონკურენციის არანაკლებ შემზღუდველი ეფექტებით გამოირჩევა, რის გამოც, ასეთ შეთანხმებებზე არ ვრცელდება N330/2010 რეგულაციით გათვალისწინებული გამონაკლისები.

ანალოგიური მიდგომებით გამოირჩევა N526 დადგენილებაც, რომლის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი გამორიცხავს პასიური გაყიდვების ამკრძალავ დათქმაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციაზე საგამონაკლისო სისტემის გავრცელების შესაძლებლობას. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამავე პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტი პასიური გაყიდვების აკრძალვასთან ერთად არ საუბრობს პასიური გაყიდვების აკრძალვაზე.

შესაბამისად, პასიური გაყიდვების აკრძალვაზე დაფუძნებული ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებებთან მიმართებით არ გამოიყენება კანონის მე-9 მუხლითა და N526 დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისები. თუმცა ასეთი კოორდინაცია შესაძლებელია არ მოექცეს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვების ფარგლებში თუ იგი შესაბამის ბაზარზე კონკურენციის ხელშემწყობი ეფექტებით გამოირჩევა და ეს ეფექტები აღემატება მისგან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტებით. ასეთ შემთხვევაში შესაბამის კოორდინაციას არ ექნება კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტები და იგი ვერ დააკმაყოფილებს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წინაპირობებს. ასეთ შემთხვევას შესაძლოა ადგილი ქონდეს იმ შემთხვევაში, თუ კოორდინაციაში ჩართულ ეკონომიკურ აგენტებს არ გააჩნიათ მაღალი საბაზრო წილები. კერძოდ, მართლმსაჯულების

სასამართლოს განმარტებით, აბსოლუტური ტერიტორიული პროტექცია შესაძლოა არ მოექცეს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებში, თუ მასში ჩართულ ეკონომიკურ აგენტებს შესაბამის ბაზარზე გააჩნიათ სუსტი საბაზრო პოზიციები.[724] სასამართლოს აღნიშნული განმარტება მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ აბსოლუტურ ტერიტორიულ პროტექციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია არ წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას. აქედან გამომდინარე, ასეთი შინაარსის მატარებელი კოორდინაციის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია იმის დადგენა, რომ მას კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტები გააჩნია. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კი ასეთი ეფექტების არსებობა გამოირიცხება კოორდინაციაში ჩართული ეკონომიკური აგენტების სუსტი საბაზრო პოზიციების შემთხვევაში.

iv. ბაზრის განვითარების დოქტრინა

აბსოლუტურ ტერიტორიულ პროტექციაზე დაფუძნებული ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებები ასევე შესაძლოა არ მოექცეს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში თუ დაკმაყოფილებულია ე. წ. ბაზრის განვითარების დოქტრინის (*"Markterschließungsdoktrin"*) სახელით ცნობილი თეორიის აუცილებელი წინაპირობები. აღნიშნული თეორია მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა წიაღში წარმოიშვა და შემდგომში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ევროკომისიის პრაქტიკაში.

ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეზე მართლმსაჯულების სასამართლომ კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების შესაფასებლად მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნია ის, თუ რამდენად ემსახურებოდა ეკონომიკურ აგენტთა შორის ჩამოყალიბებული კოორდინაცია ბაზრის განვითარებას. კერძოდ, მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, რომ თუ ცალკეული ვერტიკალური კოორდინაცია აუცილებელია ახალ ბაზრებზე შესაღწევად, მაშინ ამ

[724] ECLI:EU:C:1969:35, *"Franz Völk,"* Case 5-69, 09.07.1969, § 5/7; ECLI:EU:C:1971:47, *"Société anonyme Cadillon,"* Case 1-71, 06.05.1971, § 9.

კოორდინაციის შედეგად კონკურენციის შეზღუდვის არსებობა სათუოა.[725] ამ და სხვა განმარტებებზე დაყრდნობით, ევროპულ კონკურენციის სამართალში ბაზრის განვითარების დოქტრინამ დროთა განმავლობაში ფართო აღიარება ჰპოვა. ამასთან, აღნიშნული დოქტრინის საფუძველზე ცალკეული კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებიდან გასათავისუფლებლად აუცილებელია არსებობდეს კონკრეტული ბაზრის განვითარების ეკონომიკურად რენტაბელური პოზიტიური შედეგები.[726]

შესაბამისად, ექსკლუზიური დისტრიბუციის შემთხვევაში პასიური გაყიდვების ამკრძალავ დათქმასთან მიმართებით განსხვავებული მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას იმ შემთხვევაში, როდესაც ექსკლუზიური დისტრიბუციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ვერტიკალური კოორდინაციის გზით ცალკეული მიმწოდებელი და მასთან კოორდინაციაში მყოფი დისტრიბუტორები საკუთარი საქონლისა თუ მომსახურებისთვის ახალ გეოგრაფიულ სივრცეში არსებული ისეთი ბაზრის ათვისებას ესწრაფვიან, რომელზეც მათი პროდუქცია ადრე საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი.[727] ამ სივრცეში ახალი მოთამაშის გამოჩენა კი შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენციის განვითარებაზე დადებითად აისახება. აქედან გამომდინარე, ასეთი შეთანხმება შესაძლოა შინაარსობრივად და ფორმალურად კონკურენციის შემზღუდველი ხასიათის მატარებელი იყოს, თუმცა შეუძლებელია მან შეზღუდოს კონკურენციის ის ხარისხი, რომელიც შესაბამის ბაზარზე ამ შეთანხმების დადებამდე არსებობდა.[728] კერძოდ, ასეთ შემთხვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ექსკლუზიურ დისტრიბუციაში ჩართული რეალიზატორები კონკრეტულ მიმწოდებელთან ვერტიკალური კოორდინაციის დამყარებამდე საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების საცალო რეალიზაციის ბაზარზე. როდესაც ასეთი ეკონომიკური აგენტები ექსკლუზიური დისტრიბუციის საფუძველზე შედიან ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ბაზარზე შეუძლებელია

[725] ECLI:EU:C:1966:38, *"Société Technique Minière,"* Case 56-65, 30.06.1966.
[726] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 152.
[727] *Rahlmeyer D.,* Martinek/Semler/Flohr, Hb des Vertriebsrechts, 4. Aufl., 2016, § 41, Rn. 17; *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 159.
[728] *Zimmer D.,* Immenga/Mestmäcker, Wettbewerbsrecht, Bd. 1, 6. Aufl., 2019, § 101, Rn. 264.

შემცირდეს კონკურენციის ის ხარისხი, რომელიც შესაბამის ბაზარზე ამ ეკონომიკური აგენტების გარეშე არსებობდა.

გარდა ამისა, ახალი ბაზრის ათვისების მიზნით ექსკლუზიური დისტრიბუციის ვალდებულებაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციის დამყარებას თავისი ობიექტური გამამართლებელი გარემოებებიც გააჩნია. როგორც წესი, ახალი ბაზრების ათვისება მნიშვნელოვანი მოცულობის ინვესტიციებთან არის დაკავშირებული.[729] აღნიშნული დანახარჯების თავიდან აცილების მიზნით ცალკეული მიმწოდებელი არჩევს ისეთ შემძენს, რომელიც თავის თავზე აიღებს ახალი ბაზრის ათვისებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ხოლო სანაცვლოდ მიმწოდებელი მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ექსკლუზიურად სთავაზობს აბსოლუტურ ტერიტორიულ პროტექციას, რათა ამ უკანასკნელს შესაბამისი ინვესტიციის განსახორციელებლად გარკვეული დამატებითი მოტივაცია და ინტერესები გაუჩინოს.

იმ შემთხვევაში, როდესაც პასიური გაყიდვების ამკრძალავი დათქმის შემცველი ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმება ემსახურება ახალ ბაზრებზე შეღწევასა თუ ახალი ბაზრების ათვისებას, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების გამორიცხვა ქართულ სამართლებრივ რეალობაში კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და გამონაკლისების დადგენილების საფუძველზე შეუძლებელია. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ასეთი კოორდინაცია ვერ აკმაყოფილებს N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუმცა კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვიდან მისი განთავისუფლება ამავე პუნქტის საფუძველზე თეორიულად მაინც არის შესაძლებელია. ამისათვის აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს, რომ ცალკეული კოორდინაცია არ ზღუდავს და არ აუარესებს ამ კოორდინაციის დამყარებამდე შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციას.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნეს ასევე მიღებული ის გარემოება, რომ ახალი ბაზრების ათვისების მიუხედავად, პასიური გაყიდვების ამკრძალავი დათქმის შემცველი

[729] *Petsche A., lager M.,* Liebscher/Flohr/Petsche, Hb. der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Aufl., 2012, § 7, Rn. 159.

ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებები მუდმივად ვერ განთავისუფლდება კანონის მე-7 მუხლის მოქმედების ფარგლებიდან. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ახალი ბაზრის ათვისებასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევა მოხდება, პასიური გაყიდვების აკრძალვაზე დაფუძნებულ ვერტიკალურ კოორდინაციას შესაბამისი გამამართლებელი საფუძვლები ეცლება. სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ევროპულ რეალობაში ასეთი შეთანხმებები თავისუფლდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლებიდან მხოლოდ ორი წლის განმავლობაში.[730] აღნიშნული მიდგომა მიზანშეწონილია ქართულ რეალობაშიც დაინერგოს და მისი გათვალისწინება მოხდეს აბსოლუტურ ტერიტორიულ პროტექციაზე დაფუძნებული ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასების პროცესში.

7. შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა

7.1. შინაარსი

ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის (*"selektives Vertriebssystem" / "selective distribution system"*) სახელით ცნობილ კოორდინაციათა გარკვეულ ერთობას, რომელიც ექსკლუზიური დისტრიბუციის გარკვეულ მოდიფიკაციადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. კომერციულ ურთიერთობებში შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის მომეტებულ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი ცნების დეფინიცია ჩამოყალიბებულია როგორც გამონაკლისების დადგენილებაში, ასევე ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით ჯგუფური გამონაკლისების ევროპული რეგულაციაში (N330/2010). კერძოდ, გამონაკლისების დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მიხედვით, შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა გულისხმობს, ისეთ სადისტრიბუციო სისტემას, სადაც მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ვერტიკალური შეთანხმების საგანი (საქონელი ან მომსახურება)

[730] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 61.

როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ, მიყიდოს მხოლოდ იმ დისტრიბუტორებს, რომლებიც შერჩეულნი არიან მის მიერ წინასწარ დადგენილი გონივრული და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. ამასთან, შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართული დისტრიბუტორები იღებენ ვალდებულებას მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვერტიკალური შეთანხმების საგანი არ მიყიდონ იმ დისტრიბუტორებს, რომლებიც არ არიან შერჩეულნი მიმწოდებლის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. გამონაკლისების დადგენილებაში შემოთავაზებული აღნიშნული განმარტება სიტყვასიტყვით იმეორებს ვერტიკალურ შეთანხმებებთან მიმართებით ჯგუფური გამონაკლისების ევროპული რეგულაციის (N330/2010) პირველი მუხლის პირველი პუნქტის "e" ქვეპუნქტში მოცემულ დეფინიციას. აღნიშნული შინაარსის გათვალისწინებით, ვერტიკალური კოორდინაციის განსახილველი ვარიაციის ძირითად და უმთავრეს წინაპირობასა თუ მახასიათებელს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ცალკეული მიმწოდებელი ასეთ დროს კონკრეტული ბრენდის ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებას ექსკლუზიურად აწვდის მხოლოდ წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეულ დისტრიბუტორებს.[731]

შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა ეფუძნება მიმწოდებელსა და მიმწოდებლის მიერ შერჩეულ დისტრიბუტორებს შორის დადებულ გარკვეულ ჩარჩო ხელშეკრულებათა სისტემას. შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ცალკეული ბრენდირებული საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის მეთოდად.[732] ასეთ დროს მიმწოდებლის სახით, როგორც წესი, საქმე ეხება გარკვეული ბრენდის პროდუქტის მწარმოებელს, რომელიც ამ პროდუქტის დისტრიბუციის მიზნით გარკვეული კატეგორიის ეკონომიკურ აგენტებს არჩევს და ამ გზით საკუთარი ბრენდის იმიჯისა თუ რეპუტაციის დაცვასა და შენარჩუნებას ისახავს მიზნად. ამასთან, შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის მონაწილე შემძენი კისრულობს სხვადასხვა სახისა თუ

[731] ECLI:EU:C:1977:167, Case 26-76, *„Metro SB-Großmärkte"* § 21-22; *Bechtold R., Bosch W., Brinker I.,* EU-Kartellrecht, 3. Auflage 2014, VO 330/2010 – Gruppenfreistellung für Vertikalvereinbarungen, Art. 1, Rn. 34; *Schuhmacher F., Holzweber S.,* Das Recht der Europäischen Union Werkstand: 74. EL September 2021, AEUV Art. 101, Rn. 950.

[732] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 174.

შინაარსის ვალდებულებას მუდმივ რეჟიმში შეინარჩუნოს დისტრიბუციის გარკვეული სტანდარტები.[733]

მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედი დისტრიბუტორების შერჩევა ხდება წინასწარ განსაზღვრული ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით. კომერციულ პარტნიორთა შერჩევის აღნიშნული პროცესი იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში ავტორიზაციის სახელით არის ცნობილი ხოლო, შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის მონაწილე სუბიექტები, რომლებიც შემდგომი რეალიზაციის მიზნით ცალკეული მიმწოდებლისაგან იძენენ გარკვეულ საქონელსა თუ მომსახურებას, წარმოადგენენ ავტორიზებულ დისტრიბუტორებს.[734] ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხარისხობრივი კრიტერიუმების შემუშავება ამ უკანასკნელისთვის წარმოშობს ვალდებულებას, კომერციული ურთიერთობა დაამყაროს ყველა იმ ეკონომიკურ აგენტთან, რომელიც ამ კრიტერიუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.[735]

შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბებული ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობათა სისტემა, ექსკლუზიურ დისტრიბუციასთან დაკავშირებული შეთანხმებების მსგავსად, გარკვეულწილად ზღუდავს ავტორიზებულ დისტრიბუტორთა რაოდენობასა და შეთანხმების საგნად არსებული საქონლისა თუ მომსახურების შემდგომი გაყიდვების შესაძლებლობას.[736] ასეთ დროს შერჩეული დისტრიბუტორების რაოდენობა დამოკიდებულია არა გეოგრაფიულ სივრცეთა რაოდენობაზე, არამედ შერჩევის ობიექტურ კრიტერიუმებზე, რომელიც უმთავრესად შესაბამისი შეთანხმებით განსაზღვრული საქონლისა თუ მომსახურების ბუნებითა თუ თავისებურებებით არის განპირობებული.[737] სისტემაში ჩართული დისტრიბუტორებისათვის შესაბამისი პროდუქტის შემდგომი რეალიზაციის შეზღუდვა არ გულისხმობს გარკვეულ ტერიტორიაზე მისი შემდგომი გაყიდვის (აქტიური ან

[733] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 183.
[734] *Schöner M., Johnston N.*, Bauer/Rahlmeyer/Schöner, Vertriebskartellrecht, 2020, § 16, Rn. 2.
[735] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art 1. Rn. 51.
[736] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 174.
[737] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 174.

პასიური გაყიდვები), არამედ მისი არაავტორიზებული დისტრიბუტორებისათვის მიყიდვის აკრძალვას.[738] შესაბამისად, ცალკეული ბრენდის საქონლისა თუ მომსახურების შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართული დისტრიბუტორებისთვის პოტენციურ კლიენტებს წარმოადგენენ მხოლოდ ამ სისტემაში ჩართული დისტრიბუტორები და/ან საბოლოო მომხმარებლები.

სხვა სახის ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობებისაგან შერჩევით სადისტრიბუციო სისტემას განასხვავებს ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში მიმწოდებელი რაიმე სახის სუბიექტურ დამოკიდებულებებსა თუ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით არ ახდენს შესაბამის გეოგრაფიულ არეალში კონკრეტული შემძენის კომერციულ პარტნიორად შერჩევას. ამ დროს იგი წინასწარ შეიმუშავებს გარკვეულ ობიექტურ კრიტერიუმებსა თუ წინაპირობებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ცალკეული შემძენი მისი ექსკლუზიური კომერციული პარტნიორი ხდება. შესაბამისად, ექსკლუზიური მიწოდების ვალდებულებასა თუ ტერიტორიულ პროტექციაზე დაფუძნებული ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ნებისმიერ სუბიექტს აქვს ცალკეული მიმწოდებლის მიერ ჩამოყალიბებულ შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართვის შესაძლებლობა. აღნიშნული კი დამოკიდებულია მხოლოდ მიმწოდებლის მიერ წინასწარ ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

7.2. კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებული რისკები

შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებულ რისკებს ძირითადად ორი მიმართულებით წარმოშობს. ასეთ დროს მიმწოდებელი, ერთი მხრივ, საკუთარ საქონელსა თუ მომსახურებას მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით არ აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პოტენციურ კომერციულ პარტნიორს, არამედ მხოლოდ მათ ვინც დააკმაყოფილებს მის მიერ წინასწარ შემუშავებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებსა თუ მოთხოვნებს. მეორე მხრივ, შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართული დისტრიბუტორები იღებენ ვალდებულებას

[738] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art 1. Rn. 51; G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 174.

შეთანხმების საგნად არსებული კონკრეტული ბრენდის საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაცია მოახდინონ სისტემის მიღმა დარჩენილ ეკონომიკურ აგენტებზე. შესაბამისად, ასეთ დროს ადგილი აქვს სისტემაში ჩართული დისტრიბუტორების პოტენციური კლიენტების წრის შეზღუდვას, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ საბოლოო მომხმარებლებითა და სისტემაში ჩართული სხვა დისტრიბუტორებით არის შემოფარგლული. აქედან გამომდინარე, მიმწოდებლის მხრიდან ცალკეულ დისტრიბუტორთა კონკურენტულ თანასწორუფლებიანობას ორმაგ შეზღუდვას აქვს ადგილი: დისტრიბუტორებს არ აქვთ შესაძლებლობა შემდგომი რეალიზაციის მიზნით ცალკეული მიმწოდებლისაგან შეიძინონ კონკრეტული ბრენდის საქონელი თუ მომსახურება და მათთვის ამ ბრენდის პროდუქტის შეძენა ასევე შეუძლებელია შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართული სხვა დისტრიბუტორებისაგან.

7.3. ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა

პრაქტიკაში შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის გამოვლინებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ზოგადი კლასიფიკაციით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხარისხობრივ (*"qualitativer Selektivvertrieb" / "qualitative selective distribution"*) და რაოდენობრივ (*"quantitativer Selektivvertrieb" / "quantitative selective distribution"* / "შერჩევით სადისტრიბუციო სისტემებს.[739]

ხარისხობრივი სადისტრიბუციო სისტემის შემთხვევაში მიმწოდებელი დისტრიბუტორს არჩევს მხოლოდ ისეთ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომლებიც შეთანხმების საგნად არსებული საქონლისა თუ მომსახურების ცალკეული თვისებებიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარეობს. ეს კრიტერიუმი შეიძლება იყოს პერსონალის პროფესიონალიზმი, რეალიზაციის ადგილას არსებული მომსახურებისა და

[739] *Hoffman J.,* Dauses/Ludwigs, Hb des EU-Wirtschaftsrechts, Bd. 1, 2021, Rn. 183; G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 175; *Schuhmacher F., Holzweber S.,* Das Recht der Europäischen Union Werkstand: 74. EL September 2021, AEUV Art. 101, Rn. 953.

რეკლამირების ხარისხი, განთავსების ფორმა, განთავსებული პროდუქტის მინიმალური რაოდენობა, სამუშაო საათები, გარანტიისა და შეკეთების მომსახურება და ა. შ.[740]

ასეთი მოთხოვნები არ ზღუდავს კონკრეტულ შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართულ დისტრიბუტორთა რაოდენობას იმდენად, რამდენადაც მასში ჩართვის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ ისეთ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც აკმაყოფილებს მიმწოდებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს.

ხარისხობრივი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში ცალკეულ მიმწოდებელსა და დისტრიბუტორს შორის დადებულ შეთანხმებაზე არ ვრცელდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმა იმ შეთხვევაში თუ დაკმაყოფილებულია გარკვეული წინაპირობები.[741] ამ კუთხით საინტერესო და მნიშვნელოვან პრაქტიკას ავითარებს მართლმსაჯულების სასამართლო. კერძოდ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა ნებისმიერ შემთხვევაში ახდენს გავლენას შიდა ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე, თუმცა არსებობს გარკვეული ლეგიტიმური აუცილებლობა (შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების არსებობა მაშინ, როდესაც საქმე მაღალი ხარისხის და მაღალტექნოლოგიურ პროდუქტს ეხება), რომლის პირობებშიც შესაძლოა გამართლებული იყოს ფასებთან დაკავშირებული კონკურენციის ხარისხის შემცირება კონკურენციის სხვა პარამეტრების ზრდის სანაცვლოდ, რომელიც ასეთი სისტემის არსებობით არის განპირობებული.[742] სასამართლო ასევე ადგენს, რომ მაშინ, როდესაც შერჩევით სადისტრიბუციო სისტემას გააჩნია ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც მოწოდებულია დადებითი გავლენა იქონიოს კონკურენციის სხვადასხვა პარამეტრებზე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ ნორმასთან თავსებადად უნდა იქნეს მიჩნეული იმ პირობით, რომ ცალკეული სისტემის ფარგლებში დისტრიბუტორების შერჩევა მოხდება ხარისხობრივი ბუნების მატარებელ ისეთ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომელიც უკავშირდება

[740] *Bernhard J.,* MüKo zum Wettbewerbsrecht, Bd. 1, 3. Aufl., 2020, Ver. Nr 330/2010, Art 1. Rn. 52; G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 175.

[741] *Schuhmacher F., Holzweber S.,* Das Recht der Europäischen Union Werkstand: 74. EL September 2021, AEUV Art. 101, Rn. 955.

[742] ECLI:EU:C:1983:293, Case 107/82, *"Allgemeine Elektrizitäts-Gesellschaft - Telefunken AG"*, 25.10.1983, § 33.

დისტრიბუტორებისა და მისი თანამშრომლების ტექნიკურ კვალიფიკაციასა თუ სავაჭრო პუნქტის პროდუქტთან შესაბამისობას და ეს კრიტერიუმები არის უნივერსალური, მიმართულია ყველა პოტენციური დისტრიბუტორისთვის და მისი გამოყენება არ ხდება დისკრიმინაციულ საწყისებზე.[743]

მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ ნორმასთან თავსებადობის კუთხით ევროკომისია ერთმანეთისაგან განასხვავებს სამ კუმულატიურ წინაპირობას.[744] ევროკომისიის განმარტებით, ამისათვის აუცილებელ პირველ წინაპირობად განსაზღვრულია შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების ბუნებიდან და მახასიათებლებიდან. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა უნდა იყოს ლეგიტიმური და აუცილებელი საშუალება იმისათვის, რათა შენარჩუნებულ იქნეს შეთანხმების საგნად არსებული ცალკეული ბრენდის პროდუქტის ხარისხი და მისი შესაბამისი გამოყენება. მეორე წინაპირობა გულისხმობს შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართვისათვის მიმწოდებლის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების ობიექტურ და უნივერსალურ ხასიათს. ეს კრიტერიუმები თუ მოთხოვნები მიმართული უნდა იყოს ნებისმიერი პოტენციური დისტრიბუტორისკენ და მისი გამოყენება არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციულ საწყისებზე. მესამე წინაპირობად კი განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების თანაზომიერება. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართვისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული იმ ლეგიტიმური მიზნებისა, რომლის მიღწევასაც ისახავს მიზნად ცალკეული შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა.

---

[743] ECLI:EU:C:1977:167, Case 26-76, *„Metro SB-Großmärkte“* § 21-22; ECLI:EU:C:1983:293, Case 107/82, *”Allgemeine Elektrizitäts-Gesellschaft - Telefunken AG”*, 25.10.1983, § 33; ECLI:EU:C:2011:649, Case C-439/09, *“Pierre Fabre Dermo-Cosmétique SAS”,* 13.10.2011, §§ 40-41; ECLI:EU:C:2017:941, *“Coty Germany GmbH,”* Case C-230/16, 06.12.2017, § 24.

[744] *Schuhmacher F., Holzweber S.,* Das Recht der Europäischen Union Werkstand: 74. EL September 2021, AEUV Art. 101, Rn. 956; G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 175.

რაოდენობრივი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის შემთხვევაში სახეზეა ხარისხობრივი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ყველა მახასიათებელი. თუმცა რაოდენობრივ სადისტრიბუციო სისტემას გააჩნია დამატებითი ნიშანთვისებები და მახასიათებლები. კერძოდ, ასეთ დროს ობიექტურ ხარისხობრივ კრიტერიუმებთან ერთად მიმწოდებელი აწესებს შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართულ დისტრიბუტორთა გარკვეულ მაქსიმალურ რაოდენობას.[745]

7.4. კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტები

იმ შემთხვევაში, თუ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბებული კოორდინაცია არ ექცევა საგამონაკლისო სისტემის ფარგლებში მაშინ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მისი კვალიფიკაციის პროცესში აუცილებელი ხდება კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასება. ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება ასეთი ეფექტების იდენტიფიცირებისა და ანალიზის ისეთ კლასიკურ მექანიზმებზე, როგორიცაა მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო პოზიციები, სისტემასთან შემხებლობაში მყოფ შესაბამის ბაზრებზე არსებულ ეკონომიკურ პირობებზე და ა. შ.

შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემისგან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასების პროცესში მომეტებული მნიშვნელობის მატარებელია მიმწოდებლისა და მისი კონკურენტების საბაზრო პოზიციები. სწორედ აღნიშნული პარამეტრის საფუძველზე უნდა მოხდეს იმის დადგენა, თუ რამდენად არის მოწოდებული შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ბრენდებს შორის კონკურენციის პროცესზე. რაც უფრო მაღალია მიმწოდებლის წილი შესაბამის ბაზარზე, მით უფრო მაღალია ამ ბაზარზე არსებულ ბრენდებს შორის კონკურენციის შეზღუდვის ალბათობა და ინტენსივობა.

გარდა ამისა, ასეთ დროს ევროკომისია ასევე ყურადღებას ამახვილებს შესაბამის ბაზარზე ჩამოყალიბებულ შერჩევით სადისტრიბუციო სისტემათა რაოდენობაზე. ევროპული კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების განმარტებით,

[745] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 175.

ისეთ პირობებში, როდესაც შესაბამის ბაზარზე მხოლოდ ერთი დისტრიბუტორი იყენებს ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაციის განსახილველ მეთოდს, ხარისხობრივი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის შემთხვევაში ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მან ნეგატიური გავლენა იქონიოს შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე. ამისათვის ევროკომისია ასევე დამატებით წინაპირობად, განსაზღვრავს ხარისხობრივი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის არსებობის აუცილებლობას იმისათვის რათა შეთანხმების საგნად არსებული ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ბუნებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით უზრუნველყოფილ იქნეს ამ საქონლისა თუ მომსახურების ეფექტიანი დისტრიბუცია.[746]

აღსანიშნავია, რომ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დაუშვებელია მიმწოდებელმა დისტრიბუტორს დააკისროს ექსკლუზიური შეძენის (*"single branding"; "non-compete obligation"*) ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დადებულ შესაბამის შეთანხმებაზე ვერ გავრცელდება კანონის მე-9 მუხლითა და N526 დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისები. აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტიდან, რომელიც ადგენს, რომ ამავე დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებით ვერ ისარგებლებენ ის ეკონომიკური აგენტები, რომელთა შორის არსებული შეთანხმების საგანია მხარისთვის პირდაპირი ან ირიბი აკრძალვა, მის სისტემაში შეისყიდოს ან გაყიდოს სხვა, მიმწოდებლის კონკურენტი ეკონომიკური აგენტის პროდუქცია/მომსახურება იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეთანხმების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის წევრი. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი სავარაუდოდ ჩაფიქრებული იყო, როგორც N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "c" ქვეპუნქტი, რომელიც მხოლოდ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დადებულ შეთანხმებებს ეხება და კრძალავს ასეთი შეთანხმებებით დისტრიბუტორისთვის ისეთი ვალდებულების დაკისრებას, რომელიც გულისხმობს მიმწოდებლის კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ბრენდის

[746] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46, § 177.

ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების რეალიზაციის აკრძალვას. გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი არ ეხება მხოლოდ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დადებულ შეთანხმებებს, რაც ამ ნორმის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული.

N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“და N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “c” ქვეპუნქტების მიზანია შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში არ დაუშვას ისეთი შეთანხმებების დადება, რომელიც ამ სისტემის მიღმა არსებული სხვა მიმწოდებლებისთვის შექმნის შესაბამისი ბაზრიდან გამომრიცხავ მნიშვნელოვან ეფექტებს. აქედან გამომდინარე, კანონის მე-9 მუხლითა და N526 დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისები არ ვრცელდება ისეთ შეთანხმებებზე, რომელიც, მართალია, შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში არის დადებული, თუმცა ამ სისტემაში ჩართულ დისტრიბუტორებს უწესებს სხვა მიმწოდებლების პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვას. დასახელებულ შეთანხმებაზე გამონაკლისების გავრცელების შეუძლებლობა, თავის მხრივ, არ ნიშნავს, რომ იგი ავტომატურად ქმნის კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალული ქმედების შემადგენლობას. ასეთ დროს აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით შეფასდეს კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობა. ამისათვის კი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განსახილველი შეთანხმებით კონკურენტი და პოტენციური კონკურენტი მიმწოდებლებისთვის შექმნილი ბაზრიდან გამომრიცხავი ეფექტების მასშტაბები და ინტენსივობა, რაც უმეტესწილად შესაბამის ბაზარზე მიმწოდებლის საბაზრო წილზე არის დამოკიდებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დადებული შეთანხმება დისტრიბუტორისთვის/დისტრიბუტორებისთვის ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებას არ ითვალისწინებს, ბაზრიდან გამომრიცხავი ეფექტები მაინც შეიძლება. ასეთ შემთხვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი ხარისხობრივ შერჩევით კრიტერიუმებთან ერთად დისტრიბუტორებს უწესებს ისეთ დამატებით მოთხოვნებს, როგორიცაა შესაბამისი

პროდუქციისთვის განკუთვნილ თაროებზე მინიმალური ადგილის გამოყოფის ვალდებულება. ევროკომისიის განმარტებით, შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული ასეთი ვალდებულების საფუძველზე ბაზრიდან განდევნისა და კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების წარმოშობა სათუოა, როდესაც შერჩევითი დისტრიბუცია მოიცავს შესაბამისი ბაზრის 50 პროცენტზე ნაკლებ წილს ან ასეთი წილის გადაჭარბების შემთხვევაში 5 ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის ერთობლივი საბაზრო წილი ნაკლებია 50 პროცენტზე.[747]

X. სამართლებრივი შედეგები

1. საჯაროსამართლებრივი შედეგები

კონკურენციის კანონმდებლობა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მხოლოდ დეკლარაციული აკრძალვით როდი შემოიფარგლება. ამასთან ერთად, კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს კონკურენციის კანონმდებლობა მრავალმხრივ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. აღნიშნული სამართლებრივი შედეგები უზოგადესი კლასიფიკაციით შეიძლება კერძოსამართლებრივ და საჯაროსამართლებრივ შედეგებად დაიყოს. სამართლებრივი შედეგების აღნიშნული კლასიფიკაცია თანაბრად ვრცელდება ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებზე დაფუძნებულ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებზეც.

კანონის მე-7 მუხლი TFEU 101-ე და GWB პირველი პარაგრაფების მსგავსად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებში მონაწილე სუბიექტებისთვის არანაირ საჯაროსამართლებრივ სანქციაზე მითითებას არ აკეთებს. აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალული ქმედების განხორციელებისათვის სანქციის სახით ითვალისწინებს მასში მონაწილე სუბიექტისთვის ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას. ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობად კი ამავე პუნქტით განსაზღვრულია სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 5 პროცენტი. ამავე

[747] G. on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46. § 183.

მუხლის მე-2 პუნქტი კი ადგენს, რომ შესაბამისი სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის ან შესაბამისი დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება ჯარიმა წლიური ბრუნვის 10 პროცენტის ფარგლებში.

ევროპულ რეალობაში კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილეობისათვის სანქციები გათვალისწინებულია 2002 წლის 16 დეკემბრის N1/2003 რეგულაციით.[748] აღნიშნულის რეგულაციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ეკონომიკურ აგენტს ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციას კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილეობისათვის შეიძლება დაეკისროს სანქცია წინა ფინანსური წლის განმავლობაში არსებული ბრუნვის 10 პროცენტამდე ოდენობით.

ამდენად, ევროპული და ქართული კონკურენციის კანონმდებლობა ადგენს ჯარიმის ოდენობის მაქსიმალურ ზღვარს, რომლის ფარგლებშიც შესაბამის აღმასრულებელ უწყებას რჩება დისკრეცია დამოუკიდებლად განსაზღვროს კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული ეკონომიკური აგენტისა თუ ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა. კონკრეტულ ქმედებასთან მიმართებით ჯარიმის ოდენობა კი საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, სხვადასხვა კრიტერიუმებისა თუ ამ ქმედებასთან დაკავშირებული ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება.[749] ამასთან, კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე.[750]

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელ ქართულ უწყებას შემუშავებული აქვს სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც დამატებით არის გათვალისწინებული ცალკეულ შემთხვევაში ჯარიმების ოდენობის დადგენის

[748] Council Regulation (EC) No 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty.

[749] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2018 წლის 10 მაისის N04/117 ბრძანება, *„ნავთობკომპანიების საქმე II,“* გვ. 113.

[750] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2018 წლის 10 მაისის N04/117 ბრძანება, *„ნავთობკომპანიების საქმე II,“* გვ. 113.

სახელმძღვანელო პრინციპები.[751] აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, აუცილებელია, რომ ჯარიმა იყოს პროპორციული და ჰქონდეს პრევენციული ეფექტი არა მხოლოდ სამართალდამრღვევი პირის (სპეციალური პრევენცია), არამედ სხვა პირების მიმართაც (საერთო პრევენცია) და მაქსიმალურად უზრუნველყოს კანონის სამომავლო დარღვევის თავიდან აცილება იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას პირის ეკონომიკურ საქმიანობას. შეიძლება ითქვას, რომ ჯარიმის ოდენობის პროპორციულობა და მისი პრევენციული ეფექტი წარმოადგენს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალდამრღვევისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმს.

სახელმძღვანელო პრინციპები ასევე ჩამოთვლის ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრისთვის აუცილებელ ცალკეულ კრიტერიუმებსაც. კერძოდ, ასეთ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მონაწილე ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და მათი საბაზრო ძალა; კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შინაარსობრივი და გეოგრაფიული მასშტაბები; კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტის როლი და წვლილი დარღვევის განხორციელებაში; სხვა ეკონომიკური აგენტების კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობის იძულება ან მუქარა და სხვა.[752] ამ კუთხით ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო პრინციპები კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კონკურენციის შეზღუდვის მიზნისა თუ შედეგის მქონე შეთანხმებებზე. კერძოდ, დასახელებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში მონაწილე სუბიექტისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თუ რა სახის დარღვევას აქვს ამ შემთხვევაში საქმე. იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე ისეთ შეთანხმებას, როგორიცაა ბაზრის განაწილება ან ფასების ფიქსაცია, მაშინ საქმე ეხება

[751] https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf (18.12.2021 მდგ.)
[752] სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 6-7.

განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, რაც შედარებით მაღალი ოდენობის ჯარიმის დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს.[753]

2. კერძოსამართლებრივი შედეგები

2.1. ბათილობა

ერთ-ერთი ძირითადი კერძოსამართლებრივი შედეგი, რომელიც ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციას შეიძლება მოჰყვეს, არის შეთანხმების ბათილობა. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ის ხელშეკრულება, რომელიც ექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში დღის წესრიგში აყენებს გარიგების ბათილობის საკითხს.[754]

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ბათილობასთან დაკავშირებით, სპეციალურ ჩანაწერს შეიცავს კანონის მე-7 მუხლი, რომლის მე-2 პუნქტი ბათილად მიიჩნევს ამავე მუხლით აკრძალულ შეთანხმებებს. ამ შემთხვევაში კანონმდებელი ბათილობის სამართლებრივ შედეგს უკავშირებს ზოგადად კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს, როგორც კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას, ასევე შეთანხმებულ ქმედებასა და გადაწყვეტილებას.

ქართველი კანონმდებლობისაგან განსხვავებულ მიდგომას ავითარებს ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალი. კერძოდ, TFEU 101-ე მუხლის მე-2 პუნქტი ბათილად მიიჩნევს არა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სამივე ფორმას, არამედ აღნიშნულ სამართლებრივ შედეგს იგი მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებასა და შეთანხმებულ ქმედებას (*"Any agreements or decisions"/ "Vereinbarungen oder Beschlüsse"*) უკავშირებს. ამდენად, ევროპული კონკურენციის სამართალი ამ შემთხვევაში ბათილობაზე არ საუბრობს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებულ ქმედებასთან მიმართებით.

---

[753] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 9 მარტის N04/31 ბრძანება, *„შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის" საქმე",* გვ. 105; სახელმძღვანელო პრინციპები, გვ. 7.
[754] ECLI:EU:C:1983:374, *"KERPEN & KERPEN,"* Case 319/82, 14.12.1983, §§ 11-12.

TFEU 101-ე მუხლის მე-2 პუნქტში მსგავსი მიდგომის ჩამოყალიბება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბათილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგი შეუძლებელია შეთანხმებული ქმედების მიმართ იქნეს გამოყენებული იმდენად, რამდენადაც კოორდინაციის აღნიშნული ფორმა კერძოსამართლებრივი გარიგებისათვის აუცილებელ ურთიერთმფარავ ნებათა თანხვედრის ელემენტებს არ შეიცავს. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისათვის რელევანტური შეთანხმებული ქმედება კერძოსამართლებრივ შედეგებს ისედაც არ წარმოშობს, ვინაიდან ასეთ დროს სამოქალაქო სამართლის გაგებით გარიგების არსებობას არ აქვს ადგილი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების მიმართ დადგენილი სამართლებრივი შედეგი პრაქტიკული თვალსაზრისით არა შეთანხმებული ქმედების, არამედ მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიმართ არის რელევანტური. ამასთან, კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ბათილობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგი არ დგება ეკონომიკურ აგენტთა ისეთი კოორდინაციის შემთხვევაში, რომელზეც ვრცელდება კანონით გათვალისწინებული გამონაკლისები.

2.2. შეთანხმების ნაწილის ბათილობა

ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებული ცალკეული კოორდინაცია შესაძლოა ითვალისწინებდეს არა მარტო კონკურენციის შემზღუდველი ეფექტებისა თუ მიზნების მქონე დათქმებს, არამედ სხვა ისეთ პირობებსაც, რომლებიც მათ შორის ჩამოყალიბებული კომერციული ურთიერთობის სხვადასხვა პირობებს განსაზღვრავენ. აქედან გამომდინარე, ცალკეული შეთანხმებით მოცული კონკურენციის შემზღუდველი პირობის გავრცელება ეკონომიკურ აგენტებს შორის ჩამოყალიბებულ მთლიან კომერციულ ურთიერთობებზე მნიშვნელოვან სამართლებრივ თუ პრაქტიკულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ასეთი დაშვება მიგვიყვანდა ისეთ სამართლებრივ შედეგამდე, როდესაც კონკურენციის სამართლის მოქმედება გავრცელდებოდა ისეთ ურთიერთობებზე, რომელიც სამართლის აღნიშნული სფეროს მოწესრიგების საგანი

საერთოდ არ არის. გარდა ამისა, იგი ასევე წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან და ნორმებთან.

კერძოდ, ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ, ნორმას, რომელიც გარიგების ნაწილის ბათილობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. ამ შემთხვევაში საუბარია სსკ-ის 62-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, „გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.“ შესაბამისად, ისეთი კონკურენციის შემზღუდველი ცალკეული პირობისა თუ დათქმის შემცველი მთლიანი შეთანხმების სამართლებრივი ბედის გადაწყვეტა გადის კონკურენციის სამართლის მოქმედების ფარგლებიდან და სამოქალაქო კანონმდებლობის სივრცეში ინაცვლებს.[755] ანალოგიურ მიდგომას ავითარებს მართლმსაჯულების სასამართლოც, რომელიც ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ ბათილად მიიჩნევა არა მთლიანად შეთანხმება, არამედ ცალკეული შეთანხმების მხოლოდ ის დათქმა/დათქმები, რომელიც/რომლებიც უშუალოდ ექცევა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმის ფარგლებში.[756] ამასთან, ამ საფუძვლით ბათილობას გააჩნია აბსოლუტური ეფექტი და იგი არანაირ სახელშეკრულებო მოთხოვნასა თუ ვალდებულებას არ წარმოშობს.[757]

2.3. ზიანის ანაზღაურება[758]

იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელიც ჩართულია კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებაში შესაძლოა მხოლოდ საჯაროსამართლებრივი სანქციებით არ

---

[755] *Kling M., Thomas S.,* KartR. 2. Aufl. 2016, § 19, Rn. 217.

[756] ECLI:EU:C:1966:38, *"Maschinenbau Ulm,"* Case 56-65, 30.06.1966; ECLI:EU:C:1983:374, *"KERPEN & KERPEN,"* Case 319/82, 14.12.1983, §§ 11-12.

[757] ECLI:EU:C:1971:113, *"Béguelin Import Co.,"* Case 22-71, 25.11.1971, § 29; ECLI:EU:C:1983:374, *"KERPEN & KERPEN,"* Case 319/82, 14.12.1983, §§ 11-12.

[758] წინამდებარე ქვეთავი ეფუძნება ავტორის შემდეგ ნაშრომებში ჩამოყალიბებულ მიდგომებსა და მოსაზრებებს - *ადამია გ.,* კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების პერსპექტივები საქართველოში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითზე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2020, 10, 22-42; *ადამია გ.,* არაპირდაპირი მყიდველი, როგორც არაპირდაპირი მყიდველი როგორც კარტელური გარიგებისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი, ქართული სამართლის ჟურნალი, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის პერიოდული გამოცემა, 17.07.2019, N3, 2019, 51-60.

შემოიფარგლოს. კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევი პირი შესაძლოა ასევე დადგეს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს იმ პირის/პირთა მიერ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამ, რომლებიც დაზარალდნენ კონკრეტული სამართალდარღვევის შედეგად.

მსგავსი კერძოსამართლებრივი ღონისძიებები, რომლებსაც მიმართავენ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად დაზარალებული სუბიექტები წარმოადგენს დამატებითი ზეწოლის მექანიზმს იმ ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ კონკურენციის შემზღუდველი სხვადასხვა სახის ქმედებების საშუალებით საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის ზრდას. აქედან გამომდინარე, მსგავსი მოთხოვნები იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების მექანიზმის („private enforcement of competition law“) სახელითაც არის ცნობილი.[759]

როდესაც საქმე კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ეხება, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ამ მოთხოვნის რეალიზაციის ორი ალტერნატიული გზა. დაზარალებულ პირს შესაძლებლობა აქვს ან კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყების მიერ სამართალდარღვევის დადგენის შემდეგ, ან მისგან დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. ამ კუთხით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ზიანის ანაზღაურების თანმდევ (*“follow-on“*) და განკერძოებულ (*“stand-alone“*) მოთხოვნებს.

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისგან მომდინარე ზიანის ანაზღაურების თანმდევი მოთხოვნის შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დაზარალებული პირი სასამართლოში აღძრავს სარჩელს კანონდამრღვევის მიმართ, მას შემდეგ, რაც კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყება დაადგენს შესაბამის დარღვევას. ხოლო, განკერძოებული მოთხოვნის შემთხვევაში, დაზარალებული პირი კომპეტენტური უწყების კონკრეტული დასკვნის გარეშე პირდაპირ მიმართავს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით. ზიანის ანაზღაურების ეს უკანასკნელი

[759] *ადამია გ.,* კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების პერსპექტივები საქართველოში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითზე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2020, 10, 22-42, 24.

შემთხვევა („განკერძოებული“ მოთხოვნა) შედარებით უფრო კომპლექსური ხასიათით გამოირჩევა იმდენად, რამდენადაც ასეთ დროს დაზარალებულ პირს სასამართლოში დამოუკიდებლად უწევს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის არსებობის მტკიცება. აღნიშნულისგან განსხვავებით, პირველ შემთხვევაში („თანმდევი მოთხოვნა“) მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა შესაბამისი უწყების მიერ უკვე დადგენილია და დაზარალებული პირი ატარებს მხოლოდ ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის მტკიცების ტვირთს. ამდენად, დამდგარი ზიანის კომპენსაციის ალბათობა ზიანის ანაზღაურების თანმდევი მოთხოვნის შემთხვევისგან განსხვავებით, განკერძოებული მოთხოვნის შემთხვევაში ძალზე დაბალია. ფაქტობრივად შეუძლებელია კონკრეტულმა ინდივიდმა დამოუკიდებლად ამტკიცოს ისეთი ფაქტი, რომელიც შესაბამისი საჯაროსამართლებრივი მექანიზმებით აღჭურვილი სახელმწიფო უწყების მიერ გრძელვადიან მოკვლევასა და მთელი რიგი პროცედურების დაცვით კონკრეტული მტკიცებულებების მოპოვებას საჭიროებს. აღნიშნულის რესურსი კი დაზარალებულ პირს, როგორც წესი, არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ კონკურენციის სამართლის ამკრძალავი ნორმის დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებისა და კონკურენციის კანონმდებლობის კერძო აღსრულების ყველაზე ეფექტიან და რეალურ მექანიზმს წარმოადგენს სასამართლო დავის წარმოება თანმდევი მოთხოვნის საფუძველზე.

მოთხოვნის რეალიზაციის ამ ორი საშუალების არსებობას აღიარებს ქართული კანონმდებლობაც. კერძოდ, კანონის 28-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება პირდაპირ სასამართლოში მიმართვის გზით მოითხოვოს კონკურენციის კანონმდებლობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, კანონმდებელმა კანონის დასახელებული მუხლით მოახდინა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან მომდინარე ზიანის ანაზღაურების განკერძოებული მოთხოვნის შესაძლებლობის გარანტირება.

თუმცა, კანონის 28-ე მუხლი არ უნდა იქნეს მიჩნეული კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად. აღნიშნული ნორმა შედარებით უფრო

პროცესუალური ხასიათის ნორმაა, ვიდრე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, როგორც მატერიალური უფლების, დამდგენი ნორმა. დასახელებული ნორმის ტელეოლოგიური საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გარანტირებულს ხდის პირის უფლებას, კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი უწყების გვერდის ავლით, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

შესაბამისად, საკუთრივ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, გადის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მოქმედების სივრციდან და იგი ინაცვლებს სამოქალაქო სამართალში, სადაც დელიქტური პასუხისმგებლობის და შესაბამისად, განსახილველი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს ქმნის სსკ-ის 992-ე მუხლი.[760] ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი კი არის ნებისმიერი პირი, რომელსაც კონკრეტული კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის შედეგად მიადგა ზიანი. ასეთი პირი შეიძლება იყოს, როგორც კოორდინაციაში ჩართული ეკონომიკური აგენტის კონკურენტი ან პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი, ასევე შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების პირდაპირი და არაპირდაპირი შემძენი.[761]

დასკვნითი თეზისები

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში განვითარებული მსჯელობებისა გათვალისწინებით ნაშრომის დასასრულს შესაძლებელია დასკვნითი თეზისების სახით ჩამოყალიბდეს ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის ძირითად მოტივებთან თუ საშუალებებთან და ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესთან არის დაკავშირებული. უფრო მეტი სიცხადისა და თვალსაჩინოებისათვის მიზანშეწონილია აღნიშნული თეზისები ნაშრომის თითოეულ ნაწილთან მიმართებით ინდივიდუალურად იქნეს ჩამოყალიბებული:

---

[760] სუსგ ას-809-776-2016 04/04/2017; სუსგ ას-330-2019 19/11/2019.

[761] დაწვ. იხ. *ადამია გ.,* არაპირდაპირი მყიდველი, როგორც არაპირდაპირი მყიდველი როგორც კარტელური გარიგებისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი, ქართული სამართლის ჟურნალი, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის პერიოდული გამოცემა, 17.07.2019, N3, 2019, 51-60.

ა) ნაშრომის პირველ ნაწილთან მიმართებით:

1. კონკურენციის სამართლის მიზნებსა და სამართლის ამ დარგით დაცულ სამართლებრივ სიკეთეებზე საუბრისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ინსტიტუციონალური და ინდივიდუალური განზომილებები. ინსტიტუციონალურ განზომილებაში კონკურენციის სამართლის მიზანია თავისუფალი კონკურენციის, როგორც პროცესისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუციის დაცვა (პირდაპირი მიზანი). ინდივიდუალურ განზომილებაში კონკურენციის სამართალი იცავს, ერთი მხრივ, მეწარმე სუბიექტებისა და, მეორე მხრივ, მომხმარებლების, ანუ ცალკეული ინდივიდების ინტერესებს (თანმდევი მიზანი). შესაბამისად, კონკურენციის სამართლით დაცულია, როგორც ინსტიტუციონალური ასევე ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთეები. თუმცა ინდივიდუალური ინტერესს სუბსიდიარული ხასიათი გააჩნია და კონკურენციის ჯანსაღი და ბუნებრივი პროცესის, როგორც ინსტიტუციის დაცვა გარკვეული ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფების ვიწრო ინტერესებზე მაღლა დგას.

2. კონკურენციის სამართლით დაწესებული სპეციალური აკრძალვები, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მთლიანად კონკურენციის სამართლით მოცული ამ სამართლებრივი სიკეთეების დაცვასა და ამ გზით სამართლის ამ დარგის მიზნების მიღწევას ემსახურებიან. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვისა და შესაბამის ნორმათა მიზანიც, ერთი მხრივ, ეკონომიკური აგენტების მხრიდან ხელოვნური ჩარევებისა თუ შეზღუდვებისაგან თავისუფალი კონკურენციის ბუნებრივი პროცესის ხოლო, მეორე მხრივ, მეწარმე სუბიექტებისა და საბოლოო მომხმარებლების ინტერესების დაცვაში მდგომარეობს.

3. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ამკრძალავი ნორმა ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევას ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობის ხელყოფის პრევენციით უზრუნველყოფს.

4. ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალი და შესაბამისი თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება მიჩნეულ უნდა იქნეს ქართული კონკურენციის

კანონმდებლობის, მათ შორის კანონის მე-7 მუხლის, განმარტებისა და ინტერპრეტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ და მექანიზმად. გარდა ამისა, კანონის მე-7 მუხლის შედარებითსამართლებრივი ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გერმანული კონკურენციის კანონმდებლობის რელევანტური ნორმასთან მიმართებით გერმანული სასამართლოსა და შესაბამისი აღმასრულებელი უწყების გამოცდილება და პრაქტიკა.

5. ქართული კონკურენციის კანონმდებლობის განმარტება უნდა დაეფუძნოს ავტონომიურობის პრინციპს, რომელსაც საფუძვლად უდევს გაბატონებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენციის სამართალი აბსოლუტურად თვითმყოფადი, სხვა დანარჩენისგან გამიჯნული სამართლის დარგია, რომელსაც საკუთარი, დამოუკიდებელი პრინციპები, მოქმედების სივრცე და სამართლებრივი ცნებები გააჩნია.

6. კონკურენციის კანონმდებლობის განმარტების პროცესში მომდევნო მნიშვნელოვან მიდგომას წარმოადგენს ცალკეულ ამკრძალავ ნორმათა მაქსიმალურად ფართო განმარტების აუცილებლობა. აღნიშნულის შესაბამისად, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი თუ კონკურენციის სამართალში არსებული სხვა ამკრძალავი ნორმები მაქსიმალურად ფართოდ განიმარტება, რათა მან მოიცვას კონკურენტულ გარემოზე ნეგატიური ეფექტის მქონე კოორდინაციის მაქსიმალურად ფართო სპექტრი.

7. კონკრეტული ქმედების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დაკმაყოფილებული იყოს შემდეგი ოთხი წინაპირობა: 1) ქმედება უნდა განხორციელდეს ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ; 2) ქმედებით უნდა ხდებოდეს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევების კოორდინირება; 3) ქმედების მიზანი ან შედეგი უნდა იყოს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა; 4) ქმედება მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლენას უნდა ახდენდეს კონკურენციაზე.

გ) ნაშრომის მეორე ნაწილთან მიმართებით:

8. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სუბიექტია ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია.

9. სუბიექტის ეკონომიკური აგენტის ხარისხში ასაყვანად აუცილებელია იგი ახორციელებდეს ეკონომიკურ საქმიანობას. ეკონომიკური საქმიანობა გულისხმობს შესაბამის ბაზარზე საქონლისა თუ მომსახურების ნებისმიერ მიწოდებას.

10. ეკონომიკური აგენტი წარმოადგენს რელატიურ სამართლებრივ კატეგორიას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტის არსებობის/არარსებობის დადგენა დამოკიდებულია არა სუბიექტის ჩვეულებრივ საქმიანობაზე, არამედ კონკრეტული სადავო ქმედების შინაარსზე.

11. კონკურენციის სამართალი იცავს არა მარტო მიწოდების, არამედ მოხმარების კონკურენციასაც. მოხმარების ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება გარკვეული საქონლისა თუ მომსახურების შეძენა არა საკუთარი, პირადი საჭიროებისათვის, არამედ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მისი შემდგომი გადაყიდვის ან გადამუშავების და გადამუშავებული პროდუქციის რეალიზების მიზნით. აქედან გამომდინარე, პირი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების შეძენას, ამ ქმედების ფარგლებში მიჩნეულ უნდა იქნეს ეკონომიკურ აგენტად.

12. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ცნების ქვეშ შესაძლოა მოექცეს ნებისმიერი სახის ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც წევრად სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტი მაინც ჰყავს, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა თუ დაფუძნების სახეებისა.

13. ცალკეული გაერთიანების ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევა არ არის დამოკიდებული ამ გაერთიანების ორგანიზაციულ მოწყობაზე, სამართლებრივ ფორმასა თუ მისთვის დამახასიათებელ სხვა ინსტიტუციონალურ თვისებებზე.

14. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია წარმოადგენს რელატიურ სამართლებრივ კატეგორიას და გარკვეული ორგანიზაციული წარმონაქმნის ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციად მიჩნევის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ შეფასებას მოითხოვს. ამასთან, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის არსებობა კონკრეტულ შემთხვევაში გამოირიცხება თუ იგი სადავო ქმედებით ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას.

15. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაცია შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევაში მოქმედებდეს როგორც ეკონომიკური აგენტი (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედების სუბიექტი) და როგორც კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი.

გ) ნაშრომის მესამე ნაწილთან მიმართებით:

16. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება წარმოადგენს უზოგადეს სამართლებრივ კატეგორიას, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს კოორდინაციის სამ ფორმას - ხელშეკრულებას, შეთანხმებულ ქმედებასა და გადაწყვეტილებას.

i. ხელშეკრულება

18. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ ერთობლივად გამოხატული განზრახვა გარკვეული სახის საბაზრო ქმედების ან ქმედებათა ერთობლიობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

19. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ურთიერთმფარავი ნების ჩამოყალიბებისა თუ მისი გამოხატვის ფორმას, მხარეთა ინტერესებს და არც იმას, თუ რამდენად მოხდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების პრაქტიკული რეალიზება.

20. მხარეთა თანმხვედრი ნების არსებობისთვის არ არის აუცილებელი, რომ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი და ამ მიზნის მქონე ხელშეკრულება შესაბამისობაში იყოს შეთანხმებაში მონაწილე ყველა ან რომელიმე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ინტერესებთან.

21. ცალკეული ეკონომიკური აგენტის კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებაში მონაწილეობის დასადგენად არარელევანტურია ისეთი გარემოებები, როგორიცაა გარკვეული წნეხი თუ იძულება, რომლის გამოც მოხდა ამ ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამისი ნების გამოხატვა და სხვა ეკონომიკურ აგენტებთან ერთად კონკურენციის შემზღუდველ კოორდინაციაში ჩართვა.

22. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობას ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მოჩვენებითად ცალმხრივი ქმედების შემთხვევაში. ამ კუთხით

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს წინასწარი თანხმობისა და თანაქმედების მოთხოვნის ან კონკლუდენტური თანხმობის სახელით ცნობილ ორ განსხვავებულ შემადგენლობას.

23. ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი რომ მასში მონაწილე სუბიექტთა ერთობლივი ნება დეტალურად მოიცავდეს ამ კოორდინაციის ფარგლებში განსახორციელებელ თითოეულ საბაზრო ქმედებას. ამ კუთხით საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს შესაბამისი აღმასრულებელი უწყების მიერ იმის დამტკიცება, რომ ცალკეულმა ეკონომიკურმა აგენტებმა შეათანხმეს სამომავლო საბაზრო ქმედებების ზოგადი ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც ისინი აღარ აპირებენ შესაბამის ბაზარზე დამოუკიდებლად მოქმედების გაგრძელებას.

24. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისთვის არარელევანტურია მასში მონაწილე მხარეთა ნების გამოხატვის ფორმა.

25. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების შემთხვევაში არ არის აუცილებელი მხარეთა ნება მიმართული იყოს სამართლებრივი ბოჭვისკენ, რომლის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნების რეალიზება თუ აღსრულება სასამართლოს მეშვეობით არის შესაძლებელი. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების არსებობისათვის მსგავსი ხასიათის სამართლებრივი ბოჭვის ნება არ წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას. ამ შემთხვევაში ბოჭვის ნებას არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი ხასიათი გააჩნია და იგი შესაძლოა ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, მორალურ თუ სხვა მსგავს განზომილებაში იყოს მოქცეული. მსგავსი ფაქტობრივი ბოჭვის ნება კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებას ასევე განასხვავებს კოორდინაციის სხვა ისეთი ფორმებისაგან, როგორიცაა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული თუ უბრალო პარალელური ქმედება.

ii. *შეთანხმებული ქმედება*

26. შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში საჭირო არ არის მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ გამოხატული განზრახვა ერთობლივი საბაზრო ქმედებების განხორციელებისა თუ საერთო მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში საკმარისია მინიმალური მენტალური კონსენსუსის არსებობა, რომელთან

დაკავშირებითაც ეკონომიკური აგენტები არ ახდენენ ნებისა თუ განზრახვის პირდაპირ გამოხატვას და იგი ერთმანეთისთვის შეცნობადი ხდება გარკვეული ინფორმაციის გაცვლის შედეგად.

27. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის არსებობისთვის არ არის აუცილებელი შესაბამისმა ეკონომიკურმა აგენტებმა შეიმუშაონ რაიმე სახის სამოქმედო გეგმა, რომლის იმპლემენტაციასაც ისინი შესაბამის ბაზარზე ერთობლივად განახორციელებენ. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტებს შორის სამომავლო საბაზრო ქმედებებსა თუ მათ კომერციულ პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებული ბუნდოვანების შემცირება ან სრულად აღმოფხვრა, რაც ამ ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული კონკურენციის ხარისხსა და მასშტაბებს ამცირებს. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედებისთვის რელევანტური კონტაქტი სახეზეა ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს იმ დონის ფიზიკური თუ ინფორმატიული შემხებლობა გააჩნიათ ერთმანეთთან, რომელიც ავტომატურად ახდენს გავლენას მათი საბაზრო ქცევის განსაზღვრისა და განხორციელების დამოუკიდებლობის ხარისხზე.

28. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების ფაქტობრივი შემადგენლობის მეორე ელემენტს ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიერ მათი კონტაქტის შესაბამისად განხორციელებული პრაქტიკული საბაზრო ქმედება წარმოადგენს, რომელსაც, პირობითად, ვიწრო გაგებით შეთანხმებული ქმედება შეიძლება ეწოდოს. შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შორის გარდა პირდაპირი თუ ირიბი კონტაქტისა და მათ მიერ პრაქტიკაში განხორციელებული შესაბამისი საბაზრო ქმედებებისა, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებული ქმედების არსებობისთვის აუცილებელია ამ ქმედებებსა და ეკონომიკურ აგენტებს შორის დამყარებულ კონტაქტს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა.

29. ქმედებათა პარალელიზმი ყოველთვის არ ქმნის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების შემადგენლობას. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია

განისაზღვროს ეკონომიკური აგენტის გარკვეული საბაზრო ქცევა დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ ქმედებას წარმოადგენს თუ იგი სხვა ეკონომიკურ აგენტებთან კონკურენციის შემზღუდველი კოორდინაციის შედეგია.

iii. გადაწყვეტილება

30. კონკურენციის შემზღუდველ გადაწყვეტილებას ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის სახით სპეციალური სუბიექტი ჰყავს. შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ქმედება, რომელსაც პირობითად ვიწრო გაგებით კონკურენციის შემზღუდველი გადაწყვეტილება ეწოდოს. ამ გადაწყვეტილებაზე კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავი ნორმის გასავრცელებლად კი აუცილებელია მისი მიზანი ან შედეგი იყოს კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა (კონკურენციის შეზღუდვის ელემენტი).

31. ვიწრო გაგებით გადაწყვეტილების ქვეშ იგულისხმება ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული ნებისმიერი კორპორატიული აქტი, რომელიც წარმოადგენს ასოციაციის ნების გამოხატულებას და მიზნად ისახავს მისი წევრი ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევის კოორდინირებას

32. ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიჩნევისათვის არ არის აუცილებელი ამ ასოციაციის წევრთა მიერ გამოხატული ნება ან განზრახვა ამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისა თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსით მოცული სამომავლო საბაზრო ქმედებების პრაქტიკულად განხორციელებასთან დაკავშირებით.

33. ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად მიჩნევისათვის აუცილებელია ამ გადაწყვეტილებას გარკვეული შემხებლობა ჰქონდეს მისი წევრი ეკონომიკური აგენტების ან საკუთრივ ამ ასოციაციის ეკონომიკურ საქმიანობასთან. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, არ არის აუცილებელი რომ მას რაიმე ფორმით მისი წევრი სუბიექტებისთვის სამართლებრივი ბოჭვის ძალა გააჩნდეს.

დ) ნაშრომის მეოთხე ნაწილთან მიმართებით:

34. კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში კონკურენციის შეზღუდვას გააჩნია ვიწრო და ფართო გაგება. კონკურენციის შეზღუდვის ვიწრო გაგების მიხედვით, კონკურენციის აკრძალვისა და დაუშვებლობის გვერდით იგი წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ერთ-ერთი წინაპირობის ინდივიდუალურ ალტერნატივას. ხოლო ფართო გაგებით კონკურენციის შეზღუდვა სამივე მათგანს აერთიანებს.

35. ფართო გაგებით კონკურენციის შეზღუდვის ანალიზი სხვადასხვა პარამეტრისა და ინდიკატორის საფუძველზე ხდება. კერძოდ, ასეთ დროს შეიძლება შეფასდეს შეზღუდვაუნარიანი კონკურენციის არსებობა, ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტული ავტონომიურობა, ფაქტობრივი და პოტენციური კონკურენცია, მიწოდებისა და შეძენის კონკურენცია, შიდაბრენდული და ბრენდებს შორის კონკურენცია და ა. შ.

36. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისთვის აუცილებელია ეკონომიკურ აგენტთა კოორდინაციას გააჩნდეს კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი. ეკონომიკურ აგენტებს შორის მიღწეული კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმება, თავიდანვე მიიჩნევა სამართალდარღვევად და ცალკეულ შემთხვევაში არ არის აუცილებელი კონკრეტული კოორდინაციიდან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების ანალიზი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კონკურენციის შეზღუდვის შედეგის მქონე შეთანხმებების შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობა არის აუცილებელი.

ე) ნაშრომის მეხუთე ნაწილთან მიმართებით:

37. ცალკეული ქმედების კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებში შეფასების პროცესში ამ ქმედებასთან შემხებლობაში მყოფი შესაბამისი ბაზრისა თუ ბაზრების განსაზღვრა ასრულებს ე. წ. გამიჯვნის ფუნქციას. იმის მიხედვით, თუ რამდენ შესაბამის ბაზარზე ვრცელდება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მოქმედება თუ ეკონომიკური ეფექტები და რამდენ შესაბამის ბაზარზე ოპერირებენ ცალკეული შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტები, ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმების სახით ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების ორ ძირითად სახეს.

38. ნებისმიერ ვერტიკალურ ურთიერთობასთან მიმართებით შესაძლოა იდენტიფიცირებულ იქნეს მასში მონაწილე ეკონომიკური აგენტის ორი სახე - მიმწოდებელი და შემძენი. მიმწოდებელი არის ცალკეული ვერტიკალური ურთიერთობის ფარგლებში შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ზედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკურ აგენტი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, შემძენი წარმოადგენს ცალკეული ვერტიკალური ურთიერთობის ფარგლებში შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე არსებულ შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტს.

ვ) ნაშრომის მეექვსე ნაწილთან მიმართებით:

39. მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის ექსკლუზიურ დათქმებზე დაფუძნებული კომერციული ურთიერთობები სარეალიზაციო სისტემის ორგანიზების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმები ცალკეული საქონლისა თუ მომსახურების ექსკლუზიური მიწოდების ან შეძენის ვალდებულების გარკვეულ ფორმებს აყალიბებენ. იგი შესაძლოა განიმარტოს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების სამართლებრივი საფუძველი, რომლის შედეგადაც შემძენი და/ან მიმწოდებელი ერთმანეთის წინაშე კისრულობენ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ექსკლუზიური შეძენის/მიწოდების ვალდებულებას.

40. კონკურენციის შემზღუდველი ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაციის მიღწევა ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს შორის შესაძლებელია როგორც ხელშეკრულების, ასევე შეთანხმებული ქმედებისა და ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილების საშუალებით. აქედან გამომდინარე, ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციისათვის (სხვა აუცილებელ წინაპირობებთან ერთად) საკმარისია სახეზე იყოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კოორდინაციის ფორმათაგან (ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება, ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის გადაწყვეტილება) ერთ-ერთი მაინც.

41. ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესი გულისხმობს არა მთლიანი გადაწყვეტილების, ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებული ქმედების შინაარსის კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში შეფასებას, არამედ ასეთ დროს კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებში ფასდება მხოლოდ, ის ნორმები და დათქმები, რომლებიც ექსკლუზიურ ვერტიკალურ ურთიერთობებს აყალიბებენ. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს სხვა პუნქტებისა თუ დათქმების სრულ იგნორირებას, ვინაიდან რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სამართლებრივი თუ ეკონომიკური მოცემულობის განსაზღვრისათვის კომერციული ურთიერთობის ნებისმიერი ასპექტი შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი აღმოჩნდეს.

42. კანონის მე-7 მუხლის გამოყენებისას პირველი პუნქტის კერძო ნაწილი არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს იგი კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ფორმათა ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებთან მიმართებით კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის კერძო ნაწილი არანაირ სპეციალურ მითითებას არ შეიცავს, მაინც არის შესაძლებელი, რომ მსგავსი შინაარსის კოორდინაცია კანონის აღნიშნულ მუხლთან მიმართებით შეფასდეს.

43. ექსკლუზიურ დათქმებზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია არ წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტთა ასეთი კოორდინაციის შემთხვევაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების არსებობისთვის აუცილებელია შეფასდეს მისი როგორც კონკურენციის შემზღუდველი, ასევე კონკურენციის პროცესის ხელშემწყობი გარემოებები თუ ფაქტორები.

44. კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილებისას ექსკლუზიურ დათქმებზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია შესაძლოა ერთდროულად წარმოადგენდეს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებასაც და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასაც.

ზ) ნაშრომის მეშვიდე ნაწილთან მიმართებით:

45. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების ქართული სისტემა ორი ზოგადი ალტერნატიული მიმართულებისაგან შედგება. ერთი მიმართულება ეფუძნება კოორდინაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო წილებს, რომელიც გათვალისწინებულია კანონის მე-8 მუხლით. ხოლო მეორე იმ დამატებით სარგებელსა და ბენეფიტებს, რომელიც შესაძლოა ეკონომიკურ აგენტთა ცალკეულ კოორდინაციასთან იყოს დაკავშირებული. აღნიშნულის შესაბამისად, ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებთან მიმართებით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვიდან გამონაკლისების სისტემის გამოყენება ორი ალტერნატიული ტესტის გამოყენებით უნდა მოხდეს.

46. კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისების გავრცელება ცალკეულ კოორდინაციაზე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც შესაბამისი ხელშეკრულება, შეთანხმებული ქმედება ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კუმულატიურად აკმაყოფილებს დასახელებული ნორმით გათვალისწინებულ ოთხივე წინაპირობას.

47. კანონის მე-7 მუხლის ფარგლებში, კონკურენციის შემზღუდველ ეფექტებთან მიმართებით, შეფასების ობიექტია ის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტები, რომელიც ეკონომიკურ აგენტთა კონკრეტულ კოორდინაციას მხოლოდ კონკურენციის პროცესზე გააჩნია. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ ეფექტიანი კონკურენციის ხელშემწყობი და მისი შემზღუდავი ფაქტორები. კონკურენციის მნიშვნელოვნად შემზღუდველი ეფექტის დადგენის შემდეგ ეტაპზე კი ხდება ცალკეული კოორდინაციის სხვა დადებითი ეფექტების შეფასება, რომელიც უკვე კანონის მე-9 მუხლის მოქმედების ფარგლებს განეკუთვნება. ასეთ დროს უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად შესწევს ცალკეულ კოორდინაციას კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აკრძალვის თანმდევი მიზნების მიღწევის უნარი, რაც კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების საპირწონე სხვა სარგებლის მიღებას გულისხმობს.

48. პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელი და ეფექტურია კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო სისტემის

წინაპირობების შეფასება კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კონკურენციის შეზღუდვის ელემენტის ანალიზის პარალელურად მოხდეს.

49. კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის განმარტებისას მიზანშეწონილია ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური პროგრესი, წარმოების გაუმჯობესება და დისტრიბუციის გაუმჯობესება განხილულ იქნეს ეფექტიანობის ტესტის პირველი წინაპირობის ალტერნატიულ ელემენტებად. თუმცა ნორმის განმარტებასთან დაკავშირებული სირთულეებისა თუ იურიდიული უხერხულობების თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნებოდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

50. კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, მომხმარებელი გულისხმობს არა მარტო საბოლოო მომხმარებელს, არამედ ასევე ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც სხვადასხვა მიზნით იძენს შეთანხმებასთან შემხებლობაში მყოფ ცალკეულ საქონელსა თუ მომსახურებას. იგი შეიძლება იყოს სხვა ეკონომიკურ აგენტიც, რომელიც მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით იძენს ასეთ საქონელსა თუ მომსახურებას. გარდა ამისა, მომხმარებელი მოიცავს შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერ ქვედა დონეზე არსებულ ნებისმიერ არაპირდაპირ შემძენსაც, რომელიც სხვადასხვა მიზნით იძენს შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებას.

51. კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, კეთილდღეობა არ გულისხმობს წმინდა კომერციულ მოგებას, რომლის თანაზიარიც მომხმარებელი უნდა გახდეს. განსახილველი ცნების ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც შეიძლება კონკურენციის შემზღუდველი კონკრეტული შეთანხმებიდან გამომდინარეობდეს.

52. ქართული კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვიდან ინდივიდუალური გამონაკლისების გამოყენების შესაძლებლობას. მსგავსი საკანონმდებლო მოწესრიგება სრულად აცდენილია ევროპულ კონკურენციის კანონმდებლობას და მნიშვნელოვნად ზღუდავს ეკონომიკური აგენტების უფლებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამტკიცონ, რომ მათ მიერ დამყარებული კოორდინაცია ისეთი ინტენსივობის მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი პოზიტიური

ეფექტების მომტანია, რომელსაც შესწევს უნარი გამოათანაბროს ამავე კოორდინაციიდან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი ეფექტები. ამდენად მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოდიფიცირება და მისი იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომელიც შექმნის იმის სამართლებრივ საფუძველს, რომ ისეთ კოორდინაციასთან მიმართებით, რომელიც არ ემთხვევა N526 დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა ფაქტობრივ შემადგენლობას, კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ინდივიდუალური გამონაკლისების დაწესება.

53. მიზანშეწონილია გამონაკლისების დადგენილებაში ცვლილებების განხორციელება იმ ფორმით, რომ გამონაკლისების კუთხით ერთგვაროვანი მიდგომა იყოს ჩამოყალიბებული როგორც დისტრიბუტორსა და საცალო მოვაჭრეს, ასევე მწარმოებელსა და დისტრიბუტორს ან მწარმოებელსა და საცალო მოვაჭრეს შორის დადებული ვერტიკალური შეთანხმებების მიმართ.

54. N526 დადგენილების ფარგლებში დისტრიბუტორებს შორის დადებული შეთანხმება განიმარტოს ჩვეულებრივ ვერტიკალურ შეთანხმებად, რომლის მონაწილეებიც შეიძლება იყვნენ ცალკეული პროდუქტის ან მომსახურების მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები.

55. N526 დადგენილებაში დისტრიბუტორებს შორის შეთანხმებების მომწესრიგებელი ნორმები ამავე დადგენილების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სხვა სახის შეთანხმებების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებთან მიმართებით იმყოფება სუბსიდიარულ დამოკიდებულებაში.

56. წლიურ ბრუნვებთან დაკავშირებით გამონაკლისების დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანაწესი სრულიად ზედმეტია და ეწინააღმდეგება ამავე დადგენილების მიზნებსა და კანონის მე-9 მუხლის სულისკვეთებას. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია განსახილველ სამართლებრივ აქტში შესაბამისი ცვლილების განხორციელება და აღნიშნული ნორმის სრულად ამოღება ან მისი იმ ფორმით ჩამოყალიბება, როგორც ეს მოცემულია N330/2010 რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში.

თ) ნაშრომის მერვე ნაწილთან მიმართებით:

57. ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობების ეფექტების შეფასებისა და მისი კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესის ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტს ე. წ. კუმულატიური ეფექტის აყალიბებს.

58. კუმულატიური ეფექტის დოქტრინა სამართლებრივ თუ ეკონომიკურ გარემოებათა შეფასების გარკვეულ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას გულისხმობს. კერძოდ, ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებად კვალიფიკაციის პროცესში ჯერ უნდა მოხდეს შესაბამის ბაზარზე მიღწეული იდენტური შინაარსის კოორდინაციათა აღმოჩენა და იმის დადგენა, თუ რამდენად აქვთ მათ კუმულატიურად იმის უნარი, რომ შესაბამის ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების დაშვების შეზღუდვის გზით მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონიონ ამ ბაზარზე არსებულ კონკურენციის პროცესზე.

59. შესაბამის ბაზარზე მიღწეული ერთნაირი შინაარსის ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციათა კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტების დადგენის შემდგომ ეტაპზე აღნიშნული კუმულატიური ეფექტის გამოწვევაში ცალკეული ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის წილისა თუ როლის განსაზღვრა უნდა მოხდეს. ასეთ დროს კონკურენციის შემზღუდველი კუმულატიური ეფექტის გამოწვევა შეერაცხება იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომელთა წილი ამ ეფექტების დადგომაში განსაკუთრებულად დიდია.

60. მიზანშეწონილია კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის არსებული რედაქციის პირობებში კანონით ასევე მოხდეს *De Minimis Notice*-ის მე-10 პარაგრაფის მსგავსი ნორმის გათვალისწინება და კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული პროცენტული ზღვრების შემცირება ისეთ შემთხვევებთან მიმართებით, როდესაც საქმე იდენტური შინაარსის მატარებელ შეთანხმებათა კონკურენციის შემზღუდველ კუმულატიურ ეფექტებს ეხება.

ი) ნაშრომის მეცხრე ნაწილთან მიმართებით:

61. ექსკლუზიური ვერტიკალური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას ექსკლუზიური შეძენის ვალდებულებასთან დაკავშირებული შეთანხმება წარმოადგენს. აღნიშნული გულისხმობს შემძენის (მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი - დისტრიბუტორი, საცალო მოვაჭრე და ა. შ.) ვალდებულებას ცალკეული საქონელი ან მომსახურება ან ერთგვაროვან საქონელთა და მომსახურებათა ჯგუფი შეიძინოს ერთი მიმწოდებლისაგან. უფრო კონკრეტულად, ამ შემთხვევაში შემძენის ვალდებულება მოიცავს ცალკეულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული მთლიანი მოთხოვნის ან ამ მოთხოვნის უდიდესი ნაწილის მხოლოდ ერთი მწარმოებლისგან დაკმაყოფილებას.

62. ექსკლუზიურ შეძენაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაცია კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებით ქმნის ისეთ საფრთხეებს, როგორიცაა ბაზრიდან განდევნა და ბაზარზე შესვლის ბარიერების დაწესება, ბრენდებს შორის კონკურენციის აღმოფხვრა, მიმწოდებლებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა და ა. შ.

63. გამონაკლისების დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი პირდაპირ და უშუალოდ ეხება *single branding*-ისა თუ ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემთხვევას.

64. ექსკლუზიური შეძენის ვალდებულ ების შემცველ შეთანხმებაზე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებში: (1) შეთანხმება მიმწოდებელს არ უწესებს ცალკეულ პროდუქტსა თუ მომსახურებაზე არსებული მისი მოთხოვნის 80 პროცენტზე მეტის მხოლოდ ერთი მიმწოდებლისაგან დაკმაყოფილების ვალდებულებას ან (2) უწესებს ასეთ ვალდებულებას, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლის ვადით. აღნიშნული ორი ალტერნატიული წინაპირობის დაკმაყოფილებასთან ერთად ასევე აუცილებელია შეთანხმება პასუხობდეს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

65. N526 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი იმ ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მან მოიცვას N330/2010 რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “a” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შინაარსი და გავრცელდეს მხოლოდ “*non*-

compete obligation"-ის კლასიკურ შემთხვევებზე. ხოლო ამავე პუნქტის „გ" ქვეპუნქტი კი უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ იგი ვრცელდებოდეს მხოლოდ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ფარგლებში დადებულ შეთანხმებებზე.

66. ექსკლუზიური შეძენიდან მომდინარე კონკურენციის შეზღუდვის მნიშვნელოვანი ეფექტები პრაქტიკაში ისეთ ინდიკატორებსა თუ პარამეტრებზე დაყრდნობით უნდა დადგინდეს, როგორიცაა ექსკლუზიური შეძენის ვალდებულების შემცველი ვერტიკალური ურთიერთობის ხანგრძლივობა, კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამისი კომერციული საქმიანობისთვის აუცილებელი ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა და სხვა. ამ პროცესში უმთავრეს როლს მაინც მასში ჩართული ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები ასრულებს. კონკრეტულ შემთხვევაში რაც უფრო დიდია აღნიშნული პარამეტრი, მით მეტია კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების არსებობის ალბათობა.

67. ინგლისური დათქმის შემცველი შეთანხმებით შემძენი მიმწოდებლის წინაშე იღებს ვალდებულებას მას მიაწოდოს უფრო ხელსაყრელ პირობებთან დაკავშირებით სხვა მიმწოდებლისგან/მიმწოდებლებისგან მიღებული შეთავაზებები, რომლის საფუძველზეც არსებულ მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა შემძენს შესთავაზოს იგივე ან უკეთესი პირობები იმისათვის, რათა ამავე შემძენთან შეინარჩუნოს არსებული კომერციული ურთიერთობა. შემძენს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება დათანხმდეს ახალ შეთავაზებას, თუ არსებული მიმწოდებელი უარს განაცხადებს ან ვერ მოახერხებს ახალი შეთავაზების ანალოგიური ან უკეთესი პირობებით მასთან კომერციული ურთიერთობის დამყარებასა თუ გაგრძელებას.

68. ექსკლუზიური მიწოდების შემთხვევაში ექსკლუზივის ვალდებულება ეკისრება არა შემძენს, არამედ მიმწოდებელს. იგი გულისხმობს მიმწოდებლისთვის (მწარმოებელი, დისტრიბუტორი და ა. შ.) დაკისრებულ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას, შესაბამისი შეთანხმებით გათვალისწინებული საქონელი ან მომსახურება მიაწოდოს მხოლოდ ერთ შემძენს. ექსკლუზიური შეძენის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების შეფასება ხდება ისეთ პარამეტრებზე დაყრდნობით, როგორიცაა ვერტიკალური ურთიერთობის

ხანგრძლივობა, კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამისი კომერციული საქმიანობისთვის აუცილებელი ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები და სხვა.

69. ექსკლუზიური დისტრიბუციის შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ცალკეული პროდუქტი ან მომსახურება გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეში მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით ექსკლუზიურად მიაწოდოს ერთ კონკრეტულ შემძენს (ქვედა დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტს - დისტრიბუტორს, საცალო მოვაჭრეს და ა. შ.). ექსკლუზიური დისტრიბუციიდან მომდინარე კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტების შეფასებისას პრაქტიკულად იგივე მიდგომები გამოიყენება, რაც სხვა სახის ექსკლუზიურ ვერტიკალურ კოორდინაციასთან მიმართებით იქნა განხილული. აღნიშნული ზოგადი მიდგომების პარალელურად, ექსკლუზიურ დისტრიბუციაზე დაფუძნებული ვერტიკალური კოორდინაციის კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების შეფასება ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია ამ კოორდინაციის ფარგლებში შემძენისათვის დაკისრებული შემხვედრი ვალდებულების შინაარსზე. აღნიშნულის გათვალისწინებით იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ექსკლუზიური დისტრიბუციის სხვადასხვა ვარიაციებს.

70. აქტიური გაყიდვების აკრძალვაზე დაფუძნებული ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმება გამონაკლისების დადგენილების ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში არ ექვემდებარება კანონის მე-7 მუხლით დადგენილ აკრძალვას. აღნიშნულისაგან განსხვავებით, პასიური გაყიდვების აკრძალვაზე (აბსოლუტური ტერიტორიული პროტექცია) დაფუძნებულ ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებაზე გამონაკლისების დადგენილება არ ვრცელდება. მიუხედავად ამისა აბსოლუტურ ტერიტორიულ პროტექციაზე დაფუძნებული ექსკლუზიური დისტრიბუციის შეთანხმებები შესაძლოა მაინც არ მოექცეს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში თუ დაკმაყოფილებულია ე. წ. ბაზრის განვითარების დოქტრინის სახელით ცნობილი თეორიის აუცილებელი წინაპირობები.

71. შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის კონკურენციის შემზღუდველი ეფექტების ანალიზისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემები.

72. შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ამკრძალავ ნორმასთან თავსებადობისათვის აუცილებელია დაკმაყოფილებული იყოს სამი კუმულატიური წინაპირობა. ა) შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი საქონლისა თუ მომსახურების ბუნებიდან და მახასიათებლებიდან. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა უნდა იყოს ლეგიტიმური და აუცილებელი საშუალება იმისათვის, რათა შენარჩუნებულ იქნეს შეთანხმების საგნად არსებული ცალკეული ბრენდის პროდუქტის ხარისხი და მისი შესაბამისი გამოყენება; ბ) შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართვისათვის მიმწოდებლის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების ობიექტურ და უნივერსალურ ხასიათს. ეს კრიტერიუმები თუ მოთხოვნები მიმართული უნდა იყოს ნებისმიერი პოტენციური დისტრიბუტორისკენ და მისი გამოყენება არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციულ საწყისებზე. გ) მიმწოდებლის მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების თანაზომიერება. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ შერჩევით სადისტრიბუციო სისტემაში ჩართვისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული იმ ლეგიტიმური მიზნებისა, რომლის მიღწევასაც ისახავს მიზნად ცალკეული შერჩევითი სადისტრიბუციო სისტემა.

კ) ნაშრომის მეათე ნაწილთან მიმართებით:

73. კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებს კონკურენციის კანონმდებლობა მრავალმხრივ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. აღნიშნული სამართლებრივი შედეგები უზოგადესი კლასიფიკაციით შეიძლება კერძოსამართლებრივ და საჯაროსამართლებრივ შედეგებად დაიყოს. სამართლებრივი შედეგების აღნიშნული კლასიფიკაცია თანაბრად ვრცელდება ექსკლუზიურ ვერტიკალურ დათქმებზე დაფუძნებულ კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებებზეც. კერძოსამართლებრივი შედეგი გულისხმობს შეთანხმების სრულად ან ნაწილობრივ ბათილობასა და ზიანის

ანაზღაურების მოთხოვნას. საჯაროსამართლებრივი შედეგის ქვეშ კი მოაზრებულ უნდა იქნეს ჯარიმა და კანონით გათვალისწინებული სხვა ზომები/ღონისძიებები.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი

1. *ადამია გივი,* ეკონომიკური კონკურენციის კონსტიტუციური ასპექტები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალი, 2020, 2, 91-123.
2. *ადამია გივი,* ეკონომიკური აგენტის ცნება ქართულ კონკურენციის სამართალში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი 2020, 1, 80-92.
3. *ადამია გივი,* კონკურენციის სამართლის კერძო აღსრულების პერსპექტივები საქართველოში დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მაგალითზე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2020, 10, 22-42.
4. *ადამია გივი,* სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის პრობლემა ქართული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2019, 4, 33-47.
5. *ადამია გივი,* არაპირდაპირი მყიდველი, როგორც არაპირდაპირი მყიდველი როგორც კარტელური გარიგებისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი, ქართული სამართლის ჟურნალი, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაციის პერიოდული გამოცემა, 17.07.2019, N3, 2019, 51-60.
6. *მენაბდიშვილი სოლომონ,* კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.
7. *სერგია ნიკა,* ვერტიკალური ხელშეკრულებები და მათი ჰორიზონტალური ეფექტი ქართულ და ევროპულ კონკურენციის სამართალში, სამაგისტრო ნაშრომი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, 2016.
8. *ფეტელავა სლავა,* კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, 2007.
9. *ცერცვაძე გიორგი,* კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის, ტომი I, 2020.

10. ჯაფარიძე ლიანა, ზუკაკიშვილი ქეთი, კობაძე ნინო, ჟვანია ნინა, გველესიანი ზურაბ, აკოლაშვილი მედეა, სერგია ნიკა, მომცელიძე სოფიო, რედ. ჯაფარიძე ლიანა, ზუკაკიშვილი ქეთი, საქართველოს კონკურენციის სამართალი, 2019.

გერმანულენოვანი

1. *Bacher Klaus, Hempel Rolf*, BeckOK Kartellrecht, 1. Auflage, 2020.
2. *Bauer Michael, Rahlmeyer Dietmar, Schöner Martin,* Vertriebskartellrecht, 2020.
3. *Bechtold Rainer, Bosch Wolfgang, Brinker Ingo,* EU-Kartellrecht, 3. Auflage 2014.
4. *Billing Tom, Lettl Tobias,* Franchising und § 20 Abs. 1 GWB, WRP 2012, 773-781.
5. *Dallmann Michael,* Englische Klausel nach 7. GWB Novelle, WRP 2006, 347-352.
6. *Dauses Manfred, Ludwigs Markus*, Handbuch des EU-Wirtschaftsrechts, Band 1, 2021.
7. *Dietze Phillipp, Janssen Helmut,* Kartellrecht in der Anwältlichen Praxis, 5. Auflage, 2015.
8. *Emmerich Volker,* Kartellrecht, 13. Auflage, 2014.
9. *Galle René, Burdinski Sören*, Neuste Entwicklungen bei vertikalen Beschränkungen, EuZW 2021, 439.
10. *Gersdorf Hubert, Paal Boris,* BeckOK Informations- und Medienrecht, , 31. Auflage, 2021.
11. *Groeben Hans, Schwarze Jürgen, Hatje Armin,* Europäisches Unionsrecht, 7. Auflage, 2015.
12. *Goeder Joanna,* Object Restrictions in Vertical Agreements, Journal of Competition Law & Practice, 2011, Vol. 2, No. 4.
13. *Gruber Johannes Peter,* Ausschließlichkeitsbindungen, Rabatte und marktbeherrschende Unternehmen, MR-Int 2007, 89-93.
14. *Hoeren Thomas, Sieber Ulrich, Holznagel Bernd,* Multimedia-Recht, 2020.
15. *Immenga Ulrich, Mestmäcker Ernst-Joachim,* Wettbewerbsrecht, Band 1, 6. Auflage, 2019.
16. *Immenga Ulrich, Mestmäcker Ernst-Joachim,* Wettbewerbsrecht, Band. 2, 6. Auflage, 2020.
17. *Jaeger Wolfgang, Kokott Juliane, Pohlmann Petra, Schroeder Dirk,* Frankfurter Kommentar zum Kartellrecht, 99. Lieferung 03.2021.
18. *Kling Michael, Thomas Stefan,* Kartellrecht, 2. Auflage, 2016.
19. Kölner Kommentar zum Kartellrecht, Band 1, 2017.

20. Kölner Kommentar zum Kartellrecht, Band 3, 2016.
21. *Langen Eugen, Bunte Hermann-Josef,* Kartellrecht Kommentar, Band 1, Deutsches Kartellrecht, 13. Aufl. 2018.
22. *Langen Eugen, Bunte Hermann-Josef,* Kartellrecht Kommentar, Band 2, Europäisches Kartellrecht, 13. Aufl. 2018.
23. *Liebscher Christoph, Flohr Ekard, Petsche Alexander,* Handbuch der EU-Gruppenfreistellungsverordnungen, 2. Auflage, 2012.
24. *Loewenheim Ulrich, Meessen Karl M., Riesenkampff Alexander, Kersting Cristian, Meyer-Lindemann Hans-Jürgen,* Kartellrecht 4. Auflage, 2020.
25. *Loschelder Michael, Danckwerts Rolf,* Wettbewerbsrecht, 5. Auflage, 2019.
26. *Martinek Michael, Semler Franz-Jörg, Flohr Eckard,* Handbuch des Vertriebsrechts, 4. Auflage, 2016.
27. *Mestmäcker Ernst Joachim, Schweizer Heike,* Europäisches Wettbewerbsrecht, 3. Auflage 2014.
28. *Michalski Lutz, Die* Anwendbarkeit des Kartellverbots auf Wettbewerbsverbote in Austauschverträgen, BB 1991, 1875-1879.
29. Münchener Kommentar zum Europäischen und Deutschen Wettbewerbsrecht, Band. 1, 2007.
30. *Nelle Anreas,* Exklusivbindungen bei Bieterkonsortien und ihre Durchsetzung, ZIP 2000, 1232-1244.
31. *Niebling Jürgen,* Die aktuelle Entwicklung im Vertriebsrecht, WRP 2010, 1454-1459.
32. *Pechstein Mathias, Nowak Carsten, Häde Ulrich,* Frankfurter Kommentar EUV/GRC/AEUV, 1. Auflage 2017.
33. Rechenberg Ludwig, Rüdiger Ludwig, Kölner Handbuch Handels- und Gesellschaftsrecht, 4. Auflage, 2017.
34. *Rittner Fritz, Dreher Meinrad, Kulka Michael,* Wettbewerbs- und Kartellrecht, 8. Auflage, 2014.
35. *Schulze Reiner, Janssen Andre, Kadelbach Stefan,* Europarecht, 4. Auflage 2020.

36. *Schröter Helmuth, Jakob Thinam, Klotz Robert, Mederer Wolfgang,* Europäisches Wettbewerbsrecht, Großkommentar, 2. Auflage, 2014.
37. *Stancke Fabian,* Versicherungsvertrieb und Kartellrecht, VersR 2009, 1168-1177.
38. *Streinz Rudolf, Michl Walther,* EUV/AEUV, 3. Auflage, 2018.
39. *Volmar Max, Kranz Jonas,* Einführung ins Kartellrecht, JuS 2018.
40. Wiedemann, Handbuch des Kartellrechts, 4. Auflage, 2020.
41. *Wolf Christoph*, Exklusivitätsregelungen in F&E-Verträgen, WRP 2013, 885-892.

ინგლისურენოვანი

1. *Akhtar Zia*, Anti-Competitive Effects of Vertical Restraints, *European Competition and Regulatory Law Review (CoRe)*, Vol. 2, Issue 1 (2018), pp. 24-35.
2. *Cucu Cristina,* Agreements, Decisions and Concerted practices: Key concepts in the analysis of Anticompetitive Agreements, 20 LEX ET Scientia INT' I J. 24 (2013).
3. *Faull Jonathan, Nikpay Ali,* The EU Law of Competition, 3rd edition.
4. *Hay George*, Anti-competitive Agreements: the meaning of "agreement", Cornell Law School research paper N. 13-09.
5. *Klein Benjamin,* Exclusive Dealing as Competition for Distribution on the Merits, George Mason Law Review, Vol. 12, Issue 1 (Fall 2003), pp. 119-162.
6. *Levy F. H.,* Federal Antitrust Law and Rule of reason, 1 VLR. 1913-1914, 1(3).
7. *Luchtman Michiel,* Transnational law enforcement in the European Union and the ne bis in idem principle, Review of European administrative law, 2011.
8. *Lorenz Moritz,* an Introduction to EU Competition Law, 2013.
9. *Mcgrath Wiliam,* Group Exemptions for Exclusive Distribution Agreements in the Common Market, 9, N. C. J. INT. L & COM. REG. 1983.
10. *McKenna Cathy,* New Competition Rules for Vertical Agreements, International Journal of Franchising Law, Vol. 8, Issue 3 (2010), pp. 33-36.
11. *Marwell Howard P.,* Exclusive Dealing, J. L&E., Vol. 25, N1, 1988, PP 1-25.
12. *Monti Giorgio,* EC Competition Law, 2007.

13. *Rodger Barry, Macculloch Angus,* Competition Law and Policy in the EC and UK, 4-th ed. 2009.
14. *Rosch Thomas,* Evolution of Exclusive Dealing Law, 7, Sedona, conf. J. 2006.
15. *Sandra Marco Colino,* Competition Law of the EU and UK, 7-th ed. 2011.
16. *Sarad Nicolai J.,* EEC Regulation of Exclusive Dealing Arrangements, International Tax & Business Lawyer, Vol. 3, Issue 1 (Summer 1985), pp. 81-101.
17. *Schroter Helmuth,* The Application of Art. 85, of the EEC Treaty to Exclusive Distribution Agreements, FORDHAM INT. L. J. 1, 1984.
18. *Scott G. Paul,* Raising Rivals' Costs and Exclusive Dealing, Canterbury Law Review, Vol. 6, Issue 2 (1996), pp. 291-323.
19. *Sergest David, Buyer's Liability in Exclusive Dealing, Texas Tech Law Review, Vol. 1, Issue 2 (1970), pp. 339-346.*
20. *Shenefield John,* a Survey of the Antitrust Law of Exclusive Agreements, 6 U RICH. Law Review, 1972, 225, 233.
21. *Simon Stephan,* Vertical Restraints: New BER and Guidelines adopted, Journal of Competition Law & Practice, 2010, Vol. 1, No. 4.
22. *Spector David,* The European Commission's Approach to Long-term Contracts: An Economist's View, Journal of Competition Law & Practice, 2014, Vol. 5, No. 7.
23. *Spinks, S. O.,* Exclusive Dealing, Discrimination and Discounts under EU Competition Law, ALJ, Vol. 67, N3, 2000, PP. 641-670.
24. *Steptoe Mary Lou, Wilson Donna*, Developments in Exclusive Dealing, Antitrust, Vol. 10, Iss. 3 (Summer 1996), pp. 25-29.
25. *Stroll, N. Robert,* Exclusive Dealing Arrangements and the Antitrust Laws, Willamette Law Journal, Vol. 6, Issue 1 (March 1970), pp. 17-52.
26. *Szyszczak Erika,* Murphy Karen: Decoding Licenses and Territorial Exclusivity, Journal of Competition Law & Practice, 2012, Vol. 3, No. 2.
27. *Vettas Nikolaos,* Developments in Vertical Agreements, Antitrust Bulletin, Vol. 55, Issue 4 (Winter 2010), pp. 843-874.

28. *Verouden Vincent*, Vertical Agreements and Article 81(1) EC: The Evolving Role of Economic Analysis, Antitrust Law Journal, Vol. 71, Issue 2 (2003), pp. 525-576.
29. *Vogel Louis,* The Recent Application of EU and National Competition Law to Distribution Agreements: Does Competition Law promote Efficient Distribution Networsk, Journal of Competition Law & Practice, 2016, Vol. 7, No. 9.
30. *Weisbard Samuel*, Resale Price Maintenance, Exclusive Dealing and Tying Arrangements, Antitrust Bulletin, Vol. 10, Issue 3 (May - June 1965), pp. 341-380.
31. *Whish Richard, Bailey David*, Competition Law, 7-th edition, 2012.

გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების პრაქტიკა

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება, N1/2/411, *„შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“,* 19.12.2008.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, ბს-595-592(კ-17), 28.09.2017.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, N2/11/747, *„შპს „გიგანტი სექურითი“ და შპს „უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ,“* 14.12.2018.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება, N1/1/655, *„შპს „სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“* 18.04.2019.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 14 ივლისის N81 ბრძანება, *„ნავთობკომპანიების საქმე I.“*
2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 11 სექტემბრის N131 ბრძანება, *„საავიაციო ნავთის საქმე.“*

3. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 30 ოქტომბრის N162 ბრძანება, *„საავტომობილო გაზის რეალიზატორთა საქმე.“*
4. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2016 წლის 25 იანვრის N8 ბრძანება, *„გლობალაგროს საქმე II.“*
5. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 23 ივნისის N04/167 ბრძანება, *„სასკოლო ავტობუსების საქმე.“*
6. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2018 წლის 06 ივლისის N04/166 ბრძანება , *„შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე.“*
7. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის, 2018 წლის 10 მაისის N04/117 ბრძანება, *„ნავთობკომპანიების საქმე II.“*
8. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 19 თებერვლის N04/44 ბრძანება *„შპს „ჯევერს დეველოპმენტის“ საქმე.“*
9. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 9 მარტის N04/31 ბრძანება, *„შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე.“*

<u>ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები</u>

1. ECLI:EU:C:1962:30, *„Klöckner-Werke AG,“* Joined cases 17/61 and 20/61, 13.07.1962.
2. ECLI:EU:C:1966:38, *“Société Technique Minière,”* Case 56-65, 30.06.1966.
3. ECLI:EU:C:1967:54, *“SA Brasserie de Haecht,“* Case C-23/67, 12.12.1967.
4. ECLI:EU:C:1969:4, *“Walt Wilhelm,”* Case 14-68, 13.02.1969.
5. ECLI:EU:C:1969:35, *“Franz Völk,“* Case 5-69, 09.07.1969
6. ECLI:EU:C:1970:71, *“ACF Chemiefarma NV,”* Case 41-69, 15.07.1970.
7. ECLI:EU:C:1971:47, *“Société anonyme Cadillon,”* Case 1-71, 06.05.1971.
8. ECLI:EU:C:1971:113, *“Béguelin Import Co.“* Case 22-71, 25.11.1971.
9. ECLI:EU:C:1972:70, *“Chemical Industries,”* Case 48-69, 14.07.1972.
10. ECLI:EU:C:1972:125, *“Boehringer Mannheim GmbH,”* Case 7-72, 14.12.1972.
11. ECLI:EU:C:1972:84, *“Vereeniging van Cementhandelaren,”* Case 8-72, 17.10.1972.
12. ECLI:EU:C:1974:114, „*Centrafarm BV*“, Case 15-74, 31.10.1974.

13. ECLI:EU:C:1975:174, *"Coöperatieve Vereniging "Suiker Unie" UA,"* Joined cases 40 to 48, 50, 54 to 56, 111, 113 and 114-73, 16.12.1975.
14. ECLI:EU:C:1977:167, *"Metro SB-Großmärkte GmbH & Co. KG,"* Case 26-76, 25.10.1977.
15. ECLI:EU:C:1978:19, *"Miller International Schallplatten GmbH,"* Case 19/77 01.02.1978.
16. ECLI:EU:C:1978:133, *"Tepea BV,"* Case 28/77, 20.06.1978.
17. ECLI:EU:C:1979:36, *"Hoffmann-La Roche,"* Case 85/76, 13.02.1979.
18. ECLI:EU:C:1980:248, *"Heintz van Landewyck SARL,"* Joined cases 209 to 215 and 218/78, 29.10.1980.
19. ECLI:EU:C:1981:178, *"Gerhard Züchner,"* Case 172/80, 14.07.1981.
20. ECLI:EU:C:1983:293, Case 107/82, *"Allgemeine Elektrizitäts-Gesellschaft - Telefunken AG"*, 25.10.1983.
21. ECLI:EU:C:1983:310, *"ANSEAU-NAVEWA,"* Joined cases 96-102, 104, 105, 108 and 110/82, 08.11.1983.
22. ECLI:EU:C:1983:374, *"KERPEN & KERPEN,"* Case 319/82, 14.12.1983.
23. ECLI:EU:C:1984:9, "*VBVB and VBBB*", Joined cases 43/82 and 63/82, 17.01.1984.
24. ECLI:EU:C:1984:65, *"Hasselblad* (GB) Limited," Case 86/82, 21.02.1984.
25. ECLI:EU:C:1984:130, *"Asturienne,"* Case C-29/83, 28.03.1984.
26. ECLI:EU:C:1984:271, *„Hydrotherm"* Case 170/83, 12.07.1984.
27. ECLI:EU:C:1985:33, *"Bureau national interprofessionnel du cognac,"* Case 123/83, 30.01.1985.
28. ECLI:EU:C:1985:327, "*Remia BV*," Case 42/84, 11.07.1985.
29. ECLI:EU:C:1985:340, *"Ford – Werke AG,"* Joined cases 25 and 26/84, 17.09.1985.
30. ECLI:EU:C:1985:488, *"Stichting Sigarettenindustrie,"* Joined cases 240, 241, 242, 261, 262, 268 and 269/82, 10.12.1985.
31. ECLI:EU:C:1987:34, *"Verband der Sachversicherer e.V.,"* Case 45/85, 27.01.1987.
32. ECLI:EU:C:1987:235, *"ANTIB,"* Case 272/85, 20.05.1987.
33. ECLI:EU:C:1987:283, *„Italy v Commission"* Case C-118/85, 16.06.1987.
34. ECLI:EU:C:1988:225, *"Corinne Bodson,"* Case 30/87, 04.05.1988.
35. ECLI:EU:C:1989:301, *"SC Belasco,"* Case 246/86 11.07.1989.

36. ECLI:EU:T:1990:41, *"Tetra Pak Rausing SA,"* Case T-51/89, 10.07.1990.
37. ECLI:EU:C:1991:91, *"Stergios Delimitis,"* Case C-234/89, 28.02.1991.
38. ECLI:EU:C:1989:140, *"Ahmed Saeed Flugreisen,"* Case 66/86, 11.04.1991.
39. ECLI:EU:C:1991:161, *"Klaus Höfner"* Case C-41/90, 23.04.1991.
40. ECLI:EU:T:1991:75, *"SA Hercules Chemicals NV,"* Case T-7/89, 17.12.1991.
41. ECLI:EU:T:1992:79, *"Dansk Pelsdyravlerforening,"* Case T-61/89, 02.07.1992.
42. ECLI:EU:C:1993:63, *"Christian Poucet,"* Joined cases C-159/91 and C-160/91, 17.02.1993.
43. ECLI:EU:C:1993:120, *"Ahlström Osakeyhtiö,"* Joined cases C-89/85, C-104/85, C-114/85, C-116/85, C-117/85 and C-125/85 to C-129/85, 31.03.1993.
44. ECLI:EU:C:1994:7, *"Sat Fluggesellschaft,"* Case C-364/92, 19.01.1994.
45. ECLI:EU:T:1994:20, *"Groupement des Cartes Bancaires,"* Joined cases T-39/92 and T-40/92, 23.02.1994.
46. ECLI:EU:C:1994:171, *"Gemeente Almelo,"* Case C-393.92, 27.04.1994.
47. ECLI:EU:T:1994:89, "*Matra Hachette SA,*" Case T-17/93, 15.07.1994.
48. ECLI:EU:T:1994:259, "*John Deere Ltd*," Case T-35/92, 27.10.1994.
49. ECLI:EU:C:1994:413, *"Gøttrup-Klim e.a. Grovvareforeninger,"* Case C-250/92, 15.12.1994.
50. ECLI:EU:T:1995:34, *"Vereniging van Samenwerkende,"* Case T-29/92, 21.02.1995.
51. ECLI:EU:T:1995:62, *"Tréfileurope Sales SARL,"* Case T-141/89, 16.04.1995.
52. ECLI:EU:T:1995:98, *"Langnese Iglo GmbH,"* Case T-7/93, 08.06.1995.
53. ECLI:EU:C:1995:308, *"Centro Servizi Spediporto Srl,"* Case C-96/94, 05.10.1995.
54. ECLI:EU:C:1995:344, *"Bayerische Motorenwerke AG"*, Case C-70/93, 24.10.1995
55. ECLI:EU:C:1996:405, *"Viho Europe BV"*, Case C-73/95 P, 24.10.1996
56. ECLI.EU:C:1997:160, *"Calì,"* Case C-343/95, 18.03.1997.
57. ECLI:EU:C:1997:375, *"Ferriere Nord SpA,"* Case C-219/95 P, 17.07.1997.
58. ECLI:EU:C:1997:603, *"Job Centre"* Case C-55/96, 11.12.1997.
59. ECLI:EU:T:1998:104, *"Stora Kopparbergs Bergslags AB,"* Case T-354/94, 14.05.1998.
60. ECLI:EU:C:1998:256 , *"John Deere Limited,"* Case C-7/95 P, 28.05.1998.
61. ECLI:EU:C:1998:303, *„Commission v Italy"* Case C-35/96, 18.06.1998.

62. ECLI:EU:T:1998:198, *"European Night Services,"* Joined Cases T-374/94, T-375/94, T-384/94 and T-388/94, 15.09.1998.
63. ECLI:EU:C:1999:356, *"Anic Partecipazioni,"* Case C-49/92 P, 08.07.1999.
64. ECLI:EU:C:1999:362, *"Montecatini,"* Case C-235/92 P, 08.07.1999
65. ECLI:EU:C:1999:12, *"Carlo Bagnasco and Others,"* Joined cases C-215/96 and C-216/96. 21.01.1999.
66. ECLI:EU:T:1999:48, *"Thyssen Stahl AG,"* Case T-141/94, 11.03.1999.
67. ECLI:EU:T:1999:80, *"Limburgse Vinyl Maatschappij NV and others v. commission,"* Joined cases T-305/94, T-306/94, T-307/94, T-313/94 to T-316/94, T-318/94, T-325/94, T-328/94, T-329/94 and T-335/94, 20.04.1999.
68. ECLI:EU:C:1999:358, *"Hüls AG,"* Case C-199/92 P, 08.07.1999.
69. ECLI:EU:T:2000:77, *"Cimenteries CBR,"* Joined cases T-25/95, T-26/95, T-30/95, T-31/95, T-32/95, T-34/95, T-35/95, T-36/95, T-37/95, T-38/95, T-39/95, T-42/95, T-43/95, T-44/95, T-45/95, T-46/95, T-48/95, T-50/95, T-51/95, T-52/95, T-53/95, T-54/95, T-55/95, T-56/95, T-57/95, T-58/95, T-59/95, T-60/95, T-61/95, T-62/95, T-63/95, T-64/95, T-65/95, T-68/95, T-69/95, T-70/95, T-71/95, T-87/95, T-88/95, T-103/95 and T-104/95, 15.03.2000.
70. ECLI:EU:T:2000:91, *"CNSD,"* Case T-513/93, 30.03.2000.
71. ECLI:EU:T:2000:180, *"Volkswagen AG,"* Case T-62/98, 06.07.2000.
72. ECLI:EU:C:2000:428, *„Pavlov"* Joined Cases C-180/98 to C-184/98, 12.09.2000.
73. ECLI:EU:T:2000:242, *"Bayer AG,"* Case T-41/96, 26.10.2000.
74. ECLI:EU:C:2000:679, *"Neste Markkinointi",* Case C-214/99, 07.12.2000.
75. ECLI:EU:T:2001:177, *"Roberts,"* Case T-25/99, 05.07.2001.
76. ECLI:EU:C:2001:465, *"Courage v Crehan,"* Case C-453/99, 20.09.2001.
77. ECLI:EU:C:2002:97, *"Manuele Arduino,"* Case C-35/99, 19.02.2002.
78. ECLI:EU:C:2002:98, *"Wouters,"* Case C-309/99, 19.02.2002.
79. ECLI:EU:T:2002:70, *"HFB Holding,"* Case T-9/99, 20.03.2002.
80. ECLI:EU:T:2002:84, *"Colin Joynson,"* Case T-231/99, 21.03.2002.
81. ECLI:EU:C:2002:617, *"Aéroports de Paris,"* Case C-82/01 P, 24.10.2002.

82. ECLI:EU:T:2003:76, "CMA CGM and Others," Case T-213/00, 19.03.2003.
83. ECLI:EU:T:2003:195, *"Archer Daniels Midland,"* 09.07.2003.
84. ECLI:EU:T:2003:281, *"Van den Bergh Foods Ltd,"* Case T-65/98, 23.10.2003.
85. ECLI:EU:T:2004:118, *"Tokai Carbon Co. Ltd,"* Joined cases T-236/01, T-239/01, T-244/01 to T-246/01, T-251/01 and T-252/01, 29.04.2004.
86. ECLI:EU:T:2005:22, *"Laurent Piau,"* Case T-193/02, 26.01.2005.
87. ECLI:EU:T:2005:322 *„DaimlerChrysler AG"*, Case T-325/01, 15.09.2005.
88. ECLI:EU:T:2006:151, *"Österreichische Postsparkasse AG,"* Joined cases T-213/01 and T-214/01, 07.06.2006.
89. ECLI:EU:C:2006:433, *"SGL Carbon AG,"* Case C-308/04 P, 29.06.2006.
90. ECLI:EU:C:2006:460, *"Volkswagen AG,"* Case C-74/04 P, 13.07.2006.
91. ECLI:EU:C:2006:492, *"David Meca-Medina and Igor Majcen,"* Case C-519/04 P, 18.07.2006.
92. ECLI:EU:T:2006:265, *"GlaxoSmithKline Services,"* Case T-168/01, 27.09.2006.
93. ECLI:EU:T:2006:267, *"Roquette Frères,"* T-322/01, 27.09.2006.
94. ECLI:EU:C:2006:607, *"Unilever Bestfoods,"* Case C-552/03 P, 28.09.2006.
95. ECLI:EU:C:2006:734, *"Asnef-Equifax,"* Case C-238/05, 23.11.2006.
96. ECLI:EU:C:2006:784, *„Confederación Española",* Case C-217/05, 14.12.2006.
97. ECLI:EU:C:2008:643, *"Beef Industry Development Society,"* Case C-209/07, 20.11.2008.
98. ECLI:EU:C:2009:191, *"SELEX Sistemi Integrati SpA,"* Case C-113/07 P, 26.03.2009.
99. ECLI:EU:C:2009:215, "*Pedro IV Servicios SL,*" Case C-260/07, 02.04.2009.
100. ECLI:EU:C:2009:343, *"T-Mobile Netherlands BV,"* Case C-8/08, 04.06.2009.
101. ECLI:EU:C:2009:536 *"Akzo Nobel NV"*, Case C-97/08 P, 10.09.2009.
102. ECLI:EU:C:2009:576, *"Erste Group Bank AG,"* Joined Cases C-125.07 P, C-133.07 P, C-135.07 P and C-137.07 P, 24.09.2009.
103. ECLI:EU:C:2009:610, *"GlaxoSmithKline Services,"* Case In Joined Cases C-501/06 P, C-513/06 P, C-515/06 P and C-519/06 P, 06.10.2009.
104. ECLI:EU:C:2011:649, *"Pierre Fabre Dermo-Cosmétique SAS",* Case C-439/09, 13.10.2011.

105. ECLI:EU:C:2011:631, *"Football Association Premier League,"* Joined cases C-403/08 and C-429/08, 04.11.2011.
106. ECLI:EU:T:2012:46 *"DuPont Performance Elastomers"*, Case T-76/08, 02.02.2012.
107. ECLI:EU:T:2012:332, *"E.ON Ruhrgas AG,"* Case T-360/09, 29.06.2012.
108. ECLI:EU:C:2012:449, *"Compass-Datenbank GmbH,"* Case C-138/11, 12.07.2012.
109. ECLI:EU:C:2012:479 *„Alliance One International Inc"*, Joined Cases C-628/10 P and C-14/11 P, 19.07.2012.
110. ECLI:EU:C:2013:127, *"Ordem dos Técnicos Oficiais de Contas,"* Case C-1/12, 28.02.2013.
111. ECLI:EU:C:2013:514 *„Stichting Administratiekantoor Portielje",* Case C-440/11 P, 11.07.2013.
112. ECLI:EU:C:2013:160, *"Allianz Hungária Biztosító,"* Case C-32/11, 14.03.2013.
113. ECLI:EU:T:2013:449, *"Wabco Europe,"* Case T-380/10, 16.09.2013.
114. ECLI:EU:C:2014:2204, *"Groupement des cartes bancaires,"* Case C-67/13 P, 11.09.2014.
115. ECLI:EU:C:2015:184, *"Dole Food Company,"* Case C-286/13 P, 19.03.2015.
116. ECLI:EU:C:2015:484, *"ING Pensii,"* Case C-172/14, 16.07.2015.
117. ECLI:EU:C:2015:784, *"Maxima Latvija,"* Case C-345/14, 26.11.2015.
118. ECLI:EU:C:2017:941, *"Coty Germany GmbH,"* Case C-230/16, 06.12.2017.

ევროკომისიის გადაწყვეტილებები

1. OJ L 53, 24.2.1978, p. 20–25, Commission Decision of 21 December 1977 relating to a proceeding under Article 85 of the EEC Treaty (IV/29.418 - spices).
2. 82/742/EWG: Entscheidung der Kommission vom 29. Oktober 1982 über ein Verfahren nach Artikel 85 EWG-Vertrag "*Amersham Buchler*".
3. Entscheidung der Kommission vom 13. Juli 1983 betreffend ein Verfahren nach Artikel 85 EWG-Vertrag "*Rockwell/Iveco*".
4. OJ L 230/1, 86/398/EEC, 23.04.1986.
5. OJ L 232, 86/399/EEC, 10.07.1986.
6. OJ L 301, p. 68–73, *"BBC Brown Boveri",* 4.11.1988.
7. OJ L 100, p. 32–37, *"Moosehead/Whitbread,"* 20.4.1990.

8. 91/480/EWG: Entscheidung der Kommission vom 30. Juli 1991 in einem Verfahren nach Artikel 85 EWG-Vertrag in der Sache IV/32.659 – "*IATA Passenger Agency Programme*".

9. 91/481/EWG: Entscheidung der Kommission vom 30. Juli 1991 in einem Verfahren nach Artikel 85 EWG-Vertrag in der Sache IV/32.792 – "*IATA Cargo Agency Programme*".

10. OJ L 306, 7.11.1991, p. 22–33, *"Eirpage."*

11. OJ L 239/14, CD 14.09.1994.

12. OJ L 354, 31.12.1994, p. 87–94, "*Asahi/Saint-Gobain*".

13. OJ L 58, 03.03.2000, p. 16–29, *"GEAE/P & W."*

14. OJ L 187, 26.7.2000, p. 47–54, *"CECED".*

15. OJ L 152/24, CD, 07.06.2001.

<u>გერმანიის სასამართლოთა გადაწყვეტილებები</u>

1. BGH v. 10.7.1969, WuW/E BGH 1039 (1041) – *"Auto-Lok."*

2. KG, Entscheidung vom 07.11.1980 - Kart 6/79.

3. BGH, Urteil vom 23.04.1985 – KRB 6/84KG18.04.1984.

4. OLG Düsseldorf, Urteil vom 12. 5. 1998 - U (Kart) 11/98.

5. OLG Düsseldorf Kartellsenat, Beschluss vom 03.03.2004 – VI-Kart 22/00 (V), Kart 22/00 (V), § 17.

6. BGH, Urteil vom 12. 11. 2002 - KZR 11/01.

7. BGH 14.8.2008, „Lottoblock", Az. KVR 54/07.

8. BGH, Urteil vom 16. Juni 2015 – KZR 83/13.

9. BGH 17.10.2017, *„Almased VITALKOST,"* Az. KZR 59/16, NZKart 2018, 52.

<u>აშშ-ის სასამართლოთა გადაწყვეტილებები</u>

1. *"U. S. v. Socony-Vacuum Oil Co,"* 310 U.S. 150, 1940.

2. *"U. S. v. Topco Associates, Inc.,"* 405 U.S. 596, 1972.

3. *"U. S. v. Continental T. V., Inc. v. GTE Sylvania Inc.,"* (1977), No. 76-15.

ევროკომისიის რეკომენდაციები, სახელმძღვანელო დოკუმენტები და ევროპული რეგულაციები

1. Commission Green Paper on vertical restraints in EC competition policy, (96) 721, 30.01.1997.
2. Council Regulation (EC) No 1/2003 of 16 December 2002 on the implementation of the rules on competition laid down in Articles 81 and 82 of the Treaty.
3. Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003.
4. Guidelines on Vertical Restraints, 2010/C 130/01, OJ C 130, 19.5.2010, p. 1–46.
5. OJ L 335, 18.12.2010, p. 36–42, Commission Regulation (EU) No 1217/2010 of 14 December 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to certain categories of research and development agreements.
6. OJ L 335, 18.12.2010, p. 43–47, Commission Regulation (EU) No 1218/2010 of 14 December 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to certain categories of specialisation agreements.
7. Communication from the Commission — Guidelines on the applicability of Article 101 of the Treaty on the Functioning of the European Union to horizontal co-operation agreements, OJ C 11, 14.1.2011, p. 1–72.
8. Communication from the Commission — Notice — Guidelines on the application of Article 81(3) of the Treaty, OJ C 101, 27.4.2004, p. 97–118.
9. Commission Regulation (EU) No 330/2010 of 20 April 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices.
10. OJ L 256, 29.9.2009, p. 31–34, Commission Regulation (EC) No 906/2009 of 28 September 2009 on the application of Article 81(3) of the Treaty to certain categories of agreements, decisions and concerted practices between liner shipping companies (consortia).

11. OJ L 93, 28.3.2014, p. 17–23, Commission Regulation (EU) No 316/2014 of 21 March 2014 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of technology transfer agreements.
12. OJ L 129, 28.5.2010, p. 52–57, Commission Regulation (EU) No 461/2010 of 27 May 2010 on the application of Article 101(3) of the Treaty on the Functioning of the European Union to categories of vertical agreements and concerted practices in the motor vehicle sector.
13. Communication from the Commission — Notice — on agreements of minor importance which do not appreciably restrict competition under Article 101(1) of the Treaty on the Functioning of the European Union (De Minimis Notice), 2014/C 291/01, OJ C 291, 30.8.2014, p. 1–4.